

## შინაარსი — CONTENTS

### I

ა. არაბული, აკაკი წერეთლის წვლილისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში .....	9
<b>A. Arabuli, Towards Akaki Tsereteli's Merit in Formulating the Georgian Literary Language .....</b>	<b>22</b>
ბ. არდოტელი, საბრუნებელი სახელის ფუძე და ბრუნების ტიპები ბაგვალურ ენაში .....	23
<b>N. Ardote li, A declining Noun Stem and Types of Cases in Bagwal.....</b>	<b>33</b>
თ. ბურჭულაძე, რთული თანწყობილი წინადადების ერთი საკითხისათვის ქართულში .....	34
<b>T. Burchuladze, Towards One Issue of a Compound Coordinate Sentence in Georgian.....</b>	<b>37</b>
ე. გაზდელიანი, ხმოვნის სიგრძის გენეზისისათვის ზოგ მორფემათა მიჯნაზე სვანურში .....	38
<b>E. Gazdeliani, Towards the Genesis of a Vowel's Length at the Boundary of Some Morphemes in Svan .....</b>	<b>56</b>
გ. გვანცელაძე, მცენარეთა სემანტიკური ველის ლექსიკა ადამიანის მახასიათებელთა როლში „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით .....	57
<b>G. Gvanceladze, Vocabulary of Semantic Field of Plants in the Role of a Human-being's Features According to Shota Rustaveli's Poem "The Knight in the Panther's Skin" .....</b>	<b>63</b>
ლ. გიგლემიანი, რედუბლიკაციით მიღებული ზმნისართები სვანურში .....	64
<b>L. Gige mi ani, Adverbs Derivated Through Reduplication in Svan .....</b>	<b>67</b>
ტ. გურგენიძე, გრამატიკულ კლასთა სისტემა ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებში .....	68

T. G u r g e n i d z e , Grammatical Class System in the Typologically Different Languages.....	83
თ. ვაშაკიძე, ვითარებითბრუნვისფორმიან სახელთა მორფო-ლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსისათვის.....	84
T. V a s h a k i d z e , Towards the Morphological and Syntactic-Semantic Status of the Nouns with an Adverbial Case Form .....	89
მ. თეთრაძე, ბაცბური ენის CVC ტიპის სახელურ ფუძეთა ფონემური სტრუქტურისათვის .....	90
M. T e t r a d z e , Towards the CVC Structural Type of Noun Roots in Bats...	92
რ. ლოლუა, ატრიბუტული სინტაგმის ანალიზისათვის უდიურ ენაში .....	93
R. L o l u a , Towards the Attributive Syntagma in Udi.....	97
ნ. მაკვაჯარიანი, უმდაბლესი ხერხემლიანების აფხაზურ სახელწოდებათა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი.....	98
N. M a c h a v a r i a n i , Semantic-Structural Analysis of Abkhaz Names of the Lowest Vertebrates.....	103
თ. მახარობლიძე, ინერციის კანონი ენაში .....	104
T. M a k h a r o b l i d z e , Law of Inertia in a Language.....	105
ს. ომიაძე, გენდერის ცნება ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში....	106
S. O m i a d z e , The Notion of Gender in Psychology and Linguistics .....	112
მ. საღლიანი, <b>ლა-, ან-, ად-, ეს-</b> ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართებისა და ამ ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზისათვის სვანურში .....	113
M. S a g l i a n i , Towards the Interrelation of <b>la-, an-, ad-, es-</b> Preverbs and Boundary Prefixal Morphemes and Distributive Analysis of These Preverbs in Svan .....	116
ნ. სურმავა, თ. აბულაძე, სახელის ბრუნების პარადიგმები აჭარულში .....	127

N. S u r m a v a, T. A b u l a d z e, Paradigms of Noun Declension in Ad-jarian .....	134
მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ქართველური ბგერათფარდობის საკითხისათვის .....	135
M. S u k h i s h v i l i, On One Kartvelian Correspondence .....	146
თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დელიმიტაციური სისტემების ჩამოყალიბებისათვის ქართულ ენაში .....	148
T. U t u r g a i d z e, Towards the Formation of Delimitative Systems in the Georgian Language .....	158
ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, სინტაქსური შეთანხმება აფხაზურ ენაში .....	159
N. P o n i a v a, The Syntactical Agreement in the Abkhaz Language .....	162
მ. ღ ლ ო ნ ტ ი, მ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი, შურის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის .....	163
M. G l o n t i, M. K o b i a s h v i l i, Towards the Lexical-Semantic Field of <i>šuri</i> "envy" .....	179
ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მოშ ნაწილაკის სინტაქსური ფუნქციისათვის სვანურში .....	181
N. S h a v r e s h i a n i, Towards the Syntactic Function of <i>moš</i> Particle in Svan .....	187
ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, რ. ჯ ა ნ ა შ ი ა, ყორჟ დიუმეზილი — იბერიულ-კავკასიურ ენათა დიდი მკვლევარი .....	188
V. S h e n g e l i a, R. J a n a s h i a, Georges Dumézil – Great Re-searcher of the Iberian-Caucasian Languages .....	192
მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ერთი ტენდენციის თაობაზე თანამედროვე ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში .....	193
M. C h a c h a n i d z e, On one Tendency in Modern Lexicographic Practice .....	197
რ. ჭ კ ა დ უ ა, ოდენსუფიქსიანი ზმნებისათვის სვანურში .....	198
R. T c h k a d u a, Towards the Verbs With Suffix in Svan .....	203
ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, არსებობის სემანტიკური ველის ზმნათათვის (ს უ ფ ე ვ ა) .....	204

N. K h a k h i a s h v i l i, Towards the Semantic Field of the Verbs Existence ( <i>supeva</i> ) .....	208
ნ. ჯორბენაძე, საშუალო გვარის უთემისნიშნო ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და უღლების ძირითადი საკითხები .....	209
N. J o r b e n a d z e, Structural-Semantical Analysis of the Verbs Without a Theme Market of Middle Voice and Core Issues of Conjugation .....	216

## II

### მ მ მ კ ვ ი ზ რ ე მ ბ ა – L E G A C Y

ბ. ჯორბენაძე, ზმნის მორფონოლოგიის ძირითადი პრობლემები ქართულში .....	217
B. J O R B E N A D Z E, Basic Problems of Morphology of a Verb in Georgian .....	235

## III

### ხ ს ო ვ ნ ა Memory

ალექსანდრე კობახიძე	Aleksandre Kobakhidze	236
დარეჯან ჩხუბიანიშვილი	Darejan Chkhubianishvili	238
გურამ ბედოშვილი	Guram Bedoshvili	240
მერი მესხიშვილი	Meri Meskhishvili	242
კონსტანტინე კაკიტაძე	Konstantine Kakitadze	244

ამიანდილ არაბული

**აკაკი წერეთლის ფილილოსოფიის ახალი ქართული  
ნალიტიკატური ენის ჩამოყალიბებაში**

ადიარებული ფაქტია: აკაკი წერეთელი ერთ-ერთი ძირითადი ფუძემდებელია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა.

ამის დასტურად არაერთი სამეცნიერო და სამწიგნობრო ავტორიტეტის დამოწმება შეიძლება; რაც მთავარია, ამის დასტურია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), რომელიც აკაკის ენის მაღლითაც არის ნასაზრდოები.

აკაკის — როგორც ენობრივი რეფორმატორის — როლის ადიარებისათვის მრავალთაგან მხოლოდ ორ ავტორს დავიმოწმებთ: ერთს — მწერალს, მეორეს — მეცნიერს.

გრიგოლ რობაქიძე:

„აკაკიმ ენა გაამარტივა. მისცა მას სიმსუბუქე და სისხარტე. დაუახლოვა ხალხურ თქმას (მხოლოდ არა დამახინჯებულს).“

ნიკო ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის ლექსურ ენას ემჩნევა ეკლესიური დახერგვა სიტყვის. აკაკიმ გაწმინდა ქართული ენა ამ ხერგებისაგან. მას ეხმარებოდნენ: რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე (თუმცა უკანასკნელმა სხვა „სიმძიმე“ შემოიღო, მაგრამ სრულიად გამართლებული“ (რობაქიძე 1990 : 414).

ვარლამ თოფურია: „ხალხურ ენასთან აკაკის ასეთი კეთილი დამოკიდებულება (აქ იგულისხმება ის, რომ აკაკიმ არ მიიღო თვით დიმიტრი ყიფიანის რჩევაც კი, — „დარბაისლური ქართულით“ ეწერა — ა. ა.) გამომდინარეობდა იმ მსოფლმხედველობიდან, რომელიც მან გაიზიარა რუსეთში „თერგდალეულებთან“ ერთად ეპოქის მოწინავე ინტელიგენციის ზეგავლენით. იგი არა მარტო თეორიულად იღებდა ხალხურ ენას, არამედ პრაქტიკულად ყველაზე მარჯვედ იყენებდა მას. აქ კი პოეტს ხელს უწყობდა მისი ენის ინდივიდუალობა...“ (თოფურია 1944).

აქ აუცილებლად უნდა დავიმოწმოთ მეცნიერისეული მეტად ორიგინალური შეფასება ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-განვითარებისა, რომელიც არსებითად უპირისპირდება „დომინანტი დიალექტის“ ისტორიული როლის ადიარებას ამ თვალსაზრისით და რომელიც აუცილებელია აკაკის ენისადმი დამოკიდებულების გასააზრებლად:

„ცნობილია, რომ სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება რომელიმე დიალექტი. მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა უმწერლობო ენა იჩენს სალიტერა-

ტურო ენას. ქართულისათვის, ამ თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის მქონე ენისათვის, რომელიმე კილოს საფუძვლად დადება საჭირო არ იყო. სალიტერატურო ენა უკვე შემუშავებული და განვითარებული გახლდათ. ეს აკაკიმ ჩინებულად იცოდა, ამიტომ იყო იგი დიალექტალური მოვლენების შემოტანის წინააღმდეგი“ (თოფურია 1944).

ვფიქრობთ, ეს ყველაზე ზუსტი შეფასებაა იმ ისტორიული პროცესებისა, რომლებიც ქართული მწიგნობრული ენის ფორმირებასა და მისი განვითარების ძირითადი ეტაპების შინაგან ლოგიკას ეხება: ქართული მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, უძველესი მწიგნობრული ტრადიციებით არის ნასაზრდოები (მათ შორის — ენაში).

მაინც მიგვაჩნია, რომ როგორც აკაკის, ისე მთლიანად „თერგდალეულთა“ წვლილი ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში უფრო ზოგადი შეფასებებით შემოიფარგლება და მათი ენობრივი ლაბორატორიის განჩხრეკისა და აწონ-დაწონისათვის ჯერ კიდევ ცოტაა გაკეთებული.

ამას ობიექტური მიზეზი აქვს. ორი გარემოება:

1. XIX საუკუნის „ახალი თაობის“ მიერ კონკრეტული ენობრივი ნორმები არსებითად არ ჩამოყალიბებულა. ამიტომაც უაღრესად ინდივიდუალური იყო მათი ენობრივი პრაქტიკაც (რეალიზებული შემოქმედებაში) და მათი პოზიციებიც ცალკეულ ორთოგრაფიულ საკითხებში.

2. კლასიკოსთა მემკვიდრეობის ენობრივი შესწავლისას, ჩვეულებისამებრ, მათი „გადახვევების“ (დიალექტიზმებისა და მისთ.) სტატისტიკას მიმართავენ და არა — მათი პოზიციების წარმომჩენი პოზიტივების აღნუსხვა-შეფასებას.

იმ პირობებში, როდესაც ახალი („ახალი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს ახალ ეტაპს) სალიტერატურო ენა მყარი საგრამატიკო ტრადიციის გარეშე იწყებს ჩამოყალიბებას, რაღაც იდუმალ ნებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ამ ისტორიული მისიის უღლისგამწვევად გვევლინება ქართული სახელმწიფოს სამი ცენტრალური რეგიონის (ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით) სამი გენიალური თანამედროვე. ეს სამი ცენტრალური რეგიონია ქართლი, კახეთი და იმერეთი; ხოლო სამი გენიალური თანამედროვე: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი.

თუ უფრო დავაზუსტებთ, ეს რეალობა ასე შეიძლება წარმოვსახოთ:

ილია ახალი ქართულის იდეის მშობელია, შემოქმედი; თანამედროვე გაგებით, იგი ახალი კონცეფციის ავტორია.

ამ იდეის (კონცეფციის) განხორციელებას ორი „ბურჯი“ უზრუნველყოფს: აკაკი (იმერეთი ანუ დასავლეთი საქართველო) და იაკობ გოგებაშვილი (ქართლი ანუ აღმოსავლეთი საქართველო). მათ აიღეს საკუთარ მხრებზე იდეის ხორცშესხმის ტვირთი, ცხადია, ილიასთან ერთად (სხვათა შორის, აუცილებელი არ არის „პროტაგონისტი“ ზუსტად მისდევდეს შემოქმედებითი მედიტაციის დროს იმ მოსაზრებებს, რასაც იგი შეგნებული გააზრების დროს აყალიბებს).

შეიძლება ითქვას: აკაკის სრულად უნდა ჰქონოდა გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რაც ეპოქამ მის ტიტანურ მხრებს დაანდო.

საიდან ჩანს ეს?

უპირველესად იმ დამოკიდებულებიდან, რაც მას დიალექტიზმების მიმართ აქვს. კერძოდ, იგი ასე ამატრახებდა თეატრში თავჩენილ ტენდენციას: „ბევრჯერ დავსწრებივარ, რომ კარგი ენით დაწერილი პიესა ავტორს ველარ ეცნოს აქტიორების ყბაში ჩავარდნილი. „აქანი“, „მაქანი“, „მასთენ“, „ბიჭი ვცემე“, „ჭკუისგან შემოილაო“ და სხვანი“.

ამით აიხსნება ის, რომ საკუთარ პროზაულ თხზულებებში<sup>1</sup> მწერალი არსებითად ამბობს უარს დიალექტიზმებზე. მარტივი შედარებაც კმარა: რამდენადაც დ. კლდიაშვილი მაქსიმალურად უხსნის კარს პერსონაჟთა დიალექტურ „კომპეტენციას“, აკაკი იშვიათად თუ მიმართავს ამ ხერხს; იგი, შეიძლება ითქვას, არსებითად ერთნაირად ამეტყველებს ქართულსაც; კახელსაც, იმერელსაც...

აღნიშნულის დასტურია როგორც შესანიშნავი ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, ისე დახვეწილი დოკუმენტური პროზა — მოგონებების წიგნი „ჩემი თავგადასავალი“. ეს ორი ძირითადი პროზაული თხზულება სრულიად მოწმობს იმას, რომ აკაკი წერეთელმა პრინციპულად თქვა უარი გრამატიკული დიალექტიზმების გამოყენებაზე თვით პერსონაჟთა დიალოგებშიც კი. მოგონებების ორი ბუნებრივი გარემო რომ ავიღოთ — სოფლურ-გლეხური და თავადურ-სასახლისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ამ თვალსაზრისით თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან<sup>2</sup>. საილუსტრაციოდ შეგვიძლია ავიღოთ ორი ეპიზოდური ფრაგმენტი (დიალოგი) — ყრმა აკაკისა სოფლად და სასახლეში:

1. აკაკის საუბარი ძიძასთან:

„...ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: „რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშნიათო“. — ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! — ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: „რა გატირებს-მეთქი?“ — „ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომამორებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორღა გასძლოს კრუნმა უიმისობით?“

(სხვა ფორმებს რომ თავი დავანებოთ, რომელიმე სხვა მწერალი უთუოდ გამოიყენებდა დიალექტურ ზმნურ ფორმებს: მ ე ი ტ ა ც ე ბ ე ნ, ე ი ტ ა - ნ ო ს...).

2. აკაკის საუბარი მამასთან:

„ეი, სოფლის ბიჭო! — დაიძახა მამაჩემმა, — შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიეჩვიო; რაც გითხრან, დაიჯერე, თორემ, თუ ურჩობა დაიწყე, წაგიყვან და დაგამწყვდევ ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდელი“; მომკიდა ხელი,

<sup>1</sup> პროზას იმიტომ ვიღებთ ძირითად „სადეგუსტაციო“ ბაზად, რომ ამ შემთხვევაში, ჩვეულებისამებრ, ენა უფრო თავისუფალია როგორც რიტმიკის „არტახებისაგან“, ისე იმ ამაღლებული პათოსისაგან, რაც ერთგვარ მემკვიდრეობად დაჰყვა პოეზიას.

<sup>2</sup> ცნობილია, რომ, ობიექტური მიზეზების გამო, სოფლის მშრომელები უფრო „წმინდად“ წარმოადგენენ კუთხურ მეტყველებას, ვიდრე თავადაზნაურობა, რომელიც, ჯერ ერთი, ნაზიარებია წიგნს (წიგნის ენას), ხოლო, მეორე მხრივ, სამწიგნობრო მეტყველებასთან აკავშირებს საკუთარ სოციალურ პრესტიჟს.

მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოვჩნდი და სიცილი დავიწყე.

— ხომ ხედავ? — მკითხა მამაჩემმა.

— რატომ არა!.. ბრმა ხომ არა ვარ?

— იცნობ? — მეკითხება მამა.

— რა დიდი ცნობა უნდა?

— ხომ არ გინდა, რომ დაეჭიდო?

— ვისა?

— ამ პატარა ბიჭს?

— ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდე! ჩემი ლანდია!

— რა იცი, რომ ლანდია?

— რატომ არ ვიცი!.. განა ცოტა მინახავს წყალში?

ამ სიტყვებზე სუყველამ სიცილი ასტეხა და გაიკვირვა. „— შენი რისხვა ნუ მომეცემა, — წამოიძახა მოუთრავმა, —...რო იტყვიან: კვიცი გვარზე წავაო, სწორედ მართალი ყოფილა. სოფლის ბავშვი რომ ყოფილიყო, რას მიხვდებოდა!.. მე რომ პირველად სარკეში ჩავიხედე, ჭაღარა მერია, მაგრამ მაინც კინალამ გავგეჟდი, ისე გამიკვირდა!“

(აქაც მოსალოდნელი იყო: დ ე ი ჯ ე რ ე, დ ე ი წ ე ე, ჩ ე ვ ი ხ ე დ ე და მისთ.).

ეს, ვფიქრობთ, წყალგაუფალი საბუთია იმისა, რომ აკაკის სრულიად გააზრებული და გამოკვეთილი დამოკიდებულება აქვს გრამატიკული დიალექტიზმების მიმართ. უფრო მეტიც, მისი პროზის სხვა ენობრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ მწერალი ასევე გააზრებულ, შეგნებულ პოზიციას იკავებს არაერთი კონკრეტული ორთოგრაფიული ნორმის მიმართ და ეს პოზიცია ისტორიულ-მწიგნობრულ კომპეტენციას ემყარება და არა უშუალო ბავშობის-დროინდელ ჩვევებსა და მეხსიერებას; მას წარმართავს გონება (ცოდნა) და არა — უნარ-ჩვევები. სწორედ ამ მხრივ იკვეთება იგი როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ბუჩქი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა.

შევეხთ რამდენიმე ფაქტობრივ მონაცემს:

რაკი მოხმობილ დიალოგებში უკვე კონკრეტულად მივუთითეთ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ზმნისწინთა დიალექტური ვარიანტებისადმი მწერლის დამოკიდებულება გარკვეული გვაქვს.

რადგანაც  $S_2O_3$  პირის ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით ისტორიულად მნიშვნელოვანმა სხვაობამ იჩინა თავი ქართული ენის დასავლურსა და აღმოსავლურ დიალექტებში, არსებითი მნიშვნელობისაა აკაკის პოზიციის წარმოჩენა ნორმატიული გრამატიკის ამ უბანზე.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ პირის ნიშანთა გამოყენება XX საუკუნისათვის გარკვეულ ნორმას დაექვემდებარა; კერძოდ,  $S_2$  აღარ არის სავალდებულო;  $S_3$  (ირიბი) სავალდებულოა ხშირი თანხმოვნების წინა პოზიციაში (**ჭ**- ან **ხ**- პრეფიქსების სახით), დანარჩენ შემთხვევებში პოზიციური მიზეზით ეს ნიშანიც იკარგება (შანიძე 1981: ნორმები, I, 1979: 191-202; არაბული 2004: 142-144). დიალექტების ჩვენება ამ მხრივ ნაირგვარია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დასავლური დიალექტები, მათ შორის, იმერული, ყველაზე მეტად დაშორ-

და ისტორიულ ვითარებას იმით, რომ  $S_2O_3$  პირის ნიშანთა სრული გაქრობის ტენდენცია გამოიკვეთა.

რა სურათს გვიჩვენებს აკაკი წერეთლის შემოქმედება ამ თვალსაზრისით?

იგი გამოკვეთილად უარყოფს აღნიშნულ „დასავლურ“ ტენდენციას და კლასიკური მწიგნობრობის ენობრივი ტრადიციის შენარჩუნებას ცდილობს, ანუ მწერალი საკუთარ ენობრივ ინტუიციას კი არ არის მინდობილი, არამედ ანალიტიკურად ეეიდება ამ ურთულეს საკითხს და არჩევანს შეგნებულად აკეთებს. ეს პოზიცია გულისხმობს  $S_2O_3$  პირის ნიშანთა სრულად წარმოჩენას ყველა შესაძლებელ პოზიციაში. როგორც ცნობილია, ასეთი ტენდენცია იმ დროისათვის მეორე უკიდურესობას (პირის ნიშანთა ზედმეტად გამოყენებას) განაპირობებდა, რაც აკაკი წერეთლისთვისაც არის დამახასიათებელი; მაგრამ აკაკი ბევრად უფრო თანამიმდევრულია ამ საკითხში.

ვაჩვენოთ ეს ტიპობრივი მაგალითებით:

1. აკაკი წერეთელი ცდილობს დაიცვას  $S_2$  პირის ნიშნის ის პოზიციები, რომლებიც მას ამ დროისათვის უკვე საფუძვლიანად აქვს შერყეული:

**სცდები!** შენ რომ **ჭფიქრობ**, მე იმ განზრახვით არ მოვსულვარ!

შენ შენი სახლ-კარის გადაწვა გამწარებს და აღარავის **ჭო-**

**გავ!**

ნურავის **დაპზოგავთ!**

მე ისა ვარ, ვისაც შენ იგლოვ და **სტირი**.

გიყურე, საცოდავ ჩემს დას რომ **ჭგლოვობდი**.

2. მწერალი იყენებს  $O_3$  პირის ნიშანს ყველა საჭირო შემთხვევაში:

ა) სამპირიან ზმნებთან, რომელთა ირიბი ობიექტი სავალდებულოა:

მოურავი დიდი გულმოდგინებით **შეჭყვიროდა** ხან ერთსა და ხან მეორეს.

იმას აღარას **ჭკითხავთ?**

გამარჯვებულმა ცალი ფეხი **დაჭკრა** ფაშვზე.

**შეჭკვნესოდა** მთვარეს და **შესჩიოდა** ვარსკვლავებს.

სამშობლოს დატოვება გულსა **სწვევტდა**.

ხალხი... ზარდაცემული **შეჭყურდებდა**.

ღმერთმა... **ნუ მოჭკითხოს** მამა-პაპის ცოდვა ჩვენს ბატონ მეფეს!

„თეიმურაზ-ხან“, — **სწერდა** მაჰ-აბაზ პირველი...

...  
...აქ იგრძნო თავისი კოჭლობა, როცა ამ პატარა „ქვეყნის ქვაკუთხედს“ **წამოჭკრა** ფეხი.

...  
...თითქოს **შესჩივის**... მის გარეშემოს!

როგორც ქვეყნის ორგულს, თვალეზი **დასთხარეს**.

**მოჭკიდა** შველს ნაყარ რქებში ხელი.

**ჩაჭკიდა** ხელი აბდუშაპილს პირიმზისამ.

ღმერთს მადლობას **სწირავდნენ**.

ხუთას-ხუთას [მეომარს] ერთისთავებიც **ჰპირდებიან**.

ბ) ხმიანობის გამოხატველ ისეთ ზმნებში, რომლებიც წარმომავლობით სამვალენტია, მაგრამ ამჟამად ერთ ან ორ პირს გვიჩვენებენ:

შველმა პირდაპირ ქალისკენ მიმართა, **შესწივლა** ორჯელ-სამჯელ...

გაოცებულმა მელანომ **შეჰკივლა**.

ბ) ორპირიან გარდაუვალ ან მათთან გათანაბრებულ ზმნებში:

ვაყს კიდევ ორი ქალი თან **მოჰყვა** ტყუბად.

მაინც ვერ **ასცდებიან** განგებასო.

...რომ საზღვარს არ **გადასცილდეს**.

ერთი გულში უხიციანებდა, მეორე-კი გულზე **ჰკებნდა**.

კუჭმა გულს **სძლია**, სულმა ხორცს დაუთმო.

— სტვირის გუდას თუ **ჰბერავს**?!  
ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირი ობიექტიც იყოს

გამოხატული („ბერავს“ შინაარსი) და შეიძლება — ირიბიც („უბერავს“ შინა-არსი). ჩვენ მეორე შესაძლებლობას ვემხრობით.

აკაკი წერეთელი სრულიად მართებულად იყენებს „მოყოლა“ ზმნის ფორმებს და მის სინტაქსურ კონსტრუქციას:

— დიახ, ჩემო ბატონო, — სთქვა კირილემ და **მოჰყვა**

თავიდან სიზმარს...

ასევე ყოველთვის მართებულად არის წარმოდგენილი ინვერსიული **ჰყავს, მოჰყავს, გამოჰყავს**... ზმნები:

ხუთასი მეორმარი თვითონ **გამოჰყავს** სულ დარჩეულები...

დ) მესამე სერიის ორპირიან გარდაუვალ ფორმებში: უნდა ითქვას, რომ ამ რთულ უბანზე აკაკი წერეთელი ბევრად უფრო თანამიმდევრულია, ვიდრე მთელი შემდგომი დროის მწერლები და გრამატიკოსებიც კი:

იქვე ცაცხვს რომ არ **მიჰყუდებოდა**, წაიქცეოდა.

**დასჩერებოდა** სახეზე და ფიქრობდა გუნებაში.

დიდხანს ხელებაპრყობილი **შესჩერებოდა** უხმოდ ღვთისმშობელს.

ურჩევდა, რომ ასე გულფიცხად არ **მოჰკიდებოდა**.

დღესაც შეურყეველი იქნებოდა მათი სამეფო, თუ რომ

ღმერთი, ქრისტედ მოვლენილი, ეცნოთ ძედ ღვთისად და არ

**გასდგომოდნენ!**

შევიტყვე, რომ პაპაშენის კვალს **შესდგომიხარ**.

— ალავერდის მონასტერს, დიდება მის ძლიერებას, უწმინდური **დაჰბატრონებოდა!**

ერთი ყმაწვილი კაცი **მისჯდომოდა** ბუხარს...

რომ ერთ დღეს არ **გამოსცნადებოდა** სვიმონ მაყაშვილი და

არ **შეჰპირებოდა**...

იმდენს ეცდებოდა, რომ **გასცნობოდა** და **დაჰმეგობრებოდა**.

ტერტერას ქვრივს ერთი სიტყვაც მათი ნალაპარაკევი არ

**გამოჰპარვია**.

თითქმის არავინ **ჰკლებია**.

ამ თქვენ ჭადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები **გასცენია?**

ეტყობოდა კიდევ, რომ კარგი წინაპარი უნდა **ჰყოლოდათ**.

გამონაკლისი იშვიათია: ერისთავები ერთმანეთს **შეჩერებოდნენ**. ...**გამოდგომოდნენ** იმ უკულმართებს...

3. მწერალი პირის ნიშნებს იყენებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც XIX-XX საუკუნეთა ენობრივი ტენდენციით ისინი აღარ არის მოსალოდნელი და შემდგომ დადგენილი ნორმებითაც აკრძალული აღმოჩნდა. ამ ტიპის მაგალითები უფრო ცხადად წარმოაჩენს იმას, რომ აკაკი წერეთელი სალიტერატურო ენის გააზრებული კონცეფციით მოქმედებს და არა უშუალო ენობრივი გამოცდილებით.

ა) ირიბობიექტური **O<sub>3</sub>** მოსალოდნელია, მაგრამ ის ენაში პოზიციურად (ნაპრალოვანი და სონორი ბგერების შემდგომ) უნდა იყოს დაკარგული. მწერალი უმეტესად ინარჩუნებს მას:

ალაზნის შხუილი... თითქოს შესჩივის და **შეჰხენეშის** მის გარეშემოს!..

ხალხი გარს **შემოჰხვეოდა** და ზარდაცემული შეჰყურებდა.

— დიახ, გველეშაპი **შემოჰხვეოდა** გარს.

სიფრთხილზე **ჰმართებს** ყენს, რომ საზღვარს არ გადასცილდეს.

ერთი კიდევ **დაჰხნდა** დარცხვენით, ჩააგო ხმალი და **გაჰშორდა**

ქალმა მანდილს ყური **მოჰხნია** და დაუცვა ჭრილობა.

თვითონ ოროლ თვეობით თვალთ ვერა **ჰხნდავდა**.

ზეცას **შეჰხნდა**, თითქო გამარჯვება გამოსთხოვაო.

განთქმული ფალავნები ერთმანეს არა **ჰზოგავდნენ** გვარტომობის გაუთრჩევლად, მაგრამ მაინც ხშირად გამარჯვება ამ უკანასკნელებს ჰრჩებოდათ.

...თავზე **დაჰხნებინ** ვისმე.

ხანი გამოვიდა ამალით და **მიჰმართა** საჭიდაოს.

მაგრამ აბაშიძის მეშურნეობამ **დაჰრია** ხელი.

ეს პატარა კახეთიც ხომ ნაწილია იმ დიდი საქართველოსი, რომელიც წილად **ჰხვდა** ღვთისმშობელს.

ერთადერთი სამწუხარო მისი ის იყო, რომ შვილი არა

**ჰრჩებოდა**.

ნიშანდობლივია, რომ ამ პოზიციებში მწერალს ზოგჯერ გამოორჩება ხოლმე პირის ნიშნის დასმა:

რომ მივიდა, მონასტერი გადამწვარი **დახვდა**.

მოვიდა, **გადახვია** ხელი, წამოიყვანა და მოისვა გვერდით.

ერთი ყმაწვილი კაცი მისჯდომოდა ბუხარს და ნაკვერცხლებს

**დაშტერებოდა**.

ამ თქვენ ჭადარს რა **დამართნია** ეს, რომ ფოთლები გასცენია?

ბ) **O<sub>3</sub>** ჭარბია, რადგან ის შეესაბამება პირდაპირ ობიექტს:

კუდიტ ირეკდა მეომრებს, ტოტსა სცემდა, ბრჭყალებით

**ჰგლეჯდა** და კბილებით **სწიწკნიდა**.

— წმინდა არს, წმინდა არს! — **სთქვა** ერთისთავმა და პირვეარი გამოისახა.

ააპყრო ხელები და სასოებით **წარმოსთქვა...**

— მთაში დამზადებულ ხორებს დაშლიდა ნიაღვარი და **ჩამოჰყრიდა** წყალში.

აქ რომ ჩაჰყო თავი წყალში, ე, იქ **ამოჰყო**.

— თქვენ შეგიძლიათ თქვენი თავი **გასწიროთ**, მაგრამ...

ახლაც უთუოდ ზამთრის შესაფერსა **სწერს** რასმე...

მეორე შვილმა, გაურჯულოებულმა კონსტანტინემ, **მოჰკლა**.

მისგან რჩეული ხალხი ღმერთმა არ **ჩაჰყარა** ეგვიპტის ტყვეობაში.

მძვინვარე შაჰიმ, რაც **გასწყვიტა**, **გასწყვიტა** და, რაც არა, ათასობით და ათიათასობით სპარსეთში გადაასახლა!

იქ, სადაც ლომის ტოტი ველარას **სთესავს**, მელიის კულმა უნდა მოიმკოს!

ასე გადაწყვიტა ძლიერმა და კიდევ **შესცვალა** თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა.

ხან წალმა ჰხნავს და ხან უკულმა **ჰფარცხავს!**

მისის წყალობით, ავად თუ კარგად, ქვეყანა პურსა **სკამს**.

ხშირად ადრე მოფრენილ მერცხალს სუსხი სცემს და სიცივე **ჰკლავს**.

იქ ყველაფერი თვალს იტაცებს, გრძნობა-გონებას **ჰხიბლავს...**

თვალი სინათლესა **ჰკარგავდა**.

გალავნის გარეთაც ველარ **ჰბედავდნენ** ფეხის გადადგმას.

ქართველებს უფრო **სდევნიდნენ**.

ახლა კი, თავშეკავებულები, **ჰბერავდნენ** ცხვირის ნესტოებს.

მხედარმა გამოატრიალა ცხენი და უკანვე **გაჰქუსლა**.

მთელი სამეფო **შესძრა**.

მაგრამ მალე **გაჰკმინდა** ხმა.

გაიჭრიჭინა კარმა, **შემოჰყო** თავი ტერტერას ქვრივმა.

და სხვებს უწყალოდ გამძვინვარებული მტრები **ჰკეპავდნენ**.

უცაბედად რომ **გასჭრას**, მერე რაღა ვქნათ?

იმ დღესვე **გასჭრა** საფლავი წყაროსთან.

ორად **გაჰყო** შეერთებული ჯარი... მრავალ გუნდებად **დაჰყო**.

ჯავრობდა და პირიდან ცეცხლს **ჰყრიდა**.

**დასწერა** პასუხი და... გამოუგზავნა ქართლის მეფეს.

ვახტანგმა მთელი ქართლისა და კახეთის დიდებულები **შეჰყარა** სალხინო-სადარბაზოდ.

ბაჩუკაშვილობას სწუნობენ და ბაქრაძეობაზე **სდებენ** თავს.

აქაც დასტურდება „გამონაკლისები“, ანუ — რეალური ენობრივი ვითარების გავლენა:

სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და **შებდალა**.

მთაში დამზადებულ ხორებს **დაშლიდა** ნიაღვარი...

გ) აღნიშნული პირის ნიშანი არცთუ იშვიათად ჩანს ერთპირიან ზმნებთან, რაც სრულიად უადგილოა:

„ადგილის კურდღელს ადგილისავე მწვეარი თუ დაიჭერს“...—

**ჭვიქობდა** ფეიქარ-ხანი...

ტყუილად არ **სჩიოდა** ძველად სამღვდლოება...

„არიქა... უშველეთ!“ — **ჰევიროდა** ერისთავი.

...ქალები ნესტან-თინათინობას **სცდილობდნენ**... მოახლე-გამდლები კი ასმათობას **სჩემობდნენ**.

...მაგრამ მეფისაგან კი მიკვირს, რომ **სტყუვდება**.

სისხლ-ხორცობა აღარასა **ჰნიშნავდა**...

მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში მართლა **შესწყდა** თარეშობა.

მეგობრები **სწუხდნენ**, არეულად რომ ხედავდნენ.

**გაჰქრა**, წავიდა! ჩამიარა ოცნებაში!

„ალბათ მეთვალყურენი **შესცდნენ**, მაგრამ რა ხუმრობაა?“

შესაძლებელია ზოგჯერ პირის ნიშნის მაპროვოცირებელი იყოს პოტენციური „პირდაპირი ობიექტი“:

[მარიამს] მუხლებზე გადაეშალა დავითნი და „ჭირის კანონს“

**ჰკითხულობდა**.

არაოდეს ეს არ უგრძნია, რასაც ახლა **ჰგრძნობდა**.

თითქო **სცდილობდა**, რომ გულბოყვი გაედიდებია...

„გამონაკლისები“, ანუ მართებული ფორმები, ამ შემთხვევაში უფრო მეტად იჩენს თავს (ვიდრე — ორპირიანებში):

მაგრამ მცურავები შემოინდნენ, ვეღარ **შებედეს** წყალში.

„ყენის თავის მზეს“ **ფიცულობდნენ**.

თითქმის აღარ **ჩანდა** ცხენზე.

მარტო აბღუშაპილი არ **ფიქრობდა** ბაში-აჩკუზე.

პირშექცეული კედლისაკენ ეგდო უძრავად და **ხვრინავდა**.

ფვიქრობთ, ერთი კონკრეტული საკითხის შედარებით დეტალურმა ანალიზმა წარმოაჩინა ის, რაც თავშივე ითქვა: აკაკი წერეთელს შეგნებულ, გააზრებულ, კონცეპტუალური დამოკიდებულება აქვს სალიტერატურო ენის ნორმატიულ ასპექტებთან და საკმაოდ თანამიმდევრულად იცავს მიღებულ პრინციპებს. თუ რამ არათანამიმდევრულობა მაინც იჩენს თავს მის ნაწერებში ამ თვალსაზრისით, ეს უფრო საერთო ენობრივ ვითარებას, ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების (უფრო — „დუღილის“ დაწყების) რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესს უნდა მიეწეროს, რასაც ვერც ერთმა კლასიკოსმა ვერ დააღწია თავი.

თქმულის განსამტკიცებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ კიდევ რამდენიმე ენობრივი ნორმა, რომელსაც აკაკი წერეთელი მიზანმიმართულად, გააზრებულად იცავს; მაგალითად:

1. მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენების დროს შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მსაზღვრელი ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი როგორც მიცემითში, ისე ნათესაობითში:

ზედაც დავამატებ იმ ჩემ უცნაურ სიყვარულს.  
 უარს შევუთვლი იმ ჩემ სიძეს.  
 იმ დღიდან დაუტკბა მისგან აოხრებულ ქვეყანას.  
 პირდაპირაც თავში დაუწყეს ცემა დაუძლურებულ ქვეყანას.  
 მისთანა წამალს დავაყრი ხოლმე ჩემ საჭმელს.  
 ფეიქარ-ხანის ცხენოსან ჯარის მეუფროსობა ეშოვნა.  
 ცერებზე დგებოდა ყოველ ბიჯის გადადგმაზე.  
 გაბრუნდა ისევ თავის კარვისაკენ.  
 შერისხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისაკენ.  
 იმის გამირობის ხმა იმერეთამდისაც უწევდა.

ამავე დროს, უჩვეულო არ არის მსაზღვრელი მიცემითის ნიშნით, განსაკუთრებით კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენების დროს:

გიყურე, საცოდავ ჩემს დას რომ ჰგლოვობდი.  
 — მაშ, თვით თქვენს ქრისტეს!  
 შენ შეგიძლია, რომ ჩვენს ქრისტიანობას დიდი სამსახური გაუწიო.  
 სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს.  
 ისეთს ჯადოს მოგცემ, რომ ვერც ტყვია მოგეკაროს და ვერც რკინეულმა გაგჭრას.

ხელიხელჩაკიდებული შევიდნენ უდაბურს ტყეში.

საზღვრულის მოქმედებით ბრუნვასთან მსაზღვრელი, ჩვეულებისამებრ, ნათესაობითის ფორმით გვხვდება:

შემოსძახა მალალის ხმით...  
 საუბარი გააბეს დაბალის ხმით.  
 მელანომ შენიშნა და ცბიერის ღიმილით უთხრა...  
 მისის წყალობით, ავად თუ კარგად, ქვეყანა პურსა სჭამს.  
 ხალხმაც დაიგრილა და ყოველის მხრით მოაწყდა...  
 მაგრამ გამონაკლისის სახით გვხვდება სახელობითი მსაზღვრელი:  
 მოურავი დიდი გულმოდგინებით შეჰყვიროდა ხან ერთსა და ხან მეორეს.  
 მეც ნაბრძანები მაქვს, ჩემი ცხენოსნებით შემოვერტყა გარს შენს სახლსა...

და — ფუძის სახით, როცა მსაზღვრელი თანდებულისანი მოქმედებითია:  
 თვალმიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი...  
 ჩვენი ძმური კავშირი უძველეს დროიდან დღემდე მტკიცედ შენახულა.  
 მთელი ქვეყნის ხალხი უხსოვარ დროიდან გარს გვეხვევა მტრად ამ ერთ მუჭა ხალხს...

2. S<sub>3</sub> მრავლობითის ნიშანი რეგულარულად არის **-ნენ** უწყვეტელსა და ღონიანი ვნებითის წყვეტილში (ანუ ღონის შემდგომ პოზიციაში!); ხოლო **-ენ** — დანარჩენ წყვეტილში; შდრ.:

წაუძღვენ წინ მეომრები. მიუახლოვდნენ მძინარს.

— ამინ! — გაიმეორეს ერისთავებმა და ემთხვეინ ისინიც...  
 მერე დასხდნენ და შეუდგენ თათბირს.  
 უკმაყოფილოდ წამოდგენ ზეზე...  
 დარჩენ მარტო ორნი.  
 მზის გადახრამდე შეექცენ და მერე გაუდგენ გზას.  
 გავარდნილები ბაში-აჩუკის თაოსნობით დაესხენ თავზე  
 თათრებს... იმავე დროს ბახტრიონს შემოერთყენ არაგველები.  
 აღმოსავლეთისაკენ გზას ადგენ და სპარსეთისაკენ მიდიოდნენ.  
 შემოუსხდნენ სხვებიც გარს [სუფრას].

3. **-ებინა** დაბოლოების მიხედვით მწერალი აშკარად მიჯნავს ერთმანეთისაგან შუალობითი კონტაქტის ფორმებსა და II თურმეობითს: პირველ შემთხვევაში სრულად ტოვებს მას, ხოლო მეორეს **-ებია** ვარიანტს განუკუთვნებს. შდრ.:

მე ჯერ სალამი არ გამეთავებია და ის ღალატით მომვარდაო.  
 მაგ ამბავს უფრო აღრეც მოვიტანდი, რომ წყალიდობას არ  
 შევეჩერებო.  
 ბრძანა, რომ ჯანდიერისათვის შეეტყობინებიათ.  
 რა უნდა ექნა და რა უნდა ეცნობებია ყენისათვის.  
 თითქო სცდილობდა, რომ გულბოყვი გაედიდებია.  
 თათრის ჯარს... იარაღი დააყრვეინეს და აბღუშაჰილიც  
 ტყვედ წაიყვანესო.  
 თუ მტყუანი გამოვდგე, თავი გამაგდებინეთ.  
 მარტო რომ სადმე შევეყოდი და სამაგიერო გადამეხდევინებინა,  
 ის იქნებდა კარგი.

შდრ.: დაიბარა, რომ... თორმეტივე ერთად გამოემგზავრებინათ.

4. მწერალმა მართებულად გადაწყვიტა შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილის რიცხვის საკითხი (მხოლოდითი):

ჯერ შუა ჭამამდე არ იყვნენ მისული.  
 ისინიც აქ არიან თავშეფარებული.  
 ისინი ხომ აქეთ-იქით არიან დაფანტული.

5. მაღალი წიგნიერი კულტურის შედეგია ის, რომ მწერალი ძირითადად მართებულად იყენებს სუბლექტურ ფუძეებს, რომელთა მოშლის ტენდენცია უნიფიკაციის შედეგად დიალექტურ ქვესისტემებში ამ დროისათვის საკმაოდ შორსწასული მოვლენა უნდა იყოს:

მერე დასხდნენ და შეუდგენ თათბირს.  
 საქრისტიანო უნდა იმხობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ  
 გულხელდაკრეფილი?  
 შემოუსხდნენ სხვებიც გარს [სუფრას].

გამონაკლისი:

სამივე ერთად იჯდნენ სასტუმრო ოთახში ტახტზე ფეხმორთებით...

6. **მისი — თავისი** ნაცვალსახელების გამოყენება ძირითადად ნორმატიულია, თუმცა იშვიათად გვხვდება სამეტყველო „ნორმაც“:

[ფეიქარ-ხანი] სპარსეთისკენ მიეშურებოდა მისი ორიოდ მხლებლით.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით ნაცვალსახელების (მით უფრო, ნაწილაკდართულთა) გამოყენების დროს შეიმჩნევა ფორმათა ნაირგვარობა; მაგალითად, გვხვდება: „ვისმე“ — „ვისმეს“; „რაღაცას“ — „რაღასაც“... რეგულარულია „მაგრე“ (გვხვდება „აგრე“-ც).

ერთმანეთს ენაცვლება „რამდენიმე“ და „რამოდენიმე“.

ცნობილია, რომ აკაკი შეგნებულად ანიჭებდა უპირატესობას „ყოველი-ფერი“ ნაცვალსახელს, ამიტომაც, ცხადია, მას გამოიყენებს. მაგრამ დასტურდება „ყველაფერი“ ფორმაც:

უამბო ყველაფერი, მაგრამ ვაჟი მაინც იჭვნეულად აქნევდა თავს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკაკიმ არსებითად სწორად გამიჯნა ერთმანეთისაგან ლექსიკური და გრამატიკული „პროვინციალიზმების“ მნიშვნელობა სალიტერატურო ენისათვის (თუმცა იმდროინდელი ცნებითი აპარატი ნაკლებად იძლევა ამის გამოხატვის შესაძლებლობას); კერძოდ, ალბათ ასე უნდა წავიკითხოთ მწერლის გამონათქვამები „პროვინციალიზმების“ შესახებ:

„ჩვენ საზოგადოდ პროვინციალიზმის წინააღმდეგი არ ვართ!.. სხვადასხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მითი ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა; აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დედა-ენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბაძვია საყოველთაოდ... მაგრამ ის, რაც დედა ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში, გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდი კი არა, პირიქით, გამოსადევნია!“

„დედა ენის კანონის თანახმად აღმოცენებულ“ სიტყვებში უთუოდ მართებული და ფუნქციონალურად გამართლებული, დამდგარი სიტყვაწარმოებანი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო „გადამახინჯებულში“ — გრამატიკული ფორმაწარმოების დიალექტური ფორმები.

როგორც ჩანს, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს მწერალი, როდესაც, გრამატიკულისაგან განსხვავებით, თითქმის არ იზღუდება ახალ სიტყვაწარმოებათა თუ ლექსიკური დიალექტიზმების გამოყენებისაგან. ოღონდაც არა ჩანს, რომ ამ თვალსაზრისითაც იგი პერსონაჟთა გარემოს, კუთხურ რეალებს უწევდეს ანგარიშს. მაგალითად, თუ „ვეფო“ „ბაში-აჩუკში“ მაინცდამაინც ზაალისთვის არის დამახასიათებელი, სამაგიეროდ, იმავე გარემოში დასტურდება იმერული რეგიონისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ვარიანტები:

— დაუჯინია, უნდა შევლესოთო!

გაწუნწულა კი ძალიან...

თავის სიმართლის დასამტკიცებლად მელანომ ჯინჯვალი

დაუწყო მძინარეს.

ერთხელ-კი წაიჭუჭყუნა მძინარმა და ამოუშვა ისევ ზვრინი.

სხვიმის მხოლოდ ხორცი ჰგრძნობდა, ახლა-კი დადუნებულია.

— ბატონს იმისთანა ბედაური გამოალალა მის გახრეკილ

ბახში და მე ზედაც აღარ შემომხედაო.

მწერალი ამ შემთხვევაში არ ერიდება ისეთი ოკაზიური დერივატების წარმოქმნასაც კი, როგორცაა, მაგალითად, „ეტკბილდასტურება“:

ზამთრის პირი მოახლოვდა, მაგრამ მაინც გაზაფხულის დღე-ები იდგა, თითქოს ქვეყნის დამშვიდებულ გულს ტაროსიც კი ეტკბილდასტურებო.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ვ ა ს კ ვ ნ ა თ :

1. აკაკი წერეთელს საკმაოდ ჩამოყალიბებული კონცეპტუალური პოზიცია აქვს ახალი ქართული სალიტერატურო ენის დადგენის ამოცანებთან დაკავშირებით;

2. შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტის დროს მწერალი არ ემყარება მხოლოდ საკუთარ ენობრივ გამოცდილებას, ყრმობისდროინდელ ენობრივ ჩვევებს, არამედ იგი ხელმძღვანელობს სალიტერატურო ენის ისტორიის ღრმად გააზრებული ცოდნით;

3. მწერალი პრინციპულად მიჯნავს ლექსიკურ და გრამატიკულ დიალექტიზმებს და თუ პირველთ ასპარეზს არ უზღუდავს, მეორეთ ხმალამოდებით ებრძვის;

4. დიდი კლასიკოსი პრინციპულად ამბობს უარს გრამატიკულ დიალექტიზმებზე ეთნოგრაფიული რეალიებისა და პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტების შექმნის დროს;

5. რამდენიმე გრამატიკულ საკითხზე დაკვირვება ადასტურებს, რომ მწერალს გააზრებული და თანამიმდევრული პოზიცია უკავია გარკვეული ნორმატიული პრობლემების მიმართ; მაგალითად, ასეთებია:

- S<sub>2</sub>O<sub>3</sub> პირის ნიშანთა გამოყენება;
- მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება;
- S<sub>3</sub> მრავლობითის ნიშნის გამოყენება;
- კონტაქტის ფორმების წარმოება;
- სუბლექტურ ფუძეთა მონაცვლეობა;
- „მისი“ — „თავისი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციური

გამიჯვნა და სხვ.

6. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აკაკი წერეთელს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში.

### ლიტერატურა

- არაბული 2004** — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.
- თოფურია 1944** — ვ. თოფურია, აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა. — ლიტერატურული ძიებანი, II, თბილისი.
- ნორმები, 1970** — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი.
- რობაქიძე, 1990** — გრ. რობაქიძე, აკაკი. — აკაკის კრებული, თბილისი.

**შანიძე, 1981** — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში. — თხზულებანი, ტ. II, თბილისი.

#### AVTANDIL ARABULI

### **Towards Akaki Tsereteli's Merit in Formulating the Georgian Literary Language**

#### Summary

1. Ilia Chavchavadze's genius idea - to formulate new Georgian literary language was followed by two supporters - Akaki Tsereteli and Iakob (Jacob) Gogebashvili. It is noteworthy, that in solving this great national task, one of them was a representative of Ameri (eastern Georgia) with his own language experience and the other - Imeri (Imeretia, western Georgia).

2. Akaki Tsereteli contributed especially to formulate a new literary language, as he had formulated position in establishing the new language norms.

3. During the solving a creative task the writer did not base only his own language experience, language habits of his youth, but he guided with deeply comprehended knowledge.

4. The writer principally delimits lexical and grammatical dialectisms. He does not limit the field to the first, but he fights with the second.

5. In his own belles-lettres he consciously refuses grammatical dialectisms during creating the ethnographic realies and characters' language portraits.

6. Observation on grammatical data confirms, that the writer has conceptualized and has consecutive position towards the certain normative issues, e. g. spelling of personal markers, declension of a determinandum and determinatum, using of suppletive stems and others.

ნოღარ არღოტალი

საბრუნებელი სახელის ფუძე და ბრუნების ტიპები  
გაგაულის ენაში\*

ბაგვალურში ისევე, როგორც მის ახლომონათესავე ენებში, გამოიყოფა საბრუნებელი სახელის ფუძის ოთხი სახეობა: ა) მარტივი (*resp.* არამარკირებული) ფუძე,<sup>1</sup> რომელიც ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი და გრამატიკული გამოხატულებით ძირითადად მხოლოდბითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის (*resp.* აბსოლუტივის) ფორმას ეთანაბრება;<sup>2</sup> ბ) მხოლოდბითი რიცხვის რთული („ირიბი“) ფუძე; გ) მრავლობითი რიცხვის მარტივი ფუძე, რომელიც სახელობითის ფორმას უდრის; დ) მრავლობითი რიცხვის რთული („ირიბი“) ფუძე, რომელიც მეტწილად სტანდარტიზებულია.

(1) მხოლოდბითი რიცხვის მარტივი ფუძის აუსლაუტი იშვიათად მორფონოლოგიურ საფუძველზე ტრანსფორმირებულია, რაც იწვევს სახელობითი ფორმისა და მარტივი ფუძის სხვადასხვაობას. ფუძეთა ტიპების პროცენტული მაჩვენებლები განსხვავებულია — ორმარცვლიან ფუძეთა რაოდენობა ერთმარცვლიანს სჭარბობს, ხოლო სამმარცვლიანთა რიცხვი ყველაზე მცირეა [იხ. კიბრიკი... 2001: 129].

სიმპტომატურია, რომ მხოლოდბით რიცხვში ფუძეთა წარმოებისას სახელობითის ფორმა, როგორც კლასიმიმართ აქტანტთა გამომხატველი მორფონოლოგიური ოდენობა, მეორე (რთულ) ფუძეთა საწარმოებლად გამოიყენება, მაგ.: სახ. **მილჰ** „მზე“ — ფუძ. **მილჰ-ი-**, ახ „ვერცხლი“ — ფუძ. **ახ-ი-**...

ამ ტიპის მაგალითები ცხადყოფენ, რომ სახელობითი (აბსოლუტივი) რთულ („ირიბი“) ფუძეს აყალიბებს და „ირიბ“ ბრუნვათა საწარმოებელი ფუძის როლში აღარ გვევლინება.<sup>3</sup>

\* წინამდებარე წერილის ერთი ნაწილი („საბრუნებელი სახელის ფუძე ბაგვალურ ენაში“) წაკითხულ იქნა მოხსენების სახით, იხ. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. XXI. მასალები. თბ., 2010, გვ. 11-13.

<sup>1</sup> ამგვარ ფუძე-ფორმას ამოსავალ ფუძესაც უწოდებენ, რაც ზედმიწევნით ზუსტი არ ჩანს, ვინაიდან არაიშვიათად არქტივებს სწორედ ირიბ ბრუნვათა ფუძეები ინახავენ.

<sup>2</sup> შეინიშნება ამ წესიდან გადახრებიც, მაგრამ ამგვარი ცვლილებები მეტწილად მორფონოლოგიური ხასიათისაა [გუდავა 1971: 77-78; კიბრიკი... 2001: 128-129].

<sup>3</sup> სახელობითის მზამზარეული ფორმის კვალიფიკაცია „ირიბ“ ბრუნვათა ფუძედ შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუკი მეორე ფუძის -V სტრუქტურის მარკერებს ბრუნვის ნიშანთა კუთვნილებად მივიჩნევდით [იხ. თოფურია 1987: 193].

(2) მეორე („ირიბი“) ფუძე შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც კლას-მიმართ აქტანტთა ბრუნვების (სახ., ერგ., მიც., აფექტ.), ისე კლასმიუმართავ აქტანტთა ბრუნვის (ნათ.) საწარმოებლად. **მეორე** ფუძე შეიძლება წარმოდგენილი იყოს:

ა) ნულოვანი მორფემით {-**Ø**}, როცა სახელობითი და მეორე ფუძე ფორმობრივად ერთმანეთს ემთხვევიან;

ბ) {-**V**} სტრუქტურის მარკერით, რომლის დართვა ფონოლოგიურად შეპირობებული არ არის და აუსლაუტური ხმოვნის აპოკოპეს ახდენს [გუდავა 1971: 67].

მეორე ფუძის ამ ტიპში იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვანი აყალიბებს ფუძეს, გამოიყოფა ხუთი ქვეტიპი: (1) {-**ი**} ნიშნიანი, (2) {-**უ**} ნიშნიანი, (3) {-**ო**} ნიშნიანი, (4) {-**ა**} ნიშნიანი, (5) {-**ე**} ნიშნიანი;

გ) {-**CV**} სტრუქტურის ფორმანტებით, რომელთა დართვა ფუძის დერივაციისას სემანტიკურად მოტივირებულია. კერძოდ, {-**შაუ**} დაერთვის I გრამატიკული კლასის სახელებს, გარდა **ჭასა** („ძმა“) და მამაკაცთა საკუთარი სახელებისა. ასევე, {-**ლი**} გვევლინება II კლასის ყველა (გარდა **დასა** „და“ და ქალთა საკუთარი სახელებისა) და III კლასის სახელთა ერთი ჯგუფისათვის. სპორადულად დაჩნდება {-**და**}, {-**ლა**} ელემენტები, რომლებიც ფუძეს შეხორცებული ოდინდელი ფორმანტები ჩანან, მაგ.: სახ. რაჟ „ნიორი“ — ნათ. რაჟ-**და**-ლ<sup>ა</sup> (შდრ. ხუნძ. რაჟი-დუ-ლ "id."), სახ. მუჩუ „ქარი“ — ნათ. მუჩუ-**ლა**-ლ<sup>ა</sup> II მუჩუ-უ-ლ<sup>ა</sup> და მისთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხოლოდობითი რიცხვის მეორე („ირიბი“) ფუძის წარმოება სქემატურად ასე წარმოგვიდგება:

ტაბულა 1. არსებით სახელთა II ფუძის წარმოება მხოლოდობით რიცხვში

ბრუნების ტიპები	II ფუძის ფორმანტები	სახელობითი SG	II ფუძე	ეჭ ატივი	მრცემითი	წაფსაობითი	აფექტივი	
ა. ერთფუძიანი	I ტიპი	რაქუა-ღული <sup>1</sup>	რაქუა-ღ-1	რაქუარ	რაქუა-ღა	რაქუა-ღს	რაქუა-ღა	
		კათუ-კახენი <sup>1</sup>	კათუ-ღ-	კათურ	კათუ-ღა	კათუ-ღს	კათუ-ღა	
ბ. ორფუძიანი	II ტიპი	ჯიჩი-წიგნი <sup>1</sup>	ჯიჩი-	ჯიჩორ	ჯიჩი-ღა	ჯიჩი-ღს	ჯიჩი-ღა	
		ქუა-კმ <sup>1</sup>	ქუა-ღ-	ქუარ	ქუა-ღა	ქუა-ღს	ქუა-ღა	
		ქეოჩი-თაფე <sup>1</sup>	ქეოჩი-ღ-	ქეოჩორ	ქეოჩი-ღა	ქეოჩი-ღს	ქეოჩი-ღა	
		ქარანის-ობობა <sup>1</sup>	ქარანის-ღ-	ქარანისორ	ქარანისი-ღა	ქარანისი-ღს	ქარანისი-ღა	
		ჩიბა-კუკა <sup>1</sup>	ჩიბა-ღ-	ჩიბორ	ჩიბი-ღა	ჩიბი-ღს	ჩიბი-ღა	
	III ტიპი	ქუა-კმ <sup>1</sup>	ქუა-ღ-ი	ქუა-ღ-ი-ღ-ღ	ქუა-ღ-ი-ღ-ღორ	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	ქუა-ღ-ი-ღ-ღს	ქუა-ღ-ი-ღ-ღა
		ქუა-ღ-ი	ქუა-ღ-ი-ღ-ღ	ქუა-ღ-ი-ღ-ღორ	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	ქუა-ღ-ი-ღ-ღს	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	
		ქუა-ღ-ი	ქუა-ღ-ი-ღ-ღ	ქუა-ღ-ი-ღ-ღორ	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	ქუა-ღ-ი-ღ-ღს	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	
		ქუა-ღ-ი	ქუა-ღ-ი-ღ-ღ	ქუა-ღ-ი-ღ-ღორ	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	ქუა-ღ-ი-ღ-ღს	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	
		ქუა-ღ-ი	ქუა-ღ-ი-ღ-ღ	ქუა-ღ-ი-ღ-ღორ	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	ქუა-ღ-ი-ღ-ღს	ქუა-ღ-ი-ღ-ღა	

<sup>1</sup> ამ გრაფაში მოქცეული ფორმები სხვა ფორმებთან შეპირისპირებით პირობითად მიიჩნევა II ფუძედ და ნულოვანი მორფემაც პირობითად მიეწერება, რადგან ასეთი სახელები შეიძლება იმთავითვე ერთფუძიანი ბრუნების ტიპს მისდევდნენ.

გარდა ზემომოყვანილი ტიპებისა, მეორე ფუძის წარმოებისას გადახრებიც შეინიშნება:

ა) ფუძე მოდიფიცირებულია: **წიფუ** „სტუმარი“ — II ფ. **წიერ-ფ-**, **კორთუ** „ჩოჩორი“ — II ფ. **კორთ-ო-**, **ბევენ** „ნემსი“ — II ფ. **ბევენ-ან...**

ბ) დასტურდება სუპლექტური ფუძეები: **ჰემი** „ვინ“ — II ფ. **ლ'ო-** „თვითონ“, სახ. **მენ** „შენ“ — ნათ. **დუ-ბ** და მისთ.

(3) მრავლობითი რიცხვის მარტივი (არამარკირებული) ფუძე მრავლობითობის სხვადასხვა ნიშნებით ფორმდება. ეს ნიშნებია: {-**V-ბი/-მი**}, {-**დარი**}, {-**იბადი/-ბადი**}, {-**ა**}, {-**ი**}, {-**ე**}, {-**დი**}, {-**ლი/-ალი**}, {-**ლ'ა**}, {-**არი**}, {-**ზაბი**}.

რიგ შემთხვევაში ამ სუფიქსთა გამოყენება სემანტიკურად მოტივირებულია, თუმცა ამგვარი შეპირობებულობა თანამიმდევრულად და ბოლომდე არ არის გატარებული [გუდავა 1971: 56; შდრ. კიბრიკი... 2001 : 132]. კერძოდ, {-**დი**}, {-**რი**} ნიშნები დაჩნდება ადამიანის აღმნიშვნელ და მასთან გათანაბრებულ სიტყვებთან (ნართათუ „ნართი“ — ნართ-ა-**დი**, ყაჩაღ „ყაჩაღი“ — ყაჩაღ-ა-**დი**...), მაგრამ დასტურდება ადამიანის წარმომავლობისა და ზოგი ნივთის სახელებთანაც, მაგ.: ჰინდუ-ლ'ა „თლონდოდელი“ — ჰინდუ-**რი**, რესელ „კალათა“ — რესელ-**დი**... ხუნძური წარმომავლობის სუფიქსი **-ზაბი**, რომელიც მრავლობითობის ფორმით ნასესხებ ფორმებს შემოჰყოლია, მეტწილად პირთა სახელებს დაერთვის, თუმცა სპორადულად სხვა სახელებთანაც გვხვდება და ა. შ.<sup>1</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა მრავლობითობის ნიშანთა დისტრიბუცია სახელის ფუძის აუსლაუტის რაგვარობით აიხსნას, მაგრამ ამგვარ მიდგომასაც ბევრი გამონაკლისი აქვს, რასაც ამ ენათა სპეციალისტები თავადვე აღიარებენ [გუდავა 1971: 57-60; კიბრიკი... 2001: 132]. შეიძლება ითქვას, რომ სულ რამდენიმე ნიშანი (**resp.** ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი) აკმაყოფილებს უგამონაკლისო წესის მოთხოვნას. სახელდობრ, {-**მი**} < {-**ბი**} გვხვდება მხოლოდ **ნ** სონორით ან ნაზალიზებული ხმოვნით დასრულებულ ფუძეებთან, რაც გამოწვეულია პროგრესული ასიმილაციითა და შერწყმით [გუდავა 1971: 43; შდრ. კიბრიკი... 2001: 133]. გარდა ამისა, ტ. გუდავას საფუძვლიანი დებულებით [გუდავა 1971: 59], რომელსაც აკონკრეტებს დ. დანიელის დაკვირვება [კიბრიკი... 2001: 133-134], {-**დარი**} და {-**დი**} დასტურდება ოდენ ორ-ან მეტმარცვლიან ფუძეებთან. მასთან, მათი განაწილება ამგვარია: {-**დარი**} უპირატესად **ნ#**, **ბ#** ფონოლოგიურ პოზიციებში გვხვდება, {-**დი**} კი — **ლ#** პოზიციაში. ჩვეულებრივ {-**დარი**}, როგორც რთული აგებულების (-**და+რი**)<sup>2</sup>

<sup>1</sup> დაწვრილებით [იხ. გუდავა 1971: 56-669; კიბრიკი... 2001: 132].

<sup>2</sup> {-**დარი**}, ტ. გუდავას ვარაუდით, {-**ბადი**} (-**ბა**, -**დი** დამოუკიდებელი ერთეულებიც არიან) ნიშნის ანალოგიურად (შდრ. იპუა „მწყემსი“ — იპუ-**ლი-ბა-დარ** „მწყემსები“, მისა „სახლი“ — მისა-**ლ-დი** „სახლები“...), კომპოზიტური ნიშანი ჩანს. თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ **სიმ-დარაბი** („ბავშვები“) მრავლობითი რიცხვის ფორმა სამმაგი აგებულების ნიშანს დაირთავს, რაც უჩვეულო არ არის ამ ენათათვის. როგორც ჩანს, მარტივ ფუძეზე დართული პირველი ფორმანტის ფუნქცია თანდათან იჩრდილება და ფუძეს უხორცდება, რაც ხელახალი გაფორმების პირობას ქმნის.

სუფიქსი {-დი} სუფიქსთან შედარებით დომინანტობს [კიბრიკი... 2001: 134]. სპეციალური ლიტერატურიდან ირკვევა, რომ თლონდოდურთან შედარებით სხვაგვარი ვითარება გვაქვს თლისურ დიალექტში, რომელშიც -დი მრავლობითის საწარმოებელ სუფიქსთაგან ყველაზე მეტი სინშირული კოეფიციენტით გამოირჩევა.

ყურადღებას იქცევს მრავლობითობის (resp. კრებითობის) {-ა} ნიშანი, რომელიც ზოგ კილოკავში (კვანადურ-ჰემერსოული, თლისურ-თლიბიშოური) გრძელი ალომორფით {-ა} არის წარმოდგენილი, მაგ.: ზინ „ძროხა“ — ზინ-ა, ბატა „ნაწლავი“ — ბატა-ა, ჰაწა „თვალი“ — ჰაწა-ა და მისთ.

ვარაუდობენ, რომ {-ა} გამოხატავს კრებსით მრავლობითობას [კიბრიკი... 2001: 135]. საფიქრებელია, რომ ზოგ შემთხვევაში ა ხმოვნის შემცველი ალომორფი {-ა} მიღებული იყოს {-არ}, {-აბ} პროტომორფემებისაგან (თლის. ჰან-არ „სოფლები“, შდრ. თლიბ. ჰან-ა "id", კვან. გუბ-ა < თლონდ. გუბ-არ<sup>1</sup> „სოკობი“...).

ამრიგად, ზემოწარმოდგენილ მრავლობითის უცვლელ ან მოდიფიცირებულ ფორმებს დაერთვის სათანადო ბრუნვის ნიშნები. მრავლობით რიცხვში სახელთა კლასიფიკაცია შემანტიკურად მოტივირებულია.

მრავლობითი ფორმების საწარმოებლად გამოიყენება მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა ან ირიბ ბრუნვათა ფუძე. ტაბულის სახით ეს შეიძლება ასე გამოიხატოს:

ტაბულა 2. მრავლობითი რიცხვის (I ფუძის) წარმოება

ნიშნები	სახელობითი SG	საწარმოებელი ფუძე	სახელობითი (resp. I ფუძე) PL	ლექსიკური მნიშვნელობა
{-ბი/-მი}, {-Vბი}	გ <sup>ა</sup> არ შა <sup>ა</sup> ა ზე <sup>ბ</sup> ჰაკ <sup>ჟ</sup> ლე <sup>ლ</sup> ანჩ <sup>ჟ</sup> კ <sup>ა</sup> კ <sup>ან</sup>	გ <sup>ა</sup> არ-ა- შა <sup>ა</sup> ა- ზე <sup>ბ</sup> - ჰაკ <sup>ჟ</sup> - ლე <sup>ლ</sup> - ანჩ <sup>ჟ</sup> - კ <sup>ა</sup> კ <sup>ან</sup> -	გ <sup>ა</sup> არა-ბი შა <sup>ა</sup> ა-ბი ზე <sup>ბ</sup> -ა-ბი ჰაკ <sup>ჟ</sup> -ა-ბი ლე <sup>ლ</sup> -ი-ბი ანჩ <sup>ჟ</sup> -ბი კ <sup>ა</sup> კ <sup>ან</sup> -მი (<კ <sup>ა</sup> კ <sup>ან</sup> -ბი)	„ყელი“ „თევზი“ „დღე“ „ბუჩქი“ „ხელი“ „დანა“ „კვერცხი“

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, იგი ყველგან ამ წარმომავლობისა არ უნდა იყოს. ზოგჯერ იგი კომბინაციური ფონეტიკური პროცესის, კერძოდ, შერწყმის შედეგი ჩანს, მაგ.: სახ. მუსა „ხარი“ — მრ. მუს-ა, სახ. ჰაწა „თვალი“ — მრ. ჰაწა-ა... სწორედ ეს ნიშანი (ხმოვნის სიგრძე) ჩანს რელევანტური მხოლოდობითისა და მრავლობითის დაპირისპირებაში [შდრ. კიბრიკი... 2001: 134-135].

{-დარი}	სიმ ეჰუნ ბუშუნა	სიმ- ეჰუნ- ბუშუნ-	სიმ-დარი ეჰუნ-დარი ბუშუნ-დარი <sup>1</sup>	„ბაგე“ „მჭედელი“ „დიდი ხინკალი“
{-ბადი/ -ი-ბადი}	ნუსა დაშ ჟასა	ნუს-ი- დაშ-ი- ჟასა-ი-	ნუს-ი-ბადი დაშ-ი-ბადი ჟასა-ი-ბადი	„სიძე“ „ქალიშვილი“ „ძმა“...
{-ა}/-ა	ჰეკტა მუსა ჟუნჟუ ყურყ	ჰეკტა- მუსა- ჟუნჟუ- ყურყ-	ჰეკტა-ა მუსა-ა ჟუნჟუ-ა ყურყ-ა	„კაცი“ „ხარი“ „ჭიანჭველა“ „ბაყაყი“
{-ი}	ბოლჰონ მაკ რიჰა	ჰოლჰონ- მაკ- რიჰ-	ბოლჰონ-ი მაკ-ი რიჰ-ი	„ლორი“ „ბავშვი“ „დედალი ცხვარი“
{-ე}	ჟამა ბატა	ჟამ- ბატა-	ჟამ-ე ბატა-ე	„ვირი“ „ნაწლავი“
{-დი}	ყაჩაღ რესაელ	ყაჩაღ-ა- რესაელ-	ყაჩაღ-ა-დი რესა-ელ-დი	„ყაჩაღი“ „ყელი“
{-ლი/-ა- ლი}	მისა ჰამა მიწა წებ	მისა- ჰამა- მიწა- წებ-	მისა-ლი ჰამა-ლი მიწა-ა-ლი წებ-ა-ლი	„ადგილი“, „სახელი“ „სახურავი“ „ენა“ „სტუმარი“
{-ლ'ა/ -ალო}	რიჰა ჰუაღ ბესა	რიჰა- ჰუარ-ა- ბეს-ი-	რიჰა-ლ'ა ჰუარ-ა-ლ'ა ბეს-ი-დალ'ა	„ცხვრის ფარა“ „ძალი“ „მთა“
{-არი}	თუხთურ საჭით	თუხთურ- საჭით-	თუხთურ-არი საჭით-არი	„ექიმი“ „საპითი“ (საკ. სახელი)
{-ზაბი}	მალექ ჰალმალ	მალექ- ჰალმალ-	მალექ-ზაბი ჰალმალ-ზაბი	„ანგელოზი“ „მეგობარი“

(4) მრავლობითი რიცხვის მეორე (მარკირებული) ფუძე მთლიანად მოიცავს მრავლობითი რიცხვის სახელობითის ფორმას (ფუძეს). მხოლოდობითი რიცხვისაგან განსხვავებით, მრავლობითში გამოიყოფა ორი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი: ა) ადამიანთა კლასი (I-II კლ. — ბ კლასიფიკატორით) და ბ) ნივთთა კლასი (III კლ. — რ კლასიფიკატორით).

<sup>1</sup> ძალიან ხშირად ამ ფორმებს ენაცვლება -მი (< ნ + ბი) ნიშნით დასრულებული ფორმები, მაგ.: ბეჰუნ „კოვზი“ — ბეჰუნ-დარი II ბეჰუნ-მი, ეჰუნ „მჭედელი“ — ეჰუნ-დარი II ეჰუნ-მი და სხვ. მისთ.

ამ ორ ჯგუფს მრავლობითი რიცხვის მეორე (ირიბი) ფუძე სხვადასხვაგვარად ეწარმოება:

1) პირველ ჯგუფში გაერთიანებულ გონიერ სულიერ და მათთან გათანაბრებულ არსებებს მეორე ფუძე უფორმდება {-**ალუ**}, {-**ლუ**}, {-**უ**} ელემენტებით, რომელთაგან პირველი ორი რთული აგებულებისაა: -**ა-ლ-უ**, -**ლ-უ** (-**ა** — ნივთის კლასის სახელთა ირიბი ფუძის მაწარმოებელი, -**ლ** — დამოუკიდებელი ელემენტი, -**უ**<sup>1</sup> — II ფუძის ფორმანტი, რაც ადამიანთა კლასის მარკირებას ახდენს) [გუდავა 1971: 96].

მართალია, ზემოგანხილული ფუძის ინგრედიენტი საკლასიფიკაციო ნიშნად მიიჩნევა, მაგრამ თავს იჩენს ამ წესიდან გადახრის ფაქტებიც, ვინაიდან ადამიანთა გამომხატველ სახელებს ზოგჯერ ნივთის სახელთა ფუძის ფორმანტი {-**ა**} დაერთვის, მაგ.: ილა „დედა“ — PL. სახ. ილი-დარი, ნათ. ილიდარ-ა-ლო, ქუნტა „ქმარი“ — PL. სახ. ქუნტურ-დარი,<sup>2</sup> ნათ. ქუნტურდარ-ა-ლ<sup>3</sup> და სხვ. მისთ.

2) მეორე ჯგუფში თავმოყრილ ნივთთა კლასის სახელთა ფუძის მარკერებად მრავლობით რიცხვში, მხოლოდობითის ანალოგიურად, დასტურდება {-**ა**} და {-**ი**}. ყველაზე პროდუქტიულია ფუძის {-**ა**}, რომელიც ფუძეთა უმეტეს უმრავლესობას აწარმოებს. რაც შეეხება მეორე ფუძის {-**ი**} ნიშანს, იგი მრავლობითში {-**ი**} ნიშნით დასრულებულ სულ რამდენიმე სახელის ფუძეს დაერთვის და ამ უკანასკნელი ხმოვნის დაგრძელებას იწვევს, მაგ.: ქოთ-ი „ნაბდის ფხსაცმელები“ — ერგ. ქოთ-ი-რ (< ქოთ-ი-ი-რ), წყეკ-ი „თხები“ — ერგ. წყეკ-ი-რ (< წყეკ-ი-ი-რ) და ა. შ.

გარდა ამ ნიშნებისა, კვანადური კილოკავი, თლისურ-თლიბიშოურისაგან განსხვავებით, მრავლობითობის {-**ა**} სუფიქსის ნაცვლად ირიბ ბრუნვათა ფუძედ {-**ე**} ალომორფს გვიჩვენებს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სემანტიკური ატრაქციით არის ახსნილი [კიბრიკი... 2001: 138; შდრ. გუდავა 1971: 58, 96].

<sup>1</sup> თლისურ თქმაში მრავლობითის მეორე ფუძეს {-**ლო**} აწარმოებს. იგი {-**ლუ**} ფორმანტის არქეტიპი ჩანს: -**ლუ** < -**ლო**. {-**ლო**} ფორმანტის ფუნქციონირების არე ამ თქმაში გაფართოებულია და იგი ნივთის კლასის სახელებშიც დაჩნდება.

საგულისხმოა, რომ რთული {-**ალუ**} ფორმანტის ელემენტი {-**უ**} დამოუკიდებლადაც გვხვდება (სახ. თუხთურ-არი „ქეიმები“ — ერგ. თუხთურარ-უ-რ), რაც ტ. გუდავას ზემომოყვანილი მოსაზრების მართებულობას განამტკიცებს.

<sup>2</sup> სიმპტომატურია, რომ ტ. გუდავა ამ სახელის მრავლობითის ფორმად იმოწმებს სახ. **ქუნტ-ი-ბი** „ქმრები“ — ერგ. ქუნტ-ი-ალუ [გუდავა 1971: 96; შდრ. კიბრიკი... 2001: 137]. ეს მიგვანიშნებს მის რყევაზე როგორც პარადიგმის ფარგლებში, ისე დიალექტთა შორისაც, მაგ., კვან., ხუშტ. იმა „ამა“ — მრ. იმე-ბი (< იმა-იბი, შდრ. თლონდ. სახ. PL. იმიდ-დარი „ამები“...).

ტაბულა 3. მრავლობითი რიცხვის II ფუძის წარმოება

ნიშნები	სახელობითი SG	სახელობითი PL	ერგატივი PL	ლექსიკური მნიშვნელობა
{-ალუ II -ლუ}, {-ლო}	ტაშა ჰეკტა ყაჩალ ტაჯა	ტაშა-ბი ჰეკტა-ბი ყაჩალ-ადი ტაჯა-ი-ბადი	ტაშა-ბ-ა-ლუ-რ ჰეკტა-ლუ-რ ყაჩალადი-ლუ-რ ტაჯაბადი-ლო-დ	„ვაჟი“ „კაცი“ „ყაჩალი“ „ძმა“
{-უ}	თუხტურ დაშ	თუხტურ-ნარი დაშ-ნარი	თუხტურნარ-უ-რ დაშნარ-უ-რ	„ექიმი“ „ქალიშვილი“
{-ა}	შაქაბი მიღ	შაქაბი-დარი მიღ-ა-ლი	შაქაბდარ-ა-რ მიღალ-ა-რ	„ჩიტი“ „დღმა“
{-ო}	ბოლპონ —	ბოლპონ-ი ხტან-ი	ბოლპონ-ო-რ ხტან-ო-რ	„ლორი“ „ცხენი“ <sup>1</sup>
{-ე}	ჰაწა ნაწა	ჰაწა-ა ნაწა-ა	ჰაწა-ე-რ ნაწა-ე-რ	„თვალი“ „ტილი“

მხოლოდობითი რიცხვის ზემოგანხილულ ფუძეთა ჩვენებას თუ დავემყარებთ, უნდა გამოიყოს ბრუნების სამი ძირითადი ტიპი:<sup>2</sup>

I ტიპი: ფუძედ გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფორმა;

II ტიპი: ერგატივისა და „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე სტრუქტურის ხმოვნური ელემენტებით არის გართულებული. ამ ტიპში, ფუძის რაგვარობის გათვალისწინებით გამოიყოფა ხუთი ქვეტიპი: 1) {-ი} ნიშნიანი, 2) {-უ} ნიშნიანი, 3) {-ო} ნიშნიანი, 4) {-ა} ნიშნიანი და 5) {-ე} ნიშნიანი;<sup>3</sup>

VII ტიპი: ერგატივისა და „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეს დაერთვის -CV სტრუქტურის ელემენტები, რომლებიც სემანტიკურად შეპირობებულნი არიან. აქ შეიძლება პირობითად ოთხი ქვეტიპი გამოიყოს: 1) {-შაუ} ნიშნიანი, 2) {-ლაი} ნიშნიანი, 3) {-და} ნიშნიანი და 4) {-ლა} ნიშნიანი.

<sup>1</sup> მხოლოდობით რიცხვში ამ ლექსემას კათუ ("id.") ცვლის [გულაგა 1971: 59; შდრ. კიბრიკი... 2001: 138].

<sup>2</sup> ფაქტობრივ ბრუნების ტიპთა ანალოგიური კლასიფიკაცია მოებოვება ზ. მაჰომედბეკოვას, თუმცა ქვეტიპები დაკონკრეტებული არ აქვს [მაჰომედბეკოვა 1961: 125; 126; შდრ. გულაგა 1971: 68].

<sup>3</sup> ამ რიგის ხმოვანთა დართვა ხმოვანფუძიან სახელთა ბოლოკიდური ხმოვნის კვეცას ან დავიწროებას იწვევს [იხ. გულაგა 1971: 69].

**ბრუნების პარადიგმა**

I ტიპი:

ტაბულა 4. ერთფუძიანი ბრუნების პარადიგმა

ლექსიკური მნიშვნელობა ბრუნვები	მხოლოდობითი რიცხვი				
	„მტკაველი“	„მინა“	„ცხენი“	„წამალი“	„გული“
სახელობითი	რეტემ	ზენ	კათუ	დარუ	რაკუა
ერგატივი	რეტემ-დ	ზენ-რ	კათუ-რ	დარუ-რ	რაკუა-რ
მიცემითი	რეტემ-ლა	ზენ-ლა	კათუ-ლა	დარუ-ლა	რაკუა-ლა
ნათესაობითი	რეტემ-ლ'ა	ზენ-ლ'ა	კათუ-ლ'ა	დარუ-ლ'ა	რაკუა-ლ'ა
აფექტივი	რეტემ-ბა	ზენ-ბა	კათუ-ბა	დარუ-ბა	რაკუა-ბა
მრავლობითი რიცხვი					
სახელობითი	რეტემ-ი II რეტემ-დი	ზენ-ბი	ხუან-ი	დარუ-ბი	რაკუა-ბი
ნათესაობითი	რეტემ-ი-ლ'ა- II რეტემ-დი-ლ'ა	ზენ-ბა-ლ'ა	ხუან-ი-ლ'ა II ხუან-ე-ლ'ა	დარუ-ბა-ლ'ა	რაკუა-ბა-ლ'ა

II ტიპი:

ტაბულა 5. -V სტრუქტურის ელემენტით დაბოლოებული სახელების ბრუნების პარადიგმა

სახელობითი	ერგატივი	მიცემითი	ნათესაობითი	აფექტივი	ლექსიკური მნიშვნელობა
წერ	წერ-ი-რ	წერ-ი-ლა	წერ-ი-ლ'ა	წერ-ი-ბა	„სახელი“
როშა	როშ-ი-რ	როშ-ი-ლა	როშ-ი-ლ'ა	როშ-ი-ბა	„ხე“
ბუყირ	ბუყირ-ი-რ	ბუყირ-ი-ლა	ბუყირ-ი-ლ'ა	ბუყირ-ი-ბა	„ჭრა“
ჰობ	ჰობ-ი-რ	ჰობ-ი-ლა	ჰობ-ი-ლ'ა	ჰობ-ი-ბა	„საფლავი“
ანჟით	ანჟით-უ-რ	ანჟით-უ-ლა	ანჟით-უ-ლ'ა	ანჟით-უ-ბა	„ცული“
რელა	რელ-უ-რ	რელ-უ-ლა	რელ-უ-ლ'ა	რელ-უ-ბა	„ხელი“
ჰეკოჩა	ჰეკოჩ-ი-რ	ჰეკოჩ-ი-ლა	ჰეკოჩ-ი-ლ'ა	ჰეკოჩ-ი-ბა	„თავი“
კორთუ	კორთ-ი-რ	კორთ-ი-ლა	კორთ-ი-ლ'ა	კორთ-ი-ბა	„ჩოჩორი“
ნაწა	ნაწა-ა-რ	ნაწა-ა-ლა	ნაწა-ა-ლ'ა	ნაწა-ა-ბა	„ტილი“
ელ	ელ-ა-რ	ელ-ა-ლა	ელ-ა-ლ'ა	ელ-ა-ბა	„პირი“
ჩიბა	ჩიბ-ე-რ <sup>1</sup>	ჩიბ-ე-ლა	ჩიბ-ე-ლ'ა	ჩიბ-ე-ბა	„ძუკნა“

<sup>1</sup> ხაზასმული ხმოვნები ერგატივის ფუძეს აწარმოებენ და „ირიბ“ ბრუნვებშიც გადაჰყვებიან.

## III ტიპი:

ტაბულა 6. საბრუნებელ სახელთა ფუძე ფორმდება -CV სტრუქტურის ნიშნებით

ფუძის ნიშნები და ბრუნების ქვეტიპები	{-შუ} (I ქვეტიპი)	{-ლ'ი} (II ქვეტიპი)	{-და} (III ქვეტიპი)	{-ლა} (IV ქვეტიპი)
ბრუნვები				
სახელობითი	იმა „მამა“	ილა „დედა“	რაჟ „ნიორი“	მუჩუ „ქარი“
ერგატივი	იმა-შუ-რ	ილა-ლ'ი-რ	რაჟ-და-რ	მუჩუ-ლა-რ II მუჩუ-რ
მიცემითი	იმა-შუ-ლა	ილა-ლ'ი-ლა	რაჟ-და-ლა	მუჩუ-ლა-ლა II მუჩუ-ლა
ნათესაობითი	იმა-შუ-ლ'ი <sup>1</sup>	ილა-ლ'ი-ლ'ი	რაჟ-და-ლ'ი	მუჩუ-ლა-ლ'ი II მუჩუ-ლ'ი
აფექტივი	იმა-შუ-ბა	ილა-ლ'ი-ბა	რაჟ-და-ბა	მუჩუ-ლა-ბა II მუჩუ-ბა

{-შუ} და {-ლ'ი} ელემენტებში, უ და ი კომპონენტების კლასურ კუთვნილებაზე მითითების ფუნქციის გარდა, კლასიფიკატორებით დასრულებულ სახელებთან მიმართების საკითხიც იქცევა ყურადღებას. უკანასკნელ შემთხვევაში {-შუ} და {-ლ'ი} ელემენტების კლასიფიკატორებით შენაცვლება ფაკულტატიური ხასიათისაა.

## ლიტერატურა

**გუდავა 1971** — ტ. გუდავა, ბავგალური ენა. თბილისი, გამ-ბა „მეცნიერება“, 244 გვ.

**თოფურია 1987** — გ. თოფურია, ბრუნების ზოგი საკითხი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. — იკე, ტ. XXVI. თბილისი, გვ. 192-200.

**კიბრიკი... 2001** — А. Е. Кибрик, К. И. Казенин, Е. А. Лютикова, С. Г. Татевосов, Багвалинский язык (Грамматика. Тексты. Словари). Москва, Изд-во "Наследие", 930 с.

**მაჰომედბეკოვა 1961** — З. М. Магомедбекова, Багвалинский язык (Предварительное сообщение). — Вопросы изучения иберийско-кавказских языков. Москва, Изд-во Академии наук СССР, С. 123-129.

<sup>1</sup> კლასის ექსპონენტით დასრულებული სახელები ნათესაობით ბრუნვაში კლასიფიკატორს ცნობილი წესის მიხედვით იცვლიან, რაც ატრიბუტულ სინტაგმაში ასე აისახება: I კლ. ეჰუნ-შუ-ჟ ჰუდულ „მჭედლის მეგობარი“, II კლ. ეჰუნ-შუ-ღ ილა „მჭედლის დედა“, III კლ. ეჰუნ-შუ-ბ ბესუნ „მჭედლის დანა“ და ა. შ.

NODAR ARDOTELI

## A Declining Noun Stem and Types of Cases in Bagwal

### S u m m a r y

Four kinds of a declining noun stem are distinguished in Bagwal: 1) a simple (resp. unmarked) stem, that is represented by a zero morpheme and grammatically is equal with a singular nominative case form; 2) the second ("indirect") stem of singular. It is represented by: a) a zero morpheme { $\emptyset$ }, when a nominative form and the second stem formally coincide with each other; b) {= v} structural marker, adding of what causes an apocope of a final vowel, e. g.: **musa** "an ox" – erg. **mus-u-r** (< **musa-u-r**)..., c) through {-CV} structural formants (-šu, -l'i, -**da**, -**la**), the adding of which is semantically motivated; 3) a primary (simple) stem of plural, that, if we do not take into account the morphological transformations, coincides with plural nominative; 4) the second ("indirect") stem of plural, that completely includes plural unchangeable or modified form and mostly is standartized, e. g.: nom. (sing.) **ehun** "a smith" – nom. (pl.) **ehun-dari**, erg. (pl.) **ehun-dar-a-lu-r**..

Following from formation of a declining noun stem, three basic types of cases are distinguished:

I type: a nominative case form is used as a stem;

II type: a stem of ergative and indirect cases is complicated by vowel elements of – V structure. Five sub-types are distinguished:

a) with {-i} marker, b) with {-u} marker, c) with {-o} marker; d) with {-a} marker, e) with {-e} marker;

III type: -CV structural markers are added to the stem of ergative and indirect cases. They are semantically conditioned. Conditionally four sub-types of cases are distinguished: a) with {-šu} marker, b) with {-l'i} marker, c) with {-**da**} marker, d) with {-**la**} marker.

თბა ბურჭულაძე

**რთული თანწყობილი წინადადების ერთი საკითხისათვის  
ქართულში**

საზოგადოდ მიღებულია აგებულების მიხედვით წინადადებათა დაყოფა ორ ჯგუფად: მარტივად და რთულად. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი გამოყოფენ წინადადებათა სამ სახეს: მარტივს, შერწყმულსა და რთულს. ხშირად ჩნდება ხოლმე სადავო საკითხები იმასთან დაკავშირებით, როგორი წყობისაა წინადადება: რთული თანწყობილი თუ შერწყმული? საკითხის სირთულეს იწვევს ის ფაქტორიც, რომ შერწყმული წინადადება ზოგჯერ მომდინარეობს თანწყობილ წინადადებათაგან. ეს თვალსაზრისი გამყარებულია ჩვენამდე მოღწეული ძველი სამწერლობო ენის ძეგლებითაც. თუმცა გზა, რომელიც გაიარა შერწყმულმა წინადადებამ, რთულია და ყოველთვის ძნელია მისი ჩვენება. ზოგადად, ქართული ენის რთული წინადადების საფუძვლად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია მარტივი და შერწყმული წინადადება. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი შერწყმულ წინადადებას კანონზომიერად მიიჩნევს საშუალო საფეხურად, გარდამავალ რგოლად მარტივი წინადადებიდან რთული-საკენ (დლონტი 1975 : 52; კიზირია 1953 : 203).

აღნიშნავენ, რომ „რთული ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი და შერწყმული წინადადებისაგან და აზრობლივ და ინტონაციურად ერთ მთლიან დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს“ (კვაჭაძე 1996: 348). ამასთან თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას, ხოლო თანწყობის საშუალებით მიღებულ წინადადებას რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია. შერწყმული წინადადების ანალიზისას კი მითითებულია, რომ შერწყმულია წინადადება, რომელშიც მოიპოვება რამდენიმე ერთგვარი წევრი.

განმარტებები ასეთია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ისეთი საკამათო, პრობლემური საკითხები, როცა ჭირს ამა თუ იმ წინადადების აგებულების ზუსტი და მართებული გაგება: რთული თანწყობილია ის თუ შერწყმული?

ჩვენი ინტერესი გამოიწვია შემდეგი ტიპის წინადადებებმა: „იმ ქართული პურის მაღლი ეშხით, სიმართლით, ქაღალდზე გადამაქვს“ (გ. ლეონ.); „მუდმივ იარაღით და კომბალზე უჭირავს თვალი“ (მ. ჯავახ.); „ჩემი ხმით და ნანასავით დაიწყო“ (მ. ჯავახ.); „გვერდით უყენია ხუთი წლის პატარა შავთვალა მალხაზი ბავშვი, ჩითის ბლუზით, წითელი წუღებით, კიზიროკიანი ქუდით თავზე, უქარქამოდ“ (დ. კლდ.); „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე და რითმებით

მოლაპარაკენი როდი არიან“ (გ. ლეონ.); თვალწინ მზაკვრობისა და ორპირობის, ვერაგობასა და ღალატზე საზარელი სურათი გაეშალა“ (მ. ჯავახ.).

ერთი შეხედვით ასეთი წყობის წინადადებები შეიძლება ჩაგვეთვალოს ერთგვარ უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებებად. დასახელებულ მაგალითებში ყველგან თითქოს უბრალო დამატებები გვაქვს: ეშხით, სიმართლით, კომბალზე, ნანასავით, ქალაღზე, რითმებით, წულეებით, ბლუზით...

რადგან მართვა შემასმენელსა და უბრალო დამატებას შორის ცალმხრივია და ზმნისაგან მოდის, თითქოს შერწყმული ტიპის წინადადებისათვის ამ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა სხვადასხვა ბრუნვას. მაგალითად, წინადადება „იმ ქართული პურის მაღლი ეშხით, სიმართლით, ქალაღზე გადამაქვს“ ერთი შეხედვით შერწყმული გამოვა უბრალო დამატებების მიხედვით. აქ ერთ შემასმენელთან რამდენიმე უბრალო დამატებაა: ეშხით, სიმართლით, ქალაღზე. ან კიდევ, „თვალწინ მზაკვრობისა და ორპირობის, ვერაგობასა და ღალატზე საზარელი სურათი გაეშალა“. აქაც შემასმენელთან (გაეშალა) რამდენიმე უბრალო დამატებაა: მზაკვრობის, ორპირობის, ვერაგობასა, ღალატზე... ამ ტიპის წინადადებების გაგება ასეთნაირად შეიძლება: გადამაქვს სიმართლით, გადამაქვს ეშხით, გადამაქვს ქალაღზე...ან კიდევ ასე: გადამაქვს სიმართლით, ეშხით, ქალაღზე...

ჩვენთვის საკითხი ასე დაისმის: არის კი ასე? არის ეს წინადადებები შერწყმულნი? მიგვაჩნია, რომ დასახელებულ წინადადებებში არაერთგვარი უბრალო დამატებებია: საჭურვლისა (ეშხით, სიმართლით, მზაკვრობის, ორპირობის... — რით?) და სადაობითი (ქალაღზე, ღალატზე, ვერაგობაზე... — რაზე?). ე.ი., სტრუქტურულად სხვადასხვა ნიუანსისანი არიან. მაშასადამე, აქ ირღვევა შერწყმული წინადადების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი. კერძოდ, ერთგვარი წევრების ანალიზისას მიუთითებენ, რომ ისინი გამოხატავენ ერთი და იმავე ნიშან-თვისებას (სემანტიკურ მიმართებას). აქ კი ეს ნიშანი ამკარად დარღვეულია.

აქვე დავამატებთ, რომ დასახელებულ ტიპის წინადადებებს (პარატაქსია ის თუ შერწყმული) ვერ განვასხვავებთ წინადადების წევრების ერთმანეთთან დაკავშირების საშუალების მიხედვითაც. წევრების დაკავშირების საშუალებები და პუნქტუაციის წესებიც თითქმის ერთნაირია რთულ თანწყობილსა და შერწყმულ წინადადებებში. როგორც თანწყობილ წინადადებაში გვხვდება წინადადების წევრების შეერთება და კავშირით, ასევეა ეს შერწყმულ წინადადებაშიც. გარდა ამისა, წინადადების წევრების მიმართება ინტონაციურად და ასევე უკავშირო შეერთებაც არ ცვლის სურათს. ორივე წყობის წინადადებებში ეს პროცესი ერთნაირად ხდება. რთულ თანწყობილ წინადადებაში მაგუფელები და კავშირი აერთებს ორ წინადადებას: „ერთ ადგილას რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვიღაც კაცი გამოჩნდა“ (ყაზბ.). **ერთ ადგილას რაღაც შეინძრა — ეს წინადადება და კავშირით უკავშირდება მეორეს — წუთს შემდეგ ვიღაც კაცი გამოჩნდა.** ასევეა შერწყმულ წინადადებაშიც: „ჭიშკართან პატარა გოგო იდგა და ზღუქუნებდა“ (გრ. აბაშ., 34). ამ ტიპის წინადადებებში კი და კავშირი აჯგუფებს წინადადების ერთგვარ წევრებს: **პატარა გოგო იდგა — პატარა გოგო ზღუქუნებდა.** მაშასადამე, აქ ერთ ქვემდებარესთან

ორი შემასმენელია დაკავშირებული და კავშირით: გოგო იღვა და ზღუტუნებდა.

გარდა და მაჯგუფებელი კავშირისა, შერწყმულ წინადადებაშიც და რთულ თანწყობილ წინადადებაშიც შეერთების საშუალებად გვევლინება ასევე მაცალკეებელი, მაპირისპირებელი კავშირები: ან, ხან, თუნდ, გინდ... (კვაჭაძე 1996, 365; ძიძიგური 1989, 42). ეს კავშირები შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს აერთებს: „მერე ღმერთს რა პასუხს გასცემთ, ან შენ და ან მამაშენი“ (ილია, 173); არ დაზოგავდა გინდ შორებელი ყოფილიყო, გინდ ახლობელი“ (აკაკი, 56); „იაგოს თავისი ამხანაგებით ხან აქ იწვევდნენ, ხან იქ“ (ყაზბ., 351)... რთულ თანწყობილ წინადადებაშიც იგივე კავშირები წინადადების ნაწილებს აერთებს: „ლამით სადმე ტურა დაიჩხავლებს, ან აფთარი აგოდებება, ან მგელი დაიდმუვლებს“ (ჯავახ. 232); „მის შორიახლო ხან შევარდენი გამოინავარდებდა, ხან ქორი გამოიქროლებდა“ (ვაჟა, 134); „გინდ მე წავალ, გინდ შენ წადი“ (ილია, 35)

რაც შეეხება უკავშირო შეერთებას, თანწყობისას ამ დროს კავშირის ადგილს პაუზა იკავებს. ხოლო წინადადების შემადგენელი მარტივი წინადადებები გრამატიკულად გაფორმებულია, როგორც დამოუკიდებელი წინადადებები (კიზირია, 1953, 28). მაგალითად, „ქარი ქროდა, ნამქერი ტრიალებდა“. **ქარი ქროდა, ნამქერი ტრიალებდა** ცალ-ცალკე აღებული დამოუკიდებელი წინადადებებია. შერწყმულ წინადადებაშიც უკავშირო შეერთებისას პაუზაა და ინტონაციურად გამოიყოფა ერთგვარი წევრები. ამგვარ შემთხვევებში ერთგვარ წევრთა შეერთების მთავარი საშუალებაა ინტონაცია: „ყოველი ერთგვარი წევრი თანაბარმახვილიანია, ერთმანეთს შორის კი პაუზაა. ე.ი., ერთგვარ წევრთა წარმოთქმისას დამახასიათებელია ე.წ. ჩამოთვლის ინტონაცია“ (კვაჭაძე, 1996). მაგალითად, „ისინი ვარდის მიწიდან ქრიან, წალკოტებიდან, ტყიდან...“ (აკალან.). ჩამოთვლის ინტონაცია უკავშირო შეერთებისას რთულ თანწყობილ წინადადებებშიც. ცხადია, რომ ზემოთ დასახელებული წინადადებები ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება და ამიტომ დამატებით განმასხვავებელ საშუალებად ეს ფაქტორი ვერ გამოდგება.

ამ ტიპის წინადადებებში შევნიშნავთ ერთ ფაქტორსაც - უბრალო დამატებები ერთმანეთს შეიძლება სინტაქსურად დაუკავშირდნენ როგორც და კავშირის საშუალებით, გამოიყონ ინტონაციურად (წერისას სასვენ ნიშნებით), მაგრამ ასევე შეიძლება წინადადებაში წევრები კავშირისა და ჩამოთვლის ინტონაციის გარეშე აზრობრივად შეეწყოს და გამოვყოს ისე, რომ აზრი, შინაარსი არ დაიკარგოს. მაგალითად, წინადადება „მუდმივ იარაღით და კომბალზე უჭირავს თვალი“ შესაძლოა ასეც გამოვხატოთ — **მუდმივ იარაღით, კომბალზე უჭირავს თვალი** და ასეც — **მუდმივ იარაღით კომბალზე უჭირავს თვალი**. ან კიდევ, წინადადება „ჩუმი ხმით და ნანასავით დაიწყო“ შემდეგნაირადაც გამოიყენება: **ჩუმი ხმით, ნანასავით დაიწყო** და ასეც — **ჩუმი ხმით ნანასავით დაიწყო**.

აქვე დავამატებთ იმას, რომ შერწყმულ წინადადებაში კი კავშირის და ჩამოთვლის ინტონაციის გარეშე რომელიმე ტიპის ერთგვარი წევრების ერთმანეთთან შეერთება შეუძლებელია. მაგალითად, წინადადებაში „ყინული და ცე-

ცხლი ერთმანეთს არ დალევენ“ (ი.ჭავჭავაძე.46) შინაარსი ირღვევა ასე გამოყოფისას: ყინული, „ცეცხლი ერთმანეთს არ დალევენ...ან კიდევ „ლუკაიამ ცხენი და მეძებრები გამოიყვანა“ (კ.გამს.გვ.78) — ლუკაიამ ცხენი, მეძებრები გამოიყვანა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით წერისასა თვალსაჩინო.

მაშინ როგორი ტიპის, აგებულების არის ზემოთ დასახელებული წინადადებები? ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ განხილული წინადადებები არ არიან შერწყმულნი. არ არიან შერწყმულნი არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა ბრუნვაში დგანან და იმართვიან, არამედ იმიტომაც, რომ მათთან სხვადასხვაგვარი სემანტიკური მიმართებაა. ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა შინაარსის მქონე უბრალოდამატებთან წინადადებებთან. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ დასახელებული წინადადებები რთული თანწყობილი წინადადებებია, პარატაქსული წყობისაა. წინადადებათა მსგავსი ტიპი უნდა გავაერთიანოთ თანწყობილ წინადადებათა რიგში ცალკე წყების სახით.

### ლიტერატურა

**ბურჭულაძე, 2005** — თ. ბურჭულაძე, შერწყმული წინადადება ქართულში, თბილისი.

**კვაჭაძე, 1996** — ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1996

**კიზირია, 1953** — ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში, იკე, IV, თბილისი.

**კიზირია, 1969** — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი.

**ღლონტი, 1975** — ა. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

**ძიძიგური, 1989** — შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი.

### TEA BURTCHULADZE

#### Towards One Issue of a Compound Coordinate Sentence in Georgian

#### Summary

The following sentence types occur in Georgian: „*im kartuli puris madli ešxit, simartlit, kayaldze gadamakvs*“ (G. Leon.); „*mudmiv iarayit da ḡombalze učiravs tvali*“ (M. Javakh.); „*tvalčin mzkvrobisa da orpirobis, veragobasa da ḡalaṭze sazareli surati gadacšala*“ (M. Javakh.). At a glance, the sentences of such structure can be considered as a fussed sentence with simple objects. But I think, the sentences of such structure are not fussed, not owing to the fact, that they are in different cases and are governed, but there are different semantic relation with them. I think, that the mentioned sentences are compound coordinate ones. The similar types should be united in the series of compound coordinate sentences in the form of separate kind.

ელისაბედ გაზდელიანი

**ხმოვნის სიბრძის ბენეზისნათვის ზოგ მორფემათა მიჯნაზე  
სვანურში**

თანამედროვე სვანურის ხმოვანთა სიგრძეს მეტწილ შემთხვევაში ფონეტიკური ახსნა ეძებნება, „გრძელი ხმოვანი მიღებულია ორი სხვადასხვა მოკლე ხმოვნის შეერთების საფუძველზე“ (ყდენტი 1949 : 74, 90). „ორი ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად სვანურისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა“ (შარაძენიძე 1985 : 150; მისივე 1946 : 310).

სვანური ენის გრძელხმოვიანი დიალექტებში — ბალსზემოურსა და ლაშხურში, გრძელი ხმოვნის წარმოქმნის ერთ-ერთი პირობაა ხმოვანთა კომპლექსის არსებობა, ხმოვანთა კომპლექსები კი ყველაზე ხშირად იქმნება მორფემათა მიჯნაზე. სვანური ენის გრამატიკულ მორფემათა სტრუქტურა ძირითადად განისაზღვრება პრეფიქსული *c, v, vc, cv* და სუფიქსური *c, v, vc, cv, vcc, vvc* ტიპებით (შარაძენიძე 1985 : 160), ამიტომ ამ მორფემათა შეხვედრა ფუძის თავკიდურ და ბოლოკიდურ ხმოვნებთან ქმნის ხმოვანთა კომპლექსებს, სადაც ერთ-ერთი ხმოვანი ხშირად ერწყმის მეორე ხმოვანს (ნაწილობრივ ან მთლიანად), ზოგჯერ ერთ-ერთი ხმოვანი მარცვლოვნებას კარგავს და მეზობელ ხმოვანს აგრძელებს. ხმოვანთა ასეთი კომპლექსები იქმნება შემდეგ მორფემათა მიჯნაზე.

**პრევერბის ხმოვანი + პრევერბის, ქცევის, ვნებითობის ან ფუძის თავკიდური ხმოვანი**

სვანურში გამოყოფენ მარტივ პრევერბებს: *ან-, ად-, ა-, ეს-, ე-, ლა-, ფი-, ჩუ-, სგა-, ქა-* და მარტივი პრევერბების შეერთებით მიღებულ რთულ პრევერბებს: *სგან-, სგად-, სგენ-, ქან-, ქად-, ქენ-* (თოფურია 1967 : 53).

რთულ პრევერბებში გრძელი ხმოვნის არსებობას ყურადღება მიაქცია ვარლამ თოფურიამ და აღნიშნა, რომ „*სგა-* და *ქა-* წინდებულთა *ა* ბალსზემოურსა და ლაშხურში ემსგავსება მომდევნო პრევერბისეულსავე *ა*ს და *ე*ს, აგრეთვე უკანასკნელისაგან ასიმილაციის გზით მიღებულს *ა*ს და მათთან შეერთებით იძლევა გრძელ ხმოვანს (თოფურია 1967 : 53).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „რთულ პრევერბებში გრძელ *ა* ხმოვანს გვაძლევს ორი იდენტური *ა+ა* ხმოვანთა კომპლექსი. ეს კომპლექსი ელიზიურია ბალსქვემოურში და ნაწილობრივ ლენტეხურშიც, ბალსზემოურში და ლაშხურში ყოველთვის ერთმანეთს შეერწყმის და გვაძლევს

გრძელ ა<sup>ს</sup>“ (ქალდანი 1953 : 192).

„ხმოვანთა ა<sup>ა</sup> კომპლექსი ხშირად იქმნება ზმნათა რთულ პრევერბებში: {სგა-}, {ქა-} მორფემათა /ა/ ელემენტის შეერთება მომდევნო {-ან} ან {-ად} მორფემათა /ა/სთან, როგორც ბალსზემოურში, ისე ლაშხურში გვადლევს ა<sup>ს</sup>“ (ონიანი 1969 : 106).

ენახოთ ორივე დიალექტის მასალა: ბზ., ლშხ. სგა<sup>ა</sup>ან > სგან-: სგანკად (<\*სგა<sup>ა</sup>ან-კად) „შემოვიდა“; სგანსკინე (<\*სგა<sup>ა</sup>ან-სკინე) „შემოხტა“; ბზ. სგანკუარ (<\*სგა<sup>ა</sup>ან-კუარ), ლშხ. სგანსკუარ „შემოავლო“; ბზ. სგანტან, ლშხ. სგანტან (<\*სგა<sup>ა</sup>ან-ტან) „შემობრუნდა“...

სგა<sup>ა</sup>ად>სგად-: ბზ., ლშხ. სგადჭებდე (<\*სგა<sup>ა</sup>ად-ჭებდე) „შეამწყვდია“; ბზ. სგადკუარ (<სგა<sup>ა</sup>ად-კუარ) „შეავლო“; ბზ. ლშხ. სგადგენე (<\*სგა<sup>ა</sup>ად-გენე) „შესვა“, „ჩასვა“; ბზ. სგადჭე (<\*სგა<sup>ა</sup>ად-ჭე) „შეაღწია“... ხშირად -ად პრევერბი ორივე დიალექტში -ათ<sup>ის</sup> სახით გვევლინება: სგათცხატა (<\*სგა<sup>ა</sup>ათ-<ად>-ცხატა) „გასჩხერია“; სგათშეედა (<\*სგა<sup>ა</sup>ათ-შეედა) „ჩავარდნია“; სგათშეება (<\*სგა<sup>ა</sup>ათ-შეება) „შევარდნია“ და სხვა.

ქა<sup>ა</sup>ან > ქან-: ბზ., ლშხ. ქანკად (<\*ქა<sup>ა</sup>ან-კად) „გამოვიდა“; ქანტან (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ტან) „გამობრუნდა“; ქანთენე (<\*ქა<sup>ა</sup>ან-თენე) „გამოაჩინა“; ქანყორუენ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ყორუენ) „დააკოღეს“, „გამოყვერეს“; ქანყა (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ყა) „გამოაცხობდა“; ქანშდდაბ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-შდდაბ) „გამოცვივდნენ“; ბზ. ქანწცხ, ლშხ. ქანდაცხ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-დაცხ) „გამოიღვიძა“...

იგივე ა<sup>ა</sup>> ა ხმოვანთკომპლექსები იქმნება, როცა სგა-, ქა- პრევერბებთან უშუალოდ მეზობლობაში მოხვდება ქცევის ან ფუძისეული ა. ზოგჯერ ა - ან, -ად პრევერბების ნაშთიც შეიძლება იყოს. მაგ. ბზ., ლშხ. სგამფუ (<\*სგა<sup>ა</sup>ამფუ) „შემიწვი“; სგატან (<\*სგა<sup>ა</sup>ატან) „შებრუნდა“; სგანად (<\*სგა<sup>ა</sup>ანად) „შევიდა“; ქანფრე (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ფრე) „გაახმობს“; ქანბლე (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ბლე) „გაბერავს“; ქანჭე (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ჭე) „გამოაცხობს“...

„ა<sup>ა</sup> კომპლექსისაგან არ განირჩევა თავისი მოქმედების შედეგებით ა<sup>ა</sup> კომპლექსი, რომელიც ბალსზემოურში ყოველთვის იძლევა გრძელ უმლაუტიან ა<sup>ს</sup>“ (ქალდანი 1953 : 195).

ბალსზემოურში ა<sup>ა</sup> ხმოვანთკომპლექსი იქმნება იმავე სგა- და ქა პრევერბებთან უმლაუტიანი -ან, -ად პრევერბთა შეხვედრის დროს: სგანწგზე (<\*სგა<sup>ა</sup>ანწგზე) „შემოავზავნა“; სგანთირნე (<\*სგა<sup>ა</sup>ან-თირნე) „შემოათრია“; სგანსიბე (<\*სგა<sup>ა</sup>ან-სიბე) „შემოუხვია“, „შემოიარა“; სგანსკუიშ (<\*სგა<sup>ა</sup>ან-სკუიშ) „შემოტეხა“.

სგა<sup>ა</sup>ად > სგად-: სგადტის (<\*სგა<sup>ა</sup>ად-ტის) „შეაბრუნა“; სგადწგზე (<\*სგა<sup>ა</sup>ად-წგზე) „შეგზავნა“; სგადქუიჭ (<\*სგა<sup>ა</sup>ად-ქუიჭ) „შეყო“...

სგა<sup>ა</sup>ათ > სგათ-: სგათთხანწ (<\*სგა<sup>ა</sup>ათ-თხანწ) „შეხვდა“; სგათლაკ (<\*სგა<sup>ა</sup>ათ-ლაკ) „შეუარა“.

ქა<sup>ა</sup>ან > ქან-: ქანსკიდდა (<\*ქა<sup>ა</sup>ან-სკიდდა) „გამოიხედა“; ქანყიდ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ყიდ) „გამოისყიდა“; ქანთიშ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-თიშ) „გამოიჩინა“...

ქა<sup>ა</sup>ან (> -ათ) > ქანდ- / ქანთ-: ქანდქუით (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ქუით) „მოიპარა“; ქანწგგრე (<\*ქა<sup>ა</sup>ან-წგგრე) „დაამთავრა“; ქანყუთალ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-ყუთალ) „მოშორდა“; ქანთეჭ (<\*ქა<sup>ა</sup>ან-თეჭ) „გაეკიდე“, „გაყვე“...

იგივე **ა+ზ** კომპლექსი იქნება, როცა აღნიშნულ ზმნისწინებს მოსდევს ქცევის, პრევერბის ან ფუძის თავკიდური **წ** ხმოვანი.

**სგა+ზ > სგწ-**: **სგწჰიდ** (<\*სგა+ზ-ჰიდ) „დაეწია“; **სგწმჩედს** (<\*სგა+ზ-მჩედს) „შესულან“; **სგწწჟუნდს** (<\*სგა+ზ-წჟუნდს) „შემოეხვივნენ“, „შემოესივნენ“...

**ქა+ზ > ქწ-**: **ქწხბიშდ** (<\*ქა+ზ-ხბიშდ) „გამოართვა“; **ქწხყუშლ** (<\*ქა+ზ-ხყუშლ) „მოშორდა“; **ქწჩიმბჟი** (<\*ქა+ზ-ჩიმბჟი) „გიაშობ“...

რთულ პრევერბებში ბალსზემოურის **წ** ხმოვანს ლაშხურ დიალექტში შეესატყვისება გრძელი **წ**, რომელიც უძველესი ნაშთი ჩანს ლაშხურში. ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ონიანმა დასვა კითხვა: „აქ გრძელი ხმოვნის პალატალიზაციის პროცესი გვაქვს, თუ ორი ხმოვნის შეერთებით მიღებული სიგრძე? „დადგინდა, რომ ასეთი შესატყვისობა დასტურდება ორი მორფემის საზღვარზე, როცა ბზ. /წ/ და მისი შესატყვისი /წ/ ლაშხურში ორი ხმოვნის შეერთების საფუძველზეა მიღებული... თუ ზმნის ფორმაში არსებობს შედგენილ ზმნისწინთა {-ან} და {-ად} კომპონენტისეული /ა/ს პალატალიზაციის პირობა, მაშინ ხმოვანთა შეერთების საფუძველზე მიღებული გრძელი ხმოვანი ბალსზემოურში წარმოდგენილია /წ/ს სახით“ (ონიანი 1969 : 113-114), ამიტომ ბალსზემოურის **-ან**, **-ად** (>წთ) პრევერბები ლაშხურში იღებს **-ენ**, **-ეთ** (< **-ედ**) ფორმას. მაგ. ლშხ. **სგა+ენ** (<წწ) >**სგწწ**, **სგწწთის** (<\*სგა+ენ-თის), შდრ. ბზ. **სგწწთის** „შემოაბრუნა“; **სგწწსიბე** (<\*სგა+ენ-სიბე), შდრ. ბზ. **სგწწსიბე** „შემოუხვია“; „შემოიარა“; **სგწწვიდ** (<\*სგა+ენ-ვიდ) „შემოიყვანა, მოიყვანა“; **ქწწკჟიშ** (<\*ქა+ენ-კჟიშ) „გამოიტება“, „გამოჩეკა“ და სხვა.

**სგა+ეთ** (<წდ) > **სგწთ**: **სგწთმიტჟუნ** (<\*სგა+ეთ-მიტჟუნ) „შეეჩვია“; **სგწთგვრან** (<\*სგა+ეთ-გვრან) „შეევედრა“; **სგწთბლაცან** (<\*სგა+ეთ-ბლაცან) „ჩააცივდა“; **სგწთხანან** (<\*სგა+ეთ-თხანან) „შეხვდა“; **სგწთჭებდან** (<\*სგა+ეთ-ჭებდან) „შეემწყვდია“...

**ქა+ენ** (<წწ) > **ქწწ**: **ქწწსგიდდა** (<\*ქა+ენ-სგიდდა) „გამოიხედა“; **ქწწთიშ** (<\*ქა+ენ-თიშ) „გამოიჩრია“; **ქწწშგლდნე** (<\*ქა+ენ-შგლდნე) „გამოითვალა“; **ქწწთის** (<\*ქა+ენ-თის) „გამოაბრუნა“, „მოიწია მისკენ“; **ქწწჩაბი** (<\*ქა+ენ-ჩაბი) „გამოიხარშება“; **ქწწჟონე** <\*ქა+ენ-ჟონე (<\*ქა+ენ-ჟონე) „შემოიხვია“...

**ქა+ედ** (<წდ) > **ქწდ** / **ქწთ**: **ქწდღირ** (<\*ქა+ედ-ღირ) „მოიშორა“; **ქწთქადან** (<\*ქა+ეთ-ქადან < ლნტ. \*ქა-წთ-ე-ქადან) „აცდა“, „შეცდა“; **ქწდკიდ** (<\*ქა+ედ-კიდ) „გაიხადა“, „გაიძრო“; **ქწდკაფან** (<\*ქა+ედ-კაფან) „გადაიქცა“; **ქწთყარ** (<\*ქა+ეთ-ყარ) „მოეშვა“, „თავი დაანება“...

ორივე გრძელხმოვნიანი დიალექტისათვის საერთო **სგწწ-**, **სგწდ-**, **სგწთ-**, **ქწწ-**, **ქწდ-**, **ქწთ-** და მხოლოდ ბალსზემოურისათვის დამახასიათებელი **სგწწ-**, **სგწდ-**, **სგწთ-**, **ქწწ-**, **ქწდ-**, **ქწთ-** რთული პრევერბებისა, როგორც ბალსზემოურში, ისე ლაშხურში გვაქვს აგრეთვე: **ქწწ-**, **სგწწ-** გრძელხმოვნიანი პრევერბები, რომლებიც მიღებულია „სგა+ეს, ქა+ეს მარტივ პრევერბთა შეერთებით“ (თოფურია 1967 : 52):

ბზ., ლშხ. **სგა+ეს** > **სგწწ-**: **სგწწგე** (<\*სგა+ეს-გე) „ჩაადგა“; **სგწწდე** (<\*სგა+ეს-დე) „ჩადა“; **სგწწგოშე** (<\*სგა+ეს-გოშე) „ჩაასხა“; **სგწწთნიკ** (<\*სგა+ეს-თნიკ) „ჩაასხა სქელი, ბლანტი რამ“; **სგწწლუა** (<\*სგა+ეს-ლუა)

„შეაქვს“.

**ქა+ეს > ქეს-**: **ქესლუა** (<\*ქა+ეს-ლუა) „გააქვს“; **ქესლრი** (<\*ქა+ეს-ლრი) „გადის“; **ქესრეკნე** (<\*ქა+ეს-რეკნე) „გადაიკიდებს“; **ქესსიბდა** (<\*ქა+ეს-სიბდა) „გადაბრუნდა“.

მაშასადამე **ა+ე** კომპლექსის შერწყმა პრევებებში გვაძლევს გრძელ **ე** ხმოვანს.

პრევერბებთან გვხვდება გრძელი **ო**. როგორც ვარლამ თოფურისა აქვს აღნიშნული. „S<sub>1</sub>-ის **ჟ** (აგრეთვე **ხჟ**-ს ელემენტი -**ჟ**) სვანურში (ლენტეხურის გამოკლებით) იმსგავსებს **ა** წინდებულს, **ან-**, **ად-** და **ლა-** პრევერბთა **ა**ს, ბალსქვემოურსა და ლაშხურში **ეს**- წინდებულის **ე**ს და ორსავე ხმოვანს **ო**ს სახით წარმოგვიდგენს“ (თოფურია 1967 : 11). ეს „**ო სგა-**, **ქა-** პრევერბებთან მოხვედრისას იერთებს წინამავალ ხმოვანს და თვითონ გრძელდება ორივე გრძელხმოვიანი დიალექტში“ (იქვე, 59).

პრევერბებში გრძელ **ო**ს შემცველი ბალსზემოური და ლაშხური ფორმების ამოსავალი ფორმები რამდენიმე დაცულია ლენტეხურში, რადგანაც ამ დიალექტში არც პირველი სუბიექტური პირის ნიშანი და არც სასხვისო ქცევის **ო** პრევერბისეულ ხმოვნებს არ იმსგავსებს: ბზ., ლშხ.: **სგოშედ** (<\*სგა+ო-შედ) < ლნტ. **(სკა+ა'ა'შუდ)** „გაყვარე“; **ქოშედ** (<\*ქა+ო-შედ) < ლნტ. **(ქა+ა'ა'-შუდ)** „გადაყვარე“; „გაყვარე“; **სგოტეს** (<\*სგა+ო-ტეს) < ლნტ. **(სკა+ა'ა'-ტუტეს)** „შეგბრუნდი“; **ქოტეს** (<\*ქა+ო-ტეს) < ლნტ. **ქა+ა'ა'-ტუტეს** „გაგბრუნდი“; **სგონჯუ** (<\*სგა+ონ(<ან)-ჯუ) < ლნტ. **(სკა+ა'ან-ჟუჯუ)** „შემოვიყვანე“; „შემოვიტანე“; **სგონჯუედ** (<\*სგა+ონ-ჯუედ) < ლნტ. **(სკა+ა'ან-ჯუედ)** „შემოვიტანე“; **სგოთენიდენ** (<\*სგა+ოთ(<ად)-ენიდენ) < ლნტ. **(სკა+ა'ათ-ენიდენ)** „შევერიე“; ბზ. **ქოთუიქუთ** (<\*ქა+ოთ-უიქუთ) < ლნტ. **(ქა+ა'ათ-უიქუთ)** „მოვიპარე“...

პრევერბებთან გრძელი **ო** დასტურდება აგრეთვე, როცა **-ა**, **-ად** (>**ათ**), **-ეს** (<**ას**) მარტივ პრევერბთა ხმოვნის ასიმილაცია ხდება სასხვისო ქცევის **ო**სთან. შედეგად ვიღებთ **-ო**, **-ოთ** (<**ად**), **-ოს** პრევერბებს, რომელთა **სგა-**, **ქა-** პრევერბებთან შეხვედრა ქმნის **ა+ო**, ხმოვანთკომპლექსს, სადაც **ო** იერთებს წინამავალ **ა**ს, თვითონ გრძელდება:

ბზ., ლშხ.: **სგოთკუიშ** (<\*სგა+ოთ-კუიშ) < ლნტ. **(სკა+ა'ათ-ო-კუიშ)** „ჩაუტეხა“; „ჩაუტვრია“; **სგოთშიდ** (<\*სგა+ოთ-შიდ) < ლნტ. **(სკა+ა'ათ-ო-შიდ)** „საუყვარა“; **ქოთედ** (<\*ქა+ოთ-ედ) < ლნტ. **(ქა+ა'ათ-ო-ხინ)** „წაართვა“; **ქოთზგზე** (<\*ქა+ოთ-ზგზე) < ლნტ. **(ქა+ა'ათ-ო-უზე)** „გაუზზავა“; **სგონშიდ** (<\*სგა+ონ-შიდ) < ლნტ. **(სგა+ა'ან-ო-შიდ)** „შემოუყვარა“; **სგონკუარე** (<\*სგა+ონ-კუარე) ლნტ. **(სკა+ა'ან-ო-კუარე)** „შემოუგდო“; **ქონცუიე** (<\*ქა+ონ-ცუიე) < ლნტ. **(ქა+ა'ან-ო-ცუიე)** „წაუსვა“; **ქონომბუე** (ქრ. ნნ.) (<\*ქა+ონ-ომბაუე) „უამბო“.

ზოგჯერ გრძელი **ო** შეიძლება შეგვხვდეს **ჩუ-** ზმნისწინთანაც, როცა იგი დაერთვის ასიმილაციით მიღებულ **-ონ** (<**ან**), **-ოთ** (<**ად**) მარტივ პრევერბებს. აქ იქმნება **უ+ო** კომპლექსი სადაც **ო** ხმოვანი ზოგჯერ იერთებს წინამავალ **უ**ს და თვითონ გრძელდება: **ჩონჩად** (<\*ჩუ+ონ-ჩად) შდრ. ლნტ. **(ჩჩუ+ან-ჩუად)** „ჩამოველით“; **ჩონტეს** (<\*ჩუ+ონ-ტეს) შდრ. ლნტ. **(ჩჩუ+ან-ტუტეს)** „ჩამოგბრუნდი“; **ჩოთქუიცი** (<\*ჩუ+ოთ-ქუიცი) შდრ. ლნტ. **(ჩჩუ+ათ-ო-ქუიცი)** „გაუწყვიტა“.

გაუჭრა“; **ჩოთშიდ** (**<ჩუ+ოთ-შით**) შდრ. ლნტ. (**<ჩუ+ათ-ო-შიდ**) „დაუყარა“.

**ჩუ-** პრევერბთან სიგრძე თითქმის არ გვხვდება, ზოგი გამონაკლისის გარდა, რადგანაც მისი ხმოვნითი კომპონენტი ელიზიურია ან ნაწილობრივ რედუცირდება სვანურის დიალექტებში. არის შემთხვევები, როცა **ჩუ-** პრევერბის **უ** უცვლელად გვხვდება იდენტურ **უ**სთან შეხვედრის დროსაც მაგ.: **ჩუ უსგურა** „დაუჯდომელი“; **ჩუ უდგარა** „მოუკვლელი“, „უკვდავი“; **ჩუ უწია** „დაუპატიჟებელი“.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ **ჟი-** პრევერბისეული **ი** ერწყმის მხოლოდ ფუძისეულ ან ვნებითობის გადმომცემ **ი** ხმოვანს ორივე გრძელხმოვნიან დიალექტში. **ჟიკედ** (**<ჟი+ი-კედ**) „აიღებს“; **ჟინხელი** (**<ჟი+იხელი**) „იპოვის“; **ჟიქმე** (**<ჟი+იქმე**) „მოითიბავს“; **ჟირმი** (**<ჟი+ირმი**) „დაიჭერს“; „სხვა ხმოვნებთან **ჟი** პრევერბისეული **ი** ხმოვანი სიგრძეს არ გვაძლევს, რადგანაც ის ყველა დიალექტში ელიზიას განიცდის“ (ქალდანი 1953 : 192).

ამრიგად, პრევერბისეული ხმოვნის სხვა პრევერბის, ფუძის, ვნებითის ან ქცევის ხმოვნებთან შეხვედრის დროს იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელ იდენტურ ხმოვანთა **ა+ა=ა**, **ი+ი=ი** და სხვადასხვახმოვნიანი **ა+ა=ა** — ბზ., **ა+ე=ე**, **ა+ო=ო**, **უ+ო=ო** კომპლექსები, სადაც მომდევნო ხმოვანი იერთებს წინა ხმოვანს, თვითონ კი გრძელდება შერწყმის პროგრესული მიმართულების საფუძველზე.

### სახელის ბოლოკიდური ხმოვანი+ხმოვნით დაწყებული სუფიქსები

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ყველაზე მეტი გრძელი ხმოვანი სვანურში დასტურდება დახურულ მარცვალში **რ**ს წინ და სხვა სონანტთა **ლ**, **ნ**, **ჟ** და ნაწილობრივ **მ**ს წინ. უფრო ხშირად კი დასახელებულ სონანტთა წინ ხმოვნის დაგრძელება იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ისინი ბოლო მარცვლის პოზიციაში არიან მოქცეულნი“ (ყლენტი 1949 : 82). შენიშნულია ისიც, რომ „სონორების მეზობლობა უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხმოვნის დაგრძელებისათვის საზოგადოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ სონორების წინ გვქონდეს გრძელი ხმოვანი. გრძელი ხმოვანი ყველა თანხმოვნის წინ გვხვდება და იგი შეიძლება იყოს სიტყვის თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც ამდენად, ბგერითი გარემოცვა არ იძლევა გასაღებს თანამედროვე სვანურში გრძელი ხმოვნის არსებობის ახსნისათვის“ (ყლენტი 1962 : 213).

აღნიშნულ პოზიციაში ხმოვნის დაგრძელებას შეიძლება მართლაც ხელს უწყობს სონანტთა მეზობლობა, მაგრამ პირველ რიგში მათ წინ სიგრძეთა სიჭარბე უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ სვანურში მორფოლოგიური ფორმანტების შედგენილობაში, როგორც პრეფიქსებში, ისე სუფიქსებში, ე. ი. **cv** და **vc** სტრუქტურის ფორმანტებში, თანხმოვნით ნაწილად უმეტესად სონორები დასტურდება — განსაკუთრებით ხშირად **რ**, **ლ** და **ნ**, შედარებით ნაკლებად **მ**, ხოლო რაც შეეხება **ჟ**ს, ის იშვიათად შედის უშუალოდ მორფმათა შედგენილობაში, მაგრამ სიგრძე ამ თანხმოვნის წინ მაინც ხშირად გვხვდება, განსა-

კუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ის **ო** ან **უ** ხმოვნის რედუქციის შედეგადაა მიღებული. რაც მთავარია, ამ თანხმოვნებს ხმოვანი ახლავთ, რომელიც მორფემათა ზღვარზე ხვდება ფუძისეულ ან სხვა მორფემისეულ ხმოვანს, ე. ი. იქმნება ხმოვანთა კომპლექსები — გრძელი ხმოვნის გაჩენის წინაპირობა.

### §1. ხმოვანფუძიანი სახელი+მრავლობითი რიცხვის მორფემა

სონორ თანხმოვანს შეიცავს მრავლობითი რიცხვის ნიშანი სვანურში (ზს., ლნტ. **-წრ** და მისი ფონეტიკური ვარიანტი **-წლ**, ლაშხურში **-არ**, **-ალ**, **-ელ**), რომელიც ხან გრძელი ხმოვნით, ხან სიგრძის გარეშე გვხვდება. ალექსანდრე ონიანის აზრით, რიცხვის კატეგორიის აღმნიშვნელ „ალომორფთა განაწილება სახელის ფუძის აგებულებით არის გამოწვეული, ამიტომ ბუნებრივი იქნება, ისინი... მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებად მივიჩნიოთ და ფონეტიკურად ერთმანეთთან არ დავაკავშიროთ“ (ონიანი 169 : 116).

თინათინ შარაძენიძემ ვარაუდობს, რომ **-წრ** ერთვის თანხმოვანფუძიან სახელებს და დისიმილაციას განიცდის **რ**ს შემცველ ფუძეებთან, ხოლო თუ „**-წლ** სუფიქსი **-ა** და **-ე** ბოლოხმოვიანი სახელებს ერთვის, ფუძის ბოლო ხმოვნები მრავლობითის **-წ<sup>1</sup>** ხმოვანს შეერწყმის: **ა+წლ<sup>65</sup> > -წლ, ე+წლ > წლ** (შარაძენიძე 1955 : 189).

„მრავლობითობის მორფემის გრძელხმოვიანი ალომორფი, როგორც ბალსზემოურში, ისე ლაშხურში, მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, როცა ფუძისეული მორფემა **/ე/** ან **/ა/** ხმოვნით ბოლოვდება... გრძელი ხმოვანი (ბზ. **-წ<sup>1</sup>**, ლშხ. **-ჲ**) მიღებულია ორი ხმოვნის შეერთებით: სუფიქსისეული მოკლე ხმოვისა (ბზ. **/ა/**), ლშხ. **/ე/** და წინამავალი ფუძისეული **/ე/**, **/ა/** ხმოვნების შეერთებით ვიღებთ გრძელხმოვიან ალომორფებს: ბზ. **მარე** „კაცი“, **მარწლ** (**\*მარე+წლ**) „კაცები“, **ლარე** „სათიბი“ **ლარწლ** (**\*ლარე+წლ**) „სათიბები“; **დინა** „გოგო“ **დინწლ** (**\*დინა+წლ**) „გოგოები“, **შირა** „დოლაბი“ **შირწლ** (**\*შირა+წლ**) „დოლაბები“. ლშხ. **მარე** „კაცი“ **მარელ** (**\*მარე+ელ**) „კაცები“; **ლარე** „მინდორი“ — **ლარელ** (**\*ლარე+ელ**) „მინდვრები“; **შირა** — **შირელ** (**\*შირა+ელ**) „დოლაბები“... (ონიანი 1969 : 115).

ზოგჯერ ლაშხურ დიალექტში **-წრ** და **-წლ** მორფემებიც გვხვდება (ნიქჰარ **\*ნიქჰა+არ** „წარბები“, **დაშნარ** **\*დაშნა+არ** „დაშნები“, **კარწლ** **\*კარწა+არ** „წვივები“ შდრ. ლნტ. **კარწაშ** ნათ ბრუნვაში...).

როგორც ცნობილია, „თუ სახელის ფუძე თანხმოვნით ან **/ი/** და **/უ/** ხმოვნებით ბოლოვდება, მაშინ, როგორც ლაშხურში, ისე ბალსზემოურში, მრავლობითი რიცხვის მორფემა სიგრძის გარეშეა წარმოდგენილი: ბზ. **გან** — **განწარ** „ხარები“, **ქორ** — **ქორწლ** „სახლები“ **კუწში** — **კუწშიწარ** „მჭადები“, **ში** — **შიწარ** „ხელები“, **ტუნუ** — **ტუნუწარ** „ქოთნები“; ლშხ. **გან** — **განარ**, **ქორ** — **ქორალ**, **კუწში** — **კუწშიარ**, **ტუნუ** — **ტუნუარ** (ონიანი, იქვე). არა გვაქვს სიგრძე არც **ო**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან, რომლებიც ძალიან იშვიათია სვანურში: **გურო** — **გუროწლ** „ურქო თხები“; **ოქრო** — **ოქროწლ** || **ოქრწლ**

<sup>1</sup>როგორც ჩანს, აქ კორექტურული შეცდომაა, ალბათ უნდა იყოს **წ** გრაფემა (სიგრძის გარეშე).

„ოქროები“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ თანხმოვანფუძიან სახელთა შესახებაც, რომელთა მრავლობითი რიცხვის ნიშნისეული ხმოვანი გრძელია. თინათინ შარაძენიძე ასეთ სახელებთან (**ზურალ — ზურალწარ** „ქალები“, **ვუნენე — ვუნენწარ** „უბეები“, **მეგარ — მეგარწლ** „მხრები“...) დაკარგულად ვარაუდობს ა ხმოვანს, რომელიც დაცულია ნათესაობითში (**ზურალაშ, ვუნენაშ, მეგარაშ**) (შარაძენიძე 1955, 190). გრძელი ხმოვანით არის წარმოდგენილი მრავლობითობის მორფემისეული ხმოვანი **ზურალ** ფუძესთან ლაშხურ დიალექტშიც (**ზურალ-ელ**).

ალექსანდრე ონიანის აზრითაც ეს ფუძე /ა/-თი ბოლოვდებაოდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფუძისეული ბოლო მარცვლის /ა/ ბალსზემოურში არ არის უმლაუტიანი (შდრ. აგრეთვე ლშხ. ნათ. ბრუნვის ფორმა **ზურალ-აშ**). ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვის შემდეგ, რაც სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა, მრავლობითობის გრძელხმოვანი ალომორფი ტრადიციით შემოგვინახა (ონიანი 1969 : 15).

ამავე რიგის სახელებია **მეთხუიარ** „მონადირე“, **ბარჯ** „ბეჭი“, **ჩაფრასტ** — „ზედა ტანის შესაკრავი“; „სამკაული ქალისა“ (შდრ. ხევსურული **ჩაფურასტი**)... (შდრ. **მეთხუიარწლ** — „მონადირეები“, **ბარჯწლ** || **ბარჯწლ** „ბეჭები“, **ჩაფრასტწლ** — „ჩაფურასტები“...). საფიქრებელია, რომ ამ სახელებში მრავლობითი რიცხვის ნიშნისეული -ა დაგრძელდა მაშინ, როცა ფუძისეული ა ხმოვანი ჯერ კიდევ მოკვეცილი არ იყო, ამიტომაც მრავლობითში მან კვალი დატოვა სიგრძის სახით.

იშვიათად გვხვდება ი-ზე დაბოლოებულ სახელებთან მრავლობითის მორფემისეული ხმოვანი გრძელი: ბზ. **მუშგური** „სტუმარი“, **მუშგურწლ** (**მუშგურიწლ**), ლშხ. **მგრმი** „დამჭერი“ **მგრმლა** (**მგრმიწალ**), **მენჯრი** „თანხლები“ **მენჯრალ-ა** (**მენჯრიწალ**). აქ, როგორც ჩანს, ორმაგი მრავლობითი გვაქვს, -ალ სუფიქსს (თუ ის მრავალგზისობის მაჩვენებელი არაა) კვლავ დაერთო -ა მაწარმოებელი.

ამრიგად, ფუძისეული ხმოვნისა და მრავლობითი რიცხვის მორფემის კომბინაციით იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი შემდეგი ხმოვანთკომპლექსები: ბალსზემოურ დიალექტში: **ა+ა>წ**; **ე+ა>წ**, ლაშხურში **ა+ა>წ** (იშვიათად), **ა+ე>წ**, **ე+ე>წ**. აქაც ხმოვანთა შერწყმა პროგრესული მიმართულებისაა — მომდევნო ხმოვანი იერთებს წინამავალ ხმოვანს და თვითონ გრძელდება.

## §2. ხმოვნის სიგრძე თანდებულ და ნაწილაკდართულ ფუძეებთან

ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი ხმოვანთკომპლექსები იქმნება მაშინაც, როცა ბოლოხმოვანი ფუძეებს დაერთვის, ხმოვანით წარმოდგენილი ან თავკიდურხმოვანი თანდებულები და ნაწილაკები. აქაც, ძირითადად, ის პროცესები მიმდინარეობს, რაც სხვა მორფემათა მიჯნაზე შექმნილ პოზიციებში. ადგილი აქვს თანდებულისა და ნაწილაკის ხმოვანთი კომპონენტის ნაწილობრივ ან სრულ შერწყმას წინამავალ ხმოვან-

თან, რომელიც, როგორც წესი, გრძელდება.

### §3. -ისგა თანდებული და ხმოვნის სიგრძე

სვანურ თანდებულთაგან თავიდურხმოვნია ზემოსვანური **-ისგა** „მი“ და მისი ფონეტიკური სახესხვაობანი: ლშხ. **-ისა**, ლნტ. **-ისკა**. ლაშხური **-ისა** ზემოსვანური **-ისგა** ფორმის **-გ-** დაკარგული ვარიანტია, ხოლო ლენტეხურ დიალექტში, მისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური წესების შესაბამისად, მკვეთრი თანხმოვანია წარმოდგენილი.

სერგი ყლენტი ადნიშნული აქვს: „ზოგჯერ ფუძისეული ან თანდებულისეული **ი** ხმოვნობას კარგავს, თვითონ **ი** ოტად იქცევა და გამოვლენილ ხმოვანს აგრძელებს“ (ყლენტი 1949 : 75). მკვლევარი **-ისგა** თანდებულის დართვის შედეგად მიღებული სიგრძის სამ მაგალითს ასახელებს: ბზ. **კიბდუენთესგა** „კი-ღობანში“, **ამესგა** „ამაში“, ლშხ. **გუმსა** „გულში“ (იქვე).

გრძელხმოვიან დიალექტებში ადნიშნულ პოზიციაში (ხმოვანფუძიან სახელს + ბზ. **ისგა**, ლშხ. **-ისა**) დასაშვებია შეიქმნას შემდეგი ხმოვანთკომპლექსები: ბზ. **ჰიი**, ლშხ. **აიი**, ბზ., ლშხ. **ეიი**, **იიი**, **ოიი**, **უიი**, **გაიი**. ამ კომპლექსთაგან გრძელი ხმოვნის წარმოქმნის შემთხვევები ბალსემოურში მხოლოდ **ეიი** და იშვიათად **უიი** კომპლექსებში დავადასტურეთ, ხოლო ლაშხურში ამ პოზიციაში ყველა კომპლექსის ხმოვანთა შერწყმა წარმოქმნის მორფემათა მიჯნაზე გრძელ ხმოვანს (გამონაკლისია **გაიი**).

**-ისგა** (ლშხ. **-ისა**) თანდებულის **ი** უცვლელად გვხვდება თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეების მომდევნოდ: **ლინთჷისგა** (ქრ. 134) „ზამთარში“, **ლადღისგა** (იქვე) „დღეში“, ლშხ. **ცხეკარისა ი ლახჷარისა** (არს. ონ. 60, 22) „ტყეებში და მთებში“.

**-ისგა**, **-ისა** თანდებულის **ი** კომპონენტის მიერ გამოწვეული სიგრძის სიხშირის მიხედვით არაა ერთგვარობა ბალსემოურსა და ლაშხურ დიალექტებს შორის, ადნიშნულ პოზიციაში ორივე დიალექტში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება **ეიი** ხმოვანთკომპლექსი, სადაც ხდება ფონემათა სრული შერწყმა ერთ გრძელ ხმოვანად. ბალსემოურში წინამავალი **ე** მთლიანად იერთებს მომდევნო **ი** ხმოვანს და თვითონ გრძელდება **ეიი=ე**, ხოლო ლაშხურში ნაწილობრივი შერწყმით, დიფთონგიზაციის გზით ვიღებთ **ეი** გრძელხმოვიან დიფთონგს.

**ეიი** კომპლექსის შექმნის სიხშირეს ორივე დიალექტში განაპირობებს ისიც, რომ **-ისგა**, **-ისა** თანდებულების წინ სახელს ხშირად დაერთვის **-თე** („კენ“) თანდებული, რომელსაც მოსდევს **-ისგა**, **-ისა** მარტივი თანდებულები; ამის შედეგად ბალსემოურში ვიღებთ **-თესგა**, ხოლო ლაშხურში **-თემსა** რთულ თანდებულებს:

ბზ. **გელაშერთესგ** ათხემა (**გელაშერთეისგა**) ათხემა (ქრ., 7) „გელასიანებთან შეუსწრია“, **გუთესგა** (**გუთეისგა**) ათცადა (იქვე, 78) „გულში ჩავარდნია“, **ენხაჷთესგა** (**ენხაჷთეისგა**) აშიდ (ბზ., 32, 15) „იმაში ჩაყარა“. ბალსემოურ პუბლიკაციებში, განსაკუთრებით უმგულურ კილოკავში არის ისეთი შემთხვევებიც, სადაც **-თეისგა**ს **ი** ოტადაა ქცეული, მაგრამ წი-

ნამავალი ხმოვანი მაინც სიგრძის გარეშე: **ფედიათემა** (ბზ., 72, 29) — „ახლოში (ახლოსკენ)“, **კანართემა** (იქვე, 79, 17) „კეისრისკენში“; **ცხეკთემა** (იქვე: 76, 35) „ტყეში“. რაც შეეხება ლაშხურს, აღნიშნულ პოზიციას უფროსად გრძელი ხმოვანი გვაქვს: **ფაშთემა** (**\*ფაშთე+ისა**) (IV, 236, 20) „ფაშეში“; **ჩიხრეშთემა** (**\*ჩიხრეშთე+ისა**) (იქვე: 194, 10) „ჩიხარეში“; **ლერმელთემა** (**\*ლერმელთე+ისა**) ონჭად (ლშხ. ქრ. 255) „ლერმელში (ტოპ.) მოვედით“. იგივე ვითარებაა ამ დიალექტში ხმოვნების მომდევნო პოზიციას მყოფ **-ისა** თანდებულთანაც, რომლის **ი** მოტადაა ქცეული, მის წინ მდგომი ყველა ხმოვანი კი გრძელია. ეს წესი ლაშხურში თითქმის უგამონაკლისოდ და დაცული.

**ა+ი>ან**: **ყინმა** (**\*ყია+ისა**) ოხთილ (ქრ., 289) „ყელში წაუჭირა“; **მინე დგმმა** (**\*დგმა+ისა**) (არს. ონ., 12, 31), „მათ მოდგმაში“; **ლარანმა** (**\*ლარა+ისა**) ლგანს (IV, 52, 15) „მინდორში იდგნენ“; **ლაქმმა** (**\*ლაქმა+ისა**) „სათბში“.

**ე+ი>ენ**: **ერმა** (**\*ერე+ისა**) არი (არს. ონ., 5, 19) „იმაში არის“; **ლითრმა** (**\*ლითრე+ისა**) ოხსერა „სმაში უჯობნია“; **ამმა** (**\*ამე+ისა**) „ამაში“. **მერმმა** (**\*მერმე+ისა**) „მეორეში“; **გურმა** (**\*გურე+ისა**) „ტყაში“.

**ი+ი>ინ**: **ტებდმა** (**\*ტებდი+ისა**) ჳედნის „სითბოში მოდიან“; **ლანმა** ხანგდა „თესლოში ურევიან“; **თავრობა შინმა** (**\*ში+ისა**) (IV, 194, 10) „მთავრობის ხელში“; ამ ფუძესთან დავადასტურეთ სრული შერწყმაც **ი+ი>ინ**, დადამა **შინმა** (**\*ში+ისა**) (IV, 195, 10) „დადიანის ხელში“.

**ო+ი>ონ**: **ლიგერგი თრმა** (**\*თო+ისა**) (არს. ონ., 14, 24) „გიორგობის თვეში“. **თორმმა** (ქრ., 276) „ორმოში“, **ლობიონმა** ხეობ „ლობოში უმერებიან“, **სავადმყოფონმა** არი „სავადმყოფოში არის“. ე. ი. **ო+ი>ონ**.

**უ+ი>უნ**: **მიშგუა გუმა** (**\*გუ+ისა**) (ქრ., 255) „ჩემს გულში“; **მცხიერმა** (**\*მცხიერე+ისა**) (IV, 55, 36) „სიცივეში“; **ფაშმა** ხოახ „ჯონში მოხვდა“; **ტუნმა** (**\*ტუნე+ისა**) ხოშხუნა „ქოთანში შეუნახავს (აქვს შენახული)“. **თუმა** (**\*თუ+ისა**) ხონგდეს „თაფლში ურევენ“.

შეიძლება დავასკვნათ:

1. ბალზემოურ დიალექტში **-თე+ისა** თანდებულთა მიერ შექმნილ მორფემათა მიჯნაზე **ე+ი** კომპლექსის სრული შერწყმა ხდება ერთ გრძელ ხმოვნად. წინამავალი **ე** იერთებს თანდებულისეულ **ი**ს და თვითონ გრძელდება.

2. რაც შეეხება ლაშხურ დიალექტს, ბოლოხმოვანი სახელის მომდევნო პოზიციას მყოფი **-ისა** თანდებულისგან მიღებული კომპლექსი იშლება დიფთონგიზაციის გზით საბოლოოდ ვიდებთ გრძელხმოვანი დიფთონგებს: **ა+ი>ან**; **ე+ი>ენ**. **ი+ი>ინ**; **ო+ი>ონ**; **უ+ი>უნ** წინამავალი ხმოვანი აუმატოვებს და იერთებს მომდევნო **ი** ხმოვანს, თვითონ კი გრძელდება.

#### §4. -გდ / -უდ „კვლავ“ ნაწილაკი და ხმოვნის სიგრძე

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, „რომ პრევერბისეულ ბოლოკიდურ ხმოვანზე **-გდ** ნაწილაკის დართვისას გრძელი ხმოვანი მიიღება“

(ჟღენტი 1949: 74).

მასალის მიხედვით გაირკვა, რომ **ჟი-**, **ჩუ-**, **სგა-**, / **სკა-**, **ქა-** პრევერბების გარდა, ბზ. **-გდ**, ლშხ **-უდ** ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ნებისმიერ ფუძეს და, ოგორც წესი, ბოლოთანხმოვნიანებთან იგი ორივე დიალექტში უცვლელად იქნება წარმოდგენილი:

ბზ.: **აჯადგდ** ხაქუ (ქრ., 167) — „კვლავ უთხრა“; **ამჟინგდ** ვდხნდე (ლ, 110, 27) — „კვლავ ასე გაახარა“; **ღუაშგდ** ვნვიდ (ქრ., 79) — „კვლავ ჯიხვი მოიტანა“...

ლშხ.: **ამნემუდ** ლახომ (IV, 116, 28) — „კვლავ ამან მისცა“; **ხეჭუდ** დემდუს (იქვე, 86, 35) — „კვლავ უთხრა დათვს“; **ზითუნახაჟდუდ** ლახტულე (იქვე, 80, 29) — „კვლავ მზეთუნახავმა დაუძახა“...

როცა ბალსზემოურის ბოლოხმოვნიან ფუძეებს დაერთვის **-გდ** ნაწილაკი, იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი: **ა+გ**, **ე+გ**, **ი+გ**, **ო+გ**, **უ+გ** კომპლექსები, სადაც **გ** იკარგება, მისი გაუჩინარება კი იწვევს წინამავალი ხმოვნის დაგრძელებას. აქ ფუძისეული და ნაწილაკისეულ ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე:

**ა+გ>ა:** **ეჯად** (<\*ეჯა+გდ) ხელდღდა (ქრ., 23) — „კვლავ ის მწემსავდა“; **დემად** (<\*დემა+გდ) ჯაჰვიდ (ლ, 243, 12) — „კვლავ არ მოგცემს“; **ქად** (<\*ქა+გდ) იხელაზხ (ქრ., 20) — „კვლავ დადიან“; მერმა **ადგილქად** (<\*ადგილქა+გდ) ხოთხრენი (იქვე, 144) — „მეორე ადგილზე კვლავ გაუსკდება“...

**ე+გ>ე:** **ლაყართედ** (<\*ლაყართე+გდ) აჩადხ (ლ, 189, 26) — „კვლავ ყავრის გამოსახდელად წავიდნენ“; **ავითედ** (<\*ავითე+გდ) ატახ (იქვე, 165, 25) — „კვლავ სახლში დაბრუნდა“; **ათხედ** (<\*ათხე+გდ) ადგარ (იქვე, 107, 26) — „ახლა კვლავ მოკლა“; ეჯ **მეზგედ** (<\*მეზგე+გდ) ვნიაცხენხ — „კვლავ ის ოჯახი გაადვიძეს“...

**ი+გ>ი:** ეს კომპლექსი განსაკუთრებით ხშირად იქმნება, როცა **ჟი** პრევერბსა და თანდებულს **-გდ** ნაწილაკი დაერთვის. **-გ** უჩინარდება და **-ი** ხმოვანი გრძელდება: **ამჟინდ** (<\*ამჟი+გდ) ნად (ქრ., 14, 2) — „კვლავ ასე გვქონდა“; **იგუნინდ** (<\*იგუნი+გდ) (იქვე, 165) — „კვლავ ტირის“; **ჟინდ** (<\*ჟი+გდ) ოხვიდ (ლ, 105, 26) — „კვლავ ამოუტანა“; **ნათინდ** (<\*ნათი+გდ) ხაშემინ — „კვლავ წილი მოსთხოვა“...

**ო+გ>ო:** **-ო** ბოლოხმოვნიანი ფუძეების სიმცირის გამო, ბალსზემოურ დიალექტებში ეს პოზიცია ვერ დავადასტურეთ, ჩვენი მასალის მიხედვით კი, როცა **-ო** ბოლოხმოვნიან ლექსემას დაერთვის **-გდ** ნაწილაკი ფუძისეული ხმოვანი გრძელდება.

მაგ.: **ჟორმოდ** (<\*ჟორმო+გდ) ოხმთხარახ — „კვლავ ორმო ამოუთხრიათ“; **გადოდ** (<\*გადო+გდ) ოხვიდახ — „კვლავ გულთმისანი (მკითხავი) მოუყვანიათ“; **ჯოტოდ** (<\*ჯოტო-გდ) ოხთხახ — „კვლავ ჯოტო მოუძებნიათ“...

**უ+გ>უ:** **ჩუდ** (<\*ჩუ+გდ) ვდჰელან (ქრ., 155) — „კვლავ იელვა“; **ჩუდ** ვდზუერ (ლ, 165, 13) — „კვლავ შეაგროვა“; **ბაშუდ** (<\*ბაშუ+გდ) ოთგრმახ — „კვლავ ბაშუ დაუჭერიათ“; **ლგდგარუდ** (<\*ლგდგარუ+გდ) იხტრიელის — „კვლავ მიცვალბებულები გროვდებიან“...

როგორც ვნახეთ, ლაშხურ დიალექტში ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან ქართული „კვლავ“ მნიშვნელობის ნაწილაკი **-უდ** ფორმით დასტურდება, ხოლო, როცა ბოლოხმოვნიან ფუძეებს დაერთვის **-უდ** ნაწილაკი, ხშირად **უ** ხმოვანი **ჟ** სონანტად იქცევა და წინამავალი ფუძისეული ხმოვანი გრძელდება, ე. ი. კომპლექსისეული მეორე ხმოვანი ნაწილობრივ რედუცირდება (მარცვლოვნობას კარგავს). დასახელებულ პოზიციაში ლაშხურ დიალექტში იქმნება: **ა+უ, ე+უ, ი+უ, ო+უ და უ+უ** ხმოვანკომპლექსები, სადაც ნაწილობრივი შერწყმით ვიღებთ შესაბამის: **-აჟ, -ეჟ, -იჟ, -ოჟ და -უჟ** გრძელხმოვნიან დიფთონგებს:

**ა+უ>აჟ: ქაჟდ** (< \*ქა+უდ) ედტიხ (ქრ., 244) — „კვლავ უკან დაიბრუნა“; **ქაჟდ** ახბნდნა (IV, 94, 8) — „კვლავ გამოურთმევია“; **ხოხრაჟდ** (< \*ხოხრა+უდ) ენთიმ — „კვლავ უმცროსი აირჩია“; **ხოჩაჟდ** ოხჯიდ — „კვლავ კარგი მოუტანა“. ზოგჯერ გამოცემულ ლაშხურ ტექსტებში **-უდ** ნაწილაკი ხმოვნების შემდეგ უცვლელად გვხვდება. ჩვენი დაკვირვებით (მაგ. სოფელ ახალშენში) აღნიშნულ პოზიციებში **-უდ** ნაწილაკისეული **-უ**, ძირითადად, **-ჟ**დ არის ქცეული, წინამავალი ხმოვანი კი, გრძელია.

**ე+უ>ეჟ: ეს** კომპლექსი დაბეჭდილ ტექსტებში შეიძლება უცვლელად შეგვხვდეს, მაგრამ ხშირად თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ნაწილაკის **-უ** ხმოვანი **-ჟ**დ არის ქცეული და წინამავალი **ე** გრძელია: **მანჟდ** (< \*მანხე+უდ) ოხჯად (IV, 100, 14) — „კვლავ ახალი მოუვიდა“; ლადი **მე-ფხჟდ** (< \*მეფხე+უდ) ლი — „დღეს კვლავ დარია“; **ადჟდ** (< \*ადჟე+უდ) ბოფშ — „კვლავ წაიყვანა ბავშვი“; **ფხუღჟდ** (< \*ფხუღე+უდ) ედქშიც — „კვლავ თითი გაიჭრა“...

**ი+უ>იჟ: ყინჟდ** (< \*ყინ+უდ) ოხგონვეხ (IV, 89, 13) — „კვლავ მოუგონეს“; **ყინჟდ** ახქუიციხ (იქვე, 100, 14) — „კვლავ მოჭრეს“; **მანჟშიჟდ** (< \*მანჟში+უდ) ენიერეს — „კვლავ უფროსი მოიხმეს“; **მეკჟშინჟდ** (< \*მეკჟშინ+უდ) ამზერი — „კვლავ მეკვლე ლოცავს“; **კჟაშიჟდ** (< \*კჟაში+უდ) ანაყეს — „კვლავ მჭადი გამოაცხვეს“...

**ო+უ>ოჟ: ფაჩოჟდ** (< \*ფაჩო+უდ) იშემინხ — „კვლავ ფაჩო ითხოვეს“; **ჟორმოჟდ** ანგომლეს — კვლავ ორმო აავსეს“; **სოჟდ** ლანომ — „კვლავ სვე (ბარაქა) მისცა“; **გიგოჟდ** (< \*გიგო+უდ) აჩად — „კვლავ გიგო წავიდა“...

**უ+უ>უჟ / -უჟ: უ** ბოლოხმოვნიან ფუძეებზე **-უდ** ნაწილაკის დართვით შექმნილ **უ+უ** ხმოვანკომპლექსი ლაშხურ დიალექტში შეიძლება უცვლელად შეგვხვდეს ან მათი ნაწილობრივი შერწყმით **-უჟ** გრძელხმოვნიანი დიფთონგი მივიღოთ.

მაგ: **ჩუჟდ** (< \*ჩუ+უდ) ლახაშ სგიმ (IV, 90, 1) — „კვლავ დააღვივებ ვედა“; **ჩუჟდ** ესგურდა (იქვე, 110, 13) — „კვლავ დაჯდა“; კესარდ **ეშხუჟდ** ხნქჟ (იქვე, 84, 17) — „კეისარმა კვლავ ერთი უთხრა“; **ჭურჟდ** ოხსყე — კვლავ ხერელი გაუკეთა“; **ფაჟდ** ახფიშდ — „კვლავ ჯოხი ესროლა“...

მამასადმე, ლაშხურ დიალექტში ბოლოხმოვნიან ფუძეებთან ბალსზემოურისაგან განსხვავებული ვითარება დადასტურდა — **ა+უ>აჟ; ე+უ>ეჟ, ი+უ>იჟ, ო+უ>ოჟ, უ+უ>უჟ** ხმოვანკომპლექსები იშლება დიფთონგიზაციის გზით და ვლელბობთ გრძელხმოვნიან დიფთონგებს.

შეიძლება დაისვას ბალსზემოური **-გდ** და ლაშხური **-უდ** „კვლავ“ ნაწილაკების ურთიერთმიმართების საკითხი. საფიქრებელია, რომ ბალსზემოური **-გდ** ფორმა, ლაშხურში დაცული **-უდ**-ის ფონეტიკური ვარიანტია. სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ „**გ** დელაბიალიზებული **უ** ხმოვანია“ (ჟღენტი, 1949 : 66). „**გ** ხმოვანი, მსგავსად ნებისმიერი სხვა ხმოვნისა, ყოველგვარი ხმოვნური თვისებებით ხასიათდება, ამიტომ არ არის მართებული მის აღმნიშვნელად ისეთი ტერმინები გამოყენება, როგორც არის „ნახევარხმოვანი“ ან ირაციონალური ხმოვანი“ (ონიანი 1998 : 12).

ამიტომაც ვამბობთ, ბალსზემოურში ადგილი აქვს ორი ხმოვნის შერწყმას ერთ გრძელ ხმოვნად.

### §5. უ „მცა“ ნაწილაკი და ხმოვნის სიგრძე

სვანური ენის გრძელხმოვიანი დიალექტებში არაერთი თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას **-უ** „მცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქცია. როცა **-უ** დაერთვის ბოლოხმოვიან ფუძეებს, მაშინ ამ უკანასკნელთა აუსლაუტი სიგრძეს შეიცავს. თავის დროზე, სვანურ პრევერბთა თავისებურებების განხილვისას, ვარლამ თოფურია საგანგებოდ მსჯელობდა ამ მოვლენის შესახებ პრევერბებში: „პრევერბებს დაერთვის **-უ**, რომელიც ხმოვნის შემდეგ იქცევა **-უ**დ და, ჩვეულებრივ, ლაშხურსა და, ხშირად, ბალსზემოურში წინამავალ ხმოვანს აგრძელებს“ (თოფურია 1967 : 61). ამ დაკვირვების გათვალისწინებით სერგი ჟღენტი აღნიშნავდა, რომ „ქართული **მცა** ნაწილაკის დანიშნულების **-უ** ელემენტი, რომელიც ხშირად მოუდის ბოლოხმოვიან სახელებს, ხმოვნობას კარგავს და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს“ (ჟღენტი 1949 : 75).

ჩვენი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ორივე გრძელხმოვიანი დიალექტში, როცა ბოლოხმოვიან ფუძეებს დაერთვის **-უ** „მცა“ ნაწილაკი, მორფემათა მიჯნაზე იქმნება: **ა+უ, ე+უ, ი+უ, უ+უ, ო+უ** გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი ხმოვანთკომპლექსები, სადაც ხდება **-უ** ნაწილაკის ნაწილობრივი რედუქცია, მისი ნაწილობრივი შერწყმა წინამავალ ხმოვანთან, რომელიც გრძელდება და ვიღებთ შესაბამის: **-აუ; -ეუ; -იუ, -იუ; -უუ** გრძელხმოვიან დიფთონგებს. **უ+უ** ხმოვანთკომპლექსებში ზოგჯერ ხდება ორი იდენტური **-უ**-ს სრული შერწყმა ერთ გრძელ უდ.

**ა+უ>აუ**: ბზ. **სგაუ** (<\*სგა+უ) როქ ათკუნიშნ (I, 111, 25) — „ჩასციებო-ლიმცა“; **ქაუ** (<\*ქა+უ) ლახწუენეხ (იქვე, 177, 36) — „მაჩვენემცა“; **ლაუჟაუ** (<\*ლაუჟა+უ) ხაყერ (ქრ. 161) — „ძილიმც დამანებო“; **ალაუ** (<\*ალა+უ) ესერ ლახჭემ (I, 170, 25) — „ესმცა გააყოლეო“; **ჯაუ** (<\*ჯა+უ) ხორი შუიდებდ (ქრ. 157) — „შენამც მეყოლე კარგადო“; **ხოჩაუ** ლადელ ჯარ — „კარგი დღემცა გქონდესო“... ლშხ. **ქაუ** ლოქ ანჯად (IV, 127, 27) — „გამოვი-დესმცაო“; **სგაუ** ლახბე ჟოლს (იქვე, 91, 1) — „მყინვარს მიმაბიმცაო“; **ნომაუ** ლოქ დედ ხარ (ქრ., 273) — „დარდიმცა ნუ გექნებაო“; ხუმა **ზომხაუ** აჯენახ (არს. ონ., 16, 25) — „ბევრი ახალი წელიმცა მოგესწროთო“; **ხოჩაუ** ლოქ ხაყრა (IV, 79, 37) — „კარგიმცა დაგემართოსო“;

**ე+უ>ეუ**: ბზ. **ლგაჩეუ** (<\*ლგაჩე+უ) ლი (I, 163, 31) — „დალოცვილიმც

იყოს“; **ყახნუ** (<\*ყახნუ) ანურმუტენ (ქრ., 154) — „სახელიმცა ახსენე“; **ჟირენი** (<\*ჟირენი) აგუტუბირა (I, 162, 27) — „ჟირი იქამცა დაგვეტოვებინოსო“; **თნუ** (<\*თნუ) ლახხვეტ (ქრ., 56) — „თვალმცა მიაღვენე“; **ლგმზგრნუ** (<\*ლგმზგრნუ) ლიმდ (ქრ., 163) — „დალოცვილმც ვიყოთო“. ლშხ. ჩაჟნ **ადამნუ** (<\*ადამნუ) (IV, 113, 24) — „ცხენი წაიყვანეცა“; მიჩა **ყახნუ** (<\*ყახნუ) ლქქუ (იქვე, 101, 19) — „ჩემი სახელიმცა თქვიო“; **ედქინნუ** სერ (იქვე, 85, 32) — „გაიქეციმცა აწი“; **ლახმირთნუ** ადკვარხ (ქრ., 273) — „სალორეშიმცა ჩააგდეთო“...

**იაუ=ნიუ**: ბზ. **ჟინუ** (<\*ჟინუ) ესერ ანგვან (ქრ., 167) — „ზემცა ადე-ქიო“; **ჟინუ** (<\*ჟინუ) ახმზრეხ (იქვე, 73) — „ზემცა შეალოცეთ“; **ეკკალინუ** (<\*ეკკალინუ) მა ანგონტე (იქვე, 167) „ისეთიმცა რამე მოიგონე“; **მანკუნიუ** (<\*მანკუნიუ) ხრქტუნ — „ადრეცა ეთქვა“... ლშხ. **აქანნუ** ლოქ ოხკიდხ (IV, 91, 33) — „ხელიმცა ჩამოართვიოთ“; **ჟინუ** ენცტე ანვილუ (იქვე, 88, 36) — „ზემცა აიკიდოს და მოიტანოსმცა“; **სგანნუ** ატახ (იქვე, 94, 21) — „ვიგნიომცა მიიწიოს“; **კტაშინუ** ოხნაყუნ — „ჭადიმცა გამოეცხო“.

**იაუ>ნიუ**: ბზ. **-ია** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან **-იუ** ნაწილაკის და-რთვის, ორივე დიალექტში, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა: **ჰყინტ ამუნდლნუ** (<\*ამუნდლნუ) ხათხენა (ქრ., 35) — „ბიჭი აწიმცა გეშოვოს“; **ბერინუ** (<\*ბერინუ) ახიყრედ — „ბერომცა დააქციეთო“ ; **ამუნდლნუ** (<\*ამუნდლნუ) ხნრიდ ხოჩამდ — „აწიმცა იყავით კარგად“... ლშხ. **ჟორმლნუ** ლოქ ახქვიცხ (IV, 121, 3) — „ორმომცა გაჭერითო“; **ერუნდლნუ** ლოქ აჩად (იქვე, 130, 15) — „შემდგომცა წადიო“; **გაბლნუ** ოთინან (ლშხ.) — „გაბომცა წაყვანა“.

**იაუ>ნიუ**: ბზ. **ჩინუ** (<\*ჩინუ) ესერ აჩად (I, 172, 30) — „ქვემცა ჩავიდესო“; **ჩინუ** ესერ ადსყან (ქრ., 64) — „ქვემცა შერიგდენო“; **მიშგუნუ** (<\*მიშგუნუ) ლოქ ცოდ ჯარ (I, 109, 20) — „ჩემიმცა ცოდვა გქონდესო“... ლშხ. **ჩინუ** ლოქ ადგარ (არს. ონ., 63, 13) — „ქვემცა მოკლაო“; **ჩინუ** ლოქ ესგვან (IV, 103, 25) — „ქვემცა დადგესო“; **ერინინუ** (<\*ერინინუ) ლოქ არდა (ქრ., 272) — „იქამცა იყოსო“; **ტუნუნუ** ოხყიდან — „ქოთანიმცა ეყიდაო“; **კანინუ** ოთორმან — „ჩხიკვიმცა დაეჭირაო“.

ვარლამ თოფურის აღნიშნული აქვს, რომ სვანურ ტექსტებში გვხვდება **ჩინუ**- ფორმა, რომელიც მიღებულია **ჩინუ**’ს შერწყმით: აჯალ ლოქ **ჩინუ** ატახ — „ისევ ჩაბრუნდესმცაო“; წყარჟი ლოქ **ჩინუ** ადბარალე — „წყაროზე ქვემცა დაბანოსო“, ე. ი. ზოგჯერ **იაუ>ნიუ**.

ლაშხურ დიალექტში **-აჲ**’ს მომდევნო **-იუ** ნაწილობრივ რედუცირდება, ა ხმოვანს აგრძელებს და **ჲ**’ს აუჩინარებს: **ჰიმკანუ** (<\*ჰიმკანუ) „ჰინკამც“; **დაშნანუ** (<\*დაშნანუ) „დაშნამც“; **დორანუ** (<\*დორანუ) „კოკამც“. როგორც ჩანს, ამ ფუძეებთან **ჲ**’ის დაკარგვა და მასთან ერთად **-იუ** ნაწილაკის ნაწილობრივი რედუქცია განაპირობებს **-ა** ხმოვნის დაგრძელებას.

როგორც დავინახეთ, ბოლოხმოვნიან ფუძეებთან **-იუ** „მცა“ ნაწილაკი ნაწილობრივ რედუცირდება, და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს. რაც შეეხება ბოლოთანხმოვნიან ლექსემებს, აქ იგი უცვლელად გვხვდება ორივე დიალექტში:

ბზ. ცოდ როქ **მიჩინუ** ხარ (ქრ., 76) — „ცოდვა შენმცა გქონდესო“; **ჰანდლუ**

ლანდგერან (იქვე, 167) — „ქმრადმცა შემეფიცო“; ლომორაჟ **ბახსანსუ** ახანდხ (იქვე, 64) — „მელიატორობა ბახსანსმცა გქონდეთ“; **იჟასუ** პრი (I, 193) — „სულმცა იყავი“; **მანდილუ** ხერა (იქვე, 111, 14) — „მადლიმცა გექნობა“.

ლშხ. **თაშუ** ლალემხ (ქრ., 272) — „ყველიმცა შევჰამეთ“; **ანჩადუ** ლოქ (იქვე, 273) — „წადიმცაო“; **მინსუ** ხარხ ხორჩა ლირდე (IV, 82, 28) — „თქვენმცა გქონდეთ კარგი ყოფა“; **ჟორუ** ლოქ ესმიდხ (იქვე, 100, 21) — „მიწამცა დააყარონო“...

ამრიგად, როცა ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის **-უ** „მცა“ ნაწილაკი სვანურის გრძელხმოვნიან დიალექტებში, იქმნება: **ა+უ, ე+ უ, ი+უ, ო+უ** და **უ+უ** ხმოვანთკომპლექსები, სადაც ხდება **-უ** ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია, მისი ნაწილობრივი შერწყმა წინამავალ ხმოვანთან და ვილებთ შესაბამის: **ანჟ, ენჟ, ინჟ, ონჟ, უნჟ** გრძელხმოვნიან დიფთონგებს. ზოგჯერ **უ+უ** კომპლექსი იძლევა გრძელ **უს**. ამრიგად, ხმოვანთკომპლექსის მოშლა ხდება დიფთოგიზაციის გზით. გავლენა აქაც პროგრესულია, წინა ხმოვანი იწვევს მომდევნო ხმოვნის ნაწილობრივ რედუქციას, რის შედეგადაც თვითონ გრძელდება. ხმოვნის დაგრძელების მიმართულება რეგრესულია — მომდევნო ხმოვანი აგრძელებს წინამავალ ხმოვანს.

### §6. ი „ც“ ნაწილაკი და ხმოვნის სიგრძე

როგორც ცნობილია, ქართული „-ც“ ნაწილაკის ბადალი სვანურ ენაში არის **-ი**. **„ჟი-, ჩუ-, სგა- / სკა-“** და **ქა** პრევერბებს დაერთვის **-ი** ნაწილაკი, რომელიც **-ძ** ტად იქცევა და პრევერბისეულ ხმოვანს აგრძელებს ლაშხურსა და ხშირად ბალსზემოურში“ (თოფურია 1969 : 75).

**ჟი-** „ზე“ პრევერბზე **ი** ნაწილაკის დართვის შემთხვევაში ორივე გრძელხმოვნიან დიალექტში ვლელულობთ **-ნძ** დიფთონგს: ბზ.: **ჟნძ** ეჩუნდო გარ იმინე მეზგე (ქრ., 12) „კიდევ მხოლოდ ამის შემდეგ ისვენებს ოჯახი“; **ჟნძ** დემიკედ ხანტს მონსა — „ხელშიც არ იღებს ხატს“. ლშხ. **ჟნძ** ინდუნე ლიზის — „წასვლასაც მოინდომებს“; **ჟნძ** დემ იმჯერის — „ვერც იგებენ“.

ზოგჯერ ორივე დიალექტში **ჟი-** პრევერბისეული ხმოვნისა და **-ი** ნაწილაკის სრული შერწყმა ხდება გრძელ **ი** დ.

როცა **ჟი-, ჩუ-, სგა-** და **ქა-** პრევერბებს დაერთვის **-ი** ნაწილაკი, იქმნება **ი+ი; უ+ი** და **ა+ი** ხმოვანთკომპლექსები, სადაც ხდება ნაწილობრივი შერწყმა წინამავალ ხმოვანთან და ვილებთ გრძელხმოვნიან **ი+ი>ნი; უ+ი>ჟი; ა+ი>ნი; -ნი** დიფთონგებს, ზოგჯერ **ი+ი>ნი** ხმოვანს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ხშირია შემთხვევა, როდესაც სვანურში ხმოვანთა სიგრძე დასტურდება **ძოტ** თან, ეს უკანასკნელი კი მიღებულია **ი** ხმოვნის დასუსტებით წინამავალი ხმოვნის გავლენის გამო. წინამავალი ხმოვანი ასეთ შემთხვევაში გრძელდება (ქლენტი 1949: 75): ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან ორივე გრძელხმოვნიან დიალექტში **-ი ძ** ტად იქცევა და წინამავალი ხმოვანი, როგორც წესი, გრძელია.

მასალის მიხედვით ირკვევა, რომ: **-ი** ნაწილაკდართულ ბოლოხმოვნიან ფუძეებთან იქმნება: ბზ. **ნი, ლშხ. ა+ი, ბზ., ლშხ. ე+ი, ი+ი, ო+ი, უ+ი**

გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი კომპლექსები.

**ა+ი** ხმოვანთკომპლექსში **ი** იქცევა **ა** ტად ორივე დიალექტში და ვლუბულობთ ბზ. **-აი**, ლშხ. **-აი** გრძელხმოვნიან დიფთონგებს. ბალსზემოურში **-ი** აგრძელებს და აჟმლაუტებს კიდევ წინამავალ **ა**ს:

ბზ. **შომჟაი** (< \***შომჟაი**) „როდესაც“; **ესჟაი** (< \***ესჟაი**) „ვისაც“; **ეჟაი** „იმიტომაც“; **შირაი** „დოლაბიც“; **ნაგაი** „კვირაც“; **დინაი** „გოგოც“...

ლშხ. **ეჟაი** (< \***ეჟაი**) „ვინც“; **დეაი** (< \***დეაი**) „არც“; **ლარაი** „სამყოფელიც“; **ლარაი** „სიძეებიც“; **ფუნაბუნადაი** „სამყაროს მეუფეც, მამაღმერთიც“.

საინტერესოა, რომ მხოლოდ სიგრძის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს გრძელთანხმოვნიან დიალექტებში: ბზ. **მაი**, ლშხ. **მაი** „რა“ და ბზ. **მაი**, ლშხ. **მაი** „რაც“. დღეს აქ სიგრძე ფონოლოგიური ღირებულებისაა: **მაი** ესერ ხაწგზ? (ბზ., ქრ., 108) — „რა გჭირდებაო?“ და **მაი** ჯეკუეს, ეჯი ჩომ (ბზ. I, 139, 31) — „რაც გინდოდეს, ის ჰქენი“. **მაი** ლოქ ხომინახ? (ლშხ., ქრ., 248) — „რა ჰქენითო? **მაი** ხარ ნაქუნი (არს. ონ., 12, 12) — „რაც აქვს ნათქვამი“.

ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში კითხვითი ნაცვალსახელი **მა** ფორმითაა წარმოდგენილი, რომელიც ბალსზემოურსა და ლაშხურში არსებული **მაი** / **მაი** „რა?“ ლექსითაა გამარტივების გზით არის მიღებული. ამას ადასტურებს **-ა** ხმოვნის უმლაუტიც. საფიქრებელია, რომ ბალსზემოურის **მაი** და ლაშხურის **მაი** ფორმებს დაერთო **-ი** „ც“ ნაწილაკი (\***მაი** / \***მაი**), სადაც **-ი** ნაწილაკმა ნაწილობრივი რედუქცია განიცადა და შემდეგ **ა** ტიც გაუჩინარდა. ამ ფონეტიკური პროცესების შედეგად **ა** ხმოვანი დაგრძელდა. და ბალსზემოურში მივიღეთ **მაი**, ლაშხურში კი — **მაი**. ბზ. **მაი** „რა“, **მაი** „რაც“ და ლშხ. **მაი** „რა“, **მაი** „რაც“ ნაცვალსახელთა მხოლოდ ხმოვნის სიგრძის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. აქ სიგრძემ ფონეტიკური პროცესის შედეგად გაჩენილმა ფონოლოგიური ღირებულება შეიძინა. და მივიღეთ ოპოზიციური წყვილები, ერთი მხრივ, ბზ. **ა** — **აი**, ხოლო, მეორე მხრივ, ლშხ. **ა** — **აი**.

**ე+ი**: როცა **-ე** ბოლოხმოვნიან ფუძეს ორივე დიალექტში დაერთვის **-ი** ნაწილაკი, ვიღებთ **-ეი** გრძელხმოვნიან დიფთონგს: ხდება ხმოვანთა ნაწილობრივი შერწყმა: ბზ. **თხრაი** (< \***თხრაი**) „მეგელიც“, **შჟანთეი** (< \***შჟანთეი**) „სვანეთშიც“, **იმეი** (< \***იმეი**) „სადაც“, **ათხრაი** (< \***ათხრაი**) „ახლაც“, **ღჟსრაი** (< \***ღჟსრაი**) „ბადექონიც“, **მერაი** „მყოფიც“... ლშხ. **ქუთაშეი** (< \***ქუთაშეი**) „ქუთაისშიც“, **ლიჟეი** (< \***ლიჟეი**) „ძილიც“, **სერაი** „დარდიც“, **მგსრაი** „გამმეტებელიც“, **ბალეი** „ფოთოლიც“...

**ი+ი**: **-ი** ბოლოხმოვნიან ფუძეებთან **-ი** ნაწილაკის დართვის დროს იქმნება **იი** კომპლექსი და ორივე დიალექტში ხდება ორი **-ი**ს ნაწილობრივი ან სრული შერწყმა. ერთ შემთხვევაში ვიღებთ **-იი** დიფთონგს, მეორე შემთხვევაში კი — გრძელ **იი** ხმოვანს.

ბზ. **დიი** (< \***დიი**) „დედაც“, **ცხრაი** (< \***ცხრაი**) „ისარიც“, **გჟრაი** (< \***გჟრაი**) „გულიც“, **ლწრაი** (< \***ლწრაი**) „თესლიც“... **ეში** „მანც“, **დი** „დედაც“, **ერხი** „ზოგიც“, **წითი** „წილიც“, **კჟაში** „მჭადიც“, **მგში** „გასივებულიც“...

ლშხ. **წგრაი** (< \***წგრაი**) „წითელიც“, **მიშგრაი** (< \***მიშგრაი**) „ჩემიც“, **მუშგრაი** (< \***მუშგრაი**) „სტუმარიც“... ამ ფორმების პარალელუ-

რად სიტყვის ბოლოკიდურ ხმოვნად შეიძლება შეგვხვდეს გრძელი **-ი**: **ნახუწი** (< \***ნახუწი**) „ვიწროც“, **სემი** (< \***სემი**) „სამიც“, **კაჟი** „კავიც“, **მეწი** „მოპატიჟე“...

შედარებით იშვიათად იქმნება **უ** და **ო** ხმოვანთკომპლექსები. **უ** კომპლექსისაგან ვიღებთ **-უა**, ხოლო **ო**საგან — **ოა** გრძელხმოვიან დიდ-თონგებს.

ბზ., ლშხ. **კურუა** (< \***კურუ**) „ხვრელიც“, **ემუა** (< \***ემუ**) „ერთიც“, **ნაბუა** (< \***ნაბუ**) „ლუკმაც“, **ბაჯუა** (< \***ბაჯუ**) „ბაჯუც“, **ჯაჯუა** სავ. სახ. „ჯაჯუც“, ბზ. **ლგდგარუა**, ლშხ. **ლგდგარუა** „მიცვალებულებიც“, **ტუნუა** „ქოთანიც“...

**ო**=**ოა**: ბზ., ლშხ. **ლობიოა** (\***ლობიო**) „ლობიოც“, ლშხ. **ჟორმოა** (\***ჟორმო**) „ორმოც“, **ეჩოა** (\***ეჩო**) „ეჩოც“, **თოა** „თვეც“, ბზ. **გაბოა** „გა-ბოც“, **გუედოა** „გვედოც“, ბზ. **ნოა** ქაჟუ ხაქუ (ბზ. ქრ. 78) „ნურც ეტყვიო“ და ა. შ.

გამოქვეყნებულ ტექსტებში დამოუკიდებლად გამოყენებული **-ი** „ც“ ნაწილაკი წარმოდგენილია სიგრძის გარეშე. ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტიც: ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ბოლოთანხმოვიან ფუძეებთან **-ი** ნაწილაკი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ლაშხურ გამოცემულ ტექსტებშიც და ზეპირ მეტყველებაშიც **-ი** გრძელია: **დინასი** (არს. ონ., 31, 31) — „გოგოსაც“, **მესუბარადი** (იქვე, 30, 2) — „სახლიკაცებიც“, **უსკუნი** (ქრ., 272) — „ვაშლიც“, **მეშხასი** (იქვე, 269) — „შავსაც“ და ა. შ. ბალსზემოურში **-ი** ნაწილაკი ბოლოთანხმოვიან ფუძეებთან გრძლადაც არის წარმოდგენილი და მოკლედაც:

მაგ.: **ტაბგლი** „სალოცავი პური“, **თეთრი** „ფულიც“, **ეჩადი** „მანამდეც“... მაგრამ უფრო ხშირად ამ პოზიციაში **-ი** სიგრძის გარეშე შეგვხვდება: **ჟაგი** (ქრ., 150) „წამალიც“, **მუქუარსი** (იქვე, 111) „რქებსაც“, **ლიცხი** (იქვე, 135) „წყალსაც“, **ღერეჟი** (იქვე, 79) „ტანსაცმელიც“ და ა. შ.

ვფიქრობთ, ლაშხურ კილოში თანხმოვანფუძიან ლექსემებთან გრძელი **-ი** ნაწილაკის გამოვლენა მეორეულია, მას შემდეგ გაჩენილი, რაც გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგად ბოლო ხმოვნის სიგრძე **-ი** „ც“ ნაწილაკდართულ ბოლოხმოვიან ფუძეებთან აუცილებელი კომპონენტი გახდა. ბოლოხმოვიანთა ანალოგიით ზოგ თანხმოვანფუძიანებთანაც დაგრძელდა **-ი**.

ბალსზემოურ დიალექტში ჯერ-ჯერობით შემორჩენილია პირვანდელი ვითარება ბოლოთანხმოვიან ფუძეებთან: **-ი** ნაწილაკი (შემთხვევათა დიდ ნაწილში) სიგრძის გარეშე გვხვდება. ბოლოთანხმოვიანებთან გრძელი **-ი**ს გამოვლენის იშვიათი შემთხვევები მეორეულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქაც თავს იჩენს ტენდენცია სიგრძის გაბატონებისა.

შეიძლება დავასკვნათ: სვანურის გრძელხმოვიან დიალექტებში, როცა ბოლოხმოვიან ფუძეს დაერთვის **-ი** „ც“ ნაწილაკი მორფემათა მიჯნაზე იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი: ბზ. **ა**, ლშხ. **ა**, ბზ., ლშხ. **ე**, **ი**, **ო**, **უ**, **ო** კომპლექსები, რომლებიც იშლება ნაწილობრივი შერწყმის გზით. წინამავალი ხმოვანი იერთებს მომდევნო ხმოვანს და თვითონ გრძელდება. ვიღებთ: ბზ. **ა**>**აი**, ლშხ. **-აი**; ბზ., ლშხ. **ე**>**ეი**; **ი**>**იი**; **ო**>**ოი**; **უ**>**უი** გრძელხმოვიან დიდთონგებს. აქ გავლენა რეგრესულია — წინამავა-

ლი ხმოვანი იწვევს მომდევნო ხმოვნის ნაწილობრივ რედუქციას. როგორც ჩანს, მომდევნო ხმოვნის რაღაც ნაწილი უერთდება წინამავალ ხმოვანს და აგრძელებს მას. ხმოვნის დაგრძელების მიმართულება რეგრესულია. აქ ჩამოთვლილ შემთხვევებში ხმოვანთკომპლექსის მოშლა ძირითადად ხდება დიფთონგიზაციის გზით. გამონაკლისია **იჟი** კომპლექსი, სადაც ზოგჯერ სრული შერწყმა ხდება.

### §7. ი „და“ კავშირი და ხმოვნის სიგრძე

-ი „ც“ ნაწილაკის მსგავსად იქცევა ხშირად სვანური **ი** „და“ კავშირი. ამის შესახებ სერგი ჟღენტი წერს: „ი „და“ კავშირი უერთდება ბოლოხმოვნიან სახელებს და აგრძელებს მას: **დნიმუ** (ბზ. 25, 25) — „დედა და მამა“; **დნიგეზალ** (ბზ. 135, 34) — „დედა და შვილი“ (ჟღენტი 1949: 75).

ბალსზემოურში ხმოვანფუძიან ლექსებთან **ი** „და“ კავშირი ძირითადად, უცვლელად გვხვდება: **ჩუაჭოტუნა ი ამის ყვლა** (ქრ. 43) „დაწყველიდა და ამას ამბობდა“, **უჩხე ი ნაბოთე...** (ქრ. 49) „წვიმს და საღამოს“... ან **ი** ქცეულია **ი** ტად და წინამავალი ხმოვანი აქაც არ არის გრძელი. აქ ხმოვანთკომპლექსი უგრძელხმოვნოდ, დიფთონგიზაციის გზით არის მოშლილი. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირად შეგვხვდა მულახურ კილოში: **ოთქუთა-ი** (ბზ. მულ. 274, 36) „მოუპარავს და...“, **ლახსინჯუე-ი** (ბზ. მულ. 274, 3) „მოხედა და...“, **ლოსხიდდა-ი** (ბზ. მულ. 274, 34) „შეხედა და...“, **ამჟი ი ამჟი** (ბზ. მულ. 275, 34) „ასე და ასე“. ეს წესი არაა საყოველთაო, როგორც გამოქვეყნებულ, ისე ჩვენს მასალაში **ი** „და“ კავშირი **ი** ტად არის ქცეული და მის წინ გამოვლენილი ნებისმიერი ხმოვანი გრძელია.

**ჰი>ნი**: **ხოშნი** (<\*ხოშნი) ხოხტრა (ბზ. 16, 31) — „უფროსი და უმცროსი“, ბზ. **ხოლნი** (<\*ხოლნი) ხოჩა — „ცუდი და კარგი“; **გიგნი** (<\*გიგნი) ბუბა — „ბიძა და ბიცოლა“; **ცხემნი** (<\*ცხემნი) ქემა — „ზრდა და მატება“; **დინნი** მიჩა დედე — გოგო და მისი დედა“; **ბუბნი** გიგა — „ბიძა და ბიცოლა“.

**ეჟი>ნი**: **მარნი** (<\*მარნი) თხერე — „კაცი და მგელი“; **ლირდნი** (<\*ლირდნი) ლიზგე (ქრ., 163) — „ცხოვრება და ყოფნა“; **თნი** (<\*თნი) ჰაყბა (იქვე, 54) — „თვალი და ყბა“; **ამენშგნი** ეჭჟი — „არბილებს და ისე“; **სუნი** მალტან — „სვე და ქონება“.

**იჟი>ნი**: **გუნი** (<\*გუნი) გუჩენჩხ (ქრ., 55) — „გული და გულ-ღვიძლი“; **დნი** (<\*დნი) გეზალ (II, 135, 34) — „დედა და შვილი“; **დნი** მუ — „დედა და მამა“; ზოგჯერ **ი** კავშირი მთლიანად ერწყმის წინამავალ **-ი** ხმოვანს და აგრძელებს: **მუშგური** (<\*მუშგური) მიჩა აფხნეგ — „სტუმარი და მისი ამხანაგი“; **ლნი** ლიბიდ — „წასვლა და გაწევა“.

**ოჟი>ნი**: ხმოვანთკომპლექსი ამ პოზიციაში გამოცემულ ბალსზემოურ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში, როცა ეს კომპლექსი იქმნება, ზოგჯერ წინამავალი **-ო** გრძელია, ხოლო მომდევნო **ი** გაუმარცვლოვნებული: **გუედნი** (<\*გუედნი) მაგრაფ — „გვედო და მაგრაფი“; **ბენნი** (<\*ბენნი) ცხემარ — „ბენი და ცხემარი“; **ფაგნი** (<\*ფაგნი)

მიჩა ჭჷმ — „ფავო და მისი ქმარი“.

**უ+ი>უი:** **ღღღგარუი** (<\*ღღღგარუი) მიწე ქუნარ — „მიცვალებულები და მათი სულები“; **მუი** (<\*მუი) გეზალ — „მამა და შვილი“; **ბაშუი** (<\*ბა-შუი) მიჩა მეყულდა — „ბაშუ და მისი ოჯახის წევრები (მეყველფეები)“.

ლაშხურში (პოზიციაში ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეს + ი კავშირი) ი'ს გაუმარცვლოვნება — მ'ტად ქცევა, და წინამავალი ნებისმიერი ხმოვანის და-გრძელება ჩვეულებრივი მოვლენაა.

ლშხ. **ა+ი>ანი:** **ბაბანი** (<\*ბაბაი) ბებე — „ბაბუა და ბებია“; **ყანგანდანი** (<\*ყანგანდაი) აჩად (არს. ონ., 59, 23) — „ადგა და წავიდა“; **ძულუანი** (<\*ძულუაი) ხმელათ (იქვე, 60, 2) — „ზღვა და ხმელეთი“; **კაკანი** ბაბა — „კაკა (წინაპრები) და ბაბუა“; **ლარდანი** ლაზგა — „სამყოფი და საცხოვრებელი“.

**ე+ი>ეი:** **მადეი** (<\*მადეი) ხაკუ (IV, 79, 34) — „არა და უნდა“; **თეი** (<\*თეი) აყბა (არს. ონ., 32, 39) — „თვალი და ყბა“; **ბებეი** (<\*ბებეი) ბა-ბა — „ბებია და ბაბუა“; **მეშხეი** თუეთნე — „შავი და თეთრი“; **მენგრეი** მე-შხე — „მსხვილი და შავი“.

**ი+ი>იი/ი:** **ქაჯი** (<\*ქაჯიი) ეშმა (არს. ონ., 32, 30) „ქაჯი და ეშმაკი“; **დი** (<\*დიი) მუ (IV, 87, 34) — „დედა და მამა“; **მეჩი** მახე — „ბებერი და ახალგაზრდა“; **ამეი** ამეი (IV, 112, 82) — „ასე და ასე“. შეიძლება ი კავშირი სრულად შეერწყას წინამავალ ი ხმოვანს და ვიღებთ გრძელ ი-ს. **დი** (<\*დიი) მუ (არს. ონ., 11, 38) — „დედა და მამა“; **დი** გეზალ — „დედა და შვილი“; **მაშრი** ნახტუი — „ფართო და ვიწრო“.

**ო+ი>ოი:** ო'ს შემცველი ხმოვანთკომპლექსები, როგორც სხვაგანაც აღვნიშნეთ, ძალიან იშვიათია სვანურში, მაგრამ, როცა იქმნება, წინამავალი ო, ი კავშირის მ'ტად ქცევის შემთხვევაში, შეიძლება დაგრძელდეს: **დორიდოი** (<\*დორიდოი) — „თუ არადა“; **ლობიოი** (<\*ლობიოი) მიჩა ჯარდან — ლობიო და მისი სარი“; **მაშოი** მიჩა დინა — „მაშო და მისი გოგო“; **ბესოი** ბაბა — ბესო და ბაბუა“...

**უ+ი>უი:** **გუი** (<\*გუი) მუჭოდ (IV, 44, 10) — „გული და მკერდი“; **ფაუი** (<\*ფაუი) მუჯტრა — „ჯოხი და კეტი“; **გნაუი** (<\*გნაუი) ჩხგრუმტ — „ჩხიკვი და ჩხართვი“; **ძაძუი** მალა — „ძაძუ და მალა (საკ. სახელებია)“.

ამგვარად, გრძელხმოვნიან დიალექტებში ბოლოხმოვნიანი ფუძეების მო-მდევნო პოზიციაში მყოფი ი „და“ კავშირი ხშირად მ'ტად იქცევა და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს. ვიღებთ შემდეგ გრძელხმოვნიან დიფთონგებს: **ე+ი>ეი;** **ი+ი>იი** ან **ი;** **ო+ი>ოი;** **უ+ი>უი**. -ა ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ვღებულობთ განსხვავებულ დიფთონგებს: ბალსზემოურში **ა+ი>ანი**, რადგან ი ხმოვნის გავლენით წინამავალი ა უმლაუტდება და გრძელდება, ლაშხურში კი შესაბამისად **ა+ი** კომპლექსი გვადლევს -ანი დიფთონგს.

### ლიტერატურა

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** — სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**თოფურია 1927** — სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტუმ, VII, ტფილისი.

**თოფურია 1928** — კვლავ უმლაუტისათვის სვანურში, ტუმ, VII, ტფილისი.

**თოფურია 1944** — ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, სმამ, ტ. V, №3, თბილისი.

**თოფურია 1967** — შრომები I, სვანური ზმნა, თბილისი.

**ონიანი 1926** — გრძელი ხმოვნების საკითხისათვის სვანურში, იკე XIII, თბილისი.

**ონიანი 1969** — უმლაუტის შესახებ სვანური ენის ლაშხურ დიალექტში, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი.

**უდენტი 1949** — სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი.

**ქალდანი 1953** — ელიზია სვანურში, იკე V, თბილისი.

**შარაძენიძე 1946** — უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე I, თბილისი.

**შარაძენიძე 1955** — სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში, იკე VI, თბილისი.

**შარაძენიძე 1985** — სვანური ენა. — იკეწ, თბილისი.

#### ELISABED GAZDELIANI

### Towards the Genesis of a Vowel's Length at the Boundary of Some Morphemes in Svan

#### S u m m a r y

The length of modern Svan vowels is mostly explained phonetically.

In the dialects with long vowels – in Upper Bal and Lashkhan, the existence of vowels complex is one of the conditions of forming a long vowel: vowels' complexes are mostly formed at the boundary of morphemes.

Ocurring of the morphemes with a final vowel or an initial one at initial and final vowels of a stem create vowels' complexes, where one of the vowels is completely or partially fused with a neighbouring vowel and lengthens it.

The article discusses some boundaries of such morphemes.

The length of a vowel occurs:

1. a preverb vowel + an initial vowel of a preverb, version, passiveness or a stem;

2. a final vowel of a noun + the suffixes beginning with a vowel:

a) a noun with a vowel-stem + a plural morpheme;

b) **-isga** "in" postposition;

c) **-ad/-ud** "again", **-უ**, **-ი** "even" particle and **ო** "and" conjunction + a lexeme

with a final vowel.

გვანცა გვანცელაძე

**მცენარეთა სემანტიკური ველის ლექსიკა ალაშიანის  
მახასიათებელთა როლში „ეფუხისტყაონის“ მიხედვით**

ნებისმიერ ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა სიტყვათა გამოყენება არა მარტო თავიანთი ამოსავალი, პირვანდელი მნიშვნელობით, არამედ დროთა განმავლობაში შექმნილი ახალი სემანტიკითაც. ლინგვისტიკურ ქართველოლოგიაში სიტყვის მნიშვნელობის ცვლისა და ახალ მნიშვნელობათა შექმნის საკითხი საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული პროფ. ბიძინა ფოჩხუას. მკვლევარი სიტყვის მნიშვნელობის ცვლას სავსებით მართებულად აკავშირებს პრაგმატიკასთან, აგრეთვე ექსპრესიულობასა და ემოციურობასთან. მისი დაკვირვებით, თვით ისეთი უკიდურესად სპეციფიკური სემანტიკის მქონე სიტყვებიც კი, როგორც ტერმინთა კლასია, თავისუფლად შეიძლება დამკვიდრდეს საყოველთაო სიტყვათხმარების პრაქტიკაში და ამ დროს დიდი როლი ეკისრება ექსპრესიულობასა და ემოციურობას. მეცნიერი ამ საკითხის შესახებ წერდა: „საერთო ენაში სპეციალური სიტყვის, ტერმინის შესვლით უკვე „იმღვრევა“ ამ სიტყვის სემანტიკა — გარდა გარკვეულ ცნებაზე მითითებისა, იგი იძენს დამატებითს ემოციურ ელფერს, აზრობრივ ნიუანსებს... ამრიგად, რაგინდ მარტივი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ სიტყვას, იგი არ არის დაზღვეული ხმარების სფეროს გაფართოებისაგან: არაიშვიათად ამა თუ იმ ცნების (მოდელის) აღნიშვნის გარდა სიტყვა აღსანიშნავად იძენს დამატებითს ობიექტებს“ (ფოჩხუა, 1974: 164). სიტყვის მნიშვნელობის „შემღვრევის“ მაგალითად ბ. ფოჩხუა ასახელებს სიტყვის გამოყენებას შედარების სახით და დასძენს: „სიტყვა შედარებისას გამოიყენება, როდესაც სულ სხვა საგნის ესა თუ ის თვისება სურთ მკაფიოდ გამოხატონ“ (ფოჩხუა, 1974 : 164). იქვე მკვლევარს მოჰყავს შედარების მაგალითი შოთა რუსთაველის პოემიდან:

**„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა...,  
მართ ეგრევე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“**  
( ტ. 13)

ბ. ფოჩხუას დაკვირვებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შოთა რუსთაველი იყენებს **ინდივიდუალურ, პირადად თავისეულ** შედარებას, მაგრამ ამგვარ მაგალითთა გვერდით იმავე პოემაშიცა და მთლიანად ქართულ ენაშიც პარალელურად დასტურდება უამრავი **დამკვიდრებული, ანუ კონვენციური** შედარებაც, მაგალითად: „ციბრუტივით ტრიალებს“, „ქვასავით მძიმე“, „ყინულივით ცივი“... მაგრამ თუკი სიტყვას არ ახლავს შედარების აღმნიშვნელი სხვა სიტყვა, ან ამავე ფუნქციის (შედარების) გამომხატველი ნაწილაკი თუ

თანდებული და მაინც იგულისხმება ერთი საგნის შედარება სხვა საგანთან, მაშინ საქმე გვაქვს სიტყვის **ფიგურალურ გამოყენებასთან, ანუ მეტაფორასთან**. როგორც შედარება, ისე მეტაფორა შეიძლება იყოს **ინდივიდუალური, ანუ ოკაზიური** და **საყოველთაო, ანუ უზუსური**. ენობრივი მეტაფორა ამა თუ იმ სიტყვის გადატანითი ხმარებაა, სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას კი კავშირი თავდაპირველ აღსანიშნსა და ახალ აღსანიშნს შორის შესუსტებულია, რის გამოც ენაში დამკვიდრებული, უზუალური სიტყვა-თხმარება გარკვეულწილად ავტონომიურია სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისაგან (ფოჩხუა, 1974 : 165-166).

ბ. ფოჩხუას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ენაში დამკვიდრებული, უზუსური მნიშვნელობა ემყარება ხანგრძლივ ტრადიციას, ძველ შეხედულებებს, რწმენა-წარმოდგენებს და გადაჯაჭვულია ისტორიულ-ეთნოლოგიურ, ეთნოფსიქოლოგიურ, გეოგრაფიულ და სხვა მომენტებს, თუმცა არც ოკაზიური ხმარებაა მთლიანად მოწყვეტილი დასახელებული მომენტებისაგან, ვინაიდან ყოველი ინდივიდი, მწერალთა ჩათვლით, კონკრეტული ეთნოსის ნაწილია და ვერ გაექცევა ეროვნულ თავისებურებებს, რომლებიც ენაშიც მკაფიოდაა ასახული.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, მონოგრაფიულად გამოგვეკვლია ცხოველთა სემანტიკური ველის ქართული ლექსიკის ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში გამოყენების პრაქტიკა უძველესი დროიდან დღემდე და შეგვედგინა ამ ლექსიკის პრაგმატიკული ლექსიკონი (იხ.: გვანცელაძე, 2005; გვანცელაძე, 2009,1; გვანცელაძე, 2009,2). ამჯერად კი ვემყარებით რა პროფ. ბ. ფოჩხუას ზემოთ დამოწმებულ თვალსაზრისს, შევეცდებით, გავაანალიზოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა სემანტიკით იყენებს შოთა რუსთაველი მცენარეთა სემანტიკურ ველში შემავალ ლექსიკას ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში.

პოემის ტექსტის ანალიზში გვიჩვენა, რომ თუ „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანთა გარეგნული და შინაგანი თვისებების ექსპრესიულ-ემოციური თვალსაზრისით დასახასიათებლად შედარების სახით გამოყენებულია ცხოველთა აღმნიშვნელი 24 სახელი, მეტაფორად — 18 სახელი, ბოტანიკური ტერმინებიდან იმავე ფუნქციით შედარებებსა და მეტაფორებში დადასტურდა 17 სახელი, კერძოდ: **აღვა, ბზე, ვარდი, ვერხვი, ზაფრანი, ია, ლერწამი, მწვანელი, ნარგიზი, ნუში, სარო, სოსანი, ტევრი, ყვავილი, წნელი, ხავსი, ხე**. ამგვარი მინიმალური სხვაობა მოულოდნელი არ უნდა იყოს, ვინაიდან, მართალია, ადამიანის ფიზიკური და შინაგანი თვისებები საკმაოდ ახლოსაა ცხოველთა ფიზიკურ და შინაგან თვისებებთან, ხოლო მცენარეთა ფიზიკური თვისებები ნაკლებად ჰგავს ადამიანისას და სულიერ თვისებებზე მცენარეთა შემთხვევაში საუბარიც ზედმეტია, მაგრამ, მიუხედავად ადამიანისა და მცენარეს შორის არსებული დიდი სხვაობისა, პოეტი მაინც ოსტატურად იყენებს მცენარეთა სემანტიკური ველის ლექსიკას საკვლევე ფუნქციით.

პოემის ტექსტში დასახელებული ბოტანიკური სახელების ადამიანის მახასიათებელთა როლში გამოყენების სიხშირის მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს:

**ალვა** გამოიყენება 27-ჯერ; **ბზე** — ერთხელ; **ვარდი** — 18-ჯერ; **ვერ-ხვი** — ერთხელ; ზაფრანი — 6-ჯერ; ია — 7-ჯერ; ლერწამი — 4-ჯერ; მწვანელი — ერთხელ; ნარგისი — 4-ჯერ; ნუში — ერთხელ; სარო — 7-ჯერ; სოსანი — ერთხელ; ტვერი — 2-ჯერ; ყვავილი — 5-ჯერ; წნელი — ერთხელ; ხე — 9-ჯერ.

სახელი **ალვა**, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ საკვლევი ფუნქციით ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა, არ გულისხმობს ჩვეულებრივ ალვის ხეს. პოემაში ამ სიტყვით აღინიშნება ედემის წიაღში არსებული ღვთაებრივი მცენარე, რომელსაც მიეწერება მოხდენილი ფორმა და სასიამოვნო სურნელი. აქედანვე გამომდინარეობს ის ფაქტიც, რომ პოემაში ეს მცენარე გამოდის ადამიანის ორი თვისების, კერძოდ, **ტანკენარობისა** და **სხეულის საამო სურნელის** სიმბოლოდ და გამოიყენება მხოლოდ დადებითი კონოტაციით. მაგალითად, ტანაშოლტილი, მომხიბლავი ტანის მქონე ადამიანის აღმნიშვნელია იგი შემდეგ მაგალითებში (აქაც და სხვაგანაც ილუსტრაციის მომდევნო ციფრი აღნიშნავს პოემის სტროფის ნომერს):

ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო **ალვას**, **ედემის ხეს**“ (79).

მოახსენა: „გებრძანებსო **ტანი ალვა**, პირი მანგი“ (124) — იგულისხმება თინათინი.

მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, **ალვა** ჩემი არ დაჰნა **ხე** (162) — ამბობს ავთანდილი

რომე მათთანა **ალვისა ხეცა** ვარგიყო ხედ არა (287) — იგულისხმებიან ავთანდილი და ტარიელი.

ვკითხე, თუ: “ნეტარ, მისრულა **მორჩი ალვისა ხე** მისად?” (497) — იგულისხმება ნესტან-დარეჯანი.

ქვე წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული,

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, **ხე ალვა**, **ედემს ხეული** (528) — იგულისხმება ნესტან-დარეჯანი.

ადრე მოდიო, გებრძანებს მსგავსი **ალვისა ზრდილისა** (559) — იგულისხმება ნესტან-დარეჯანი.

წყლად ევფრატსა უხვად ერწყო **ედემს რგული ალვა მქვერი** (698) — იგულისხმება თინათინი...

ყველა ამგვარ მაგალითს, რომელთა უმრავლესობა მეტაფორაა, საფუძვლად უდევს ქრისტიანულ-ბიბლიური სახისმეტყველება და, შესაბამისად, ეს შედარება-მეტაფორებიც ენაში დამკვიდრებულ, უზუსტურ ფორმებად უნდა ჩათვალოს.

სახელი **ალვა** მეორე, გადატანითი მნიშვნელობით („ადამიანის სხეულის საამო სურნელება“) პოემაში ორ ადგილას არის გამოყენებული და ორივეს, როგორც ჩანს, ასევე ქრისტიანულ-ბიბლიური სახისმეტყველება უნდა ედოს საფუძვლად:

ეყნოსა **სული ალვისა**, ქართავან მონატაციისა (232) — იგულისხმება ტარიელი.

**ალვისაგან სული მოქრის**, ყორნის ფრთათა მონაბერი (1319) — იგულისხმება ნესტან-დარეჯანი.

სიტყვა **ბზე** პოემაში ადამიანთა სიმრავლის სიმბოლოა და იგი გამოყენე-

ბულია იმ პასაჟში, რომელშიც აღწერილია როსტევიან მეფისა და ავთანდილის ნადირობა:

ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი **ბზეთასა** (85).

ეს შედარება აშკარად უზუსურია.

სახელი **ვარდი** პოემაში შედარება-მეტაფორად გამოყენების სიხშირით მეორე ადგილზეა. მას 5 სიმბოლურ-გადატანითი მნიშვნელობა აქვს:

1. ადამიანის ვარდისფერი, ქორფა პირისახე:

ზე წამოჯდა ფერ-მიხდილი, აყოლებდა თვალთა რეტად,

**ვარდი** სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად (506)

— იგულისხმება ტარიელის ფერმიხდილი სახე.

გივობს, ცუდად ნულარა სტირ, **ვარდი** კვლავმცა რად დასტენე (385) — იგულისხმება ტარიელის ცრემლიანი სახე.

დადუმდი, **ვარდსა** ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების (264) — იგულისხმება ავთანდილის ცრემლით დანამული სახე...

2. ადამიანის ვარდისფერი ღაწვები და ლოყები:

შემოვიდა **ღაწვი-ვარდი**, ბროლ-ბალახში, მინა-სათი (1083) —

იგულისხმება ავთანდილის ვარდისფერი ღაწვები.

იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ **ვარდი** აზრა (542) — იგულისხმება ნესტან-დარეჯანის ლოყები.

3. ადამიანის წითელი ბაგეები:

**ვარდსა** ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს (288) — იგულისხმება ავთანდილისა და ტარიელის ბაგეები ღიმილის დროს...

4. ნორჩი, მშვენიერი ქალწული:

კოკობი და უფურჭვნელი **ვარდი** დაგზვდე დაუმჭნარი (399) —

ასე მოიხსენიებს საკუთარ თავს თინათინი...

5. მშვენიერი ჭაბუკი:

ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი **ვარდისა** შლილისა (325) — ამბობს ტარიელი...

პოემაში ვარდი ყველაზე ხშირად პირველი მნიშვნელობით გამოიყენება და მიემართება როგორც ქალს, ისე მამაკაცს, თუმცა გაცილებით ჭარბობს ამ სიმბოლოს გამოყენება მამაკაცის ვარდისფერი პირისახის აღმნიშვნელად. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სახელი ძალზე იშვიათად იხმარება თანმხლები მსაზღვრელი სიტყვების გარეშე. მსაზღვრელად კი დასტურდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ხაზს უსვამენ ადამიანის პირისახის ფერდაკარგულობას, სიყვითლეს, ან ცრემლიანობას (ვარდის მეტაფორული სახის შესახებ ვრცლად იხ.: გვანცელაძე, 2006). აღსანიშნავია ისიც, რომ ვარდის გამოყენებით მიღებული შედარება-მეტაფორების ნაწილი უზუსურია, მეორე ნაწილი კი — ოკაზიური.

სახელი **ვერხვი** პოემაში გამოხატავს ძლიერი მღელვარება-განცდისაგან მთრთოლვარე მამაკაცს (ავთანდილს):

საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,

**ვითა ვერხვი** ქარისაგან, ირხვის და იკეცების (145).

შედარება აშკარად უზუსურია (შდრ. ამჟამადაც გავრცელებული „ვერხვივით თრთის“).

სახელი **ზაფრანი** გამოიყენება დარდისა და მძიმე განცდებისაგან გაყვითლებული სახის აღმნიშვნელად:

ზე წამოჯდა **ფერ-მინდილი**, აყოლებდა თვალთა რეტად,

ვარდი სრულად შექმნილიყო **ზაფრანად** და ვითა სპეტად (506)  
— იგულისხმება ტარიელის სახის ფერმკრთალობა, რაზეც სიტყვა **„ფერ-მინდილიც“** მიანიშნებს.

აწ **ზაფრანია**, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია (863) — ამბობს ტარიელი საკუთარ ფერმინდილობაზე...

სახელი **ია** პოემაში გამოხატავს ლამაზ, მშვენიერ ახალგაზრდასაც და დასუსტებულ ადამიანსაც. პირველი მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა შემდეგ ადგილას:

უფერო ქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი **იანი**,

მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი (238) — იგულისხმება ტარიელი.

საგულისხმოა, რომ პოეტი ამავე სემანტიკით ქმნის ოკაზიურ ნასახელარ ზმნებს სახელებისაგან **ვარდი** და **ია**:

ორნივე მიჰხედეთ წადილსა, იგი **ვარდობდეს**, შენ **იე** (1280).

მეორე მნიშვნელობით იხმარება სახელი **ია** ამ შემთხვევაში:

ადრე მოსვლასა ჰვედრებდა, მართ ვითა **ია** ჭნებოდა (675) — იგულისხმება დარდისაგან დაოსებული ტარიელი.

სიტყვა **ლერწამი** ტანკენარი, მოქნილტანიანი ადამიანის აღმნიშვნელია, ხოლო შესიტყვება **ლერწმისა სარი** წამწამების სიმბოლოა:

მოგშორდი, ედემს ნაზარდო **ტანით ლერწამო** და ხეო (731) — ასე მიმართავს ოცნებაში ავთანდილი თინათინს...

**ლერწმისა სარსა** დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა (900) — იგულისხმება ავთანდილის წამწამები...

სიტყვა **მწვანვილი** ერთადერთ შედარებაშია გამოყენებული და მიანიშნებს იოლად მოწყლვად ადამიანზე:

ვით **მწვანვილსა** თრთვილისაგან პირსა ფერი დააკლდების,

ხედავთ, ვარდსა უმზეობა რავგარ ადრე დააჩნდების?! (722) — იგულისხმება ავთანდილის განცდები თინათინისაგან მოშორების გამო.

სახელი **ნარგისი** პოემაში გამოხატავს დარდისაგან გაყვითლებულ სახესა და ქუთუთოებს:

ცრემლი ცხელი ასოვლებდეს **ნარგისთაგან** ვარდსა ზრულსა (157)...

სიტყვა **ნუშის** გამოყენებით პოემაში ერთადერთი მეტაფორაა წარმოქმნილი და, ჩვენი აზრით, გულისხმობს ნესტან-დარეჯანის ნუშისებრ ქუთუთოებს:

**ნუშნი** გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა (1289).

სახელი **სარო** პოემაში ტანადი, მოქნილტანიანი ახალგაზრდის სიმბოლოა და ალბათ ყველა მკითხველს ამ სიტყვის გაგონებაზე ავთანდილის შესახებ ავტორის ნათქვამი გაახსენდება:

**საროსა** მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა (41)...

სიტყვა **სოსანი** მხოლოდ ავთანდილის დასახასიათებლადაა გამოყენებული და მიანიშნებს მის ტანმალლობასა და მშვენიერებაზე:

დილასა აღრე მოვიდა იგი **ნაზარდი სოსანი** (74).

სახელი **ტევრი** ხშირ თმებსა და წარბებს აღნიშნავს შემდეგ ფრაზებში:

ქალი ტირს და მკერდსა იცემს, **თმისა ტევრსა** გაიგლეჯდა (231).

ბროლ-ბალახშსა აშვენებდა თმა გიშერი, **წარბი ტევრი** (699).

სახელი **ყვავილი** პოემაში სილამაზის, სიქორფე-სიჭაბუკისა და სინაზის სიმბოლოა:

მზემან გაყრიდა დაგაჰნე, **ვითა ყვავილი ბარისა** (417).

შენი შვენება **ყვავილსა** აჭნობს, **ჩემნიცა** ჭნებიან (1095).

ვარდი ახლად იფურჭვნების, მე **ყვავილი** დამებერა (1534) — ერთგვარი სინანულით ამბობს ხანდაზმული როსტევენი...

**გიშერ** სიტყვასთან შეწყვილებული სიტყვა **წნელი** შავი წამწამების აღნიშვნელია ფრაზაში:

ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა **წნელითა** (1289).

სახელი **ხე**, რომელიც პოემაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ტანადი ადამიანის სიმბოლოდ, აშკარად გულისხმობს ქრისტიანულ-ბიბლიურ ალვის ხეს, რაც ფრიად საყურადღებოა, ვინაიდან ამჟამინდელ ქართულ ენაში ხესთან ადამიანის შედარება უფრო უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, ვიდრე დადებითისა. ამ დასკვნისაკენ გვიბიძგებენ ამ სიტყვის გამოყენებით შედგენილი ფრაზები:

ვინ მოგკვეთა არა ვიცი, **ხეო, ედემს დანერგულო!** (314) — ამბობს სატრფოს მოშორებული ტარიელი ნესტანის შესახებ.

რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელდებული,

ვინცალა ნახავს, აწ ნახოს, აჰა, **ხე, ედემს ხებული** (482) — აცხადებს ფარსადან მეფე ნესტანის შესახებ.

მოგშორდი, ედემს ნაზარდო **ტანიო** ლერწამო და **ხეო** (731) — ასე მიმართავს ოცნებაში ავთანდილი თინათინს...

ერთადერთ მეტაფორაში სიტყვა **ხე** აღნიშნავს წამწამებს:

ჩემნი მოკლველნი **წამწამნი** შავნი გიშრისა **ხენია** (1270).

ამრიგად, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირია მცენარეთა სემანტიკური ველის ლექსიკის ადამიანის ექსპრესიულ-ემოციურ მახასიათებელთა როლში გამოყენების შემთხვევები. ლექსიკის ამ ჯგუფის სიტყვებით დამაჯერებლად და ექსპრესიულად გამოიხატება პერსონაჟთა როგორც გარეგნული, ისე შინაგანი თვისებები. პოემაში ასევე შესამჩნევია ქრისტიანულ-ბიბლიური სახისმეტყველების გავლენა უზუსტურ შედარება-მეტაფორათა გამოყენებაში, მაგრამ საკმაოდ ხშირია ოკაზიური სიტყვათხმარების მაგალითებიც.

### ლიტერატურა

**გვანცელაძე 2005** — გ. გვანცელაძე. ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. ნაწილი I. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. თბილისი.

**გვანცელაძე 2006** — გ. გვანცელაძე. ვარდის მეტაფორული სემანტიკის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIII, თბილისი.

**გვანცელაძე 2009,1** — ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში. ნაწილი II. თბილისი.

**გვანცელაძე 2009,2** — ადამიანი და ცხოველები. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკის პრაგმატიკული ლექსიკონი. თბილისი.

**რუსთაველი 1974** — შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბილისი.

**ფოჩხუა 1974** — ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი.

## GVANTSA GVANTSELADZE

### Vocabulary of Semantic Field of Plants in the Role of a Human-being's Features According to Shota Rustaveli's Poem "The Knight in the Panther's Skin"

#### Summary

In the world's languages the cases of figurative using of the words denoting animals, plants and inanimate objects often occur in a role of a human-being's characteristic feature. During centuries the practice of using this vocabulary with the mentioned function has been formed in the languages and relevant words became as the symbols of this or that positive or negative feature of a human-being. At the same time common objective or subjective features between a human-being and animals, a human-being and plants or a human-being and inanimate objects are created. Sometimes the words of other semantic field obtain more than one figurative meaning.

A Georgian poet Shota Rustaveli's poem "The knight in the panther's skin" (1189-1204) is a wide-scale epic secular work in the Georgian literature, in which the author widely uses rich vocabulary of different field for characterizing inner and physical features of the personages of both sex. The following vocabulary of plants semantic field, that is often used in metaphors and comparings, takes an important place in this vocabulary: **a poplar, a chaff, a rose, an asp, a saffron, a violet, a reed, greens, a daffodil, an almond, a cypress, a lily, thicket, a flower**. In the poem these names are used with the following figurative meanings:

The words **a poplar, an asp, a reed, a lily** and **a cypress** denote tall, elegant graceful women and men with beautiful appearance. For the purpose of hyperbolization of these features the author often uses the phrase **edems rguli alva** "A poplar planted in the Eden", that is brought from the Bible.

The word **rose** is used with five figurative meanings in the poem: 1. a human-being's rosy and soft face skin; 2. a human-being's rosy cheeks; 3. red lips; 4. a beautiful girl; 5. a handsome fellow;

The words **saffron** and **daffodil** denote yellowed from sorrow face and eye-lids;

The word **greens** denotes a weakened from sorrow human-being;

The word **almonds** is a symbol of beautiful eye-lids;

The word **thickets** is a symbol of a woman's thick and beautiful hair;

The word **flower** denotes a human-being's youth, beauty and softness.



ლელა გიგლავიანი

**რედუქციაციით მიღებული ზმნისართები სვანურში**

კომპოზიცია(ანუ თხზვა)ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოსაქმნელად გამოყენებულია მრავალ სხვადასხვა სისტემის ენაში, მათ შორის — ქართველურ ენებშიც. ეს ეხება კომპოზიციის ერთ-ერთ სახეობასაც — რედუქციაციას, რომელიც ახალი სიტყვების მიღებას გულისხმობს ერთი და იგივე ფუძეთა განმეორებით, გაორკეცვებით.

ვარლამ თოფურია სამართლიანად აღნიშნავდა, რომ კომპოზიტთა სახეები, შედგენილობა, შეერთების საშუალება, მეტყველების ნაწილებში მათი გამოყენება და მნიშვნელობა სვანურში ისეთივეა, როგორც ქართულში (თოფურია 1959 : 288). ბუნებრივია, ეს მოსაზრება რედუქციაციაზეც ვრცელდება.

საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც ზმნისართებს ეძღვნება, გიორგი კაჭარავა განიხილავს რედუქციაციით მიღებულ ზოგ ზმნისართულ ფუძეს.

ლატავრა სანიკიძეს ეკუთვნის სპეციალურ ნაშრომი რედუქციაციის შესახებ ქართველურ ენებში, მათ შორის — სვანურშიც, კერძოდ, ავტორმა, რედუქციაციით მიღებულ სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა გვერდით, წარმოადგინა რამდენიმე სვანური კომპოზიტური ზმნისართის ანალიზიც (სანიკიძე 1977 : 24)

რედუქციაციით მიღებული სვანური ზმნისართის რამდენიმე მაგალითია დასახელებული აგრეთვე კახა გაბუნიას წიგნში „ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“ ( გაბუნია 1993 : 72)

ანტონ კიზირია მეტად საყურადღებო მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ (კიზირია 1982) დიდ ადგილს უთმობს სხვადასხვა სახის გარემოებად ზმნისართთა გამოყენების შემთხვევებს, მაგრამ რედუქციაციის მაგალითები სვანურში არა აქვს განხილული.

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ თვალსაზრისთა გათვალისწინებით და ზოგი ახალი მასალის შემოტანით ვცადეთ რედუქციაცირებული ზმნისართების უფრო სრული ანალიზი წარმოგვედგინა.

სვანურში გამოიყოფა გაორკეცვების ისეთი სახეები, როგორცაა 1.მარტივი გაორკეცვა, 2. თავკიდურის ცვლილებით გაორკეცვა, 3. გაორკეცვა ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით, 4. გაორკეცვა პირველი ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვით, 5. გაორკეცვა მეორე ფუძის თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით, 6. ტენილი გაორკეცვა, 7. ღია მარცვლის გაორკეცვა; ეს — საზოგადოდ, ხოლო რაც შეეხება ზმნისართებს, აქაც დასტურდება ფუძის გაორკეცვების სხვადასხვა შემთხვევები.

1. გვხვდება უკავშირო ფუძეგაორკეცვებული ზმნისართები:

**ამჟი-ამჟი** (ბქ.) ,, ასე და ასე”, **იმე-იმე** (ბზ.), (ქს.) **იმგჷნ-იმგჷნ** ( ბქ.) ,, ალაგ-ალაგ, აქა-იქ, ზოგან“, **ჩიქი- ჩიქი** (ბქ.), **ჩიქჷმ ჩიქე** (ლშხ.), **ჩიქჷმ- ჩიქ** (ლნტ.) ,, ჯერჯერობით”, **ლექჷა-ლექჷა** (ბზ.) ,, ქვევით-ქვევით”, **ლეჟა-ლეჟა** (ბზ.) ,, ზევით-ზევით.”

მაგ: აჩადხოლჷ **ამჟი-ამჟი** ლარდაშ ლჷთხელითე (ბქ.) — წავიდნენო ასე და ასე ბინის ( “სამყოფის“) საძებნელად.

**იმე-იმე** ჟი იშტმინეხ (ბზ.) ,, აქა-იქ შეისვენებენ”

**იმგჷნ-იმგჷნ** მასარდ ჳედნი კეცენ (ბქ.) ,, ზოგან ბევრი ხორბალი მოდის”

**ჩიქი-ჩიქი** მამგჷნეშ მიჭირ (ბქ.) ,, ჯერჯერობით არაფერი მიჭირს”

**ლექჷა-ლექჷა** ოლჷერ (ბზ.) ,,ქვევით-ქვევით წამოვედი”

**ლეჟა-ლეჟა** ესხრი ,,ზევით-ზევით მიდის”

2. ფუძის გაორკეცებისას შეიძლება მეორე კომპონენტი რომელიმე ბრუნვაში( მიცემითში, მოქმედებითში ან ვითარებითში) მოგვევლინოს.

ა) მიცემითი: **ნებოზ-ნებოზს** ,,საღამო-საღამოობით”, **ძინარ-ძინარს** ,,დილ-დილაობით”...

ელჷე შიდ ხულჷე ლიც ფედიას, ჟ’ალცუნეხ **ნებოზ-ნებოზს** (ლენტ.) ,,თუ აქეთ წყალი ახლოს, რწყავენ საღამოობით”.

ეა დენა დეცხენჩუ ალმაზლი **ძინარ-ძინარს**(ლნტ.) ,, ეს გოგო ციდან ჩამოდირდა თურმე დილ-დილაობით”.

ბ) მოქმედებითი: **კაჩ-კაჩჷშ** (ბზ.) ,,აღმართ-აღმართ”, **ზგმ-ზგმჷშ** (ბზ.) ,,ცოტ-ცოტათი”...

თოთანს ესლური **კაჩ-კაჩჷშ** ,,თოთანზე მივდივარ აღმართ-აღმართ”.

**ზგმ-ზგმჷშ** ხოჩილდ არი ,,ცოტ-ცოტათი უკეთაა”

გ) ვითარებითი: **ბგგი-ბგგიდ** (ბზ., ლშხ.) ,,კარგა-მაგრად”, **ზედმიწ.** ,,მაგრა- მაგრად”, **თამაშ-თამაშდ** (ბზ.) ,, ნელ-ნელა”, **თაგ-თაგდ** (ბქ., ლნტ.) ,,აქა-იქ, მეჩხერად.”

ნაცარქექიად დაჷს ხაძგარდელ თეტჷნს **ბგგი-ბგგიდ** (ლშხ.) ,,ნაცარქექია დევს კარგა მაგრად („მაგრა-მაგრად“) აძგერებს სადგისს.”

**თამთამაშდ** ბაჷდ ონჷტედ (ბქ.) ,,ნელნელა გონს მოვედი.”

ითჷარ **თაგ-თაგდ** ზიხ ლგჷანისგა (ბქ.) ,, ხნულში მარცვლები აქა-იქაა.”

დ) შეიძლება შეგვხვდეს თანდებულდართული ფორმებიც:

**კაჩ-კაჩჷი** ნაჷედჷ მაფჷმარ ხუჷსჷ (ბქ.) ,,აღმართ-აღმართ ნასიარულევი დალილი ვიყავი.”

აღდარს ოხბინახ **ზგმ-ზგმჷი** ნენჩაშ ლიქჷე (ბქ.) ,,ამათ ცოტ-ცოტათი ტყის ჭრა დაუწყიათ.”

3. გვაქვს **-ინ, -უნ, -გნ** სუფიქსებით გაფორმებული რედუპლიცირებული ზმნისართები.

**კალ-კალუნ** ლხმ., **კალკალუნ** ჩზხ. ,, ზოგჯერ, დროგამოშვებით, დროდადრო, აქა-იქ”. **დეს-დესინ** (ბზ., ლშხ.) **დეს-დესუნ, ძან-ძანგნ** (ბქ.) **ესი-ესინ, დესი-დესინ** (ლნტ.) ,,ხანდახან, ზოგჯერ”.

მარემ მგქაფდ **კალ-კალუნ** მიჩა ნაჩომ ესერ რაგდი ,,კაცის ნაცვლად ზოგ-

ჯერ მისი ნამოქმედარი ლაპარაკობსო” ( შდრ.მეგრ. კალ-კალე კან-კალე „ზოგიერთი”, კალ-კალეშა „ზოგჯერ-ხანდახან”)

**აწს-აწსუნ** დოსდ აშდლუე ლახტუარს (ბქ.) „მთებს ზოგჯერ ადრე დაათოვს.”

**აეს-აესინ** ქა იდარი ( ლშხ.) „ხანდახან გამოიდარებს.”

4. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის შესაბამისად, სვანურში არა გვაქვს ქართული **კვალდაკვალ** და **პირდაპირ** ზმნისართების ანალოგიური ( ე.ი. და კავშირით შეერთებული) შემთხვევები (თოფურია 1959:288) სვანურ ტექსტებში ჩვენ დავადასტურეთ რედუბლიკაციისას **ი ( ა )** კავშირის გამოყენების მაგალითები: **ეჯლადეჯლა** (ბქ.) „მაცინცდამაცინც”, **ქაქა** (ხს., ლნტ.) **ქაქა** (ლშხ.), „იქით-იქით”

**ეჯლადეჯლა** დემ ლამყენი, ეშხუ გაჩილს მი ხტიძგრინე, მერმე გაჩილს სი ჯაძგრინე „ მაცინცდამაცინც თუ არ მომეშვები, ერთ დანას მე ვიკრავ, მეორეს შენ გკრავ.”

**ქაქა** ემტენელი ჭყინტ „ბიჭი იქით-იქით გაწეულა.”

**ქაქა** ქიხე „იქით-იქით წევს.”

ამ ზმნისართს აქვს როგორც სივრცული მნიშვნელობა, ასევე დროის გაგებაც.

რედუბლიკაციისას შესაძლებელია ფუძეში მოხდეს ცვლილება, კერძოდ, შეიცვალოს:

ა) ფუძის ხმოვნითი ელემენტი — ჩბხ. **ჯრიბჯრაბშუ** „ ჯლაგუნით“

მაგ: **ჯრიბჯრაბშუ** ანდრი „ჯლაგუნით მოდის“

ბ) ფუძის თანხმოვნითი ელემენტი — **სემიყემიდ** „მშვიდად”, **შედლიბედ** „ძლივძლივობით”.

ჩუარის აგის მინეშდ **სემიყემიდ** (ლშხ) „არიან თავიანთთვის სახლში მშვიდად“

ღანაჟ ესერ ლი ი აგის **შედლიბედ** არი „ფეხმძიმედაა და სახლში არისო“.

### ლიტერატურა

**გაბუნია** 1993 — კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი.

**თოფურია** 1959 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბილისი.

**კაჭარავა** 1953 — გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

**კიზირია** 1982 — ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჟდენტი** 1960 — ს. ჟდენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, თბილისი.

**სანიკიძე** 1977 — ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. IV, თბილისი.

**LELA GIGLEMIANI**

## **Adverbs Derivated Through Reduplication in Svan**

### **S u m m a r y**

Reduplication, as one of the types of reduplication, is an important means of word-building in Svan as well as in other Kartvelian languages. Different cases of doubling of a stem are attested:

1. a simple doubling of a stem;
  2. during the doubling of a stem the second component is in any case (dative, instrumental, adverbial);
  3. the forms with postposition also occur;
  4. reduplicated adverbs can be formed by **-in**, **-un**, **-an** suffixes;
  5. the cases of linking of stems through **-i** (> **-ž**) conjunction also occur.
- During the reduplication a stem vowel or a consonant element can be changed

ტარიელ ბურბანიძე

გრამატიკულ კლასთა სისტემა ტიპოლოგიურად  
ბანსემაზეულ ენებში

ნებისმიერი ენის მხოლოდობითი (resp. მრავლობითი) რიცხვის I, II და III პირის ნაცვალსახელებს აღვნიშნავთ შესაბამისად ლათინური ანბანის **a** „მე“, **b** „შენ“ და **c** „ის“ (resp. **A<sup>n</sup>** „ჩვენ“, **B<sup>n</sup>** „თქვენ“ და **C<sup>n</sup>** „ისინი“) ასოებით. **n** მიუთითებს შესაბამისი სიმრავლის თითოეული ელემენტის წევრთა რაოდენობაზე (თუ **n**-ის სიდიდეს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ის შეიძლება გამოვტოვოთ; ანუ, გვექნება **A** „ჩვენ“, **B** „თქვენ“ და **C** „ისინი“).

გრამატიკულ სქესს განვიხილავთ გრამატიკული კლასის კერძო შემთხვევად. თუ მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის (კლასის) პირის ნაცვალსახელებს მივუწერთ შესაბამისად ინდექსებს 1, 2 და 3, მივიღებთ: **a<sub>1</sub>**=მე (მამრ.), **a<sub>2</sub>**=მე (მდ.); **b<sub>1</sub>**=შენ (მამრ.), **b<sub>2</sub>**=შენ (მდ.); **c<sub>1</sub>**=ის (მამრ.), **c<sub>2</sub>**=ის (მდ.), **c<sub>3</sub>**=ის (საშ.). **a**, **b** და **c** (resp. **a<sub>i</sub>**, **b<sub>j</sub>**, **c<sub>k</sub>**) წარმოადგენენ ამოსავალ სიმბოლოებს (ანუ, მარტივ ელემენტებს), რომლებიც ერთმანეთს შეიძლება **A** „და“ ოპერატორით დაუკავშირდნენ. **a A b**, **a A c**, **b A b**, **b A c**, **c A c** სახის ორწევრა კომბინაციებს შემოკლებით ასე ჩავწერთ: **ab**, **ac**, **bb**, **bc**, **cc**.


**A<sub>1</sub>**, **B<sub>1</sub>**, **C<sub>1</sub>** ნიშნავს, რომ შესაბამისი სიმრავლის თითოეული ელემენტი შეიცავს მამრობითი სქესის (I კლასის) ერთ სახელს მაინც. **A<sub>2</sub>**, **B<sub>2</sub>**, **C<sub>2</sub>** ნიშნავს, რომ შესაბამისი სიმრავლის არცერთი ელემენტი არ შეიცავს მამრობითი სქესის (I კლ.) სახელს და იმავდროულად შეიცავს მდედრობითი სქესის (II კლ.) ერთ სახელს მაინც. **C<sub>3</sub>** ნიშნავს, რომ შესაბამისი სიმრავლის ყოველი ელემენტი მხოლოდ საშუალო სქესის (III კლ.) სახელებს შეიცავს.

ფრანგულ ენაში მხოლოდობითი რიცხვის III პირის ნაცვალსახელისთვის ორი ფორმა მოიპოვება: **c<sub>1</sub>** = **il** („ის“ მამრ.) და **c<sub>2</sub>** = **elle** („ის“ მდ.). მრავლობითი რიცხვისთვის III პირში ასევე ორი ფორმა გვაქვს: **C<sub>1</sub>** = **ils** („ისინი“ მამრ.) და **C<sub>2</sub>** = **elles** („ისინი“ მდ.). **elles** წარმოადგენს მდედრობითი სქესის ნაცვალსახელს იმ აზრით, რომ ყველა სახელი ან საგანი, რომლებსაც ის მიემართება, ეკუთვნის მდედრობითი სქესის სახელებს. **ils** წარმოადგენს მამრობითი სქესის ნაცვალსახელს იმ აზრით, რომ სულ ცოტა ერთი მაინც იმ საგნებიდან ან სახელებიდან, რომლებსაც ის მიემართება, არის მამრობითი სქესის სახელი. აქე-

დან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფრანგულ ენაში მამრობითი სქესი გაბატონებული წევრია სქესის სისტემისა (ლაიონზი 1978:294), რასაც პირობით ასე ჩავწერთ:  $c_1 > c_2$ . ორწევრა კომბინაციების აღნიშვნის თვალსაზრისით ფრანგულში გვაქვს:  $C_1 = \{c_1c_1, c_1c_2\}$ ,  $C_2 = \{c_2c_2\}$ . ანალოგიური ვითარება გვაქვს პოლონურში ზმნურ სისტემაში (წარსულ დროში).

„ზოგადი წესი“ (გურგენიძე 1984: 114-129) საშუალებას გვაძლევს ზოგიერთ შემთხვევებში დავადგინოთ იერარქიული მიმართება  $p$  და  $h$  ამოსავალ სიმბოლოებს შორის: თუ  $pp = P$  და  $hh = H$ , ხოლო  $ph = P$ , მაშინ  $p > h$  (ანუ,  $p$  იერარქიულ საფეხურზე უფრო მაღლა დგას, ვიდრე  $h$ ).

განვიხილოთ არაბული ენის კავკასიური დიალექტის პირის ნაცვალსახელთა სისტემა (ჩიქოვანი 1985: 193):  $a = ana$  („მე“),  $b_1 = inta$  („შენ“ მამრ.),  $b_2 = inti$  („შენ“ მდ.);  $c_1 = z\ddot{o}k$  („ის“ მამრ.),  $c_2 = zika$  („ის“ მდ.);  $A = nahna$  (||  $nahnat$ ) („ჩვენ“),  $B_1 = int\ddot{u}$  (||  $intuwat$ ) („თქვენ“),  $B_2 = intinna$  („თქვენ“):  $C_1 = zikl\ddot{o}n$  (||  $zikl\ddot{o}nat$  ||  $zok\ddot{a}t$ ) („ისინი“),  $C_2 = zikl\ddot{a}nna$  („ისინი“). სქემატურად ეს სისტემა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:




ვინაიდან „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში ერთზე მეტი მოლაპარაკე (ანუ, პირველი) პირის მონაწილეობა შეუძლებელია, ამიტომ გამოირიცხება  $a A a$  კომბინაცია. ორწევრა კომბინაციები ასეთია:

$C_1 = \{c_1c_1, c_1c_2\}$ ;  $C_2 = \{c_2c_2\}$ . „ზოგადი წესის“ მიხედვით  $c_1 > c_2$ .


$B_1 = \{b_1b_1, b_1b_2, b_1c_1, b_1c_2; b_2c_1\}$ ;  $B_2 = \{b_2b_2, b_2c_2\}$ . ამავე წესის მიხედვით  $b_1 > b_2$ ,  $b_1 > c_1$ ,  $b_1 > c_2$ ,  $b_2 > c_2$ ; ვინაიდან  $b_2b_2 = B_2$  და  $c_1c_1 = C_1$ , ხოლო  $b_2c_1 = B_1$ , ამიტომ „ზოგადი წესის“ მიხედვით ვერ ხერხდება იერარქიული მიმართების დადგენა  $b_2$  და  $c_1$  მარტივ ელემენტებს შორის (პირობით ამას ასე ჩავწერთ:  $b_2 ? b_1$ ).  $A = \{ab_1, ab_2, ac_1, ac_2\}$ . ვინაიდან  $aa$  კომბინაცია გამოირიცხება, ამიტომ „ზოგადი წესის“ მიხედვით ვერ დავადგენთ, თუ რა მიმართებაშია  $a$  სიმბოლო დანარჩენ ( $b_1, b_2, c_1, c_2$ ) სიმბოლოებთან. თუმცა, ის ფაქტი, რომ  $A$  სიმბოლის ყველა ელემენტი შეიცავს  $a$  სიმბოლოს, თავისთავად უკვე მეტყველებს ამ უკანასკნელის (ე. ი.  $a$  სიმბოლოს) გაბატონებულ მდგომარეობაზე დანარჩენი ამოსავალი სიმბოლოების მიმართ.

ვინაიდან, რა მდგომარეობა გვაქვს არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში (აბდეღჰანგი, კჰალაფლაპი 1969: 76):  $a = g\ddot{a}ni$  („მე“),  $b_1 = g\ddot{i}nti$  („შენ“ მამრ.),  $b_2 = g\ddot{i}ntey$  („შენ“ მდ.),  $c_1 = h\ddot{u}:$  („ის“ მამრ.),  $c_2 = h\ddot{i}:$  („ის“ მდ.);  $A = g\ddot{i}hni$  („ჩვენ“),  $B = g\ddot{i}ntow$  („თქვენ“),  $C = h\ddot{u}mma$  („ისინი“). სათანადო სქემა ასეთია:



$C = \{c_1c_1, c_1c_2, c_2c_2\}$ ,  $B = \{b_1b_1, b_1b_2, b_1c_1, b_1c_2; b_2b_2, b_2c_1, b_2c_2\}$ ,  $A = \{ab_1, ab_2, ac_1, ac_2\}$ . „ზოგადი წესის“ მიხედვით დგინდება შემდეგი იერარქიული მიმართება:  $b_1 > c_1$ ,  $b_1 > c_2$ ,  $b_2 > c_1$ ,  $b_2 > c_2$ . ამავე წესის მიხედვით ვერ დგინდება მიმართება  $b_1$  და  $b_2$ , აგრეთვე  $c_1$  და  $c_2$  ამოსავალ სიმბოლოებს შორის ( $b_1 ? b_2, c_1 ? c_2$ ). რაც შეეხება  $a$  სიმბოლოს, აქაც იგივე სიტუაციაა, რაც გვექონდა არაბული ენის კაშკაღარიულ დიალექტში.

არაბული ენის ხატრამაუტისა და იემენის თქმებში გრამატიკულ სქესს განარჩევს აგრეთვე მხოლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელი, ხოლო მრავლობით რიცხვში იგი აქ მხოლოდ ერთი ფორმითაა წარმოდგენილი (მარბატოვი 1961: 50):  $a_1 = anā$  („მე“ მამრ.),  $a_2 = āni$  („მე“ მდ.). სქემატურად გვექნება:




აქ ამოსავალი სიმბოლოებია:  $a_1, a_2, b_1, b_2, c_1, c_2$ .

$C = \{c_1c_1, c_1c_2, c_2c_2\}$ ,  $B = \{b_1b_1, b_1b_2, b_1c_1, b_1c_2; b_2b_2, b_2c_1, b_2c_2\}$ ,

$A = \{a_1b_1, a_1b_2, a_1c_1, a_1c_2; a_2b_1, a_2b_2, a_2c_1, a_2c_2\}$ .

„ზოგადი წესის“ მიხედვით  $b_1 > c_1$ ,  $b_1 > c_2$ ,  $b_2 > c_1$ ,  $b_2 > c_2$ , ( $b_1 ? b_2, c_1 ? c_2$ ). ვინაიდან გამოირიცხება  $a_1a_1, a_1a_2, a_2a_2$  კომბინაციები, ამიტომ „ზოგადი წესის“ მიხედვით ვერ დადგინდება იერარქიული მიმართება  $a_1$  და  $a_2$  სიმბოლოებს შორის. ამავე წესითვე ვერ დავადგენთ, თუ რა მიმართებაში არიან  $a_1$  და  $a_2$  სიმბოლოები დანარჩენი ( $b_1, b_2, c_1, c_2$ ) სიმბოლოების მიმართ. თუმცა ის ფაქტი, რომ  $A$  სიმრავლის ყველა ელემენტი შეიცავს ან  $a_1$ , ან  $a_2$  სიმბოლოს, თავისთავად უკვე მეტყველებს ამ უკანასკნელთა (ე. ი.  $a_1$  და  $a_2$  სიმბოლოების) გაბატონებულ მდგომარეობაზე დანარჩენი ამოსავალი სიმბოლოების მიმართ.

განსხვავებული ვითარება გვაქვს ესპანურ ენაში (ლევინტოვა, ვოლფი 1964: 38-39). ესპანური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე პირის ნაცვალსახელთა სისტემა ასე გამოიყურებოდა:  $a = yo$  („მე“),  $b = tú$  („შენ“),  $c_1 = el$  („ის“ მამრ.),  $c_2 = ella$  („ის“ მდ.),  $A = nos$  („ჩვენ“),  $B = vos$  („თქვენ“),  $C_1 = ellos$  („ისინი“),  $C_2 = ellas$  („ისინი“). ამ სისტემაში ამოსავალი სიმბოლოები იყო  $a, b, c_1, c_2$ . სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:




$\mathbf{C}_1 = \{\mathbf{c}_1\mathbf{c}_1, \mathbf{c}_1\mathbf{c}_2\}$ ,  $\mathbf{C}_2 = \{\mathbf{c}_2\mathbf{c}_2\}$ ,  $\mathbf{B} = \{\mathbf{bb}, \mathbf{bc}_1, \mathbf{bc}_2\}$ ,  $\mathbf{A} = \{\mathbf{ab}, \mathbf{ac}_1, \mathbf{ac}_2\}$ . „ზოგადი წესის“ მიხედვით  $\mathbf{c}_1 > \mathbf{c}_2$ ,  $\mathbf{b} > \mathbf{c}_1$ ,  $\mathbf{b} > \mathbf{c}_2$ . ამოსავალი  $\mathbf{a}$  სიმბოლო გაბატონებულ მდგომარეობაში იყო დანარჩენი ამოსავალი ( $\mathbf{b}$ ,  $\mathbf{c}_1$ ,  $\mathbf{c}_2$ ) სიმბოლოების მიმართ, ე. ი. ასეთი იერარქიული სტრუქტურა არსებობდა:  $\mathbf{a} > \mathbf{b} > \mathbf{c}_1 > \mathbf{c}_2$ .

თანამედროვე ესპანურ ენაში ცვლილებები განიცადეს მრავლობითი რიცხვის I და II პირის ნაცვალსახელებმა, რომლებიც ორ-ორი ფორმით მოგვევლინენ:

$\mathbf{A}_1 = \mathbf{nosotros}$  („ჩვენ“),  $\mathbf{A}_2 = \mathbf{nosotras}$  („ჩვენ“);  
 $\mathbf{B}_1 = \mathbf{vosotros}$  („თქვენ“),  $\mathbf{B}_2 = \mathbf{vosotras}$  („თქვენ“).

ამოსავალი ელემენტები ( $\mathbf{a}$ ,  $\mathbf{b}$ ,  $\mathbf{c}_1$ ,  $\mathbf{c}_2$ ) არ შეცვლილა. ცვლილება არ შეეხო არც მრავლობითი რიცხვის III პირის  $\mathbf{C}_1$  და  $\mathbf{C}_2$  ნაცვალსახელებს. სქემატურად ამას ასე წარმოვადგენთ:



თანამედროვე ესპანურ ენაში  $\mathbf{A}_1$ ,  $\mathbf{B}_1$  და  $\mathbf{C}_1$  ფორმები მაშინ იხმარება, როდესაც, სულ ცოტა, ერთი მაინც იმ საგნებიდან ან სახელებიდან, რომლებსაც ისინი მიემართებიან, არის მამრობითი სქესის სახელი; ხოლო  $\mathbf{A}_2$ ,  $\mathbf{B}_2$  და  $\mathbf{C}_2$  ფორმები მაშინ გამოიყენება, როცა ყველა სახელი ან საგანი, რომლებსაც ისინი მიემართებიან, არის მდედრობითი სქესის სახელი.

$\mathbf{C}_1 = \{\mathbf{c}_1\mathbf{c}_1, \mathbf{c}_1\mathbf{c}_2\}$ ;  $\mathbf{C}_2 = \{\mathbf{c}_2\mathbf{c}_2\}$ . „ზოგადი წესის“ მიხედვით  $\mathbf{c}_1 > \mathbf{c}_2$ .

ვინაიდან  $\mathbf{ac}_1$  (resp.  $\mathbf{bc}_1$ ) კომბინაციაში შედის მამრობითი სქესის ერთი სახელი (კერძოდ,  $\mathbf{c}_1$ ), ამიტომ  $\mathbf{ac}_1 \in \mathbf{A}_1$  (resp.  $\mathbf{bc}_1 \in \mathbf{B}_1$ ), ანუ,  $\mathbf{ac}_1$  (resp.  $\mathbf{bc}_1$ ) კომბინაცია აღინიშნება  $\mathbf{A}_1$  (resp.  $\mathbf{B}_1$ ) ფორმით.

$\mathbf{ac}_2$  (resp.  $\mathbf{bc}_2$ ) კომბინაცია იმ შემთხვევაში აღინიშნება  $\mathbf{A}_1$  (resp.  $\mathbf{B}_1$ ) ფორმით, თუ  $\mathbf{a}$  (resp.  $\mathbf{b}$ ) მამრობითი სქესის სახელს მიემართება; ხოლო თუკი  $\mathbf{a}$  (resp.  $\mathbf{b}$ ) მდედრობითი სქესის სახელს მიემართება, მაშინ ეს კომბინაცია გამოიხატება  $\mathbf{A}_2$  (resp.  $\mathbf{B}_2$ ) ფორმით. გამოდის, რომ „სიღრმულ დონეზე“ უნდა ვივარაუდოთ ორნაირი  $\mathbf{a}$ -ს (resp.  $\mathbf{b}$ -ს) არსებობა:  $*\mathbf{a}_1$  („მე“ მამრ.)  $*\mathbf{a}_2$  („მე“ მდ.) [resp.  $*\mathbf{b}_1$  („მენ“ მამრ.),  $*\mathbf{b}_2$  („მენ“ მდ.)].



**ac<sub>2</sub>** კომბინაციის გამოხატვაში განმსაზღვრელია მოლაპარაკის (I პირის) სქესი, ხოლო **bc<sub>2</sub>** კომბინაციის გამოხატვაში განმსაზღვრელია მსმენელის (II პირის) სქესი.

ახლა განვიხილოთ **ab** კომბინაცია.

$$ab \begin{cases} A_1 \dots (a=*a_1) \vee (b=*b_1); \\ A_2 \dots (a=*a_2) \wedge (b=*b_2); \end{cases}$$


**ab** კომბინაცია **A<sub>1</sub>** ფორმით გამოიხატება, თუ მისი შემადგენელი ერთ-ერთი წევრი მაინც მამრობითი სქესის სახელია; ანუ, ან მოლაპარაკე, ან მსმენელი, ან ორივე ერთად (მოლაპარაკეც და მსმენელიც) მამრობითი სქესის სახელია. **V** სიმბოლოთი აღნიშნულია ლოგიკური ოპერატორი „დიზუნქცია“ („ან“). **ab** კომბინაცია **A<sub>2</sub>** ფორმით მხოლოდ მაშინ გამოიხატება, როცა მისი შემადგენელი ორივე წევრი (მოლაპარაკეც და მსმენელიც) მდედრობითი სქესის სახელია. **Λ** სიმბოლოთი აღნიშნულია ლოგიკური ოპერატორი „კონიუნქცია“ („და“).

განსახილველი დაგვრჩა კიდევ ერთი კომბინაცია — **bb**, რომელშიც ორი მსმენელია გაერთიანებული. მართალია, ცალ-ცალკე მიმართვის დროს ორივე ერთნაირად აღინიშნება „შენ“ ნაცვალსახელით, მაგრამ რეალურად ისინი სხვადასხვა ადამიანებს მიემართება, ამიტომ ამ კომბინაციას **b<sup>2</sup>b<sup>1</sup>**-ით აღვნიშნავთ.

$$b^2b^1 \begin{cases} B_1 \dots (b^2=*b_1^2) \vee (b^1=*b_1^1); \\ B_2 \dots (b^2=*b_2^2) \wedge (b^1=*b_2^1); \end{cases}$$

**b<sup>2</sup>b<sup>1</sup>** კომბინაცია **B<sub>1</sub>** ფორმით მაშინ გამოიხატება, როცა მისი შემადგენელი ერთ-ერთი წევრი მაინც (ანუ, ერთი მსმენელი მაინც) მამრობითი სქესის სახელია; ანუ, ან ერთი მსმენელი (**b<sup>2</sup>**), ან მეორე მსმენელი (**b<sup>1</sup>**), ან ორივე მსმენელი ერთად (**b<sup>2</sup>**-ც და **b<sup>1</sup>**-ც) მამრობითი სქესის სახელია. **b<sup>2</sup> b<sup>1</sup>** კომბინაცია **B<sub>2</sub>** ფორმით გამოიხატება მხოლოდ მაშინ, როცა მისი შემადგენელი ორივე წევრი (ანუ, ორივე მსმენელი) მდედრობითი სქესის სახელია.

თანამედროვე ესპანური ენის ნაცვალსახელთა სისტემა ამ განხილვის შემდეგ სქემატურად უკვე ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:




შესაბამისად შეიცვლება ამოსავალი სიმბოლოებიც:  $*a_1, *a_2, *b_1, *b_2, c_1, c_2$ .  
 $C_1 = \{c_1c_1, c_1c_2\}$ ,  $C_2 = \{c_2c_2\}$ ;  $B_1 = \{*b_1\wedge*b_1, *b_1\wedge*b_2, *b_1\wedge c_1, *b_1\wedge c_2, *b_2\wedge c_1\}$ .  
 $B_2 = \{*b_2\wedge*b_2, *b_2\wedge c_2\}$ . „ზოგადი წესის“ მიხედვით  $c_1 > c_2, *b_1 > *b_2, *b_1 > c_1, *b_1 > c_2, *b_2 > c_2$ ; ხოლო  $*b_2$  და  $c_1$  სიმბოლოებს შორის ვერ დგინდება იერარქიული მიმართება ( $*b_2 ? c_1$ ).

$$A_1 = \{*a_1 \wedge *b_1, *a_1 \wedge *b_2, *a_1 \wedge c_1, *a_1 \wedge c_2, *a_2 \wedge *b_1, *a_2 \wedge c_1\};$$

$$A_2 = \{*a_2 \wedge *b_2, *a_2 \wedge c_2\}.$$

განვიხილოთ რუსული ენის განვითარების სამი ეტაპი. I ეტაპზე (უძველეს საფეხურზე) მესამე პირის ნაცვალსახელისთვის მრავლობით რიცხვში (მხოლოდითის მსგავსად) სამი ფორმა არსებობდა:  $c_1 = \text{онь}$  („ის“ მამრ.),  $c_2 = \text{онѧ}$  („ის“ მდ.),  $c_3 = \text{онѡ}$  („ის“ საშ.);  $C_1 = \text{они}$ ,  $C_2 = \text{оны}$ ,  $C_3 = \text{ѡна}$  („ისინი“). სქემატურად ეს ასე გამოგზატოთ:




ჩვენი ვარაუდით ამ ეტაპზე კომბინაციები ასე აღინიშნებოდა:

$$\begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} &= C_1; \quad \dots \quad c_1 > c_2, c_1 > c_3. \\ \{c_2c_2, c_2c_3\} &= C_2; \quad \dots \quad c_2 > c_3. \\ \{c_3c_3\} &= C_3. \end{aligned}$$

I ეტაპზე ასეთი იერარქიული სტრუქტურა ივარაუდება:  $c_1 > c_2 > c_3$ .

მომდევნო საფეხურზე (II ეტაპზე) მრავლობით რიცხვში მესამე პირის ნაცვალსახელისათვის ორი ფორმა შემოგვრჩა ( $C_1 = \text{они}$ ,  $C_2 = \text{оне}$ ), ხოლო ამოსავალი სიმბოლოების რაოდენობა არ შეცვლილა. სქემატურად ასეთი სურათი გვაქვს:



შუალედურ საფეხურზე (II ეტაპზე) კომბინაციები ასე აღინიშნებოდა:

$$C_1 = \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3; c_3c_3\}, C_2 = \{c_2c_2, c_2c_3\}.$$

$c_3c_3$  კომბინაციის გამოხატვა II ეტაპზე იკისრა  $C_1$  ფორმამ.

$c_1c_1 = C_1$ ,  $c_2c_2 = C_2$ , ხოლო  $c_1c_2 = C_1$ ; ანუ  $c_1 > c_2$ ;


$c_2c_2 = C_2$ ,  $c_3c_3 = C_3$ , ხოლო  $c_2c_3 = C_2$ ; ანუ,  $c_2 > c_3$ .

$c_1$  და  $c_3$  სიმბოლოებს შორის „ზოგადი წესის“ მიხედვით იერარქიულ მიმართებას ვერ დავადგენთ, ვინაიდან  $c_1c_1 = c_3c_3 = c_1c_3 = C_1$ .

აქ შემოდის დამატებითი კრიტერიუმი, რაც ითვალისწინებს **ტრანზიტულობის** თვისებას: ვინაიდან  $c_1 > c_2$ , ხოლო  $c_2 > c_3$ , ამიტომ  $c_1 > c_3$ ; ანუ, ამ ეტაპზეც ასეთი იერარქიული სტრუქტურა გვაქვს:  $c_1 > c_2 > c_3$ .

**ნეიტრალიზაციის** მომენტის გათვალისწინებითაც იმავე შედეგს მივიღებდით: ვინაიდან წინა საფეხურზე არსებული  $C_1 \sim C_3$  ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად მომდევნო საფეხურზე შემოგვრჩა ამ ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, კერძოდ,  $C_1$  (ხოლო  $C_3$  დაიკარგა), ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ II ეტაპზე  $c_1 > c_3$ . შუალედურ საფეხურზე (II ეტაპზე)  $C_2$  გამოიხატა **ონე** ფორმით (I ეტაპის **ონი** ფორმის ნაცვლად).

III ეტაპზე მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელი ერთადერთი  $C_1 = \text{ონი}$  ფორმით გამოიხატება, რომელიც ყველა კომბინაციას გამოხატავს. სქემატურად გვექნება:




III ეტაპი

$C_1 = \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3; c_2c_2, c_2c_3; c_3c_3\}$ . ბოლო საფეხურზე (III ეტაპზე) „ზოგადი წესის“ მიხედვით ვეღარ დავადგენთ იერარქიულ სტრუქტურას  $c_1, c_2$  და  $c_3$  ამოსავალ სიმბოლოებს შორის. თუმცა, ის ფაქტი, რომ შემორჩა  $C_1 = c_1c_1$  ფორმა, თავისთავად უკვე მეტყველებს  $c_1$  სიმბოლოს გაბატონებულ მდგომარეობაზე დანარჩენი ამოსავალი ( $c_2$  და  $c_3$ ) სიმბოლოების მიმართ.

ზედსართაული სტრუქტურის I და III ეტაპები არ განსხვავდება მესამე პირის ნაცვალსახელური სტრუქტურის ამავე ეტაპებისაგან. განსხვავება თავს იჩინს II ეტაპზე (შუალედურ საფეხურზე) (ბორკოვსკი, კუზნეცოვი 1963: 250).

I ეტაპზე ზედსართავი სახელი სამ-სამი ფორმით იყო წარმოდგენილი ორივე რიცხვში:  $c_1 = \text{новый}$ ,  $c_2 = \text{новая}$ ,  $c_3 = \text{новое}$ ;  $C_1 = \text{новии}$ ,  $C_2 = \text{новыя}$ ,  $C_3 = \text{новая}$ .  $C_1, C_2$  და  $C_3$  სიმბოლოები უძველეს საფეხურზე, ვფიქრობთ, იმავე კომბინაციებს აღნიშნავდნენ, როგორც ვივარაუდებთ ნაცვალსახელურ სტრუქტურაში. ამიტომ, ზედსართაულ სისტემაშიც I ეტაპზე ივარაუდება იერარქიული სტრუქტურა  $c_1 > c_2 > c_3$ . სქემატურადაც იგივე სურათი იქნება.

II ეტაპზე ზედსართაულ სტრუქტურაში მრავლობით რიცხვში ორი ფორმა შემოგვრჩა:  $C_1 = \text{новые}$ ,  $C_2 = \text{новыя}$ , ხოლო ამოსავალი სიმბოლოები იგივე დარჩა. სქემატურად გვექნება:



II ეტაპი

შუალედურ საფეხურზე (II ეტაპზე) კომბინაციები ასე გამოიხატებოდა:  
 $C_1 = \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\}$ ,  $C_2 = \{c_2c_2, c_2c_3, c_3c_3\}$ .  $c_3c_3$  კომბინაციის გამოხატვა II ეტაპზე იკისრა  $C_2$  ფორმამ.

$$c_1c_1 = C_1, c_2c_2 = C_2, \text{ ხოლო } c_1c_2 = C_1; \text{ ანუ } c_1 > c_2;$$

$$c_1c_1 = C_1, c_3c_3 = C_2, \text{ ხოლო } c_1c_3 = C_1; \text{ ანუ } c_1 > c_3.$$

ვინაიდან  $c_2c_2 = c_3c_3 = c_2c_3 = C_2$ , ამიტომ II ეტაპზე ზედსართაულ სტრუქტურაში „ზოგადი წესის“ მიხედვით ვერ დავადგენთ იერარქიულ მიმართებას  $c_2$  და  $c_3$  სიმბოლოებს შორის. ტრანზიტულობის თვისებაც არ გამოგვადგება დამატებით კრიტერიუმად (ნაცვალსახელური სტრუქტურისაგან განსხვავებით). ნეიტრალიზაციის გათვალისწინებით კი სასურველი შედეგი მიიღწევა: ვინაიდან I ეტაპზე არსებული  $C_2 \sim C_3$  ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად მომდევნო საფეხურზე შემოგვრჩა ამ ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, კერძოდ,  $C_2$  (ხოლო  $C_3$  დაიკარგა), ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ II ეტაპზე ზედსართაულ სტრუქტურაში  $c_2 > c_3$ . შუალედურ საფეხურზე (III ეტაპზე)  $C_1$  წარმოგვიდგა **новые** ფორმით (I ეტაპის **новии** ფორმის ნაცვლად). ამდენად, II ეტაპზეც ასეთი იერარქიული სტრუქტურა გვაქვს:  $c_1 > c_2 > c_3$ .

III ეტაპზე მრავლობით რიცხვში ერთადერთი  $C_1 = \text{новые}$  ფორმა შემორჩა, რომელიც ყველა კომბინაციას გამოხატავს. აქაც ისეთივე სურათია, რაც ნაცვალსახელურ სტრუქტურაში გვქონდა; ამიტომ დასკვნაც ანალოგიური იქნება.

განვიხილოთ ცოდნის შეფასების ძველად არსებული სისტემა, როდესაც შეფასება ხდებოდა ოთხი ნიშნით: „ორიანი“ (არადამაკმაყოფილებელი), „სამიანი“ (დამაკმაყოფილებელი), „ოთხიანი“ (კარგი), „ხუთიანი“ (ფრიადი), რომლებსაც შესაბამისად აღვნიშნავთ  $c_1, c_2, c_3, c_4$  სიმბოლოებით. ცალკეულ საგნებში მიღებული შეფასებების მიხედვით ხდებოდა საბოლოო შეფასება: „ოროსანი“, „სამოსანი“, „ოთხოსანი“, „ხუთოსანი“, რომლებსაც შესაბამისად აღვნიშნავთ  $C_1, C_2, C_3, C_4$  სიმბოლოებით.

„ორიანი“	... „2“ = $c_1$ ;	...ოროსანი	= $C_1$ ;
„სამიანი“	... „3“ = $c_2$ ;	...სამოსანი	= $C_2$ ;
„ოთხიანი“	... „4“ = $c_3$ ;	...ოთხოსანი	= $C_3$ ;
„ხუთიანი“	... „5“ = $c_4$ ;	...ხუთოსანი	= $C_4$ .

რომ არ აგვერიოს ნატურალურ რიცხვებში, ამიტომ გამოყენებული ციფრები ჩავსვით ბრჭყალებში: „2“, „3“, „4“, „5“.  $c_1, c_2, c_3, c_4$  წარმოადგენენ ამოსავალ სიმბოლოებს (resp. მარტივ ელემენტებს). ვთქვათ, შეფასება ხდება მხოლოდ ორ საგანში (ანუ, განვიხილავთ მხოლოდ ორწევრა კომბინაციებს):

$$\{„2“ \wedge „2“, „2“ \wedge „3“, „2“ \wedge „4“, „2“ \wedge „5“\} = \text{ოროსანი},$$

$$\begin{aligned} \{„3“ \wedge „3“, „3“ \wedge „4“, „3“ \wedge „5“\} &= \text{სამოსანი,} \\ \{„4“ \wedge „4“, „4“ \wedge „5“\} &= \text{ოთხოსანი,} \\ \{„5“ \wedge „5“\} &= \text{ხუთოსანი.} \end{aligned}$$

იერარქიული სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: „2“ > „3“ > „4“ > „5“. მათემატიკაში გამოყენებული უტოლობის (კერძოდ, მეტობის) გამომხატველი > ნიშანი აქ სხვა მნიშვნელობით იხმარება: ამ ნიშნის მარცხნივ მდგარი სიმბოლო იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება, ვიდრე მარჯვნივ მდგარი სიმბოლო. ჩვენი აღნიშვნებით გვექნება:

$$\begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} &= C_1, \\ \{c_2c_2, c_2c_3, c_2c_4\} &= C_2, \\ \{c_3c_3, c_3c_4\} &= C_3, \\ \{c_4c_4\} &= C_4. \end{aligned}$$


იერარქიული სტრუქტურა კი ასე ჩაიწერება:  $c_1 > c_2 > c_3 > c_4$ . საბოლოო შეფასება ზემოთ განხილულ სისტემაში ყველაზე დაბალი ნიშნის მიხედვით ხდებოდა, ხოლო ამოსავალ სიმბოლოებში ყველაზე დაბალი ნიშანი („ორიანი“) იერარქიულ სტრუქტურაში უმაღლეს საფეხურს იკავებდა. ვფიქრობთ, „ზოგადი წესი“ ამ სისტემას კარგად ერგება.

ანდიური ენის ჩვენებაზე დაყრდნობით არნ. ჩიქობავამ ხუნძური ენის ადრეული საფეხურისთვის ივარაუდა IV გრამატიკული კლასის არსებობა, რომლის ნიშანი იყო რ- აფიქსი (ჩიქობავა 1937: 100). ამის გათვალისწინებით ილ. ცერცვაძე ფიქრობს, რომ „ძველად ხუნძურშიც სათანადო კლას-ნიშანი, მასთან რ-ც, რომელიც ამჟამად მარტო მრავლობით რიცხვში გვაქვს, მხოლოდობითშიც გვექონდა და მრავლობითშიც“ (ცერცვაძე 1965: 182). მან ხუნძურისთვის ასეთი სურათი აღადგინა:


	მხ. რ.	მრ. რ.	
$c_1$	ვ-აწაღ-ავ	... *ვ-აწაღ-ალ	$C_1$
$c_2$	ღ-აწაღ-აღ	... *ღ-აწაღ-ალ	$C_2$
$c_3$	ბ-აწაღ-აბ	... *ბ-აწაღ-ალ	$C_3$
$c_4$	*რ-აწაღ-არ	... *რ-აწაღ-ალ	$C_4$
	„სუფთა“, „წმინდა“		

[აღნიშვნები  $c_i$  (resp.  $C_i$ ) ამ მაგალითებში ჩვენ გვეკუთვნის].


სქემატურად ასე წარმოვადგენთ:



თანამედროვე ხუნძურის ვითარება ასეთია:



სქემატურად ასეთი სურათი გვექნება:



ხუნძური ენისთვის აღდგენილ საფეხურზე (I ეტაპზე) ასეთ ამოსავალ სისტემას ვვარაუდობთ:

$$\begin{array}{l}
 \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, *c_1c_4\} = C_1 \\
 \{c_2c_2, c_2c_3, *c_2c_4\} = C_2 \\
 \{c_3c_3, *c_3c_4\} = C_3 \\
 \{*c_4c_4\} = C_4
 \end{array}
 \quad \text{I ეტაპი}$$

„ზოგადი წესის“ მიხედვით ხუნძურში I ეტაპზე ასეთ იერარქიულ სტრუქტურას აღვადგენთ:  $c_1 > c_2 > c_3 > c_4$ .

IV გრამატიკული კლასის გაქრობის შემდეგ ამ კლასში შემავალი სიტყვები გადავიდნენ III კლასში, ე. ი.  $*c_4c_4$  კომბინაციის გამოხატვა იკისრა  $C_3$  ფორმამ. ხუნძური ენის განვითარების შუალედურ საფეხურზე (II ეტაპზე) ჩვენი ვარაუდით გვაქვს:

$$\left. \begin{array}{l}
 \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} = C_1 \\
 \{c_2c_2, c_2c_3\} = C_2 \\
 \{c_3c_3\} = C_3
 \end{array} \right\} \parallel C_4 \quad \text{II ეტაპი}$$

II ეტაპზე  $C_1, C_2, C_3$  ფორმების პარალელურად იხმარება უფუნქციოდ დარჩენილი  $C_4$  ფორმა. თუ არ გავითვალისწინებთ  $C_4$  ფორმას, მაშინ II ეტაპ-

ზე ასეთი იერარქიული სტრუქტურა ივარაუდება „ზოგადი წესის“ მიხედვით:  $c_1 > c_2 > c_3$ .

III ეტაპზე  $C_4$  ერთადერთ ფორმად მოგვევლინა მრავლობით რიცხვში:

$$\left. \begin{aligned} \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} = \\ \{c_2c_2, c_2c_3\} = \\ \{c_3c_3\} = \end{aligned} \right\} C_4 \quad \text{III ეტაპი}$$

კომბინაციას, რომელშიც გაერთიანებულია მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული პირის სახელები, ვუწოდოთ **ერთგვაროვანი**. **cc** (resp. **bb**) კომბინაცია ერთგვაროვანია, რადგან მასში გაერთიანებულია მხოლოდ III (resp. II) პირის სახელები. ამის საპირისპიროდ, **bc**, **ab**, **ac** კომბინაციებს ვუწოდოთ **არაერთგვაროვანი** (ანუ, **შერეული**), რადგან მათში გაერთიანებულია სხვადასხვა პირის სახელები. ო. ესპერსენმა **bb** კომბინაციას უწოდა **ჩვეულებრივი** მრავლობითი რიცხვი, ხოლო **bc**, **ab**, **ac** კომბინაციებს — **მიახლოებითი** მრავლობითი რიცხვი (იესპერსენი 1958 : 218-221).

გრამატიკული კლასის მქონე ენებში  $c_i c_j$ ,  $b_i b_j$ ,  $c_i c_j$ ,  $b_i b_j$  კომბინაციები იქნება ერთგვაროვანი, ხოლო  $b_i c_i$ ,  $b_i c_j$ ,  $a_i b_i$ ,  $a_i b_j$ ,  $a_i c_i$ ,  $a_i c_j$  კომბინაციები იქნება არაერთგვაროვანი (შერეული).

კომბინაციას, რომელშიც მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული გრამატიკული კლასის სახელებია გაერთიანებული, ვუწოდოთ **ერთკლასოვანი**. ამის საპირისპიროდ, კომბინაციას, რომელშიც სხვადასხვა გრამატიკული კლასის სახელებია გაერთიანებული, ვუწოდოთ **არაერთკლასოვანი** (ანუ, **მრავალკლასოვანი**). ერთკლასოვანია  $c_i c_i$ ,  $b_i b_i$ ,  $b_i c_i$ ,  $a_i b_i$ ,  $a_i c_i$  კომბინაციები, ხოლო  $c_i c_j$ ,  $b_i b_j$ ,  $b_i c_j$ ,  $a_i b_j$ ,  $a_i c_j$  არაერთკლასოვანი (მრავალკლასოვანი) კომბინაციებია.

ერთგვაროვანი და ერთკლასოვანი კომბინაცია  $c_i c_i$  შეიძლება ორი სახის იყოს: იდენტური და არაიდენტური. **იდენტური** ვუწოდოთ კომბინაციას, რომლის შემადგენელი წევრები ერთ კონკრეტულ საგანს მიემართება. იდენტური კომბინაცია პირობით ( $c_i c_i$ )-თი აღვნიშნოთ (ე. ი. ამ კომბინაციას მოვათავსებთ მრგვალ ფრჩხილებში, რათა განვასხვავოთ არაიდენტური  $c_i c_i$  კომბინაციისაგან). ერთგვაროვან და ერთკლასოვან კომბინაციას ვუწოდოთ **არაიდენტური**, თუ მისი შემადგენელი წევრები სხვადასხვა საგანს მიემართება. მისთვის დავტოვოთ  $c_i c_i$  აღნიშვნა. მაგალითად,

**ი დ ე ნ ტ უ რ ი**

**ა რ ა ი დ ე ნ ტ უ რ ი**


- |                                    |                            |                                  |
|------------------------------------|----------------------------|----------------------------------|
| $(c_1c_1)$ = ბიჭი $\wedge$ ბიჭი,   | ანუ, $(c_1c_1)$ = ბიჭები;  | $c_1c_1$ = ბიჭი $\wedge$ კაცი.   |
| $(c_2c_2)$ = გოგო $\wedge$ გოგო,   | ანუ, $(c_2c_2)$ = გოგოები; | $c_2c_2$ = გოგო $\wedge$ ქალი.   |
| $(c_3c_3)$ = ცხენი $\wedge$ ცხენი, | ანუ, $(c_3c_3)$ = ცხენები; | $c_3c_3$ = ცხენი $\wedge$ ძროხა. |

კავკასიური ენების განხილვისას, ჩვეულებრივ, როგორც წესი, **ცცი** კომბინაციაში მოიაზრებენ იდენტურ კომბინაციას (**ცცი**), ხოლო არაიდენტურ კომბინაციაზე, მით უფრო, არაერთკლასოვან (ანუ, მრავალკლასოვან) **ცცი** კომბინაციაზე არაფერია თქმული. ზ. ჯაფარიძე ერთადერთი ავტორია, რომელიც მსჯელობს არაერთკლასოვან კომბინაციებზე (ჯაფარიძე 1964 : 281). მანას-აულისა და არკასის ზოგიერთი მცხოვრების მეტყველებაში ზ. ჯაფარიძემ დაადასტურა ხუნძური ზედსართავებისა და მიმღეობების მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც იწარმოება კლასის ნიშნის შენარჩუნებითაც (მრავლობითის წარმოების ჩვეულებრივი ხერხის პარალელურად, რაც გულისხმობს კლასის ნიშნის **რ** აფიქსით შეცვლას). იგი წერს: „სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ მრავლობითი რიცხვის ერთი, საზიარო ფორმის ხმარება სხვადასხვა კლასებისათვის მეორეული მოვლენაა. მონათესავე ენების მონაცემებთან შედარების საფუძველზე აღნიშნული იყო, რომ წარსულში ხუნძური ენისთვის მრავლობითის სხვაგვარი წარმოება საგარაუდებელი; კერძოდ კი, თითოეული კლასისათვის მრავლობითის საკუთარი ფორმის არსებობა... ის, რაც მონათესავე ენებთან შედარების საფუძველზე ივარაუდებოდა, თვით ხუნძური ენის დიალექტებში პოულობს მხარდაჭერას. მანას-აულელთა და არკასელთა მეტყველებიდან შემოთმოტანილი მაგალითების მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხუნძური ენის ფარგლებშივე ვპოულობთ განვითარების იმ საფეხურს, რომელიც ხუნძურმა ენამ, მთლიანობაში აღებულმა, დიდი ხანია გაიარა და რომელიც შემოგვინახა მონათესავე ანდიურმა ენამ“ (ჯაფარიძე 1957 : 752-753). „ხუნძური სოფლების მანას-აულისა და არკასის მეტყველებაში დადასტურებული იყო ზედსართავებისა და მიმღეობების მრავლობითი რიცხვის ისეთი ფორმები, რომლებიც სუფიქსით აღნიშნავდნენ საგნის რიცხვს, ხოლო პრეფიქსით კი — იმავე საგნის კლასს. ...მრავლობით რიცხვში ერთი და იმავე საგნის კლასისა და რიცხვის აღმნიშვნელი ზედსართავებისა და მიმღეობების ასეთი ფორმები ჩვენ მივიჩნით გადმონაშთებად... ანდიურში მრავლობითის ფორმაში აისახება ერთი და იმავე საგნის რიცხვიცა და კლასიც. მანას-აულისა და არკასისგან განსხვავებით ჭირკეიში ზედსართავები და მიმღეობანი ერთი და იმავე საგნის მრავლობითობასა და კლასს აღნიშნავენ მხოლოდ III კლასის სახელებთან. აქ ვერ ვხვდებით ფორმებს: **ვ**ორხათალ, **ღ**ორხათალ (მაღლები I და II კლ.)... ერთი და იმავე საგნის კლასისა და რიცხვის ერთდროული აღნიშვნა შეიმჩნევა არა ყველა ზედსართავსა და მიმღეობაში, სადაც ეს პოტენციურად შესაძლებელია. საგნის კლასისა და მრავლობითობის ერთდროულად აღმნიშვნელი ფორმები იხმარებიან მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში“ (ჯაფარიძე 1964 : 278-279). ავტორის აზრით, მის მიერ დადასტურებული თავისებური ფორმები წარმოადგენენ არქაიზმებს. ჭირკეის მონაცემების საშუალებით ზ. ჯაფარიძე ცდილობს დააზუსტოს მრავლობითი რიცხვის თავისებური ფორმების განვითარების ისტორია. იგი წერს: „მას შემდეგ,

რაც ხუნძურში მოიშალა IV გრამატიკული კლასი და მისი პრეფიქსი **რ-** მრავლობითი რიცხვის ფორმებში შემოგვრჩა, პრეფიქსულ კლასნიშნთან ზედსართავებსა და მიმღეობებს მრავლობითის ორგვარი ფორმა აღმოაჩნდათ: **რ-** პრეფიქსიანი და **გ-** (I კლ.), **ჟ-** (II კლ.) და **ბ-** (III კლ.) კლასის ნიშნიანი (საფეხური, რომელსაც აღგვადგენინებს მანას-აულისა და არკასის მონაცემები). ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანაარსებობდნენ ფორმები:

<b>გ-</b> აწადალ	— I კლ.,	... <b>C<sub>1</sub></b> ...	<b>გ-</b> ორხათალ	— I კლ.,
<b>ჟ-</b> აწადალ	— II კლ.,	... <b>C<sub>2</sub></b> ...	<b>ჟ-</b> ორხათალ	— II კლ.,
<b>ბ-</b> აწადალ	— III კლ.,	... <b>C<sub>3</sub></b> ...	<b>ბ-</b> ორხათალ	— III კლ.,
<b>რ-</b> აწადალ	— დამოუკიდებლად	... <b>C<sub>4</sub></b> ...	<b>რ-</b> ორხათალ	— განუთრჩეველად
„სუფთანი“.	კლასისაგან;		„მაღალნი“	კლასისა.


ფორმები: **გ**აწადალ, **ჟ**აწადალ, **ბ**აწადალ აღნიშნავდნენ: მხოლოდ სუფთა კაცებს (I კლ.), მხოლოდ სუფთა ქალებს (II კლ.), მხოლოდ სუფთა ნივთებს, საგნებს, არაგონიერ არსებებს (III კლ.) ცალ-ცალკე. ფორმა **რ**აწადალ გამოსადეგი იყო როგორც სუფთა კაცების, ან სუფთა ქალების ან III კლასის საგანთა მრავლობითობის აღსანიშნავად, ისევე სხვადასხვა კლასების საგანთა ერთობლიობის აღსანიშნავადაც“ (ჯაფარიძე 1964: 279-291). ჩვენი აღნიშვნებით მანას-აულისა და არკასის მონაცემების სქემა ასეთი იქნებოდა (ზ. ჯაფარიძის მსჯელობის გათვალისწინებით):



ზ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „**რ-** პრეფიქსიანმა ფორმებმა, როგორც უფრო მოსახერხებელმა და მოქნილებმა თანდათანობით გამოდევნეს I, II და III კლასის ნიშნიანი მრავლობითის ფორმები. ამ ფორმებიდან ყველა ერთდროულად არ განდევნილა. III კლასის ნიშნიანი ფორმები უფრო დიდხანს შემორჩნენ ენას და თანაარსებობდნენ **რ-** პრეფიქსიან მრავლობითის ფორმებთან, მაშინ როცა I და II კლასის პრეფიქსული კლასის ნიშნიანი ზედსართავები და მიმღეობანი მრავლობით რიცხვს მხოლოდ **რ-** პრეფიქსით აწარმოებდნენ (საფეხური, რომელსაც აღგვადგენინებს ჭირკეის მონაცემები)... რით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ზედსართავებსა და მიმღეობებში **რ-** პრეფიქსმა ჯერ I და II კლასის ნიშნები განდევნა მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან და შემდეგ კი III კლასისა? რატომ განიდევენ მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან ადამიანთა აღმნიშვნელი პრეფიქსები, შემორჩნენ კი ნივთის კლასისანი? საფიქრებელია, ეს იმიტომ მოხდა, რომ ზედსართავებსა და მიმღეობებში ხშირად აღსანიშნავი იყო არა მარტო ცალკე მამაკაცებისა და ცალკე ქალების

სიმრავლე (რისთვისაც გამოსადეგი იყვნენ **გ**-ორხათალ და **დ**-ორხათალ ტიპის ფორმები), არამედ, აგრეთვე სიმრავლე **ადამიანთა, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ერთდროულად**, ე. ი. ისეთი სიმრავლე, რომელსაც ქმნიდნენ I და II კლასის არსებანი ერთად, რაც მოუხერხებელს ხდიდა მრავლობითის ფორმაში რომელიმე, ამ კლასთაგან ერთ-ერთის აღმნიშვნელი პრეფიქსის ხმარებას. ასეთმა შემთხვევებმა დააჩქარეს „ნეიტრალური“ **რ**-პრეფიქსიანი ფორმების გაბატონება I და II კლ. მრავლობით რიცხვში. რაც შეეხება III კლასს, აქ ასეთ უხერხულობას შედარებით იშვიათად ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ამ კლასის ნიშანი **ბ**-IV კლასის გაქრობის შემდეგ გამოსადეგი იყო ყველა საგნისა და არსებისათვის გარდა ადამიანისა, ხოლო ისეთი სიმრავლის აღნიშვნა, რომელშიც III კლასის არსებებთან ერთად ადამიანებიც იგულისხმება, ენაში იშვიათად ხდება საჭირო“ (ჯაფარიძე 1964: 281-282).

ჭირკვის თქმის მონაცემების სქემა ჩვენი აღნიშვნებით ასეთი იქნება:



ზ. ჯაფარიძის ვარაუდით, **C<sub>1</sub>, C<sub>2</sub>, C<sub>3</sub>** ფორმები აღნიშნავდნენ (**c<sub>i</sub>c<sub>i</sub>**) სახის კომბინაციებს, (resp. შესაძლოა, **c<sub>i</sub>c<sub>i</sub>** სახის კომბინაციებსაც), რომლებსაც ჩვენ ზემოთ იდენტური (resp. არაიდენტური) კომბინაციები ვუწოდეთ. როგორც ვნახეთ, ზ. ჯაფარიძე ახსენებს აგრეთვე **c<sub>i</sub>c<sub>j</sub>** სახის (**c<sub>1</sub>c<sub>2</sub>, c<sub>1</sub>c<sub>3</sub>, c<sub>2</sub>c<sub>3</sub>**) კომბინაციებსაც, რომლებსაც ჩვენ არაერთკლასოვანი (მრავალკლასოვანი) კომბინაციები ვუწოდეთ.

თანამედროვე ხუნძურში აღარ გვაქვს **C<sub>3</sub>** ფორმაც (ის დაიკარგა **C<sub>1</sub>** და **C<sub>2</sub>** ფორმების მსგავსად). შემორჩა მხოლოდ **C<sub>4</sub>** ფორმა, რომელიც ყველანაირ კომბინაციებს აღნიშნავს.

თუ შევადარებთ ხუნძურში ენის განვითარების შუალედური საფეხურის მონაცემების ზ. ჯაფარიძის და ჩვენეულ აღწერებს, ძირითადი სხვაობა, ვფიქრობთ, აშკარაა **C<sub>1</sub>, C<sub>2</sub>** და **C<sub>3</sub>** ფორმების ინტერპრეტაციაში. ზ. ჯაფარიძის მიერ მოპოვებულ მაგალითებში ეს ფორმები მხოლოდ იდენტურ კომბინაციებს გამოხატავენ (შესაძლებელია აგრეთვე — არაიდენტურ კომბინაციებსაც); ჩვენი ვარაუდით კი **C<sub>1</sub>, C<sub>2</sub>** და **C<sub>3</sub>** ფორმები იდენტური და არაიდენტური კომბინაციების გარდა აღნიშნავდნენ **c<sub>i</sub>c<sub>j</sub>** სახის არაერთკლასოვან (მრავალკლასოვან) კომბინაციებსაც. რაც შეეხება **C<sub>4</sub>** ფორმას, ის, ჩვენთანაც და ზ. ჯაფარიძესთანაც, ყველანაირ კომბინაციას გამოხატავდა შუალედურ საფეხურზე (II ეტაპზე) ისევე, როგორც ეს გვაქვს თანამედროვე ხუნძურში.

თუ ხშირად ხმარებული **c<sub>1</sub>c<sub>2</sub>** კომბინაცია შუალედურ საფეხურზე მხოლოდ **C<sub>4</sub>** ფორმით გამოიხატებოდა, მაშინ გაუგებარია ზ. ჯაფარიძის მსჯელობა

იმ უხერხულობაზე, რამაც გამოიწვია **C<sub>1</sub>** და **C<sub>2</sub>** ფორმების დაკარგვა. ეს ფორმები, მისივე თქმით, მხოლოდ შესაბამისად **c<sub>1c<sub>1</sub></sub>** და **c<sub>2c<sub>2</sub></sub>** კომბინაციებს გამოხატავდნენ. მაშ რითი იყო განპირობებული ამ ფორმების ხმარების აუცილებლობა **c<sub>1c<sub>2</sub></sub>** კომბინაციის გამოსახატავად, ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის.

თუკი **C<sub>1</sub>**, **C<sub>2</sub>**, **C<sub>3</sub>** ფორმები მხოლოდ იდენტურ ან არაიდენტურ კომბინაციებს გამოხატავდნენ, მაშინ ამოსავალ სისტემაში ზ. ჯაფარიძეს უნდა დაეშვა აგრეთვე **C<sub>4</sub>** ფორმა, რომელიც მხოლოდ **c<sub>4c<sub>4</sub></sub>** კომბინაციას გამოხატავდა **I** ეტაპზე: **C<sub>4</sub> = {c<sub>4c<sub>4</sub></sub>**}. მაშინ როგორღა გამოხატებოდა ამ ეტაპზე (ანუ, ამოსავალ სისტემაში) **c<sub>1c<sub>2</sub></sub>**; სახის არაერთკლასოვანი კომბინაციები: **c<sub>1c<sub>2</sub></sub>**, **c<sub>1c<sub>3</sub></sub>**, **\*c<sub>1c<sub>4</sub></sub>**; **c<sub>2c<sub>3</sub></sub>**, **\*c<sub>2c<sub>4</sub></sub>**; **\*c<sub>3c<sub>4</sub></sub>**. ეს შეკითხვა პასუხგაუცემელი რჩება განხილულ სტატიებში.

ის ფაქტი, რომ **III** ეტაპზე შემორჩა მხოლოდ **C<sub>4</sub>** ფორმა, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ **I** ეტაპზე **c<sub>4</sub>** იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დავაყენოთ. ნეიტრალიზაციის გათვალისწინება, რაც ჩვენ დამატებით კრიტერიუმად განვიხილეთ, გულისხმობს წინა ეტაპზე არსებული ოპოზიციის ნეიტრალიზაციის შედეგად (დიაქრონიული ნეიტრალიზაცია!) დასკვნების გამოტანას მომდევნო ეტაპის მიმართ. მსგავსი გადაწყვეტის შემთხვევაში კი მომდევნო ეტაპის მონაცემების გათვალისწინებით მოხდება დასკვნის გამოტანა წინამდებელი ეტაპის მიმართ. „ზოგადი წესის“ მიხედვით კი, ჩვენი ვარაუდით, ამოსავალ სისტემაში, ანუ, **I** ეტაპზე, **c<sub>4</sub>** სიმბოლო იერარქიული სტრუქტურის ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება. „ზოგადი წესი“ კონკრეტულ სინქრონიულ ჭრილში „მუშაობს“. სინქრონიულ ჭრილში შეიძლება ვილაპარაკოთ ორი სახის ნეიტრალიზაციაზე: 1) ნეიტრალიზაცია სიღრმული დონიდან ზედაპირულ სტრუქტურებში გადასვლის დროს; 2) ნეიტრალიზაცია ზედაპირულ სტრუქტურაში, ანუ, ფორმობრივი ოპოზიცია შეიძლება მოიშალოს გარკვეულ შემთხვევებში.

და ბოლოს, თუ დავუშვებთ ჩვენ მიერ ნავარაუდები **I** სისტემიდან მომდინარე **I\*** სახის სისტემას:

$$\begin{array}{l}
 \{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} \\
 \{c_2c_2, c_2c_3, c_2c_4\} \\
 \{c_3c_3, c_3c_4\} \\
 \{c_4c_4\}
 \end{array}
 =
 \left.
 \begin{array}{l}
 = \\
 = \\
 = \\
 =
 \end{array}
 \right\}
 C_4
 \qquad
 I^* \text{ ეტაპი}$$

მაშინ **I\*** ეტაპზე, ნეიტრალიზაციის მომენტის გათვალისწინებით, **c<sub>4</sub>** უნდა იყოს გაბატონებულ მდგომარეობაში დანარჩენი (**c<sub>1</sub>**, **c<sub>2</sub>**, **c<sub>3</sub>**) სიმბოლოების მიმართ, ანუ, დიაქრონიული ნეიტრალიზაციის კრიტერიუმით: **c<sub>4</sub> > c<sub>1</sub>**, **c<sub>4</sub> > c<sub>2</sub>**, **c<sub>4</sub> > c<sub>3</sub>**.

ამოსავალ სტრუქტურაში ჩვენ არ ვვარაუდობთ პარალელურ ფორმებს მრავლობითში. რაც შეეხება **II** ეტაპს, აქ უკვე გაჩნდა პარალელური ფორმები მრავლობითში (ფუნქციადაკარგული **C<sub>4</sub>**-ის ხარჯზე, რომელმაც იკისრა ყველანაირი კომბინაციის გამოხატვა). ამას ადასტურებს მანას-აულისა და არკასის თქმების (ნაწილობრივ, ჭირკვის თქმის) მონაცემები.

### ლიტერატურა

- აბდეღჰანგი, კჰალაფალაჰი 1969** — Abdelghang A., Khalafallah, Mouton, The Hague – Paris, A Descriptive grammar of Saei: di Eguption colloqualla Arabic.
- ბორკოვსკი, კუზნეცოვი 1963** — Борковский В. И., Кузнецов П. С., Историческая грамматика русского языка, М.
- გურგენიძე 1984** — ტ. გურგენიძე, მრავლობითობის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბილისი.
- იესპერსენი 1958** — Есперсен О. Философия грамматики, М.
- ლაიონზი 1978** — Лайонз Дж. Введение в теоретическую лингвистику, М.
- ლევინტოვა, ვოლფი 1964** — Левинтова Э. И., Вольф Е. М., Испанский язык. Грамматический очерк, литературные тексты с комментариями и словарем, М.
- შარბატოვი 1961** — Шарбатов Г. С., Современный арабский язык, М.
- ჩიქობავა 1937** — არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენიმკის მოამბე, I, თბილისი.
- ჩიქოვანი 1985** — გ. ჩიქოვანი, სწორი სამთანხმონიანი ზმნა არაბული ენის კაშკადარიულ დიალექტში, სმამ, 120, №1, თბილისი.
- ცერცვაძე 1965** — ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა, თბილისი.
- ჯაფარიძე 1957** — ზ. ჯაფარიძე, შენიშვნები ხუნძური დიალექტოლოგიიდან. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, №6, თბილისი.
- ჯაფარიძე 1964** — ზ. ჯაფარიძე, მრავლობითი რიცხვის წარმოების ისტორიიდან ხუნძური ენის პრეფიქსულ კლასნიშნიან ზედსართავებსა და მიმღეობებში, იკე, XIV, თბილისი.

TARIEL GURGENIDZE

### Grammatical Class System in the Typologically Different Languages

#### Summary

The work represents the analysis of the systems of personal pronouns in the French and Spain languages and in the dialects of Arabian. On the basis of this material I formulate a "general rule", according to what I try to establish hierarchical relations among grammatical classes. According to data of different stages of Russian and the Caucasian languages (in particular, Andi and Avar), using a "general rule", I represent in plural theoretically supposing all combinations of grammatical classes and discuss supposing possibilities of their expression.

თაბარ ვაშაქიძე

**ვითარებითბრუნვისფორმიან სახელთა მორფოლოგიური და  
სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსისათვის**

„სიტყვათა შეკავშირებისათვის ქართულში, როგორც აფიქსებიან ენაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ბრუნვის კატეგორიას: ამ კატეგორიის საშუალებით მყარდება სინტაქსური კავშირი სახელისა სახელთან ან ზმნასთან... სხვადასხვა ბრუნვას სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია აქვს. ზოგ ბრუნვას ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს — რამდენიმე. ამასთანავე, ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება სხვადასხვა ბრუნვამაც გამოხატოს“ (კვაჭაძე 1977 : 194).


უთანდებულო ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელით გადმოიცემა: უბრალო დამატება (ვითარებისა და თანაობის); შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი; ადგილის, დროის, ვითარებისა და მიზნის გარემოებანი. თანდებულისანი ვითარებითი გამოხატავს ადგილისა და დროის გარემოებას, აგრეთვე — განსაზღვრებას. იგი შეიძლება იყოს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც (კვაჭაძე 1977 : 200).

ვითარებითი ბრუნვის ფორმით გამოხატული სახელი უშუალოდ ახასიათებს მოქმედების პროცესს — გვიჩვენებს, როგორ ხდება მოქმედება. იგი ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას, ისე საწყისსა და მიმღეობას (კვაჭაძე 1977 : 150). სახელისა და მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ხშირად ზმნიზედის ფუნქციით არის აღჭურვილი და წინადადებაში გარემოებაა (შანიძე 1973 : 611).


ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშიც ვითარების გარემოების გამოხატვას უკავშირდება (არნ. ჩიქობავა, თ. შარაძენიძე, ი. იმნაიშვილი).

„სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული, ზოგჯერ ბრუნვათა რიგიდან არის ამოვარდნილი: სხვა ბრუნვის ფორმები არ ეწარმოება. მაგ., **ერთბაშად, უცბად, ბლომად...** ზოგჯერ კი ვითარებითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია ნაწილობრივ ან მთლიანად, მაგ., **ნელა** (< ნელად), **ჩქარა** (ჩქარად) და სხვ.“ (შანიძე 1973 : 614).


ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელი, რომელიც უბრალო დამატებად, ვითარების, ადგილის, დროისა და მიზნის გარემოებად წარმოგვიდგება, ყოველთვის იმართვის ზმნის, მიმღეობისა ან მასდარისაგან, ამავდროულად, საჭიროების შემთხვევაში, თავადაც მართავს სუბსტანტიურ მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში:



ზმნის, მიმღობისა და მასდარისაგან მართულია თანდებულიანი ფორმებიც:




ვითარებიტი ბრუნვის ფორმით მართული სახელი თავის მხრივ ბრუნვაში ითანხმებს თანხმოვან- ან ხმოვანფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელებს, მაგრამ თანამედროვე ქართულში (ძველი ქართულისაგან განსხვავებით) ნულსაფეხურებრივი შეთანხმება გვაქვს, თუმცა ამ სახის სინტაქსური ურთიერთობა, ერთი შეხედვით, მართვასაც მოგვაგონებს, კერძოდ, თანხმოვანფუძიან სახელებთან ფუძის სახით, ხოლო ხმოვანფუძიანებთან — სახელობითი ბრუნვის ფორმით (რომელიც ამავდროულად ფუძეც არის) მართულ მსაზღვრელებს. ნულსაფეხურებრივი შეთანხმება ძველ ქართულთან მიმართებით გვექნება (მდრ. **სახიერად მოძღურად** ტიპი თანხმოვანფუძიან, ხოლო **წმიდად მოწამედ** — ხმოვანფუძიან მსაზღვრელებთან). თანამედროვე ქართულში გვაქვს: **დიდ დევად** გადაიქცა, **დიდ დევად** გადაქცეული, **დიდ დევად** გადაქცევა ტიპები თანხმოვანფუძიან, ხოლო **პატარა ბავშვად** გადაიქცა, **პატარა ბავშვად** გადაქცეული, **პატარა ბავშვად** გადაქცევა — ხმოვანფუძიან მსაზღვრელებთან:



თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან სრული შეთანხმებით წარმოვიდგება სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში, მიცემითსა და ვითარებითთან იგი უბრუნვისნიშნა. ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში ნულსაფეხურებრივად ეთანხმება თავის საზღვრულს (**დიდ დევად**), შესაბამისად, ნა-

თესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ნაწილობრივი შეთანხმება გვექნება (**დიდი დევის, დიდი დევით**). რაც შეეხება ხმოვანფუძიან ვარიანტებს, როცა მსაზღვრელი სახელობითი წარმოგვიდგება თანამედროვე ქართულში (შდრ. ძვ. ქართ. **წმიდაჲ მოწამჲ**), რა თქმა უნდა, აქ უფრო მეტი საბუთი გვექნება საიმისოდ, რომ მსაზღვრელი საზღვრულისაგან სახელობითი ბრუნვით მართულ ფორმად მივიჩნიოთ — შვიდსავე ბრუნვაში ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ერთი სახით წარმოგვიდგება.

ანალოგიური ვითარება გვაქვს თანდებულიან ვარიანტებთანაც იმ თვალსაზრისით, რომ ზმნის, მიმღეობისა თუ მასდარის მიერ სახელი მართულია ამ შემთხვევაში უკვე თანდებულიანი ვითარებით:



**-მდე (|| -მდის)** თანდებულიანი ფორმა თავადაც გვევლინება მართულ მსაზღვრელად (**ასამდე** წიგნი, **ასამდე** წიგნმა, **ასამდე** წიგნს...).

ნაირგვარია ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელების სემანტიკური ფუნქციებიც. იგი გამოხატავს: 1. პაციენსს (ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და მეთხუთმეტე **კაცად** შევიდა...), 2. გარდაქცევას (თუ ისარი სადმე მინდვრად მოაღენდა სხეპას, — ქვა **ყვავილად** იქცეოდა, ყვავილი კი — **ბებლად**...), 3. ვითარებას (არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ წელამდეა სათიბები, კენკეშა და უკადრისა **ნაწსათუთად** ნატიფები; ჭკნება **მწუხარედ, ნაწად**, მაგრამ **უსიხარულოდ**...), 4. მსგავსებას (მოგონებები ელვარებენ ისევ **ბებლედ**, მოვა დემონი, დაფიქრდება და შეეჭვდება; ან კიდევ: ყალყზე დგება იმერეთი და ჭიხვინებს **ულაყად**...), 5. თანაობას (**ფესვებიანად** ამოძირკვა ის სარეველა...), 6. ჯერობას (სიკვდილს არჩევდა, გამარჯვებულს, ის **ათასწილად**...), 7. განმეორებას (ვისგან რას ითხოვთ, **ხელმეორედ** აღარ მომსვლენო?), 8. კრებითობას (ბავშვები **ჩგუფ-ჩგუფად** დადიოდნენ...), 9. ადგილს — შიგ-მყოფობაზე, ზედაობასა და სიახლოვეზე მინიშნებით (მზეზე ჰყვოდა **სოფლად** ალუჩა; მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს **სიზმრად** მინახვს მხარე; და შემოდგომის სიცივეში **ველად** გაზრდილი, ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს სულაც არა ჰგავს; რომ არ ანათოს ისევ სანთელი დავიწყებული ხატის **მასლობლად**...), 10. მიწვევითობას (ყველა — ამ ხმებში დაბუდებულა, შეერთებულა და

ადის **ცამდე...**), 11 დროს (ორ ზღვას შუა **ძველისძველად** საომარი იყო ლელო...), 12. მიწვევითობას დროში (ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები, ვინც **დღემდე** მომყვა...), 13. მიზანს (მთვარე რომ ამობრწყინდება, გული **გაფრენად** მზად არი; ან კიდევ: შემოქმედის მხარზე ვზივარ, მე ვარ შაში მგალობელი, — **საკალმასოდ, სამუშაოდ, სააშკოდ** გამოველი...), 14. კუთვნილებას (**ჩემად** რომ დაგივლდე, ნეტა, თუ იცოდი?), 15. რიცხობრივ გარდაქცევას (დევის ერთი თავი **ცხრად** იქცა), 16. სიმცირე-ნაკლებობას (**ორად** ორი მეგობარი, ორი ჯუჯა ვართ...) და სხვა.

საანალიზო მასალიდან ნათლად ჩანს ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელების სინტაქსურ-სემანტიკურ შესაძლებლობათა ნაირგვარობა. აქტუალურია მათი მორფოლოგიური სტატუსის საკითხი. საჯარო სკოლის მასწავლებლები არაერთგზის სვამენ შეკითხვებს: მორფოლოგიურად ზმნისართია თუ სახელი, მაგ., **კარგად, ავად, ბედნიერად** და სხვ.

თ. უთურგაიძის აზრით, „ლოკატიური მნიშვნელობის ვითარებითი ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმები ბრუნების პარადიგმის გარეთ დგანან“ (უთურგაიძე 1986 : 63). მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ბრუნვის ფორმა აქვთ მხოლოდ აქტანტებს, გარემოებებში ბრუნვის ნიშანი თეორიულად არის დაუშვებელი“ (უთურგაიძე 1986 : 91).

ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია შემდეგი: ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ბრუნებადი სიტყვები, სახელები — თანდებულიანი ან უთანდებულო. აქედან გამომდინარე, უკვე გაჭირდება მათი ზმნისართებად აღქმა. ეს უკანასკნელი სრული მნიშვნელობის მქონე უცვლელი სიტყვებია და გვიჩვენებენ, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება. განმარტების მიხედვით, ამგვარი ფორმებია: **აქ, იქ, ხვალ, ზეგ, შინ, ასე, ისე, ამიტომ, იმიტომ** და სხვა — და არა თანდებულიანი ან უთანდებულო სახელები, რომლებიც სინტაქსურად, რა თქმა უნდა, გარემოებებია, ხოლო მორფოლოგიურად — სახელები, ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი, ამ ბრუნვის სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციის გამომხატველი. ქართულს არ მოეპოვება სპეციალური გამაზმნისართებელი აფიქსი. არსებობს ე. წ. პირველადი ზმნისართები და სახელის ბრუნვის ფორმები, რომლებიც მიგვითითებენ დროსა თუ ადგილზე, ვითარებასა თუ მიზანზე.

სინტაქსურად ერთი და იმავე სტატუსის მქონე წინადადების წევრის (მაგ., განსაზღვრების) მორფოლოგიურად განსხვავებული ერთეულებით წარმოჩენა ბუნებრივი მოვლენაა: **საინტერესო** წიგნი, **ათი** წიგნი, **ჩემი** წიგნი, **მეგობრის** წიგნი. ზედსართავი სახელი (საინტერესო), რიცხვითი სახელი (ათი), ნაცვალსახელი (ჩემი) და არსებითი სახელი (მეგობრის) ოთხსავე შემთხვევაში განსაზღვრებაა სინტაქსურად. გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა მორფოლოგიურად ერთი და იმავე სტატუსის მქონე ფორმები (მაგ., არსებითი სახელები) სინტაქსურ-სემანტიკურად განსხვავებული ფუნქციებით წარმოგვიდგებიან, შდრ.: **ბავშვი** წერს (ბავშვი — S, აგენსი), **ბავშვს** სწერს (ბავშვს — Oირ., პაცი-

ენსი), **ბავშვის** წიგნი (ბავშვის — მსაზღვრელი, რომელიც სემანტიკურად კუთვნილებასზე მიგვიითებებს) და სხვ. ანალოგიური ვითარება გვაქვს მაშინაც, როცა ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელი ხან ვითარების გარემოებას გამოხატავს სინტაქსურად (**კარგად** წერს...), ხან — უბრალო დამატებასა თუ გარდაქცევას (ავსა **კარგად** ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს...; კვლავ **კარგად** გახდა ბიჭუნა...). მორფოლოგიურად **კარგად** ფორმა სამსავე შემთხვევაში სახელია, ზედსართავი სახელი — ვითარებითი ბრუნვის ფორმით გამოხატული, მაგრამ სხვადასხვა სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსის მქონე.

ყველა ვითარებითბრუნვიანი ფორმა (კარგად, ავად, ბავშვად, ლამაზად, მოსატანად, დახატულად, ჩემად, სამად, გაფრენად...) მორფოლოგიურად სახელია (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიმღეობა, მასდარი) ზოგი გამონაკლისის გარდა (ამრიგად, ერთბაშად, უცბად, ბლომად...), რომლებიც გაქვავებული ვითარებითი ბრუნვის ფორმით დასტურდებიან.

ზემოთ წარმოდგენილ საილუსტრაციო მაგალითებში ჩანს ვითარებითბრუნვისფორმიან სახელთა სინტაქსურ-სემანტიკური შესაძლებლობების მრავალგვარობა, მაგრამ ამა თუ იმ ფორმის სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია არ უნდა განსაზღვრავდეს მის მორფოლოგიურ სტატუსს.

#### ა) სამეცნიერო ლიტერატურა

**იმნაიშვილი 1957** — ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

**კვაჭაძე 1977** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

**კიზირია 1958** — ა. კიზირია, ვითარების გარემოება ძველ ქართულში, იკე, IX-X, თბილისი.

**უთურგაიძე 1986** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი.

**შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

**შარაძენიძე 1956** — თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი.

**ჩიქობავა 1956** — არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის. — სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი.

## ბ) წყაროები

- კალანდაძე 2004** — ანა კალანდაძე, ლექსები, თბილისი.  
**ლებანიძე 1988** — მურმან ლებანიძე, რჩეული, თბილისი.  
**მაჭავარიანი 1985** — მუხრან მაჭავარიანი, ლექსები, თბილისი.  
**ნიშნიანიძე 1977** — შოთა ნიშნიანიძე, გადასახედი, თბილისი.  
**რუსთაველი 2004** — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი.  
**ტაბიძე 1982** — გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

### **Towards the Morphological and Syntactic-Semantic Status of the Nouns with an Adverbial Case Form**

S u m m a r y

The syntactic-semantic function of the nouns represented by an adverbial case form are various. Syntactically it can be: a simple object, adverbial modifier of a place, time, condition and purpose, also a nominal part of a compound predicate. Semantically a noun with an adverbial case form expresses transformation (*qvavili peplad gadaikca* – “A flower **became a butterfly**”), condition (*nazad çkneba* – “It is withering **gently**”), place (*soplad qvaoda aluča* – “Sour cherry-plum was blossoming **in a village**”), time (*zveliszvelad ak zyva igo* – “**A long time ago** here was a sea”), purpose (*guli gaprenad mzad aris* – “A heart is ready **to fly away**”) and others. But syntactic-semantic function of this or that form should not define its morphological status. Morphologically they (the names represented by an adverbial case form) are nouns and not adverbs, except some exceptions (*ertbašad* “momentarily”, *ucbad* “suddenly”, *blomad* “quite a lot”...).

პაპა თომრაკი

**ბაცბური ენის CVC ტიპის სახელურ ფუძეთა ფონეტიკური სტრუქტურისათვის**

ბაცბური ენის სახელურ ფუძეთა კლასიფიკაციისას ერთმარცვლიან ფუძეებში რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა **CVC** ტიპი. ამ მოდელში ვგულისხმობთ ხმოვნით დაშორებულ თანხმოვანთა მიმდევრობას, სადაც ანლაუტშიც და აუსლაუტშიც შეიძლება გვქონდეს როგორც ცალი კონსონანტი, ასევე თანხმოვანთა ორწევრა და სამწევრა კომპლექსები.

საანალიზოდ აღებულია ყველა ის ფუძე, რაც დადასტურებულია ბაცბურ ლექსიკონში (დ. და ნ. ქადაგიძეები, წოვა-თუმურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი). გათვალისწინებული გვაქვს როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

**CVC** ტიპი წარმოდგენილია 12 სტრუქტურული ნაირსახეობით, რომლებშიც განაწილებულია 642 ფუძე. აღსანიშნავია, რომ ერთმარცვლიანი ფუძეები რიგ შემთხვევაში ორმარცვლიანი ფუძეების გამარტივებითაა მიღებული (გაგუა 1956 : 740); განსაკუთრებით ეს ეხება ქართულიდან შესულ ორმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებს, რომლებიც ბაცბურში ბოლო ხმოვანს კარგავენ და ერთმარცვლიანდებიან (ეს პროცესი ეხება თითქმის ყველა სტრუქტურულ მოდელს).

**CVC** ტიპის ფუძეებში ყველა სადა ხმოვანი გვხვდება. გრძელი ხმოვნებიდან წარმოდგენილია **ა** თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი ტიპის სახელებში, სულ რამდენიმე ფუძეში; გრძელი **ა** დასტურდება **CCVC** ტიპის ერთ ფუძეში, რომელსაც დიფთონგიანი ვარიანტიც მოეპოვება: **ტჰირ-// ტჰეირა** „ვარსკვლავი“. **CVC** ტიპის სტრუქტურულ მოდელში შეიძლება შეგვხვდეს დამავალი დიფთონგიც: **ბუჰჰ** „ბუ“, **დაჰრ** „დაირა“.

თანხმოვანთა განაწილებისას განვიხილავთ ერთი მხრივ თანხმოვანთა უშუალო თანმიმდევრობას პოზიციების შესაბამისად და მეორე მხრივ, თანხმოვანთა დისტანციურ ურთიერთობას.

თანხმოვანთა განაწილება ერთმარცვლიან **CVC** ტიპის ფუძეებში ძირითადად თავისუფალია, მაგრამ როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაცაა ცნობილი (ან. შიფნერი, კ. ჭრელაშვილი, დ. იმნაიშვილი, ი. დეშერიევი), ზოგიერთი თანხმოვნის ფუნქციონირება პოზიციურად შეზღუდულია, კერძოდ, ა) ფარინგალი მჟღერი სპირანტი **ჰ** გვხვდება მხოლოდ ანლაუტში მჟღერი ხშულები-სა და ნაზალების მომდევნო პოზიციაში, ასევე გლოტალთა მეზობლობაში. ბ) **ლ'** ლატერალური სპირანტი გვხვდება მხოლოდ აუსლაუტში. გ) მჟღერი ფარინგალი ფუნქციონირებს მხოლოდ ანლაუტში. დ) ინტენსიური თანხმოვნები

დასტურდება ფუძის ბოლოკიდურა პოზიციაში. ე) CVC ტიპის ფუძეებში ყ მხოლოდ ერთ ფუძეში შეგვხვდა ფუძის თავკიდურა პოზიციაში: ჟანგ „ჟანგი“.

ვ) ანლაუტში მხოლოდ ნასესხებ ფუძეებში გვხვდება. CVC სტრუქტურის ფუძეში პირველი თანხმოვნის მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ ხმოვნის მომდევნო თანხმოვანი. ბაცბური ამჟღავნებს ტენდენციას, რომ ფუძეში არ შეიძლება გვეყონდეს ერთი და იმავე რიგის თანხმოვნები. ამ წესს სრულად იზიარებენ ბაგისმიერები ბ ვ პ მ.

სხვა რიგის თანხმოვნებთან ეს წესი ვრცელდება, თუ არ იქნება ერთი და იგივე ფონემა, ეს ერთნაირად ეხება ხშულებსაც და სპირანტებსაც. იდენტური თანხმოვნების თანმიმდევრობის ფუძეები რომ გავაანალიზოთ, ვნახავთ, რომ უმრავლესობა ნასესხები სახელებია. გამონაკლისია ჭოჭ „პირი“, ტუტ „ბუზი“.

ერთსა და იმავე ფუძეში არ გვხვდება შიშინა და სისინა აფრიკატები ძ ც წ ჯ ჩ ჭ; ასევე აფრიკატებთან ერთად ფუძეში არ შეგვხვდა შიშინა და სისინა სპირანტები: ზ ს ყ შ.

ხშულებსა და აფრიკატებში თუ ერთი მჟღერია, მეორე თანხმოვანი არ იქნება ფშვინვიერი. გამონაკლისის სახით შეიძლება ჩაითვალოს ბVქ, ბVთ, დVფ, ქVდ, ქVჯ მიმდევრობები, აქედან საკუთრივ ბაცბური ფუძე მხოლოდ ბუთ „მთვარე“ არის, დანარჩენები ქართულიდან შესული ფუძეებია.

სონორთაგან ერთ ფუძეში არ გვაქვს ორი რ და ორი მ.

თანხმოვანთკომპლექსების განაწილება CVC ტიპის ფუძეებში დისტრიბუციულად ნაკლებადაა შეზღუდული. ზემოთ განხილული აკრძალული პოზიციების გათვალისწინებით ვახსიათებთ კომპლექსებს. გვაქვს წყვილეთა როგორც კლებადი, ასევე მზარდი ღიაობის კომპლექსები. საკუთრივ ბაცბურ სახელებში ყველაზე პროდუქტიული ჩანს CSp ტიპის კომპლექსები ანლაუტში და SSp ტიპის კომპლექსები— აუსლაუტში.

ორი ხშულის თანმიმდევრობა ანლაუტში ნასესხები ფუძეებითაა წარმოდგენილი, ხოლო აუსლაუტში ნასესხებ სახელებთან ერთად გვაქვს ორი ბაცბური სახელიც ჰადბ „ბაგა“, თაბწ „შუბი“.

ორი სპირანტის თანმიმდევრობა ანლაუტსა და აუსლაუტში ნასესხები სახელებითაა წარმოდგენილი.

ანლაუტში აუსლაუტისაგან განსხვავებულ ორწევრა კომპლექსად შეიძლება ჩაითვალოს სონანტისა და ფარინგალური სპირანტის ზ-ს თანმიმდევრობა: ძჟეც „თითისტარი“.

არ დასტურდება ანლაუტსა და აუსლაუტში ერთი და იმავე მიმდევრობის კომპლექსები.

ამგვარად, CVC ტიპის ფუძეებისთვის დამახასიათებელია რიგი ფონოტაქტიკური შეზღუდვები, რომლებიც ეხება თანხმოვანთა კომპლექსებსაც და დისტანციურ, ხმოვნით გათიშულ მიმდევრობებსაც. ამ შეზღუდვების გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება სხვა ტიპის ფუძეთა აგებულების გასარკვევადაც.

### ლიტერატურა

- გაგუა 1956** — რ.გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში, იკე, VIII, თბილისი.
- გაგუა 1983** — რ.გაგუა, ბაცბური (წოვათუშური) ენის ფონეტიკისა და სახელის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები, იკეწ, X, თბილისი.
- ერთელიშვილი 1976** — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.
- ერთელიშვილი 1980** — ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.
- ქადაგიძე 1984** — დ. და ნ. ქადაგიძეები, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.
- ქობალავა 1967** — ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II, თბილისი.
- ჭრელაშვილი 2002** — კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი.
- დეშერიევი 1953** — Ю. Дешериев, Бацбийский язык, Москва.
- დეშერიევი 1960** — Ю. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков, Грозный.
- იმნაიშვილი 1977** — Д. Имнаишвили, Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тбилиси.
- შიფნერი 1856** — A. Shiefner, Versuch über die Thusch-Sprache oder die Kistische Mundart in Thuschetien, St.-Peterburg.

### MAKA TETRADZE

#### Towards the CVC Structural Type of Noun Roots in Bats

##### Summary

The article deals with the classification of the monosyllabic noun roots of Batsi language. The most numerous types of roots have been found out CVC structural type. We mean sequence of consonants separated by vowels, where both monoconsonant or complexes of consonants can occur in the position of inlaut and auslaut.

For analyzing all noun roots are taken from the dictionary of Bats language (by N. and D. Kadagidze).

CVC structural type is presented with 12 structural varieties, where 642 roots are distributed.

The article discusses on the one hand distributing of direct sequence of consonants and on the other hand distant relation of consonants. We can define the following consonant according to the first consonant.

As a conclusion of the article it can be said some phonotactic restrictions are typical for CVC structural type of noun roots of Bats language.

რომან ლოლუა

ატრიბუტული სინტაგმის ანალიზისათვის უფიურ ენაში

უდიურისათვის<sup>1</sup> დამახასიათებელია ფორმაუცვლელი მსაზღვრელი, ანუ მსაზღვრული არ იბრუნვის და არც ირთავს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელს და, შესაბამისად, არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, მაგ.:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

სახ. ქალა ხოდ „დიდი ხე“  
ერგ. ქალა ხოდ-ენ  
ნათ. ქალა ხოდ-დად  
მიც. ქალა ხოდ-და[ხ]  
აბლ. ქალა ხოდ-დახო  
კომიტ. ქალა ხოდ-დახოლ[ან]  
ადეს. ქალა ხოდ-დასტა  
ალატ. ქალა ხოდ-დაჭ  
სუპერ. ქალა ხოდ-დალ  
ბენეფ. ქალა ხოდ-ენკ[ენა]

სახ. ქალა ხოდ-რუხ  
ერგ. ქალა ხოდ-როდ-ონ  
ნათ. ქალა ხოდ-როდ-ო[დ]  
მიც. ქალა ხოდ-როდ-ო[ხ]  
აბლ. ქალა ხოდ-როდ-ოხო  
კომიტ. ქალა ხოდ-როდ-ოხოლ[ან]  
ადეს. ქალა ხოდ-როდ-ოსტა  
ალატ. ქალა ხოდ-როდ-ოჭ  
სუპერ. ქალა ხოდ-როდ-ოლ  
ბენეფ. ქალა ხოდ-როდ-ონკ[ენა]

იხ. აგრეთვე რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი მსაზღვრელად:

სახ. სა ხოდ „ერთი ხე“  
ერგ. სა ხოდ-ენ  
ნათ. სა ხოდ-დად  
მიც. სა ხოდ-და[ხ]  
აბლ. სა ხოდ-დახო...  
\* \* \*

სახ. მე ხოდ „ეს ხე“  
ერგ. მე ხოდ-ენ  
ნათ. მე ხოდ-დად  
მიც. მე ხოდ-და[ხ]  
აბლ. მე ხოდ-დახო...

<sup>1</sup> ნაშრომში გაანალიზებულია ვართაშნული კილოს მასალა. პრინციპულად მსგავსი ვითარებაა ნიჭურ კილოშიც

როდესაც ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა ან ნაცვალ-სახელი გამოყენებულია სუბსტანტივის ფუნქციით, ასეთ შემთხვევაში ეს სახე-ლები ჩვეულებრივად იბრუნვის. სუბსტანტივად გამოყენებულ დასახელებულ სახელებს -**თ** „მასუბსტანტივებელი“ სუფიქსი დაერთვის და ბრუნებისას ფუძის მომდევნოდ გარკვეული ჩანართოვანი ელემენტები იჩენს თავს (ძირითადად - **ბ**), რომელიც ირიბ ფუძეს ქმნის, მაგ.:

სახ. ქალა-ო//ქალო-ო „დიდი“  
 ერგ. ქალა-ტ-ინ//ქალო-ტ-ინ  
 ნათ. ქალა-ტ-ამ//ქალო-ტ-ამ  
 მიც. ქალა-ტ-უ[ხ]//ქალო-ტ-უ[ხ]  
 აბლ. ქალა-ტ-უხო//ქალო-ტ-უხო...

\* \* \*  
 სახ. სო-ო < სა-ო „ერთი“  
 ერგ. სო-ო-ტ-ინ  
 ნათ. მე სო-ო-ტ-ამ  
 მიც. მე სო-ო-ტ-უ[ხ]  
 აბლ. მე სო-ო-ტ-უხო...

\* \* \*  
 სახ. მე-ნ-ო „ეს“  
 ერგ. მე-ტ-ინ  
 ნათ. მე-ტ-ა[დ]  
 მიც. მე-ტ-უ[ხ]  
 აბლ. მე-ტ-უხო

მსაზღვრელი უდიურში, როგორც წესი, დაისმის საზღვრულის წინ. იმ-ვითად პოსტპოზიციური წყობა შეიძლება გვქონდეს. ასეთ შემთხვევაში მსა-ზღვრელი ზოგჯერ ეთანხმება რიცხვში საზღვრულს, ხოლო ბრუნვაში შეთან-ხმება არც მაშინ დასტურდება, მაგ.:

*აღამარ-უბ* (მრ.) *არცი-ორ* (მრ.) ბუინყუნა<sup>2</sup> აყოკე ქალა ხაშ „აღამიანებ-მა დამსხდართა ბნელში იხილეს დიდი ნათელი“ (მთ. 4, 16)...

უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვითი სახელი და სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები (გწლო „ბევრი“ და სხვა) ჩვეულებრივ არ ითანხმებს საზღვრულს მრავლობით რიცხვში, მაგ.:

ეხნე, თე **ქულან** **ჭალწვი** **ხიბ დრვ-ნე** (მხ.) ქარხესა „ეუბნება, რომ ამა და ამ ტყეში *სამი დევი* ცხოვრობს“ (რუსტ.);

ვა<sup>3</sup> *გწლო ყედრი დიჟამ* (მხ.) ეხყუნი შეტალახო „და *ბევრ სხვა ლან-ძღვას* ეუბნებოდნენ მას (ლკ. 22, 65)...

ზოგჯერ გამონაკლისის სახით მსაზღვრელ რიცხვით სახელთან საზღვრუ-ლი გვხვდება მრავლობით რიცხვში, მაგ.:

ტელან ტე ჩო თავცი, ატუკი შოტუ ყედრი პა<sup>4</sup> *ვიჩიმლოხ* (მრ.) „იქიდან

<sup>2</sup> ო ნიშნით ფარინგალიზაციას აღვნიშნავთ.

იმ მხარეს წავიდა, დაინახა მან სხვა ორი ძმა [ძმანი]“ (მთ. 4, 21)...

მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილის შენაცვლებით ხშირად წარმოიქმნება ერთგვარი კომპოზიტიური წარმონაქმნი, რომელიც იბრუნვის როგორც ერთი სიტყვა, შდრ.:

სახ. ფულჭელალ ყოდნში „თვალა- მოსავარდნი მეზობელი“	სახ. ყოდნში-ფულჭელალ „id“
ერგ. ფულჭელალ ყოდნში-ნ-ენ	ერგ. ყოდნში-ფულჭელალ-ენ
ნათ. ფულჭელალ ყოდნში-ნ	ნათ. ყოდნში-ფულჭელალ-უნ
მიც. ფულჭელალ ყოდნში-ნ-ა[ხ]	მიც. ყოდნში-ფულჭელალ-ა[ხ]
აბლ. ფულჭელალ ყოდნში-ნ-ახო...	აბლ. ყოდნში-ფულჭელალ-ახო...

როგორც აღინიშნა ზემოთ, იშვიათად მსაზღვრელი და საზღვრული შეიძლება რიცხვში შეთანხმებული იყოს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები საზღვრულის მიერ მსაზღვრელის მართვისა ნათესაობით ბრუნვაში, მაგ.:

სახ. უდი-ნ მუზ „უდიური ენა“ [ზედმიწ. „უდის ენა“]	სახ. დურუტ-უნ კოჯ „ხის სახლი“ დურუტ „ხე“ [მასალა]
ერგ. უდი-ნ მუზ-ენ	ერგ. დურუტ-უნ კოჯ-ენ
ნათ. უდი-ნ მუზ-ნ-ა[დ]	ნათ. დურუტ-უნ კოჯ-უნ
მიც. უდი-ნ მუზ-ნ-უ[ხ]	მიც. დურუტ-უნ კუა[ხ]
აბლ. უდი-ნ მუზ-ნ-უხო..	აბლ. დურუტ-უნ კუა-ხო...

საზღვრული მართავს მსაზღვრელს მაშინაც, როდესაც უკანასკნელი პოსტპოზიციურ პოზიციას იმყოფება, მაგ.:

ვა<sup>ა</sup> წიახალ (მიც.) შეტად (ნათ.) ლაყუნხო: ემმანუილ „და სახელსაც მისა დასდებენ: ემანუელ“ (მთ. 1, 23).

შეტაბახტინ-თე იმანებაქე ფასჩაღლულ (სახ.) გრგნა (ნათ.) „რადგან მიახლოვდა მეუფება ცისა“ (მთ. 4, 17).

ვან ბუნან ელ (სახ.) ქულოად (ნათ.) „თქვენ ხართ მარილი მიწისა“ (მთ. 5, 13).

საზღვრულის მიერ მსაზღვრელის მართვის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში უდიურის შესახებ არ არის განხილული. ვლ. ფანჩვიძის მოსაზრებით, მსაზღვრელი ამდაგვარ მაგალითებში ნაგენიტივარ სახელს წარმოადგენს [ფანჩვიძე 1974: 104-105], რასაც შეუძლებელია დავეთანხმოთ. ჩვენი აზრით, მოყვანილ მაგალითებში მსაზღვრელი წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში საზღვრულისაგან მართულ არსებით სახელს, შდრ. ქართული: *ხის სახლი*, *ბავშვის საწოლი* და სხვა. ამის შესახებ თვალნათლივ მეტყველებს უდიური ენის შემდეგი სხვა მაგალითები:

ნუთ უღალზუ ტულოა (ნათ.) ბუკარახო (აბლ.) ბიხოლო (ნათ.) ფას-ჭაღლულ (სახ.) ეღამა „არ დავლევ ყურძნის ნაყოფისაგან ღვთის მეუფების მოსვლამდე“ (ლკ. 22, 18).

ვა<sup>ა</sup> ნაბუნუხ ბარაღყუნ გრგინხო ვა<sup>ა</sup> ზორ (სახ.) გრგნად (ნათ.) გალკალ-

ლე „და ვარსკვლავნი ჩამოსცვივიან ციდან და ძალა ცისა შეირყევა“ (მრკ. 13, 25).

ვაწ-გენა სერრანზე შოტუხ ბინა (სახ.) აბაზაკლოდ (მრ., ნათ.) „თქვენ კი შეჰქმენით ის ბინად ავაზაკთა“ (მთ. 21, 13).

ბართა ბუტუნ პი (სახ.) დოღრიტლოდ (მრ., ნათ.) არიყან ეფ-ლახო, მანო-თე ბარენე ოჩალალ „დაე, მთელი სისხლი მართალთა მოვიდეს თქვენზე, რომელიც კი დაიქცა მიწაზე“ (მთ. 23, 35)...

მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად ქმნის კომპოზიტებს (*Composita determinativa*), რომელთა პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი, ხოლო მეორე — სახელობითი ბრუნვის (აბსოლუტის) ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელია: ნებნა-ტიკ „ძილის გუდა“ (ნებ-ნა[მ] „ძილის“ + ტიკ „გუდა“), ბაბა-კოჯ „მამის სახლი“, „დედულეთი“ (ბაბა-[მ] „მამის“ + კოჯ „სახლი“), მუჭანაყნა-ჩო „ნაღები“ (მუჭანაყნა[მ] „რძის“ + ჩო//ჩო „პირი“), ჟენე-ელ „ქვამარილი“ (ჟენე-ნე[მ] „ქვის“ + ელ „მარილი“), უყნა-ხოდ „ნიგვის ხე“ (უყნა-ნა[მ] „ნიგვის“ + ხოდ „ხე“) ჭანა-ხუბ „ერბოს ფლავი“ (ჭან-ნა[მ] „ერბოს“, „ციხის“ + ხუბ „ფლავი“), კოკოწუნ-კოჯ „საქათმი“ (ზედ-მიწ. „ქათმის სახლი“ კოკოწუნ-უნ „ქათმის“ + კოჯ „სახლი“), ხალიკუნ-ღარ „ბიძის“ [დედის მხრიდან] (ხალიკ-უნ „ბიძის“ + ღარ „შვილი“), თურინ-ლეკერ „ფეხსაცმელი“ (თურ-ინ „ფეხის“ + ლეკერ „ჭურჭელი“)...

ზოგჯერ ამდაგვარ კომპლექსში მსაზღვრელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -მ/-ი დაკარგული აქვს და იგი გაუფორმებელი ფუძითაა წარმოდგენილი და გარეგნულად ნომინატივის ფორმას ემთხვევა, მაგ., ბაბა-კოჯ (< ბაბა-მ-კოჯ) „მამის სახლი“... ხშირად კი -მ/-ი ნიშნის დაკარგვის შედეგად ნათესაობითის ფორმა ემსგავსება მიცემითს, მაგ., მუჭანაყნა-ჩო (< მუჭანაყნა[მ]-ჩო) „ნაღები“, ჟენე-ელ (< ჟენე-ნე[მ]-ელ) „ქვამარილი“...

## ლიტერატურა

**ფანჩვიძე 1974** — ფანჩვიძე ვლ., უღუბრი ენის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

## წყაროები

**მთ., მრკ., ლკ., ინ.** — Господа Нашего Иисуса Христа Святое Евангелие от Матвея, Марка, Луки и Иоанна, пер. на удинский яз. Бежанова С., Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XXX, Тифлис, 1902.

Schulze W., The Udi Gospels, Annotated Text, Etymological Index, Temmatized Concordance, Munich, 2001.

**რუსტ.** — Бежанов М., Рустам (Удинская сказка), Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XII, Тифлис, 1988.

**ROMAN LOLUA**

**Towards the Attributive Syntagma in Udi**

**S u m m a r y**

A form-unchangeable determinandum is characteristic of Udi, i. e. a determinandum is not declined and a plural marker is not added to it. Relevantly, it does not coordinate with a determinatum in a case and number.

As a rule, a determinandum is before a determinatum. Post-positional sequence occurs rarely. In such case, sometime a determinandum coordinates with a determinatum in a number, but coordination in a case is not attested.

Governing a determinandum by a determinatum in a genitive case often occurs. A determinatum governs a determinandum in that case, when the latter is in post-positional position.

The subject of governing a determinandum by a determinatum in Udi is not discussed in the special literature. According to V. Panchvilde's viewpoint, in such examples a determinandum is a ex-genitive noun. It is impossible to agree with this viewpoint.

ნანა მაჭავარიანი

**უმდაბლესი ხერხემლიანების აფხაზურ სახელწოდებათა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი**

ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა.

თითოეულ ენაში მხოლოდ ამ ენისათვის დამახასიათებლადაა ასახული ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო.

ცალკეული ენა ანარეკლია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობისა, ადამიანთა ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეინიშნება.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში შემავალი უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებები შეიძლება დაიყოს ქვეწარმავალთა, თევზებისა და ამფიბიების სემანტიკურ ჯგუფებად.

ჩვენს ხელთ არსებულ უმდაბლესი ხერხემლიანების ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით, მიიღება აფიქსაციით ან კომპოზიციით.

• **ქვეწარმავალთა სახელები:**

**~აინც°გშე // აინწ°გშე** „ხვლიკი“

ქ. ლომთათიძის აზრით, ამ ლექსემაში თავკიდური ად < არ თავსართული ელემენტისაგან, რომელიც გამოიყოფა რიგ ფუძეებში: არ-ცენა „დედალი“, არ-ბად~ „მამალი“, არ-ფგს „ყმაწვილი“..., „ხვლიკი აფხაზურში არის აინც°გშე (აბჟ.), აინწ°გშე (ბზიფ.), არცგშე (ტაპ.) (ლომთათიძე 1976-7 : 94)

ძირი კი ამ სიტყვისა, კლიმოვისა და ხალილოვის აზრით, უკავშირდება „მწვანე“ ზედსართავს (კლიმოვი, ხალილოვი 2003 : 252)

ბზიფურში, (მგუძირხვასა და ჯირხვაში) ხ. ბლაჟბას დაუდასტურებია **ავენწ°გშე** სახეობა ამ ლექსემისა (ბლაჟბა 1964 : 113), რაც თითქოს ამ სიტყვის სხვაგვარი ეტიმოლოგიზაციის საფუძველს იძლევა: ავენ „სახლი“, წ° < ტ°-საგან, დანიშნულების სუფიქსი აფხაზურ-აბაზურში, ზედმიწევნით: „სახლისა“ საკვლეგია -გშე სუფიქსის წარმომავლობა. საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდება წარმოდგენდეს ცხოველის სახელის ტაბუს.

**ამათ** „გველი“

დასტურდება აფხაზურში და აბაზურის ამხართულ დიალექტში. ტრუბეცკოის ვარაუდით, მასთან საერთო უნდა იყოს უბიხური ანტა „გველი“ (მონა-

თესავე ფუძეს იგი ხედავს დაღესტნის ენებშიც, როგორცაა, მაგალითად, არ-ჩიბული ძუტი, თაბასარანული ბეტ) (ტრუბეცკოი 1930 : 85).

ნ. მარი სომხურ მარ/მორ-სა და იაფეტურ მედ/მად-ს მიდიელთა სატომო სახელიდან მომდინარედ თვლის და აკავშირებს ქართულ-ზანურ მატლ/მუნ-ტურ/მუნტირთან (მარი 1935 : 56,57).

მ. ჩუხუა ამ ძირს აკავშირებს ქართულ მატლ- ძირთან (ჩუხუა 2007).

აბაზურის ტაპანთურ დიალექტს ეს სიტყვა არ მოეპოვება, აქ აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება ლექსემა **აშთანწოგ**, რომლის ეტიმოლოგიასაც ქ. ლომთათიძემ მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა (ლომთათიძე 1980).

ქ. ლომთათიძის აზრით, „ამ ცხოველისადმი მთქმელის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ... შეუძლებელი არაა ვივარაუდოთ, რომ მისი ტაპანთური სახელწოდება წარმოადგენდეს ტაბუაციით შერქმეულ რაიმე თვისების ამსახველ სახელს“.

ქ. ლომთათიძე ასე ულის ამ სიტყვას: ა- (ტაპანთურისათვის არადამახასიათებელი სიტყვათა ნომინაციის დროს) შესაძლოა თავიდან მოქცეული შთა კომპლექსის ბუნებით იყოს გამოწვეული, თუმცა შთანწოგ სახეობაც გაცრელებულია.

-შთა „კვალი“, „ქვევით“, „ძირს“ ლექსემაა, ამჟამად გაბატონებულია შტა სახეობა, -ნ სუფიქსი გამოხატავს ადგილს, ზმნისართული ფუძის მაწარმოებელია. ...და მისგან -წოგ, ჭოგ (< ტოგ) განკუთვნილება, წარმომავლობის სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული აშთანწოგ // აშთანწოგ, რომელიც უნდა ნიშნავდეს „ძირისა“, „ქვედაური“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“), ასეთ ახსნას სარწმუნოს ხდის ს. ჯანაშიას მიერ აფხაზურში დადასტურებული გველის ერთერთი ტაბუირებული სახელწოდება წაყატოგ, ე. ი. „ქვედა“ (ჯანაშია 1968 : 161).

ზემოთქმულის კვალდაკვალ, ქართული **„გველი“** სიტყვაც იმავე სემანტიკის შემცველი ხომ არ შეიძლება იყოს? ლაზურში დასტურდება „მგუერი“, მ-ს განვითარებულად მიიჩნევენ, (ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 142-143) ტრადიციულად მიღებულია, რომ მ- მიმღებობური პრეფიქსი უნდა იყოს, შდრ. მხუ-ლიკი, ვფიქრობთ, „მგვერ“ უნდა მომდინარეობდეს \*,მ-ქუ-ერ-ი“-დან?, ანუ შესაძლოა ნიშნავდეს „ქვედაურს“, (ქ-ს დისიმილაციური გამჟღერებით სონორის მეზობლობაში) უმდაბლესი ხერხემლიანების ზოგადი სახელწოდება ქართულში „ქვეწარმავალი“ ხომ სიტყვასიტყვით ნიშნავს ქვევით მოსიარულეს, მხოხავს? თავად „ქვექუე“ და „ქვა“ სიტყვებიც მსგავსი სემანტიკისა უნდა ყოფილიყო. ახლა უკვე ძნელია იმის თქმა \*„მქუელი“ „ქვევით მოსიარულეს ნიშნავდა, თუ „ქვის/ ქვების“ მკვიდრს. გვე < \*ქვე < ქუე-ს სემანტიკური დაბრკოლება, ჩვენი აზრით, არ გააჩნია, ხოლო რაც შეეხება გ-საგან ქ-ს მიღების პროცესს, იგი ქართულისათვის სადავოა, მაგრამ სვანურში დისიმილაციური გამჟღერებით ხდება ასეთი რამ: მიშგუ < მიშქუ „ჩემი“.

გველი/მგვერი/გვერი/ჭიჯვ/ჭიჯუ საერთო ქართველურად მიჩნეულია (ყლენტი 1953 : 85, 1949, 174; ჯორბენაძე 1995 : 80; დანელია 1980 : 171; თოფურია 1979 : 10; მარი 1935 : 56, 57; ჩიქობავა 1938 : 117).

ამასთან ერთად ნ.მარი აღნიშნავს, რომ სომხურში გვაქვს გელ ძირი

„დრაკონის, ვეშაპის, თევზის, მგლის“ მნიშვნელობით (მარი 1934 : 56,57). აქვე დავსძენთ, რომ ქართული „გველი“ სიტყვის ჩვენეული ეტიმოლოგიზაციის ცდა მხოლოდ ჰიპოთეზაა და ჩვენთვისაც მრავალი კითხვის შემცველი.

აკუტა „კუ“ ნასესხებია ქართულიდან.

• **თევზების სახელები:**

**აფსგძ** „თევზი“;

ზოგადი სახელწოდება. ამ სახელის შესახებ მარი აღნიშნავს, რომ თვითონ აფხაზები სახელწოდებაში ხედავენ ორ სიტყვას: „სულს“ და „წყალსო“, მაგრამ იგი არ იზიარებს ასეთ ინტერპრეტაციას და პალეონტოლოგიური ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ თხზული სახელების ორივე ნაწილი ერთსა და იმავეს აღნიშნავდაო ისტორიულად და ამ სიტყვაში „აფს“ ისევე როგორც „ძგ“ აღნიშნავდა წყალსო (მარი 1934 : 146-147).

• უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით:

**ალახგ** „თავბერა“, სიტყვასიტყვით: „მუბლა“

**ათრგს** „ქაშაყი“(ბზიფ.);

**ახდაალა, აფსგძ ხდაალა** „ქარიყლაპია“;

**აშოაყ // აშოეყა** „კამბალა“;

• უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებების დიდი ნაწილი მიიღება კომპოზიციით:

**ამათფსგძ** „გველთევზა“, ამათ „გველი“, (ა)ფსგძ „თევზი, ზედმიწევნით: „გველი+თევზი (კალკირებულია ქართულიდან).

**გგცაფშ, გგწაფშ** „ნონტქარა“, გგ „გული“ წ< წა „ქვეშ“(ლოკალური პრეფერბი), აფშ < აყაფშ „წითელი“ ზედმიწევნით: გულ-ქვეშ-წითელა, (ბზიფ.);

**ამშგნჰა** „ზღვის ღორი“, ამშგნ „ზღვა“, ჰა „ღორი“. სიტყვასიტყვით: „ზღვის ღორი“ (კალკირებულია ქართულიდან).

**აქგრთ, აქლით**, (აბჟ.), „ქვირითი“ (ნასესხებია ქართულიდან),

**აქგრთ-კაფსარა** „ქვირითის დაყრა“;

**აცგბღგ** „წიფლის ფოთოლა“ აცგ „წიფელი“, (ა)ბღგ „ფოთოლი“ ზედმიწევნით: „წიფლის ფოთოლი“;

**სეძჰაჩ** „უსაჩ“ (ნასესხებია რუსულიდან),

**აფყაშ, აფყშ, აფსგძ-ფყშ** (აბჟ.), „საზანი“, აფსგძ „თევზი“, აფყარა „ჭრა“, ზედმიწევნით: „თევზი საჭრელი“;

**ალგმჰართე** (აბჟ.), **ალგმჰართ**, (ბზიფ.), „ლაყუჩები“, ზედმიწევნით: ალგმჰა + რ + თ(ა)ეფ, ალგმჰა „ყური“ რ- მესამე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი კუთვნილების პრეფიქსი, თა-ფ > თეფ შიგ მყოფობის ლოკალური პრეფერბი,

**ახძგ**(აბჟ.), **არღძ** (ბზიფ.), „ფარფლები“

**აფსგძ-აკან** „თევზის ქერცილი“, სიტყვასიტყვით: „თევზის კანი“, აკან „კანი“, (ნასესხებია ქართულიდან)

• უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებების ნაწილი მიიღება აფიქსაციით:

**აფსგძსსა** „ჭიჭყინა“, -სსა სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის გამომხატვე-

ლია. ზედმიწევნით: „თევზ წვრილი“

• **ქართულიდან ნასესხებია:**

აკალმაპ // აკამლაპ (ბზიფ.) „თევზი“;

აგულმაპ „გველმაპი“;

აულაგურ // აოლაგურ, ამლაგ<sup>გ</sup> (ბზიფ.), „ორაგული“;

აჟ<sup>გ</sup>ენტხ~ „ზუთხი“;

აღლამ „ღლაგი“;

აკამპგლა, აკამპულ, ას<sup>გ</sup>ეყ~ა (ბზიფ.), „კამბალა“

ახამსია, ახამსა „ხამსა“; (აბჟ.) აკამშია, ახამსგ, (ბზიფ.), „ხამსა“

აწერედ, აწარედ „წერედი“;

ათოფრა (აბჟ.), „თევზის წყლიდან ამოხტომა, ქვირითის დასაყრელი აღ-გილისაკენ სწრაფვა“ (მდრ: იმერ. ტოფი) (ბლაჟბა1964) და ასევე მეგრ. ტოფი).

• **ამფიბიების სახელები:**

ადალ~

„ბაყაყი“, ადა-ს სახითაც გვხვდება, -ლ~ ელემენტი მამრობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია აფხაზურში, მდრ.: არბალ~ „მამალი“, თუმცა იგივე -ლ~ ელემენტი გვხვდება სიტყვაში აკ<sup>გ</sup>ტა ღ~ „კვერცი“, იგივე ელემენტი არის ლექსემაში აღ~არ / აღ~არა „ყლორტი, აღმონაცენი“. ჩვენ სათანადო ადგილას აღნიშნულ ელემენტს ვუკავშირებდით აღმოცენების სემანტიკას (მაჭავარიანი, 2008).

ადაჟ<sup>გ</sup> „გომბეშო“, ამ ლექსემაში -ჟ<sup>გ</sup> ელემენტი შესაძლოა აღნიშნავდეს აჟ<sup>გ</sup> „ძველს“, ანუ ზედმიწევნით: „ბაყაყი ბებერი“.

აჩაჯრადალ~ „მოსავლის ბაყაყი, ვასაკა“ აჩაჯრა „მოსავალი“, (ა)დალ~ „ბაყაყი“, ზედმიწევნით: „მოსავლის ბაყაყი“.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი კი მოსდევს საზღვრულს. (აფხაზურს ბრუნების სისტემა არ გააჩნია, ქართულად აფხაზურის მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა).

უმდაბლესი ხერხემლიანების აღმნიშვნელი სახელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავისი მცირერიცხოვნობით. თევზების აღმნიშვნელი სახელები ძირითადად ნასესხობებს წარმოადგენს. ქვეწარმავალთა და ამფიბიების სახელები კი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის საკუთრება ჩანს. ამას ადასტურებს აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ბგერათა შესატყვისობანიც, (რომელთაც სხვა გარემოებაში განვიხილავთ) და ამ სახელთა აგებულებაც, რომელშიც აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი გამოსჭვივის.

### ლიტერატურა

- ბლაჟბა 1964** — ხ. ბლაჟბა, აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი, თბილისი.
- გვანცელაძე 2008** — თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, თბილისი.
- დანელია 1980** — კ. დანელია, „რ“-ს ბგერათგანლაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ მეგრულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, (ენა და ლიტერატურა), №1, თბილისი.
- თოფურია 1979** — ვ. თოფურია, ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა, შრომები, 3, თბილისი, 1979.
- კლიმოვი, ხალილოვი 2003** — გ. კლიმოვი, მ. ხალილოვი, კავკასიურ ენათა ლექსიკონი, მოსკოვი.
- ლომთათიძე 1991** — ქ. ლომთათიძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშეერთა სახელთა მიხედვით). — ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.
- ლომთათიძე 1976-1977** — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.
- ლომთათიძე 1980** — ქ. ლომთათიძე, ტაბანური აშთანწიგ („გველი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. — იკე, ტ. № 22, თბილისი.
- მარი 1935** — ნ. მარი, რჩეული ნაწერები ტ. 5, ლენინგრადი.
- მარი 1934** — ნ. მარი, რჩეული ნაწერები, ტ. 3, ლენინგრადი.
- მაჭავარიანი 2008** — ნ. მაჭავარიანი ფრინველთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი. — არნ. ჩიქობავას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.
- ჟღენტი 1953** — ს. ჟღენტი, ჰანურ-მეგრული ფონეტიკა, თბილისი.
- ჟღენტი 1949** — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკა, თბილისი.
- ტრუბეტკოი 1930** — N. Troubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen. — Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlands. Bd. XXXVII. H. 1-2. Wien.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — ფენრიხი, სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
- ჩიქობავა 1938** — არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
- ჩუხუა 2007** — მ. ჩუხუა, აფხაზურ-ადიღური და ქართველური დენტალური რიგის შესატყვისობები. — „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. XVIII“, თბილისი.
- ჯანაშია 1968** — ს. ჯანაშია, შრომები, ტ. № 4, თბილისი.
- ჯორბენაძე 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

NANA MATCHAVARIANI

## Semantic-Structural Analysis of Abkhaz Names of the Lowest Vertebrates

### Summary

In a core Abkhaz lexical fund according to the semantic viewpoint the names denoting the lowest vertebrates: reptiles, fish and amphibians are distinguished:

- The names of reptiles:

**ainc<sup>o</sup>ჰშდ** // **ainc<sup>o</sup>ჰშდ** "a lizard", **aḳuwa** "a tortoise (turtle)", **amat**, **aštanc<sup>o</sup>ჲ** (Tap.) "a snake".

- The names of fish:

**aps<sup>o</sup>ჲ**, **aḳalmah** // **aḳamlah** (Bzip.) "a fish", **agulšap** "a dragon", **amatps<sup>o</sup>ჲ** "eel", **amš<sup>o</sup>ჲh<sup>o</sup>a** "a guinea pig", **apqašd** "carp", **až<sup>o</sup>ontx** "a sturgeon", **aulagur** // **ao-lagur** "a salmon", **aps<sup>o</sup>ჲssa** "sprat", **aylam** "catfish", **aš<sup>o</sup>iaq** // **aš<sup>o</sup>ciq<sup>o</sup>a** "plaice".

- The names of amphibians:

**aday<sup>o</sup>** "a frog", **adaž<sup>o</sup>** "a toad", **ačawiraday<sup>o</sup>** "green tree frog".

The article represents semantic-structural analysis of the mentioned vocabulary, borrowed lexical material is distinguished.

The names of the lowest vertebrates are represented by unformed stem and are derived through affixation or composition.

Composites are determinatum-determinatum, a determinandum expressed by a relative adjective precedes a determinatum, a determinandum expressed by a adverbial adjective follows a determinatum (Abkhaz has no declension system. In Georgian Abkhaz determinandum is expressed in the form of genitive case).

In the Abkhaz fauna a number of the names denoting the lowest vertebrates is small. The names denoting fish are basically borrowings. The names of reptiles and amphibians seem to be property of a core lexical fund of the language. This is supported by Abkhaz-Circassian sound correspondences and the structure of these names, in which grammatical and lexical peculiarities characteristic of Abkhaz are manifested.

**თაბარ მახაროზიძე**

**ინერციის კანონი ენაში**

ენის სისტემაში მუშაობს კლასიკური მექანიკის კანონები. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ენა არის ცოცხალი ორგანიზმი და იგი განუწყვეტლივ განიცდის ევოლუციას. ნიუტონის პირველი კანონი, რომელიც საფუძვლად დაედო კლასიკურ მექანიკას ასე ჟღერს — „ყოველი სხეული ცდილობს შეინარჩუნოს თავისი უძრაობის ან თანაბარი წრფივი მოძრაობის მდგომარეობა, ვიდრე იგი იძულებული არ გახდეს მოდებული ძალების გავლენით შეიცვალოს ეს მდგომარეობა“ (1687 წ.) ეს არის ინერციის კანონი.

ინერციის კანონი მუშაობს ენაშიც, ენის სისტემის ყველა უბანზე და მისი იერარქიის ყველა დონეზე. ენის განვითარების პროცესი პირდაპირ ექვემდებარება ამ კანონს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინერციის კანონის მოქმედება ამა თუ იმ ენაზე სხვა ენის გავლენის ფაქტებში, როდესაც გავლენის ქვეშ მყოფი ენა ინერციით ცდილობს გადააბგეროს შემოსული სიტყვები ან მისთვის ნაცნობი სემანტიკა მოახვიოს უცხო ერთეულებს.

ენა, როგორც მაღალი მატერია, ცხადია, ემორჩილება შესაბამის კანონზომიერებებს. ენის განვითარების ინერციის კანონი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია ახსნას ენათა რეინტეგრაციის პროცესებში რეინტერგრირებულ ენათა მორფო-სემანტიკასა და სინტაქსში განვითარებული პარალელური ცვლილებები. მაგალითისთვის, ინერციის კანონი ახსნიდა ქართველურ-ბასკური ნათესაობის შემთხვევაში იმ მოვლენას, რომ ბასკურს, ერთი მხრივ, აქვს სვანურისთვის დამახასიათებელი ერგატივის საფეხველზე განვითარებული ე. წ. ორმაგი ბრუნება და მეორე მხრივ, კი მისი ერგატივის რეფერენტი ზანურის მორფო-ფონოლოგიას იზიარებს.

ენის განვითარების კანონი მარტივად ხსნის ნებისმიერი ანალოგიის მოვლენას ენაში. ხშირად ინერციის კანონი ასევე განაპირობებს რიგ სისტემურ ცვლილებებსაც. ფაქტობრივად, ენის განვითარების ინერციის კანონი ქმნის სიმეტრიულ კონსტრუქციებს ენაში.

ენის სისტემა განვითარებას აგრძელებს მისი შინაგანი სტრუქტურის ევოლუციის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის ენობრივი მოვლენა გამოდის სალიტერატურო ნორმათა ფარგლებიდან, ენა მაინც ინარჩუნებს ინერციულ პროდუქტიულობას გარკვეული თვალსაზრისით.

ინერციის კანონის მოქმედება ასევე საკმაოდ თვალსაჩინოა უცხო ენის შესწავლისას და ბავშვის მეტყველებაში. უცხო ენის შესწავლისას იქმნება ახალი ინერციული ფორმები მშობლიური ენის სისტემის ბაზაზე. ცხადია, ასეთი

ფორმები თავად ამ ენისათვის მიუღებელია, მაგრამ მეთოდისათვის ფრიად საუკუნისხმოა, რამდენადაც ეს ყოველთვის არის ტიპური სისტემა.

ინერციის კანონი მუშაობს პირის ნიშანთა სიმეტრიული სისტემის შექმნისას, პოზიციური თვალსაზრისით; აგრეთვე პირველ თურმეობითში -ავ და — ამ თემისნიშნიან ზმნებში -ია დაბოლოების წარმოებისას („დამიწერია“ ტიპის ფორმების გავლენით ხდება თემისნიშნიან ფორმათა -ია დაბოლოებით გაფორმება). ინერციის კანონის გამოვლენა ნაწილობრივი ერგატიულობის გაფორმება რეინტეგრირებულ ქართველურ ენებში კლასის კატეგორიის სემანტიკისა და მოაზროვნე სუბიექტისადმი პრიორიტეტული მიდგომით; ასევე მეგრულ ზმნებში მეორე სერიაში (აორისტში) ინერციის კანონის ძალით ვრცელდება ინტრანზიტული ერგატიულობა; იგივე კანონი მოქმედებს საშუალო-მოქმედებით გვარში ერგატიული კონსტრუქციის გაფორმებისას და ა. შ.

ენის განვითარების შინაგანი კანონი სხვა არაფერია, თუ არა გარკვეულ კანონთა ერთობლიობა. აქ მუშაობს როგორც ინერციის კანონი, ასევე ეკონომიკის პრინციპი და რიგი სხვა დიალექტიკური კანონები. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს საკითხი საკმაოდ საინტერესოა და უდავოდ მოითხოვს ენის ფილოსოფიის სპეცილისტთა შემდგომ დაკვირვებებს.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ენის განვითარების ინერციის კანონს თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის (და კერძოდ, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკისა და კოგნიტური ლინგვისტიკისათვის) განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. სოციალური ჯგუფების ენობრივი აზროვნების დინამიკის ანალიზის პროცესში ენობრივ მოვლენათა დიდი უმეტესობა სწორედ ინერციის კანონით აიხსნება. ეს კანონი კი ენაში ყოველთვის მოქმედებდა და მოქმედებს, ისევე როგორც მექანიკურ ფიზიკაში შესაბამისი კანონი მოქმედებდა ნიუტონის გახმაურებულ აღმოჩენამდე.

### ლიტერატურა

**მახარობლიძე 2005** — თ. მახარობლიძე დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია. თბილისი.

**TAMAR MAKHAROBLIDZE**

### Law of Inertia in a Language

#### Summary

The laws of classic mechanic act in linguistics and languages as live organisms develop their systems according to these laws. The force of inertia can explain a lot of linguistic factors. The parallel development of language structures in reintegrated languages could be exposed as an obvious case. The matter of analogy and creation of symmetry in language structures are also the facts of linguistic inertia.



სალომე ოშიაია

**გენდერის ცნება ფსიქოლოგიაში და ლინგვისტიკაში**

თანამედროვე სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ეთნოლოგები, დემოგრაფები შეისწავლიან განსხვავებული სქესის ადამიანების ქცევათა თავისებურებებს მოცემული კულტურის ფარგლებში. წარმოებული კვლევები ცხადყოფს, რომ სქესის შესწავლა, როგორც მხოლოდ ბიოლოგიური მოვლენისა, აღარბეჭდს ამ ცნებითს კატეგორიას. მამაკაცურობა (მასკულინობა) და ქალურობა (ფემინურობა), ერთი მხრივ, ფსიქიკის ფილოგენეტიკურად განპირობებული თავისებურებებია, ხოლო მეორე მხრივ — ონტოგენეზში ჩამოყალიბებული სოციოკულტურული წარმონაქმნები. სწორედ ამ პირობებმა დაუდო დასაბამი გენდერის, როგორც სქესის სოციოკულტურული კატეგორიის, შექმნას.

ტერმინი „გენდერი“ შედარებით ახალი გაჩენილია (1975 წ.), მაგრამ მასთან დაკავშირებული საკითხებით მეცნიერები გაცილებით ადრე ინტერესდებოდნენ. ამას მოწმობს **გენდერული ფსიქოლოგიის** ისტორიაში გამოყოფილი ხუთი ეტაპი, რომელთაგან პირველი ანტიკური ეპოქიდან XIX საუკუნის ბოლო წლებით განისაზღვრება. ანტიკური ხანის გენდერული გამოკვლევები პლატონისა და არისტოტელეს სახელებს უკავშირდება. ქმედებათა განსხვავებულობა, ქალთა და მამაკაცთა შორის შრომითი საქმიანობის განაწილება, ერთი სქესის შედარება მეორესთან, ქალისა და მამაკაცის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში, შობადობის რეგულირების აუცილებლობა ის საკითხებია, რომლებიც ანტიკური მოაზროვნეების ნაშრომებში იღებს სათავეს და დღესაც აქტუალურია გენდერულ ფსიქოლოგიაში.

აღორძინების ეპოქამ სხვა თემები გააჩინა, რომლებიც ასევე აქტუალურია თანამედროვე გენდერულ კვლევებში — ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობები სხვადასხვა საქმიანობისას, ლიდერობის ერთნაირი პოტენციალი, გენდერული ურთიერთობები. თომას მორმა (1478-1535) თავის „ოქროს წიგნში“ აღწერა იდეალური სახელმწიფო, სადაც ქალებისა და მამაკაცების საქმიანობა, იქნება ეს მეცნიერებისა თუ ხელოვნების სფერო, საზოგადოებრივი თუ რელიგიური ასპარეზი, არაფრით არ განსხვავდება. მართალია, მხოლოდ ქმრებთან ერთად, მაგრამ ქალები ჯარშიც მსახურობენ და მღვდლებადაც გვევლინებიან. მაღალი თანამდებობის დაკავება შეუძლიათ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს, ეს კი თანამედროვე „გენდერული თანასწორობის“ იდეის წინამძღვარია.

მომდევნო საუკუნეებშიც არაერთი მოაზროვნე (ტომაზო კამპანელა — 1568-1639; ჟან-ჟაკ რუსო — 1712-1778; ემანუელ კანტი — 1724-1804) განიხილავდა ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ სხვაობას, მაგრამ ამ

განსხვავებათა მიზეზად ისინი „ბუნებით განსაზღვრულობას“ ასახელებდნენ. ეს მოსაზრება დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას — ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი „განსხვავებათა ბუნებრიობის“ საილუსტრაციოდ ცხოველთა ქცევაზე დაკვირვების შედეგებს იმოწმებს, ზოგი კი ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს. ხშირად გენდერული სტერეოტიპების საფუძველსაც მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ უბრალოდ „ასეა მიღებული, ასე დამკვიდრდა“, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებისათვის ამგვარი დასაბუთება არ არის საკმარისი, კვლევებზე დაფუძნებული უფრო სარწმუნო არგუმენტებია საძიებელი.

XVIII საუკუნის მოღვაწეთა ნაშრომებში ქალთა და მამაკაცთა ქცევის განსხვავებულობა აღზრდის შედეგადაა მიჩნეული და არა ბუნებით განსაზღვრულად. გენდერული ფსიქოლოგიის ბევრი თანამედროვე პრობლემა დანახული ფრანგი მოაზროვნის, ფრანსუა მარი შარლ ფურიეს (1724-1804) თხზულებებში, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქალთა და მამაკაცთა სოციალური სტატუსის ასახვა ენაში. აღნიშნული ლინგვისტიკური პრობლემა იმ ენებს ეხება, რომლებშიც სქესის გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა. კერძოდ, მიჩნეულია, რომ პრესტიჟული საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები მამრობითი სქესისაა, ხოლო არაპრესტიჟული — მდედრობითისა. ამ დებულებას სხვადასხვა მოდიფიკაციით XX საუკუნის მკვლევრებთანაც ვხვდებით.

საინტერესოა გერმანელი რომანტიკოსის ფრიდრიხ შლეგელის (1772-1829) მოსაზრება მთლიანი პიროვნების შესახებ, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც მამაკაცურ, ასევე ქალურ პიროვნულ მახასიათებლებს. შლეგელი, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, სქესთა თავისებურებების „ბუნებრიობას“ კი არ აღნიშნავდა, პირიქით, მამაკაცებს მოუწოდებდა საკუთარ თავში განევითარებინათ ქალური თვისებები, მაგალითად, ემოციურობა, ქალებს კი ურჩევდა მამაკაცებისაგან რაციონალურობა ესწავლათ. ეს დებულება — თითოეულმა სქესმა ისწავლოს და გადმოიღოს მეორე სქესისაგან ის თვისებები, რომლებიც მას სუსტადაა აქვს განვითარებული ან საერთოდ არ გააჩნია — ზუსტად ეხმიანება თანამედროვეობას და გენდერული ურთიერთობების გაუმჯობესებას ემსახურება.

ქალებსა და მამაკაცებში ფსიქიკური პროცესების სხვადასხვაგვარობას მიაქცია ყურადღება არტურ შოპენჰაუერმა (1788-1860). მან აღნიშნა, რომ მამაკაცებისათვის აბსტრაქტულობაა დამახასიათებელი, ხოლო ქალებისათვის — კონკრეტულობა. მაგალითად, მამაკაცებისათვის სამართლიანობის განყენებული იდეა გასაგები, ქალები კი უსამართლობის მსხვერპლ კონკრეტულ ადამიანს თანაუგრძობენ. ეს დებულება თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევებითაც დასტურდება, მაგალითად, ცული მუშაკის შეფასებისას მამაკაცები სამართლიანობის ნორმებს ემყარებიან, ქალები კი — თანასწორობას, მის ადგილას საკუთარ თავს წარმოიდგენენ და მკაცრად არ განსჯიან. თუმცა თანამედროვე მეცნიერებისათვის მიუღებელია შოპენჰაუერის ის მოსაზრება, რომ მამაკაცთა რეაქცია ნორმაა, ხოლო ქალებისა — ნორმიდან გადახვევა.

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი ითვლება გენდერული ფსიქოლოგიის საგნის ჩამოყალიბების ეტაპად, მანამდე არ შექმნილა შრომები, რომლებიც მთლიანად გენდერის პრობლემატიკას მიეძღვნებოდა. ამ პერი-

ოდში დასავლეთის ბევრ ქვეყანაში გაჩაღდა ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. არაერთი მეცნიერი სწორედ ამ მოვლენას უკავშირებს გენდერული ფსიქოლოგიის მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბებას, ბევრი არ ეთანხმება დასახელებულ მოსაზრებას, თუმცა აღნიშნავს, რომ ფემინიზმი საფუძვლად არა, მაგრამ მასტიმულირებელ ფაქტორად ნამდვილად იქცა თუნდაც იმით, რომ მეცნიერებს დაანახვა ისეთ საკითხთა დამუშავების აუცილებლობა, რომლებიც მანამდე ფსიქოლოგიის საგნად არ ითვლებოდა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში გენდერული ფსიქოლოგიის საგანთან ერთად განისაზღვრა მისი სფეროებიც: სქესობრივ განსხვავებათა ფსიქოლოგია, ქალის ფსიქოლოგია, გენდერული სოციალიზაცია, სექსუალური სოციალიზაცია. დაიწყო ექსპერიმენტული კვლევები, რომლებმაც ცხადყო, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის ინტელექტუალური მსგავსება გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება. ამ დასკვნის მიმღები მეცნიერები მანამდე გავრცელებულ დებულებებს უარყოფდნენ და სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ფსიქოლოგიის ახალი დარგი საფუძვლიანი კვლევების ზუსტ შედეგებს უნდა დაყრდნობოდა და არა ანეკდოტურ სიტუაციებსა და ცრურწმენის მსგავს არასერიოზულ მოსაზრებებს. მაგრამ სქესთა თანასწორობისათვის ასეთმა მოძრაობამ უარყოფითი როლიც შეასრულა. როგორც კი გამოვლინდებოდა ფაქტები, რომლებიც მოწმობდა ინტელექტუალური ტესტირებისას ბიჭებისა და გოგონების სპეციფიკურ თავისებურებებს, საზოგადოების რეაქცია იმდენად არაჯანსაღი იყო, რომ ზოგჯერ ისინი არტეფაქტებად ცხადდებოდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ტესტებს, რომლებსაც შეეძლო სქესობრივი განსხვავებების გამოვლენა, ან უგულვებლყოფდნენ, ან ტესტში ისეთი მაჩვენებლები შეჰქონდათ, რომლებიც ამ განსხვავებებს დააბალანსებდა.

ერთი ეტაპი მთლიანად ზიგმუნდ ფროიდის სახელს უკავშირდება. ბევრი ფროიდს გენდერულ ფსიქოლოგად არ მიიჩნევდა, მაგრამ ფროიდის გავლენა არა მარტო ფსიქოლოგიაზე, არამედ მთელ კულტურაზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში მისი შეხედულებები ქალის შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებად იყო ქცეული და მათში ეჭვიც არავის შეჰქონდა. თუმცა XX საუკუნის დასაწყისში ფროიდის ფსიქოანალიზს მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ და მძაფრი კრიტიკის საგნად გაიხადეს. განსაკუთრებულ პროტესტს გამოთქვამდნენ ქალი მეცნიერები, რომლებიც ფროიდის თეორიას არაღამაკმაყოფილებლად აფასებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მისი იდეები ქალის პიროვნების შესახებ მასკულინური ნარცისიზმიდან იყო აღმოცენებული. 60-იანი წლების ბოლოს ფსიქოანალიზი ქალის სულიერი მდგომარეობისათვის სახიფათოდ მიიჩნეეს. მოგვიანებით გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც შეეცადნენ ქალის ფსიქოლოგიისა და ფსიქოანალიზის დაკავშირებას, ფროიდისეული ზოგიერთი გამაღიზიანებელი შესიტყვების შეცვლასა და მისი თეორიის გენდერული ფსიქოლოგიის ახალი პოზიციებიდან განხილვას. აღნიშნული თეორიის არაერთგვაროვანი შეფასების მიუხედავად, ფსიქოანალიზი კვლავ რჩება ქალის შესწავლის ერთ-ერთ კლასიკურ მიმართულებად.

1960-1980 წლებში ფართო ექსპერიმენტულ კვლევებს პირველი გენდერ-ფსიქოლოგიური თეორიების გაჩენა მოჰყვა. ქალთა და მამაკაცთა შორის

გამოვლენილ გლობალურ განსხვავებებს თეორიული ახსნა და მეცნიერული გააზრება სჭირდებოდა. დაგროვილი ემპირიული ფაქტების ასახსნელად კონცეფციითა შექმნის მცდელობამ იმატა (შესავალი, 2001).

1990-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება გენდერული ფსიქოლოგიის ინტენსიური განვითარება. გენდერული პრობლემატიკა აქტუალური გახდა მეცნიერების სხვა დარგებშიც.

გენდერი რთული კომპლექსია, რომელშიც გადაჯაჭვულია კულტურული, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები. ეს ასპექტები კი, თავის მხრივ, განაპირობებს ეროვნული ენობრივი პიროვნების ქცევას, რაც გენდერთან დაკავშირებულ საკითხებს ლინგვისტიკებისთვისაც საინტერესოს ხდის. გენდერს, როგორც ენისა და კულტურის მოვლენას, შეისწავლის ახლად შექმნილი დისციპლინები: ლინგვოკულტუროლოგია, გენდერლინგვისტიკა და გენდერპოეტიკა.

გენდერთა (ქალთა და მამაკაცთა, როგორც სოციალურ სქესთა) სამეტყველო ქცევა ენაში აღბეჭდილ ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტერეოტიპთა ბაზაზე აიგება. **გენდერული სტერეოტიპები** შეხედულებათა სისტემაა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ქალი და მამაკაცი. დადგენილია, რომ მამაკაცები და ქალები განსხვავდებიან როგორც სამოქმედო სტრატეგიით, ასევე სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიითაც. აღნიშნული მოსაზრება სამეტყველო ქცევათა გენდერულ თავისებურებებთან ერთად ამ თავისებურებების კოგნიტიურ ასპექტსაც გულისხმობს, რასაც ქალისა და მამაკაცის მიერ სამყაროს სურათის სხვადასხვაგვარ აღქმამდე მივყავართ.

გენდერული ლინგვისტიკა / გენდერლინგვისტიკა / ლინგვისტური გენდეროლოგია — ერთი ტერმინის ვარიანტებია, რომლებიც თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში პარალელურად გამოიყენება, თუმცა დასახელებული ვარიანტების არსებობა არ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ თვით ამ ტერმინის განსხვავებული დეფინიციები არსებობს. „თანამედროვე ცნებათა და ტერმინთა ლექსიკონის“ (რედ. ვ. მაკარენკო) მიხედვით: „გენდერული ლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც შეისწავლის მეტყველთა სქესით შეპირობებულ განსხვავებებს ენაში“ (ლექსიკონი, 2002, 89). მოყვანილი განმარტება ენისა და მეტყველების ფუნქციონირების სოციოლინგვისტურ მოდელს ესადაგება. გენდეროლოგთა მეორე ნაწილის მტკიცებით, „ენის მონაცემები ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა გენდერის, როგორც კულტურისა და სოციალური ურთიერთობების პროდუქტის, ხასიათისა და კონსტრუირების დინამიკის შესახებ“ (ლექსიკონი II, 2002, 138). ამ რიგის მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გენდერი სოციუმის მიერ შექმნილი აბსოლუტური კონსტრუქტია. აქ სიტყვა გენდერში ერთდროულად ნაგულისხმევია ინდივიდის მიერ მამაკაცურობისა თუ ქალურობის მოდელის მორგების პროცესიცა და შედეგიც, იმ მოდელისა, რომელიც, თავის მხრივ, სოციალურად და კულტურულადაა შეპირობებული და მიღებულია მოცემულ საზოგადოებაში მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს საზოგადოებაში დადგენილი ნორმების, შაბლონების, სოციოკულტურული აქსიოლოგიური სტერეოტიპების მიხედვით სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა

კომუნიკაციური ქცევისა და ურთიერთქმედების შესწავლას.

ორივე კონცეფციის გაერთიანებით, ენისა და გენდერის მიმართებათა კვლევისას თანამედროვე ენათმეცნიერებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- გენდერული სხვაობის გამოვლენა ენის სხვადასხვა დონეზე — ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სემანტიკასა და სინტაქსში;
- ვერბალურ სტერეოტიპთა სხვადასხვაობის დაძვბნა ქალურ და მამაკაცურ აღქმაში;
- საზოგადოებაში სოციალურ ფუნქციითა გადანაწილებით განპირობებულ სემანტიკურ სხვაობათა გამოვლენა, განსაკუთრებით გენდერული პოზიციიდან, რომელიც ქალთა და მამაკაცთა ენის სოციალურ ბუნებას უკავშირდება;
- ფსიქოლინგვისტური თეორიების შექმნა, რომლებშიც „ქალური“ და „მამაკაცური“ ენები ქალებისა და მამაკაცების ენობრივ ქცევათა თავისებურებებს დაუკავშირდება;
- გამოვლენილი მაჩვენებლების კოგნიტიური ანალიზი, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სხვადასხვაობათა სიხშირის დადგენა, არამედ სამყაროს სურათის განსხვავებულ ასპექტებს შორის კავშირის გამოვლენა.

ქალებისა და მამაკაცების სამეტყველო ქცევის თავისებურებათა შესახებ მსჯელობას ქართულ მეცნიერებაში უფრო დიდი ხნის წინ ვხვდებით, ვიდრე სქესის სოციოკულტურული კატეგორიის აღსანიშნავად ტერმინი გენდერი დამკვიდრდებოდა. უკანასკნელ ხანს ჩვენს საენათმეცნიერო წრეებში იგრძნობა ინტერესი გენდერის პრობლემატიკისადმი. თუმცა გამოქვეყნებული გენდერლინგვისტური ნაშრომების რიცხვი ძალზე მცირეა. აღსანიშნავია კავკასიოლოგთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე (თბილისი, 2007 წ.) ზაალ კიკვიძის მიერ წაკითხული მოხსენება, რომელიც საქართველოში ენისა და გენდერის კვლევისათვის პერსპექტიულ თემატიკას ეხებოდა. თუნდაც ამ მოხსენებაში წარმოდგენილ საკითხთა (ქალთა და მამაკაცთა მიმართვის ფორმების გენდერული ასპექტი; ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელი სიტყვები; სქესობრივი თანმიმდევრობის პრობლემა რეფერენციაში; ფარული სქესი, ონომასტიკა გენდერული ასპექტით; ქალთა და მამაკაცთა სახეები პარემიებში; ქალები და მამაკაცები საქართველოში არსებული ენობრივი სატუაცის მატრიცაში) შესწავლა მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვცემდა ფსიქოსოციოლინგვისტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

გენდერპოეტიკით ჩვენი დაინტერესება ენაში იმგვარი შესიტყვებების არსებობამ განაპირობა, როგორცაა „ქალური პოეზია“, „მამაკაცური ლექსები“, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ ქალურ და მამაკაცურ თემებს არ გულისხმობს. განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიათა შესასწავლად ერთმანეთის თანამედროვე პოეტების — ანა კალანდაძისა და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება ავირჩიეთ.

სტერეოტიპული მოსაზრების მიხედვით, მამაკაცისათვის დამახასიათებელია ძალაუფლების დემონსტრირება, იმპერატიულობა, სენტენციების ხშირი

გამოყენება, რაც დაადასტურა მუხრან მაჭავარიანის პოეტურმა დისკურსმა. მამაკაცის საუბარი თვითპრეზენტაცია უფროა, ვიდრე თანამოსაუბრის ძიება და მისი აზრის გაზიარების სურვილი — ომანიანად გაისმის მუხრან მაჭავარიანის ხმა, უალტერნატივოდაა წარმოდგენილი მისი მოსაზრებები მაშინ, როცა ანა კალანდაძე თითქმის ყოველთვის სხვისი აზრის მოსასმენადაა მზად, დიალოგს მიელტვის, ყოველთვის თანამოსაუბრის მძებნელია. ანა აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც კი შეეითხვითა და ეჭვის გამოთქმით გვაწვდის, საკუთარი აზრის უტყუარობის დადასტურებას იგი სამეტყველო კომუნიკაციის სხვა მონაწილის ან მონაწილეთაგან ითხოვს.

ორივე პოეტურ დისკურსში მუდმივად შესაგრძობია მათი შემქმნელი პოეტების კონფესიური კუთვნილება, რითაც არ დასტურდება ერთ-ერთი გენდერული სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ქალები უფრო რელიგიურები არიან, ვიდრე მამაკაცები, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული განსხვავება მაინც გამოჩნდა: ანა კალანდაძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღვთისმშობლის, ყოვლადწმიდა ქალწულის სახეს, რომლის ძალისა და მადლის, მფარველობის იმედი ქრისტიან ქართველებს ყოველთვის ჰქონდათ და აქვთ, განსაკუთრებით კი — ქალებს. მუხრან მაჭავარიანთან ღვთისმშობლისადმი მიმართვა არ შეგვხვედრია, პოეტი ძალიან ხშირად ახსენებს უფალს (ღმერთი, უფალი, ქრისტე), ანა კალანდაძესთანაც დასტურდება იესო ქრისტეს შემდეგი სახელები: უფალი, ღმერთი, მაცხოვარი, ჩვენთვის ჯვარცმული, მესია, უზენაესი, რაბი. ანასთვის უფალი მიუწვდომელია, უაღრესი კრძალვა იგრძნობა ყოველი მისი ხსენებისას, მისდამი მიმართვისას. მუხრანი კი ზოგჯერ უფრო გაბედულია, უფრო მეტ სითამამეს ავლენს, იგი ქრისტეს განკაცებულს, ჩვენ შორის მყოფს ხედავს და მას, ზოგჯერ როგორც მიწიერს, ისე მიმართავს (ერთგან ემდურის კიდევ).

სამეტყველო კომუნიკაციის მამაკაცური სტრატეგიის ნიშნებად უნდა დავასახელოთ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში ინვექტიური, ობსცენური და ჟარგონული ლექსიკის გამოყენება. არაერთი სტრიქონის მოყვანა შეიძლება, რომლებშიც სწორედ მხოლოდ მამაკაცის თვალთ დანახული ხორციელი ქალი ჩანს.

გენდეროლოგების დაკვირვებით, მამაკაცები ხშირად იყენებენ ნეოლოგიზმებსა და ტერმინებს, ისინი უფრო მიდრეკილი არიან სიტყვათშემოქმედებისკენ, ვიდრე ქალები. ანა კალანდაძესთან არც ჩვენ შეგვხვედრია უჩვეულო წარმოება, მუხრან მაჭავარიანთან კი ამის მაგალითები არის („ყოვლად უქრისტო“, „იხელახლებს“, „ფეხალრიცხვით“, „გინდა აფრენა — აბედურება“, „სიშორე გაწარსულეს“, „გავგანთიადლი“...).

სამყაროს ფერთი შემეცნების მხრივ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი მახასიათებელი, რომელიც ქალი პოეტისა და მამაკაცი პოეტის მიერ სამყაროს სურათის ხედვის, აღქმისა და ამ სურათის რეპროდუქციის განსხვავებულობას დაგვანახვებდა. არ დადასტურდა გენდერულ ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში გავრცელებული შემდეგი სტერეოტიპული მოსაზრება: „ქალები ფერთა უფრო ფართო სპექტრს აღიქვამენ, ვიდრე მამაკაცები“.

ცხადია, ეს შემოსაზღვრულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით მიღებუ-

ლი დასკვნებია. ჩვენი მცირე კვლევა, რა თქმა უნდა, არ კმარა ანალიზის შედეგების განსაზოგადებლად. ერთი ქალი პოეტისა და ერთი მამაკაცი პოეტის აღქმასა და სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიებში გამოვლენილი მსგავსება-განსხვავებები საანალიზო პოეტურ დისკურსთა (პოეტების გენდერულ წყვილთა) გაზრდის ინტერესსა და შესწავლილი თუ სხვა დამატებითი ნიმუშების მიხედვით მათი ანალიზის აუცილებლობას ბადებს.

### ლიტერატურა

**ლექსიკონი 2002** — Словарь современных понятий и терминов. Москва.

**ლექსიკონი II 2002** — Словарь гендерных терминов. Москва.

**შესავალი 2001** — Введение в гендерные исследования. Харьков, СПб.

SALOME OMIADZE

### The Notion of Gender in Psychology and Linguistics

#### Summary

The term “gender” is a relatively new coinage (1975). However, scientists took interest in the issues connected with it at a much earlier period. This is indicated by five stages singled out in the history of **gender psychology**, the first of which is defined from the Classical Period to the late 19<sup>th</sup> century.

Gender is a complex phenomenon, in which cultural, psychological and social aspects are intertwined. These aspects, in their turn, shape the behavior of a national language person, that makes questions related with gender interesting for linguists, as well. Gender, as a phenomenon of language and culture, is the object of study of new disciplines: lingo-culturology, gender linguistics and gender poetics.

მეფა სალიანი

**ლა-, ან-, ად-, ეს- ზმნისფინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართებისა და ამ ზმნისფინთა დისტრიბუციული ანალიზისათვის სპანურში**

თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**, ხოლო მეორეში — **ჟი**, **ჩუ**, **სგა**, **ქა** ზმნისწინები. ცნობილია ისიც, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე მხოლოდ პირველი რიგის ზმნისწინები ახდენენ გავლენას, რომელთა ძირითადი ფორმები (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) ყველა დიალექტში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი, ერთადერთ გამონაკლისად ითვლება **ეს-** ზმნისწინი, რომლის ლენტეხური (ზოგ კილოკავში, აგრეთვე, ჩოლურული) ვარიანტი არის არა **ეს-**, არამედ **ას-** (თოფურია 1967 : 52-70; ონიანი 1998 : 123).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ამ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი, რომელთაგანაც პირველი ორი წესი ზმნისწინთა ხმოვან ელემენტებს შეეხება, დანარჩენი კი თანხმოვან ელემენტთა ნაირსახეობას, ან მათ ქონება-უქონლობას (ონიანი 1998 : 123).

I წესი. ზმნისწინთა ა ელემენტის ნაცვლად წარმოდგენილია ე (ლაშურში და ზოგჯერ ბალსქვემოურშიც; განსაკუთრებით ცხუმარულ კილოკავში), ა (დანარჩენ დიალექტებში). ეს წესი შეეხება **ლა-**, **ან-**, **ად-** ზმნისწინებს ყველა დიალექტში და **ას-** ზმნისწინს ლენტეხურში. სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი საანალიზო მასალის მიხედვით, ასეთია ვითარება:

ა) სათავისო ქცევის ფორმაში, ე. ი. თუ ზმნა შეიცავს სათავისო ქცევის მორფემას, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ალომორფი იქნება **ი-**, **ო-** თუ **Ø**, მაგ., **ა-ხ-ი-სყ** „გაიკეთე“, **ლა-ხ-ი-ბ** (ბზ. **ლა-ხ-ი-ბ**, ცხუმ. **ლე-ხ-ი-ბ**) „შეიბი“, **აო-ი-ბ** (ცხუმ. **ეო-ი-ბ**) „შეიბი“, **ლა-ა-ქტ-ე** (ცხუმ. **ლე-ა-ქტ-ე**) „ჩაიცვა“, **ან-სყ-ე** (ცხუმ. **ენ-სყ-ე**) „გაიკეთა“, **აო-გემ** „აიშენებ“, **ად-გემ** „აიშენებს“; ლშხ. **ე-ხ-ი-სყ**, **ლე-ხ-ი-ბ**, **ეო-ი-ბ**, **ლე-ა-ქტ-ე**, **ე-ხ-ი-შტ** „აინთე“, **ენ-ი-შტე** „აინთო“, **ეო-ი-შტ** „დაინთე“, **ედ-ი-შტე** „დაინთო“ და სხვა (შანიძე 1957 : 337; თოფურია 1967 : 56-57).

ბ) სასხვისო ქცევის ფორმაში, თუ ის შეიცავს სასხვისო ქცევის მორფემის **ი-**, **ო-** ალომორფებს, ან **ი-**ს რედუქციის საფუძველზე მიღებულ ნულოვან ალომორფს, მაგ., **ა-მ-ი-ვ(დ)** „მომიტანე“, **ა-ვ-ი-ვ(დ)** „მოგიტანე“, **ა-მ-ი-სყ** „გამიკეთე“, **ა-ვ-ი-სყ** „გავიკეთე“, **ა-მ-ვიდ** „მომიტანა“, **ა-ვ-ვიდ** „მოგიტანა“; ლშხ. **ე-ვ-ვიდ**, **ე-მ-ი-შტ** „ამინთე“, **ლე-მ-ი-თე** „გამინაწილა“, **ლე-ვ-ი-თე** „გავინაწილა“ და სხვა (ონიანი 1998 : 124).

გ) პრეფიქსიანი ვნებითის ფორმაში, ე. ი. თუ ზმნა შეიცავს ვნებითი

გვარის მორფემის **ი-, ი-, ე-, ე-** ალომორფებს, ან **ი-**სა და **ე-**ს რედუქციის საფუძველზე მიღებულ ნულოვან ალომორფს, მაგ., **ათ-**შიხ-ი „დაიწვები“, **ად-**შიხ-ი „დაიწვება“, **ათ-**ყაჩ „თავი დაანება“, **ლან-**ტახ „მიუბრუნდა“, **ლან-**შად „მეფეველა, შეეწია“; ლშ. **ეთ-**შიხ-ი, **ედ-**შიხ-ი, **ეთ-**ყაჩ, **ლენ-**ტახ, **ლენ-**შად, **ეთ-**რ-ტუნ „გაიქეცი“<sup>1</sup>, **ედ-**რ-ტუნ „გაიქეცა“, **ენ-**რ-ტუნ „გამოიქეცი“; ბზ. **ათ-**რ-ტუნ, **ად-**რ-ტუნ, **ან-**რ-ტუნ (შანიძე 1957 : 345-346).

ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული ზმნისწინებისა (**ლა-**, **ან-**, **ად-**) და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართების შესახებ ჩოლურულთან დაკავშირებით აქამდე არაფერი არ იყო ნათქვამი, აქედან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ საკითხის საგანგებოდ შესწავლა. ჩვენი დაკვირვებით, ჩოლურულში ამ მხრივ ასეთი ვითარებაა:

ა) სათავისო ქცევის ფორმაში ზმნისწინთა **ა** ელემენტის ნაცვლად უმეტესად წარმოდგენილია **ე**, მაგ.: **ენ-**ი-სე „გაიკეთე“, **ეთ-**იბ „შეიბი“, **ლენ-**ა-ქტე „ჩაიტვა“, **ენ-**სე-ე „გაიკეთა“, **ეთ-**გემ||**ედ-**გემ „აიშენებ“, **ენ-**რ-შტე „აინთო“, **ეთ-**რ-შტე „დაინთე“, **ენ-**რ-შტე „აინთო“, **ლენ-**ხიტე „მოიკიდე“, **ლენ-**ა-ტე „მოიკიდა“, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც **ა**-იანი ფორმებიც გვხვდება (შდრ. **ათ-**გემ||**ად-**გემ „აიშენებ“ და ა. შ.).

ბ) სასხვისო ქცევის ფორმებში კი ძირითადად **ე** გვაქვს, მაგ.: **ემ-**ივ „მომიტანე“, **ენ-**ივ „მოგიტანე“, **ემ-**ისე „გამიკეთე“, **ენ-**ისე „გაგიკეთე“, **ემ-**ვიდ „მომიტანა“, **ენ-**ვიდ „მოგიტანა“, **ემ-**რ-შტე „ამინთე“, **ლენ-**მ-რ-თე „გამინაწილა“, **ლენ-**ჯ-რ-თე „გაგინაწილა“ და სხვ.

გ) რაც შეეხება პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს, იქ აღნიშნული ელემენტი ასევე **ე-**ს სახით წარმოგვიდგება, მაგ.: **ეთ-**შიხ-ი „დაიწვები“, **ედ-**შიხ-ი „დაიწვება“, **ედ-**ყაჩ „თავი დაანება“, **ლენ-**ტახ „მიუბრუნდა“, **ლენ-**შად „მეფეველა, შეეწია“, **ეთ-**რ-ტუნ „გაიქეცი“, **ედ-**რ-ტუნ „გაიქეცა“, **ენ-**რ-ტუნ „გამოიქეცი“ და ა. შ.

როგორც საანალიზო მასალიდან გამოჩნდა, ჩოლურულში თითქმის ლაშხურ-ბალსქვემოურისებური ვითარება ვლინდება, რალა თქმა უნდა, ნიუანსური სხვაობები აქაც შეიმჩნევა, რაც გასაკვირი არც არის, რადგანაც სხვაობას თვით ერთი დიალექტის ფარგლებშიც აქვს ხოლმე ადგილი.

სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ბალსქვემოურში არასინკოპირებული **ე-** (ასევე **ენ-**) არ იწვევს ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის ცვლილებას **ა > ან** (იქვე, 342-343). შდრ., ერთი მხრივ, ბზ. **ათ-**ე-ყჩ „თავი დაანება“, **ლან-**ე-ტხ „მიუბრუნდი“, **ლან-**ე-შად „მეფეველე, შეეწიე“ და, მეორე მხრივ, ბქ., ლნტ. **ათ-**ე-ყჩ, **ლან-**ე-ტხ, **ლან-**ე-შად და ლშ. **ეთ-**ე-ყჩ, **ლენ-**ე-ტხ, **ლენ-**ე-შად (ონიანი 1998 : 124). ლაშხურისებური ვითარება ვლინდება სწორედ ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავშიც (შდრ. ცხუმ.: **ეთ-**ე-ყჩ, **ლენ-**ე-ტხ, **ლენ-**ე-შად).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ლენტეხურში ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის სხვა სახესხვაობა არ ვლინდება. რაც შეეხება დანარჩენ დიალექტებს, ამ დიალექტებისთვის ჩამოყალიბებულია კიდევ ერთი წესი:

**II წესი.** ოთხივე ზემოაღნიშნული ზმნისწინის ხმოვანი ელემენტები წარმოდგენილია **ლ-**ს სახით. ასეთია ვითარება შემდეგ შემთხვევებში:

<sup>1</sup> იგივე ვითარებაა ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავშიც.

ა) პირველი სუბიექტური პირის ფორმაში (გარდა ინკლუზივის ფორმისა); ე. ი. იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინს მოსდევს S1 მორფემა, სულერთია, რომელი ალომორფია წარმოდგენილი — ნულოვანი ალომორფის ჩათვლით, მაგ., **ო-ხტ-აგ** „ავაგე, ავაშენე“, **ლო-ხტ-აგ** „მივადგი, მივაშენე“, **ოთ-აგ** „ავაშენე“, **ოთ-ხატპტ** „დავხატე“, **ონ-ჯუ** „მოვიტანე“, **ონ-ჯ-ტ-ედ** „მოვედი“, **ო-ჭაბ** „თოვლი გავკვალე“, **ოს-აგ** „დავადგი, დავაშენე“ და ა. შ.

ბ) ისეთ ზმნურ ფორმებში, რომლებიც შეიცავენ **გტ-** პრეფიქსს (გვარიანტიტურთ) და რომლითაც აღინიშნება I ობიექტური პირი და მისი მრავლობითი რიცხვი (ზემოსვანურ დიალექტებში აგრეთვე — ინკლუზივი), მაგ., **ლო-გტ-აბ** „მეგვაბი“, **ო-გტ-ხატტე** „დავხატა“, **ო-გტ-მარე** „მოგვამზადა“, **ო-გუ-რმე** „დავვიჭირა“; ლშხ. **ო-გ-მარე**, **ო-გ-გრმე** და სხვა.

გ) სასხვისო ქცევის ფორმაში, თუ ეს ფორმა შეიცავს სასხვისო ქცევის მორფემის **ო-**, **ო** ალომორფებს, ან **ო-ს** რედუქციის საფუძველზე მიღებულ ნულოვან ალომორფს, მაგ., **ო-ხ-ო-ვ(დ)** „მოუტანე“, **ოთ-ო-ვ(დ)** „მიუტანე“, **ოთ-ჯიდ** „მიუტანა“, ლშხ. **ოს-გე** „დაუდგა“, **ო-ხ-ო-შტე** „აუთნო“, **ლო-ხ-ო-შტე** „შეუთნო“, **ოს-ო-გან** „დაუდგა“ და ა. შ (ონიანი 1998 : 125).

როგორც ვნახეთ, I და II წესთა ურთიერთმიმართების მიხედვით სვანური ენის დიალექტებში აღვილი აქვს არსებითი ხასიათის სხვაობას. როგორც აღნიშნულია, დასტურდება ზმნის ისეთი ფორმებიც, სადაც ერთდროულად ორივე წესის რეალიზაციის პირობა არსებობს (ასეთია, მაგ., სათავისო ქცევის, ან პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა I სუბიექტური პირის ფორმა). ასეთ ფორმებში ორიდან, ცხადია, მხოლოდ ერთი წესის რეალიზაციაა შესაძლებლად მიჩნეული: ან I წესისა, ე. ი. ა > ე (ე), ან II-ისა, ე. ი. ა (ე) > ო. ამ მხრივ ერთმანეთს უპირისპირდება დიალექტთა ორი ჯგუფი: ლაშხურსა და ბალსქვემოურში (ზოგი კილოკავის გამოკლებით) ასეთ შემთხვევაში II წესი ხორციელდება (ე. ი. ზმნისწინთა ა, ე > ო), ბალსზემოურსა და ბალსქვემოურის ზოგ კილოკავში (მაგ., ლახამულურში) — I წესი (ე. ი. ზმნისწინთა ა > ე), მაგ., ლშხ. **ო-ხ-ყიდ** „ვიყიდე“, **ოთ-იგ** „ავიშენე“, **ლო-ხ-ჭოდ** „ვკითხე“, **ო-ხტ-იყ** „ავილე“, ბქ. **ო-ხტ-ი-ყდ**, **ოთ-იგ**, **ლო-ხ-ჭედ2**, **ო-ხტ-ი-კ3**; ბზ. **ა-ხტ-ი-ყდ**, **ათ-ტ-იგ**, **ლწ-ხტ-ჭტედ**, **ა-ხტ-ი-კ** (თოფურია 1967 : 13).

სპეციალურ ლიტერატურაში ბალსზემოური დიალექტისათვის კიდევ ერთი წესია ჩამოყალიბებული: „აქ I წესი არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი პალატალურია (წინა რივისაა), ე. ი. როდესაც ის ა-ს ან ე-ს სახით არის წარმოდგენილი. ამის შედეგია, ერთი მხრივ, ის, რომ I წესთან კომბინაციაში II წესი არასდროს არ ხორციელდება, ე. ი. არ ხდება ა > ო (რადგანაც ა პალატალურია), მეორე მხრივ კი ის, რომ ე ელემენტი (რომელიც აგრეთვე პალატალურია) არასდროს არ იძლევა **ო-ს ეს-** ზმნისწინში, მაგ., **ეს-ტ-აბ** „დავაბი“, **ეს-ტ-აგტშ** „დავასხი“, **ეს-ღ-ტ-რი** „მივდივარ“... (შღრ. ლშხ. **ოს-აბ** „დავაბი“, **ოს-გომ** „დავასხი“, **ოს-ღ-ტ-რი** „მივდივარ“..., ბქ. **ოს-აბ**, **ოს-ღ-ტ-რი**, **ოს-ჯერი** „მივყავარ“, **ოს-გური** „დავსვი“, **ოს-ღე** „დაუდო“...)“ (ონიანი 1998 : 125-126).

<sup>2</sup> შღრ. ცხუმარული **ლო-ხ-ჭტედ**.

<sup>3</sup> შღრ. ცხუმარული **ო-ხტ-ი-კდ**.

ისეთ ფორმებში, სადაც არ არსებობს I და II წესების რეალიზაციის პირობა, ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტები იმ სახითაა წარმოდგენილი, რა სახითაც ზემოაღნიშნულ ძირითად ვარიანტებში (ლა-, ან-, ად-, ეს-): ა-ხ-ა-სყ „გააკეთე“, ან-სყე „გააკეთა“, ეს-გე „დადგა“, ათ-ა-კურ „დაადგე“, ლა-ხ-ა-ქუ „ჩააცვი“, ლნტ. ად-ა-ესნა „წაიღებდა“, ან-ვედენი „მოვა“, ლა-ხ-ა-თონი „ასწავლის“ და სხვა.

ზმნისწინები (აგრეთვე ერთი და იმავე ზმნისწინთა პოზიციური ვარიანტები) ერთმანეთისაგან, როგორც ცნობილია, განსხვავდებიან თანხმოვანი ელემენტებითაც. III წესი შეეხება სწორედ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტების ქცევასა და მათ მიმართებას პირის მორფემებთან.

III წესი. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (ზმნისწინი + სუბიექტური ან ობიექტური პირის მორფემა) თანამედროვე სვანურში თანხმოვანთა თავმოყრა, როგორც წესი, აკრძალულია. ამის გამოა, რომ თუ ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი უშუალოდ მოსდევს პირის მორფემის თანხმოვანი, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ნულთან არის გათანაბრებული.

III წესის რეალიზაციის პირობა მხოლოდ ან-, ად-, ეს- ზმნისწინთა შემცველ ფორმებში იქმნება, რამდენადაც მეორე ელემენტი, რომელსაც უშუალოდ მოსდევს პირის ნიშნები, მხოლოდ ამ ზმნისწინებშია თანხმოვანი (განსხვავებით ლა- ზმნისწინისაგან, სადაც მეორე ელემენტი ხმოვანია და არა — თანხმოვანი). III წესი, ამდენად, მხოლოდ ან-, ად-, ეს- ზმნისწინიან ფორმებში მოქმედებს. აქაც ამ წესის რეალიზაცია სხვადასხვაგვარად ხდება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელ პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობასთან გვაქვს საქმე. ამის გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია III წესის სამი სხვადასხვა ვარიანტი (III1 წესი, III2 წესი, III3 წესი) (იქვე : 126).

III1 წესი. პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევის მიხედვით, თუ ან-, ად-, ეს- ზმნისწინთა მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია O1 მ- “ მგ-, O2 ჯ- “ ჯგ-, S1 ლ- “ ლგ-, Oi გჟ- “ გუ- ან Oe ნ- “ ნგ-, მაშინ ნულთან მუდამ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტი გათანაბრებული (თოფურია 1967: 54-55), მაგ.:

**ან- ზმნისწინი**

ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშხ.	
ა-მ-ვიდ	ა-მ-ვიდ	ა-მ-ვიდ	ა-მ-ვიდ	„მომიყვანა“
ა-ჯ-ვიდ	ა-ჯ-ვიდ	ა-ჯ-ვიდ	ა-ჯ-ვიდ	„მოვიყვანა“
ა-ლ-ვიდ-დ	ო-ლ-ვიდ-დ	ა-ლ-ვიდ-დ	ა-ლ-ვიდ-დ	„მოვიყვანეთ“
ო-გჟ-ვიდ	ო-გჟ-ვიდ	ა-გჟ-ვიდ	ო-გ-ვიდ	„მოგვიყვანა“
ა-ნ-ვიდ	ა-ნ-ვიდ	-----	-----	„მოგვიყვანა“
შდრ. ან-ვიდ	ან-ვიდ	ან-ვიდ	ან-ვიდ	„მოიყვანა“

**ად- ზმნისწინი**

ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშხ.	
ა-მ-შიხ	ა-მ-შიხ	ა-მ-შიხ-ე	ე-მ-შიხ-ე	„დამიწვა“

ა-ჯ-მის	ა-ჯ-მის	ა-ჯ-მის-ე	ე-ჯ-მის-ე	„დაგიწვა“
ო-ლ-მის-დ	ო-ლ-მის-დ	ა-ლ-ო-მისე-დ	ო-ლ-მისე-დ	„დავუწვით“
ა-გუ-მის	ო-გუ-მის	ა-გუ-მისე	ო-გ-მისე	„დაგვიწვა“
ა-ნ-მის	ა-ნ-მის	-----	-----	„დაგვიწვა“
მდრ. <b>ოთ</b> -მის	<b>ოთ</b> -მის	<b>ათ</b> -ო-მისე	<b>ოთ</b> -მისე	„დაუწვა“

**ეს- ზმნისწინი**

	ბზ.	ბქ.	ლნტ.	ლშბ.
	ე-მ-ყა	ე-მ-ყა	ა-მ-ს-აყა	ე-მ-ყა
	ე-ჯ-ყა	ე-ჯ-ყა	ა-ჯ-ს-აყა	ე-ჯ-ყა
	ე-ლ-ყა-დ	ო-ლ-ყა-დ	ა-ლ-ს-აყა-დ	ო-ლ-ყა-დ
	ე-გუ-ყა	ო-გუ-ყა	ა-გუ-ს-აყა	ო-გ-ყა
	ე-ნ-ყა	ე-ნ-ყა	-----	-----
მდრ. <b>ეს</b> -ყა	<b>ეს</b> -ყა	<b>ას</b> -ყა	<b>ოს</b> -ყა	„მიჰყავს“

ლენტეხურში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, **ას-** ზმნისწინიან ფორმაში III1 წესის რეალიზაცია ხდება არა ზმნისწინის **ს** ელემენტის ნულთან გათანაბრებით, არამედ ზმნისწინის წყვეტილ მორფემად ქცევის, ე. ი. **ს** ელემენტის პირის ნიშანთა მომდევნოდ გადანაცვლების გზით. ამით ლენტეხური, ცხადია, განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან (იქვე : 56).

III2 წესი. როდესაც გვაქვს შემდეგი კომბინაცია — ზმნისწინები **აღ-**, **ეს-** + S1 **ხუ-** “ **ხ-**, S2 **ხ-**, O3 **ხ-**, მაშინ III წესის რეალიზაციის საფუძველზე ნულთან გათანაბრებულა პირის ნიშნები (და არა ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტები). **ეს-** ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი კი ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ყოველთვის **ს**-ს სახით არის წარმოდგენილი, **აღ-** ზმნისწინისა კი — უგამონაკლისოდ **თ**-ს სახით<sup>4</sup>, მაგ., **ეს-აგუშ** (ლნტ. **ას-აგუშ**, ლშბ. **ეს-გომ**) „დაასხი“, **ეს-გუშ** (ლნტ. **ას-გუშ**, ლშბ. **ეს-გომე**) „დაასხა“, ბქ. **ოს-აგუშ** „დავასხი“, ლშბ. **ოს-აბ** „დავაბი“, **ეს-აბ** „დააბი“, **ოს-გომ** „დავასხი“, **ეს-გომ** „დაასხი“; **ოთ-ეჭმ** „წავყვი“, **ოთ-აბ** „მივაბი“, **ათ-აბ** „მიაბი“, **ათ-ბე** „მიაბა“ და ა. შ. (ონიანი 1998 : 127-128), მაგრამ ბალსქვემოური: **აღ-ბე** „მიაბა“, **აღ-რეკლე** „გარეკა“, **აღ-ბუჯურე** „გახლიჩა“, **აღ-ბელე** „გაბერა“ და ა. შ.

თანამედროვე სვანურ დიალექტებში (გარდა ლაშხურისა) ამ წესს აქვს ორი გამონაკლისი: 1. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (**ზმნისწინი + პირის ნიშანი**) დასტურდება **თხ** თანმიმდევრობების რამდენიმე ნიმუში; **ოთ-ხუ-აღ** (ლნტ. **ათ-ხუ-აღ**) „წავილე“, **ათ-ხ-აღ** (ლნტ., ბქ. **ათ-ხ-აღ**) „წაილე“, ბზ. **ათ-ხ-აღ** „თქვა“, ბქ. **ათ-ხ-გრმ** „დაიჭირე“ (თოფურია 1967 : 17-20); 2. **აღ-** და **ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის მომდევნო პოზიციაში გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება S1 **უ-**.

III3 წესი. კომბინაციაში — ზმნისწინი **ან-** + S1 **ხუ-** “ **ხ-**, S2 **ხ-**, ან O3 **ხ-**,

<sup>4</sup> ახლად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ **აღ-** ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი ყოველთვის უგამონაკლისოდ **თ**-ს სახით ნამდვილად არ გვხვდება.

როგორც ცნობილია, ყოველთვის ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტია ნულთან გათანაბრებული, მაგ., **ო-ხტ-ასე** (ლნტ. **ა-ხტ-ასე**, ლშხ. **ო-ხტ-ასე**) „გავაკეთე“, **ა-ხ-ასე** „გაკეთე“, **ო-ხ-სე** (ლნტ. **ა-ხ-ოსე**) „გაუკეთა“; ბქ. **ო-ხტ-მარ** „გავამზადე“, **ა-ხ-მარ** „გამზადე“, **ო-ხტ-მერთანტ** „მოვმართე“, **ა-ხ-მერთანტ** „მომართე“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, III წესი ძირითადად პრეფიქსული მორფემების (**ზმნისწინებისა და პირის ნიშნების**) თანხმოვან ელემენტთა ურთიერთ-მიმართებას ასახავს. თუმცა სხვადასხვა მორფემების თანხმოვანთა ერთმანეთის გვერდით მოხვედრის პირობები შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ ზმნისწინებისა და პირის ნიშნების მიჯნაზე, არამედ — ზმნისწინებისა და ძირეული მორფემების ზღვარზეც. ასეთი პირობები, როგორც წესი, **ან-**, **ეს-**, **ად-** ზმნისწინებისა და თავკიდურთანხმოვნისა ზმნების უშუალო მიმდევრობაში წარმოიქმნება. ამ მიმდევრობისთვის კი ჩამოყალიბებულია კიდევ ერთი წესი, რომელსაც IV წეს-ს უწოდებენ (ონიანი 1998 : 128).

**IV წესი.** ძირეული მორფემის თანხმოვნის წინ მხოლოდ **ან-**, **ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის არსებობა არის დასაშვები, **ად-** ზმნისწინის თანხმოვანი კი, როგორც წესი, ნულთან არის გათანაბრებული, შდრ., ერთი მხრივ, **ონ-ჭტედ** „მოვედი“, **ან-ჭედ** „მოხვედი“, **ან-ჭად** „მოვიდა“, **ონ-ტებ** „მოვბრუნდი“, **ან-ტებ** „მობრუნდი“, **ან-ტახ** „მობრუნდა“, **ონ-ტხე** „მოვაბრუნებ“, **ან-ტხე** „მოაბრუნებ, მოაბრუნებს“, ბზ. **ეს-ლტური** „მივედივარ“, **ეს-ლრი** „მიდიხარ, მიდის“, ლშხ. **ოს-ლტური**, **ეს-ლრი**, ბქ. **ოს-ხტური**, **ეს-ხრი**, ლნტ. **ას-ხტური**, **ას-ხრი** და, მეორე მხრივ, **ა-ტტხე** (ბქ., ლშხ. **ო-ტხე**) „დავაბრუნებ“, **ა-ტხე** „დააბრუნებ, დააბრუნებს“, **ა-დგე** (ლშხ. **ა-დგე**) „გააქრობ, გააქრობს“, **ა-კტმე** „გატეხ, გატეხს“ და სხვა. ზმნისწინთა აქ წარმოდგენილი ყველა უთანხმოვნო ვარიანტი (**ა-**, **ა-**, **ო-**) **ად-** ზმნისწინის კუთვნილებაა, რამდენადაც მთლიანად ემთხვევა მას მნიშვნელობით და მის სხვა ვარიანტებთან იმყოფება დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში (შანიძე 1957 : 340).

ამ წესს აქვს ორიოდე გამონაკლისი: ა) თანხმოვნის წინა პოზიციაში **ან-** ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი ნულთან არის გათანაბრებული; ცნობილია ერთადერთი ზმნა, სადაც ასეთი ვითარება გვაქვს: **ო-ლტერ** „მოვედი“, **ა-ლერ** „მოხვედი“, ბ) **ად-** ზმნისწინის დ ელემენტი თანხმოვნების წინა პოზიციაშიც წარმოდგენილია; ასეთ ვითარებას რამდენიმე ზმნასთან აქვს ადგილი და ისიც დიალექტთა მხოლოდ ერთ ნაწილში: **ოდ-ლტერ** „წავედი“, **ად-ლერ** „წახვედი“, **ოდ-ჭტედ** „მივედი, მივალწიე“, **ად-ჭედ** „მიხვედი, მივალწიე“, **ად-ჭად** „მივიდა, მივალწია“ (თოფურია 1967 : 246).

**V წესი.** უზმნისწინო ფორმებში თანხმოვნის წინ წარმოდგენილი **გ** ელემენტის პირის ნიშნები (**O1 მგ-**, **O2 ჯგ-**, **Oi გუ-** < **გტგ-**, **Oe ნგ-** და **Si ლგ-**) ზმნისწინიან ფორმებში, ჩვეულებრივ, ამ ელემენტის (**გ-**ს) გარეშე გვევლინებიან, მაგრამ ვითარება ასეთია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინის დართვით ამ ელემენტისათვის სარედლუქციო პოზიცია წარმოიქმნება, ე. ი. როდესაც, ზმნისწინისა და პირის ნიშნის ხმოვანთა გარდა, ფორმაში მესამე ხმოვანიც მოიპოვება (რომელიც, ჩვეულებრივ, ძირეული მორფემის კუთვნილებაა), მაგ., **ა-მ-ტიხ** „დამაბრუნა“, **ა-მ-ცტირ** „დამტოვა“, **ა-ჯ-ტიხ** „დავაბრუნა“, **ა-ჯ-ცტირ**

„დაგვტოვა“, ო-გუ-ტის „დაგვებრუნა“, ო-გუ-ცურ „დაგვტოვა“, ა-ნ-ტის „დაგვებრუნა“, ა-ნ-ცურ „დაგვტოვა“, ა-ლ-ტის-დ „დაგვებრუნეთ“, ა-ლ-ცურ-დ „დაგვტოვეთ“... (მდრ. უზმნისწინო ფორმები მგ-ტხე „მაბრუნებს“, მგ-ცურე „მტოვებს“). აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ხმოვნის რედუქციის ჩვეულებრივ ნიმუშთან; აღნიშნულ პირის ნიშნებში ხმოვნიან ვარიანტებთან უხმოვნო ვარიანტთა მონაცვლეობა, მაშასადამე, გ ელემენტის რედუქციის შედეგია. ბუნებრივია ამიტომ, რომ ზმნისწინიან ფორმებში გ ელემენტიანი ალომორფები მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, როდესაც ამ ელემენტის რედუქციის პირობა არ არსებობს, ე. ი. როდესაც ფორმაში მხოლოდ ორი ხმოვანია მოცემული (ზმნისწინისა და პირის ნიშნისა), მაგ., ა-მგ-ტხე „დამებრუნე“, ა-მგ-ცურ||ა-მუ-ცურ „დამტოვე“, ა-ჟგ-ტხე „დაგვებრუნე“, ა-ჟგ-ცურ||ა-ჟუ-ცურ „დაგ-ტოვე“, ო-გუ-ტხე „დაგვებრუნე“, ო-გუ-ცურ „დაგვტოვე“, ა-ნგ-ტხე „დაგვებრუნე“, ა-ნგ-ცურ||ა-ნუ-ცურ „დაგვტოვე“ და ა. შ.

ამ წესებიდან ამოსვლით, პროფ. ალ. ონიანი შესაძლებლად თვლის როგორც ზმნისწინების, ისე პირის ნიშნების დისტრიბუციულ დახასიათებას, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ზმნისწინებზეც ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თანაც ზმნისწინთა ზოგი ალომორფი პირის გამომხატველადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, იქვე ზმნისწინთა დისტრიბუციულ ანალიზსაც წარმოგიდგენს (ონიანი 1998 : 130)<sup>5</sup>.

განვიხილოთ ცალ-ცალკე სვანურ ზმნისწინთა ალომორფები:

**ლა- ზმნისწინი.** აღნიშნული ზმნისწინის ალომორფთა განაწილების სურათის დასადგენად, პროფ. ალ. ონიანის აზრით, საკმარისია I და II წესთა გათვალისწინება, ვინაიდან ლა- ზმნისწინიან ფორმაში III და IV წესთა რეალიზაციის პირობა არასდროს არ წარმოიქმნება.

I წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ძირითადად, წარმოდგენილია ლწ- (ლაშხურში ლე-, ხოლო ბალსზემოურში ზოგჯერ ლწ-) ალომორფი, მაგ., მდრ. ბზ. ლწ-მლოკე „მოლოკა“, ლწ-ხტუტედ „ჰკითხე“, ლწ-ხლწტი „შეუყვარდება“, ლწ-ტხენი „დაბრუნდება“, ლწ-ხტიშგდ „ვიკადრე“, ბქ. ლწ-ებ „შეიბა“, ლწ-ებინე „დაიწყო“, ლწ-მკიდ „აილო“, ლწ-ხტუტედა „ჰკითხა“, ლწ-ხტეკად „მივაწყდით“, ლმხ. ლე-მლოკე „მოლოკა“, ლე-ხლლტი „შეუყვარდება“, ლე-ხტოლდა „ჰკითხა“, და ა. შ. (იქვე).

უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ლაშხურისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავშიც (განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ცხუმარულის შესახებ, რომელიც ზოგ მკვლევარს რატომღაც ნარევი დიალექტად მიაჩნია — იხ. შარაძენიძე 1958), მაგ. მდრ. ცხუმ. ლე-მლოკე „მოლოკა“, ლე-ხლწტი „შეუყვარდება“, ლე-ებე „შეიბა“, ლე-ებინე „დაიწყო“, ლე-ხტუტედა „ჰკითხა“, ლე-ხტახ „მიუბრუნდა“, ლე-მსკორე „გაიფიქრა“, ლე-ხტეხნი „მიუბრუნდება“ და ა. შ. პროფ. თ. შარაძენიძის გამოკვლევის მიხედვით, უმლაუტიანი ა-ს ე-დ ქცევის პროცესი ხორციელდება ზმნებში პრევერბებთან და

<sup>5</sup> ა. ონიანის მიერ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების შესახებ შემუშავებულ ზოგად წესებს წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებით წარმოვადგენთ, რადგანაც ჩვენ ამ წესებზე დაყრდნობით განვიხილავთ ზმნისწინთა დისტრიბუციას.

**წ**ლ თემის ნიშანთან<sup>6</sup>. ავტორის აზრით, ზმნისწინებში **წ**-ს **ე**-დ ქცევა ერთი იმ პროცესთაგანია, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ცხუმარულში. ხოლო მისი გავრცელება სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის განსხვავებულია. იგი გამოყოფს ოთხი თაობის მეტყველებას: **I თაობა** — მოხუცები, რომლებიც, როგორც წესი, **წ**-ს ხმარობენ, **ე**-ს ხმარების შემთხვევები კი მათ მეტყველებაში იშვიათია; **II თაობის** წარმომადგენლებთან, მართალია, **ე**-ს ხმარების შემთხვევები უფრო ხშირია, თუმცა უპირატესობა მაინც **წ**-ს ენიჭება; **III თაობის** წარმომადგენლებთან **ე**-ს ხმარება **წ**-ს ხმარებას უტოლდება, ე. ი. ადგილი აქვს ამ ფორმათა პარალელურ ხმარებას; რაც შეეხება **IV თაობას** (14-15 წლამდე მაინც), იგი მთლიანად **ე**-ზე არის გადასული. **წ** იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გამონაკლისის სახით (შარაძენიძე 1958 : 233-234).

**წ** → **ე**, როგორც ცოცხალი მოქმედი ფონეტიკური პროცესი, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ცხუმარულის გარდა ბალსქვემოურის არც ერთ კილოკავში არ არის შემჩნეული (იქვე : 235).

**წ** → **ე** ფონეტიკური პროცესი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ, მხოლოდ ცხუმარულში იყო შემჩნეული, ჩვენი დაკვირვებით, დღეს უკვე ფხს იკიდებს ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებშიც (მდრ. ეცერ. ლე-მ/ნლოკე „მოლოკა“, ლე-მ/ნტიხ „დაიბრუნა“; ჭუბ. ლე-ხლჰტი||ლწ-ხლჰტი „შეუყვარდება“, ლე-მსკორე||ლწ-მ/ნსკორე „გაიფიქრა“ და ა. შ.), რაც, ამკარად, ინოვაციის იერს ატარებს.

ბალსქვემოური დიალექტის გარდა ამ ფონეტიკურ პროცესს ადგილი აქვს ისეთ დაშორებულ დიალექტში, როგორცაა ლაშხური, ამ დიალექტებს ერთმანეთთან ფაქტობრივ რაიმე უშუალო კონტაქტი არა აქვთ. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ მსგავსება ცხუმარულსა და ლაშხურს შორის მხოლოდ პროცესობრივი კი არ არის, არამედ ერთსა და იმავე მასალაზედაც ხორციელდება (ლაშხურშიც სწორედ ზმნისწინებში გვაქვს **ე**). თ. შარაძენიძის აზრით, „ცხუმარულში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ის პროცესი, რომელიც ლაშხურში დიდი ხნის წინ განხორციელებულა“ (იქვე : 235).

რადგანაც ჩოლურულის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაფერი თქმულა, აქედან გამომდინარე, აუცილებლად და მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვეჩვენა რა ხდებოდა ამ მხრივ ჩოლურულ მეტყველებაში, რომლის დიალექტად მიჩნევა, როგორც ცნობილია, დღემდე საცილობლადაა ქცეული ქართველ ენათმეცნიერთა შორის.

როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ჩოლურული დიალექტოლოგიური მასალის ანალიზმა ცხადყო, **I** წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ჩოლურულში, ძირითადად, წარმოდგენილია **ე**, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება **ა**-იანი ფორმებიც, მაგ.: ლე-მლოკე „მოლოკა“, ლე-ხეჭუდღა „ჰკითხა“, ლე-ხლატი „შეუყვარდება“, ლე-მბე „შეიბა“, ლე-მბინე „და-

<sup>6</sup> თ. შარაძენიძის გამოკვლევაში შეგვხვდა ჩვენთვის უჩვეულო ფორმა — **ლეღემ** (მაგ. **მერმე ჯინემოჟ ლეღემ** (ტვ.) „მეორე შენ („თვითონმცა“) შეჭამეო („ჭამა““)), რომელიც მომდინარეობს **ლწლემ** ფორმისგან. თანამედროვე ცხუმარულში, კერძოდ, ტვიბერულ მეტყველებაში, მსგავსი რამ არ დაგვიფიქსირებია.

იწყა“, ლე-მწყად „გამახსენდა“, ლე-ხქამ „დაემატა“, ლე-ხრდანხ „მიეცათ, შეეძინათ“, ლე-მსკიდდა „მოიხედა“, ლე-ხზად „უშველა“, ლე-მსგპნე „მოიქნია“, ლე-ხმგქრანხ „შეეჯიბრნენ“, ლე-ქტხ „თქვეს“ და ა. შ. ცხადია, პარალელურად ლა-ზმნისწინიანი ფორმებიც დასტურდება (მდრ. ლა-ხაწყედა „გახსენებია“, ლა-ხოჟგნდა „შეეცოდა“, ლა-ხაბიშე „მიაწოდა“ ...)<sup>7</sup>.

შესაძლოა ა → ე ფონეტიკური პროცესი ჩოლურულში ლაშხურის გავლენას მიეწეროს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ე-ს შემცველი ზმნური ფორმები ქვემო ჩოლურულშიც (საყდარში, ბულეშში, ჭველიერში, დურაშში...) უხვად დაიძებნა, რასაც ლაშხურის გავლენას ნამდვილად ვერ მივაწერთ, რადგანაც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ქვემო ჩოლურული ლენტეხურის ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ალ. ონიანი). ლენტეხურში კი, როგორც ზემოთ ითქვა, ძირითადად, ლა-ზმნისწინი დასტურდება, რომელიც თავდაპირველი ვითარების ამსახველად მიგვაჩნია.

II წესის რეალიზაციის შემთხვევაში, როგორც პროფ. ალ. ონიანის გამოკვლევებიდან ჩანს, წარმოდგენილია ლო- (ბალსზემოურსა და ჩოლურულში ხშირად, ლაშხურში იშვიათად აგრეთვე ლო-) ალომორფი, მაგ., ლო-ხტ-აბ „მივაბი“, ლო-ხტ-აჰდ „მივაყუდე“, ლო-ტებ „დავბრუნდი“ და სხვ. რაც შეეხება ლენტეხურს, იქ, გამომდინარე იქიდან, რომ II წესი არ მოქმედებს, ამიტომ, ცხადია, ლო- ალომორფიც შესაბამისად არ არსებობს (ონიანი 1998 : 130).

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ ბალსქვემოურ დიალექტში? მასალაზე დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა, რომ II წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ბალსქვემოურშიც, სხვა დიალექტების (ბალსზემოურის, ლაშხურისა და ჩოლურულის) მსგავსად ლო- ალომორფია წარმოდგენილი და ისიც საკმაო სიხშირით, მაგ.: ლო-ხტ-აბ „მივაბი“, ლო-ხტ-აჰდ „მივაყუდე“, ლო-ხო „მივეცი“, ლო-ხ-სგი „შეგხედე“, ლო-ხ-ჰუედ „გკითხე“, ლო-ხტ-ატხ „დავბრუნე“, ლო-ხტ-ვგრენ „შევეხვეწე, შევევედრე“, ლო-ხტ-მეზირ „შეველოცე“, ლო-ხტ-ტგხლენ „შევეკამათე, შევეწინააღმდეგე“, ლო-ხტ-წერალ „შევაგინე“, ლო-ხტ-ჰწთ „დავწყველე“, ლო-ხ-ხტიდნს „შეგვხედი“, ლო-ხტ-დირენ „ვჭამე, ვისადილე“, ლო-ხტ-შიდირალ „ვითამაშე“ და მრავალი სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში (ე. ი. როცა არ მოქმედებს I და II წესი), როგორც ცნობილია, დასტურდება ლა- (ბალსზემოურსა და ჩოლურულში აგრეთვე ლა-) ალომორფი, მაგ.: ლა-ხ-სგურდა (ლნტ. ლა-ხ-ასკურდა) „შეაჯდა“, ლა-ხ-ბე (ლნტ. ლა-ხ-აბე) „მიაბა“, ლა-ხ-ხტიდ „შეხვდი“, ლა-მ-ტიხ „დამიბრუნა“, ლა-ჯ-ტიხ „დაგიბრუნა“, ლა-ლ-ტიხნდ „დავბრუნეთ“, ლნტ. ლა-ხ-ოტიხა „დაუბრუნებია“, ლა-ხტ-აბ „მივაბი“, ლა-ხტემ „მისცა“, ბზ., ჩოლ. ლა-ხ-გშ „დალიე“, ბზ. ლა-ხ-ჰმ (ჩოლ. ლა-ხ-ემ) „შეჭამე“, ლა-ტახ „დაბრუნდა“ და სხვა.

მაშასადამე, თანამედროვე სვანურში, სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგე-

<sup>7</sup> ვსარგებლობთ 2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის — „ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები“ მასალებით (ნ. შავრეშიანი, მ. სალიანი). მასალის მოძიებაში დაგვეხმარა, აგრეთვე, წარმოშობით ჩოლურელი, 20 წლის, შ. შავრეშიანი, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

ნილი მასალის მიხედვით, გამოყოფენ **ლა-** ზმნისწინის შემდეგ ალომორფებს: **ლა-**, **ლწ-**, **ლწ-**, **ლწ-**, **ლო-**, **ლო-**, რომელთაც, ჩვენი აზრით, ლაშხურში, ჩოლოურულსა და ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში (ცხუმარულში, ეცერულში, ჭუბერულში...) დადასტურებული **ლე-** ალომორფიც უნდა დაემატოს.

**ან- ზმნისწინი.** სხვადასხვა პოზიციაში **ან-** ზმნისწინის სხვადასხვა ვარიანტები დასტურდება, ესენია: **ა-**, **ან-** (**ენ-**), **ო-**, **ან-**, **ან-** (**ენ-**), **ონ-**. ყოველი კონკრეტული მათგანი, ცხადია, სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი:

**ან-** — III1 ან III3 წესთან ერთად I წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: **ან-**მი-ვიდ „მომიტანა“, **ან-**წ-ვიდ „მოვიტანა“, **ან-**წ-ვიდ „მოვიტანა“, **ან-**ლ-სყედ „გავიკეთე“, **ან-**წ-ისყ „გავიკეთე“, ბზ., ლნტ. **ან-**გტ-ვიდ „მოვიტანა“, **ან-**წ-ისყ „გავიკეთე“ და ა. შ. დიალექტთა ერთ ნაწილში კი, პროფ. ალ. ონიანის მოსაზრების თანახმად, ყველაზე რეგულარულად ლაშხურში, ასეთ შემთხვევაში **ან-**ს ნაცვლად **ენ-** ალომორფი არის წარმოდგენილი, მაგ., შდრ. ლშხ.: **ენ-**მი-ვიდ, **ენ-**წ-ვიდ, **ენ-**ლ-სყედ, **ენ-**წ-ისყ... (იქვე : 131). ჩვენი დაკვირვებით, ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩოლოურულ მეტყველებაშიც, მაგ., შდრ. ჩოლ.: **ენ-**მი-ვიდ, **ენ-**წ-ვიდ, **ენ-**წ-ვიდ-ბ „მოვიტანა“, **ენ-**გტ-ვიდ „მოვიტანა“ და ა. შ.

III1 ან III3 წესთან ერთად I წესის მოქმედების შემთხვევაში ბალსქვემოური დიალექტში ყოველთვის **ან-** არ გვაქვს. აღნიშნულ დიალექტში ხშირია **ან-**ს პარალელურად **ენ-** ალომორფიანი ფორმების ხმარების შემთხვევები, მაგ., შდრ. ბქ.: **ან-**მი-ვიდ||**ენ-**მი-ვიდ „მომიტანა“, **ან-**წ-ვიდ||**ენ-**წ-ვიდ „მოვიტანა“, **ან-**წ-ვიდ||**ენ-**წ-ვიდ „მოვიტანა“, **ან-**წ-ისყ||**ენ-**წ-ისყ „გავიკეთე“..., ამასთანავე, **ან-**ლ-სყედ „გავიკეთე“, **ან-**გტ-ვიდ „მოვიტანა“, **ან-**წ-ისყ „გავიკეთე“ ფორმათა პარალელურად **ონ-**ლ-სყედ, **ონ-**გტ-ვიდ, **ონ-**წ-ისყ ფორმებიც დასტურდება. განსხვავება თვით ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა შორისაც, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ **ან-**ლ-სყედ, **ან-**გტ-ვიდ, **ან-**წ-ისყ ფორმები ცხუმარული კილოკავის წარმომადგენელთათვის სრულიად არაბუნებრივია.

**ონ-** — III1 ან III3 წესთან ერთად II წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: **ონ-**გტ-ხატზე „დაგვხატა“, **ონ-**გტ-მარე „მოგვამზადა“, **ონ-**გტ-ვიდ „მოვიყვანა“, **ონ-**წ-ისყ „გავიკეთე“, **ონ-**წ-ისყ „გავიკეთე“ და სხვა.

**ა-** — III1 ან III3 წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის მოქმედების საფუძველი, მაგ.: **ა-**მი-ვიდ „მომიყვანა“, **ა-**წ-ვიდ „მოვიყვანა“, **ა-**წ-ვიდ „მოვიყვანა“, **ა-**ლ-ვიდ „მოვიყვანე“, მოვიტანე“, **ა-**წ-ისყ „გავიკეთე“, ლნტ. **ა-**წ-ისყ „გავიკეთე“ და ა. შ. (იქვე). რა თქმა უნდა, დიალექტებს შორის ნიუანსურ სხვაობებს აქაც აქვს ადგილი, ე. ი., III1 ან III3 წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის მოქმედების საფუძველი, ამ შემთხვევაში, ბალსქვემოურში ყოველთვის **ა-** ალომორფი არ გვაქვს. ალ. ონიანის მიერ დასახელებული წესისგან განსხვავებით, **ა-**ლ-ვიდ და **ა-**წ-ისყ ფორმათა ნაცვლად ბალსქვემოურში ყოველთვის **ონ-** ალომორფიანი (**ონ-**ლ-ვიდ, **ონ-**წ-ისყ) ფორმები გვევლინება.

რაც შეეხება **ან-**ს, იგი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, მხოლოდ I წესის მოქმედების შემთხვევაში დასტურდება, მაგ.: **ან-**სყედ „გავიკეთე“, **ან-**კიდ „აილო“, **ან-**მეწრე (ლნტ. **ან-**მეწრე) „გავიგო“, **ან-**თხლოე

„იპოვა“ და სხვა, თუმცა ლაშხურში და ზოგჯერ ბალსქვემოურში ან- ვარიანტის ნაცვლად ასეთ შემთხვევაში ენ- არის წარმოდგენილი (იქვე), მაგ., შდრ. ერთის მხრივ, ლშ. ენ-სყე, ენ-კიდ, ენ-მეგრე, ენ-თხელე, და, მეორე მხრივ, ბქ. (უმეტესად ცხუმარული) ენ-სყენ, ენ-კიდ, ენ-მეგრე, ენ-თხე და ჩოლ. ენ-სყენს „გაკეთდეს“, ენ-სყე, ენ-მეგრე, ენ-მგრხდნს „შემცირდნენ“, ენ-თხელეს „იპოვეს“ და ა. შ.

**ონ-** — IV წესის მოქმედების სფეროში, როდესაც II წესიც მოქმედებს, მაგ.: **ონ-ღმრთი** „მოვლივარ“, **ონ-ტეხ** „დავბრუნდი“, **ონ-ჟუ** „მოვიტანე“ (იქვე), **ონ-ტეხ** „დავბრუნე“, **ონ-შგდ** „დავყარე, შემოვყარე“, **ონ-ხუტ** „ამოვწყვიტე“, **ონ-ჟუთე** „მოვედი“; ჩოლ. **ონ-ჟუთე**, **ონ-ჟუ** და მრავალი სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია ან-, ე. ი. როცა არ მოქმედებს არც ერთი ზემოჩამოთვლილი წესი, მაგ.: ან-სყე „გაკეთა“, ან-ჯიდ „მოიტანა“, ან-მარე „მოამზადა“, ან-ჯგ „მოიტანე“ (იქვე), ზს. ან-ლეთე<sup>1</sup> „დართო“, ან-მაწადე „გაამართლა“, ან-ნაყე „გამოაცხო“, ბზ. ან-კოკუე „შეაგროვა“, ან-კულთხენე „შებოდა“, ან-მუსე „ჩამოთოვა“, ბქ. ან-შდლუე „ჩამოთოვა“, ან-ჰიე „მოაღწია“, ან-ფტხენე „ჩამობერტყა“, ჩოლ. ან-გენალე „ააყენა“, ან-გან „ადგა“ და ა. შ.

**აღ- ზმნისწინი.** როგორც ცნობილია, სხვადასხვა პოზიციაში დასტურდება **აღ-** ზმნისწინის შემდეგი ვარიანტები: ა-(ე-), **ო-**, **ა-**, ა**თ-(ეთ-)**, **ოთ-**, **ათ-**, ა**დ-(ედ-)**, **აღ-**. ეს ვარიანტები შემდეგ შემთხვევებშია წარმოდგენილი:

**ა-** — I და III<sup>1</sup> წესთა მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ა-მ-ხატუე „დამიხატა“, ა-ჯ-ხატუე „დავიხატა“, ა-ნ-ხატუე „დავვიხატა“, ბზ. ა-გუ-ხატუე (ლნტ. ა-გუ-ხატუე) „დავიხატა“ და სხვა. ლაშხურში ა-ს ასეთ შემთხვევაშიც მუდამ ე- ენაცვლება, მაგ.: ე-მ-ხატუე, ე-ჯ-ხატუე, ე-ლ-ხატუედ „დავიხატეთ“. რაც შეეხება ზემოსვანურ დიალექტებს, იქ, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ა- ალომორფი დასტურდება აგრეთვე IV წესის მოქმედების სფეროში: ა-ტხე „დააბრუნებ“, ა-დგე „ჩააქრობ“, ა-კუე „გატეხ“, ბზ. ა-ტუხე „დავაბრუნებ“, ა-შუიხ „დავწვი“ და სხვა (იქვე, 131-132).

უნდა ითქვას, რომ I და III<sup>1</sup> წესთა მოქმედების შემთხვევაში ბალსქვემოურში ყოველთვის ა- არ არის წარმოდგენილი, ამ უკანასკნელს ხან ე- ალომორფი ენაცვლება ხან კი — **ო-**, მაგ., შდრ. ბქ.: ე-მ-ხატუე, ე-ჯ-ხატუე, **ო-ლ-ხატუედ**, ე-ნ-ხატუე, **ო-გუ-ხატუე**, ე-მ-იარე „დამიწერა“, ე-მ-ხაზუე „დამიხაზა“, **ო-გუ-იარე** „დავვიწერა“..., თუმცა ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა უმრავლესობაში სწორედ ა- ალომორფი დასტურდება. რაც შეეხება IV წესის მოქმედების სფეროს, ამ სფეროშიც ა- ალომორფის პარალელურად ე- და **ო-** ალომორფები გვევლინება, მაგ., შდრ. ბქ.: ა-ტხე|ე-ტხე, ა-დგე|ე-დგე, ა-კუე|ე-კუე, **ო-შიხ**...

**ო-** ალომორფი თანამედროვე სვანურ დიალექტებში, როგორც გამოკვლეულია, დასტურდება ორ შემთხვევაში (ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ლენტეხური): ა) II და III<sup>1</sup> წესთა ერთად მოქმედების სფეროში, მაგ.: **ო-გუ-ხატუე** „დავხატა“, **ო-გუ-მარე** „მოვამზადა“, **ო-გუ-ემდენ** „დავავიწყდა“..., ბ) II და IV წესთა მოქმედების სფეროში, მაგ.: **ო-კლ** „დავკეტი“, **ო-შიხ** „დავწვი“, **ო-ცურ** „დავტოვე“ და სხვა.

**ა-** — III<sup>1</sup> ან IV წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის რეალიზაციის პირობა, მაგ.: ა-ლ-ხატუედ „დავხატეთ“, ა-მ-

ხატზე „დამხატა“, ა-ჯ-ხატზე „დაგხატა“, ა-ნ-ხატზე „დაგხატა“; ა-ტან „დაბრუნდა“, ა-ჩან „წავიდა“, ლმხ. ა-ტის „დააბრუნა“, ა-ცტირ „დატოვა“, ა-ტგხ „დააბრუნე“ ... (იქვე : 132). ბალსქვემოურში ა-ს ნაცვლად ხშირად ო-ალომორფი გვევლინება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, მაგ., შდრ. ბქ.: ო-ლ-ხატზე „დაეხატეთ“, ო-ლ-ვიდ „მოვიტანეთ“, ო-ლ-მეზრედ „დავლოცეთ“, ო-ლ-ცტირდ „დავტოვეთ“, ო-ლ-დიგდ „ჩავაქრეთ“, ო-ლ-მარედ „გავამზადეთ“ და სხა.

**წთ-** — I და III2 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: წთ-ყან „თავი დაანება“, წთ-იბ „შეიბი“, წთ-შიხი „დაიწვევი“... ლაშხურში, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ეთ-ალომორფია წარმოდგენილი: ეთ-ყან, ეთ-იბ, ეთ-შიხი, ეთ-ჭამ „წაპყვა“, ეთ-კაფი „წაიქცევა“ და ა. შ. (იქვე). ნაწილობრივ ლაშხურისებური ვითარება დაჩნდება ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში, მაგ. შდრ.: ეთ-ყან, ეთ-იბ, ეთ-შიხი, ეთ-ჭამ, ეთ-ვერნე „წაიყვანა“, ეთ-ვერნი „წაყვება“, ეთ-ლტაჭ „გაეკიდა“, ეთ-ლტეჭნი „გაეკიდება“, ეთ-წაცი „დაილუპება“, ეთ-ბემ „შეიბამ“, ეთ-თირნე „წათრია“, ეთ-თირნის „წათრევს“, ეთ-ქინისე „გაიქცევა“, ეთ-უჟნი „დაეძინება“, და პარალელურად ჩოლურულშიც (შდრ., მაგ., ჩოლ. ეთ-ჭამ, ეთ-ფიმტუნე „ისროლა“, ეთ-ლტერან „მეპფიცა“, ეთ-სერ „გაიმეტა“ და სხვა).

**ოთ-** გვხვდება II და III2 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ოთ-ეგჭ „გავუძელი“, ოთ-ეყჩ „თავი დავანებე“, ოთ-ექდ „შევცდი, ავცდი“, ოთ-ექმ „წავყვი“, ოთ-ვიდ „მიუტანა“, ოთ-ხატზე „დაუხატა“ ...

**ათ-** — III2 წესის მოქმედების სფეროში, როცა არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი, მაგ.: ათ-აბ „მიაბი“, ათ-ბე „მიაბა“, ათ-ჭემ „გათიბე“, ათ-კტიმ „მოსტება“ (იქვე), ათ-კუმურე „დაამტვრია, დაამსხვრია“, ათ-ნებე „მიანება“, ათ-კურ „გადააგდო, გააგდო“, ათ-კურმე „გაყინა“, ათ-ჭემე „გათიბა“ და სხვა.

**ად-** გვხვდება მხოლოდ I წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ად-ხინე „მიუშვა“, ად-კტიე „შეიტყო“ ... ლაშხურში ასეთ შემთხვევაში უგამონაკლისოდ მუდამ ედ-ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ.: ედ-ხინე, ედ-კტიე, ედ-კაფან „წაიქცა“, ედ-ხატუნ „დაიხატა“ (იქვე), ხოლო, ბალსქვემორსა და ჩოლურულში ად-ზმნისწინის პარალელურად ედ-ვარიანტიანი ფორმებიც დასტურდება, მაგ., ბქ.: ედ-ხინ, ედ-კტიპ, ედ-ხატუნ, ედ-იღრან „დაიწერა“, ედ-ღირან „დაპურდა“, ჩოლ.: ედ-კაფი „წაიქცევა“, ედ-კგრლან „გაგორდა“, ედ-კტერმან „გაიყინა“, ედ-ბინე „დაიწყო“ და სხვა.

**ად-** არის წარმოდგენილი ყველა სხვა შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც არ მოქმედებს არც ერთი აღნიშნული წესი, მაგ.: ად-კურ „დააგდო“, ად-ზეზე „გააგზავნა“, ად-ლშე „დათესა“, ად-ხატზე „დახატა“, ად-ფგრე „გაახმო“, ად-შიხე „დაწვა“ და ა. შ. (იქვე).

**ეს-** (ლნტ. ას-) **ზმნისწინი.** ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართების განხილვისას აღინიშნა, რომ ამ ზმნისწინის ხმოვანითი ელემენტი ბალსქვემოურში მუდამ ე-ს სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ლენტეხურში — ა-ს სახით, რომლის პოზიციურად მონაცვლე ვარიანტი არის მხოლოდ ა. რაც შეეხება სვანური ენის სხვა დიალექტებს, ამ დიალექტებში არსებობს ე-, ო- და ა- ელემენტიანი ვარიანტები, რომლებიც შემდეგ შემთხვევებში დასტურდება:

**ე-** — III1 წესის მოქმედების სფეროში, მაგ.: **ე-მ-ყა** „მიმყავს“, **ე-ჯ-ყა** „მიჯყავს“, **ე-ნ-ყა** „მიგვეყავს“, **ე-მ-ლტა** „მიმაქვს“, **ე-ჯ-ლტა** „მიჯაქვს“ და სხვა. რაც შეეხება ლენტეხურს, იქ ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, **ა** — **ს** ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ., **მდრ.**, **ლნტ.**: **ა-მ-ს-აყა** „მიმყავს“, **ა-ჯ-ს-აყა** „მიჯყავს“...

**ო-** არის წარმოდგენილი II და III1 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში მხოლოდ სამ დიალექტში — ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, მაგ.: **ო-გ-ლტა** „მიგვაქვს“, **ო-გ-ცტირ** „დაგვტოვა“, **ო-ლ-ცტირდ** „დავუტოვეთ“ და ა. შ.

**ოხ-** გვხვდება II წესის მოქმედების სფეროში, როცა არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი, მაგ.: **ოხ-აბ** „დავაბი“, **ოხ-პგტმ** „დავასხი“, **ოხ-ლტრი** „მივდივარ“, **ოხ-გე** „დაუდგა“, **ოხ-ცტირ** „დაუტოვა“... აღნიშნული ვითარება, ძირითადად, ბალსქვემოურისათვის არის დამახასიათებელი. ბალსზემოურსა და ლენტეხურში კი ეს ვარიანტი, მეცნიერთა თვალსაზრისით, არ არსებობს, ბალსზემოურში მის ადგილს **ეს-** ალომორფიანი ვარიანტი იჭერს, ლენტეხურში კი — **ას-** ან **ან-**, მაგ. **მდრ.**, **ბზ.**: **ეს-ტ-აბ**, **ეს-ტ-პგტმ**, **ეს-ლტრი**... და **ლნტ.**: **ას-ტ-ანბ**, **ას-ტ-პგტმ**, **ას-ხტრი** და ა. შ. **ას-** ვარიანტის ლენტეხურისებური დისტრიბუცია, პროფ. ალ. ონიანის აზრით, დამახასიათებელია ჩოლურული მეტყველების ზოგი კილოკავისთვისაც (მაგ., საყდრულისათვის) (იქვე), თუმცა მაგალითებს არ ასახელებს. ჩვენ საგანგებოდ მოვიძიეთ **ას-** ვარიანტიანი ფორმები ჩოლურულში და გაირკვა, რომ აღნიშნული ვითარება მხოლოდ საყდრულისათვის არ არის დამახასიათებელი, როგორც ამას ავტორი მიუთითებს, არამედ მსგავსი საანალიზო ფორმები ჩოლურულის სხვა კილოკავებშიც (ლეუმერულ, ჭველიერულ, ჭველფურ...) დაფიქსირდა, მაგ., **მდრ.**: ლეუმ. **ას-ანან** „დაადგა“, **ას-ჩაჩხტნე** „დააცემინა“, საყდ. **ას-ლრი** „მიდის“, **ას-ღერდა** „მიდიოდა“, ჭველიერ., ჭტელფ. **ას-ხტანა** „დახვედრია“ და ა. შ. იგივე ვარიანტი, ე. ი. **ა-**იანი დასტურდება ლაშხურშიც, ოღონდ სრულიად განსაზღვრულ შემთხვევაში, „მხოლოდ დროთა III ჯგუფის საზედაო ქცევის ფორმებში“ (თოფურია 1967 : 68), როდესაც არ მოქმედებს III1 წესი, მაგ.: **ას-ლაკენა** „მიუგნია“, **ას-სედენა** „დარჩენია“, **ას-სგურენა** „დასჯდომია“... თუ ამგვარ ფორმებში მოქმედებს III1 წესი, მაშინ წარმოდგენილია **ა-** ალომორფი, მაგ.: **ა-მ-ლაკენა** „წამწყდომია“, **ა-ჯ-ლაკენა** „წაგწყდომია“, **ა-მ-სგურენა** „დამჯდომია“, **ა-ჯ-სგურენა** „დაგჯდომია“ და სხვა.

**ეს-** ვარიანტია წარმოდგენილი ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. როდესაც არ მოქმედებს არც ერთი ზემოაღნიშნული წესი, მაგ.: **ეს-აბ** „დავაბი“, **ეს-ბე** „დააბა“, **ეს-პგტმ** „დაასხი“, **ეს-გტმ** „დაასხა“ (ლშხ. **ეს-გომ**, **ეს-გომე**), **ბზ.** **ეს-ტ-აბ** „დავაბი“, **ეს-ტ-პგტმ** „დავასხი“ (ონიანი 1998 : 133). ბალსქვემოურში ბალსზემოური **ეს-ტ-აბ** და **ეს-ტ-პგტმ** ფორმების ნაცვლად **ოხ-** ვარიანტიანი **ოხ-აბ** და **ოხ-პგტმ** ფორმები გვევლინება.

ამრიგად, სვანურ ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საანალიზო ზმნისწინთა (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**) ალომორფების განაწილების სურათი დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. საინტერესოა ისიც, რომ სხვაობას აქვს ადგილი თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

### ლიტერატურა

- თოფურია** 1967 — ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, თბილისი.  
**ონიანი** 1998 — ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.  
**შანიძე** 1957 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში. — თხზულებანი, I, თბილისი.  
**შარაძენიძე** 1958 — თ. შარაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი. — იკე, IX—X, თბილისი.

### MEDEA SAGLIANI

## Towards the Interrelation of la-, an-, ad-, es- Preverbs and Boundery Prefixal Morphemes and Distributive Analysis of These Preverbs in Svan

### Summary

As it is well-known, in modern Svan there are two different kinds of preverbs with different morphological function. The first kinds are la-, an-, ad-, es- preverbs and the other ones - **ži, ču, sga, ka** preverbs. It is also well-known, that the first kind of preverbs, basic forms of which (la-, an-, ad-, es-) are not represented similarly in all dialects, influence on distribution of allomorphs of personal morphemes (V. Topuria, Al. Oniani).

In the special literature some general rules of distribution of these preverbs' allomorphs are distinguished. The first two rules concern vowel elements of preverbs, the others - verities of consonant elements or their existence or non-existence (Al. Oniani). Just following from these rules it is possible to make distributive characterization of preverbs as well as personal markers. But as the distributing of personal morphemes' allomorphs is also depended on preverbs - and besides some allomorphs of preverbs can be considered to express a person, then following from this, in the present paper, basing on Al. Oniani's general rules, I represent a distributive analysis of preverbs. The result shows, that the picture of distribution of the analytical preverbs' (la-, an-, ad-, es-) allomorphs in Svan is different according to dialects and sub-dialects. It is noteworthy, that the difference takes place even within one dialect

ნარკოზა სურმავა, თეონა აბულაძე

სახელის გრუნების პარაფიგურები აჭარულში

ქართული ენის კილოების შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა მოგვეპოვება, მაგრამ დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში ტრადიციულად აღწერილია თავისებურებანი, რომელთაც ესა თუ ის დიალექტი გამოავლენს სალიტ. ენასა და სხვა დიალექტებთან შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, ხოლო საკუთრივ მორფოლოგიური, კერძოდ, ბრუნება-უღლების, პარაფიგურები სისტემური სახით ამ ნაშრომებში იშვიათად თუ არის მოცემული. გამონაკლისს არც აჭარული კილო წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილი პარაფიგურები შედგენილია ცოცხალ დიალექტურ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვების მეთოდით, შეჯერებულია აჭარული დიალექტის გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ მასალებთან (მათ შორის აუდიო და ვიდეოტრანსკრიფტებთან) და გადამოწმებულია ადგილზევე დიალექტის მატარებელ პირებთან, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლებთან.

პარაფიგურებში მოყვანილია სახელის ფუძეთა ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც იხმარება ერთმანეთის პარალელურად ან დამახასიათებელია კონკრეტული ქვედიალექტური ერთეულისათვის (ასეთ შემთხვევაში მითითებულია კილოკავი ან თქმა). მაგ., კდარ-ი, კტარ-ი (ქობ.). ფრჩხილებში ჩასმულია ბრუნვის ფორმანტთა ვარიანტები. ამბავ-ს(0) ნიშნავს, რომ ამბავ-ი სახელი მიცემითში იძლევა ორ ვარიანტს: ამბავ-ს და ამბავ.

თანმოვანფუძიან სახელთა ბრუნების ნიმუშები

ბრუნვა	მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ამბავ-ი	ამბვ-ებ-ი ამბავ-ებ-ი ამბი-ებ-ი	კდარ-ი კტარ-ი (ქობ.)	კდრ-ებ-ი კტრ-ებ-ი (ქობ.) კედრ-ებ-ი (მაჭახ.) კდრ-ი-ებ-ი კიდრ-ი-ებ-ი (ზ.აჭ.)
მოთხ.	ამბავ-მა	ამბვ-ებ-მა ამბ-ი-ებ-მა ამბავ-ებ-მა	კდარ-მა კტარ-მა (ქობ.)	კდრ-ებ-მა კტრ-ებ-მა კედრ-ებ-მა (მაჭახ.) კდრ-ი-ებ-მა კიდრ-ი-ებ-მა (ზ.აჭ.)
მიც.	ამბავ-ს (0)	ამბვ-ებ-ს (0) ამბავ-ებ-ს (0)	კდარ-ს კტარ-ს	კდრ-ებ-ს (0) კტრ-ებ-ს (0)

		ამბ-ი-ებ-ს (0)		კდრ-ი-ებ-ს (0) კედრ-ებ-ს (0) კიდრ-ებ-ს (0) კიდრ-ი-ებ-ს (0)
ნათ.	ამბგ-ის(ი) ამბავ-ის(ი) ამბ-ის(ი)	ამბგ-ებ-ის(ი<ის) ამბავ-ებ-ის(ი) ამბ-ი-ებ-ის(ი)	კდარ-ის(ი<ის) კდრ-ის(ი<ის) კტარ-ის / კტრის (ქობ.)	კდრ-ებ-ის(ი<ის) კტრ-ებ-ის(ი<ის) კდრ-ი-ებ-ის(ი<ის) კედრ-ებ-ის(ი) კიდრ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	ამბგ-ით ამბავ-ით ამბ-ით	ამბგ-ებ-ით ამბავ-ებ-ით ამბ-ი-ებ-ით	კდარ-ით კდრ-ით კტარ-ით (ქობ.)	კდრ-ებ-ით კტრ-ებ-ით კედრ-ებ-ით კდრ-ი-ებ-ით კიდრ-ი-ებ-ით
ვით.	ამბგ-ად ამბავ-ად ამბ-ად	ამბგ-ებ-ად ამბავ-ებ-ად ამბ-ი-ებ-ად	კდარ-ად კდრ-ად კტარ-ათ (ქობ.)	კდრ-ებ-ად კდრ-ი-ებ-ად კიდრ-ი-ებ-ად
წოდ.	ამბავ-ო	ამბგ-ებ-ო ამბავ-ებ-ო ამბ-ი-ებ-ო	კდარ-ო კტარ-ო	კდრ-ებ-ო კტრ-ებ-ო კედრ-ებ-ო კდრ-ი-ებ-ო კიდრ-ი-ებ-ო

შენიშვნა: მაჭახლის ხეობაში **კედრები** ფორმას უპირატესად უფროსი თაობა ხმარობს.

ბრუნვა	მხოლოებითი	მრავლობითი
სახელობითი	მაწონ-ი	მაწნ-ებ-ი
მოთხრობითი	მაწონ-მა	მაწნ-ებ-მა მაწვნ-ებ-მა
მიცემითი	მაწონ-ს(0)	მაწნ-ებ-ს(0) მაწვნ-ებ-ს(0)
ნათესაობითი	მაწონ-ის(ი) მაწნ-ის(ი) მაწვნ-ის(ი)	მაწნ-ებ-ის(ი) მაწვნ-ებ-ის(ი)
მოქმედებითი	მაწონ-ით მაწნ-ით მაწვნ-ით	მაწნ-ებ-ით მაწვნ-ებ-ით
ვითარებითი	მაწონ-ად მაწნ-ად მაწვნ-ად	მაწნ-ებ-ად მაწვნ-ებ-ად
წოდებითი	მაწონ-ო	მაწნ-ებ-ო მაწვნ-ებ-ო

**ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების ნიმუშები**

ბრუნვა	მხოლობ.	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ჭალა	ჭალ-ებ-ი ჭალ-ი-ებ-ი	ბიძა(ე)	ბიძა-ვ-ებ-ი ბიძა-ებ-ი ბიძ-ებ-ი ბიძა-ნ-ებ-ი (ქობ.)
მოთხ.	ჭალა-მ	ჭალ-ებ-მა ჭალ-ი-ებ-მა	ბიძა-მ	ბიძა-ვ-ებ-მა ბიძა-ებ-მა ბიძ-ებ-მა ბიძა-ნ-ებ-მა
მიც.	ჭალა-ს(0)	ჭალ-ებ-ს(0) ჭალ-ი-ებ-ს(0)	ბიძა-ს(0)	ბიძა-ვ-ებ-ს(0) ბიძა-ებ-ს(0) ბიძ-ებ-ს(0) ბიძა-ნ-ებ-ს
ნათ.	ჭალ-ის(ი)	ჭალ-ებ-ის(0) ჭალ-ი-ებ-ის(ი)	ბიძა-ს-ი	ბიძა-ვ-ებ-ის(ი) ბიძა-ებ-ის(ი) ბიძ-ებ-ის(0) ბიძა-ნ-ებ-ის
მოქმ.	ჭალ-ით	ჭალ-ებ-ით ჭალ-ი-ებ-ით	ბიძა-დთ	ბიძა-ვ-ებ-ით ბიძა-ებ-ით ბიძ-ებ-ით ბიძა-ნ-ებ-ით
ვით.	ჭალა-დ	ჭალ-ებ-ად ჭალ-ი-ებ-ად	ბიძა-დ	ბიძა-ვ-ებ-ად ბიძა-ებ-ად ბიძ-ებ-ად ბიძა-ნ-ებ-ად
წოდ.	ჭალა-ვ	ჭალ-ებ-ო ჭალ-ი-ებ-ო	ბიძა-ვ	ბიძა-ვ-ებ-ო ბიძა-ებ-ო ბიძ-ებ-ო ბიძა-ნ-ებ-ო

- შენიშვნები: 1. ზემოაჭარულში, ხულოს რაიონში შემავალ სოფლებში (დიოკნისი და ვაშლოვანი) იხმარება უპირატესად მრავლობითში **ჭალები** ფორმა. ზემოაჭარულში ჭალა ნიშნავს სათბე ადგილს, მაჭახლის ხეობაში ამ მნიშვნელობით **სათიბი** გვაქვს.
2. ხულოს რაიონში, სოფლებში ვაშლოვანსა და თავოში, **ბიძა-ს** (მრავლ. ბიძავები) ანალოგიურად მრავლობითს იწარმოებენ ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა სახელები: **ხალაჲ** „დეიდა“ — **ხალავები** (/ხალაები/ხალიები), **დეიდაჲ** — **დეიდავები** (დეიდეები/დეიდები), **ბიცოლაჲ** — **ბიცოლავები** (/ბიცოლაები), **აბლაჲ** „ბიცოლა“ — **აბლავები** (/აბ-

ლიები), **ბიბიაჲ** „მამილა“ — **ბიბიავები** (/ბიბიაევი/ბიბიე-ბი), **ნენეჲ** „ბებია“ — **ნენევები** (/ნენიევი), **დედეჲ** „ბა-ბუა“ — **დედევები** (/დედეევი/დედეიევი), **ტაჲჲ** „დედის ძმა“ — **ტაჲჲვები** (/ტაჲევი), **ემიაჲ** „მამის ძმა“ — **ემიავე-ბი** (/ემიევი), **ტადაჲ** „ძმა, მაზლი“ — **ტადავები** (/ტადაე-ბი, ტადიევი). მაგრამ არ გვაქვს: დავები, ძმავები.

ბრ.	მხოლობ.	მრავლობ.	მხოლობ.	მრავლობ.	მხოლობ.	მრავლობ.
სახ.	და(ღ)	ღ-ე-ბი ღ-ი-ე-ბი ღა-ნ-ე-ბი (ქობ.)	(რ)ქა(ღ)	ქ-ე-ბი ქ-ი-ე-ბი ქ-ე-ბ-ე-ბი (მერისი)	ღღე(ღ)	ღღ-ი-ე-ბი
მოთხ.	ღა-მ(მა)	ღ-ე-ბ-მა ღ-ი-ე-ბ-მა ღა-ნ-ე-ბ-მა	ქა-მ(მა)	ქ-ე-ბ-მა ქ-ი-ე-ბ-მა ქ-ე-ბ-ე-ბ-მა	ღღე-მ(მა)	ღღ-ი-ე-ბ-მა
მიც.	ღა-ს	ღ-ე-ბ-ს(0) ღ-ი-ე-ბ-ს(0) ღა-ნ-ე-ბ-ს	ქა-ს(0)	ქ-ე-ბ-ს(0) ქ-ი-ე-ბ-ს(0) ქ-ე-ბ-ე-ბ-ს(0)	ღღე-ს(0)	ღღ-ი-ე-ბ-ს(0)
ნათ.	ღა-ის ღ-ის	ღ-ე-ბ-ის(ი) ღ-ი-ე-ბ-ის(ი) ღა-ნ-ე-ბ-ის (ქობ.)	ქა-ის(ი) ქ-ის	ქ-ე-ბ-ის(ი) ქ-ი-ე-ბ-ის(ი) ქ-ე-ბ-ე-ბ-ის(ი)	ღღე-ის ღღ-ის	ღღ-ი-ე-ბ-ის(ი)
მოქმ.	ღა-ით ღ-ით	ღ-ე-ბ-ით ღ-ი-ე-ბ-ით ღა-ნ-ე-ბ-ით (ქობ.)	ქა-ით ქ-ით	ქ-ე-ბ-ით ქ-ი-ე-ბ-ით ქ-ე-ბ-ე-ბ-ით	ღღე-ით	ღღ-ი-ე-ბ-ით
ვით.	ღა-ღ	ღ-ე-ბ-ად ღ-ი-ე-ბ-ად ღა-ნ-ე-ბ-ად (ქობ.)	ქა-ღ	ქ-ე-ბ-ად ქ-ი-ე-ბ-ად ქ-ე-ბ-ე-ბ-ად	ღღე-ღ	ღღ-ი-ე-ბ-ად
წოდ.	ღა-ო(ვ)	ღ-ე-ბ-ო ღ-ი-ე-ბ-ო ღა-ნ-ე-ბ-ო (ქობ.)	ქა-ო(ვ)	ქ-ე-ბ-ო ქ-ი-ე-ბ-ო ქ-ე-ბ-ე-ბ-ო	ღღე-ო(ვ)	ღღ-ი-ე-ბ-ო

**შენიშვნა:** მრავლობითის ფორმა **ქებები** იხმარება მერისის ხეობაში (ქედის რაიონი). ეს წარმოება ანალოგიურია კარებებ-ისა. იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ამოსავლად აქვს მხოლობითად გააზრებული კარები, ხოლო მხოლობითში ქები არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ამ ორ ცნებას შორის არის ის, რომ ორივე არსებობს წყვილად (კარები ტრადიციული გავებით ორფრთიანია).

თავად დიალექტში კარებები ფორმა არ იხმარება. რიცხვის მიხედვით ოპოზიციური ფორმებია: კარი -კარები. საინტერესოა, რომ აქ ფანჯრის ფრთას ფანჯრი(ს)კარი (მრავლ. ფანჯრი(ს)კარები) ჰქვია.

ბრუნვა	მხოლობ.	მრავლობ.	მხოლობ.	მრავლობ.	მხოლობ.	მრავლობ.
სახ.	გოგო	გოგუ-ებ-ი	ხოზო(ა) ხფო(ა) ხპო(ა) (ქობ.)	ხოზუ-ებ-ი ხოზ-ი-ებ-ი ხფ-ი-ებ-ი ხპ-ი-ებ-ი // ხპო-ებ-ი (ქობ.)	ძუძუ(ა)	ძუძუ-ებ-ი
მოთხ.	გოგო-მ(მა)	გოგუ-ებ-მა	ხოზო-მ(მა) ხფო-მ ხპო-მ	ხოზუ-ებ-მა ხოზ-ი-ებ-მა ხფ-ი-ებ-მა ხპ-ი-ებ-მა ხპო-ებ-მა	ძუძუ-მ	ძუძუ-ებ-მა
მიც.	გოგო-ს(0,პ)	გოგუ-ებ-ს(0)	ხოზო-ს(0,პ) ხფო-ს ხპო-ს (ქობ.)	ხოზუ-ებ-ს(0) ხოზ-ი-ებ-ს(0) ხფ-ი-ებ-ს(0) ხპ-ი-ებ-ს ხპო-ებ-ს	ძუძუ-ს(0)	ძუძუ-ებ-ს(0)
ნათ.	გოგო-მს გოგო-ს-ი (ზ.აჭ.) გოგო-ს	გოგუ-ებ-ის(ი)	ხოზო-მს ხოზო-ს-ი ხოზო-ს(0) ხფო-მს ხფო-ს  ხპო-მს	ხოზუ-ებ-ის(ი) ხოზ-ი-ებ-ის(ი) ხოზუ-ებ-ის-ი (ზმ.აჭ.) ხფ-ი-ებ-ის(ი) ხპ-ი-ებ-ის ხპო-ებ-ის	ძუძუ-მს ძუძუ-ს ძუძუ-ს-ი	ძუძუ-ებ-ის(ი) ძუძუ-ებ-ის-ი (ზმ.აჭ.)
მოქმ.	გოგო-მთ გოგო-თ-ი გოგო-თ	გოგუ-ებ-ით	ხოზო-მთ ხფო-მთ  ხპო-მთ	ხოზუ-ებ-ით ხოზ-ი-ებ-ით ხპ-ი-ებ-ით ხპო-ებ-ით	ძუძუ-მთ	ძუძუ-ებ-ით
ვით.	გოგო-დ	გოგუ-ებ-ად	ხოზოდ ხფოდ  ხპოდ	ხოზუ-ებ-ად ხოზ-ი-ებ-ად ხპ-ი-ებ-ად ხპო-ებ-ად// ხპუ-ებ-ად	ძუძუ-დ	ძუძუ-ებ-ად

წოდ.	გოგო-ვ გო-ვ(უ) გოგ-ი	გოგუ-ებ-ო	ხოზო-ვ  ხოფო-ვ ხოპო-ვ (ქობ.)	ხოზუ-ებ-ო ხოზი-ებ-ო ხოფო-ებ-ო ხოპი-ებ-ო ხოპო-ებ-ო / ხოპუ-ებ-ო	ძუძუ-ვ	ძუძუ-ებ-ო
------	----------------------------	-----------	--	--	--------	-----------

*შენიშვნა:* მესხეთის მომიჯნავე ზემოაჭარის სოფლებში (დიოკნისი, დანის-პარაული, მათი მიმდებარე სოფლები) იხმარება — *ხო* (ნათ. *ხოსი*). *ხოები*, *ხოზო* არ გვხვდება. ხოლო ხულოს რაიონის შიდა სოფლებში (ვაშლოვანი, თავო...) გვაქვს — *ხოზო* (ნათ. *ხოზოსი*) — *ხოზეები*, *ხოპეები*.

*ხოზო* (ნათ. *ხოზოდს*) — *ხოზეები* გავრცელებულია მაჭახლის ხეობაში.

დასტურდება *ხოზო* — ფუძიდან წარმოქმნილი სახელები — ნა-ხოზოური (ახალმოგებული ძროხა) და სახოზოური (ხოზორების სადგომი), რომლებშიც სავარაუდოა, რომ -ურ სუფიქსია, ცირკუმფიქსების — ნა-ურ, სა-ურ შემადგენელი.

**საკუთარ სახელთა ბრუნება**

ბრ.	მხოლობ.		მრავლობ.	მხოლობ.	მხოლობ.
სახ.	ჯემალა-ა	აბულაძე	აბულაძე-ები აბულაძი-ები აბულაძ-ები აბულაძ-ნ-ები (ქობ.)	ჩხუტუნეთ-ი	თავო
მოთხ.	ჯემალა-მ(მა)	აბულაძე-მ	აბულაძე-ებ-მა აბულაძ-ი-ებ-მა აბულაძ-ებ-მა აბულაძ-ნ-ებ-მა	ჩხუტუნეთ-მა	თავო-მ
მიც.	ჯემალა -ს(0,პ)	აბულაძე-ს(0)	აბულაძე-ებ-ს(0) აბულაძი-ებ-ს(0) აბულაძ-ებ-ს(0)	ჩხუტუნეთ-ს(0)	თავო-ს(0)
ნათ.	ჯემალა-ს(0) ჯემალა-ს-ი (ზ.აჭ.) ჯემალა-დს	აბულაძ-ის(ი) აბულაძე-ს-ი აბულაძე-ს	აბულაძე-ებ-ის(ი) აბულაძი-ებ-ის(ი) აბულაძი-ებ-ის-ი აბულაძ-ებ-ის(0) აბულაძ-ნ-ებ-ის	ჩხუტუნეთ-ის(ი)	თავო-დს თავო-ს
მოქმ.	ჯემალა-დთ	აბულაძ-ით	აბულაძე-ებ-ით აბულაძი-ებ-ით	ჩხუტუნეთ-ით	თავო-დთ თავო-თ

			აბულაძე-ებ-ით აბულაძე-ნ-ებ-ით		
ვით.	ჯემალა-დ	აბულაძე-დ	აბულაძე-ებ-ად აბულაძი-ებ-ად აბულაძე-ებ-ად	ჩხუტუნეთ-ად	თავო-დ
წოდ.	ჯემალა-ვ(ო)	აბულაძე-ვ(ო)	აბულაძე-ებ-ო აბულაძი-ებ-ო აბულაძე-ებ-ო აბულაძ-ნ-ებ-ო	ჩხუტუნეთ-ო	თავო--(ო)

**მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვა**

ბრუნვა	მხოლოდითი	მხოლოდითი
სახ.	სასელა-დ(0) სხალ-ი	ერთ-ი /ერ-ი კაც-ი
მოთხ.	სასელა(დ) სხალ-მა	ერთ-ი(0) /ერ-ი(0) კაც-მა
მიც.	სასელა(დ) სხალ-ს(0)	ერთ-ი(0) / ერ-ი(0) კაც-ს(0)
ნათ.	სასელა(დ) სხალ-ის /სხლ-ის	ერთ-ი /ერ-ი კაც-ის
მოქმ.	სასელა(დ) სხალ-ით / სხლ-ით	ერთ-ი(0) /ერ-ი(0) კაც-ით
ვით.	სასელა(დ) სხალ-ად /სხლ-ად	ერთ-ი /ერ-ი კაც-ად
წოდ.	სასელა(დ) სხალ-ო	ერთ-ი /ერ-ი კაც-ო

შენიშვნა: ერი (<ერთი) გვხვდება ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში.

ბრ.	მხოლოდ.	მხოლოდ.	მხოლოდ.
სახ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-დ	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-ი (ზ.აჭ.)	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო
მოთხ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-მ	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-მა	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო-მ
მიც.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ს	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-ს(0)	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო-ს
ნათ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ს ხაშრ-ის(ი) ლობია-ს-ი (ზ.აჭ.)	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-ის(ი)	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო-ს ან მიხეილა-ს ბაბო-ს-ი
მოქმ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-დ	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-ით	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო-თ(თ-ი)
ვით.	ხაშრ-ის(ი) ლობია-დ	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-ად	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო-დ
წოდ.	ხაშრ-ის(ი) ლობია-ვ	ჯემალა-სი(0,ს) ბაღ-ო	მიხეილა-სი(0,ს) ბაბო მიხეილა-სი(0,ს) ბაბო-ვ(უ)

შენიშვნა: ფუძეუკვეცელ გენეტიურ მსაზღვრელთან • (-ს-ი) ჩნდება ზემოაჭარულში. აქ გენეტიური მსაზღვრელი შესაძლებელია შეგვხვდეს სამი პარალელური ვარიანტის სახით: ჯემალა-სი ბაღვი, ჯემალა-ს ბაღვი, ჯემალა ბაღვი. სიხშირის თვალსაზრისით, უპირატესობა პირველ მათგანს ენიჭება.

ნათესაობით ბრუნვაში **ი** შესაძლოა დაერთოს საზღვრულს (თუ ის ფუძეუკვეციელი სახელია). ამ შემთხვევაში მას მართული მსაზღვრელი აღარ დაირთავს: **მინეილა-ს-ი ბაბო-ს** ან **მინეილა-ს(0) ბაბო-ს-ი**.

### შემოკლებანი

**ზმ.აჭ.** — ზემოაჭარული

**მაჭახ.** — მაჭახლური

**ქობ.** — ქობულეთური

NARGIZA SURMAVA, TEONA ABULADZE

### Paradigms of Noun Declension in Adjarian

#### S u m m a r y

The Georgian dialectological researches traditionally describe language peculiarities, which are manifested by a given dialect on the basis of comparative analysis with literary language and other dialects. Paradigms of declension and conjugation are not rarely given fully in these works. An Adjarian sub-dialect is not exception, as well.

The below-given paradigms are based on the result of direct observation on live dialectal speech. They are compared with published and unpublished (among them audio and video) materials of the Adjarian dialect. They are audited with the persons of a dialect, with the teachers of Georgian language and literature.

Phonetic variants of noun roots which are used parallely or characteristic of a concrete sub-dialect are given in paradigms (in such case a sub-dialect is written), e. g.: **ḵdar-i**, **ḵṭar-i** (Kobul.). The variants of case markers are given in brackets: **ambav-s(i)** — means that the noun **ambav-i** gives two variants in dative: **ambav-s** and **ambav**.

მურან სუნიუშილი

ერთი ქართველური აბერათოზარღობის საკითხისათვის<sup>1</sup>

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ VIII, 1964) **ჭიღვი**-ი განმარტებულია როგორც ადამიანისა და ფრინველ-ცხოველის სომატური სახელი: **ჭიღვი**-ი... 1. მხარ-ბეჭის სახსარი. ნემს-მახათს ნუ სცემ მჯიღებსა, ...წაგინდენს მკლავთა ჭიღვებსა (დ. გურამ.) II ფრინველის წინა მხარი (საბა). „მე უკვე გადავინახე ერთი შუაბარკალი და ორი ჭიღვი [ქათმისა] [ნ. ლორთქ.] 2. ჩლიქიანი ცხოველის ფეხის ქვედა ნაწილი. დაკლულ გოჭს ჭიღვით ჩამოკიდებენ (მ. ალავ.).

ძველ ქართულში ეს ლექსემა არაა დადასტურებული. როგორც განმარტებითი ლექსიკონიც მიუთითებს, ჭიღვი დამოწმებულია „სიტყვის კონაში“, დამოწმებულია წყაროზე მიუთითებლად და აღნიშნავს ფრინველის სხეულის ნაწილს. ნუსხების მიხედვით ორგვარი განმარტება ახლავს: **ჭიღვ** ფრინველის წინა მჭარი **ZAB**. ფრინველის საფრინავის წინა წვერი (ძვალი **Cq**)**c**, განუმარტავია **D**, შდრ., აქვე: საფრინავი — ფრინველთ მკლავი **ZA**, ფრინველის მკლავი **B**.

**ჭიღვი** სალექსიკონო ერთეულად არაა შეტანილი ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში.

დიალექტების მიხედვით **ჭიღვი**-ი, სომატური სახელის მნიშვნელობით, დადასტურებულია ქიზიურში: ჭიღვი „მხარ-ბეჭის სახსარი“ (მენტეშაშვილი, 1943), თუშურში, ფშაურში - ჭიღვი-ი „მჭრის სახსარი, რითაც მკლავი ბეჭზეა მიბმული (შანიძე I, 1984, გვ. 457). არსებითად მსგავსია თუშურისათვის დამოწმებული სხვა განმარტებები: „მხრის ძვალი“ (ხუბუტია 1969), „მხრის ძვალი, ბეჭისა და მკლავის შესაყარი“ (ცოცანიძე 2002); რაჭულში ჭიღვი განმარტებულია როგორც „ფეხის უკანა ძარღვებიანი ნაწილი“ : „მაღალა გინდა ვირბინო საქორიას, მარა აღარ გემორჩილება ჭიღვები“ (კობახიძე 1987).

თავისებურია მოხეურის ჩვენება. ა.შანიძე აქ **ჭიღო** ფორმას ადასტურებს: ჭიღო... ნ. მხრის უღელი ვ; ფშ., ჭიღვი ფშ., თ., ჭიღო მოჭ. „მხრის სახსარი (ბეჭს რომ ებმის) (შანიძე I, 1984 370); ივ. ქავთარაძეს სალექსიკონო ერთეულად ჭიღვა II ჭიღო ფორმები გამოაქვს: ჭიღვა / ჭიღო „მხარბეჭის ძვალი“ : „ერდოზედით გადმოვარდნილა, ჭიღო დაურტყმია და გასწერია“ (ქავთარაძე 1985); ილუსტრაცია აქ მხოლოდ ჭიღო ფორმისთვის გვაქვს მოცემული.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად **კარლ ჰორსტ შმიდტის** დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სამეცნიერო სესიაზე 2009 წლის 12 ივნისს.

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის“ მიხედვით **ჭიღვ**- ფუძის სომატური მნიშვნელობები ერთ სიტყვა-სტატიაშია მოქცეული:

ჭიღვ-ი<sup>1</sup> (ლექს., თუმ., ქიზიყ., ხევსურ.) მხარ-ბეჭის სახსარი (ს. მენთემ.); მხრის ძვალი (პ. ხუბ.); ცხოველის უკანა ფეხის ბოლო ნაწილი, მუხლისაკენ (მ. ალაგ., 1); 1. ღორის უკანა ფეხის შუა ნაწილი; 2. ვაზის საკვირტე მუხლი (მ. ალაგ., 2) (ღლონტი 1984).

**ჭიღვი**-ს მნიშვნელობათა სომატურ ერთგვაროვნებას ნაწილობრივ ეს უკანასკნელი განმარტება („ვაზის საკვირტე მუხლი“) არღვევს, თუმცა **ჭიღვი** აქ მცენარის აღნაგობის გარკვეულ ელემენტს აღნიშნავს.

ე.ი. **ჭიღვ**- ფუძით ქართულში (სალიტერატურო ენასა და დიალექტებში) აღინიშნება ადამიანისა და ფრინველ-ცხოველის კიდურების (ზედა ან ქვედა, წინა ან უკანა) ტანთან შემაერთებული ძვლოვანი ნაწილი, რომლის ზუსტი იდენტიფიკაცია მაინცდამაინც ვერ ხერხდება, შდრ.: ფშ. „მხრის სახსარი, რითაც მკლავი ბეჭზეა მიბმული“, რაჭ., „ფეხის უკანა, ძარღვებიანი ნაწილი“, „ჩლიქიანი ცხოველის ფეხის ქვედა ნაწილი“ (ქეგლ, VIII), „ფრინველის წინა მჯარი (საბა) და ა.შ. ასევე, **ჭიღვი** ქართულში აღნიშნავს მცენარის ღეროს ზედა ნაწილს — საკვირტე მუხლს. განსხვავებათა მიუხედავად, ამ მნიშვნელობებს აერთიანებს ერთი ზოგადი მნიშვნელობა ადამიანის, ფრინველ-ცხოველის და მცენარის აგებულების (სხეულის, ღეროს) გარკვეული ნაწილისა.

ის ფაქტი, რომ **ჭიღვ**- ფუძით დაფიქსირებული სომატური მნიშვნელობები ქართულში დიალექტების მიხედვით განსხვავდებიან, ტიპოლოგიურად უჩვეულოს არაფერს შეიცავს. ყ. ვანდრიესი აღნიშნავდა, რომ ზოგადად, სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი მდგრადი არაა, ადვილად გადადიან ერთი ორგანოდან ან სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე და მნიშვნელობათა ცვლილების „კლასიკურ ნიმუშებს“ გვაწვდიანო. ვანდრიესი ამ ცვლილებათა სათანადო მაგალითებსაც ასახელებს ინდოევროპული ენებიდან (ვანდრიესი: 1937 191).

მცენარის აღნაგობასთან დაკავშირებული **ჭიღვის** ზემოთ დასახელებული მნიშვნელობა „საკვირტე მუხლი“ (მცენარის ღეროს ნაწილი), ჩვენი აზრით, გარკვეულწილად გვიხსნის აჭარულში დაფიქსირებულ **ჭიღვის** უკვე სხვა მნიშვნელობას — „ზრდადაუმთავრებელი ნაყოფი გოგრისა, კიტრისა, ნესვისა, რომელიც აღარ მწიფდება“ (ნიჟარაძე 1971). თავისთავად კვირტი შეიძლება იყოს სანაყოფეც, რომლიდანაც იზრდება, ვითარდება ნაყოფი და უნაყოფოც, ე.წ. ილიის კვირტი — ვაზის ფოთოლთან გამოსული უნაყოფო კვირტი (იხ., კვირტი-ი ქეგლ IV), შდრ., ზ. იმერ. კვირტი-ი „სიმინდი არ ვარგა, კვირტები ა სულ, რა გვექნება“ (ძოწენიძე 1974); შემოიმერულშივე დასტურდება ასეთივე უარყოფითი მნიშვნელობით კვირტის რამდენიმე სინონიმი: კვიტირა, კვიჭი, კვიჭილა, კვიჭირა, კვინჭილა — „სიმინდის პატარა ტარო, რომელსაც აქა-იქ აქვს მარცვლები“, „უხეირო ტარო, აქა-იქ რო აქ მარცვლები, კვინჭილა“ და სხვ. (ძოწენიძე 1974), ამდენად, სემანტიკური გადაწევა **ჭიღვი**-ს „სომატური ელემენტი (ადამიანისა და ფრინველ-ცხოველისა)“ >სამუხლე კვირტი, მცენარის ღეროს ნაწილი) > ა) ნაყოფიერი კვირტი, ბ) უნაყოფო კვირტი („ილიის კვირტი“) > ზრდადაუმთავრებელი, უხეირო ნაყოფი... გამორიცხული არ არის ეს ნეგატიური მნიშვნელობა (ზრდადაუმთავრებ-

ლი, უმწიფარი, უხეირო...) საფუძვლად დასდებოდა მამაკაცის მეტსახელს ჯავახურში: ჭილიო „მეტსახელი მამაკაცისა, სუსტი და ავადმყოფური აგებულების ვინც არის (ბერიძე 1984)“. ჭილიო ფორმის შესახებ მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

აქვე შეიძლება დაისვას **ჭიღვის** სომატური მნიშვნელობის (მნიშვნელობების) განსხვავებულ დენოტატთა სახელდების (ადამიანის, ფრინველ-ცხოველის სომატური ელემენტი, მცენარის ღეროს ნაწილი) უწინარესობა-შემდგომლობის საკითხი, რაც გარკვეული ალბათობით ადამიანის (სუბიექტის) მიერ სამყაროს შემეცნების თანმიმდევრულ სურათს წარმოგვიდგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგადად ადამიანისა და ცხოველის სხეულთა ნაწილებისა და ორგანოების აღმნიშვნელ რეკონსტრუირებულ სახელთა განუსხვავებლობა უნდა აიხსნას ცხოველთა ორგანოების ადამიანურთან გაიგივებით, რასაც უნდა მოჰყოლოდა ცხოველთა ორგანოების სახელწოდებათა გადატანა ადამიანის სათანადო ორგანოებზე. ადამიანის მიერ სხეულის აგებულების თავდაპირველი ცოდნა ძირითადად ემყარებოდა ცხოველთა ორგანოების (განსაკუთრებით, სამსხვერპლო ცხოველების) აგებულების პრაქტიკულ გაცნობას (გამყარებულ, ივანოვი. II, 1984: 818). ამდენად, **ჭიღვი** (და სხვა, ადამიანისა და ცხოველის ორგანოთა საერთო სახელი) შესაძლოა თავდაპირველად სუბიექტის მიერ ობიექტური სამყაროს გაცნობიერებული სინამდვილის, კერძოდ, ფრინველ-ცხოველთა სხეულის ნაწილის ამსახველი ყოფილიყო. სხვათა შორის, **ჭიღვის** სომატური მნიშვნელობის ლოკალური გაუდიფერენცირებლობა და არამდგრადობა (წინა ან უკანა, ზედა ან ქვედა), ვფიქრობთ, ცხოველთა სომატურ ელემენტად ამ აღმნიშვნელის სახელდების პირველადობას მიანიშნებს, შდრ.: ადამიანის : „მხარ-ბეჭის სახსარი“ (ქიზიყ.), „ფეხის უკანა, ძარღვებიანი ნაწილი“ (რაჭ.), ჩლიქიანი ცხოველის : „ფეხის ქვედა ნაწილი“ (ლეჩხ.), ფრინველის : „წინა მჯარი“ (საბა) და სხვ.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დამოწმებულია **ჭიღვა** ფორმაც და დაფიქსირებულია მისი გავრცელების არეალი: **ჭიღვა**... კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ჭიგო II ჭიგოზე ვაზის მისაბმელი წნელი (ვ. ბერ.) (ქეგლ VIII 1964); დამოწმებულია ის დიალექტურ ლექსიკონებშიც: **ჭიღვა** (იმერ., ზ. იმერ.) პატარა ხარდანი, წვრილი სარი. ნ. ჭიგო (დიალექტ., 674); წნელი, შემოვლებული ხარდანის ირგვლივ, ვაზის დასამაგრებლად. ნ. ჭიგო, ფშანი, ჭირღვა (ვ. ბერ.). შდრ. ჭიკო, იგივეა, რაც ჭიღვა (ძოწენიძე 1974) (ღლონტი, 1984). იმერულშივე დასტურდება ზმნური ფორმაც მოჭიღვა მმსხმოიარე ვაზისთვის წვრილი ჭიგოს (ჭიღვას) მისობა (ძოწენიძე 1974).

უნდა აღინიშნოს, რომ **ჭიღვა** დასახელებული მნიშვნელობით არ არის მართო იმერულის კუთვნილება, ის გვხვდება ქართულშიც: **ჭიღვა** „სარი, ჭიგო“. აქ სარსაც ვიტყვით და ჭიღვასაც (ხც.); ჭიღვა სარი არი, კაი სხვილი სარი, ვაზს შეუდგამენ (სალ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981).

ბუნებრივად დგება ჭიღვი და ჭიღვა ლექსიკურ ერთეულთა მიმართების საკითხი. ვფიქრობთ, რომ შეიძლება ასეთი დაშვება: ჭიღვი > ჭიღვა, -ა სიტყვაწარმოებითი სუფიქსია, მნიშვნელობის რეინტერპრეტაციისათვის (ჭიღვი „მხრის საჯსარი, რითაც მკლავი ბეჭზეა მიბმული“ > „სარი, ჭიგო, ხარდანი

II ჭიგოზე ვაზის მისაბმელი წნელი“) არსებითა, ჭიღვის, როგორც კიდურებისა და ტანის შემაერთებელი, შესაყარი, მისაბმელი ელემენტის დანიშნულება (შდრ., სახსარ-ი... 1. ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შეერთება (ქეგლ VI, 1960). ვაზისათვის საყრდენის დამაგრების მნიშვნელობით იხმარება იმერულში **მოჭიღვა** ზმნა: **მოჭიღვა** არამსხმოიარე ვაზისათვის წვრილი ჭიგოს (ჭიღვას) მისობა. პაწია ვენახს, სულ რომ არ იბამს, ან ცოტას იბამს, იმას უნდა მოჭიღვა... **მოჭიღვამს** წვრილ ჭიგოს (ჭიღვას) მიუსობს ვაზს, რომელსაც ჯერ მსხმოიარობა არ დაუწყია. პაწია ვენახს მოვჭიღვამთ, რომელიც ისხამს, იმას უნდა სარი, პაწიას — ჭიღვაი... (ძოწენიძე 1974)...

თუ ასეთი მსჯელობა მისაღებია, მაშინ ძირეულ (ჭიღვ-ი) და წარმოქმნილ (ჭიღვ-ა) სახელთა მნიშვნელობებს შორის განსხვავება -ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციით — (მსგავსებითობა) არის გაპირობებული, შდრ., **ბეწვ-ი** და **ბეწვა**... ერთი ბეწვა ბეწვის ოდენა, სულ პატარა (ქეგლ I 1950), **ბაწარ-ი** ხევს. „მსხვილი ძაფი“ და ბაწარა. გზა-ბაწარა „ბილიკი“ (შანიძე. I 1984); -ა სუფიქსი მსგავსობითობის ფუნქციით ქართულისათვის ჩვეულებრივია:

ვეფხვ-ი და ხევს. ვეფხვა „ხარის სახელია“, ლომ-ი და ლომა „ხარის საკუთარი სახელია“ (ჭინჭარაული 2005); კუნძ-ი — კუნძა „ვაზის ერთ-ერთი ჯიში... შეკრული კუმის მტევანი აქვს... კუნძის მოყვანილობისა (ძოწენიძე 1974: 911); თაველ-ი „თავთავი“ — თაველა „თაველა ბალახი“, ბოტ. ყვითელი ძურწა (მაყაშ.)... კაკლიან ბალახს ვეძახით თაველა ბალახს (ძოწენიძე: 153); ქილი „ემვი“ — ქილა „ღეზი“ (ძოწენიძე). ლეჩხ. ქილა „ემვია“ (ქეგლ VII) და სხვ.

სომატური სახელის მნიშვნელობის განვითარების ასეთი ალბათობა „სომატური სახელი“ > „საყრდენი; საბჯენი, შემაერთებელი...“ თავად სომატური სახელის, როგორც მთელის ნაწილის (სტრუქტურის ნაწილის) მნიშვნელობითაა გაპირობებული, შდრ., **ნახსამი** „ასო ასოთა მიბმული...“ (საბა). დავასახელებთ სათანადო მაგალითებს, სადაც სომატურ სახელთა მნიშვნელობის ასეთი განვითარება ხელშესახებია:

**ფეხ-ი**... 1. ცოცხალი არსების კიდური... 2. ზოგი ნივთის (მაგ. მაგიდის, სკამის, სასმისის და სხვ.) საყრდენი...

**ქუსლ-ი** ... 1. ადამიანის ფეხის (ტერფის) უკანა მრგვალი ნაწილი... 2. ფეხსამოსის (წინდის ან ფეხსაცმლის) ის ნაწილი, რაშიც ფეხის ქუსლი თავსდება... II ფეხსაცმლის საქუსლეზე დაკერებული საძირე ტყავი (ხე ან სხვა რამ) სიმკვიდრისა და სიმალლისათვის... 3. ფეხიანი ჭურჭლის ის ნაწილი, რომელზედაც დგას... 4. სპეც. საყრდენი, საბჯენი რისამე (თალისა, კარისა).

**ფრჩხილ-ი**... 1. რქოვანი წანაზარდი თითისწვერზე... 2. იგივეა, რაც ბრწყალი (მნიშვნ. 3) (ქეგლ VII)... ბრწყალის „ხის ან ძვლის ანახეთქი“ მითითებული (3) მნიშვნელობა ასე იკითხება: 3. კუთხ. (გურ.) მცოცავი (და ხვია-რა) მცენარის გრძელი ამონაყარი, რომლითაც იგი გრჭლას ეხვევა (სინონ. **ხაშარი**)... (ქეგლ I); **ხაშარ-ი** იმით არის საყურადღებო, რომ ის

ბრწყალსაც (პწყალსაც) აღნიშნავს, მნიშვნ. 1. „მცოცავი (და ხვიარა) მცენარის გრძელი ამონაყარი... და 3. ძვ. ხარაჩოს ბოძი (ქეგლVIII). შდრ., ჭიღვა-ს მნიშვნელობები: „სარი, ჭიგო, ხარდანი“ II „ჭიგოზე ვაზის მისაბმელი წნელი“.

**ყელ-ი...** 1. კისრის წინა (ქვედა) ნაწილი... 2. თავისა და კისრის შემადგენელი... 3. ხმელეთის ორსავე ნაწილის შემადგენელი მიწის ზოლი ზღვაში... (ქეგლ VIII) და ა.შ.

ორიოდე სიტყვა ჭიღვა, ჭიგვა/ჭიგო, ჭიკვა/ჭიკო ლექსებათა მიმართების შესახებ. ეს ლექსიკური ერთეულები, როგორც უკვე ვნახეთ, ქართული ენის დიალექტებში სინონიმებად გვევლინებიან: „მოჭიღვა — არამსხმოიარე ვაზისთვის წვრილი ჭიგოს (ჭიღვას) მისობა (ძოწენიძე 1974: 266), ჭიკო — იგივეა, რაც ჭიღვა...“ (ძოწენიძე 1974: 493). სამეცნიერო ლიტერატურაში ჭიღვა და ჭიგო ფორმები დაფიქსირებულია როგორც იმერულის ფონეტიკური ვარიანტები: ჭიგო > ჭიღვა (ჯორბენაძე 1998: 350). ეს კონკრეტული მაგალითი სხვებთან ერთად (ჯავახ: ფურგონი > ფურღუნი, იმერ., გურ. ყვეღან > ყოღან) დასახელებულია გარ ფონეტიკური მონაცვლეობის, ხშულის სპირანტით შენაცვლების ნიმუშად. აღნიშნულია ისიც, რომ დიალექტებში დასტურდება საპირისპირო პროცესიც (ქართლ. ღორ-ხბო > გორ-ხბო, არდანი > არგანი) (ჯორბენაძე 1998: 359). ვფიქრობთ, რომ ჭიგო და ჭიღვა ფორმების ფონეტიკურ ვარიანტებად მიჩნევა გაჭირდება.

გავრცელების არეალის მიხედვით ჭიღვ-ფუძიდან ნაწარმოები სახელები ფორმობრივად და სემანტიკურად ასე დალაგდება:

**ძირეული**

**წარმოქმნილი**

ჭიღვი „სომატური სახელი“ > 1. ჭიღვა>ჭიღო „სომატური სახ.“ (ვა>ო) საბა; აღმოს. დიალექტ. : აღმოს. დიალექტ. : მოხ. თუშ., ფშ., ქიხიყ. 2. ჭიღვა „სარი, ჭიგო...II ვაზის მისაბმელი წნელი“

დასავ. დიალექტ. : დასავ. დიალექტ.: იმერ; რაჭ., ლეჩხ. აღმოს. დიალექტ.: ქართლ.

მოხეტურში ჭიღვა II > ჭიღო ფორმაში -ა სუფიქსს რაიმე განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა არ ახლავს. აქ ერთი მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს როგორც ძირეული, ასევე წარმოქმნილი ფორმაც: კაჩი-ი, კაჩა-ი „წვივი, კანჭი; ბარკალი“ (ადამიანისაც და პირუტყვისაც), კბილ-ი, კბილა-ი 1. სიგრძეზე აგებული ჩალის ან თივის ზვინი... (ქავთარაძე, 1985, გვ. 253-254); -ა სუფიქსის ამ ნეიტრალური ფუნქციის შესახებ ერთი რიგის სიტყვებში მსჯელობს ივ. ქავთარაძე (ქავთარაძე 1985: 69).

ჭიღვა ლექსემას სავარაუდო ძირეულ ჭიღვი ფორმასთან შედარებით განსხვავებული, არასომატური მნიშვნელობა იმერულში აქვს: ჭიღვი „სომატური სახელი“ > „ვაზის საყრდენი...“ მნიშვნელობის ამგვარი განვითარების შესაძლებლობის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. თუმცა, როგორც ვნახეთ, თავად იმერულში სომატური სახელის მნიშვნელობით არც ჭიღვი და არც ჭიღვა ფორმები არ გვხვდება. ქართლურში ჭიღვა „სარის“ მნიშვნელობით (სარ-ი... ბოლოწათლილი წვრილი ხე მიწაში ჩასარჭობად; იხმა-

რება ხვიარა მცენარეების (ვაზის, ლობიოს...) შესამაგრებლად... (ქეგლ VI 1960), იმერულიდან ჩანს გადასული, ოღონდ მნიშვნელობის მცირე სხვაობით - „კაი სხვილი სარი“, მნიშვნელობა კი იმიტომ შეიცვალა (**ჭიღვა** იმერ. „წვრილი სარი“ > ქართლ. „მსხვილი სარი“), რომ ქართლურში იმერულ ჭიღვას დახვდა სარი თავისი მკვიდრი მნიშვნელობით „აქ სარსაც ვეტყვით და ჭიღვასაც, ჭიღვა სარი არი, კაი სხვილი სარი (ბეროზაშვილი, მე-სხიშვილი, ნოზაძე, 1981).

ქართულის როგორც აღმოსავლური (ქიზ., თუშ., ფშ., მოხ.), ასევე დასავლური დიალექტებისათვის ჭიღვი > ჭიღვა (>ჭიღო) სომატური მნიშვნელობით ნიშანდობლივია.

ქართ. ჭიღვი-ის ფარდად წარმოგვიდგება მეგრული წირღვი და ლაზ. წირღუ.

წირღვი — голень; ... ср., კონკერი, წმორთი.

კონკერი — голень, собственно передняя кость, ср. წირღვი, წმორთი.

წმორთი — голень, წირღვი (ყიფშიძე, 1914).

სხვა ლექსიკონებში წირღვის უფრო მეტი მნიშვნელობებია დასახელებული:

წირღვი-ი... კანჭი, წვივი; არტალა (მასალები, ტ. IV, ნაწ. I: 223); ბარკალი (კ. სამუშია, ქსპს. გვ. 27); შდრ. ლაზ. წირღუ საქონლის ერთგვარი დაავადებაა (აჭარ. დიალექტ. ლექს. IV, გვ. 71) (ქაჯაია, III, 2002);

წირღვი-ი (წირქვი) - წვივი, გაზა, ნაწილი უკანა ფეხისა, რომელზედაც მიმაგრებულია ნაკუთალი; ცხენის საჭენებელი სახსარი, საოლავი; არტალა, ქორწილში მახარობელს მიართმევდნენ (ის უკან გააქროლებდა ცხენს და მიუტანდა ნეფიონს, მაყრიონს, სტუმრებს);

წირღვალი — კანჯმაღალი (ქობალია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ხელნაწერი).

ლაზურში **წირღუ** სასქესო ორგანოს წამონაზარდია. ანატომიაში ასეთ წამონაზარდებს სპეციალური ტერმინით აღნიშნავენ: მორჩი-ი... რომელიმე ორგანოს წამონაზარდი, განშტოება (ქეგლ V 1958).

ლაზური: წირღუ — червеобразный нарост на половом органе коровы; он мешает случке быка, и потому его выжигают раскалённым железом (მარი, 1910). (ჭიისებრი წანაზარდი ძროხის სასქესო ორგანოზე, რომელიც ხარს ხელს უშლის დანერბვაში).

წირღუ (ხოფ.) — წანაზარდი ძროხის სასქესო ორგანოზე (ქუთელია 2005: 175).

ლექსიკონების მონაცემების მიხედვით, ზანურში (მეგრულში) წირღვი პოლისემიური სიტყვაა და მას ნაირგვარი სომატური (უკანა II ქვედა კიდურის ნაწილებისა) მნიშვნელობა უდასტურდება, შდრ.:

წვივი-ი... ფეხის ნაწილი მუხლს ქვემოთ კოჭამდე (უპირატესად ადამიანისა) შდრ. კანჭი (ქეგლ VIII 1964)

კანჭ-ი... ფეხის ნაწილი მუხლის თავიდან კოჭამდე (უპირატესად ცხოველისა) (ქეგლ IV 1955).

არტალა... ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი... (ქეგლ I 1950).

ბარკალ-ი... ცხოველის ან ფრინველის ფეხი თეძოს სახსრიდან მუხლის თავამდე... (ქეგლ I 1950).

გაზა... წვივის ძვალი — წვივი II წვივი — კუნთის მსხვილი ძარღვი (დ. ჩუბინ.) (ქეგლ II 1951);

ნაკუთალ-ი... ანატ. წყნარ მდგომარეობაში მყოფი წვივის ტყუბი კუნთის მიერ შექმნილი მომრგვალებული შემაღლება... (ქეგლ V 1958);

ცხენის საჭენებელი სახსარი, შდრ., სახსარ-ი... ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შეერთება (ქეგლ VI 1960);

საოლავ-ი... ძვ. ქაჩაჩს ზევით სახსარი, სადაც ცხენს ბორკილს ადებენ... (ქეგლ VII 1960).

როგორც ვხედავთ, წირღვი-ი მეგრულში ძირითადად ცხოველის უკანა კიდურების დანაწევრებული ნაწილების აღმნიშვნელად გვევლინება: წვივი და კანჭი ფეხის გარკვეული ნაწილია, ბარკალი — ასევე ფეხის სხვა ნაწილი, არტალა — ბარკლის ნაწილი, გაზა — წვივის ნაწილი (ძვალი) და ა.შ. სხეულის ნაწილთა მნიშვნელობების გადანაცვლების შესახებ ვანდრიესის მოხდენილ ნათქვამს თუ დავიმოწმებთ, „სიტყვა თითქოსდა მთელ კიდურებზე ეშვება“ (ვანდრიესი 1937: 191). ასე რომ წირღვის ზუსტი მნიშვნელობის დადგენა მეგრულში, ისე როგორც ჭიდვისა ქართულში, რთულდება.

მეგრ. **წირღვი** „სომატური ელემენტი (ზოგადად)“ და ლაზ. **წირღუ** „წამონაზარდი სომატურ ელემენტზე (ძროხის სასქესო ორგანოზე)“ ფორმათა მნიშვნელობებს შორის განსხვავება მეორეული ჩანს: ზან. წირღვი-ი „სომატური სახელი“ > მეგრ. წირღვი-ი id. > ლაზ. წირღუ „წამონაზარდი სომატურ ელემენტზე“ — „სასქესო ორგანოზე“.

ამ განსხვავების გააზრებაში გარკვეულწილად დაგვეხმარება ჭიდვის როგორც მცენარის ღეროზე ამოსული კვირტის („სამუხლე კვირტის“ ლეჩხ.) მნიშვნელობის გაცნობა: კვირტი-ი... 1. გაუშლელი ყლორტი, ჩანასახი ყლორტისა ან ყვავილისა... (ქეგლ IV, 1955), მაგრამ, როგორც ლექსიკონი გვეუბნება, კვირტი შეიძლება იყოს სანაყოფეც და უნაყოფოც. მაგ., „იღლიის კვირტი ვაზის ფოთოლთან გამოსული უნაყოფო კვირტი“... კვირტის მეორე მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: 2. ბიოლ. ზოგიერთი უმდაბლესი ორგანიზმის სხეულზე ერთგვარი გამონაზარდი, რომელიც თანდათან იზრდება, გარკვეულ დროს სწყდება სხეულს და იწყებს დამოუკიდებელი ორგანიზმის სახით არსებობას... (ქეგლ IV 1955); ამ განმარტების შემდეგ მოტივირებული ჩანს კვირტის მნიშვნელობის სხვაგვარი გააზრება: კვირტი<sup>1</sup>, კვირტა მთის დიალექტებში „მეჭეჭს“ აღნიშნავს (იხ. შანიძე I 1984), კვირტი-ი (ქიზიყ., ჩ. თუშ.) „მუწუკის ძირი“ (ღლონტი 1984)...

ასეა ქართულშიც „ბრმა ნაწლავის“ შემთხვევაში: ბრმა ნაწლავი 1. ანატ. [Coecum s. typhlon] მსხვილი ნაწლავის დასაწყისი ნაწილი, რომელზედაც ჭიაყელა მონაზარდია. 2. საუბ. (უმართებ.) თვით ის ჭიაყელა მონაზარდი, რომელიც ბრმა ნაწლავზეა. ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა (ე.ი. ჭიაყელა მონაზარდი ამოაჭრეს) (იხ. ქეგლ I 1950, ბრმა, 1137), ე.ი. ბრმა ნაწლავის მონაზარდი, ჭიანაწლავი ან ჭიაყელა ნაწლავი (აპენდიქსი) ბრმა ნაწლავადაა სა-

ხელდებული (ქეგლ VIII 1964). ქეგლის ახალი რედაქცია ბრმანაწლავის მეორე მნიშვნელობას უმართებულოდ აღარ თვლის და ბრმანაწლავი დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად გამოაქვს (ქეგლ ახ. I 2008).

მნიშვნელობის ამ რიგის გადანაცვლება სომატურ სახელებში უჩვეულო არ არის, შდრ., მეგრ. **კირტე**... 1. ყბა. ფერი მეუგამუდუ, კირტე ქიდნუტახა-ფუდუ — ისეთი გაურტყამს, ყბა ჩაუმტვრევია. 2. ქათმის ენის უკანა მხარეს ამოსული მუწუკი (ქაჯაია II, 2002).

უფრო ზუსტი ანალოგი, როცა სომატური ორგანოს სახელი დენოტატა მსგავსების საფუძველზე სხვა ორგანოს წანაზარდის სახელადაც გვევლინება ფრჩხილის მაგალითზე დასტურდება:

ფრჩხილ-ი ... 1. რქოვანი წანაზარდი თითის წვერზე... 5. ძვ. თვალის ავადმყოფობა ერთგვარი (საბა), — ფრჩხილა<sup>1</sup>...

ფრჩხილა<sup>1</sup> ... კუთხ. (თუშ.) თვალის ავადმყოფობა, ფრჩხილა (ლიბრადა) თეთრად თვალს გადაეკვრის. ადამიანს თვალი უსივდება და ცრემლი სდის (ს. მაკალ.). (ქეგლ VII 1962)...

ამრიგად, ლაზ. წირღუ „წანაზარდი ძროხის სასქესო ორგანოზე“, სომატური სახელის მნიშვნელობაცვლილი ვარიანტია, სომატური სახელის მნიშვნელობა ლაზურს, როგორც ჩანს, არ შემოუნახავს.

წირღუ დასტურდება სვანურის ოთხსავე დიალექტში:

წირღუ (-იმ, -ალ ბზ., -არ ბქ., ლნტ., -ალ ლშ.) — წვივის ძვალი

წირღუი თუველ ვმკიდ ნჭუთედიალ (ლნტ.) — ძვლის ტვინი გამომილო კითხვით („ნაკითხავი). იხმარება გამოთქმაში: წირღუი თუველი ლიკედ (ლშ.) — ჩაცეება, ჩაძიება (სვან. ლ. 2000).

განხილულ ლექსემათა (ქართ. ჭიდღუ-ი : ზან. წირღ-ი : სვან წირღუ) შეჯერება ქართველურ ენებში ფონემათა ფარდობის ასეთ რიგს წარმოგვიდგენს:

ქართ. **ჭ** : ზან. **წ** : სვან. **წ**

ამ შეფარდებით ირღვევა ბგერათშესატყვისობის წესი, რაც ქართულ სისინა და შიშინა სპირანტებსა და აფრიკატებს და მათ შესაბამის ზანურ და სვანურ რეფლექსებს შორის დასტურდება.

შეფარდება ქართ. შიშინა აფრიკატი (ჭ) : ზან., სვან. სისინა აფრიკატი (წ) ქართველური ენების თანხმოვანთა მიმართების არც ერთ სქემაში არ ჯდება და მას, ბუნებრივია, ახსნა სჭირდება. შდრ.: „არ მოგვეპოვება არც ერთი მაგალითი, რომელიც საპირისპირო შეფარდებას ამჟღავნებდეს აფრიკატების რიგში, ე.ი. ისეთი ფორმები, რომლებშიც ქართულ შიშინა აფრიკატებს ზანურში (შესაბამისად, სვანურში მ.ს.) შესატყვისი სისინა აფრიკატები და არა ბგერათკომპლექსები შეესაბამებოდეს (გამყრელიძე 1959: 21<sup>2</sup>).

ვფიქრობთ, რომ განსახილველ სიტყვათა — ქართ. ჭიდღ-ი, მეგრ., ლაზ. წირღ-ი/წირღუ : სვან. წირღუ — ბგერათფარდობა ქართ. **ჭ** : ზან., სვან. **წ** კანონიერი ბგერათშესატყვისობის — ქართ. **ჭ** : ზან., სვან. **ჭკ** კომბინატორული ვარიანტია. ცალკეულ შემთხვევებში ეს კანონიერი შესატყვისობები განსხვავებასაც გვიჩვენებს, რასაც ახსნა ეძებნება: კერძოდ, ქართულის შიშინა სიბილანტს, ზანურ-სვანურში ხან შიშინა კომპლექსი შეესატყვისება, ხან — სისინა. ასეა ქართ. **ჭ** შიშინა სიბილანტის ზანურ-სვანურ შესატყვისთა შემთხვე-

ვაშიც: ქართ. **ჭ** > ზან., სვან. **ჭკ** (ქართ. ჭურ-ი „იარაღი; ჭურჭელი; მოკაზმულობა“ : მეგრ. ჭკუჯ-ი / ჭკუდ-ი „ჭურჭელი; გემი“, ქართ. ჭვივ-ის (გამო-ს-ჭვივ-ის) : სვან. ლი-ჭვიუ-ე (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 687, 685) და ასევე, ქართ. **ჭ** > ზან., სვან. **წკ**. ქართული შიშინა **ჭ** აფრიკატებთან სისინა კომპლექსის შენაცვლება ზანურ-სვანურში კომბინატორულად იხსნება, კერძოდ, რჭ და ჭვ/ჭ მიმდევრობებში კომპლექსი (ჭკ) გასისინებას განიცდის და **ჭკ > წკ** (გამყრელიძე 1959: 76...); შდრ., ქართ. ლულ-**არჭ**-ნ-ა „გრეხა“ : მეგრ. ლულ-**ორწკ**-უ-ა „მოხრა“, ქართ. **მუჭ**-ი : მეგრ. **მუწკ**-ა, ქართ. **ჩაჭუ**-ი, **ჩაჭვ**-ი (ახ. ქართ.) : [მეგრ. ლაზ.] **ძეწკვ**-ი... (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 86; 938; 725). 3. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, სვანურიდან შიშინა **ჭკ** კომპლექსის გასისინების მხოლოდ ერთი მაგალითია დამოწმებული წინამავალი **რ** სონორის ზეგავლენით : ქართ. **ღრჭენ**-ა : მეგრ. **ღირწკინ**-ი / **ღვრწკ**-ინ-ი, ლაზ. **ღრიწკ**-ინ-ი / **ღრიწკ**-ილ-ი „ღრჭენა (კბილებისა)“ : სვან. **ღლწკ**-გნ „ღრჭიალი (კბილებისა)“, სვან. ღლწკ-გნ < \*ღვრწკ-გნ < \*ღვრჭკ-გნ... (სხვათა შორის, ღვრწკ-გნ ფორმა სვანურის არც ერთ ლექსიკონში არაა დამოწმებული). სვანურში ჭკ კომპლექსის გასისინების სხვა მაგალითიც სახელდება (იხ. ჩუხუა 2000-2003: 359-360). ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის სვანური წ ი რ ღ უ-ს მეგრულიდან ნასესხობაც.

მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ზოგ ფუძეში ქართული ჭ-ს შესატყვისი ჭკ კომპლექსი არ ჩანს, გვაქვს მხოლოდ ჭ, ეს ფაქტი იხსნება ფუძეში (რესპ. ძირში) არსებული ველარული თანხმოვნის დისიმილაციური ზეგავლენით (გ. მაჭავარიანი, ამის შესახებ იხ. გამყრელიძე 1959: 21), შდრ., ქართ. მჭახე : ლაზ. მჭოხა „მუავე“, ქართ. ღვჭ-ვა : მეგრ. ღაჭ-უ-ა, ქართ. კრეჭა / და-კრიჭ-ა : მეგრ. კირაჭ-უ-ა, ლაზ. ო-კროჭ-უ „კრეჭა“... (ფენრიხი 1984: 177-179).

ეს ფონეტიკური პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია როგორც ველარულ თანხმოვანთა დისიმილაციური განუვითარებლობა (იხ. ფენრიხი 1984: 177-179). გ. მაჭავარიანი პროცესის რაობის შეფასებაში უფრო ფრთხილი იყო, როცა ამგვარი შემთხვევების კვალიფიკაციისას აცხადებდა, ველარული თანხმოვანი დისიმილაციური მიზეზებით დაიკარგა, ან სულაც არ განვითარებულაო (იხ. გამყრელიძე 1959: 21), შდრ., ქართ. ღვჭ-ვა : მეგრ. ღაჭ-უ-ა II ღანჭკუა (ჭარაია 1997: 144); მეგრ. ღვენჯიე II ღვენჯიე „ძლიერ კოჭლი“, ღვიჭალ-ი II ღვინჭკალ-ი „ნაოჭებიანი“... (ჭაჯაია II: 2002).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფუძეში **ღ** ველარული თანხმოვნის არსებობის მიუხედავად ქართ. ღრჭენ-ა ფუძის შესატყვის მეგრულ-ლაზურ და სვანურ ფუძეებში ქართ. **ჭ** თანხმოვნის შესაბამის გასისინებულ **წკ** კომპლექსში უკანაენისმიერი თანხმოვანი არ დაკარგულა: ქართ. ღრჭენ-ა : მეგრ. ღირწკინ-ი, ლაზ. ღრიწკ-ილ-ი : სვან. ღლწკ-გნ „ღრაჭუნი, კრეჭა (კბილებისა)“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 521)...

ნიშანდობლივია ლაზურში ათინურის ჩვენება, სადაც ჰარმონიული კომპლექსი მარტივდება უკანაენისმიერის დაკარგვის შედეგად (მაგ. წკ > წ); შდრ., ქართ. მსჭუალ-ი : ლაზ. მწკილ-/ მწკულ / მწულ- (ათინ.) „სოლი“, მწულ-ლუ-მწულუ „წვეტიანი, წვეტ-წვეტა“ (კარტოზია 1990: 40); ათინ. მაწინდ-ი < მაწკინდ-ი „ბეჭედი“, ათინ. ოწიმუ < ოწკიმუ „მოხსნა, დაშლა, ამოძირკვა“,

ათინ. გონწაფუ < გონწკაფუ „გახსნა“ და ა.შ. (ქუთელია 2005: 217-218...).

ვფიქრობთ, რომ ამ პროცესების (შიშინა კომპლექსების გასისინება: **ჰკ** > **წკ** და **წკ** კომპლექსის ველარული ხშულის დაკარგვა ფუძისეული ველარული სპირანტის დისიმილაციური ზეგავლენით) ურთიერთმოქმედება უნდა დასდებოდეს საფუძვლად ქართ. ჰიდ-ი : მეგრ. ლაზ. წირღ-ი / წირღ-უ : სვან. წირღუ კომბინატორული რიგის შესატყვისობის რეალიზაციას. ბქ. ჯულუ / ჯურღუ „ბარძაყის ან წინა მხრის ძვალი“ ქართული ნასესხობა უნდა იყოს ფონეტიკურად სახეცვლილი (დისიმილაციური გამჟღერება).

პროცესის თანმიმდევრობა ასე გვესახება:

საერთოქართვ. \*ჰტილ- > ქართ. ჰილუ-ი (მეტათეზისი) : მეგრ. ლაზ. \*ჰტილ- > \*წტილ- (შიშინა კომპლექსის პოზიციური გასისინება უ-ს წინ) > \*წტილ- (კომპლექსის უკანაენისმიერი ხშულის დისიმილაციური დაკარგვა ლ-ს ზეგავლენით) > \*წილუ- (მეტათეზისი) > წირღ-ი (რ-ს გაჩენა).

რამდენიმე განმარტება ფუძეების დონეზე \*ჰტილ- ფუძის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით: საერთოქართველური \*ჰტილ- ფუძის აღდგენა ანლაუტში ჰუ მიმდევრობით გარკვეული წინაპირობაა ზანურ-სვანურში (ჰკ) კომპლექსის გასისინებისათვის (\*ჰკ > წკ). ამგვარი დაშვებები ამოსავალ ფუძეთა რეკონსტრუქციების პროცესში შესადარებელ ერთეულთა მოცემულობების შეჯერებით ღირებულება, თუ შესადარებელი ფუძეები ფონეტიკურად გამოყვანადნი ხდებიან, შდრ., \*მუჰუ- > ქართ. მუჰ-ი : მეგრ. მუჰკა, \*შტიბ- > ქართ. შიბ-ი მეგრ. ლაზ. სქიბ-/ მსქიბ-, \*შტინ- > ქართ. შინ-, მე-შინ-ის : მეგრ. რსქინ-ი / სქინ-ი „მუღარა“... (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000). რეკონსტრუირებულ პრაფორმებში სიბილანტების მომდევნოდ უ-ს აღდგენა სათანადო მეგრულ-ლაზურ შესატყვისობებში სავარაუდო შიშინა კომპლექსის ნაცვლად სისინა კომპლექსების არსებობამ განაპირობა.

საერთოქართველურში \*ჰტილ- ფორმის აღდგენა ფონეტიკურად მოტივირებულია და მას ანალოგიები ეძებნება: შდრ., ძვ. ქართ. კიცუ-ი (ახ. ქართ. კვიცი-ი) და სვან. კვიცი-რა „დედელი ჯიხვი“ ფორმათა შეპირისპირებით საერთოქართველურში აღადგენენ \*კტიცი- ფორმას, ძვ. ქართ. კიცუი მეტათეზისის შედეგია (ფენრიხი, სარჯველაძე 2000); გ. კლიმოვმა ძვ. ქართ. ჩხიკუ-ი, ახ. ქართ. ჩხიკვი-ი, დიალექტ. ქიზ. ჩხინკვი-ი : მეგრ. ჩხვიკ-ი, ლაზ. ჩხვიკ-ი ფუძეთა შეპირისპირების შედეგად ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა \*ჩხტიკ- არქეტიპი და სალიტერატურო ქართულის ჩხიკუ- მეტათეზისით მიღებულად მიიჩნია (კლიმოვი 1964: 222), თუმცა შემდეგ ეს თვალსაზრისი შეცვალა (იხ. კლიმოვი 1998: 261). ა. ჩიქობავას აზრით, ზან. ჩხვიკ-ი < ჩხიკვი (ჩიქობავა 1998: 106) და სხვ. შდრ., აგრეთვე სვანურის დიალექტური ვარიანტები: ცტიცი ბქ. და ციცტი ზს; ლნტი; ლშხ. „კატა“, შდ იხტი ბქ. და შდიხტი ბზ. „ჭიპი“... (სვან. ლ. 2000).

ასე რომ, ქართ. ჰიდ-ი : მეგრ., ლაზ. წირღ-ი / წირღუ : სვან. წირღუ ქართველურ შესატყვისობათა რიგში განიხილება. შესაბამისად, ბგერათფარდობა ქართ. **ჰ** : ზან. **წ** : სვან. **წ** კანონზომიერი შესატყვისობის — ქართ. **ჰ** : ზან. **ჰკ** : სვან. **ჰკ** — კომბინატორულ ცვლილებათა შედეგად მიღებული რეალობაა.

### ლიტერატურა

**ბერიძე 1912** — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი.

**ბერიძე 1981** — გრ. ბერიძე, ჯავახურის სალექსიკონო მასალა, თბილისი.

**ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981** — თ. ბეროზაშვილი, მ. მე-სხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი.

**გამყრელიძე 1959** — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

**ვანდრიესი 1937** — Ж. Вандриес, Язык, Москва.

**კარტოზია 1990** — გ. კარტოზია, ქართ. ჭ : ზან. წკვ ბგერათშესატყვი-ლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**კლიმოვი 1964** — Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

**კლიმოვი 1998** — G. A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin - New York.

**კობახიძე 1987** — ა. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი.

**ლიბარტელიანი 1994** — ა. ლიბარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლური კილო), თბილისი.

**მარი 1910** — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка..., С.-Петербург.

**მენტეშაშვილი 1943** — სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.

**ნიჟარაძე 1971** — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა, ბათუმი.

**საბა I 1991; II 1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991, ტ. II, 1993, თბილისი.

**სვან. ლ. 2002** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ფენრიხი 1984** — ჰ. ფენრიხი, ველარულ თანხმოვანთა დისიმილაციური განუვითარებლობა მეგრულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 116, 1, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქავთარაძე 1985** — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

**ქაჯაია II, III 2002** — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, III, თბილისი.

**ქეგლ 1950-1964** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქეგლ ახ.** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, I, რედ. ა. არაბული, თბილისი.

**ქობალია** — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი (ხელნაწერი).

**ქუთელია 2005** — ნ. ქუთელია, ლაზურის ფონეტიკური სტრუქტურა, თბილისი.

**ღლონტი 1984** — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

**შანიძე I 1984** — ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** — ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ცოცანიძე 2002** — გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

**ძოწენიძე 1974** — ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული ლექსიკონი, თბილისი.

**ჭარაია 1997** — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 2, თბილისი.

**ჭინჭარაული 2005** — ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

**ხორნაული 2000** — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი.

**ხუბუტია 1969** — პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბილისი.

## MURMAN SUKHISHVILI

### On One Kartvelian Correspondence

#### S u m m a r y

Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary explains the word **ჭიუ-ი** as a limb of a bird, particularly *front part of a bird's wing*. In the contemporary Georgian official language and its dialects the stem **ჭიუ-** also denotes a bony part (joint) of human/animal extremities (upper or lower, back or front) attaching them to a body. Moreover, in the Lechkhumian dialect **ჭიუ w-ი** has the meaning of the piece of stem of a plant, i.e. *axillary bud of a vine*.

These are the semantic correlates of Georgian **ჭიუ-**: **ჭიუ-ი** in Megrelian, **ჭიუ** in Laz, and **ჭიუ** in Svan. Irregular correlation of sounds in the Kartvelian

languages: Georgian **ჭ** : Zan **ც** : Svan **ც** is considered to be the result of the combinational changes of regular correspondence - Georgian **ჭ** : Zan **ჭკ** : Svan **ჭკ**.

The possible sequence of this phonetic process is as follows: Proto-Kartvelian **\*ჭვიγ** > Georgian **ჭიγw-i** (metathesis): Zan, Svan **\*ჭკვიγ-** > **\*კვიγ-** (positional change: the complex of hushing sounds turns into sibilant before the stem consonant **v**, (Th. Gamkrelidze) > **\*ჭვიγ-** (the dissimilatory loss of back occlusive of the complex under the influence of the consonant **γ** G. Machavariani) > **\*ჭიγv-** (metathesis) > **ჭიγw-i** (appearance of the sonant **r**). It can be suggested that the Svan **ჭიγv** is borrowed from Megrelian.

თალო უთუზგაიპი

დელიმიტაციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის  
ქართულ ენაში

ცნობილია ზოგიერთი ენობრივი ელემენტის დელიმიტაციური ფუნქცია. ენები ამ მხრივ განსხვავებულია სპეციფიკური დიერემებით, რომლებითაც ახდენენ დელიმიტაციას.

განვიხილავთ დელიმიტაციური სისტემის ცვლილებას სამწერლობო ქართულის ხილულ პერიოდში — ხანმეტი პერიოდიდან (V ს.) დღემდე.

ძველი ქართულის ენობრივ სისტემაში გამოკვეთილ დიერემებს წარმოადგენენ /ჰ/ და /ი/ ფონემის [ჲ] ალოფონი: (1) ხორხისმიერი /ჰ/ ერთი მორფემის ფარგლებში კომბინაციაში არ შედის არც ერთ თანხმოვანთან. ის, როგორც პირის ნიშანი (S<sub>2</sub>, O<sub>3</sub>) ან ფუნიკციური შემართვის ელემენტი, ყველგან მიჯნის მათუწყებელია როგორც ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვებში: შე-ჰ-ჰამენ, გან-ჰ-ამორებენ, შე-ჰ-ძრწუნდები, და-ჰ-ჯერდების... ჰ-უმჯობეს, ჰ-უტკბოდს... ჰამბავი, ჰური; ჰასრე; ჰე და სხვ. (2) [ჲ] ყველგან მიგვანიშნებს სინქრონიულ ან ისტორიულ საზღვარზე სიტყვათა და მორფემათა შორის, მაგ.: „დაუტევის კაცმან მამაჲ და დედაჲ თჳსი“ (მ. 19, 53); „ესეცა მათთანაჲვე იყო“ (ლ. 22. 59), წინაჲსწარ და სხვ. ამავე საფუძველზე დიფთონგი ჳ-ც (ეჲ) შეიძლება მივიჩნიოთ დელიმიტაციურ ელემენტად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული ენისთვის ხელოვნურად შექმნილ ფორმებს, როგორცაა: იერუსალჳმ, აღმოცჳნებაჲ და სხვ., რომლებიც, სავარაუდებელია, მხოლოდ სამწერლობო ენის კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

ზოგადი თვალსაზრისით დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ საზღვრო ელემენტები სერიოზულ ცვლილებას განიცდიან. მათ შეიძლება დაკარგონ ეს ფუნქცია და, მეორე მხრით, შეიძლება მოხდეს პირიქით: არადელიმიტატორმა ელემენტმა შეიძინოს დიერემის ფუნქცია.

ძველი ქართულის ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: კავშირები, ჳმნისართები, თანდებულები, ნაწილაკები და შორისდებულები შეიძლება მივიჩნიოთ დელიმიტაციურ ელემენტებად. არსებითად სწორედ განმეორებადი ფორმაუცვლელი ერთეულები განაპირობებდნენ გაბმულ ხელნაწერ ტექსტებში მიჯრით ნაწერი სიტყვების გარჩევას ძველ ქართულში. ისინი, გარდა იმისა, რომ ფორმაუცვლელი არიან, უფრო ხშირადაც იხმარებიან, ვიდრე ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილთა (სახელთა და ჳმნათა) შემადგენელი ერთეულები (სიტყვები), ეს განსაკუთრებით იტქმის ნაწილაკებზე.

ძველ ქართულში ნაწილაკები ფორმაცვალებადი სიტყვების ნებისმიერ ფორმას დაერთვიან ერთი და იმავე სახით, კერძოდ: (1) რომელიმე სახელი

ფორმას იცვლის ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით როგორც უთანდებულოდ, ისე თანდებულოდ / თანდებულებით. ყველა ამ ფორმასთან ნაწილაკი ერთი და იმავე სახითაა წარმოდგენილი: კაცი-**ცა**, კაცმან-**ცა**, კაცსა-**ცა**... კაცები-**ცა**, კაცნი-**ცა**, კაცთა-**ცა**... კაცთაგან-**ცა**, კაცთათჳს-**ცა**... (2) იგივე ნაწილაკები ზმნათა უღლების განსხვავებულ ფორმებსაც ასევე უცვლელად ერთვინ: უკვრდა-**ცა** (მ. 15, 31), დაუკვრდა-**ცა** (მ. 27. 24) განუკვრდებოდა-**ცა** (მ. 13.54) და სხვ. ეს **-ცა** (resp. სხვა ნაწილაკებიც: -ვე, -ლა...) შეიძლება დავადასტუროთ ერთი სახელის ათეულობით და ასევე ერთი ზმნის ასეულობით ფორმასთან. ნაწილაკი სხვა ნაწილაკების გვერდითაც კი დასტურდება: მამა-**ცა-მცა** (ი. 8.19), **ნუ-ცა-ლა** (სამოციქულო\* 12, 57CII) და სხვ. სწორედ ხმარების სიხშირე და უცვლელი ფორმა განაპირობებდა ნაწილაკთა დელიმიტაციურ ფუნქციას ძველ ქართულში.

აღნიშნულთა გვერდით უნდა გამოვყოთ **არა** და **ვერ** უარყოფითი ნაწილაკები, **სადა** და **არასადა** ზმნისართები — ესენიც ფორმაუცვლელად იხმარებიან ძველ ქართულში.

აღწერილი დელიმიტაციური სისტემა მყარია ძველ ქართულში, გამონაკლისს ქმნიან თხზული **არცა** და **არლა** ნაწილაკები მოსალოდნელი **\*არაცა** და **\*არლა** ნაწილაკების ადგილზე; შდრ. **არავე**, **არამე**, **არამეა** ნაწილაკები და **არავინ**, **არარა** ნაცვალსახელები, სადაც **არა** სარული სახით არის წარმოდგენილი.

**არცა** და **არლა** გამონაკლისები უდავოდ მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია. ამ ტიპის ცვლილებებზე ქვემოთ დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

დიაქრონიული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს წარმოშობით განსაზღვრებითი **-ა** სუფიქსი სახელთა ბოლოს მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. ძველ ქართულში ეს /ა/ აღნიშნულ ბრუნვათა ნიშნებს აბოლოებს, როგორც მათი ორგანული ნაწილი. განსაზღვრებითობის ფუნქცია დაკარგული აქვს და ბრუნვის ნიშნების ნაწილად არის ქცეული. **მას ამ მდგომარეობაში უვითარდება დელიმიტატორის ფუნქცია**: ან სიტყვებს გამოყოფს ერთიმეორისგან (კაც-**სა** ჰრქუეს) ან ბრუნვის ნიშანთა საზღვრებს (კაცისა-**თჳს**, კაცისა-**გან**, კაცსა-**თანა**...) უცვალეხელ ელემენტთა (თანდებულებისა და ნაწილაკების) წინ.

მაშასადამე, „ემფატიკური ა“ ბრუნვის ნიშანთა ბოლოს ჯერ თანდებულთა და ნაწილაკთა წინ ხდება სასაზღვრო ელემენტი — მიანიშნებს მორფემათა დაბოლოებაზე, რადგან დელიმიტატორი ელემენტები (ნაწილაკი ან თანდებული) მოსდევდნენ, რომლებიც ბრუნვის ნიშანთა გარეშეც ატარებდნენ დელიმიტატორის ფუნქციას (ჩუენ-**თჳს**, შენ-**ზედა**, თქუნ-**გან** და სხვ.).

ბრუნვის ნიშანთა გავრცობის **ა**-ს სასაზღვრო ფუნქციას უფრო მყარს ხდიდა ისიც, რომ მის გარეშე მორფემათა მიჯნაზე შეიქმნებოდა დამარცვლისათვის მიუღებელი კომპლექსები, როგორცაა, მაგალითად: -ნსც, -ლსც-, -ნსლ-, -ლსლ- კომპლექსები შემდეგ ფორმებში: \*რაოდენსცა, \*რო-

\* ქართული სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონი (შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა, თეიმურაზ მეტრეველმა), თბ., 2009.

მელსცა, \*რაოდენსდა, რომელსდა... ნაწილაკიანი ნაცვალსახელური ფორმები. მათ ადგილზე ვხვდებით გავრცობილ რაოდენსა<sup>ა</sup>ცა, რომელსა<sup>ა</sup>ცა, რაოდენსა<sup>ა</sup>და რომელსა<sup>ა</sup>და... ფორმებს. გავრცობის ა-ს გარეშე ენისთვის მიუღებელი იყო ან წინა მარცვლის იმპლოზია (რა-ო-დენს-ცა, რომელს-ცა; რა-ო-დენს-და, რომელს-და), ან მომდევნო მარცვლის ექსპლოზია (რა-ო-დენს-ცა, რომელს-ცა; რა-ო-დენს-და, რომელს-და). /ა/-ს როლი ამ წინააღმდეგობის დაძლევაში არსებითია — /ა/ შლის ენისთვის მიუღებელ კომპლექსებს: რა-ო-დენსა-ცა, რომელსა-ცა; რა-ო-დენსა-და, რომელსა-და. ამ ტიპის დანაწევრება მარცვლებად ბუნებრივია ქართული ენისთვის, ამავე დროს ხდება -ა დაბოლოების სასაზღვრო ფუნქციის გაძლიერება. მაგრამ უთუოდ ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი განაწილებით საზღვრებზე წარმოიქმნება ჭარბი დელიმიტაციური ნიშნები: ერთი მხრით, ნაწილაკები (ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში -ცა და -და), მეორე მხრით, /ა/ ბრუნვის ნიშანთა ბოლოს (რომელსა-ცა, რომელსა-და...). ანალოგიური ვითარება შეიძლება შეიქმნეს სხვა ნაწილაკებთანაც. უთუოდ ამითაა გამოწვეული, რომ ნაწილაკები ხმოვანს ყველა პოზიციაში ინარჩუნებენ, მაგრამ სიჭარბით ახალ უხერხულება-საც ქმნიან.

განხილულ ნაწილაკთა გვერდით არა ნაწილაკიც უცვლელია დამოუკიდებლად ხმარებისას ძველ ქართულში: „არა შეეახლნეს მას“ (ჰამეტი ტექსტები\*, გვ. 374, შემდგომ ჰტ.); „არა ჰუტეგებდა სიტყუად (ჰტ. 382); „არა დაჰთესი“ (ჰტ. 385); „არა ჰაქუნდეს“ (ჰტ. 385) და სხვ.

შევარჩიეთ ისეთი მაგალითებიც, სადაც არა ნაწილაკი წინ უძღვის ზმნის-წინიან და კონექციური კატეგორიების მქონე ფორმებსაც (შეეახლნეს, ჰუტეგებდა), რაც დღეს დაუშვებელია.

ძველი ქართულის თხზულ ფორმებში არა ნაწილაკი ძირითადად ინარჩუნებს სრულ სახეს: არა-ვე, არა-მე, არა-ნუ, არა-ვინ, არა-მე-ა... მაგრამ **მოულოდნელად** დასტურდება მხოლოდ არ- სახით უარყოფით არცა და არღა ნაწილაკებში. ძველი ქართულის ტექსტებში ვერსად შევხვდებით \*არა-ცა, \*არღა სავარაუდებელ ფორმებს (შდრ. არავე, არამე...), უარყოფითი ნაცვალსახელი არავინ მხოლოდ ამ სახით გვხვდება, ასევე უარყოფითი ზმნისართი არასადა ერთადერთი ფორმაა ამ პერიოდში.

უცვლელი არა, არავე, არამე... ფორმების გვერდით ძველსავე ქართულში ახსნას ითხოვს არცა და არღა სავარაუდებელი \*არაცა და \*არღა ფორმების ნაცვლად. ეს მოთხოვნა არსებითია იმდენად, რამდენადაც არცა და არღა გამონაკლისს წარმოადგენენ არა მხოლოდ არა ნაწილაკიან თხზულ ფორმათა შორის, არამედ საერთოდ თხზულ ნაწილაკიან ფორმებს შორისაც.

ეს მოთხოვნა არსებითია კიდევ იმ მხრივაც, რომ უარყოფითი არ-ნაწილაკიანი ფორმები (არცა და არღა) **შემდგომ სათავეს უდებენ** საშუალო ქართულის თხზულ ნაწილაკიან ფორმებში განხორციელებულ ცვლილებებს, რასაც ახალ ქართულში

\* ა. შანიძე, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის, ტუმ, 1923.

მოჰყვა ნაწილაკთა და ზმნიზედათა ფორმებს შორის ასეთი ურთიერთობების მკაცრ დისტრიბუციულ ჩარჩოში მოქცევა და ამ მოდელით დელიმიტაციური ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც, გარდა ნაწილაკებისა და ზმნათა განსხვავებული ფორმების ურთიერთობების წესებისა, მოიცავს სახელთა და ზმნათა განსაზღვრულ ფორმათა ურთიერთობის წესებსაც.

ცვლილება — ფუძიდან ხმოვნის ამოღება მარედუცირებული აფიქსის გარეშე (\*არაცა > არცა და \*არალა > არლა) უკავშირდება ქართული ენის (resp. ქართველური ენების) გენეტიკურად მახასიათებელ ფუძეთა **ერთ-**ან **ორმარცვლიანობას**, ე. ი. სამ- და მეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა ჩავარდნა მარედუცირებელი აფიქსის გარეშე მიეწერება ორმარცვლიანობისკენ სწრაფვას (ძვ. ქართ. ლანკანა > ლანკნა, სარაკინოს > სარაკინოს... მეგრ. კარდალა > კარდლა, წიწილა > წიწლა... სვან. ანგელოზ > ანგლოზ, კალაპოტ > კალპეტ...) [8. 84].

საშუალო ქართულში იწყება **არა** ნაწილაკის როგორც დამოუკიდებლად, ისე თხზულ ფორმებში ცვლილება ბოლო ა-ს დაკარგვით. რედუცირებული და ურედუქციო ფორმები პარალელურად იხმარებიან.

„ამირანდარეჯანიანი“ (ქართული პროზა, წიგნი II, 1982)

**არა** ეგების (გვ. 10); შდრ. **არ** ეგების (გვ. 7). **არა** არის (გვ. 12), **არა** არს (გვ. 27); შდრ. **არ** არსო (გვ. 100). არს, არის ფორმებთან **არ** მხოლოდ ერთხელ დადასტურდა, **არა** კი — მრავალჯერ. **არა** იყო (29 გვ.); შდრ. **არ** იყვნით (გვ. 13). „ამირანდარეჯანიანი“ უფრო ხშირია ძველი ქართულის /არა იყო/ წყვილი. ზმნათა სხვა ფორმებთანაც — ზმნისწინიანებთან, უზმნისწინოებთან, სხვადასხვა გვარისა და ქცევის, კაუზაციის განსხვავებული სახეობების ფორმებთან გაცილებით ხშირია **არა**, ვიდრე **არ** ვარიანტი. შეფარდება არის დაახლოებით 15:1.

„ვისრამიანი“ (ქართული პროზა, წიგნი II, 1982)

„ვისრამიანის“ ტექსტში, პირიქით, **არ** სჭარბობს **არა** ვარიანტს, შეფარდება დაახლოებით 15:10 **არ** ვარიანტის სასარგებლოდ. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში\* **არ** ვარიანტს 8 სვეტი უკავია **არა** ვარიანტს კი — მხოლოდ 2 სვეტი.

-ცა ნაწილაკიანი უარყოფითი ფორმა **არცა** ერთადერთია ძველ ქართულში, როგორც **არლა**. თითქმის ანალოგიურია ვითარება საშუალო ქართულის ძველებში. გამონაკლისის სახით მხოლოდ ერთხელ დავადასტურეთ **არც** „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ ას-ას გვერდზე („**არც** დღისით და არცა ღამით“ ვისრ., 237გვ.).

სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისაში“ და თეიმურაზ II „თიმსარიანში“\*\* **არა** და **არ** თანაბრად იხმარება ერთიმეორის გვერდით. გარდა სიხშირის ასეთი მახასიათებლებისა, არსებითია ისიც, რომ **ეს ვარიან-**

\* შედგენილია აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, 1956.

\*\* წიგნი სიბრძნე სიცრუისა, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისთვის, 1990; თიმსარიანი, თეიმურაზ II თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939.

**ტები თავისუფლად მონაცვლეობენ:** არა//არ ზმნათა ფორმებთან არიან დაკავშირებული, ისინი არ არჩევენ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს, კონექტურ კატეგორიათა ნიშნების მქონე და არმქონე ფორმებს. ამ ზმნური ფორმების წინ საშუალო ქართულში ეს ვარიანტები თავისუფლად მონაცვლეობენ [იხ. კიდე 1,9].

საშუალო ქართულში ყურადღებას იქცევენ ძველი ქართულის უარყოფითი ვერ ნაწილაკისა და უარყოფითი არასადა ზმნისართის ფორმაშეცვლილი სახეობები. ძველ ვერ ნაწილაკს გაუჩნდა ვერა ვარიანტი, ხოლო არასადა ზმნისართს — არსადა და არსად ვარიანტები. რამდენიმე მაგალითი: „ვერა ნახავო“ (ვისრ. 304); შდრ. „ვერ გავსწირავ“ (იქვე, 205) „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ ძველი ვარიანტი სჭარბობს ახალს, „ვეფხის ტყაოსანში“ კი თანაბრად იხმარებიან ვარიანტები.

„ვერა შევილიან“ (ამირ. 34), „ვერა ჰნახავო“ (ამირ. 270), „ვერ მიეწევის“ (სიბრძ., 269); შდრ. „ესე თუცა ვერა ყოს“ (სიბრძ. 288).

რაც შეეხება არასადა, არსადა და არსად ვარიანტებს, მათაც საშუალო ქართულის ადრეულ ძეგლებშივე ვხვდებით: „არსად არ იხარებს (ვისრ. 304); „ვეფხის ტყაოსანში“ სამივე ვარიანტი დასტურდება: „შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა“ (275, 4); შდრ. „არსადა არ იბოვებს“ (259, 1) და „თავი სხვაგან არსად არო“ (262, 1) და სხვ.

მორფონემატური ცვლილების საფუძველზე ადვილი ასახსნელია არასადა > არსადა ცვლილება: /ა/ ამოვარდა ორმარცვლიანობისკენ მისწრაფებით, მაგრამ ამ ცვლილების შემდეგ ფორმაში ერთი მარცვლი მაინც ზედმეტი დარჩა. ამოქმედდა მეორე გენეტიკური მოთხოვნა ქართული ენისა — სიტყვა დაბოლოებულიყო თანხმოვნით, ანუ დახურული მარცვლით: არსადა > არსად. ეს ცვლილება დამარცვლის წესებითაც გამართლებულია, რადგან არსადა > არსად ცვლილება გამორიცხული იყო: (1) არს-და გამორიცხული იყო წინა მარცვლის არაბუნებრივი იმპლოზიის გამო, ხოლო არს-და — მეორე მარცვლის არაბუნებრივი ექსპლოზიის გამო, არსადა > არსად ცვლილება კი აკმაყოფილებდა სიტყვის ბოლოს დახურული მარცვლის შექმნის ტენდენციას (არსად).

რაც შეეხება უარყოფით ვერა ნაწილაკს საშუალო ქართულში, სადაც მომხდარი ცვლილების მიხედვით დარღვეულია სწრაფვა დახურული მარცვლისკენ სიტყვის ბოლოს, პირიქით, დახურული მარცვლი ხდება ღია /ა/-ს დამატებით (ვერ/ვერა), ამ ცვლილებას გარკვეული წანამძღვარი აქვს: ძველ ქართულში რა ნაცვალსახელის დართვით კეთდებოდა უარყოფითი ნაცვალსახელები: ვერრა და არარა. ამოსავალი ვერრა ფორმის გვერდით ძველსავე ქართულში გაჩნდა ვერარა ვარიანტი. ვერრა ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ იმიტომ, რომ ამ პერიოდში არ არსებობდა უარყოფითი ვერა ვარიანტი. ვერამხოლოდ ამ რთულ თხზულ ფორმაში გვხვდება. ვერარა ვარიანტი არარა ნაცვალსახელის ანალოგიით შეიქმნა. ამაზე დამატებით კიდეც ის მიგვითითებს, რომ ვინ ნაცვალსახელთან თხზულ ფორმებში მხოლოდ ვერ- იხმარება (ვერვინ, ვერვის). ვერავინ ოთხთავისა და სამიციქულოს

სიმფონიებში არ არის დადასტურებული. „ქართული სამოციქულო სიმფონია-ლექსიკონში“ **ვერარა** ფორმის გვერდით მითითებულია ვერარა ვარიანტიც — ისინი სხვადასხვა ნუსხებშია ნახმარი, მაგალითად: „განკრძალულად ვერარა (ვერარა ძ) მაქუს, საქმე 25, 26 ძ 10; ვ. (ვერარა ძ) ირგებს. ებრ. 13, 9...“. **ვერა** ფორმიდან **არარა**-ს ანალოგიით **ვერარა**-ს წარმოქმნას ხელს უთუოდ ისაც უწყობდა, რომ **ვერა**-ში თანხმოვანი გამეორებულია (რრ), რაც არ არის ბუნებრივი ქართული ენისთვის. ამ არაბუნებრივ კომპლექსში ხმოვნის გაჩენა (ვერა/ვერა) ფონემატურად აწესრიგებდა ამ უარყოფითი ნაცვალსახელის ფორმას.

საშუალო ქართულში **ვერა** უარყოფითი ნაწილაკიც გამოჩნდა, ეს ბუნებრივი იყო იმის შემდეგ, რაც ენაში გაჩნდა ვერარა ნაცვალსახელი, რომელშიც **ვერა**- შეიგრძნობოდა როგორც ნაცვალსახელის უარყოფითი ნაწილი (**ვერა**-რა-დ). **ვერა** უარყოფითი ნაწილაკი საშუალო ქართულისაა, იგი ნელ-ნელა იკაფავდა გზას — თუ „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“ რამდენიმე ასეულ გვერდზე თითო-ორჯერ **ვერა** ნაწილაკს ვხვდებით, „ვეფხის ტყაოსანში“ უკვე ჩვეულებრივ იხმარება და თავისუფლად მონაცვლეობს **ვერ** ნაწილაკთან, მაგალითად: „მისი **ვერა** ვცნა ჭორადცა“ (186,4); შდრ. „ჩემი **ვერ** ცნია ამბავი“ (621,4) და სხვ.

ძველი და საშუალო ქართულის სამწერლობო ენის მონაცემთა შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ: ძველი ქართულის საკმაოდ მკაცრი დელიმიტაციური სისტემა (მხოლოდ ორი გამონაკლისით ნაწილაკიან ფორმებში: **არცა** და **არდა**) საშუალო ქართულში მორფონოლოგიურ ცვლილებათა საფუძველზე სერიოზულად შეირყა თავისუფლად მონაცვლე ვარიანტების შექმნით, როგორცაა: **ვერ/ვერა, არა/არ, -ცა/-ც, -ვე/-ვ**. ძველი ქართულის ფორმაუცვლელ ნაწილაკებსა და მათ ვარიანტებს საშუალო ქართულში დაწვრილებით შეეგხეთ სათანადო სტატისტიკაზე მითითებით. ანალოგიური ვითარებაა ზმნისარებთანაც: ძველი ქართულის უცვლელი ფორმის სადა, აქა, იქი საშუალო ქართულში წარმოდგენილი არიან ვარიანტებით: სადა/სად, აქა/აქ, იქი/იქ.

„აქა მოგვემის ამბავი“ („ვეფხის ტყაოსანი“ 637, 3); შდრ. „აქ მოდის ტურფა ყველაი“ (ვტ. 1065, 3) და სხვ. სადა და სად ვარიანტები „ვეფხის ტყაოსანში“ თითქმის თანაბრად იხმარება, მაშინ როცა ძველი ქართული მხოლოდ სადა ფორმას იყენებდა.

აუცილებელია იმის გამეორებაც, რომ საშუალო ქართულში ეს ახლად წარმოქმნილი ვარიანტები **თავისუფლად მონაცვლეობენ** ძველ ფორმებთან.

ახალ ქართულში თავისუფლად მონაცვლე ვარიანტების **ა** დაბოლოება (ვერა, არა, -ცა, სადა) მოიქცა დიერემად და მისი ანალოგიით ბრუნვის ნიშანთა გავრცობის **ა** (კაცსა, კაცისა, კაცითა, კაცადა, ძედა) დაბოლოებაც, გამოეყო რა ბრუნვათა ნიშნებს, დიერემად იქცა. შეიქმნა ახალი დელიმიტაციური სისტემა.

აღნიშნულ ბრუნვათა გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმებიც თავისუფლად მონაცვლეობენ საშუალო ქართულში ზმნათა ნებისმიერი ფორმის წინ. თანამედროვე ქართულში კი გავრცობილ და გაუვრცობელ ფორმათა ხმარების

მკაცრი დისტრიბუციული წესები მოქმედებს ზმნათა პრევერბიანი თუ უპრევერბო, კონექციურ კატეგორიათა მაწარმოებლების მქონე თუ არამქონე ფორმების წინ.

ქვემოთ საშუალო ქართულის ძეგლებიდან წარმოვადგენთ სახელთა გავრცობილი ფორმებისა და ზმნათა ისეთ წყვილებს, რომლებიც ახალ ქართულში არაბუნებრივია.

„ამა კაცსა საკვირველი ნადირი უნახავს“ (ამირან., 7); „სიკვდილსა ეკრძალებით“ (ამირან., 8); „სამეფოსა სახლსა მოვიდეს“ (ამირან., 9); „...დიდითა პატივითა და დიდებითა გაგვზავნო“ (ამირან., 15); „ყვივითა მოვიდა“ (ამირან., 19)...

„ქვეყანა სიმართლითა შეამკო“ (ვის., 253);

„შენისა მოსამართლეობითა ყოველნი იხარებენ“ (თიმსარიანი, 140, 34).

„შენითა შიშითა დამარხულან“ (თიმსარიანი, 140, 37).

„ავსა კაცსა ურჩევნია“ (ვეფხისტყაოსანი, 756, 4) და სხვ.

ანალოგიური თავისუფლებაა ზმნისართებისა და ზმნათა ურთიერთობაშიც: „კვირიაკესა დღესა დაჯდის“ (ამირან., 7); „ამას ადგილსა მოვედით“ (ამირან., 8); „ვისის საქმე მასვე დღესა გამოჩნდა“ (ვის., 253); „დილასა ქალაქს შევედით“ (467, 2) და სხვ.

სუბსტანტიური მსაზღვრელიც ნათესაობით ბრუნვაში, მსგავსად ძველი ქართულისა, გავრცობილი ფორმით იხმარება საზღვრულის წინ. „კაცისა თვალსა ეგეთი არა უნახავს“ (ამირან., 8); „კაცნი ვნახენ ქვითკირისა სახლსა შინა“ (ამირან., 9); „პურისა ჭამასა ჰლამობდეს“ (ვის., 253); „ტახტისა ფერხთა აკოცა“ (თიმსარიანი, 140, 25) და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი ფორმების ხმარება არ იზღუდება საშუალო ქართულში, ისინი ბუნებრივია და ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ამ პერიოდის ძეგლებში.

**დელიმიტაციური სისტემა ახალ ქართულში**

სახელთა ბოლოს -ა სუფიქსის დაშვება-აკრძალვის წესებმა XXს. 20-იანი წლებიდან მიიქცია ყურადღება. გ. დეეტერსმა ეს -ა დაუკავშირა ფრაზის რიტმს [2]. ამ სუფიქსს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XXს. მეორე ნახევარში [3; 4; 5; 6]. იმერულ დიალექტსა და საშუალო ქართულში ამ სუფიქსის დისტრიბუციას შეეხო მ. კუხალაშვილი [1].

აღნიშნულ ავტორთა შრომებში საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი „გავრცობის -ა სუფიქსის“ დისტრიბუცია თანამედროვე ქართულში, ჩვენ გავრცობის -ა მივიჩინეთ დიერემად [7, 111]. აქვე ლაპარაკია ამ -ა სუფიქსის მნიშვნელობებზე ქართული ენის დიაქრონიული ცვლილების სხვადასხვა ეტაპზე: **ძველ ქართულამდე** განსაზღვრებითი ელემენტია, **ძველ ქართულში** — ბრუნვის ნიშნის შემადგენელი განსაზღვრებითი ფუნქციის გარეშე, **ახალ ქართულში** — დიერემა, ანუ დელიმიტაციური ელემენტი მკაცრი დისტრიბუციული წესებით. აქვე ისიც აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში გავრცობის -ა უმახვილოა და არ იზღუდება მომდევნო სიტყვების აგებულე-

ბითა და ფუნქციით (ზმნისწინიან ფორმათა და კონექციურ კატეგორიათა მარმოებლების წინა და პოსტპოზიციური საზღვრულის წინ).

საშუალო ქართულის ძველთა მონაცემების მიხედვით (იხ. ზემოთ), როგორც მ. კუხალაშვილმაც აჩვენა [1], ჩანს, რომ ძველი ქართულის ნაწილაკებს გაუჩნდა გაუფრცობელი, უხმოვნო, ვარიანტები: -ცა/-ც, არა/არ, რომლებიც დისტრიბუციულად არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს.

ჩვენს ნაშრომში [7] მითითებულია, რომ ენა -ა დიერემას იყენებს წინადადებაში ლოგიკურად გამორჩეული სიტყვის დემარკაციისთვისაც („მზისა შუქი გვახალისებს“), რომ გავრცობის -ა-ზე, როგორც დიერემაზე, მსჯელობისას არსებითაა მომდევნო სიტყვის დასაწყისი: თუ აქტანტი სახელის მომდევნო სიტყვის დასაწყისი ზმნისწინია ან კონექტური რომელიმე კატეგორიის ნიშანი, მათ წინ -ა დიერემა სახელთა ბოლოს დაუშვებელია: არ შეიძლება „წერილსა დაწერს“, „წერილსა უწერს“. „წერილსა აწერინებს“ და სხვ., რადგან ზმნათა დასაწყისში ეს პრეფიქსებიც დიერემის როლს ასრულებენ მუდმივი ადგილისა და განსაზღვრული ფუნქციის გამო; შდრ. აქვს ფორმა, სადაც ა-ს დაკარგული აქვს გრამატიკული ფუნქცია და ფუძეშია გადარიცხული: „მასა აქვს“, „მეგობარსა აქვს“, „არავისა აქვს“. აქვს ფორმის წინ გავრცობის -ა არ იკარგება ისევე, როგორც ძირეული ხმოვნით დაწყებული ფორმების წინ (რასა ოხრავს || რას ოხრავს); შეიძლება „ვინა ოხრავს“, როცა არ შეიძლება „ვინა აოხრებს“, სადაც ა- პრეფიქსს გრამატიკული ფუნქცია აქვს. პირველადი კაუზაციის ნიშანია.

როცა ლაპარაკია -ა სუფიქსის უკვე ჩამოყალიბებულ დისტრიბუციაზე არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ახალ ქართულში -ა აღარ წარმოადგენს ბრუნვის ნიშანთა „აუცილებელ ელემენტს“, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, -ც(ა) ნაწილაკის წინ „მისი საჭიროება ეჭვს გარეშეა (ამხანაგსაც, ამხანაგისაც, ამხანაგითაც“ [3, 037]. მეორე მხრივ, „როცა ნათესაობითი ბრუნვა მსაზღვრელის როლში გამოდის და საზღვრულს მოსდევს, ეს -ა აუცილებელია: იგი **ამთავრებს** და **სწავს კონსტრუქციას**: წიგნი ამხანაგისა (და არა: წიგნი ამხანაგის!...)“ [3, 037].

წარმოდგენილ ორ განსხვავებულ შემთხვევაში გავრცობის -ა სუფიქსის ხმარება სხვადასხვა მიზეზებით არის შეპირობებული. პირველ შემთხვევაში ნაწილაკის გახმოვანებული ვარიანტი (-ცა) ნახმარია ფონემატური სისტემის ზემოქმედებით\*: უხმოვნო ვარიანტის (-ც) დართვის შემთხვევაში სიტყვის ბოლო მარცვლის იმპლოზიაში იქმნებოდა ქართულისთვის ფონემატურად მიუღებელი კომპლექსი (ამხანაგსც, ამხანაგისც, ამხანაგითც, ამხანაგადც) — კომპლექსთა შემადგენელი ფონემები წინაენისმიერთა ერთსა და იმავე კლასს განეკუთვნებიან. კომპლექსის დაძლევა მხოლოდ ხმოვნის ჩართვით იყო შესაძლებელი, რისთვისაც ახალმა ქართულმა გამოიყენა გავრცობისა -ა, ძველი და საშუალო ქართული კი იყენებდა ამ ნაწილაკის გახმოვანებულ -ცა ვარიანტს.

ახალ ქართულში გავრცობის -ა იძლევა ნორმალური დამარცვლის საშუა-

\* ძველ ქართულში -ცა გაუფრცობელ ფორმებსაც ერთვოდა (იხ. ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი (რომლისათვისცა, ამისთვისცა; „ვეფხის ტყაოსანში“: მასცა (566, 3), მზედცა (734.3) და სხვ.

ლებას (ამ-ხა-ნაგ-საც; შდრ. ძვ. ქართული: ამ-ხა-ნაგს-ცა. **-ნაგს** მარცვლის იმპლოზიური ნაწილი ფონემატურად მიუღებელია. სწორედ ამიტომ ახალი ქართული გადავიდა დამარცვლის ისეთ ვარიანტზე, სადაც ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი არ ხვდება ერთ მარცვალში ფუძისეულ თანხმოვანთან და ამავე დროს ნაწილაკის თანხმოვნისგანაც გამოყოფილია ხმოვნით (იხ. ზემოთ).

რაც შეეხება საზღვრული სახელის მომდევნოდ ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმას (წიგნი ამხანაგისა), აქ **-ა** სუფიქსის საშუალებით ხდება მსაზღვრელის ბლოკირება, პარადიგმის ფარგლებში მსაზღვრელი საზღვრულს უკავშირდება ნულოვანი ალომორფებით, რომელთა ფუნქცია განისაზღვრება საზღვრულის ბრუნვათა ნიშნების ფუნქციით: „წიგნმა კაცისა-**Ø**“ — აქ **-Ø** მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციას ატარებს, ხოლო „წიგნით კაცისა-**Ø**“ შესიტყვებაში მსაზღვრელის ნულოვანი ალომორფი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციითაა წარმოდგენილი.

ზოგ ბრუნვაში დღემდე ნორმად მიიჩნევა ფიზიკური ვარიანტები მსაზღვრელის ბოლოს: წიგნ-**მა** კაცისა-**მ**, წიგნ-**ს** კაცისა-**ს**... მომხდარი ცვლილება (წიგნ-მა კაცისა-მ > წიგნ-მა კაცისა-**Ø**) მორფოსინტაქსური ურთიერთობის ერთ-ერთი ვარიანტია გამოხატულების პლანში. მწერლობაში XIX საუკუნეიდანვე გამოჩნდა („ნუ დამიტროს სატრფომ გულისა“) და ჯერ კიდევ იბრძვის ნორმად დამკვიდრებისათვის. ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში მიმართების ახალი სახე ერთადერთია (წიგნის კაცისა, წიგნით კაცისა, წიგნად კაცისა), რადგან ფიზიკურად მარკირებული ვარიანტები თანამედროვე ქართულში არ არსებობს (შდრ. ძვ. ქართულის წიგნისა კაცისაჲსა, წიგნითა კაცისაჲთა, წიგნად კაცისად).

კონსტრუქციის დამხმარი ელემენტის ფუნქცია **-ა** სუფიქსმა იმიტომ მიიღო პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელის ბოლოს, რომ მან მოახდინა ამ მსაზღვრელის ბლოკირება (სინტაქსურად **მხოლოდ** მარცხნივ მდგომ საზღვრულს უკავშირდება), რაც მას არ შეეძლო ქართული ენის ძველსა და საშუაალ პერიოდებში. ამ პერიოდებში კონსტრუქციითა დახშვა ბრუნვათა მატერიალური ნიშნებით ხორციელდებოდა: „წიგნი ამხანაგისა-**ჲ** / მეზობელს მივეც“ ~ „წიგნი/ამხანაგისა-**სა** მეზობელს მივეც“. კონსტრუქციის ჩაკეტვის მიზნით მსაზღვრელი ორსავე შემთხვევაში იმეორებს საზღვრულის ნიშანს. ახალ ქართულში ასეთი მსაზღვრელი მხოლოდ მარცხნივ მდგომ საზღვრულს უკავშირდება სინტაქსურად და გრამატიკულად აღარაფერი აქვს საერთო მომდევნო სახელთან: „წიგნმა მასწავლებლისამ მოწაფე გაახარა“ წინადადების მსაზღვრელმა მოთხრობითი ბრუნვის მატერიალური ნიშნის (**-მ**: მასწავლებლისა-**მ**) გარეშეც ნულოვანი ალომორფით დაიწყო შეთანხმება მარცხნივ მდგომ საზღვრულთან: „წიგნ-**მა** მასწავლებლისა-**Ø**“, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ პრეპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი ახალ ქართულში მთელს პარადიგმაში **-ა** სუფიქსის გარეშე, მხოლოდ ნულოვანი ალომორფებით არის წარმოდგენილი (ამხანაგის-**Ø** წიგნ-მა, ამხანაგის-**Ø** წიგნს...). ეს პრეპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი უკვე ძველ ქართულში იყო ბლოკირებული (ამხანაგისა-**Ø** წიგნ-ი, ამხანაგისა-**Ø** წიგნმან, ამხანაგისა-**Ø**

წიგნ-სა...), რის გამოც საზღვრულს ნულოვანი ალომორფებით უკავშირდებოდა. ახალ ქართულში მხოლოდ გავრცობის -ა დაკარგა (ამხანაგის-Ø წიგნ-ი, ამხანაგის-Ø წიგნ-მა...).

-ა-ს დაკარგვით პრეპოზიციამ და -ა-ს შენარჩუნებით პოსტპოზიციამ სუბსტანტიური მსაზღვრელი გადავიდა ნულოვან დაბოლოებებზე ყველა ბრუნვაში და ამავე დროს მოახერხა კონსტრუქციის ჩაკეტვა პოსტპოზიციამ, რადგან საზღვრულთან ყოველთვის შეთანხმებულია ბრუნვაში: ძველ ქართულში რაც ბრუნვის მატერიალური ნიშნით იკეტებოდა („წიგნ-მან ამხანაგისა-მან / მოწაფე გაახარა“), ახალ ქართულში იმავე ფუნქციის ნულოვანმა ალომორფმა გააკეთა ეს („წიგნ-მა ამხანაგისა-Ø / მოწაფე გაახარა“).

### ლიტერატურა

**კუხალაშვილი 1994** — მ. კუხალაშვილი, ნაწილაკები ქართულ ენაში იმერული კილოს მონაცემთა მიხედვით, სადისერტაციო მაცნე.

**დეეტერსი 1926** — G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch, "Caucasica", Fasc. 3.

**ჩიქობავა 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი.

**ზურაბიშვილი 1972** — თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბილისი.

**ბეროზაშვილი 1965** — თ. ბეროზაშვილი, ნიკო ლომოურის ენის სინტაქსური თავისებურებანი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №6.

**გიგინეიშვილი 1975** — ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბილისი.

**უთურგაიძე 1985** — თ. უთურგაიძე, გავრცობის -ა-ს დისტრიბუციის შეცვლა სუბსტანტიურ მსაზღვრელთან და მისი სინტაქსური შედეგები ქართულ ენაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2.

**უთურგაიძე 1986** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი.

TEDO UTURGAIDZE

## Towards the Formation of Delimitative System in the Georgian Language

### S u m m a r y

The work attempts to represent the formation of a delimitative system from the Khanmeti period (5th c.) up-to-date.

In the beginning period (in Old Georgian \_ 5th-10th cc.) [j] allophone of /h/ and /i/ phonemes are border markers: /h/ is not in combination with other consonants within the limits of one morpheme. Before any phoneme it fulfills a grammatical function (S<sub>2</sub>, O<sub>3</sub>) or it is an aspirate elements in the Georgian interjections and borrowing words.

[j] occurs at the beginning of some case markers. Everywhere it points to synchronic and diachronic boundary among morphemes or words.

In Old Georgian unchangeable parts of speech, which were repeated in texts with the same form and meaning, played the role of border markers.

In middle Georgian (after the 10th c.) the variants of particles and adverbs occur: **ara / ar, ver / vera, -ca / -c; sada / sad, arasada / arsada / arsad, aka / ak...** Variants were created for a substantive determinandum, stem of which contains a formative suffix **-isa**, that was represented in Old Georgian in this form in preposition as well as postposition. In Middle and New Georgian this formant occurs as **/-is/** in preposition, in postposition **/-isa/** variant is remained: in Old Georgian it was **megobrisa-Ø saxli**, in New Georgian **megobris saxli** "A friend's house".

The ending **-a** of postpositive substantive determinandum was separated from a stem with a formative element and obtained a function of a border marker. Through this way blocking of a determinandum in both positions took place. These determinandums obtained a zero ending in all cases: on one hand: **ḳacis-Ø ḳign-i, ḳacis-Ø ḳign-ma, ḳacis-Ø ḳign-s...** and on the other hand: **ḳign-i ḳacisa-Ø, ḳign-ma ḳacisa-Ø, ḳign-s ḳacisa-Ø...**

In these paradigms the function of zero allomorphes of a determinandum's cases is defined through the function of relevant case markers of a determinatum.

A border marker **-a** at the end of a noun before formative vowels of preverbs and connective categories, before the vowels which have no grammatical function, is permitted; e. g.: it is unnatural **/rasa daçers/, /rasa uçers/, rasa içers/**, but natural **/rasa çers/, /rasa oxravs/**, (o is a stem vowel), **/visa akvs/, /ara makvs/** (here **/a/** has no grammatical function). Analogous are: **s a d a ~ s a d, v i n a ~ v i n, d ḳ e s a ~ d ḳ e s** and the relation of other preverbs and the pronouns ending with **-a** border marker forms and their forms ending with consonants with the above-represented forms of verbs: it is natural **/dḳes daxaḳavs/**, unnatural **/dḳesa daxaḳavs/**; natural **/vina xaḳavs/**, unnatural **/vina uxაḳavs/** and others. It is clearly seen, that beside **-a** suffix, preverbs and the formants of connective categories obtained delimitative function at the beginning of verbs and owing to this **-a** suffix is not used before them.

ნათია ზონიავა

სინტაქსური შემანსხმება აფხაზურ ენაში

წინადადება სიტყვებისაგან შედგება, რომლებიც ქმნიან სიტყვათა შეკავშირებებს. ორი წევრი ქმნის ერთ სინტაქსურ ერთეულს, რომელსაც სინტაგმა ჰქვია (კვაჭაძე 1977 : 14).

სინტაგმების (შესიტყვებების) ორი ძირითადი ტიპი გაირჩევა: ერთი შედგება მხოლოდ სახელებისაგან, მეორეს ზმნა და სახელი ქმნიან.

სახელებისაგან შემდგარი სინტაგმა ატრიბუტულია. მასში ერთი სახელი მეორის რაიმე თვისებაზე, ატრიბუტზე მიუთითებს, ერთი სახელი მეორეს განსაზღვრავს. მსაზღვრელის როლში შეიძლება შეგვხვდეს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზოგიერთი ნაცვალსახელი, მიმღობა.

როცა ზმნა და სახელია სინტაქსურად დაკავშირებული ვიღებთ პრედიკატულ სინტაგმას. მისი საყრდენი არის ზმნა (ჩიქობავა 1979 : 186).

აფხაზური წინადადების სინტაგმური დაყოფა მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რაც გამოწვეულია ზმნათა წარმოების ორი სახეობის — ფინიტურისა და ინფინიტურის — არსებობითა და ბრუნების სისტემის უქონლობით.

აფხაზური შესიტყვების შექმნაში გარკვეულ სინტაქსურ როლს ასრულებს სიტყვათა რიგი. რაკი აფხაზური სახელები არ იბრუნვიან, ამიტომ აქ სიტყვათა დამოკიდებულების სახეები არ არის ისე გამოკვეთილად წარმოდგენილი, როგორც ქართულსა და იმ ენებში, სადაც ბრუნება არსებობს.

ყოველ შესიტყვებას თავისი განსაზღვრული სიტყვათა რიგი აქვს. ამ რიგის შეცვლა, ან დარღვევა აბუნდოვანებს გამონათქვამის აზრს. განსაკუთრებით ეს ითქმის სიტყვათა განლაგებაზე აფხაზურ ატრიბუტულ სინტაგმაში. ამიტომ ამ სახის აფხაზურ შესიტყვებაში ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვათა რიგის დაცვა (ციკოლია 1973 : 29).

შესიტყვება გულისხმობს დაქვემდებარებას. ამიტომ სინტაგმად არ მიიჩნევა სიტყვათა ისეთი კავშირები, როგორიცაა: **ანი აბი** „დედა და მამა“, **ხაწეა ფაჭისი** „კაცი და ქალი (ცოლ-ქმარი)“, ან კომპოზიტური წარმოებები: **აქფეშა** „წყალკურთხევა“, **აშუჭრა** „წიგნწერა (მწერლობა)“ და ა. შ.

აფხაზურ ენაში სინტაქსური კავშირის შემდეგი სახეები არსებობს: შეთანხმება, მირთვა და სიტყვათა რიგი (ციკოლია 1973 : 33).

სინტაქსური დამოკიდებულების აღნიშნული სახეებიდან სტატიაში შევეხებით შეთანხმებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ზოგ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით.

შეთანხმების ორი სახე გამოიყოფა:

ა) სახელი ითანხმებს ზმნას კლასში, აჩენს მასში სათანადო კლას-კატეგორიის ნიშანს;

ბ) სახელი ითანხმებს სახელს ან ზმნას რიცხვში (ციკოლია 1973 : 33).

აღსანიშნავია, რომ შეთანხმებისას საჭიროა სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებს ზიარი გრამატიკული კატეგორია ჰქონდეთ. რაკი აფხაზური სახელები არ იბრუნვიან, სინტაგმებს შორის შეთანხმება შეიძლება იყოს კლასსა და რიცხვში. სინტაგმებში მონაწილეობენ არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. ამათგან ადამიანისა და ნივთის გრამატიკულ კლასს მორფოლოგიურად განარჩევს მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი სახელი. ამიტომ ატრიბუტულ სინტაგმაში გრამატიკული კლასის მიხედვით შეთანხმება შეიძლება გვექონდეს მხოლოდ მაშინ, როცა მსაზღვრელად გამოყენებულია გონიერთა კლასის რაოდენობითი რიცხვითი სახელი პირველისა და მეორის გამოკლებით, საზღვრული კი წარმოადგენს პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელ -3 სუფიქსიან სახელს:

**ხვჰგ აჟაჰგ** „სამი ადამიანი“;

**ფშჰგ აწაჰგ** „ოთხი მოსწავლე“.

თ. გვანცელაძის აზრით, სახელი ითანხმებს სახელს კლასში კუთვნილების გამოხატვისას და ამ დროს **ლ-**ს რიგის ნაცვალსახელური პრეფიქსები დაერთვის მკუთვნილის აღმნიშვნელ სიტყვას: **ჟარა უ-შეჟ** „მენი (კ.) წიგნი“ (გვანცელაძე 2003 : 119).

მ. ციკოლიას პრედიკატულ სინტაგმაში ადამიანთა კლასში შეთანხმების ნიმუშად მოჰყავს ასეთი შემთხვევები:

**ახჰჰგ დ-გგლოჰგ** „ბავშვი დგას“;

**აჟასთა იჟგ-არგგლოჰგ** „ხურო აშენებს (მას, რაღაცას)“ (ციკოლია 1973 : 34).

დასახელებულ მაგალითებში სახელები არ შეიცავენ კლასის აღმნიშვნელ აფიქსებს. ისინი ადამიანთა კლასს განეკუთვნიებიან სემასიოლოგიური თვალსაზრისით, ზმნაში კი სათანადო პირ-კლასის ფორმანტებია წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ამ სინტაგმებში კლასში შეთანხმება არ დასტურდება.

აკად. ჟ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ადამიანის კლასის სახელი ზმნას ითანხმებს კლასში (ლომთათიძე 1967 : 119), მაგრამ ეს ყოველთვის ასე არაა. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პრედიკატულ სინტაგმაში ადამიანთა კლასში შეთანხმება გვაქვს ასეთ შემთხვევებში:

**აჟაჰგ დ-ცოჰგ** „კაცი მიდის“.

**აშარგცაჰგ ი-შგჰგ** „მონადირემ მოკლა (იგი, რაღაც).“

აქ -**ჰგ** სუფიქსი პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელია და დაერთვის მხოლოდ ადამიანის კლასის სახელებს. ჟ. ლომთათიძის თვალსაზრისით, იგი სწორედ ადამიანის კლასის გამოხატველი სუფიქსია (ლომთათიძე 1943 : 725).

მ. ციკოლიას მიაჩნია, რომ შეთანხმება გვაქვს ნივთთა კლასშიც:

**აწგს ადაჟგ დ-ა-შგჰგ** „ჩიტმა დევი მოკლა“;

**აბგახგჰგ იჟა-ნა-წიჰგ** „მელიამ ჩაიღინა (იგი, რაღაც)“ (ციკოლია 1973 : 34).

აღნიშნულ შემთხვევებშიც ის პრობლემაა, რაც ადამიანთა კლასში შეთან-

ხმების დროს აღმოჩნდა. ზმნაში წარმოდგენილია პირ-კლასის აფიქსები, მაგრამ სახელები გრამატიკული კლასის ნიშნების გარეშეა, ანუ აქაც შეთანხმებას მორფოლოგიური გამოხატულება არა აქვს.

მ. ციკოლია ეხება რიცხვში შეთანხმების საკითხსაც. მისი აზრით, თუ სახელი (არსებითი, ნაცვალსახელი) შესიტყვებაში სუბიექტის როლს ასრულებს, ითანხმებს ზმნას რიცხვში:

**ჭარა ჭ-ცომტ** „შენ (კ.) მიდიხარ,“ **შარა შ-ცომტ** „თქვენ მიდიხართ.“

**სარა ს-აფწომტ** „ე ვკითხულობ“ **ჰარა ჰაფწომტ** „ვენ ვკითხულობთ“

**აწავგ დაფწომტ** „მოსწავლე კითხულობს“, **აწავცა (ა)აფწომტ** „მოსწავლეები კითხულობენ“ (ციკოლია 1973 : 35).

რიცხვში შეთანხმება ამ შემთხვევაში მართლაც გვაქვს, მაგრამ გამონაკლისია ერთი წინადადება: **აწავცა (ა)აფწომტ** „მოსწავლეები კითხულობენ.“ აქაც შეთანხმება სემასიოლოგიურია, რადგან „თუ ზმნაში პირველ ადგილას დგას მხოლობითი რიცხვის III პირის დ-ს რიგის არაგონიერთა კლასის -ა (გ) პრეფიქსი ან მრავლობითი რიცხვის III პირის -ა(გ) პრეფიქსი და შესაბამისი სახელიც უშუალოდ წინ უძღვის ზმნას, მაშინ ზმნურ ფორმაში -ა (გ) ნიშანი ჩამოსცილდება“ (გვანცელაძე 2003 : 73). გვექნება: **აწავცა აფწომტ**.

რიცხვში შეთანხმება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ატრიბუტულ სინტაგმაშიც:

**აძღაბ ფშაძა** „გოგო ლამაზი“, **აძღაბცა ფშაძაცა** „გოგოები ლამაზები.“

**აჭკენ ბზაძა** „ბიჭი კარგი“, **აჭკენცა ბზაძაცა/ქა** „ბიჭები კარგები“ (ციკოლია 1973 : 35).

თუ საზღვრულის როლში გვხვდება ნივთის კლასის სახელი, რიცხვში შეთანხმება არ გვექნება, რადგან ასეთი საზღვრული მრავლობითის ნიშანს არ დაირთავს: **აწკე ყაფშ-ქა** „კაბა წითლები“ (გვანცელაძე 2003 : 49).

მ. ციკოლია აღნიშნავს, რომ აფხაზური სახელი ჩვეულებრივ ითანხმებს თანდებულს კლასსა და რიცხვში მაგ.: **იარა ი-ჭე** „მასთან“ (ციკოლია 1973 : 35). მაგრამ, „**იარა**“ არსებითი სახელით რომ ჩავანაცვლოთ, შეთანხმება სემასიოლოგიური იქნება: **ახაწა ი-ჭე** „კაცთან.“

ამრიგად, გამოხატულებისა და შინაარსის პლანის ერთიანობის გათვალისწინებით მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ატრიბუტულ სინტაგმაში კლასში შეთანხმება გვაქვს მაშინ, როცა მსაზღვრელად გამოყენებულია ადამიანთა კლასის რაოდენობითი რიცხვითი სახელი პირველისა და მეორის გამოკლებით, საზღვრულად კი -**ჭგ** სუფიქსის შემცველი არსებითი სახელი. პრედიკატულ სინტაგმაში ადამიანთა კლასში შეთანხმება დასტურდება იმ შემთხვევაში, როცა სახელი ნაწარმოებია -**ჭგ** სუფიქსით. ნივთთა კლასის სახელებთან გრამატიკულ კლასში შეთანხმება საერთოდ არ გვაქვს. თანდებულთან კლასში შეთანხმება წარმოდგენილია მაშინ, როცა არსებითი სახელი ჩანაცვლებულია პიროვან-კლასოვანი ნაცვალსახელით.

### ლიტერატურა

- გვანცელაძე 2003** — თ. გვანცელაძე, ქართული და აფხაზური ენების შესწავლელთათვის, ტ. 1, თბ. 2003;
- კვაჭაძე 1977** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977;
- ლომთათიძე 1967** — К В. Ломтатидзе, Абхазский язык. «Языки народов СССР». т. 4. „Иберийско-кавказские языки“ Москва, 1967;
- ლომთათიძე 1943** — ქ. ლომთათიძე, ადამიანის აღმნიშვნელი **აოჯგ** სიტყვა აფხაზურში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ.IV, №7, 1943;
- ჩიქობავა 1979** — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979;
- ციკოლია 1973** — მ. ციკოლია, სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში, თბ., 1973.

NATIA PONIAVA

### The Syntactical Agreement in the Abkhaz Language

#### S u m m a r y

The article discusses the problem of the syntactical agreement in the Abkhaz language. According to the materials in the Abkhaz language in the syntagma in the human class the agreement is attested in the case when number (except I and II numerals) class is used as attribute, but the noun with suffix **w-** is used as attributed word. In the predicative syntagma in the human class the agreement is attested only in the case when the noun derivated with the suffix **w-**. The agreement according to the grammatical class isn't attested in the predicative syntagme in the nun-human class.

The agreement in number is attested in the both kinds of syntagma. but not in every case: in the attributive syntagma it is attested only in the human class, and in the predicative syntagma it takes place in I and II nouns. In the prepositions the agreement according to the class and number is attested when the pronoun is used instead of the noun.

მეფა ღლონტი, მათა კოზიაშვილი

**ურის ლექსიკურ-სემანტიკური ბუნების**

**ლექსიკურ-სემანტიკური ბუნების კვალიფიკაცია**

**ბუდედ** მოიაზრება დარგობრივ-თემატური პრინციპით შერჩეული გარკვეული ოდენობის ლექსიკური მარაგი, რომელსაც მოეპოვება განსაზღვრული ამოსავალი ლექსიკური ერთეული ან ერთეულები (მაგალითად: „**უფალისა და დმერთის**“, „**სულისა და ხორცის**“, „**კაცისა და ადამიანის**“, „**განსაცდელის**“, „**შურის**“ და მისთანა ბუდეებისთვის ამოსავალი ლექსიკური ერთეულები იქნება ბუდის სახელდებით მონიშნული ლექსემები).

სახელდება — **ლექსიკურ-სემანტიკური** — განპირობებულია ბუდის ფარგლებში წარმოებული კვლევის საგანგებო წესით (მეთოდით), კერძოდ: განისაზღვრება ბუდის ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები (ბუდის გარეთ არსებული ამავე სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით); დგინდება მისი (ლექსიკური მარაგის) მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებები და იკვეთება ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების გვარ-სახეობრივი სემანტიკური რაობა; წარმოჩნდება ბუდის ლექსიკური პოლისემიურობა; ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების სავარაუდო არქესემანტიკის აღდგენა.

ბუდის ფარგლებში არსებული ლექსიკური მარაგის კვლევა სამ საანალიზო მიმართულებას ითვალისწინებს:

- 1) **საკუთრივ ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი;**
- 2) **ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების ისტორიულ-ეტიმოლოგიური ინფორმაცია;**
- 3) **შესაბამისი სადვთისმეტყველო მასალის მოხმობა ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით.**

ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ამგვარად წარმოებული ანალიზი ახალი კუთხით წარმოაჩენს ქართული სიტყვის სემანტიკური განვითარების ისტორიულ გზას, ბუდეში შემავალი დარგობრივ-თემატური ლექსიკის ენობრივ არჩევანს.

ამჯერად მივმართავთ **შურის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს, რომელშიც თავს იყრის **შურ**-ის შემცველი და **შურ**-ისაგან წარმოებული ოთხ ათეულზე მეტი ლექსიკური ერთეული:

**შური, კეთილი შური, შურვილი, მეშურნე, მოშურნე, მემშურე, საშური, საშურო, საშურველი, საშურელი, საშურგებელი, აღსაშურგებელი, საშურებელი, საშურებელად-ყოფა, შურიანი, შურიანობა, შურვა, აშურვა, აღშურგება, აშურგება, დაშურება, მოშურება, შურგება, შურება, შუ-**

რება თუალითა, შურობა, მოშურნება, მოშურნეობა, მოშურნე ქმნა, შე-  
შურ(ვ)ება, შურისძიება, შურის-მეძიებელი, შურის-მაძიებელი, შურის-  
მგებელი, შურის-საგებელი, შურის-აღღება, შურის-აღება, შურის-გება,  
შურის-ღება, უშური, უშურველი, უშურველობა, უშურველ-ყოფა; ამბაძი,  
მობაძავი, ნაბაძევი, ბაძი, ბაძვა; ძკრი, ძკრის-მოჯსენე, ძკრმოჯსენე,  
ძკრ(ის)-ჯსენება, ძკრის-ხილვა.

1) ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

შურის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში არსებული ლექსიკური მარაგი 5  
მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებით გადანაწილდება:

**ცხრილი № 1**

**ბუდის ლექსიკური მარაგის მაგისტრალური  
სემანტიკური მიმართულებები:**

№	მაგისტრალური სემანტიკური მიმართულება:	ბუდის ლექსიკური მარაგი	სხვა ლექსიკუ- რი ერთეული
I.	„სხვისის თავისად ქცევის სურვილი“	შური, შურვილი, მემშურე, შურიანი, შურიანობა, მემშურნე, მოშურნე, მო- შურნება, მოშურნეობა, საშური, საშუ- რო, საშურელი, საშურველი, საშურვე- ბელი, აღსაშურვებელი, შურვა, შურე- ბა, შურვება, შურობა, აშურება, აღ- შურვება, შემშურება, შურის-აღღება, შურის-აღება, მოშურნე-ქმნა.	ბაძვა ძკრი ძკრმოჯსენე ძკრ(ის)-ჯსენება ძკრის-მოჯსენე ძკრის-ხილვა
II.	„სამაგიეროს ბო- როტებით გადა- ხდის სურვილი“	საშურო, საშურველი, შურისძიება, შურის-მეძიებელი, შურის-მაძიებელი, შურის-მგებელი, შურის-საგებელი, შუ- რის-გება, შურის-ღება, აშურვება	
III.	„ზედმეტი სურვი- ლით გაბოროტე- ბა“	შური, მემშურნე, მოშურნე, მოშურნეო- ბა, შურის-მაძიებელი, აშურვა, დაშუ- რება, შურება, შურება თუალითა, შუ- რობა, შემშურვება	ძკრის-მოჯსენე
IV.	„ძალისხმევით აღ- ძრული სურვილი“	შური, შურის-აღება, მოშურნე, მო- შურნება, მოშურნეობა, მოშურნე-ქმნა, საშური, საშურელი, საშურებელი, სა- შურებელად-ყოფა, საშურველი, სა- შურვებელი, აღსაშურვებელი, აშურე- ბა, აღშურვება, შურვა, შურება, შუ- რობა, დაშურება, მოშურება	ამბაძი, მობაძავი, ნაბაძევი, ბაძი, ბაძვა
V.	„არა შურდეს რა“	უშური, უშურველი, უშურველობა, უშურველ-ყოფა	

უაღრესად საგულისხმოა ბუდის ლექსიკური მარაგიდან აღმოცენებული სემანტიკური ველის სპექტრი. **შურის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში განისაზღვრა **73 დამოუკიდებელი სემანტიკური ველი**, რომლებსაც ხუთი მაგისტრალური სემანტიკური მიმართულების მიხედვით ცალ-ცალკე ცხრილებად წარმოვადგენთ:

**ცხრილი № 2**

**I. „სხვისის თავისად ქცევის ბოროტი სურვილი“:**

<b>№</b>	<b>სემანტიკური ველი:</b>	<b>ბუდეში შემავალი ლექსიკური ერთეული:</b>	<b>სხვა ლექსიკური ერთეული</b>
1.	„შური“	შური, შურვილი, შურვა, შურება, შურგება, შურობა, მოშურნება, მოშურნეობა	ძური, ძურის-მოჭსენე
2.	„შურისა“ (შურის საგანი)	საშური	
3.	„შურიანი“	შურიანი, მეშურე, მოშურნე	
4.	„შურიანობა“	შური, შურიანობა, შურობა, მოშურნეობა	
5.	„მოშურნე, მეშურნე“	მოშურნე	ძრმოჭსენე
6.	„შესაშური“	საშურელი, საშურველი, საშურვებელი, აღსაშურვებელი	
7.	„მოშურნეობა“	შურიანობა, მოშურნე-ქმნა	ბაძვა, ძურ(ის)-ჭსენება, ძურის-ხილვა
8.	„მეშურნეობა“	მოშურნეობა	
9.	„შეშურ(ვ)ება“	შურება, შურობა, აშურვება, აღშურვება, შეშურ(ვ)ება, შურის-აღლება	
10.	„შურის ქონა“	შურება, შურგება, შურობა	ბაძვა
11.	„შურის მოქმედი“	მეშურნე, მოშურნე	
12.	„შურის მქმნელი“	მოშურნე, მეშურნე	
13.	„წუხილი, შეწუხება“	შური, მოშურნება, მოშურნეობა	
14.	„სახარბილო“	საშურო, საშურველი	
15.	„დახარბება“	შურება	
16.	„ბაძვა“	შური, შურვა, შურვება, შურება, შურობა, მოშურნეობა, შურის-აღება	

## ცხრილი № 3

## II. „სამაგიეროს ბოროტებით გადახდის სურვილი“:

№	სემანტიკური ველი:	ბუღეში შემაგალი ლექსიკური ერთეული:	სხვა ლექსიკური ერთეული
17.	„შურისძიება“	შურისძიება, შურის-გება, შურის-ღება	
18.	„შურის-გება“	შურისძიება, შურის-გება, აშურგება	
19.	„შურის-აღება“	შურისძიება, შურის-გება, აშურგება	
20.	„შურისმაძიებელი“	შურის-მაძიებელი, შურის-მეძიებელი, შურის-მგებელი	
21.	„შურის-მეძიებელი“	შურის-მაძიებელი, შურის-მეძიებელი, შურის-მგებელი	
22.	„შურის-მგებელი“	შურის-მგებელი, შურის-მეძიებელი	
23.	„შურის საძიებელი“	შურის-საგებელი	
24.	„შურად ასადები“	საშურველი	
25.	„შურად მისადებელი“	საშურო, საშურველი	

## ცხრილი № 4

## III. „ზედმეტი სურვილით გაბოროტება“:

№	სემანტიკური ველი:	ბუღეში შემაგალი ლექსიკური ერთეული:	სხვა ლექსიკური ერთეული
26.	„მტრობა“	მოშურნეობა, შურობა	
27.	„შუღლი“	მოშურნეობა, შურობა	
28.	„მოსისხლე“	შურის-მაძიებელი	
29.	„მეტოქე, მოცილე“	საშურვებელი	
30.	„არაკეთილმოსურნე“	მოშურნე	
31.	„ავთვალი“	მოშურნე	
32.	„შეძულება“	შურობა, აშურვა	
33.	„შეჯავრება“	შურობა	

34.	„გაჯავრება“	შურება	
35.	„თვალქვირი“	შურება თუალითა	
36.	„დანანება“	შურება, შურობა	
37.	„არგამომეტება“	შური, შურვა, შურვება, შურება, შურობა	
38.	„ექვი“	მოშურნეობა	
39.	„ექვიანი“	მოშურნე	
40.	„ექვიანობა“	შურვა, შურვება, შურება, შურობა, შეშურ(ვ)ება	
41.	„შურის შემნახავი“		ძურის-მოვსენე

**ცხრილი № 5**

**IV. „ძალისხმევით აღძრული სურვილი“:**

№	სემანტიკური ველი:	ბუდეში შემავალი ლექსიკური ერთეული:	სხვა ლექსიკური ერთეული
42.	„სურვილი“	შური	
43.	„მსურველი“	მოშურნე	
44.	„სასურველი“	საშურველი	
45.	„ძლიერი წადილი, მოწადინება“	შური, აღშურვება, შურის-აღება	ბაძი, ბაძვა
46.	„ნდობა, მონდომება“	შური, მოშურნეობა	
47.	„ძალიან მონდომებული“	მოშურნე	ამბაძი, ნაბაძევი, მობაძავი,
48.	„სწრაფვა, მისწრაფება“	შური, მოშურნეობა	
49.	„შესაშური“	საშურელი, საშურველი, საშურვებელი, აღსაშურვებელი	
50.	„მოშურნეობა“	შური, მოშურნება, მოშურნეობა, მოშურნე-ქმნა	ბაძვა
51.	„დაშურება“	დაშურება, შურვა, შურება, აშურება, მოშურება	
52.	„გულმოდგინე (მიმდევარი)“	მოშურნე	
53.	„გულმოდგინება“	შური, მოშურნეობა	
54.	„თავგამოდებული“	მოშურნე	
55.	„თავგამოდება“	შური, მოშურნეობა	

56.	„ბეჯითი“	მოშურნე	
57.	„ქომაგი“	მოშურნე	
58.	„ზრუნვა (ვილაცაზე)“	შურება	
59.	„სანატრელად ქცევა“	საშურებელად-ყოფა	
60.	„აჩქარება, დაჩქარება“	შურვა, შურება, აშურება, და-შურება, მოშურება	
61.	„საჩქარო, დასაჩქარებელი“	საშური, საშურებელი	
62.	„ბაძვა“	შური, მოშურნეობა, შურის-აღება	
63.	„კეთილი შური“		ბაძი, ბაძვა

**ცხრილი № 6**

**V. „არა შურდეს რა“:**

№	სემანტიკური ვე-ლი:	ბუდეში შემავალი ლექსიკური ერთეული:	ბუდის გარეთ არსებული ლექსიკური ერთეული
64.	„უშურველი“	უშური, უშურველი	
65.	„დაუშურვებელი“	უშურველი	
66.	„შურის გარეშე“	უშურველი	
67.	„არდაშურება“	უშურველ-ყოფა	
68.	„დაუზოგავი“	უშურველი	
69.	„დაუზოგველობა“	უშურველობა	
70.	„უხვი“	უშური, უშურველი	
71.	„სიუხვე, უხვობა“	უშურველობა	
72.	„ბარაქიანი“	უშურველი	
73.	„დაურიდებელი“	უშურველი	

შურის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში არსებული ლექსიკური მარაგის თითქმის ორი მესამედი პოლისემანტიკურია:

**ცხრილი № 7**

**შურის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ლექსიკური პოლისემია:**

№	ლექსიკური ერთეული	პოლისემანტიკა
1.	<b>შური</b>	„შური“, „შურიანობა“, „(საღმრთო) შური, მოშურნეობა“, „სურვილი“, „ძლიერი წადილი, მოწადინება“, ნდომა, მონდომება“, „სწრაფვა, მისწრაფება“, „გულმოდგინება“, „თავგამოდება“, „წუხილი, შეწუხება“, „არგამოქცევა“, „ბაძვა“
2.	<b>მოშურნეობა</b>	„შური“, „შურიანობა“, „(საღმრთო) შური, მოშურნეობა“, „მეშურნეობა“, „ნდომა, მონდომება“, „სწრაფვა, მისწრაფება“, „გულმოდგინება“, „თავგამოდება“, „წუხილი, შეწუხება“, „მტრობა“, „შუღლი“, „ეჭვი“, „ბაძვა“
3.	<b>მოშურნე</b>	„შურიანი“, „მეშურნე“, „შურის მოქმედი“, „შურის მქმნელი“, „არაკეთილმოსურნე“, „მსურველი“, „ძალიან მონდომებული“, „ბეჯითი“, „ქომაგი“, „გულმოდგინე (მიმღევარი)“, „თავგამოდებული“, „ავთვალი“, „ეჭვიანი“
4.	<b>შურობა</b>	„შური“, „შურიანობა“, „შურის ქონა“, „შეშურება“, „მტრობა“, „შუღლი, „შეძულება“, „შეჯავრება“, „დანანება“
5.	<b>შურება</b>	„შური“, „შურის ქონა“, „შეშურება“, „გაჯავრება“, „დახარბება“, „დანანება“, „ზრუნვა (ვილაცაზე)“, „დაშურება“, „აჩქარება, დაჩქარება“
6.	<b>უშურველი</b>	„უშურველი“, „დაუშურვებელი“, „შურის გარეშე“, „დაუზოგავი“, „უხვი“, „ბარაქიანი“, „დაურიდებელი“
7.	<b>საშურველი</b>	„სასურველი“, „შესაშური“, „შურად ასაღები“, „შურად მისაღებელი“, „სახარბილო“
8.	<b>შურვა</b>	„შური“, „დაშურება“, „აჩქარება, დაჩქარება“
9.	<b>აღშურება</b>	„შეშურება“, „შეშურება“, „ძლიერი წადილი, მოწადინება“
10.	<b>მოშურნება</b>	„შური“, „წუხილი, შეწუხება“, „(საღმრთო) შური, მოშურნეობა“
11.	<b>საშურვებელი</b>	„შესაშური (I.)“, „შესაშური (II.)“, „მეტოქე, მოცილე“
12.	<b>შურის-ღება</b>	„შურისძიება“, „ძლიერი წადილი, მოწადინება“, „ბაძვა“
13.	<b>შურის-გება</b>	„შურისძიება“, „შურის-გება“, „შურის-აღება“
14.	<b>შურისძიება</b>	„შურის-გება“, „შურის-აღება“
15.	<b>აშურება</b>	„შურის-გება“, „შურის-აღება“
16.	<b>შურიანობა</b>	„შურიანობა“, „მოშურნეობა“
17.	<b>მეშურნე</b>	„შურის მოქმედი“, „შურის მქმნელი“
18.	<b>შურის-მაძიებელი</b>	„შურის-მაძიებელი“, „მოსისხლე“

19.	შურის-მეძიებელი	„შურის-მაძიებელი“, „შურის-მგებელი“
20.	მოშურნე-ქმნა	„მოშურნეობა“, „(საღმრთო) მოშურნეობა“
21.	შურის-აღება	„ძლიერი წადილი, მოწადინება“, „ბაძვა“
22.	უშური	„უშურგული“, „უხვი“
23.	უშურველობა	„დაუზოგველობა“, „სიუხვე, უხვობა“
24.	აშურება	„აჩქარება, დაჩქარება“, „დაშურება“
25.	საშური	„შურისა“, „საჩქარო, დასაჩქარებელი“
26.	საშურო	„სახარბიელო“, „შურად მისაღებელი“
27.	შეშურ(გ)ება	„შეშურ(გ)ება“, „ეჭვიანობა“
28.	ძკრი	„შური“, „ბოროტი“, „ჭირი“, „ავი“, „ცუდი“, „მანკიერება“
29.	ძკრ(ის)-ვსენება	„მოშურნეობა“, „ავნაქმნარის მოგონება“, „გულღრძობა“
30.	ძკრის-ხილვა	„მოშურნეობა“, „ბოროტება“
31.	ძკრმოვსენე	„მოშურნე“, „გულღრძო“
32.	ძკრის-მოვსენე	„შურის შემნახავი“, „გულმანკიერი“
33.	ბაძი, ბაძვა	„შური“, „შურება“, „მოშურნეობა“, „კეთილი შური“, „ძლიერი წადილი, მოწადინება“, „მიმსგავსება“, „ჭიბრი“

ოღენსემანტიკის მქონეა **შურის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში არსებული ლექსიკური მარაგის დანარჩენი ნაწილი:

**შურვილი** „შური“, **შურიანი** „შურიანი“, **მემშურე** „შურიანი“, **საშურელი** „შესაშური“, **აღსაშურებელი** „შესაშური“, **შურის-მგებელი** „შურის-მაძიებელი“, **შურის-საგებელი** „შურის-საძიებელი“, **შურება** „შური“, **შურის-აღება** „შეშურ(გ)ება“, **შურება თუალითა** „თუალ-ძკრი“, **საშურებელად-ყოფა** „სანატრელად-ყოფა“, **უშურველ-ყოფა** „არდაშურება“, **ამბაძი, მობაძავი, ნაბაძევი** „ძალიან მონდომებული“.

**ბუდის სემანტიკურ მიმართულებათა მოტივი**

**შური, მოშურნეობა და მოშურნე** — ერთდროულად სამი სემანტიკური მიმართულების კუთვნილებაა (პირველისა, მესამისა და მეოთხისა). ამასთანავე, სამივე ერთნაირად შეიცავს პოლისემიის ყველაზე მაღალ სიხშირეს, ანუ ისინი სემანტიკური ველის ყველაზე დიდ სიმრავლეს ქმნიან.

**შურის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის პირველ ოთხ სემანტიკურ მიმართულებას აერთიანებს ამოსავალი სემოერთეული „სურვილი“. ერთად აღებული ხუთივე მიმართულება კი, თავის მხრივ, შეადგენს სემანტიკურ პარადიგმას, სადაც დაპირისპირებას ქმნის ხსენებული ამოსავალი სემოერთეულის („სურვილის“) მოტივი.

პირველ სამ მიმართულებაში (**I. „სხვისის თავისად ქცევის ბოროტი სურვილი“, II. „სამაგიეროს ბოროტებით გადახდის სურვილი“, III. „ზედმეტი სურვილით გაბოროტება“**) წარმმართველია ნეგატიური მოტივი, კერძოდ, სურვილი, რომელიც სხვისის მითვისებით, ანუ ზედმეტი, ბოროტი გან-

ზრახვით საზრდოობს (იხ. ზემოთ ცხრილები №2, №3 და №4);

მეოთხე და მეხუთე მიმართულებას (**IV. „ძალისხმევით აღძრული სურვილი“**, **V. „არა შურდეს რა“**) წარმართავს პოზიტიური მოტივი, კერძოდ, საგანგებო ძალისხმევით გამოწვეული სურვილი, რომელიც კეთილი ქცევისა თუ ბაძვის განზრახვით საზრდოობს (იხ. ცხრილები №5 და №6).

**შურის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ხსენებული პარადიგმული დაპირისპირების მოტივი თვალსაჩინოდ გამოიხატება უკვე ხსენებული, პოლისემიის მაღალი სიხშირით გამორჩეული ლექსიკური ერთეულებით **შური**, **მოშურნე** და **მოშურნეობა** (იხ. ცხრილი №7), შეადარე შესაბამისი ძველი ქართული მასალა:

ერთი მხრივ, **ნეგატიური** სემანტიკით: „**შურით** მისცეს იგი“ (მათე 27, 18), „**შური** და ჳდომად მიითუალვენ კაცსა მრისხანებასა“ (აბულაძე: 508); „რომელსა მქონებელ არს კაცთა ნათესავისა მიმართ **მოშურნე** იგი ... ეშმაკი“ (სიმფონია ლექსიკონი: 215); „ნუმცა ვართ ურთიერთას **მოშურნე**“ (გალატელთა მიმართ 5, 26); „საუკუნოდ დაისაჯებიან მოშურნეობისა მიერ“, „უსამართლოება და მოშურნეობა ვჰგონე“ (სარჯველაძე: 145);

მეორე მხრივ, **პოზიტიური** სემანტიკით: „**შური** საღმრთოდ აქუს“ (რომაელთა მიმართ 10, 2), „თქუენმან მან **შურმან** აღაბაძენა მრავალნი“ (2 კორინთელთა მიმართ); „უმეტეს **მოშურნე** ვიყავ მამულთა ჩეთათჳს მოძღურებათა“ (გალატელთა მიმართ 1, 14), „(გამოირჩია)... სიმონ, რომელსა ერქუა **მოშურნე**“ (ლუკა 6, 15); „**მოშურნეობად** მართლისად მის გამოაჩინოს მაცხოვარმან“, „მჳურვალე იყო საღმრთოდ **მოშურნეობად** მის შჯულთათჳს საეკლესიოთა“ (სარჯველაძე: 145).

### ბუდის სემანტიკური ველები

მაგისტრალურ მიმართულებათაგან სემანტიკური ველების სიმრავლით აშკარად გამოირჩევა პირველი — **„სხვისის თავისად ქცევის ბოროტი სურვილი“**, მესამე — **„ზედმეტი სურვილით გაბოროტება“** და მეოთხე — **„ძალისხმევით აღძრული სურვილი“** (იხ. ცხრილები №2, №4 და №5). პირველსა და მეოთხე მიმართულებებში თვალში საცემია პროდუქტიულობა პოლისემიით გამორჩეული იმავე ლექსემებისა (**შური**, **მოშურნე** და **მოშურნეობა**), თუმცა პირველ მიმართულებაში (ნაწილობრივ — მეორეშიც) გარკვეულ პროდუქტიულობას ავლენენ **შურობა/შურება** ტიპის ზმნური ლექსიკური ერთეულებიც.

მესამე სემანტიკურ მიმართულებაში ჭარბობს **შურობა**, რომელიც **შურებასთან ერთად** პოლისემიური სიხშირით მოსდევს ზემოთ ხსენებულ სამ ლექსემას.

წარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ მეორე და მეხუთე სემანტიკური მიმართულებები: მეორეში თხზული (**შურის-გება** ტიპის) ლექსემების სიჭარბეა, ხოლო მეხუთე თავს უყრის უქონლობის **უ—ო/უ—ელ** აფიქსებით წარმოებულ ოთხ ლექსიკურ ერთეულს (**უშური**, **უშურველი**, **უშურველობა** და **უშურველ-ყოფა**) (იხ. ცხრილები №3 და №6).

აქვე ყურადღებას მივაპყრობთ **შურის** კიდევ ორ სემანტიკურ ველს, რო-

მელიც მხოლოდ **შურისძიებისა** და **შურისმაძიებლის** ტიპის თხზული ლექსე-მებიდან აღმოცენდება — ეს სემანტიკური ველებია „ბოროტი სურვილი, ანუ ცოდვა“ და „მსაჯული, განმკითხველი“ (რომლებიც სემანტიკური ველების ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებში არ აისახება). **შურისძიების** განმარტებისას დავით ჩუბინაშვილს საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „ვეცდები მიგებად ბოროტის წილ ბოროტისა“. იქვეა მითითება 93-ე ფსალმუნის პირველ მუხლზე: „ღმერთი შურის ძიებათაჲ, უფალი ღმერთი შურის ძიებათაჲ განცხადანა“ (ჩუბინაშვილი : 1530). ამ მხრივ, საგულისხმო საღვთისმეტყველო არგუმენტად გვესახება ქადაგება „თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისაჲ შურისათჳს და სახც სინანულისა მორწმუნეთათჳს“ (სწავლანი : 151-161). წმიდა ბასილის ქადაგებაში წარმოდგენილია **შურის** და **მოშურნის** საგანგებო საღვთისმეტყველო კვალიფიკაცია. წმიდა მამა მხოლოდ ქადაგების დასაწყისში ახსენებს სიტყვა **მოშურნეს** და ბრძანებს:

„ვითარცა-იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოების ყოლადვე ადგილთა სულმყრალთა მწინკულევანთა და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელთა, და ეგრეთვე მწერთა დაუტევნიან გუამნი სურნელნი და ცოცხალნი, და დაეხვნიან წუთხსა წყლულუებათასა, ეგრეთვე **მოშურნენი** და შინა-განმხედველნი ყოლადვე არა მიხედვენ კეთილთა საქმეთა და სათნოებათა მოყუსისათა, არამედ გამოიწულილვენ და გამოეძიებენ შებრკოლებათა და აუგთა ძმისა თჳსისათა, რაჲთა მიმოსდებდენ და ტკივილით ამხილებდენ მას და აყუედრებდენ“ (სწავლანი : 151-152).

მთელს ქადაგებაში წმიდა ბასილი **შურისა** და **მოშურნის** მნიშვნელობით უხმობს **ბოროტის** შემცველ ფრაზეოლოგიზმებს: **ბოროტი გულის-სიტყუაჲ, ბოროტი ჩუეულებაჲ, ბოროტის მზრახველი** და მისთანანი, რითაც ხაზს უსვამს **შურისა** და **მოშურნის** ნამდვილ ბუნებას (იხ. ცხრილი №7 და შეადარე ძველი ქართული **ძკრი** „შური“, „ბოროტი“, „ჭირი“, „ავი“, „ცუდი“, „მანკიერება“ და **ძკრისგან** წარმოებულნი; შეადარე ასევე სულხან-საბასეული განმარტება **ძკრისა**: „ბოროტივით“; და **ძკრის-მეტყუელებისა**: „განკითხვასთან ნახე“).

**ბოროტსა** და **ბოროტისმოქმედში**, რალა თქმა უნდა, იგულისხმება **ცოდვა** და **ცოდვილი**, რისი და ვისი განმკითხველი და მსაჯული, როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, მხოლოდ ყოველთა ზეციერი მსაჯული — უფალი ღმერთია. აქედან გამომდინარე, იკვეთება თხზულ **შურისმაძიებელსა** (და მის სინონიმებში) დაფიქსირებული **შურის** სემანტიკური ველი — „მსაჯული, განმკითხველი“.

გარკვეული ნიშნით ერთიანდება მეორე (II. „სამაგიეროს ბოროტებით გადახდის სურვილი“), მესამე (III. „ზედმეტი სურვილით გაბოროტება“) და მეხუთე (V. „არა შურდეს რა“) მიმართულებათა ოდენსემანტიკური მოტივაცია: მეორე და მესამე მიმართულებათა ყველა სემანტიკური ველი უგამონაკლისოდ არის განპირობებული უარყოფითი მოტივით (იხ. ცხრილები №3 და №4); მსგავსი ვითარებაა ამ თვალსაზრისით მეხუთე მიმართულებაშიც, ოღონდ აქ მოტივი მხოლოდ დადებითია (იხ. ცხრილი №6).

ამისგან განსხვავებით, პირველი (I. „სხვისის თავისად ქცევის ბოროტი

სურვილი“) და მეოთხე (IV. „ძალისხმევით აღძრული სურვილი“) მიმართულელები რამდენიმე ერთსა და იმავე სემანტიკურ ველს შეიცავს, ესენია: „**მოშურნეობა**“, „**შესაშური**“ და „**ბაძვა**“ (იხ. ცხრილები №2 და №5). ამ მნიშვნელობათა შემცველი ლექსემების სემანტიკური მოტივის გამიჯვნა უმეტესწილად ხორციელდება საგანგებო ეპითეტებით (**სადმართო** შური ან მოშურნეობა, **კეთილი** შური, მოშურნეობა **სჯულისა**), სხვა შემთხვევაში კი მათს სემანტიკურ მოტივაციას კონტექსტი გვკარნახობს.

### ბუდის გარეთ არსებული ლექსემები

**შურის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ლექსიკურ მარაგში ცალკე ჯგუფს ქმნიან ე. წ. ბუდის გარეთ არსებული ლექსიკური ერთეულები, რომელთაგან პოლისემიური **ბაძვა** („შური“, „შურვება“, „მოშურნეობა“, „კეთილი შური“, „ძლიერი წადილი, მოწადინება“, „მიმსგავსება“, „ჯიბრი“), ნეგატიური და პოზიტიური მოტივის გათვალისწინებით, ორი (პირველი და მეოთხე) სემანტიკური მიმართულების კუთვნილებაა და, შესაბამისად, გამოხატავს ბოროტის ან კეთილის ბაძვისა და მიმსგავსების სურვილს, მისწრაფებას, შეადარე: „ნუცა ჰბაძვ ციცილთა“ (ივანე სოლომონისნი 24, 19) და „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს“ (გალატელთა მიმართ 4, 18).

ამისგან განსხვავებით, **ბაძი** („შური“, „შურვება“, „მოშურნეობა“, „კეთილი შური“, „ძლიერი წადილი, მოწადინება“, „მიმსგავსება“, „ჯიბრი“), **ამბაძი**, **მობაძავი**, **ნაბაძევი** („ძალიან მონდომებული“) მხოლოდ პოზიტიური მოტივით განპირობებული სემანტიკის მქონეა, ისევე, როგორც ოდენ ნეგატიური მოტივითაა განპირობებული სემანტიკა ლექსემებისა: **ძკრი** („შური“, „ბოროტი“, „ჭირი“, „ავი“, „ცუდი“, „მანკიერება“), **ძკრ(ის)-ჯხენება** („მოშურნეობა“, „ავნაქმნარის მოგონება“, „გულდრძობა“), **ძკრის-ხილვა** („მოშურნეობა“, „ბოროტება“), **ძკრმოჯხენე** („მოშურნე“, „გულდრძო“), **ძკრის-მოჯხენე** („შურის შემენახვი“, „გულმანკიერი“) (იხ. ცხრილი №1).

არ შეიძლება არ გავიხსენოთ **ბაძის** სულხან-საბასეული განმარტება: „**ბაძი** შურსა ჰგავს. ბაძი — მისის საქმის მოქმედი (ქმნა)“ (სულხან-საბა II : 98). ქართველი ლექსიკოგრაფი **შურის** ლექსიკური ბუდის განმარტებისას უაღრესად საყურადღებო ლექსიკურ-სემანტიკურ კვალიფიკაციას გვაწვდის:

„**ბაძი** ჰგავს შურსა, არამედ განეყოფვის, რამეთუ უკეთუ კეთილი ნახოს მოყუსისა, გინა ბოროტი და კეთილად აღუჩნდეს, წადილით მსგავსსა მისსა (მჭურვალედ მგზნებარეობითა საწადლისა მის მსგავს მისდა) ქმნას და ეგრე იქცეოდეს“ (სულხან-საბა II : 310).

როგორც ვხედავთ, ჩვენი დიდებული წინაპარი თავისი უბადლო ლექსიკოგრაფიული განმარტებით გვიმოწმებს **შურის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ზემოთ ხსენებულ მრჩობლ სემანტიკურ მოტივაციას.

## 2) ისტორიულ-ეტიმოლოგიური ინფორმაცია

**შური (შურს)** უკვე ხშირად გვხვდება IX საუკუნის ქართულ ხელნაწერებში. იგი პირველად ფიქსირდება VI საუკუნეში შექმნილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „ევსტათი მცხეთელის მარტილობა“: „ხოლო ჰურიანი იგი უფროჲს ხოლო

აღბორგდეს და შური დიდი აღიდეს ქრისტესს და უნდა მოკლვად მისი“ (ავიოგრაფიული ძეგლები : 262).

ყურადღებას ამახვილებენ **შურის** მრჩობლ — ნეგატიურ და პოზიტიურ — სემანტიკაზე (ჭუმბურიძე : 119; არაბული : 165-166). ზურაბ ჭუმბურიძე ქართულ **შურს** მიიჩნევს „სულის“ აღმნიშვნელი საერთო-ქართველური **\*სურ-** ფუძიდან მომდინარე **სულის** ერთ-ერთ ფონეტიკურ-სემანტიკურ განშტოებად, ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომდროინდელი სემანტიკური გადაწყვეით: „სული“ → „სურვილი“ (ჭუმბურიძე : 116-120). მისი აზრით, სწორედ ამგვარი ლექსიკურ-სემანტიკური წარმომავლობით არის შესაძლებელი, აიხსნას **გაშურების (გაეშურა), საშური საქმის** თუ **შურისძიების** ტიპის ქართული ლექსემების წარმოშობა. მოგვიანებითვე უნდა მომხდარიყო ქართულში ერთდროულად არსებული ფონეტიკური (სისინა და შიშინა სპირანტიანი) სინონიმური ვარიანტების — **სურ-** და **შურ-** ფუძეთა **სემანტიკური დიფერენციაცია**, რის შედეგად: „ერთმა შეინარჩუნა ზოგადად სურვილის მნიშვნელობა, მეორემ კი უკეთური სურვილის, ესე იგი, შურის, მნიშვნელობა მიიღო“ (ჭუმბურიძე : 120). ამ მოსაზრების დასტურად შეადარე: ქართული **შური** და **შურვილი** „შური“ და **სურ- (სურ-ს)** და **სურვილი** „სურვილი“.

ასევე საერთო-ქართველური **\*სურ-**იდან მომდინარედ მიიჩნევს **შურს** მერაბ ჩუხუა: ს.-ქართვ. **\*სურ-** „სურვილი → II შური“ → ქართ. **სურ-** „სურვილი“ : ზან. **შურ-** „შური, დანანება“ : სვან. **შონ-** „შური, დანანება“ ← **\*შორ-** (ჩუხუა : 309). აქვე საგანგებოდაა შენიშნული, რომ საერთო-ქართველურ **სურ-** ფუძე საერთო წარმომავლობისაა **სულ-/სუნ-** „სული, სუნი“ ლექსემებთან ერთად. გ. დეეტერსის ვარაუდით, **რ/ნ/ლ** მონაცვლეობა მორფოლოგიურია (იქვე).

**[უე] – [უ]** სეგმენტთა ფონეტიკური მონაცვლეობით არის ახსნილი **შურ-ერ-** — **შურ-** ფუძეთა სავარაუდო მიმართება, რაც შესაძლებლობას იძლევა, **შურ-** ფუძის პირვანდელი მნიშვნელობა ვეძიოთ ხსენებული და-**შურ-**ება (ე-**შურ-**ება) ზმნით აღბეჭდილ არქესემანტიკაში — „განსაკუთრებული მცდელობა“. ივლისხმება **(და)შურომის** სემანტიკის მსგავსი შრომის გაწევა გარკვეული ძალისხმევით (არაბული : 164-165). ასევე დასმულია **შურ-** ფუძის პოზიტიური („ბაძვის“) მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობის საკითხი (არაბული : 165-166).

თავის მხრივ, **შურის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, „განსაკუთრებული მცდელობისა თუ ძალისხმევის“ მსგავსად, ბუდის ურთიერთდაპირისპირებულ სემანტიკურ პარადიგმაში იკვეთება ამოსავალი სემოერთეულის — „სურვილის“ — მრჩობლი მოტივი: ერთი მხრივ, „ბოროტი განზრახვით (მცდელობით)“ და, მეორე მხრივ, „კეთილი ბაძვით (ძალისხმევით)“ აღძრული სურვილი.

### 3) საღვთისმეტყველო განმარტება

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონზე მუშაობისას საგანგებოდ ხელმძღვანელობდა წმიდა წერილითა და ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურით, საიდანაც ლექსიკოგრაფი მარგალიტებივით აგროვებდა გამორჩეულ ნიმუშებს ქართული სიტყვის სრულფასოვანი და ამომწურავი განმარტებისათვის.

ამის დასტურია მის მიერ **შურის** განსამარტავად მოხმობილი მასალა: „შური არს მწუხარებად სხვისა კეთილსა ზედა“ (სულხან-საბა II), შეადარე X საუკუნეში შესრულებული ძველი ქართული თარგმანიდან: „არს... შური წუხილი სხვსა კეთილსა ზედა“ (ჭუმბურიძე 1999 : 120).

„ბოროტი მევენახეების“ იგავის განმარტებისას წმიდა იოანე ოქროპირი შენიშნავს, რომ პირველი ჟამის მუშაკები შურის ბოროტი ვნებით არიან პყრობილნი. ეს მუშაკები იმის გამო დრტვინავენ, რომ ვენახის პატრონი მათ, მათივე შეხედულებით, უსამართლოდ მოექცა. მეთერთმეტე (უკანასკნელი) ჟამის მუშაკები სულ ერთი საათით დაშვრნენ ვენახში, ისიც დღის ბოლოს, თავად კი მთელი დღე იმუშაკეს. მიუხედავად ამისა, ვენახის პატრონმა ორივეს თანაბარი საზღაური არგუნა (თითო დრაჰკანი). „სწორ ჩუნდა ჰყვენ იგინი“ — აი რას ამბობენ ისინი საყვედურით. ამ მეამბოხეთა დრტვინვა გამოიწვია არა თანაბარმა საზღაურმა, არამედ საზღაურის გათანაბრებამ, კერძოდ, იმან, რომ მეთერთმეტე ჟამის მუშაკებს ნაკლები ძალისხმევის წილ იმდენივე და ისეთივე სიკეთე ერგოთ, როგორიც ამათ დიდი შრომისა და გარჯის ფასად მიიღეს.

წმიდა იოანე ოქროპირი პირველი ჟამის მუშაკთა გაბოროტებას შესანიშნავ ფორმულირებას უძებნის: იგინი „მწუხარე იყვნეს კეთილსა ზედა სხუათასა, რომელ-ესე შურისა ბოროტისა საქმე არს“ (წმიდა იოანე III : 192). ამ დაკვირვების წმიდა ექვთიმე მთაწმიდისეულ თარგმანში გასაოცრად ზუსტად განისაზღვრება შურისათვის დამახასიათებელი ყველაზე არსებითი ნიშანი, **ბოროტი შურის** აღძვრის ნამდვილი მიზეზი.

**შურის** ნამდვილი ბუნების გამო თითქმის იმავეს გვასწავლის წმიდა მამა ბასილი დიდცი: „შური მწუხარებაა მოყვასის სიკეთეთა გამო და, რადგანაც მწუხარებაა, მოშურნეს დარდი და ჭირი არასოდეს მოაკლდება“ (წმიდა ბასილი: 176). წმიდა მამა იმასაც შენიშნავს, რომ მოშურნეს თავისი კეთილისმყოფელის მიმართაც კი აღძვრება ხოლმე შური, იმდენად საზარელია ბოროტების ეს სენი. წმიდა ბასილი ებრაელთა მეფე საულს იხსენებს: ჭაბუკმა დავითმა მეფე არაერთგზის იხსნა საფრთხისაგან, დავითისადმი შურით აღძრული საული კი მოსაკლავად დაეძებდა მას (წმიდა ბასილი : 176).

**შური** „უმიძიმეს არს ყოველთა ბოროტთა“, — გვაფრთხილებს წმიდა მამა იოანე ოქროპირი (წმიდა იოანე II: 292). მკაცრ გამაფრთხილებელ შეგონებად ისმის მის მიერ მოჭრით ნათქვამი: „ესე ვნებად (შური) კაცსა ეშმაკად აქცევს“ (იქვე). **შურიანი** კაცი ცოდვილთა შორის უცოდვილესია. მკვლელი ჩაიდენს ცოდვას და მკვლელობის ჟინსაც ამით მოიკლავს. ასევეა მპარავი, მემრუშე და ყველა სხვა ცოდვის ჩამდენიც. შურიანი კი მარადის შემცოდება, რადგან არასოდეს ელევა შურის საგანი და საწადელსაც ვერასოდეს აღწევს: დაინახავს მოყვასს განსაცდელში და უხარია, მეორე მოყვასის სიკეთის გამო კი წუხს, და ასე — დაუსრულებლად.

მაშასადამე, **შური** — იმის მიმართ აღძრული **ბოროტი (ზედმეტი) სურვილია**, რაც სხვას მოეპოვება, თვითონ კი არა აქვს და თავად ინდომებს, რომ ჰქონდეს. **წუხილიც** ამ მიზეზით ეწვევა მის გულს. ეს არის ამპარტავანის წუხილი, რადგან იგი იმ სიკეთის გამო წუხს, რომლის ღირსიც, რატომღაც, ის

კი არა, სხვა გამხდარა. **შურთან** სხვისათვის არასოდეს ემეტება სიკეთე, სხვისი სიკეთე მუდამ ეზედმეტება, თან, იმ „მეტი სიკეთის“ ღირსად მარტო საკუთარი თავი მიაჩნია. ამგვარი მწუხარებით მოცული გული, ბოლოს და ბოლოს, ბოროტდება. **გულბოროტი მოშურნე** მთლიანად მიეცემა ხოლმე თავის ამ ზედმეტ სურვილს და, სხვისათვის წართმევით აღტკინებული, მის განხორციელებასაც შეუდგება. ასე ემონება შურს აყოლილი კაცი ცოდვას და იგი ცოდვისმქმნელიც ხდება.

წმიდა წერილში წერია: „შეცდომილი იგი მოაკუდინის შურმან“ (იობი 5, 2). წმიდა მამები ერთხმად აღიარებენ, რომ ყოველი **ცოდვა შურიდან ამოზრდება**, ვინაიდან ცოდვას კაცის გულში **ზედმეტის ნდომა** წამოაყოფინებს თავს. თვით ნათლის ანგელოზის დაცემაც კი **ზედმეტი სურვილის ბოროტი ნაყოფი** იყო. ნათლის ანგელოზმა ხომ თავისი ამპარტავნებით ინდომა იმაზე მეტი, რაც მას ღმერთმა მიაკუთვნა, მაგრამ არ იკმარა ღვთისაგან ბოძებული წყალობა, ღმერთზე აღმატებულად მიიჩნია თავი, ღვთისაგან დამოუკიდებლად ინება ყოფნა, განშორდა ღმერთს და სამუდამოდ დაკარგა სანეტარო წილი. ამის შემდეგ დაცემული ანგელოზი, „ბოროტთა დასაბამი“, ანუ ეშმაკი, ღმერთს იმ მოწყალების გამო გადაემეტრა, რომელიც შემოქმედმა ესოდენ უხვად გაიღო და მიანიჭა კაცთა მოდგმას. ღვთის მიმართ ბოროტის-ყოფა მას არ ძალუძდა, კაცთა მიმართ კი შურით აღივსო და ამ **ბოროტი შურით** აღძრულმა მრავალგვარი ბოროტება განუმზადა ადამიანებს (წმიდა ბასილი: 177).

ადამის პირველ შეცოდებასაც **შური** დაუდო დასაბამად მაცდურმა ეშმაკმა. ადამმა და ევამ ისევე „არ დაიმარხეს“ თავიანთი სამოთხისეული „სამთავრო“, როგორც ნათლის ანგელოზმა — ზეციური სამკვიდრებელი. სამოთხის მკვიდრთა დაცემაში დაცემულ ანგელოზთა ბოროტი გამოცდილება აირეკლა და მიზეზიც იგივე აღმოჩნდა — **შური, ზედმეტის მოსურვილება**, იმის ნდომა, რაც მათ არ ეგებოდათ და არც ერგებოდათ ღვთისაგან მანამდე, სანამ იმ ერთადერთ მარხვას არ შეინახავდნენ მორჩილებითა და მოთმინებით. მაგრამ ზედმეტის ნდომამ თავისი გაიტანა და ორივემ იგემა აკრძალული ხილი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან.

ჰეშმარიტად: „ესე ვნებაჲ კაცსა ეშმაკად გარდააქცევს“ (წმიდა იოანე II: 292). სწორედ შურის ბოროტმა ვნებამ „ქმნა პირველი კაცისკლვაჲ“ (იქვე), რაშიც კაენის ცოდვა იგულისხმება. წმიდა ბასილი დიდი კაენს ეშმაკის ღირსეულ მოწაფედ შერაცხავს, რომელმაც შურთან ერთად კაცისკვლაც ისწავლა თავისი მასწავლებლისაგან. **შური და კაცისკვლა** „მოძმე ვნებებიაო“, — დასძენს წმიდა მამა (წმიდა ბასილი: 177). საღმრთო პატივით შემკული აბელი რომ იხილა კაენმა, შურმა შეიპყრო, „მეწუხნა კაინ ფრიად“, ძმა მოკლა და სული წარიწყმიდა. **შურის ბოროტი ნაყოფის** მაგალითად მშვენიერი იოსების მონობის მიზეზიც უნდა გავიხსენოთ: იაკობის ძენი სწორედ შურმა აქცია ძმის მკლავებად, თუმცა ღვთის განგებულებამ იოსები სიკვდილისაგან იხსნა.

შურით პყრობილება კაცს ჯანსაღად აღქმისა და წარმოდგენის უნარს ულახავს. **ბოროტი შურით** დასნეულებულს ავიწყდება სიკეთე, ყოველივე ის, რაც საჭებარია. უფრო მეტიც, სათნოებაშიც კი იგი ბოროტებას ხედავს: მხნე მისთვის ამპარტავანია, მშვიდი — უღმობელი, მართალი — უმოწყალო, ბრძენი

— უკეთური, მშვენიერი — ამო, უხვი კი უძღებია (წმიდა ბასილი: 179). ყველა სხვა სათნოებაც ბოროტებად წარმოუდგება შურიანს, ვინაიდან დაშორებულია სათნოებათა ერთადერთი ჭეშმარიტი წყაროსგან — ეს არის თავად ღმერთი, მისადმი რწმენა, სასოება და სიყვარული. ამოტომაც: „შურიანი ვერ ეზიარება სიბრძნეს“ (სიბრძნე სოლომონისა 6, 23).

ცოდვათა მიტევებისა და განღმრთობისათვის კაცთა მოდგმას ღვთისაგან მიეცა რჯული მოსესი და ქრისტესი, ანუ ძველადღებულს ათი მცნება და ახალადღებულს ცხრა ნეტარება. ღვთის რჯული გვასწავლის, რომ ნება ღვთისა კეთილია, ანუ კეთილია ის, რაც ღმერთს ნებავს. ამიტომ, ვინც რჯულს აღასრულებს და ღვთის მცნებებს იცავს, ის ღვთის ნებას ემორჩილება (დამასკელი : 454). შესაბამისად (და ამის საპირისპიროდ), ის, ვინც რჯულს არღვევს და მცნებებს არ იცავს, წინააღმდეგობა ღვთის ნებისა: „არა ქმნა ნებისა ღმრთისა ბოროტ არს“ (დამასკელი : 207), რაც იმას ნიშნავს, რომ ღვთის ნებისა და მცნებათა დარღვევა არის ცოდვა. სოლომონ ბრძენი შეგვაგონებს: „დასაბამი სიბრძნისა არს სიყვარული და დამარხვა შჯულისა“ (სიბრძნე სოლომონისა 6, 12). მაგრამ **შური, ზედმეტის ნდობა და სურვილი**, დასაბამივე ამოთბს ამ სიბრძნეს, შურს აყოლილი კაცი ღვთის ნებას უგულვებლყოფს და ხელაღებით არღვევს რჯულს.

მოსეს რჯულის ყოველ მცნებაში, არსებითად, **ზედმეტი, ზღვარდაუდებელი სურვილის** დამღუპველი შედეგები აღიბეჭდება. თითოეული მცნება გვიკრძალავს იმის ქმნას, რაც ზედმეტად მოსურვილებს მოჰყვება ხოლმე. „არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არცა ცილი სწამო...“ — ეს და დანარჩენი მცნებებიც იმაზე ღაღადებენ, რომ არ უნდა აღვიძრათ **შურით**, არ უნდა ვინდომოთ სხვისა, არ უნდა მოვიწადინოთ იმაზე მეტი, რაც ღვთისაგან მოგვეცა.

პირველი ოთხი მცნება კაცს ღვთის წინაშე ავალდებულებს და უკრძალავს: უცხო ღმერთების, კერპების აღიარებას, ღვთის სახელის ამო ხსენებას და კვირა-უქმეს დარღვევას. ამ ცოდვათა წყაროც ღვთისათვის მიუღებელი უცხო ბაძვა-შურია, ვინაიდან კაცი ამ დროს უპირატესად მიიჩნევს არა ჭეშმარიტს, ღვთისაგან დაწესებულსა და ბოძებულს, არამედ ამსოფლიური ანგარიშით გამოგონილს.

რჯულის დამრღვევი ხომ, საბოლოო ჯამში, სწორედ **შურითა და ბოროტის ბაძვით** პერობილი კაცია. მოსეს რჯულში ამას თვალსაჩინოდ მიგვანიშნებს და გვაფრთხილებს მეთე მცნება: „არა გული გითქუმიდეს ცოლისათჳს... სახლისათჳს... ყანისა... მონისა... მხევისა... ხარისა... ყოვლისა საცხოვარისა მოყუსისა შენისა“ — არ ინდომოო ყოველივე, რაც შენს მოყვასს, შენს გვერდით მყოფს ეკუთვნის.

ამ თვალსაზრისით ათი მცნება ერთგვარი ფარია შურისაგან, ზედმეტი სურვილისიგან, ბოროტებისაგან თავის დასაცავად — ცოდვათქმნადობის მუხრუჭია. ათი მცნების აღმსრულებელი საკუთარი ცოდვისმიერი ცხოვრების თავაწყვეტილობას უდებს ზღვარს, ისევე, როგორც დროულად ჩართული მუხრუჭი შეაჩერებს ხოლმე უფსკრულისაკენ გაქანებულ მანქანას.

### ლიტერატურა

- აბულაძე 1973** ი. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალე-ბი), თბილისი.
- ადიშის ოთხთავი 897 წლისა** — ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქცი-ით, თბილისი, 2003.
- არაბული 2001** — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.
- ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი**, თბილისი, 1983.
- წმიდა ბასილი დიდი** — სწავლანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1996.
- წმიდა იოანე დამასკელი** — მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმი-წვენიტი გადმოცემა, თბილისი, 2000.
- დანელია 1998** — კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.
- ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები** — თბილისი, 1976.
- იმნაიშვილი** — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომა-თია, ტ. I, ნაწ. I, თბილისი.
- იმნაიშვილი 1986** — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექ-სიკონი, თბილისი.
- წმიდა იოანე დამასკელი** — მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმი-წვენიტი გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილი-სი, 2000.
- წმიდა იოანე ოქრობირი** — თარგმანებად მათეს სახარებისად, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა, წიგნი I, 1996; წიგნი II, 1996; წიგნი III, 1998.
- მამათა სწავლანი** — ძველი ქართული ენის ძეგლები, 8, თბილისი, 1955.
- მამათა ცხოვრებანი** — ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა, თბილისი.
- გიორგი მთაწმიდლის ენა** — იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1946.
- მცხეთური ხელნაწერი** (დაბადება, ლევიტელთა, ფსალმუნნი, I მეფეთა, II მეფეთა), თბილისი, 1981, 1982, 1983.
- ორბელიანი 1991-1993** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართუ-ლი, I, 1991, II, 1993.
- სარჯველაძე 1995** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
- სარჯველაძე 2001** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კო-ნა, თბილისი.
- სინური მრავალთავი 864 წლისა** — თბილისი, 1959.
- უდაბნოს მრავალთავი** — თბილისი, 1994.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები** — 3 ტომად, ტ. I, თბილისი, 2008.

**ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი** — თბილისი, ტ. I, 2005; ტ. II, 2007.

**ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი** — თბილისი, 2009.

**ქეგლი** — ტტ.: V-1958, VI-1960, VII-1962, VIII-1964.

**ლლონტი 1984** — ა. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის ლექსიკონი, თბილისი.

**დავით ჩუბინაშვილი 1984** — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**მერაბ ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი** — თბილისი, 2008.

**ჭინჭარაული 1969** — ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბილისი.

**ჭინჭარაული 2005** — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1999** — ზ. ჭუმბურიძე, ქართული სული და შური, მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, მასალები, თბილისი.

## MEDEA GLONTI, MAIA KOBIASHVILI

### Towards the Lexical-Semantic Field of *šuri* "envy"

#### S u m m a r y

**Field** is conceived as lexical fund of certain number selected through branch-thematic principle. This fund has definite initial lexical entry or entries.

The name **lexical-semantic** is conditioned by the special rule (method) of researching within the field limits, in particular: semantic fields of lexical fund are defined; main semantic directions of lexical fund are established and the semantic essence of types of lexical entry or entries is distinguished; lexical polisemity of a field is manifested. Following from all these it is possible to reconstruct a supposing archetype of initial lexical entry or entries.

Researching a lexical fund existing in the field limits implies three analytical directions: 1) lexical-semantic analysis; 2) historical-etymological information of initial lexical entry or entries; 3) citing a relevant theological material on the basis of the Saint Fathers' translations.

Such analysis of lexical semantic field will demonstrate a historical change of semantic development of a Georgian word from the new viewpoint and language choice of branch-thematic vocabulary of a field.

A lexical fund existing in a lexical-semantic field of *šuri* 'envy' was distributed

towards 5 main directions and 73 **independent semantic fields** were defined. The other part of lexical fund of field (15 lexemes) has only semantics.

An initial semantic entry "wishing, will" unites the first four semantic directions of a lexical-semantic field of **ჭური**. Together all five directions contain a semantic paradigm where opposition is formed by the motive of the mentioned initial semo-entry — "wishing, will", on the one hand, with "malicious will" and on the other hand with "kind will" (negative and positive).

So called the lexical entries existing out of a field form a separate group, from which 10 lexemes are polysemical.

ნათო უაზრუნიანი

**კოშ ნაწილაკის სინტაქსური ფუნქციონირების სპანურში**

სვანური ენა მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებითა და ამ ნაწილაკთაგან წარმოებული უარყოფითი ნაცვალსახელებით, უარყოფითი ზმნიზედებითა და კავშირებით. სიმრავლეს დიალექტური ნაირსახეობებიც განაპირობებს. სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა წინადადების უკუთქმითობა.

მოქმედების შეუძლებლობის გამოსახატავად ენა იყენებს უარყოფით ნაწილაკებს: **დეშ** (ბქ.), **მჰდშ** || **მჰჩ** (ლნტ.), **დეშ** || **დოშ** (ჩოლ.), **დოშ**, **დეშმა**, **დეშმამ**, **დეშსა** (ლშხ.)... „ვერ, ვერა, ვერაფერი“; უარყოფით ნაცვალსახელებს: **დეშმარ** || **დეშარ** || **დეშაარ** (ბზ., ლნტ.), **დეშარ** (ჩოლ.), **დეშერ** || **დეშერდ** || **დეშერდმოშ** (ლშხ.), **დარმოშ** (ბზ.) **დარმოშ** || **დარდმოშ** (ბქ.), **დარმოშ** || **დარდმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფერ“; **დეშსამა** || **დეშმა** (ზს.), **დეშმა** (ლხმ.), **დესამმოშ** || **დესამამოშ** (ბზ., ჩოლ.) **მანგუეშმოშ** (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“; **დესამმოშ** || **დემისმოშ** „ვერაფერს“ და უარყოფით ზმნიზედებს: **დემემოშ** (ჩოლ.), **დემეგმოშ** (ბქ.) „ვერსად“; **დემხენმოშ** (ბქ.) **დემხენმოშ** (ჩოლ.) „ვერსაიდან“; **დემჩიქმოშ** || **დემჩიქმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერასდროს“; **დემჟიმოშ** (ბქ.) **დემჟიმოშ** || **დემიჟიმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფერი“...

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ **მოშ** ნაწილაკზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინადადებაში უკუთქმითობის გამოხატვის თვალსაზრისით.

შეუძლებლობის ნაწილაკები (**დეშ**, **დოშ**, **მჰდშ**) თ. შარაძენიძეს **არ** (**დე**, **დო**, **მჰდ**) ნაწილაკის გამომხატველ ფორმებზე -**შ** მაწარმოებლის დართვით მიღებულად მიაჩნია „**დეშ**, **დოშ** და **მჰდ**“-ში ახალი ნიუანსი შეაქვს **შ**-ს. სწორედ ეს აწარმოებს პოტენციალის კატეგორიას... ეგევე **შ** გვხვდება სვანურში მეტად გავრცელებულ **მოშ** ნაწილაკში, რომელიც მხოლოდ შესაძლებლობას გამოხატავს (ქართულად ხშირად არ ითარგმნება). იგი იხმარება როგორც დადებით, ისე უარყოფით წინადადებებში. როგორც შესაძლებლობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ხშირია პირობით წინადადებებში... კატეგორიულ უარყოფით ნაწილაკებს, ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს ხსენებული **მოშ** პოტენციალის მნიშვნელობას ანიჭებს“ (შარაძენიძე 1946 : 314).

ნ. აბესაძესთან აღნიშნული ნაწილაკი განხილულია, როგორც უარყოფითი ნაწილაკი: „**ჰე** კავშირზე უარყოფითი ნაწილაკის დართვით ვიღებთ შემდეგ ფორმებს: **ჰე მოშ** || **ე მოშ** „თუ“...“ (აბესაძე 1960 : 144).

აღსანიშნავია, რომ შეუძლებლობის ნაწილაკის გამოხატვის თვალსაზრისით ჩოლურული ყველაზე მწირ სურათს გვიჩვენებს, „ვერ“ ნაწილაკს **დეშ** ფორმა გამოხატავს (**დოშ** ნაწილაკი იშვიათად დასტურდება ზემო ჩოლურელთა მეტყველებაში), ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ფუნქციის გამომხატველ სხვა საშუა-

ლებებს (სვანურის ყველა დიალექტში, მათ შორის ჩოლურულში), ისინი იწარმოება კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისარტებზე **მოშ** ნაწილაკის დართვით: **დესმამოშ** || **დესამამოშ** (ბზ., ჩოლ.) **მანგტეშმოშ** (ბქ.) „ვერარა, ვერაფერი“, **დარდმოშ** (ბქ.) **დარდმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერავინ“; **დემემოშ** (ჩოლ.) **დემეგმოშ** (ბქ.) „ვერსად“; **დემხენმოშ** (ბქ.) **დემხენმოშ** (ჩოლ.) „ვერსაიდან“; **დემჟიმოშ** (ბქ.) **დემჟიმოშ** || **დემნიჟიმოშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვერაფერი“ და ა. შ. მაგ.:

ლიდმახტსი **დარ მოშ** ხობდატუდ'ალ მეზგა (ქრ. ბზ. 25)<sup>1</sup> „მტრობასაც ვერავინ უბედავდა ამ ოჯახს“

ლოხტბინა ჩნთე ლოზი ლაქაბდ, მარე ჩუ **დემე მოშ** ლგმსკაბტინ (ქრ. ბზ. 59) „დაუწყია ყველგან წასვლა გასარიდებლად, მაგრამ ვერსად ჩერდებოდა (სჯერდებოდა, ეყრდნობოდა)“

**დარ მოშ** ესერ **იმგტაშ მოშ** ასხათიხ (ქრ. ბქ. 194) „ვერავინ ვერაფერს ვერ ახერხებენ“

ქანფიშუდ ფიკუ, მარე ფედილთე **დარმოშ** ლხთალხ (ქრ. ბქ. 229) „გამოუშვა ვაცი, მაგრამ ახლოს ვერავინ გაეკარა“

**დემეგმოშ** ოხტთხა (ბქ.) „ვერსად უბოვია“

ახეჭუადანხ ჩხარა ლახტბად ეშხუ მეგამს, **მადმამოშ** ხწყერხ (ქრ. ლნტ. 318) „დაესივნენ ცხრა ძმა (ძმამ) ერთ მორს, ვერაფერი უქნეს“

ათხე **მადმაბედიგტეშ მოშ** ხოჩომნა მიჩაშდ, ამინლო იმ ლოქ ხეჩო მიჩ (ქრ. ლნტ. 325) „ახლა ვერაფერი უქნია მისთვის, აწი რას უზამსო მას“

ალ ლატილია ტუტიტუელა ლემარელიხ, შკურშუ **დემოხმოშ** ლემაზლიხ (ქრ. ლნტ. 315) „ეს დები ტიტველი ყოფილან, სირცხვილით ვერსად ვერ მიდიოდნენ თურმე“

**დემერდმოშ** ახუქტისაღნე (ლშხ.) „ვერავინ ათქმევინა“

**დემჩიქსმოშ** ოხგრმ აგის (ჩოლ.) „ვერასდროს დავიჭირე სახლში“

**დემნიჟიმოშ** ოთლორაჟ (ჩოლ.) „ვერაფრით მოვატყუე“...

სვანურში, ქართულის მსგავსად, გვხვდება ფორმობრივად გამომხატული ორმაგი უარყოფა. სწორედ განსახილველი ნაწილაკი **მოშ** დაერთვის უარყოფით ზმნისარტებსა და უარყოფით ნაცვალსახელებს და მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით გამოიხატება ორმაგი უარყოფითი ფორმები, მაგ.:

**დარდმოშ** ჩუემინ (ბქ.) „ვერავინ ვერ გააკეთა“

**მანგტეშმოშ** ენმეჭრე (ბქ.) „ვერაფერი ვერ გაიგო“

**დემჟიმოშ** ონჯტუედ (ლშხ.) „ვერაფრით ვერ მოვედი“

**დესმამოშ** ოხსახ (ჩოლ.) „ვერაფერი ვერ მოვახერხე“

**დემხენმოშ** ონჯუ (ჩოლ.) „ვერსაიდან ვერ მოვიტანე“...

**მოშ** ნაწილაკი დაერთვის **დეთაჟ** (ლნტ), **დეთაჟ**, **დე** (ქვ. ს. ) || **დეჟ** (ლშხ., ჩოლ.) **დეი** (ბქ.) „არც“ კავშირსაც და მასაც შეუძლებლობის სემანტიკას ანიჭებს, მაგ.:

მიჩ ლახგნაჟენ ი **დეი** ჟი **მოშ** აჩაღ, დეი აცხირ მანგტეშუ (ქრ. ბქ. 213) „მას გაუკვირდა და ვერც ავიდა, ვერც გაიგო რამე“

<sup>1</sup> საილუსტრაციო მასალაში მითითება **ქრ.** ეხება „სვანური ენის ქრესტომათიას“. სხვა შემთხვევაში მასალა ჩვენია.

ნა ჩუბთუშეშაუნდ: **დემომ** აჩუადდ, **დეთამომ** რტუგადიდ (ქრ. ლნტ. 308) „ჩვენ გავშედით: ვერც წავედით, ვერც ვლაპარაკობთ“

**დემომ** ჩუბდბიზან ი **დემომ** ჩუბდშტგმან (ქრ. ლნტ. 340) „ვერც გაძლა და ვერც დათვრა“

ეჩანლო ლეკარ **დემსა** ანჯადხ ლაშხთე, **დეთამ** წერეთლარ **მომსა** ანჯადხ ყანსატი მაყალტუშ (ქრ. ლშხ. 248) „მერე ლეკები ვერ მოვიდნენ ლაშხეთში, ვერც წერეთლები მოვიდნენ ყანსავის შიშით“

ჯანარე ჯოგს დემდტარ, **დე მოშ** თხურელ ხობდატის ლიშგებს (ქრ. ლშხ. 268) „ხარების ჯოგს დათვები, ვერც მგლები უბედავენ მივარდნას“

მაგ ხოცუდილლა, მარა **დემ მოშ** ჟენფიშ ი **დეთამ მოშ** ჩუადუჟნე (ჩოლ.) „ბევრი უწვალაია, მაგრამ ვერც დალალა და ვერც დააძინა“

კავშირი **დეთამ** (ლნტ) || **დეთამ**, (ლშხ. ჩოლ.) „არც“ თ. შარაძენიძეს ნაწილაკებთან ერთად აქვს განხილული „მასში გამოიყოფა **მ — ი** (= ც). საკუთრივ უარყოფითი ნაწილაკი იქნებოდა **დეთა**, რომელიც ცალკე ამ სახით არ შეგვხვედრია, ამიტომ განვიხილავთ **დეთამ**-ს უარყოფით ნაწილაკებთან“ (თ. შარაძენიძე 1946, 294).

**დეთა**-ში მკვლევარი **-თა**-ს გამოყოფს და მას ნაცვალსახელად მიიჩნევს „...შეიძლება ნაცვალსახელი იყოს. მართალია, ასეთი ძირი სვანურში ამჟამად არ არსებობს, მაგრამ გვაქვს მეგრულ-ჭანურში. მეგრულ-ჭანურის ფენა სვანურში საკმაოდ ძლიერია. შეუძლებელი არ არის, რომ **თ (ა)** ნაცვალსახელიც ყოფილიყო ნაესხები“ (შარაძენიძე 1946 : 312).

უნდა აღინიშნოს, რომ **მომ** ნაწილაკის ფუნქცია შეუძლებლობის გამოხატვით არ შემოიფარგლება, იგი ამავე დროს შეიძლება შეგვხვდეს წართქმით წინადადებაშიც, ხოლო როგორც შესაძლებლობის აღმნიშვნელი ნაწილაკი, ძირითადად, გამოიყენება პირობით წინადადებაში.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში იგი ახლავს **ე || ი, ლახ || ლახე, ჰნლ || ხნლ, ჰნეჟი, დე, დეთამ, უოდ** კავშირებს. მაგ.:

ეჩას **ე მოშ** ჩუ ხადგარი, ეჩქა ისგუათან დარ არი (პრ. ბზ. 231) „იმას თუ კი მოკლავ (ე. ი. მოკვლას თუ შეძლებ), მაშინ შენისთანა არავინ იქნება (არის)“

ქა **ლახე მოშ** ხატყცი, ეჩქას ლეყერს ხარ ლეგნე (ქრ. ბზ. 37) „თუ დაარტყამს, მაშინ გალახული უნდა დადგეს“

ამის ესერ **ჰნეჟი მოშ** ასხათი, სურუ ლემდა გუაშუ ესერ ესდინე ქაშგი ბედჟინ (ქრ. ბზ. 64) „ამას თუ კი მოახერხებო, მაშინ დიდ დასამადლებელ საქმეს გააკეთებო (დადებ) ჩერქეზეთის წინაშე“

ქემმოშ ხიმწოდად ე მარტ მეგნა ისგუა მეხტბარარისგა **ქემომ** ხიგნე ე მადმა ლდაკუაშხე ლისგურემ ზურალს ი ღუაჟმარა, ეჩქას ხეკტეს, ერე წელიშ ხენსგაი დაჯლამ ხენსგა პაპს უხკტეს. (ბქ. ქ. 200) „თავს თუ გაიმართლებთ, ორ დამფიცებელს თქვენ სამომო თუ დაიყენებ, რომ უქმე არ გაგიტეხიათ ქალს და კაცს, მაშინ ვირის ნახევარი და თხის ნახევარი მღვდელმა გადაიხადოს“

ეჯის ესერ **ჟემომ** ხაყუფე, ეჩქას ესერ მიჩა ლიბურგელ ესერი ხამედენა (ქრ. ბქ. 214) „იმას თუ კი ამოაძრობ, მაშინ მასთან ჭიდაობაც (მისი დაჭიდებაც) შესძლებიაო“

ეჯის ესერ კინჩხს **ჟემომ** ხაქტყეს, ეჩქას გარ ესერ ხაყახ დანთე მეზიდ (ქრ.

ბქ. 229) „იმას თუ კი კისერს მოაჭრით, მაშინ მარტო ვარგანან დევთან წამსვლელადო“

ევის ესერ ჩუ **იმოშ** აზხენის, ერქას ესერ ხაყახ დანთეთ მეზიდ (ქრ. ბქ. 229) „იმას თუ როგორმე დაკლავენო, მაშინ მარტო ვარგანან დევთან წამსვლელადო“

სი **ი მოშ** ალ მგლლათს ჟახირმინე, ერქას მი ლაჯინე მიშკუა ქარაჟანს (ქრ. ლნტ. 323) „შენ თუ როგორმე მოლაღურს დაიჭერ, მაშინ მე მოცემ ჩემ ქარავანს“

ჩაჟს **ემოშ** ლახესკურიხი, ქასალუძალნიხი, ერქა ჩუ ჯეიმედი ეჯ დაჟი ლიბორგიელ (ქრ. ლნტ. 324) „ცხენს თუ კი მოაჯდები, აჯირითებ, მაშინ შეგეძლება იმ დევთან ჭიდილი (დევის ჭიდაობა)“

ხგნსკა მიჩა სხენწიფს ქა ლოქ ხაჟდი, აღთე ეჯ ზურალს ეხჟდ ისკა ლოქ **მოშ** ხოჯდე ი ეჩა ჯგმილს ჩუ ლოქ **მოშ** ადგარი (ქრ. ლნტ. 329) „მის ნახევარ სახელმწიფოს მისცემსო, თუ იმ ქალს ცოლად როგორმე შემოუყვანსო და მის ძმას თუ როგორმე მოკლავსო (კლავს)“

აღლო ლოქ ე უმარცხდ **მოშ** ადგენას, ლო ლოქ ქაჟ ადგენე (ქრ. ლშხ. 248) „აბა, დაუმარცხებლად თუ კი გააცილებსო, მაშინ გააცილეო“

ეჩუნღონენ მგლჟაჟს **ემოშ** ჟი ლჟრდად, ერქა აჯალ ჟი ხტიდრინდად ლეთოფდ (ქრ. ლშხ. 254) „მერე აღმართს თუ კი ავიდოდით, მაშინ კიდევ მოვიხელთებდით სასროლად (სათოფედ)“

**ემოშ** ლოქ ათერ მიჩა გეზალს, ადმეჟ ლოქჟ აგითე (ქრ. ლშხ. 288) „თუ კი იცნობსო მის შვილს, წაიყვანოსო სახლში“

ათხე ლოქ ჩუ **მოშ** ათერ, ერქა ლოქ მიჩა ორი ჯეჟ (ქრ. ლშხ. 288) „ახლა თუ როგორმე იცნობსო, მაშინ მისი იქნებაო თვითონ“

**ლახ მოშ** ჩჟანჯდე, ევის მი ლოხჟოდანნი ნაგერჯს (ჩოლ.) „თუ ჩამოიტან (ე. ი. ჩამოტანას თუ კი შეძლებ), იმას მე მოვაცემინებ გასამრჯელოს“...

პირობით წინადადებაში კავშირთან მისი ადგილი შეიძლება ითქვას განსაზღვრულია და შეზღუდული, ყოველთვის დამოკიდებული წინადადების შემადგენელი ნაწილია და ხშირ შემთხვევაში უშუალოდ ახლავს და უკან მოსდევს კავშირს, მაგ.:

ქა **ლახე მოშ** ხატყცი, ერქას ლეყერს ხარ ლეგნე (ქრ. ბზ. 37) „თუ კი მოარტყამს, მაშინ მომრტყემელს აქვს დასადგომი“

ევის ესერ კინჩხს **ჟიმოშ** ხაქჟცეხ, ერქას გარ ესერ, ხაყახ დანთეთ მეზიდ (ქრ. ბქ. 229) „იმას თუ კი კისერს მოაჭრით, მაშინ მარტო ვარგანან დევთან წამსვლელადო“

ჩაჟს **ემოშ** ლახესკურიხი, ქასალუძალნიხი, ერქა ჩუ ჯეიმედი ეჯ დაჟი ლიბორგიელ (ქრ. ლნტ. 324) „ცხენს თუ კი მოაჯდები, აჯირითებ, მაშინ შეგეძლება იმ დევთან ჭიდილი (დევის ჭიდაობა)“

**ემოშ** ლოქ ათერ მიჩა გეზალს, ადმეჟ ლოქჟ აგითე (ქრ. ლშხ. 288) „თუ კი იცნობსო მის შვილს, წაიყვანოსო სახლში“

ჟი **ემოშ** ხნემედე, ერქა ქა ლეგნიდ (ჩოლ.) „თუ კი შეძლებ (შეიძლებ), მაშინ გავუდგებით“

იშვიათად შეიძლება კავშირისაგან გაითიშოს ზმნისწინისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკის მიერ, მაგ.:

ათხე **ელო ჩუ ლოქ მოშ** ხაჯდუნე, იჟალადელ ლოქ ორი მიჩა აშმწარ (ჩოლ.) „ახლა თუ როგორმე ჩამოატანიენბსო, სამუდამოდ მისი მადლიერი იქნებაო“

ლეთრას **ე ქა მოშ** ხაშტბი, ჩჟნჩოხ ემეი ლიპრისტალს (ჩოლ.) „სასმელს თუ როგორმე ასესხებს, იზამენ როგორმე ნათლობას“

უნდა აღინიშნოს, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში **მოშ** ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელ წევრებს (მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმნიზედებს) ახლავს და უმეტეს წილად უკან მოსდევს ამ უკანასკნელთ.

აღნიშნულ წინადადებებში **მოშ** ნაწილაკს „თუ, თუ კი, როგორმე, როგორღაც“ კავშირთა სემანტიკა აქვს, მაგ.:

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება:

ამჟინ იხრესიდელს, **ფერტუა მოშ** ხანსრე ლწკნას (ქრ. ბზ. 34) „ასე (მორიგეობენ) ენაცვლებიან ერთმანეთს, თუ ვინ აჯობებს გადახტომაში“

**ერტუა მოშ** ახოჩიშ ისკა, ეჯი მწკუტი ჯედენი აგხო (ქრ. ლნტ. 303) „ვინც კი შემოასწრებს, ის პირველი მოდის სახლში“

ეჯ ქუთს იღემგალს დინაშ აფხნეგარ, **ფერტუა მოშ** ხონკი ესფხიჭისგხ. (ქრ. ბქ. 178) „იმ ხაჭაპურს ცილობენ გოგოს ამხანაგები, ვინც კი პირველი დასტაცებს“

**ფერტუა** სუმინ ფაუს ქა **მოშ** ხატყცი, ეჯა ეზერ ბგვი ხაბჟახ (ქრ. ბზ. 34) „ვინც კი სამჯერ ჯოხს მოარტყამს, ის ძაან მაგარი ჰგონიათ (მიაჩნიათ)“

უბრალო დამატებითი დამოკიდებული:

**იმტუა მოშ** ლემსახტითინს, დემნოტუშ ლემზარტინს უშხტარ, **მწ მოშ** ლთმდალს ხარახ (ქრ. ბზ. 65) „რასაც კი მოახერხებდნენ, არაფრით ზოგავდნენ ერთმანეთს, რაც კი შეეძლოთ“

გარემოებითი დამოკიდებული:

**მწუტუა მოშ** რწქტინინა, ეჩხუმს ხაკაღდა (ქრ. ბზ. 70) „რამდენსაც კი იტყოდა, იმდენს აიღებდა“

ქა ლეცხზე ხარ ლიშდრალე ლწბნახანქა, **იმტუა მოშ** ლი მეჩდე ქა მგსრე (ქრ. ბზ. 34) „უნდა შემოუაროს თამაშის დასაწყისიდან, სანამდეც კია გასული მჯობნი“

ეჩქანლო, მეზგე **შომდა მოშ** ჟანმწარი, იხო ბეფშიშ ლიპრისტალს (ქრ. ბქ. 179) „მერე, ოჯახი როცა კი მოემზადება, იზამს ბავშვის ნათლობას“

ხშირია განსახილველი ნაწილაკის დართვა **ჟოდ** „ვიდრე, სანამ“ მაქვემდებარებელ კავშირზე დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, მაგ.:

ხარხ ამჟინ ხინ, **ჟოდ მოშ** გეჭნის (ქრ. ბზ. 10) „აქვთ ასე ლხინი, სანამდეც კი ძლებენ“

ხაჯმაგერნა ლოქ უიშამმადურდ, **ჟოდ მოშ** ლოქ ხაბიცნა (ლწხ.) „ვემსახურებოდით (ემოჯამაგირებოდით) უმადურად, სანამდეც შეემეძლო“

**ჟოდ მოშ** ღალ ლოხგამედ, ხომურჯალის (ჩოლ.) „სანამდეც შეგძელი, ვეხმარებოდით“

ვითარების დამოკიდებულ წინადადებებში **მოშ** ნაწილაკი **ჰალ || ხალ** კავშირს ახლავს და მოქმედების შესრულების შესაძლებლობას უსვამს ხაზს, მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს კავშირს, მაგ.:

ჰარაყს ეთრახ, **ჰნლ მოშ** ხეკუდლხ (ქრ. ბზ. 38) „არაყს სვამდნენ, როგორც უნდოდათ“

ეჯყი ხეჰამ ლოშკინ, **ხნლ მოშ** ხობიცდა (ჩოლ.) „ისე მისდევდა უკან, როგორც კი შეეძლო“

ლემწრად იფხანჭჷდა, **ხნლ მოშ** ხემედან, ეჯყი (ჩოლ.) „გამწარებული ბოჭავდა, როგორც კი შეეძლო, ისე“

როგორც აღინიშნა, განსახილველ ნაწილაკს ყოველთვის არა აქვს მოქმედების შეუძლებლობის გამოხატვის ფუნქცია, ის წინადადებას სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს ანიჭებს.

**მოშ** ნაწილაკი, ხშირად დაერთვის კითხვით ნაცვალსახელსა და კავშირს, ასეთ შემთხვევაში **მოშ** კითხვითობის გადმოცემასთან ერთად ხაზს უსვამს აღმფოთება-გაოცებისა და დაქადნების სემანტიკურ ნიუანსს:

**იმჷიმოშ** ჩუემინ ალი?! (ბქ.) „როგორ (როგორ თუ) გააკეთა ეს?!“,

**ქ'მოშ** ხიხო ეჯინ ლოხთერ! (ჩოლ.) „თუ გააკეთებ, იმასაც ვნახავ!“

**ქ'მოშ** აღრინხი, ქუეყანა ხეწდენი! (ჩოლ.) „თუ წახვალ, ქვეყანა დაინახავს!“

კითხვით წინადადებაში, დამოუკიდებლად ნახმარი აღნიშნული ნაწილაკი, ძირითადად, უკან მოსდევს ზმნა შემასმენელს (**ღვრიდ მოშ?** „წახვალთ? (წახვალთ თუ ვერა?)“ **ანჯე მოშ?** „მოიტანე, თუ ვერა“ **ათაჲ მოშ?** „წაიღე, თუ ვერა?“), ხოლო როცა უარყოფით ნაცვალსახელთან, ნაწილაკთან და ზმნიზედასთან ერთადაა წარმოდგენილი, წინ უსწრებს ზმნა შემასმენელს (დემიჷი **მოშ ანჯე დერ?** „ვერაფრით ვერ მოიტანე ხო?“ **დემხენ მოშ ათაჲ დერ?** „ვერსაიდან ვერ წაიღე ხო?“). თუმცა იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კითხვით ზმნიზედაზე დართული შეიძლება ზმნის მომდევნოდ აღმოჩნდეს (**ღვრიდ ემთე მოშ?** „წახვალთ სადმე, თუ ვერა?“ **ანჯე ემხენ მოშ** „მოიტანე საიდანმე, თუ ვერა?“...).

რაც შეეხება ცალკე აღებულ **მოშ** ფორმას (დიალექტების მიხედვით) სხვადასხვა სემანტიკური დატირთვა აქვს, მაგ. „ცალკე, სხვანაირი, სხვადასხვა ცუდი“, ანუ მას, ცალკე აღებულს, უარყოფითობის მნიშვნელობა არ გააჩნია:

აღმარ **მოშ-მოშ** ზომამ ი ფერიშ ლიხ (ქრ. ბზ. 16) „ესენი სხვადასხვა ზომის და ფერის არიან“

ქამენჩუნ ნადგარს **მოშ** ლიფანე ხეკუდლ (ქრ. ბზ. 43) „გარეთ მონაკლავს სხვანაირად უნდოდა სუფრის წადგმა“

ლუშნუ მურყუმარს **მოშ-მოშ** ნაკლთხი ხელუტეხ (ქრ. ბქ. 200) „სვანურ მურყვამს (მურყვამებს) სხვადასხვა სიმაღლე აქვთ“

**მოშ**დ მისგდი (ბქ.) „სხვანაირად, ცუდად მიყურებს“,

**მოშ** გუმიშ ლი (ბქ.) „სხვანაირი გულისაა“,

**მოშ** ლესდი მარე ლი (ბქ.) „სხვანაირი, ცუდი შესახედი კაცია“,

ლაფურალ **მოშ** ლი ი ლაჯნერ **მოშ** (ქრ. ლშხ. 265) „საფურე ცალკეა და სახარე ცალკე“,

**მოშ** იზლალ (ჩოლ.) „ცალკე დადის“,

**მოშ-მოშ** იჯუნდულულხ (ჩოლ.) „ცალ-ცალკე ჩუმჩუმელობენ“,

განხილული მასალის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ **მოშ** ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია მრავალფეროვანია. კატეგორიული უარყოფის გამომხატ-

ველ ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნისართებზე მისი დართვით იწარმოება შეუძლებლობის გამომხატველი ნაწილაკები და მხოლოდ მისი მეშვეობით გამოიხატება ორმაგი უარყოფა.

განსახილველ ნაწილაკს, ამავე დროს, აქვს მოქმედების შესრულების შესაძლებლობის გამომხატვის ფუნქციაც და რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მისი მონაწილეობა და კავშირებზე დართვა წინადადებას მეტ ექსპრესიულობას მატებს.

და ბოლოს, ჩვენი აზრით **მოშ** ნაწილაკის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შეუძლებლობის სემანტიკის გამომხატვა, ხოლო რაც შეეხება მის მიერ ქვეწყობილ წინადადებაში მოქმედების შესრულების შესაძლებლობის ნიუანსის გამომხატვას, მეორეულ მოვლენად მიგვაჩნია.

### ლიტერატურა

**აბესაძე 1960** — ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, თსუ შრომები, ტ-93, თბილისი.

**შარაძენიძე 1946** — თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე I, თბილისი

სვანური ენის ქრესტომათია, 1978, თბილისი.

### NATO SHAVRESHIANI

#### Towards the Syntactic Function of *moš* Particle in Svan

#### S u m m a r y

Svan is rich with negative particles and negative pronouns, negative adverbs and conjunctions derivated from these particles. Dialectal verities also causes abundance. Just through them negation of a sentence is expressed.

The paper discusses a **moš** particle, that plays an important role in a sentence from the viewpoint of expressing negation.

Syntactic function of **moš** particle is various. By its adding to the pronouns expressing categorical negation and negative adverbs the particles expressing impossibility are formed and double negation is expressed only through it

The mentioned particle has not always the function of expressing impossibility of action. It gives different semantic nuance to a sentence. Through it the possibility of action can be expressed and its participating in a complex sentence and adding to conjunctions gives more expressiveness to a sentence.

The first function of **moš** particle should be the expressing of semantic of impossibility and as regard to expressing the nuance of possibility of action fulfilling in complex sentences, I consider it to be a secondary phenomenon.

ვაჟა შინგელია, რუსუდან ჯანაშია

**ჟორჟ დიუმევილი – იბერიულ-კავკასიურ ენათა  
დიდი მკვლევარი\***

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი, რელიგიის ისტორიის, ებოსისა და მითოლოგიის დიდი მკვლევარი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი აკადემიკოსი ჟორჟ დიუმევილი (1898-1986) სამართლიანად არის მიჩნეული ევროპელ კავკასიოლოგთა პატრიარქად. მის მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იბერიულ-კავკასიურ ენათა აღწერითი და შედარებითი შესწავლისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევებს, რომლებმაც მას ამ ენათა დიდი მკვლევრის სახელი დაუმკვიდრეს.

თავიდან ჟ. დიუმევილის ინტერესების სფერო მითოლოგია და რელიგია იყო; ეს ინტერესი და საოცრად ნაყოფიერი მუშაობა აღნიშნულ სფეროში მეცნიერის ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე გრძელდებოდა. მან საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები შექმნა ინდოევროპელ ხალხთა შედარებითი მითოლოგიისა და რელიგიის ისტორიის კვლევის მიმართულებით.

კავკასიის ხალხთა ენებით ჟ. დიუმევილი ინტერესდება XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ის, როგორც სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი, მჭიდრო კავშირს ამყარებს ე. წ. „მცირე (ანუ მეორე) კავკასიასთან“, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე შეიქმნა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთ-კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ. რუსეთის სასტიკი ბრძოლა კავკასიის დაპყრობისათვის 1864 წელს კავკასიელთა ტრაგედიით დასრულდა: დაიწყო რელიგიური ნიშნით კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადასახლება თურქეთის ტერიტორიაზე (მუჰაჯირობა), რამაც მთელი კავკასია დააზარალა, მაგრამ განსაკუთრებით — ჩერქეზები, აფხაზები და უბიხები (უბიხები, რომლებიც სოჩა-ადღერის მიდამოებში ცხოვრობდნენ, მთლიანად გადასახლდნენ).

1925 წლიდან იწყება ჟ. დიუმევილის დაჯუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ანატოლიაში წარმოქმნილი „მცირე კავკასიის“ ენობრივი სამყაროსა და ადგილობრივი ლაზი მოსახლეობის მეტყველების შესასწავლად. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის მიზნით ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 20-იანი - 30-იანი წლები და 50-იანი წლების შემდგომი პერიოდი (მუშაობაში წყვეტა გამოწვეული იყო მეორე მსოფლიო ომითა და მის შემდგომ შექმნილი რთული ვითარებით).

\* წაკითხულია 2009 წლის 26 მარტს ჟ. დიუმევილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე.

1931-33 წლებში ზედისედ გამოდის ჟ. დიუმეზილის შესანიშნავი მონოგრაფიები: უბიხთა ენა (*La Langue Oubykhs*), 1931; „ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენათა შედარებითი ეტიუდები“ (*Études comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest*), 1932; „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“ (*Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord*), 1933; „შედარებითი ძიებანი კავკასიური ზმნის შესახებ“ (*Recherches comparatives sur le verb caucasien*), 1933. 50-იანი წლების შემდეგ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან უნდა დავასახელოთ: „უბიხური ეტიუდები“ (*Études Oubykhs*), 1959, „უბიხური ზმნა“ (*Le verb oubykh*), 1975 და „ანატოლიური დოკუმენტები კავკასიის ენათა და ტრადიციათა შესახებ“ (*Documents Anatóliens sur les langues et Traditions du Caucase*) — ხუთი ტომი, 1960-67. აღარას ვამბობთ იმ მრავალრიცხოვან სტატიასზე, რომლებიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში ცნობილ ისეთ სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა, როგორებიც იყო: „აზიურული აზიური“ (*Journal asiatique*), „პარიზის ლინგვისტიკური საზოგადოების ბიულეტენი“ (*Bulletin de la Société de linguistique de Paris*) „ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, (*Travaux de l'Institute d'Ethnologie*) „ანთროპოსი“ (*"Anthropos"*) „ქართველოლოგიური ჟურნალი“ (*Revue khartvelologie*), *Studia Caucasica* და სხვ.

ჟ. დიუმეზილს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ოთხივე ჯგუფის ენათა შესწავლაში აქვს ფასდაუდებელი წვლილი შეტანილი, მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია მისი ღვაწლი აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა კვლევის საქმეში. ამ ჯგუფში შემაჯავლი და მაშინ უკვე გაქრობის გზაზე მყოფი უბიხური ენის სტრუქტურის სრულად წარმოჩენასა და უბიხური ტექსტობრივი და ლექსიკური მასალის მოპოვება-გამომზეურებაში ჟ. დიუმეზილის ღვაწლი იმდენად დიდია, რომ, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მართო ეს იქნებოდა საკმარისი მეცნიერის უკვდავებისათვის.

თუ ჟ. დიუმეზილამდე ჩვენ მოგვეპოვებოდა მხოლოდ პ. უსლარისა და ა. გენკოს მცირე და ფრაგმენტული შენიშვნები უბიხურის შესახებ, აგრეთვე, ა. დირის გრამატიკული ნარკვევი და ასევე მცირე მოცულობის ენობრივი მასალა, ჟ. დიუმეზილის წყალობით ჩვენ ხელთა გვაქვს უბიხური ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის გაცილებით უფრო ზუსტი და სრული სურათი, ვიდრე ეს მანამდე გვექონდა და უბიხური ენობრივი მასალის მთელი კორპუსი.

ჟ. დიუმეზილმა შექმნა აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა პირველი შედარებითი გრამატიკა, რომელშიც კვლევის საგანია ამ ენათა სახელისა და ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით. ავტორს, ბუნებრივია, კარგად ესმის, რომ უმჯობესი იყო ფონეტიკით დაეწყო, მაგრამ არსებული ვითარების გამო ეს მაშინ არ იყო შესაძლებელი. ჟ. დიუმეზილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „გულმოდგინე მკითხველი მალე მიხვდება, თუ რატომ არ განვიზრახე ფონეტიკის მოთავსება მორფოლოგიის წინ. არა იმიტომ, რომ ფონეტიკას უპირატესობას ვართმევ, არც იმიტომ, რომ ვეთანხმები უცნაურ შეხედულებას, თითქოს არის ენები, რომლებშიც ფონეტიკურ კანონთა მუდმივობა არ არის ჭეშმარიტი... საკითხი არ არის მომწიფებუ-

ლი და უმჯობესია ეს ფონეტიკა, ზოგჯერ უცნაური, მასაზრდოებელი მორფოლოგიას შევუერთოთ...“ სწორედ მორფოლოგიის საკითხების ანალიზის დროს ჩანს ავტორის თვალსაზრისი აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ფონეტიკური მიმართებების შესახებ.

ჟ. დიუმეზილის მონოგრაფიაში „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“ აფხაზურ-ჩერქეზულ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხებია ანალიზის საგანი. აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა მონაცემების განხილვისას ავტორი თითქმის მთლიანად საკუთარ მასალას ეყარება; ინგუშური თვითონ უკვლევია სტამბოლში მყოფ ინგუშებთან; ასევე უმუშავია ორ ჩეჩენთან და ორ ხუნძთან. ძალიან საინტერესოა ჟ. დიუმეზილის აზრი იმის შესახებ, რომ შედარებითი ფონეტიკა კავკასიაში განსაკუთრებულ პირობებშია და არ არის სწორი, თითქოს აღნიშნულ სამ ჯგუფში ლექსიკონები წარმოგვიდგენენ შესატყვისობათა მცირე რიცხვს. კავკასიურ ენებში ხშირად ფორმანტებში არა გვაქვს ის შესატყვისობანი, რაც ძირეულ მორფემებში დასტურდება (ამ მოსაზრებას არნ. ჩიქობავამ „დიუმეზილის ფენომენი“ უწოდა).

ჟ. დიუმეზილის ნაშრომის ბოლო თავი ბასკური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობას ეხება. ავტორის აზრით, ყველა მნიშვნელოვან საკითხში ამ ენებში თანხვედრა გვაქვს.

„ანატოლიურ დოკუმენტებზე“ კონფერენციაზე სპეციალური მოხსენება იქნება წარმოდგენილი, ასევე — ლაზური ტექსტების შესახებ, ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე ტომები აფხაზურ-ჩერქეზულ ენებს ეძღვნება. ავტორი წარმოგვიდგენს ტექსტებს, გრამატიკულ ესეებსა და კომენტარებს, შეაქვს შესწორებები ადრე გამოქვეყნებულ მასალაში, ანალიზში (არ ერიდება აღიაროს უზუსტობანი, რაც თვითონ მას აღრინდელ ნაშრომებში დაუშვია). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორ- და სამენოვანი ტექსტები, ჩვეულებრივი და ბჭკარედი თარგმანებით.

მონოგრაფიაში „უბიხური ზმნა“ (თანავტორი — თეფფიკ ესენჩი) არა მხოლოდ უბიხური ზმნის ანალიზია წარმოდგენილი, არამედ ხდება სხვა აფხაზურ-ჩერქეზული ენების მონაცემებთან სისტემატური შედარება.

ჟ. დიუმეზილის სხვა ნაშრომებს აქ აღარ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეში ჟ. დიუმეზილის დამსახურების სრულად აღნუსხვა მხოლოდ დიდ მონოგრაფიულ გამოკვლევაში თუ მოხერხდება.

აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ იმ ურთიერთობას, რაც ჟ. დიუმეზილს მის კავკასიელ ინფორმატორებთან აკავშირებდა, რომლებიც მისთვის არა მხოლოდ ენობრივი მასალის მიმწოდებლები იყვნენ, არამედ ადამიანები, რომლებიც სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ. უბიხურ სოფლებში ჟ. დიუმეზილი წლების განმავლობაში მუშაობდა და ძალიან დაუახლოვდა იქაურ მცხოვრებლებს. უბიხებთან ურთიერთობას ის „უბიხთა აკადემიას“ უწოდებდა. ჟ. დიუმეზილი გულისტკივილით აკვირდებოდა იმ დიდ ტრაგედიას, რაც მის თვალწინ ხდებოდა: ნელ-ნელა ქრებოდა ენა... ჯერ კიდევ 30-იან წლებში, მისი

დაკვირვებით, მოხუცები ლაპარაკობდნენ მშობლიურ ენაზე და ცოტა ესმოდათ თურქული; საშუალო თაობა ლაპარაკობდა მხოლოდ თურქულად და ესმოდა უბიხური; მესამე თაობამ მშობლიური ენა აღარ იცოდა და არც ესმოდა. მეცნიერი გამოთქვამს სინანულნარევ სურვილს: სათანადო პირობები რომ იყოს ენის სასწავლებლად, ბავშვებს მე ვასწავლიდიო...

ჩერქეზული მასალის ანალიზისას ჟ. დიუმეზილს ეხმარებოდა მისი ჩერქეზი მეგობარი აიტეკ ნამიტოყვა, რომელიც რამდენიმე მისი ნაშრომის თანაავტორია. ნამიტოყვასა და მისი უბიხი მეუღლის დახმარებით 50-იანი წლებში ჟ. დიუმეზილმა ისევ აღმოაჩინა უბიხურ ენაზე მეტყველი ადამიანები.

1954 წელს ჟ. დიუმეზილმა გაიცნო სოფელ ჰაჯი ოსმან ქოის მკვიდრი თევფიკ ესენჩი, უბიხებში გამორჩეული გვარის წარმომადგენელი. მათი მეგობრობა სანიმუშო იყო. ესენჩი ხშირად სტუმრობდა პარიზს, გვერდში ედგა და ეხმარებოდა თავის ფრანგ მასწავლებელსა და მეგობარს (სხვათა შორის, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თ. ესენჩი ისტორიული სამშობლოს სიყვარულმა ჩერქეზეთში ჩამოიყვანა).

ესენჩის პაპის შესახებ ჟ. დიუმეზილი იგონებს საინტერესო დეტალს. ეს უბიხებში ცნობილი და პატივცემული მოხუცი კაცი ახალგაზრდებს არივებდა თურმე: სამი რამ უნდა გააკეთოთ ყოველდღე — უნდა იშრომოთ, მაგრამ არა სახედარივით; იზრუნოთ გარემოზე (ქვეყანა, ბუნება); საღამოს კი უნდა დასხდეთ ბუხართან ჩიბუხით ხელში და იფიქროთ ყოველივე ამაზე.

ლაზურზე მუშაობისას ჟ. დიუმეზილი დაუახლოვდა ლაზ ინფორმატორს მუჰსინ ეროლს, რომელსაც ცხოვრების სიდუხჭირემ მიატოვებინა უმაღლესი სასწავლებელი. არადა, მისგან კარგი მოსამართლე დადგებოდაო, — გულისტკივილით აღნიშნავს მეცნიერი. სამწუხაროდ, მისთვის მხოლოდ ცოტა რამ შევძელი: ასისტენტად წავიყვანე პარიზში 1966-67 წლებშიო.

„ჩრდილო-კავკასიის ენათა შედარებით გრამატიკაში“ ჟ. დიუმეზილი თბილად იხსენებს კავკასიელ ინფორმატორებს: „ყოველი ახალი შეხვედრა იყო ახალი შესაძლებლობა ამ საზრიანი, ჭკვიანი ხალხის დაფასებისა და შეყვარებისა, იმ ხალხისა, რომელშიც ნაციონალური არ იბინდება დაბალი ფორმით და რომელიც მოხდენილ სინთეზში აერთიანებს ისლამს, მშობლიურ მხარესა და რაღაცას ისეთს, რაც ზოგადსაკაცობრიოს ჰგავს“.

ჟ. დიუმეზილმა კავკასიის ენობრივი სამყაროსადმი ინტერესი გაუღვივა არაერთ მეცნიერს (გ. შარაშიძე, კ. პარი...). ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი ჰანს ფოგტი მას თავის მასწავლებლად მიიჩნევდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია დიდ მეცნიერს სამეცნიერო მოღვაწეობა. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ჟ. დიუმეზილი შეხვედრია თავის მოწაფეს, პროფესორ გიორგი შარაშიძეს და მასთან სამომავლო გეგმებზე, კერძოდ, უბიხური ლექსიკონის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე უსაუბრია.

ჟ. დიუმეზილი კარგად იცნობდა ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ, სათანადოდ აფასებდა და ხშირად იმოწმებდა.

1978 წელს ჟ. დიუმეზილი საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს და ამით მან „უკვდავთა დასში“ ოფიციალურად დაიმკვიდრა ადგილი,

თუმცა მეცნიერის უკვდავების მთავარი გარანტი მაინც მისი უზარმაზარი შემოქმედებაა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ის თბილი ურთიერთობა და ერთმანეთის გულწრფელი პატივისცემა, რაც ორ დიდ კავკასიოლოგს — ფრანგ ჟორჟ დიუმეზილსა და ქართველ არნოლდ ჩიქობავას, ერთმანეთთან აკავშირებდა. სიმბოლურია, რომ ორივე 1898 წლის მარტში დაიბადა, ერთდროულად დაიწვეს სამეცნიერო მუშაობა, რაც თითქმის ერთნაირი ხანგრძლივობით გაგრძელდა...

დიდ ადამიანებზე ამბობენ: დროის მდინარეებსა თან ერთად მათი ნაღვაწის მნიშვნელობა უფრო და უფრო ნათლად წარმოჩნდებაო. ეს აზრი სრულად ეხება დიდ ფრანგ მეცნიერს ჟორჟ დიუმეზილს...

კავკასიოლოგები არასოდეს დაივიწყებენ ფრანგი მეცნიერის ღვაწლს. ჟორჟ დიუმეზილის — დიდი მეცნიერისა და დიდი ჰუმანისტის სახელი სამუდამოდ არის აღბეჭდილი კავკასიელი ხალხების მეხსიერებაში.

**VAZHA SHENGELIA, RUSUDAN JANASHIA**

**Georges Dumézil — Great Researcher of the  
Iberian-Caucasian Languages\***

**S u m m a r y**

An outstanding French scientist, a great researcher of the history of religion, epos, mythology and the Iberian-Caucasian languages, a member of the Academy of Sciences of France G. Dumézil (1898-1986) justifiably is considered to be a patriarch of the European caucasiologists. His fundamental researches dedicated to the mountainous Iberian-Caucasian languages take a remarkable place in his rich legacy.

G. Dumézil make a valuable contribution to research the Abkhaz-Circassian languages. Suffice it to say, that the first comparatively extensive monograph on Ubykh (1931), "Ubykh studies" (1959), "Ubykh texts" (1962), "An Ubykh verb" (1975) belong to him.

G. Dumézil is an author of the first comparative morphology of the Abkhaz-Circassian languages, a comparative grammar of the mountainous Iberian-Caucasian languages, researches on a Caucasian verb and many other noteworthy publications.

It should be mentioned, that he published many Laz texts, which were again published (with Georgian translations) in Tbilisi, 2009.

His hearty attitude towards the informants, who were not only providers of language material, but persons, who deserve love and respect, should be emphasized.

G. Dumézil arose interest in many scholars for language world (H. Vogt, G. Sharashidze, K. Paris...).

Caucasiologists and the Caucasian peoples never forget the name of great scholar and humanist Georges Dumézil.

---

\* The paper, the complete text of which is being published in Georgian here for the first time was read at the international conference dedicated to G. Dumézil in Tbilisi, on 16 March, 2009.

მანანა ჩაჩანიძე

**ერთი ტენდენციის თაობაზე თანამედროვე  
ლინგვიკომპარატიული პრაქტიკაში**

ლექსიკონთა შედგენის ტექნიკა — „საწარმოო ტექნოლოგია“ — საუკუნეების განმავლობაში დახვეწილ-ჩამოყალიბებული, მრავალსაფეხურიანი და რთული პროცესია. სალექსიკონო საქმის განვითარების დონე უპირობოდ განსაზღვრავს თეორიული ლექსიკოგრაფიის ფორმატს. შესაბამისად, ნაირგვარ ტენდენციათა გამოვლენის თვალსაზრისით, ლექსიკოგრაფიის ევოლუციის ნებისმიერ ეტაპზე დიფერენციული ნიშნის პრობლემა უპირველესია. ეს პრობლემა არაცხადად აქტუალური იყო მაშინაც, როცა ლექსიკოგრაფია მოიაზრებოდა, როგორც მხოლოდ ლექსიკონთა შედგენის ხელოვნება და მით უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც თეორიული ლექსიკოგრაფია დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად გაფორმდა. თანამედროვე ლექსიკოგრაფიული რეესტრი ამ აქტუალურობას კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით წარმოაჩენს.

იმის გამო, რომ კომპიუტერულმა ლექსიკოგრაფიამ მკვეთრად შეცვალა „ლექსიკოგრაფიული სიტუაცია“, კერძოდ, უკვე აღარ არსებობს მკაფიო საზღვრები აკადემიურ, დარგობრივ, გამოყენებით და საგამომცემლო ლექსიკოგრაფიას შორის, მოხდა ერთგვარი ინტეგრაცია ამ მიმართულებებისა. ამგვარ ვითარებაში, მეცნიერების განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება მრავალი ახალი საკითხი და მუდმივად დღის წესრიგში დგას სარევიზიო საქმე. ბუნებრივ ენათა კომპიუტერული დამუშავების პრაქტიკა, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ლექსიკოგრაფიულად რელევანტური ინფორმაციის უზარმაზარი მასივი, ცალსახად მიუთითებს იმ ორგანულ და ლოგიკურ კავშირებზე, რაც არსებობს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკონტროლისას. არსებითად, თანამედროვე ინტეგრაციული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე არაერთი მნიშვნელოვანი კორექტივის აუცილებლობა წარმოჩნდება იმგვარი ფუნდამენტური საკითხების დამუშავებისას, როგორცაა: დიფერენციული ნიშანი, კლასიფიკაციის კრიტერიუმები, ლექსიკონთა ტიპოლოგია, ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიური სისტემა (აღნიშნულ საკითხებზე დაწვრილებით იხ. მ. ჩაჩანიძე 2005; 2006; 2009). ბუნებრივია ისმის კითხვა: მაინც როგორ შეიძლება დახასიათდეს **თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა ზოგადად და რა მეცნიერული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს იმ ტოტალურ პროცესს, რომელიც მოწოდებულია თვისებრივი ცვლილებებისაკენ თეორიულ ლექსიკოგრაფიაში?**

ამ კითხვებზე მკვეთრად არგუმენტირებული პასუხი შეიძლება გვქონდეს დიფერენციული ნიშნისა და ლექსიკონთა ტიპოლოგიის პრობლემის სინქრონიული ანალიზის შედეგად. ის ფაქტი, რომ დიფერენციული ნიშანი ლექსიკონთა

ტიპოლოგიის საბაზო პოსტულატია, ცალსახად განსაზღვრავს ლექსიკონთა კლასიფიკაციის საკითხის ფუნდამენტურ მნიშვნელობას თეორიულ ლექსიკოგრაფიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ლექსიკონთა კლასიფიკაციები არცთუ მცირერიცხოვანი და არცთუ წინააღმდეგობრივია. ლექსიკონთა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაციები აქვთ ისეთ ცნობილ მკვლევარებს, როგორებიც არიან: ლ. შჩერბა, ხ. კასარესი, ი. მალკილი, გ. მატორე, ტ. ბესტერმანი, თ. სებეოკი, ჟ. რეი-დებოვი, ა. სუპრუნი, ლ. ბულახოვსკი, მ. აფაჟევი, ე. გალკინა-ფედოროვი, კ. ნეკრასოვა, მ. ანაშევა, ლ. ნოვიკოვი, ვ. პეტუშკოვი, ვ. სერგეევი, ა. ცივინი, ლ. პეტროსიანი, ვ. მორკოვკინი, ი. კარაულოვი, მ. ჭირაქაძე და სხვ. თითოეული საკლასიფიკაციო სისტემის აგების ცდა დაკავშირებული იყო გარკვეული პრობლემის გადაჭრასთან, კერძოდ, იმ გარკვეული პრობლემისა, რომელიც უშუალოდ აინტერესებდა ავტორს. ასე, მაგალითად, ლ. შჩერბამ შექმნა ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორია ენის თეორიის საკუთარი პრიზმიდან. მისი ტიპოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის თეორიის ისეთ თვალსაზრისთან, რომლისთვისაც ამოსავალია დაპირისპირება ენის აქტიური და პასიური გრამატიკისა და ლექსიკური შედგენილობისა. ლ. შჩერბას ტიპოლოგია არის ლექსიკონთა პირველი მეცნიერული ტიპოლოგია საერთოდ. მ. აფაჟევის ფენომენოლოგიური კლასიფიკაცია, მსგავსად ა. ცივინის გარეგანი დამკვირვებლის პოზიციიდან გაკეთებული კლასიფიკაციისა, ორიენტირებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომხმარებელთა ტიპოლოგიაზე და ამდენად, ეს კლასიფიკაცია არის ფაქტობრივი სახელმძღვანელო მომხმარებლისათვის, რათა მან აირჩიოს მისთვის საჭირო ლექსიკონი. ი. კარაულოვი, თუმცა მას ცხადი სახით არ მოუცია ლექსიკონთა კლასიფიკაცია, არის შემომტანი და მკვლევარი ლექსიკოგრაფიული პარამეტრის ცნებისა. მისი განმარტების თანახმად, პარამეტრად გაიგება რომელიმე კვანტი ინფორმაციისა ენის სტრუქტურულ-ფუნქციური და ექსტრალინგვისტური თავისებურებების შესახებ, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში შეიძლება წარმოადგენდეს მომხმარებლისათვის დამოუკიდებელი ინტერესის საგანს და, როგორც წესი, მოცემულია სხვა კვანტებთან (პარამეტრებთან) ერთად. ამასთან დაკავშირებით ი. კარაულოვი მიუთითებს სიტყვა-სტატიის ფრაგმენტთა ტიპებზე, რომელთა ერთობლიობის საფუძველზე ახდენს იდენტიფიცირებას ერთი ჯგუფის ლექსიკონებისა. არსებითად, ეს არის მითითება კონსტრუირებაზე. გამოყენებითი ლექსიკოგრაფია ამას უმატებს მხოლოდ ლექსიკოგრაფიულ პარამეტრთა სტრუქტურული ორგანიზაციის ცნებას და ქმნის თავის ტიპოლოგიას ავტომატიზებული (ელექტრონული) ლექსიკონებისა, რომლებიც ხასიათდებიან შენახვის (დაცვის) სტრუქტურის ერთიანობითა და ლექსიკოგრაფიული მონაცემებისადმი მიდგომის ერთიანობით. მრავალი ტიპი ლექსიკონისა კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიაში ხდება არა არსებითი, უფრო სწორად — უხილავი, მთელ რიგ ოპერაციათა ავტომატური შესრულების გამო. მომხმარებელმა და, ძალიან ხშირად, შემქმნელმაც სისტემისა არ იციან, თუ როგორ არის რეალურად სალექსიკონო სტატია (სიტყვა-სტატია) განთავსებული მონაცემთა ბაზაში, თუმცა კი ამ სიტყვა-სტატიის მიღება შეუძლიათ ნებისმიერი, მათთვის სასურველი, მოთხოვნის შესაბამისად. მხედველობაში გვაქვს სიტყვა-სტატიათა იმგვარი რიგი, როგორიცაა: ანბა-

ნური, პირდაპირი და შებრუნებული (ინვერსიული), ბუდობრივი, თემატური, დესკრიპტორული, სტატისტიკური (ანბანურ-სიხშირული და სიხშირულ-ანბანური) და მისთანანი. ფაქტობრივად, დასახელებული ნიშნები გვევლინებიან როგორც გარეგანი ფორმის პარამეტრები და ისინი არაარსებითია, უფრო ზუსტად, არ არიან სიღრმული (საკუთრივ ლექსიკონის) პარამეტრები. აღნიშნული მეტად თვალნათლივ ჩანს: (I) მონაცემთა ბაზიდან ყველა სახის ე. წ. ერთმხრივი ლექსიკონის (ორთოგრაფიული, ორთოეპიული, აქცენტოლოგიური, ფონეტიკური, გრამატიკული, ინვერსიული და ა. შ.) მიღების შესაძლებლობაში შესაბამისი ბრძანების (მოთხოვნის) საფუძველზე ორმხრივი ლექსიკონის სიტყვიდან (ცხადია, ამ უკანასკნელის საკმაო სისრულის, სტანდარტული გაფორმებისა და კომპლექსურობის პირობებში); (II) სინონიმთა, ომონიმთა, ანტონიმთა, ნეოლოგიზმთა და არქაიზმთა ლექსიკონები, დერივაციული და ფრაზეოლოგიური ლექსიკონები (ყოველ შემთხვევაში, მათი ნაწილი მაინც) შეიძლება მიღებული იყოს გამოყვანის (ერთგვარი დასკვნის) გზით „კარგი“ განმარტებითი ლექსიკონის („კარგს“ ვუწოდებთ ისეთ განმარტებით ლექსიკონს, რომელიც ყველა ამ ფაქტს შეიცავს) შესაბამისი ფრაგმენტებიდან და სხვ.

იმის გამო, რომ კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიაში არსებითია არა ლექსიკონთა ტიპები ტრადიციული გაგებით, არამედ ლექსიკონები, როგორც მონაცემთა ბაზები და ამ ბაზებთან მიმართვის განსხვავებული რეჟიმები, ლოგიკურად ისმის კითხვა: რომელი კლასიფიკაციური ნიშნები რჩება არსებითი კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიაში? ეს არის ფორმალისებადი ნიშნები. კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიაში ლექსიკონთა კლასიფიკაცია ეფუძნება ფორმალისებად ნიშანთა ჯგუფებს და მიმდინარეობს ლექსიკოგრაფირების ობიექტთა (მაგ., სიტყვა, მორფემა, შესიტყვება და მისთ.) და ამ ობიექტთა ატრიბუტების (ლექსიკოგრაფიული პარამეტრები, ლექსიკოგრაფიული მეტაენის ცვლადები) მიმართების მიხედვით, რაც საბოლოოდ ფორმდება მონაცემთა ბაზებისა და ამ ბაზებთან მიმართვის განსხვავებული რეჟიმების სახით. აქედან გამომდინარე, კომპიუტერულ ლექსიკოგრაფიაში ერთგვაროვან ტიპოლოგიურ ჯგუფებს ქმნიან, მაგ.:

1. საძიებლები, სიხშირის ლექსიკონები;
2. ორთოლოგიური (ორთოგრაფიული და ორთოეპიული) ლექსიკონები, მართლწერის სისტემები;
3. დერივატიკონი (მორფემული და სინტაქსური ლექსიკონები);
4. თარგმნითი ლექსიკონები;
5. განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონები.

თითოეული ტიპოლოგიური ჯგუფი ხასიათდება სიტყვა-სტატიის ურთიერთმსგავსი განზოგადებული სტრუქტურით და ერთიანი სტრატეგიით მონაცემთა განთავსებისა და მასში შეღწევადობის თვალსაზრისით. რაც შეეხება არაფორმალისებად ნიშნებს, ნიშანთა ეს ჯგუფები მთლიანობაში შეიძლება დავახასიათოთ როგორც „სტილი“ (ხერხი) ლექსიკოგრაფირების ობიექტთა აღწერისა. განმარტებითი, ენციკლოპედიური, ტერმინოლოგიური, ისტორიული, სასკოლო და ყველა სახის მანქანური ლექსიკონი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა იმდენად ლექსიკოგრაფირების ობიექტებით და მათი შემადგენელი ატრი-

ბუტებით (თუმცა თითოეულს აქვს თავისი სპეციფიკური ატრიბუტები), რამდენადაც ატრიბუტთა მნიშვნელობების მოწოდების ხერხით (შდრ. მაგ., დეფინიციები განმარტებით, ენციკლოპედიურ და სასკოლო ლექსიკონებში, სხვაობები მნიშვნელობათა განმარტებისას დიდ, საშუალო და მცირე განმარტებით ლექსიკონებში, ფორმალურ-გრამატიკული შენიშვნები ჩვეულებრივ და მანქანურ ლექსიკონებში, ილუსტრაციათა წარმოდგენა ჩვეულებრივ ლექსიკონებში [იმპლიციტური აღწერა] და განმარტებით-კომბინატორულ ლექსიკონებში [ექსპლიციტური აღწერა]).

ამგვარად, როგორც ტრადიციული, ისე კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის მიხედვით სტრუქტურულად გვაქვს ერთი ტიპი უნივერსალური ლექსიკონისა, ე. ი. ლექსიკონური ბაზა მონაცემებისა, რომლის ტიპურ სქემაში ცვლადებად მოცემულია: ობიექტთა ტიპები, ატრიბუტთა ტიპები და ობიექტების ატრიბუტთა მიმართების ტიპები ენობრივ სისტემასთან (სისტემებთან). ამ ერთგვარი შემოსაზღვრულობის მიუხედავად, ლექსიკონთა ფენომენოლოგიური ტიპები (ენის, როგორც სისტემის, ფუნქციონირების მიხედვით: სინქრონია, დიაქრონია, გეოგრაფია, ქრონოლოგია, სტილებრივი დიფერენციაცია და მისთ.) უაღრესად მრავალრიცხოვანია, რასაც, ფაქტობრივად, ადასტურებს ახალი ლექსიკოგრაფიული სიტუაცია. თუმცა ამავე სიტუაციის თანახმად, **თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა წარმოაჩენს ერთ მძლავრ ტენდენციას, რომელსაც შეიძლება ზოგადად დიფერენციულ ნიშანთა ნიველირების ტენდენცია ვუწოდოთ.** ამასთან, საგანგებოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლექსიკონთა ტიპოლოგიის აგების ყველა ეტაპზე თვალსაზრისთა ნაირგვარობის მიუხედავად ყველა მკვლევრისათვის ერთი რამ უდავოა: საერთო ენის განმარტებითი ლექსიკონი ცენტრალური ტიპია. ამგვარი დასკვნა მრავლისმეტყველია. იგი, უპირველესად ადასტურებს იმას, რომ ლინგვისტური მოდელირების იდეოლოგია, თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების ტენდენციები და საკუთრივ ლექსიკოგრაფიის ევოლუცია მოქმედებდა ერთი მიმართულებით.

### ლიტერატურა

**ჩაჩანიძე 2005** — მ. ჩაჩანიძე, კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის ადგილისათვის ლექსიკოგრაფიის ტაქსონომიურ სისტემაში. — საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბილისი.

**ჩაჩანიძე 2005** — მ. ჩაჩანიძე, ენის ლექსიკოგრაფიული მოდელი და ლინგვისტურ მონაცემთა ბაზები. — გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 12, ქუთაისი.

**ჩაჩანიძე 2006** — მ. ჩაჩანიძე, კომპიუტერული ლექსიკოგრაფია და ლექსიკონთა ტიპოლოგიის საკითხი. — გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბილისი, 7.

**ჩაჩანიძე 2009** — მ. ჩაჩანიძე, სინქრონიის ცნების საკითხისათვის თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში. — იკე XXXVII.

---

MANANA CHACHANIDZE

**On One Tendency in Modern Lexicographic Practice**

S u m m a r y

The modern lexicographic practice manifests one mighty tendency, that generally be called level tendency of different signs. Also, it should be emphasized, that on all stages of typological compiling of dictionaries, in spite of different viewpoints, one fact is indisputable for all researchers: an explanatory dictionary of common language is a core type. Such conclusion is eloquent. First of all it confirms, that ideology of linguistic modeling, development tendencies of the modern linguistics and evolution of lexicography acted towards one direction.

რონა ჭკალა

ოქენსუმიქიანი ზმნებისათვის სვანურში

სვანური ზმნის აწმყოს ფორმაში წარმოდგენილ ხმოვან სუფიქსთა შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს.

ვ. თოფურია მათ „თემისეულ ბოლოსართებს“ უწოდებს და ფუძეში შეაქვს: „...აწმყო დროის ზმნის ფუძე დასრულებულია -ე, -ო, -ა ან ნულ სუფიქსით“ (თოფურია 1967: 71). ამავე დროს, აწმყოს მწკრივის ძირითად ნიშნად მიაჩნია -ო, ხოლო -ე ← ა + ი სუფიქსის კონტრაქციით (თოფურია 2002: 181).

ვ. თოფურიას მოსაზრებას იმოწმებს და იზიარებს არნ. ჩიქობავა თავის შრომაში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ და იქვე უმატებს, რომ „...-ე და -ო სუფიქსები სხვადასხვა წარმომავლობისაა რომ აღმოჩნდეს, -ო სუფიქსის ხვედრი წონა სვანური ზმნის აწმყოს წარმოებისას გაცილებით დიდია ქართული ანალოგიური სუფიქსის ხვედრ წონასთან (მკ-ი-ს, ვსნ-ი-ს...) შედარებით. სწორედ ამ -ო სუფიქსიან ზმნებში უნდა იყოს დაცული სვანური ხოლმეობითი ისევე, როგორც ქართული მკ-ი-ს-ში გვაქვს გააწმყოებული ხოლმეობითი“ (ჩიქობავა 1948: 102-103).

-ე, -ო სუფიქსებს აწმყოს მწკრივის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებს უწოდებს ალ. ონიანი. ვ. მაჭავარიანი, ძირითადად, მოქმედებითი გვარის ზმნათა მოდლებში (ა---ი/ე) არსებულ სუფიქსებს ეხება და მათ თემის ნიშნებად მიიჩნევს. -ე სუფიქსს ქართულის -ებ-ს უკავშირებს, ხოლო -ო-ს ქართულის -ო-ს [იზიარებს არნ. ჩიქობავას ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს (მაჭავარიანი 1988: 103)].

აღნიშნულ სუფიქსებს ქართველურ ენებში თემატურ სუფიქსებად მიიჩნევს ნ. ნათაძე. თემატურ სუფიქსიან სტატიკურ ზმნებში განიხილავს ქართულის -ო სუფიქსიან ზმნებს მ. სუხიშვილი (სუხიშვილი 1976: 20). პრეფიქსებთან ერთად სახელის „გასაზმნავებელ“ საშუალებად თვლის -ო, -ე სუფიქსებს ზ. ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე 1981:154), ხოლო ზმნური სიტყვაწარმოების ერთ-ერთ გზად ოდენ სუფიქსურ წარმოებას მიიჩნევს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე 1995: 222).

აწმყოსეულ ნაკვთთა ფორმაწარმოებაზე შემთხვევით არ არის გამახვილებული ყურადღება. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, „...მორფოლოგიური სახესხვაობანი ყველაზე უკეთ სწორედ აქ (აწმყოს ნაკვთში) წარმოჩინდება. ნამყო ძირითადში (და, საერთოდ II სერიაში) ეს სახესხვაობანი მეტნაკლებად ნიველირებულია“ (ჯორბენაძე 1995: 67).

სვანურში აწმყოსეული ბოლოსართების ვარიანტებზე არის დამოკიდებული ზოგიერთი მწკრივის დაბოლოება.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის მი-

ხედვით, პრეფიქსაცია ქართველურ ენათა მორფოლოგიის უძველესი დამახასიათებელი პრინციპია (არნ. ჩიქობავა). იქ, სადაც არ გვაქვს პრეფიქსი, ვარაუდობენ, რომ მეორეულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით ლ. ნოზაძე აღნიშნავს: „...პრეფიქსულ ხმოვანთა განსაკუთრებული სიხშირე უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქართულ-კოლხურისაგან განსხვავებით ისტორიულად სვანურში არ ჩამოყალიბებულა თემატურ სუფიქსთა ერთიანი სისტემა“ (ნოზაძე 2008: 117).

სვანური ენის მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ სვანურში საკმაო რაოდენობით არის ოდენ ხმოვანსუფიქსიანი, თანხმოვანზე დაწყებული ზმნები, რომლებიც, ძირითადად, ე. წ. საშუალო გვარს განეკუთვნებიან.<sup>1</sup> -ი სუფიქსიანი ზმნები (ზ-ი-ს, ყვირ-ი-ს...), როგორც ცნობილია, ქართულში უძველესი ფორმაციისად არის მიჩნეული. მათი დრონაკლობა არქაულობით ახსნება: „მათ ვერ გაიჩინეს უღვლილების ნაკვთთა სტანდარტული წყება, შემოგვინახეს ის ვითარება, რაც სტანდარტების გაჩენას წინ უძღოდა“ (ჩიქობავა 1948: 106).

აწმყოს ფუძის წარმოების მიხედვით სვანურში შემორჩენილია უძველესი ვითარება. კერძოდ, აწმყოში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს მარტივი ფუძე აფიქსური გაფორმების გარეშე. მაგ., **კუშეშ** „ახველებს“, **კუეც** „კენესის“, **ზევ** „იჭინება“, **შდეკუ** „სლოკინებს“, **ბრეს** „ხმამალა ახველებს“, **სუიბ** „ცეკვავს“...

ლახამალურ კილოკავში მრავლად არის გაუდიფერენცირებელი სახელურ-ზმნური ლექსემები, რომელთაც გარეგანი სახეობის ლექსიკას უწოდებს ალ. დავითიანი და იქვე განმარტავს, რომ „ეს სახოვანი სიტყვები ორი მიმართულებით იშლება სახელისა და ზმნის“ (დავითიანი 2009 :316 )

მაგ: **ბიჩხ** 1. გაშლილი ხელის დარტყმის ხმა, 2. გაფარჩხული დგას.

**თიგ** 1. წვეტი, წვეტიანი, 2. კისერაწეული, აწვართული დგას.

სვანურში მეორე ეტაპი აწმყოს ფუძის გაფორმებისა არის ოდენ ხმოვანსუფიქსური წარმოება, რომელიც მეტწილად ახასიათებს განყენებულ სახელთაგან, მოქმედება-მდგომარეობის ან ხმიანობის აღმნიშვნელ „პირველად მასდართაგან“ ნაწარმოებ ზმნურ ლექსემებს<sup>2</sup>. თვით ეს მასდარებიც შემონახულია ენაში და ზმნური ორგანული ფორმების პარალელურად აღწერით წარმოებაში იღებენ მონაწილეობას. ზოგადად, ოდენ ხმოვანსუფიქსიანი ზმნები, ფორმის თვალსაზრისით, სვანურში შემდეგ მოდელებს ქმნიან:

1. ძირი + ი მაგ.: **ტულ-ი** „იძახის“, **ღვლ-ი** „იღრინება“, **კილ-ი** „კივის“;

**ფხგრკნ-ი** „ფხაკურობს“, **ღგრკნ-ი** „ღრიალებს“...

2. ძირი + ე მაგ.: **წეჩუე** „წვეთავს“, **ჰებ-ე** „ქშენს“, **კუემბრ-ე** „ქურდობს“...

სუფიქსების წინ შეიძლება სხვადასხვა დანიშნულების აფიქსები ჩაერთოს. ამ ზმნათა ნაწილი განხილული აქვს კლ. გაგუას წიგნში „დრონაკლი ზმნები სვანურში“. ავტორი ხაზს უსვამს სვანურის იდენტურობას ქართულთან: ორივე-გან მედიოაქტივები დრონაკლია, ნაკლული ფორმების შევსება ხდება სათანადო

<sup>1</sup> .ზემო აღნიშნულ სუფიქსთა თემატურ ნიშნებად მიჩნევა საკამათოა, რადგანაც ზოგ დიალექტში ( მაგ. ბალსქვემოურში) გადაყვება სხვა ნაკვთებში, ზოგში - არა. ერთი რამ უდავოა, ეს სუფიქსები აწმყოს ფუძეს აფორმებენ.

<sup>2</sup> სტატიამი არ განვიხილავთ ე. წ. ფუძედრეკად ზმნებს, რომლებსაც ასევე ფუძე თანხმოვანზე ეწყებათ და სუფიქსური წარმოებაც ახასიათებთ.

გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევის ფორმების ხარჯზე (გაგუა 1976:197).

ხმოვანსუფიქსიანი ზმნათა ერთი რიგის წარმოება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება განყენებულ სახელებზე -ი-ს დართვით:

ბზ., ლშხ. **ტჷლ**, ბქ. ლნტ. **ტულ** „ძახილის ხმა“

ბზ., ლშხ. **ტჷლ-ი**, ბქ. ლნტ. **ტულ-ი** „იძახის“

ბზ., ლშხ. **ყჷლ**, ბქ. ლნტ. **ყულ** „ყვირილი“

ბზ., ლშხ. **ყჷლ-ი**, ბქ. ლნტ. **ყულ-ი** „ყვირის“

**ჩხგლ** „ჩხავილი“ — **ჩხგლ-ი** „ჩხავის“

**ზჷლ** „ზმული“ — **ზჷლ-ი** „ზმულის“

**შგლ** „შული“ — **შგლ-ი** „შიშინებს“

**სგლ** „სისინი“ — **სგლ-ი** „სისინებს“

**კილ** „კივილი“ — **კილ-ი** „კივის“ და ა. შ.

ორგანული ზმნური ფორმების პარალელურად, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აღწერითი წარმოებაც, მაგ: **ყულს** იკედ „ყვირის|ყვირილს იღებს“, **კილ** ანკიდ „დაიკივლა|კივილი აიღო“ და ა. შ.

-ი სუფიქსით იწარმოება ფუძეგაორკეცებული, ე. წ. პირველად მასდართავან მიღებული ზმნები.<sup>1</sup> გაორკეცების წესით წარმოქმნილ მასდარებში ხშირად ხდება ფონეტიკური სახეცვლილება. სვანური ენის მონაცემთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს არის, ძირითადად, საერთო-ქართველური მასალა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა და სემანტიკური ნიუანსებით. სემანტიკის თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ჯგუფი:

1. მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ზმნები:

ბზ. ლშხ. **მურღუნ** ბქ. ლნტ. **მურღუნ** „ბუზღუნ“ — **მურღუნ-ი** „ბუზღუნებს“

ბზ. ლშხ. **ტგრტგნ** ბქ. ლნტ. **ტგრტგნ** „რატრატი“ — **ტგრტგნ-ი** „რატრატებს“

ბზ. ლშხ. **ცურცუნ** ბქ. ლნტ. **ცურცუნ** „ჩურჩული“ — **ცურცუნ-ი** „ჩურჩულებს“

ბზ. ლშხ. **ფურსდუნ** ბქ. ლნტ. **ფურსდუნ** „ჩურჩული“ — **ფურსდუნ-ი** „ჩურჩულებს“

ბზ. ლშხ. **ჭგრჭგნ** ბქ. ლნტ. **ჭგრჭგნ** „ჭრიჭინი“ — **ჭგრჭგნ-ი** „ჭრიჭინებს“

2. ხმები, რომლებიც მოქმედების თანმხლებ ხმას გამოხატავენ:

ბზ. ლშხ. **ხგრგგნ** ბქ. ლნტ. **ხგრგგნ** „ხრიგინი“ — **ხგრგგნ-ი** „ხრიგინებს“

ბზ. ლშხ. **ტყურფუნ** ბქ. ლნტ. **ტყურფუნ** „ტკაცანი“ — **ტყურფუნ-ი** „ტკაცანებს“

ბზ. ლშხ. **ღგრჭგნ** ბქ. ლნტ. **ღგრჭგნ** „ღრჭილი“ — **ღგრჭგნ-ი** „ღრჭილებს“

ბზ. ლშხ. **გურბუნ** ბქ. ლნტ. **გურბუნ** „რახრახი“ — **გურბუნ-ი** „რახრახებს“

ბზ. ლშხ. **თხურპუნ** ბქ. ლნტ. **თხურპუნ** „თუხთუხი“ — **თხურპუნ-ი** „თუხთუხებს“

აბსოლუტურ-გარდაუვალი არიან, ძირითადად, -ე სუფიქსიანი ზმნებიც<sup>2</sup> თუმცა შესაბამის კონსტრუქციაში შეიძლება ორპირიანობის ფუნქციის მქონეც

<sup>1</sup> ა. შანიძე ამ ტიპის ზმნურ ლექსემებს „უსაწყისო ზმნებს“ უწოდებს (შანიძე 1980:565)

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გ. მაჭავარიანს -ე სუფიქსი სახელისაგან გარდაუვალი (ე. წ. საშუალო გვარის) ზმნათა მაწარმოებლად მიაჩნია (მაჭავარიანი 1988: 103).

აღმოჩნდნენ. ამ ტიპის წარმოება გვხვდება არქაული შინაარსის ლექსებშიც და საკმაოდ პროდუქტულია დღესაც

- წიფნარ** - ე „წინჟღავს“      **თართხელ** - ე „თოვს“
- შღუ** - ე „თოვს“                **თხარსკ** - ე „სეტყვა მოდის“
- უჩნ** - ე „წვიმს“                **ფინფლაჟი**-ე „მსხვილად თოვს“
- პინსლაჟი**-ე „წვრილად თოვს“...

ამავე ვითარებას გვიჩვენებს ნასესხები ლექსიკაც:

- ცურაჟი** - ე „ცურაობს“            **სარჩლი**-ე „ჩივის, სარჩლობს“
- ლლაბუც** - ე „ლლაბუცობს“      **სლოკინ**-ე „სლოკინებს“
- ცხოჟრებ** - ე „ცხოვრობს“      **ფათურ**-ე „ფათურობს“
- შხამ** - ე „იშხამება“            **შბოთ**-ე „შფოთავს“
- ბულჟი** - ე „ამტვერებს“        **ცმოტ**-ე „ცქმუტავს“ და სხვა...

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ოდენსუფიქსიანი ზმნური ლექსებები ჩოლურულში. ორასზე მეტი ასეთი ფორმა დავაფიქსირეთ ასლან ლიპარტიელის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“. გამორჩევით საინტერესოდ გვეჩვენა მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები.

- მაგ., **ბარბოჩი**-ი „ხმამალლა ლაპარაკობს“
- დარდალი**-ი „უთავბოლოდ ლაპარაკობს“
- სარტალი**-ი ბრაზიანად ლაპარაკობს“
- სხგრპლანჟი**-ი „ბილწი ენით ლაპარაკობს“
- თანთული**-ი „რბილად ლაპარაკობს“
- პანტული**-ი „ადგებულად ლაპარაკობს“

- გაჟი**-ე
- გაჟთ**-ე } ყბედობს
- გაგზ**-ე

საინტერესოა, რომ -ე სუფიქსიან ზმნათათვის, რიგ შემთხვევაში, დამახასიათებელია პრეფიქსული წარმოებაც. მაშასადამე, ოდენ სუფიქსურის პარალელურად გვხვდება პრეფიქს-სუფიქსური წარმოებაც:

- პალტი**-ე || **ა-პალტი**-ე „ქოთქოთებს“
- შუნშხუ**-ე || **ა-შუნშხუ**-ე „სრუტუნებს“
- წაკტი**-ე || **ა-წაკტი**-ე „კაპასობს“
- პაჭუ**-ე || **ა-პაჭუ**-ე „ბევრს ლაპარაკობს“ და სხვა.

ზემოაღნიშნულ ზმნათა ტიპები ნამყოფი ვეხვდებით, ძირითადად, **ლა**- პრევერბიან ფორმებს იყენებენ თითქმის ყველა დიალექტში და ერგატიულ-ბრუნვიანი სუბიექტი ახლავს. ზოგადად, **ლა**- ზმნისწინი ოდნობის მნიშვნელობის მქონეა, ისევე, როგორც ქართული **წა**-. პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს **ეს**- პრევერბიანი წარსულის ფორმებიც.

- კილი**-ი — ბზ. **ეს-კილი**, ბქ. **ეს-კილი**, ლშხ. **ეს-კილი**-ე, ლნტ. **ეს-კილი**-ე „დაიკვილა“
- ჭყელი**-ი — ბზ. **ეს-ჭყელი**, ბქ. **ეს-ჭყილი**, ლშხ. **ეს-ჭყელი**-ე, ლნტ. **ეს-ჭყელი**-ე „დაიჭყილა“
- ტული**-ი — ბზ. **ეს-ტული**, ბქ. **ეს-ტული**, ლშხ. **ეს-ტული**-ე, ლნტ. **ეს-ტული**-ე „დაიძახა“

**ეს-** პრევერბიანი ფორმები ერთჯერად მოქმედებას გამოხატავენ წარსულ დროში, მაშინ როდესაც აწმყოსეული **კილ-ი...**, **ტულ-ი...** ფორმები განგრძობითი ხასიათის ქმედებას გადმოგვცემენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ლა-ა** ზმნისწინიანი ფორმები სათავისო ქცევისად არის მიჩნეული, ხოლო **ტულ-ი** ... ტიპის ფორმებთან ნამყო წყვეტილში **ლა-ა** პრევერბიანება დაფიქსირებული. თუმცა სვანურ ენაში პარალელურად გვაქვს **ეს-**იანი ფორმებიც. აწმყომი **-ი**, **-ე** სუფიქსებით ზმნათა წარმოება სვანურის ყველა დიალექტში გვაქვს, მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებულია ჩოლურულსა და ლახამულურში.

ზემოთ განხილული მასალა ცხადყოფს, რომ სვანურში ზმნის აწმყოს ფორმის წარმოებისთვის ნიშანდობლივია არა მხოლოდ პრეფიქსაცია, არამედ სუფიქსური წარმოებაც, რომელიც პროდუქტიულია დღესაც და თავს იჩენს საშუალო გვარის ზმნათა ფორმებში, განსაკუთრებით ნასესხობებში.

### ლიტერატურა

- გაგუა 1976** — კლ. გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბილისი.
- დავითიანი 2008** — ალ დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ იკე, XXXVI, თბილისი.
- თოფურია 1967** — ვ. თოფურია, სვანური ენა I, ზმნა, თბილისი.
- თოფურია 2002** — ვ. თოფურია, სვანური ენა, შრომები, II, თბილისი.
- ლიპარტელიანი 1994** — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი თბილისი.
- მაჭავარიანი 1988** — გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე XXVII, თბილისი.
- ნოზაძე 2008** — ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.
- სუხიშვილი 1976** — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი.
- ჩიქობავა 1948** — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.
- ჭუმბურიძე 1981** — ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, აკაკი შანიძეს, თბილისი.
- ჯორბენაძე 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.
- ჯორბენაძე 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

**ROENA TCHKADUA****Towards the Verbs With Suffix in Svan****S u m m a r y**

There are different viewpoints on vowel suffixes which occur in Svan verb in present (V. Topuria, Arn. Chikobava, Al. Oniani, G. Matchavariani, Z. Tchumburidze, L. Nozadse...).

Studying the Svan material showed, that in verbal word-formation suffixical formation also occurs along with prefixation. Classificating of these suffixes into theme markes is a disputing subject. But one thing is clear: **-i** and **-e** suffixes play a great role in formation of a present stem.

ნიმუხი ხანიაშვილი

არსებობის სემანტიკური ველის ზმნათათვის

(ს უ ფ ე მ ა)

ენაში ხშირად ერთი და იმავე მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ზმნა გამოყენებული და პირიქით, ერთი და იგივე ზმნური (ან სახელური) ძირი სხვადასხვა სემანტიკის მქონე ლექსიკურ ერთეულებს უდევს საფუძვლად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა არსებობა-მყოფობის აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც უძველესი ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში შედის.

„არსებობის“ სემანტიკური ველის ზმნათათვის, როგორც არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, ნიშანდობლივია „ქონა-ყოლის“ ზმნებად ტრანსფორმაციის უნარი, აგრეთვე, „მდგომარეობა-მოძრაობისა“, „განგება-ქმნისა“ და ა. შ. მნიშვნელობების მქონე ზმნებად გარდაქმნა. ამასთან ერთად, „არსებობის“ ზმნებს შესწევთ უნარი გარკვეული მორფოლოგიური საშუალებებით ზმნური სემანტიკის გააქტიურებისა, დინამიკურ ზმნებად გარდასახვისა (მდრ. არ-ს და ი-არ-ების, ჰ-გ-იეს და განა-გ-ებს...)... მასალობრივი და სემანტიკური მომენტების გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „არსებობა-მდგომარეობისა“, „ქონა-ყოლისა“ და „მოძრაობისა“ ზოგიერთ ზმნასა და ნაცვალსახელს საერთო ძირეული მასალა მოუპოვება, კერძოდ: [რ]: ა-რ-ს — რ-ა; [გ]: ჰ-გ-იეს, ე-გ-ო — ი-გ-ი, ე-გ-ე; [ვი]: უ-ვი-ს — ვი-ნ (ა. არაბული, ე. ოსიძე, მ. ქურდიანი).<sup>1</sup>

<sup>1</sup> „არსებობა-მყოფობის“ აღმნიშვნელ ზმნებთან დაკავშირებით კიდევ მრავალ მეცნიერს აქვს გამოთქმული თვალსაზრისი, ჩვენ მხოლოდ ნაწილს დავასახელებთ: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება; ქ. ლომთათიძე, ქართული აქვს ზმნა მეგრულში; მისივე „ყოფნა-არსებობისა და ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნათა ძირეული ნაირსახეობების წარმომავლობა ქართველურ ენებში“; გ. როგავა, ძველი ქართული უვის ზმნის ფონეტიკური და სემანტიკური ვარიანტები ქართველურ ენებში, პ. გაჩეჩილაძე, უვის ზმნის ეტიმოლოგიისათვის; ეკ. ოსიძე, ვარაუდები არსებობისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზოგი უძველესი ზმნის წარმომავლობის თაობაზე; ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში; ივ. ჭავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, ვაჟა შენგელია, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილება ძველ ქართულში; ავთ. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში; მ. ჩუხუა, მ. სუხიშვილი, ნ. მახარაძე, საერთოქართველური \*-არ/-რ ძირის სემანტიკური არქტიპის ძიებისათვის; ნ. ლოლაძე, სტატიკურ ზმნათა ფორმობრივი და სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში“;

ძველ ქართულში არსებობის აღსანიშნავად გვხვდება **სუფევა** (სუფევს) ზმნაც, რომელიც ძველი ქართულის ლექსიკონებში უმეტესად განმარტებულია როგორც „მეფობა“, „ბატონობა“:

„უფალი ს უ ფ ე ვ ს, შუენიერება შემოისა“ ფსალმ. 92,1.

„ნუჟუჟე სუფვენ ცოდვამ მოკუდავთა მაგათ ჯორცთა თქუენთა“ ჰრომ. 6,12.

**სუფევა** „მეუფება“: ანგელოზი ახარებს ღვთისმშობელს: „და **მეუფებდეს** სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და **სუფევისა** მისისა არა იყოს დასასრულ“ DE ლუკა 1, 33. „**მეუფებისა** მისისა არა იყოს დასასრულ“ C (ილ. აბულაძე).

„მეფობა“ (?):

უფალი იესო გამოიცდება უდაბნოში, ეშმაკმა „აღიყვანა იგი მთასა მაღალსა და უჩუენნა მას **ყოველნი სუფევანი სოფლისანი** გამოხატვითა ჟამითათა“ ლუკა 4,5. „ყოველნი სუფევანი სოფლისა“, ალბათ, უფრო „ამქვეყნიური სიკეთენი“ უნდა იყოს...

„**ბატონობა**“: „ვითარცა **სუფევდა** ცოდვამ სიკუდილსა შინა, ეგრეცა მადლი **სუფევდეს** სიმათლესა შინა“ ჰრომ. 5, 21.

„**ცხოვრობდნენ**“ (იყვნენ): ვინც არ მიიღებს „ბეჭედს მვეცისასა“ „**ცხონდეს** და **სუფევდეს ქრისტეს** თანა ათასსა მას წელსა“ (გამოცხ. 20, 4) და იქვე: „და ღამე არა იყოს მუნ, ...რამეთუ უფალმან ღმერთმან განანათლნეს იგინი, და **სუფევდენ** უკუნითი უკუნისამდე“: (გამოცხ. 22, 5).

**სუფევამ, სასუფეველი, უფალი** და ა. შ. უკვე ხანმეტ ტექსტებშია დადასტურებული:

„მამაო ჩუენო [ზეცათაო] რომელი ხარ ცათა შინა წმიდა ხიყავნ სახელი შენი მოვედინ ს უ ფ ე ვ ა შენი“ მათე 6, 9-10; ლუკა 11,2. „ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ც ა თ ა დ ხიძულეების“ მათე 11,12. „მიერთგან ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ღ მ რ თ ი ს ა დ ხეხარების...“ ლუკა 16,16.

სულხან-საბას განმარტებით, **სუფევა** „მაღალი მეფობაა“, **სასუფეველი** კი: „ესე არს **სამყოფი** ანგელოზთა, სადა წმიდანი **არიან** წინაშე ღთისა B“...

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „ს-უფ-ევ-ს, მე-უფ-ე, უფ-ალ- ერთი ძირიდან ნაწარმოები ჩანს; ესაა უფ- (რომელშიც შესაძლებელია -უ- ძირს შეხორცებული პრეფიქსი იყოს). ს-უფ-ევ-ს ზმნაში **ს-** პრეფიქსი ისევეა შემონახული, როგორც შე-ი-ს-ყიდ-ა, გამო-ი-ს-ყიდ-ა-ში (ა. ჩიქობავა 1942, 225).

**სუფევა** „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: „ძვ. და წიგნ. სახელი ს უ ფ ე ვ ს ზმნის მოქმედებისა, — მეფობა, ბატონობა; **არსებობა, ყოფნა**“... **სასუფეველი** ეკლ. წმინდანთა სულების **სამკვიდრებელი** ზეცაში, — სამოთხე“... (ქეგლ VI, 1960).

ღ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ვკითხულობთ: **სუფევა** მაღალი მეფობა;

მარინე ბერიძე, „არს (არის) და „ჰვიეს“ და „არე“ „ადგილი“ „ალაგი“ ფორმათა სემანტიკური და ფორმობრივი მიმართებისათვის“ და ა. შ. უცხოელთაგან: ე. ბენვენისტი, კ. შმიდტი, გ. დეეტერსი, გ. ბოედერი, გ. კლიმოვი და სხვ.

**ყოფნა მშვიდობით...** царствование; пребывание в вожделевном здравии; блаженство; მოვედინ სუფევა შენი და იყავნ ნება შენი, და будет царство твое и да будет воля твоя... მატ. 4;8, ლუკ. 23-42; ლუკ. 1-33; ვეფხ. 802 (ვპსუფევ, სრ. არ აქვს); ზ. უ. ვპმეფობ; კარგად ვიმყოფები, ვარ მშვიდობით; царствовать; пребывать в счастье; блаженствовать; ფსალ. 98-1; 92-1; 96-1; 1 ქართლ. 310; ტიმ. 12... **უფალი** სამღვთო წერილში ოჯი; **ღმერთი, დამბადებელი, მეუფე**, ბატონი, პატრონი... (დ.ჩუბინაშვილი 1984).

**სუფევა** ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა „არსებობა, მყოფობა“ უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, უფალი „მყოფი“, შდრ: „მე ვარ რომელი ვარ“ (გამოსვლ. 3, 14)<sup>1</sup> ამის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი ამონარიდი წმინდა „მამათა სწავლანიდან“: „პრქუას **მეუფემან** მარჯუენით მდგომარეთა მათ...: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი განმზადებულნი თქვენთვის სოფლის დაბადებითგან წინაფთ“, მაშინ, ძმანო ჩემნო, მიიღონ გვრგვნი შეუენიერი და სასუფეველი დიდებული ველისაგან ღმრთისა თვისა და **სუფევედენ ქრისტეს** თანა, რაჟამს დაიმკვიდრენ კეთილნი იგი აღთქუმულნი ღმრთის მოყუარეთათჳს. მაშინ არლარა იყოს შიში და მწუხარება; ყოვლადვე გულისკმა-ჰყავ, ზ, ძმაო, რად არს სასუფეველი ცათა. ესე არს ვითარცა თქუმულ არს, რამეთუ მიიღო გვრგვნი ველისაგან ღმრთისა შენისა და **ქრისტეს თანა სუფევედე უკუნისამდე**“ (მამათა სწავლანი 15, 35 — 16, 5. იოანე ოქროპირის ქადაგება...).

და კიდევ ერთი: „მამაო ჩუენოს“ დასასრული: „...რამეთუ შენი არს **სუფევა**, ძალი და დიდება, აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ!“<sup>2</sup>

<sup>1</sup> **სუფევა** ზმნა თავდაპირველად მიემართებოდა უფალს, უზენაესს და მისი მნიშვნელობა ღმრთის, უფლის, უზენაესის არსებობა — მყოფობა, განგებულება („მეფობა, ბატონობა“ — უფრო კრძალვის, პატივისცემის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რაც შემდეგ მიწიერ მეფობა, ბატონობა, მფლობელობაში გადავიდა. ისევე როგორც სიტყვა უფალი — თავდაპირველად ღმრთის ეპითეტი იყო, შემდეგ კი უბრალოდ, მიწიერი ბატონის, პატრონის...

საგულისხმოა, რომ ასევე ხელმწიფება, ძალნი, მხედრობანი და მთავრობანი... და ა. შ. ზეციური იერარქიის აღმნიშვნელი სიტყვებია (სახელებია), რაც შემდეგ ამქვეყნიური იერარქიის აღმნიშვნელ ტერმინებად დამკვიდრდა.

<sup>2</sup> შდრ.: ე. ნიუსტრემის ბიბლიური ლექსიკონი:

**Господь** (ევრ. ადონაი): Это слово часто встречается в Библии и соответствует евр. **Иегова** (Вечный) и **Адон** (Господин). См. быт. 18:3, 39:2; Исх. 4:10. Этому слову в греческом тексте Нового Завета соответствует **Кириос**, которое относится как и Отцу, так и к Сыну (Иоан. 20:28; Деян. 10:36, Отк. 1:8; 19:6,16).

**Бог**: Во всех книгах Ветхого Завета мы находим два главных названия **Божественной Сущности** — **Элохим** и **Иегова**. Эложим есть множественное число от Эль или Элоах (араб. Аллах). Элоах — позднейшая поэтическая форма (Иеem 9:17; Цар. 22:15, евр. текст.). Также встречается Элом, мой Бог, и более короткая форма — Эль, напр. Эль — Мадай (Бог Всемогущий)... Обрати внимание Исх. 6:3. "Является Аврааму, Исааку и Иаков с именем "Эль — Шаддой (Бог Всемогущий) а с именем **"Иегова" (Господь)** не лькьодьс им."...

Еврейское слово **Иегова**, вероятно, особенная форма будущего времени от глагола **хавах**, т. е. **быть** "иехвех", т. е. "Он существует" — так Бог называет себя в Исх. 3:14: "Я есть Сущий, или просто "Я есмь", или также (будущ. хифиль) "иахвев", т. е. "Он дает существование", следовательно, - дающий жизнь... Везде в еврейской Библии где встречается это таинственное слово (ИХВХ) евреи читают Адонам (Господь). Но если в еврейском тексте Библии написано Адонаи ГНВН, то они читают Адонам Элохим (Господь Бог), напр., в Ис. 50:4 и далее...

**სუფევა** ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა „არსებობა, მყოფობა: უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი მფლობელობა „მეფობა, ბატონობა“ და ა. შ. და ეს ბუნებრივცაა, რადგანაც, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ქონა-ყოლის ზმნები პირველადნი არ არიან, ისინი სათავეს არსებობა-მდგომარეობის ზმნებიდან იღებენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მსოფლიოში გვაქვს ისეთი ენები, რომლებშიც ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნა არ მოიპოვება, მაგრამ წარმოდგენილია „არსებობის“ გამომხატველი ზმნები (ე. ბენვენისტი 1974, 215); ხოლო იბერიულ-კავკასიურ ენებში „ქონა-ყოლის“ შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით რამდენიმე საფეხურიც კი გამოიყოფა (შენგელია 2006, 121).

ამგვარად, ვარაუდს ქართულში სუფევს ზმნის „არსებობის“ სემანტიკის პირველადობის შესახებ სხვა ენებში არსებული ვითარებაც უჭერს მხარს.

### ლიტერატურა

**ხანმეტი ტექსტები** — ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ (რედ.: მზ. შანიძე), თბილისი, 1984.

**მამათა სწავლანი** — მამათა სწავლანი (X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ილ. აბულაძემ, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955 (ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 8).

**ლომთათიძე 1963** — ქ. ლომთათიძე, ქართული აქვს ზმნა მეგრულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბილისი.

**ოსიძე 1998** — ეკ. ოსიძე, „ვარაუდები „არსებობისა“ და „ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზოგი უძველესი ზმნის წარმომავლობის თაობაზე“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბილისი.

**ჩიქობავა 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

**არაბული 2001** — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, „ქართული ენა“, თბილისი.

**აბულაძე 1973** — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**სულხან-საბა** — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ., თბილისი, 1991, 1993.

**შენგელია 2006** — ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

**ქეგლ VI, 1960** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექ-

სიკონი, II გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკ. შანიძემ, თბილისი.

**სინური მრავალთავი** — ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი, 1975.

**ხანმეტი ლექციონარი** — ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპირი რეპრუდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო აკ. შანიძემ, თბილისი, 1944.

**სოსელია 2006** — ე. სოსელია, \*„ფალ-||ფლ- ძირის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი.

**ბენვენისტი 1974** — Эмиль Бенвенист, общая лингвистика, Москва.

**სარჯველაძე, ფენრიხი 2000** — ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

## NINO KHAKHIASHVILI

### Towards the Semantic Field of the Verbs Existence (*supcva*)

#### S u m m a r y

Sometime in a language different verbs are used to express the same action and vice versa, the same verbal (or nominal) stems are the basis for the entries having new semantics.

From this viewpoint the verbs denoting "existence", that are the ancient lexical fund, are especially noteworthy.

As it was mentioned in the special literature, ability of transformation into "to have" verb, also into the verbs with the meaning of "state-action", "to make / to do" and so on is characteristic of the verbs of semantic field of the "existence".

In Old Georgian the verb **supcva (supcvs)** also occurs to denote the "existence", that is mostly explained as "to reign, to rule" in the Old Georgian dictionaries.

An initial meaning of the verb **supcva** should be "existence" and then "reigning, ruling" and so on. And this is natural, as it is mentioned in the scientific literature, the verbs of "to have" are not primary. They are sourced from the verbs of "existence". From this viewpoint, it is noteworthy, that in the world there are the languages, which have the verb denoting "having", but they have the verbs denoting "existence" (E. Benveniste). In the Iberian-Caucasian languages several stages are distinguished to denote the content of "having" (V. Shengelia).

Thus, the assumption on primacy of the semantics of "existence" in Georgian is supported by the existing situation in other languages.

**ენო ჯორჯანაჟი**

**საშუალო გვარის უთემისნიშნო ზმნების  
სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი  
და უღლების კირითადი საკითხები**

საშუალო გვარის უთემისნიშნო ზმნებში ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა:

1. ფორმები, რომელთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად **-ი** მოუღლით;
2. ფორმები, რომელთაც აწმყოში ნიშანი არა აქვთ.<sup>1</sup>

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

**I ჯგუფი**

**-ი დაბოლოებიანი ზმნები**

**-ი** დაბოლოებიანი უთემისნიშნო (უმეტესად, ერთპირიანი) ფორმების საკმაოდ დიდ ჯგუფში შემოღიან სხვადასხვა სტრუქტურისა თუ პირიანობის მქონე ზმნები. მათი უმრავლესობა ერთ- ან ორმარცვლიანი ფორმებია:

1. ერთმარცვლიანები: *ზის, ძრწის, კრთის, ქრის, ფრთხის, ხტის, რბის;*

2. ორმარცვლიანები: *იღვწის, ტირის, კნავის, კივის, ჭყივის, ყმუის, ღმუ-ის, ზმუის, ყვავის, ტყუის, არის, ყვირის, კვნესის, ღვივის, მღერის;*

ამასთან, შინაარსის მხრივ ორი დიდი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

1. გარკვეული ხმიანობის გამომხატველი ფორმები: *იციინის, ყვირის, კვნე-სის, ტირის, ხვნეშის, ღნავის, ჭყივის, ყმუის, ზმუის, ბლავის, ჩხავის, მღერის;*

2. მოძრაობის ან მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: *ძრწის, კრთის, ქრის, თრთის, ხტის, (მი)რბის, ზის;*

**II ჯგუფი**

**ზმნები, რომელთაც აწმყოში ნიშანი არა აქვთ**

ამ ზმნათა რაოდენობაც საკმაოდ ბევრია. ძირითადად ესენიც ერთ- ან ორმარცვლიანი ფორმებია:

1. ერთმარცვლიანები: *ძგერს, ყღერს, წვიმს, ჭუხს, დუმს, წუხს, თოვს, ყეფს, დვას, წევს, დევს, ღირს, სძულს, სჯობს, სურს, შურს, დუმს, ჩანს, ჭირს;*

2. ორმარცვლიანები: *ღელავს, გალობს, სუფევს, ახსოვს, უყვარს, უკვირს, უჭირს, უღირს, უმიძიმს;*

პირიანობის მხრივ გვხვდება როგორც ერთ-, ისე ორპირიანი (მათ შო-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავას მოსაზრების მიხედვით, **-ი** სუფიქსი დაკარგული უნდა იყოს *ღუმს* ტიპის ფორმებშიც (ჩიქობავა 1948 : 107)

რის პირდაპირობიექტიანი) ფორმები:

1. ერთპირიანი: *ჟღერს, ქუხს, ღელავს, ჩქევს, წუხს, ყევს, თოვს, ღვას, წევს, დევს, დუმს, ჩანს, ყარს, ჭირს — ის*;

2. ორპირიანი: *უყვარს, ახსოვს, სძულს, ჰგავს, აქვს, სწადს, სჯობს, სურს, უმძიმს, უკვირს, უღირს — ის მას*;

ბევრია **უ-** პრეფიქსიანი ზმნა (ამ მაწარმოებლის გარეშე ეს ფორმები არ იხმარება): *უჭირს, უშავს, უმძიმს, უკვირს — ის მას*. ესენი, როგორც წესი, სტატიკური ფორმებია.

შინაარსის მიხედვით აქაც ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

ა) გარკვეული ხმიანობის გამომხატველი ზმნები: *ყევს, ჩქევს*;

ბ) ბუნების მოვლენების ამსახველი (როგორც წესი, სუბიექტგაუჩინარებულ) ფორმები: *თოვს, წვიმს, ქუხს, ელავს*;

ორივე ჯგუფში (-ი სუფიქსიანშიც და უსუფიქსოშიც) ძალიან ბევრია თავისებური ფორმა. მათ შორისაა სხვადასხვა პრეფიქსით გაფორმებული (მხოლოდ ამ წარმოებით ცნობილი) ზმნა:

1. **ე-**პრეფიქსიანი: *ე-სმის, ე-ძახის, ე-რჩის, ე-ლტვის, ე-ლის* (ბ. ჯორბენაძე 1975 : 170);

2. **ი-**პრეფიქსიანი: *ი-ძახის, ი-სმის, ი-ლტვის*;

3. **უ-**პრეფიქსიანი: *უ-ძახის, უ-ძღვის*.

### უთემისნიშნო ზმნათა უღლება I ჯგუფი (-ი დაბოლოებიანი ზმნები)

-ი სუფიქსიანი ფორმებში უღლების მხრივ რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

1. ერთი წყება ზმნებისა საშუალისათვის დამახასიათებელ უღლებას მიჰყვება: **-ებ** თემის ნიშანს დაირთავს მყოფადში, პრეფიქსად კი იმავე მყოფადსა და II სერიაში **ი-** აქვს, III სერიაშიც ინვერსიულად აწარმოებს. ერთადერთი განსხვავება სხვა თემისნიშნიანი, ფუძედრეკადი თუ უთემისნიშნო (მაგრამ უსუფიქსოაწმყოიანი) ფორმებისგან ის არის, რომ ამ ტიპის (და საერთოდ **-ი** მწკრივისნიშნიანი) ფორმებს სავრცობად **-დ** სუფიქსის ნაცვლად **-ოდ** მოუღდის (შანიძე 1973 : 417). ამ ტიპის უღლებას მიჰყვება: *იღვწის, კვნესის, ტირის, მღერის, ყვირის, ჭყვირის, ხვნეშის* ზმნები.

რატომ გვაქვს **-ოდ** და არა **-დ**? სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ **-ოდ** სავრცობი აწმყოში **-ი** სუფიქსს გულისხმობს (როგავა 1954; შანიძე 1973 : 417).

იღვწის ფორმა უღლებისას შეკუმშულ ხმოვანს აღიდგენს: *იღვწის / იღვაწებს / იღვაწა / უღვაწია*.

ზოგიერთი ზმნა (*თრთის, ძრწის*) მყოფადისა და II-III სერიის მწკრივების საწარმოებლად, უდაოდ, მასდარის ფუძეს იყენებს (შანიძე 1973 : 473; ნოზაძე 1974 : 27). მხოლოდ *ტირის* ტიპის რამდენიმე ფორმასთან გვაქვს თითქოს უღლებისას უმასდარო წარმოება. ამ ზმნებთან დაკავშირებით ლ. ნოზაძე ყურადღებას ამახვილებს მათი ფუძის დაბოლოებაზე — **რ** თანხმოვანზე. მკვლევარის აზრით, შეიძლება ეს **რლ** კომპლექსი (\**ი-ტირ-(ი)ლ-ა*) იყოს ფონეტიკუ-

რად მიუღებელი ქართულისათვის; მაგრამ იქვე მას მოჰყავს *საცქერლად*, *სამღერლად*, *სატირლად* ტიპის მაგალითები თავისივე ვარაუდის საწინააღმდეგოდ (ნოზაძე 1974 : 28; მელიქიშვილი 2001 : 97). მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ფონეტიკური გარემო *საცქერლად* ტიპის ფორმებში სხვაა, ვიდრე *იტირა* ტიპის წარმოებაში; ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ერთ შემთხვევაში (*სამღერლად*) **რლ** კომპლექსი მისაღები იყოს ენისათვის, მეორე შემთხვევაში (*\*ი-ტირ-ილ-ა > \*ი-ტირ-ლ-ა > ი-ტირ-ა*) კი — არა.

იქ, სადაც **რლ** კომპლექსი არ იქმნება და მაინც მარტივი ფუძე გვაქვს, მასდარი გვაძლევს გამოცანის გასაღებს. შდრ:

- ი-კენეს-ებ-ს — კენესა*
- ი-ხენეშ-ებ-ს — ხენეშა*
- ი-მღერ-ებ-ს — სიმღერა*

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ:

ა) ერთი წყება ზმნებისა (**-ოლ** სუფიქსიანი მასდარის მქონე) უღლები-სას **-ოლ** სუფიქსს მიმართავს: *ძრწ-ი-ს / ი-ძრწ-ოლ-ა / უ-ძრწ-ოლ-ი-ა*. ამ ტიპისაა: კრთის, თრთის, ქრის, კრკის, იბრძვის (ჭუმბურიძე 1986 : 118).

ბ) ზოგიერთი ფორმა **-ილ** სუფიქსს უნდა ირთავდეს (მასდარის მიხედვით), მაგრამ **-ი** იკვეცება, ამასთან, **-ოდ** სუფიქსთან ამ ფუძეების ძირეული **გ-ც** იკარგება:

*კივ-ი-ს / კი(ვ)-ოდ-ა / ი-კივ-ლ-ებ-ს / ი-კივ-ლ-ა / უ-კივ-ლ-ი-ა*

ამ ტიპის ფორმებია: *ღივის, ჭყივის, ჯღავის, ბღავის, ჩხავის, კნავის, ჩივის*.

ამათგან ზოგიერთი ფორმის (მაგ., *კივის, ჭყივის...*) მყოფადისა და II-III სერიის ფორმები გადმოსცემენ როგორც ერთგზის, წყვეტილ, ასევე განგრძობით, უწყვეტელ შინაარსსაც:

შდრ.: *ი-კივ-ლ-ებ-ს / ი-კივ-ლ-ა / უ-კივ-ლ-ი-ა*:

- 1) *ერთი იკივლა და გაათავა* — ერთგზისი.
- 2) *იკივლა, იკივლა და გაჩერდა* — მრავალგზისი.

გ) ერთი ტიპის ზმნები (**უ-ზე** დაბოლოებულნი) **-ილ** სუფიქსისეული **ლ-**ს გარდა **გ** სონორსაც ჩაირთავენ უღლები-სას (შანიძე 1973 : 478):

*ფუ-ი-ს / ი-ფუ-ვ-ლ-ებ-ს / ი-ფუ-ვ-ლ-ა / უ-ფუ-ვ-ლ-ი-ა*

ამ ტიპისაა: *ზმუის, ზუის, ღმუის, ყმუის, შზუის, ფშუის*. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **გ** თანხმოვნის ჩართვა **ლ-**ს მეზობლობით გამოწვეული ფონეტიკური პროცესის შედეგია.

დ. ერთელიშვილს **გ** თანხმოვანთგამყარად მიაჩნია და ეს მაგალითები განხილული აქვს, როგორც ღია მარცვლის დახურულ მარცვლად ქცევის ტენდენცია (ერთელიშვილი 1970 : 286).

ზ. ჭუმბურიძის აზრით, *ბზუის* ტიპის ფორმებში **გ** იკარგება აწმყოში, მყოფადის წრეში კი კვლავ აღდგება **ლ-**ს წინ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფორმები **-უვ** დაბოლოებიანი ფორმებია — შდრ. **-ივ** დაბოლოებიანი *წივის* ტიპის ზმნები (ჭუმბურიძე 1986 : 118).

დ. მელიქიშვილის აზრით, **გ** შემდეგ არის ჩართული არა მარტო უ-ზე დაბოლოებულ *ბზუის* ტიპის საწყისის ფორმებში, არამედ **-ილ** სუფიქსის წინ

**გ** გაჩნდა ბლავის, კივის ტიპის (აქაც, ჯერ საწყისის) ფორმებშიც (მელიქიშვილი 2001 : 96).

აღნიშნულ ზმნებთან დაკავშირებით შ. აფრიდონიძე აღნიშნავს, რომ გვაქვს პარალელური წარმოება:

*ი-შხუ-ვ-ლ-ებ-ს — ი-შხუ-ილ-ებ-ს*

დადგენილია ამ პარალელური ფორმების ხმარების კანონზომიერებაც (ორთოგრაფიული ლექსიკონის საფუძველზე):

1) **გ** თანხმოვნიაწი წარმოება გვაქვს:

ა) თუ ბლოკიდურ **ჟ** ხმოვანს წინ **მ** სონანტი უძღვის: *იყმუვლებს*.

ბ) მომენტობრივი ასპექტის გამოხატვისას: *დაიბზუვლებს*.

2) შეუკუმშავი ფორმა გვაქვს სხვა დანარჩენ შემთხვევებში: *იშხუილებს* (**მ** სონანტი არა გვაქვს), *გაიბზუილებს* (დიურატიული ასპექტია) (აფრიდონიძე 1988).

აღსანიშნავია, რომ ამ ზმნებიდან *კივის* ტიპის ფორმათა მსგავსად ზოგის (მაგ., *ღმუის*, *შხუის*) უწყვეტლის ფორმაც ითავსებს ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედების გადმოცემას:

1) *ერთი იშხუვლა და გაათავა* — ერთგზისი.

2) *იშხუვლა, იშხუვლა და გაჩერდა* — მრავალგზისი.

ღ) აქვე აღსანიშნავია უღლებიას ზმნისწინის დამატება *დაიკივლა*, *დაიყვირა*, *დაიტირა*, *დაიმღერა* ფორმებში. აქაც ზმნისწინის დართვას ხელს უწყობდეს პო-ის ან მისი ფარდი (*ერთი*) სახელის დამატება ზმნის პირებში:

შდრ. *ერთი — დაიკივლა, დაიყვირა, დაიტირა, დაიმღერა*.

2. მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ ფორმებს: *ელის*, *ერჩის*, *ესმის*,<sup>1</sup> *ეძახის*, *ელტვის*, *ილტვის*, *ისმის*, *უძღვის*, *შვენის*, *ყვავის*;

აქედან, *ერჩის*, *ეძახის* ზმნები უწყვეტელში **-ღ** სავრცობიან ვარიანტსაც გვიჩვენებენ (ჯორბენაძე 1975 : 182; 1980 : 294): *ერჩ-ღ-ა*, *ეძახ-ღ-ა*. ამასთან, *ეძახის* ფორმა ხშირად იყენებს *უძახის* ფორმის პარადიგმას:

*ეძახის<sup>2</sup> ის მას — დაუძახებს ის მას — დაუძახა მან მას — დაუძახებია მას (მისთვის)*.

ამათვე რიგშია *იმღერის* ფორმაც, რომელსაც სავრცობად **-ღ** მოუღის (შდრ. *მღერ-ი-ს — მღერ-ოღ-ა*).<sup>3</sup>

3. თავისებური ზის, არის ფორმები პასივისებურ უღლებას მიჰყვებიან სხვადასხვაგვარი ცვლილებით.

უღლების ცალკე ტიპად ვერ გამოვყოფთ (რადგან *იკინის* ფორმას უზმნისწინო, საშუალო გვარის სხვა ზმნებისათვის დამახასიათებელი მყოფადიც აქვს, *იღიმის* ზმნა კი თანამედროვე ქართულში აღარ იხმარება: მას *იღიმება* ენაცვლება), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ *იღიმის*, *იკინის* ფორმები უღლებიას ზმნისწინს მიმართავენ — *გაიკინებს*, *გაიღიმებს*. ამათ **ი-** აწმყოშივე აქვთ

<sup>1</sup> *მოესმა* (წყვეტილი) *მოესმის* ფორმის პარადიგმაში მოიაზრება.

<sup>2</sup> *ეძახის* ფორმას შეიძლება II სერიის მწკრივებშიც (დიალექტურად) ეწარმოოს (ბევრი *ეძახა*, მაგრამ ვერ *გააგონა*).

<sup>3</sup> *იმღერებს-იმღერა მღერის* ფორმის პარადიგმა და არა *იმღერის* ფორმისა.

და მყოფადის წრის მწკრივების საწარმოებლად სხვა გზის ძიება უწევთ. შდრ. *იბრძვის* ფორმა, რომელსაც **-ოლ** სუფიქსის დახმარებით აწმყოსა და მყოფადს შორის საკმარისი განსხვავების დამყარება შეუძლია:

*ი-ბრძ-ვი-ის — ი-ბრძ-ოლ-ებ-ს*

მაგრამ

*ი-ცინ-ი-ს — ი-ცინ-ებ-ს*

*ი-ცინებ-ს*<sup>1</sup> იშვიათად იხმარება, რადგან აწმყოსა და მყოფადის ფორმებს შორის საკმარის სხვაობას ვერ ამყარებს. გარდა ამისა, ზმნისწინიანი წარმოებისათვის ხელი უნდა შეეწყოს პირდაპირი ობიექტის ფარდი სახელის არსებობას, რომლის ფუნქციასაც ამ შემთხვევაში მოქმედების შედეგი, თვითონ *სიცილი*, *ღიმილი* (სახეზე) უნდა ასრულებდეს.

თავისებურ ზმნათა რიგშია ფორმები: *იძახის*, *უძახის*. აღსანიშნავია, რომ:

1) ამ ზმნებთან ხშირად არის წარმოდგენილი პ0: *უძახის ის მას მას* (მოიხსენიებს ამა თუ იმ სახელით);

2) ეს ზმნები **-ოლ-ად** სავრცობს პარალელურად იყენებენ: *უ-ძახ-დ-ა — უ-ძახ-ოლ-ა*. უფრო ლიტერატურულად მიჩნეულია **-დ** სავრცობიანი ფორმები (*უ-ძახ-დ-ა*) (ჯორბენაძე 1975 : 182).

შეიძლება დავსვათ კითხვა: ხომ არ არის **-დ** სავრცობის ხმარების გააქტიურების მიზეზი სხვა საშუალო გვარის ზმნებთან გათანაბრების ტენდენცია? ბ. ჯორბენაძე ამგვარ ვითარებას ვარაუდობდა *ცრ-ი-ს / ცრ-ოლ-ა (წვიმს)*, მაგრამ არა — *ე-ძახ-ი-ს / ე-ძახ-დ-ა* ტიპის ფორმებთან (ჯორბენაძე 1980 : 294).

3) ეს ზმნები ზმნისწინით აწარმოებენ მყოფადის წრის მწკრივებს, მაგრამ პარალელური (ოდენპრეფიქსული და ზმნისწინიანი) ფორმები გვაქვს II სერიისში: *უძახა/დაუძახა; იძახა/დაიძახა*. (მაგ. ბევრი უძახა, მაგრამ ვერ გააგონა).

საინტერესოა, რომ ამათი რიგის *ეძახის* ფორმებს ვერ აწარმოებს (ჯორბენაძე 1980 : 129-130).

## II კგუფი (ზმნები, რომელთაც აწმყოში ნიშანი არა აქვთ)

1. აწმყოში უსუფიქსო ფორმების დიდი ნაწილი მწკრივთა წარმოებისას საშუალო გვარის უღლებას მისდევს: **-ებ** თემის ნიშანი მყოფადში, **ი-/უ-** პრეფიქსები მყოფადის წრისა და II სერიის მწკრივებში, III სერიის წარმოება — ინვერსიულად (ჭუმბურიძე 1986 : 117).

ამ ტიპისაა ფორმები: *ქუხს*, *წუხს*, *ღელავს*, *ჟღერს*, *გალობს*, *თოვს*, *ყეფს*, *შხეფს*.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ:

ა) *ღელავს* ფუძე იკუმშება: *ღელავს / იღელავებს / იღელავა / უღელავია*.

ბ) რამდენიმე ფორმა უღლებისას პრეფიქსთან ერთად ზმნისწინსაც დამატებს ხოლმე. ასეთი ზმნებია: *ყეფს* (*დაიყეფებს*, *დაიყეფა*, *დაუყეფია*), *ქუხს*

<sup>1</sup> *ი-ცინ-ა* (წყვეტ.) უფრო ხშირად გამოიყენება.

(დაიქუხებს, დაიქუხა, დაუქუხია), უღერს (გაიუღერებს, გაიუღერა, გაუუღერია).

გ) წვიმს და თოვს ფორმები ორგვარ უღლებას გვიჩვენებენ: პრეფიქსიანს (ი- პრეფიქსი) და ზმნისწინიანს. მათი უღლების სურათი ასეთია:

<i>ი-თოვ-ებ-ს</i>	<i>მო-თოვ-ს</i>
<i>ი-თოვ-ა</i>	<i>მო-თოვ-ა</i>
<i>უ-თოვ-ი-ა</i>	<i>მო-უ-თოვ-ი-ა</i>

ასევეა:

<i>ი-წვიმ-ებ-ს</i>	<i>მო-წვიმ-ს</i>
<i>ი-წვიმ-ა</i>	<i>მო-წვიმ-ა</i>
<i>უ-წვიმ-ი-ა</i>	<i>მო-უ-წვიმ-ი-ა</i>

(ზმნისწინიანი მოწვიმს ფორმა უფრო იშვიათი ხმარებისაა.)

2. ზმნათა ერთი რიგი პასივისებურ უღლებას გვიჩვენებს, ოღონდ როგორც ეს ჯერ კიდევ ა. შანიძემ აღნიშნა, II სერიის მწკრივების წარმოება უჭირს (შანიძე 1973 : 485).

ასე იუღლება ფორმები: ღირს ის, უყვარს, ახსოვს, სძულს, ჰგავს, სთნავს, აქვს — ის მას (იმ თავისებურებებზე, რომლებიც საყოველთაოდ არის ცნობილი, ყურადღებას აღარ გავამახვილებთ).

ამათგან, ჰგავს ფორმა დაირთავს — **-ებ** სუფიქსის წინ **-ან** სუფიქსს, თავში **მ-** პრეფიქსს და თან იკუმშება: ჰგავს-ს / ე-მ-გვ-ან-ებ-ა / ჰგვ-ან-ებ-ი-ა || *ჰგვანება* (შანიძე 1973 : 534).

ორი ზმნა II სერიის მწკრივებსაც აწარმოებს. ეს ფორმებია: *სწყინს* და *მოსწონს*. ამათი უღლების პარადიგმა ასეთია:

<i>სწყინს</i> / <i>ეწყინება</i> / <i>ეწყინა</i> / <i>სწყენია</i> .
<i>მოსწონს</i> / <i>მოეწონება</i> / <i>მოეწონა</i> / <i>მოსწონება</i> .

არსებითად, ამავე უღლებას (პასივისებურს) მისდევს ერთი წყება ზმნებისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მყოფადისა და II სერიის მწკრივებში **ი-** პრეფიქსი აქვთ **ე-** ნაცვლად. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან წინა ორპირიანი ფორმებისგან განსხვავებით აქ ერთპირიანი ზმნები გვაქვს. გარდა ამისა, ამათ აკლიათ უწყვეტელი და უწყვეტლის კავშირებითი, მაგრამ აქვთ II სერიის ფორმები.

ასეთი ფორმებია: *დვას*, *წევს*, *დევს*. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი თავისებურებები კარგად არის ცნობილი და აქ მათზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ II სერიის ფორმები — წყვეტილი და I კავშირებითი ხშირად იხმარება (შეიძლება ითქვას, უფრო ხშირადაც კი) შესაბამისად — უწყვეტლისა და უწყვეტლის კავშირებითის შინაარსის გადმოსაცემად; ასეთი პარალელური გამოყენებისაა:

ბავშვი ფეხზე იდგა და კანკალებდა.
<i>ძროხა იწვა</i> და <i>იზმორებოდა</i> (უწყვეტლის შინაარსი).
რა თქმა უნდა, გვაქვს I სერიის შესაფერისი კონტექსტიც:
( <i>ბავშვი</i> ) <i>იდგა</i> , <i>იდგა</i> , <i>იკანკალა</i> და <i>წავიდა</i> .
( <i>ძროხა</i> ) <i>იწვა</i> , <i>იწვა</i> , <i>იზმორა</i> და <i>წავიდა</i> (წყვეტილის შინაარსი).

3. რიგი ზმნებისა საერთოდ ვერ აწარმოებს აწმყოს წრის გარდა სხვა

მწკრივებს. ამათ, როგორც წესი, მკვეთრად გამოხატული სტატიკური შინაარსი აქვთ. ასეთი ფორმებია: *ხურს, ღუმს, ჩანს, სუფევს, ყარს, მწიფს — ის; შურს, უჭირს, უმძიმს, უკვირს, სურს, სჭირს, სჯობს — ის მას* (მელიქიშვილი 2001: 55), *(არა) უშავს (ის) მას*:

თავისებური ზმნაა აქტივიდან მიღებული *სცემს ის მას* (*სცემს ის მას*), რომლის აწმყოსა და მყოფადის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. უპრეფიქსო და უზმნისწინაა წყვეტილიც.

### ლიტერატურა

**აფრიდონიძე 1988** — შ. აფრიდონიძე, უ ხმოვანზე ფუძეგათავებულ ზმნათა უღლებასთან დაკავშირებული ნორმატიული საკითხები ქართულში. — იკე, XXVII, თბილისი.

**ერთელიშვილი 1970** — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატიკური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

**მელიქიშვილი 2001** — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

**ნოზაძე 1974** — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში. — იკე, XIX, თბილისი.

**როგავა 1954** — გ. როგავა, ნამყო უსრულის -ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში. — იკე, VI, თბილისი.

**შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

**ჩიქობავა 1948** — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1986** — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჯორბენაძე 1975** — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

**ჯორბენაძე 1980** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

**NINO JORBENADZE**

**Structuristical-Semantical Analysis of the Verbs Without a Theme  
Market of Middle Voice and Core Issues of Conjugation**

**S u m m a r y**

Two groups are distinguished in the verbs without a theme marker of a middle voice:

1. The forms, which have **-i** screeve marker in present;
2. The forms, which have no marker in present.

Semantically in the verbs without a theme marker the followings are distinguished:

1. The forms expressing some kind of sound;
2. The verbs denoting action or statement;
3. The forms reflecting the natural phenomena.

The verbs without a theme marker of a middle voice are basically the forms with one or two syllables. According to personality, there are one or two personal variants.

During the conjugation these verbs manifest some peculiarities. Sometimes parallel variants occur in the same screeve, as well.

მ ე მ კ მ ი ღ რ ე ლ ბ ა

ბუნარიონ ჯორბანაკი

ზმნის მორფოლოგიის კირითადი პრობლემები ქართულში\*

მორფოლოგია სპეციალურ ლიტერატურაში ნაირგვარად განიმარტება. კერძოდ, იგი განიხილება ფართო და ვიწრო გაგებით.

ფართო გაგებით მორფოლოგია სწავლობს ყოველგვარ ფონეტიკურ ცვლილებას მორფემათა ურთიერთმიმართების დონეზე.

ვიწრო გაგებით მორფოლოგია მიზნად ისახავს შეისწავლოს მხოლოდ ისეთი ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც გამოყენებულია გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობების განსასხვავებლად: დრეკ-ს : დრიკ-ა, სულ-ი : სუნ-ი...

ჩვენ საკუთრივ მორფოლოგია სწორედ ამ მეორე გაგებით გვესმის.

ასე, რომ მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელსაც აქვს საკუთარი სტატუსი და მოეპოვება შესწავლის შესაბამისი ობიექტი — ფონეტიკური ცვლილება, გამოყენებული გრამატიკულ ან ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად, ანუ: ესაა ფონეტიკური ცვლილება, რომელიც გამოიყენება მორფემის დანიშნულებით; შდრ.:

- |    |   |          |     |   |        |
|----|---|----------|-----|---|--------|
| I. | { | მალ-ავ-ს | II. | { | დრეკ-ს |
|    |   | მალ-ა    |     |   | დრიკ-ა |

საშუალება სხვადასხვაა: პირველ შემთხვევაში — მორფემა, მეორე შემთხვევაში — ხმოვნის გადაბგერება, შედეგი კი ერთი და იგივეა: განირჩა პირველი და მეორე სერიის ფუძეები.

მორფოლოგიის ასეთი განსაზღვრა ახალი არ არის. ი. ბოდუენ დე კურტენე შენიშნავდა: „კორელაცია ეწოდება ფონემათა ისეთ ალტერნაციულ ურთიერთდამოკიდებულებას, როცა ფონეტიკურ სხვაობებთან დაკავშირებულია (ასოცირებულია) ფორმათა და სიტყვათა ესა თუ ის ფსიქიკური სხვაობა, ანუ: ესა თუ ის მორფოლოგიური და სემასიოლოგიური სხვაობა“ (ბოდუენ დე კურტენე). ამ თვალსაზრისით ფონემათა ალტერნაცია მორფოლოგიაში ასრულებს იმავე როლს, რასაც ფორმათმაწარმოებელი მორფემები (აფიქსები).

\* წაკითხულია მოხსენებად იკე-თა შესწავლის XI რეგიონალურ სესიაზე ნალჩიკში 1986 წელს (სათაურით: „ქართველურ ენათა ზმნის მორფოლოგიის ზოგი ასპექტი“). წერილი დასაბუქდად მოამზადა გ. გოგოლაშვილმა.

შესასწავლი ასპექტის თვალსაზრისით მორფოლოგია შუალედური რგოლია ფონოლოგიასა და მორფოლოგიას შორის. მორფოლოგიური მოვლენების შესწავლა ხდება როგორც ფონოლოგიური, ასევე მორფოლოგიური პრინციპებით: ფონოლოგიურად ესაა ფონემათა ცვლილების კანონზომიერებანი (რომლებიც უმეტეს წილად განსხვავებულს არაფერს გვიჩვენებენ წმინდა ფონეტიკურ ცვლილებებთან შედარებით), მორფოლოგიურად კი, როგორც ითქვა, ფონემატური ცვლილება განიხილება გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის თვალსაზრისით.

მორფოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული ფონეტიკური ცვლილებები, როგორც წესი, იზღუდება მორფოლოგიური წესების შესაბამისად.

მორფოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული ფონეტიკური ცვლილებები შესაძლოა ორი სახისა იყოს: ა) სპონტანური: სულ-ი || სუნ-ი, უბე || უპე ტიპისა და ბ) დეტერმინირებული: ან წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით (გ-დრეკ : \*გ-დრეკ-ე → გ-დრიკ-ე) (ჩიქობავა 1940 : 37) ან მორფოლოგიური სტრუქტურის მოთხოვნილებათა შესაბამისად (აღ-დგომ-ა || ა-დგომ-ა), რითაც დაცულია ქართულისათვის დამახასიათებელი პრინციპი: პრეფიქსის ხმოვნითი ელემენტი უშუალოდ მიერთვის ფუძეს.

ფონეტიკურ ცვლილებათა კანონზომიერებანი, გამოყენებული როგორც წმინდა (საკუთრივ) ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური დანიშნულებით, ჩვეულებრივ, ერთი ტიპისაა; მაგალითად, ე → ი გადაბგერება გვხვდება ორ ასეთ შემთხვევაში:

- ა) დრეკ-ს → დრიკ-ა
- ბ) \*მი-ვედ-ა → მი-ვიდ-ა

გადაბგერების პრინციპი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაგრამ პირველმა შედეგად მორფოლოგიური მოვლენა მოგვცა, მეორე წმინდა ფონეტიკის დონეზე დარჩა. ანუ: ცვლილების შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაგრამ ენობრივი ღირებულება სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. მათი გამიჯვნა ასეთი წესით ხერხდება: მორფოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული ცვლა შეზღუდულია — ცვლილება არ ხდება ფონეტიკურად ხელსაყრელ ყველა შემთხვევაში, რადგან იგი მორფოლოგიური ღირებულებისა და, ამდენად, მორფოლოგიურად იზღუდება (შდრ.: დრეკ-ს : \*დრეკ-ა → დრიკ-ა, მაგრამ მასდარი: დრეკ-ა — იმავე ფონეტიკურ პოზიციაში გადაბგერება არ ხდება — დაცულია მასდარისათვის ამოსავალი | სერიის ფუძის გამოყენების პრინციპი). წმინდა ფონეტიკური გადაბგერება კი ამ თვალსაზრისით შეუზღუდავია (ვედ- → ვიდ- ყველა შემთხვევაში, როცა ხმოვანი სუფიქსი დაერთვის: მი-ვედ(-ი), მი-ხ-ვედ(-ი), მაგრამ: მი-ვიდ-ა; და არა: მი-ვიდ-ე, მი-ხ-ვიდ-ე, მი-ვიდ-ე-ს).

ზემოთ აღინიშნა, რომ მორფოლოგიური დანიშნულებით, ჩვეულებრივ, გამოიყენება იმავე რიგის ცვლილებები, რომლებიც წმინდა ფონეტიკურ დონეზე გვხვდება. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ზოგჯერ დაჩნდება იმ რიგის გადაბგერების შემთხვევებიც, რომლებიც საკუთრივ ფონეტიკის დონეზე, როგორც წესი, არ შეინიშნება: ბარგ-ან-ი „ფორხილი“ — ბორგ-ავ-ს, ბარკ-ალ-ი —

ბორკ-ავ-ს / ბორკ-ილ-ი, ბერტყ-ს — ბარტყ-უნ-ი, ცაც-ი — ა-ცეც-ებ-ს... ანუ: ა : ო, ა : ე გადაბგერება ამგვარ ფონეტიკურ გარემოცვაში ქართულისათვის ამჟამად უცნობია წმინდა ფონეტიკურ დონეზე, მაგრამ თავს იჩენს როგორც საკუთრივ მორფონოლოგიური მოვლენა. ამდენად, ამ შემთხვევაში მორფონოლოგიურ დონეზე შეინიშნა ისეთი გადაბგერება, რომელსაც საკუთრივ ფონეტიკური შეპირობებულობა არ ეძებნება (რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ისტორიულად ან დიალექტურად ასეთი შეპირობებულობის მქონებლობას).

როგორც ითქვა, მორფონოლოგია შეისწავლის მორფოლოგიურად ღირებულ (რელევანტურ) ფონეტიკურ მოვლენებს. იმავდროულად, ჩანს, გასათვალისწინებელია ის ფონეტიკური მოვლენებიც, რომლებიც ანგარიშს უწევენ მორფოლოგიური სტრუქტურის მონაცემებს, თუმცა რაიმე სემანტიკური დატვირთვა არა აქვთ; შდრ.: \*სახლ-ს-ზე → სახლ-ზე, მაგრამ: \*ფას-ს-ზე → ფას-ზე — იკარგება მხოლოდ მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი, ფუძისეული -ს რჩება: მნიშვნელობა ჰქონია -ს ელემენტის მორფოლოგიურ ღირებულებას.

\* \* \*

ქართველურ ენათა მორფონოლოგიის პრობლემების შესწავლა კარგა ხნის ისტორიას მოითვლის. რამდენიმე მომენტი ჯერ კიდევ ნ. მარს ჰქონდა შენიშნული (მაგალითად, დაპირისპირება: თიბ-ა „თიბვა“ — თივა...). სისტემური თვალსაზრისით ქართველურ ენებში მორფონოლოგიის პრობლემატიკა დასვა ვ. თოფურია ერთი ტიპის სვანურ ზმნებში დადასტურებულ ხმოვანთა გადაბგერებასთან დაკავშირებით (ტიხე „ბრუნებს“ — ტეხნი „ბრუნდება“ ტიპისა). შემდგომ მანვე მორფონოლოგიის საკითხები სხვა ქართველურ ენათა დონეზეც დაამუშავა (კერძოდ, ივლისხმება ყავ : ყევ ტიპის დაპირისპირება); მართალია, მკვლევარი ყავ : ყევ, ჯად : ჯედ რიგის ზმნებს შლის და ა-, ე- ხმოვნებს დამოუკიდებელ მორფემებად (ინფიქსებად) მიიჩნევს (თოფურია 1942 : 209-211, 298), მაგრამ აშკარაა, რომ თვით პრინციპი ამგვარ ზმნათა ფუნქციონირებისა მორფონოლოგიურია — ფონეტიკურ მოვლენას დაეკისრა მორფოლოგიურ მნიშვნელობათა განსხვავების გამოხატვა: საქმე გვაქვს აბლაუტთან.

ქართულში მორფონოლოგიურ მოვლენებზე ყურადღება გაამხავილეს ა. შანიძემ (შანიძე 1980 : 567) და გ. ახვლედიანმა (ახვლედიანი 1949 : 209-211, 298), რომლებმაც გამოყვეს აბლაუტური მონაცვლეობის რამდენიმე ნიმუში.

სონანტთა სისტემასთან დაკავშირებით ქართველურ ენათა მორფონოლოგიის პრობლემატიკა (კერძოდ, ხმოვანთა აბლაუტის საკითხი) შესწავლილია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივ მონოგრაფიაში, სადაც აბლაუტი ანუ აპოფონია განსაზღვრულია როგორც იმ რიგის ხმოვანთმონაცვლეობა „ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში, რომელსაც მორფოლოგიური ფუნქცია გააჩნია“; აქვეა განმარტებული, რომ აბლაუტი „წარმოშობით შეიძლება ფონეტიკური ხასიათისა იყოს“, რომელიც შესაძლოა „წმინდა მორფოლოგიური ღირებულების ხმოვანთმონაცვლეობად იქცეს მას შემდეგ, რაც მოიპოვა ამ მონაცვლეობის გამომწვევი ფონეტიკური მიზეზები“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი

1965 : 175-177).

ზმნის ფუძის ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით მორფონოლოგიის პრობლემატიკას განიხილავდა ფ. ერთელიშვილი; ანალოგიური საკითხი დაისვა სახელურ ფუძეთა მიმართაც (ერთელიშვილი 1970 : 99-114; 1980 : 102-126).

სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ხმოვანთა აბლაუტის (ალტერნაციის) პრობლემას ქართველურ ენებში ჰ. ფოგტმა. კერძოდ, იგი ეხება ქართულში მორფონოლოგიის საკითხებს და ვ-კალ : კლ-ა, ვ-შალ-ე : ვ-შლ-ი და მისთანა ფორმათა ანალიზის საფუძველზე შენიშნავს: „ყველა ამ შემთხვევაში ხმოვნის სინკოპეს აქვს აბსოლუტური და სავალდებულო ხასიათი: ის არის მორფოლოგიური დამახასიათებელი ნიშანი ამ ზმნებისათვის სხვა ნიშნებთან ერთად და გამოყენებულია გრამატიკული სისტემისათვის მეტად მნიშვნელოვანი პარადიგმატული სერიის საწარმოებლად (ფოგტი 1939 : 126-132)“.

ერთ პერიოდში მორფონოლოგიის პრობლემატიკა ქართველურ ენათა დონეზე სადავოდ იყო მიჩნეული: ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა და მორფონოლოგიური მოვლენები მისთვის იმ თავითვე უცხო უნდა ყოფილიყო. გამოწვლილვითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ასე არ არის — მორფონოლოგიური მოვლენები (კერძოდ, აბლაუტი) საერთო-ქართველური ფაქტია და თანაც უძველესი ფორმაციისა.

ყველაზე ხელშესახებად მორფონოლოგიური მოვლენები ზმნის სისტემაში დაჩნდება.

იმავედროულად აშკარაა ის ტენდენციაც, რომ აბლაუტური პრინციპი შეიცვალოს აგლუტინაციურით — მორფემულით; ამის ნიმუშია თუნდაც დრეკ-ს : დრიკ-ა ტიპის დაპირისპირების გადასვლა დრეკ-ავ-ს || დრიკ-ავ-ს : დრიკ-ა ტიპზე, რაც საკმაოდ გავრცელებულია როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე ქართული ენის დიალექტებში.

\* \* \*

სად წარმოჩნდება მორფონოლოგიური მოვლენები? ანუ: რა სახის დაპირისპირებანი (მორფოლოგიური ოპოზიციები) გვაქვს, რომლებიც მორფონოლოგიური პრინციპით გამოიხატება?

ეს მოვლენები დაჩნდება როგორც სახელებში, ასევე ზმნებში; როგორც ფორმათწარმოების, ასევე სიტყვათწარმოების დონეზე; კერძოდ:

ა) სახელთა ბრუნებისას — დავასახელებთ ცნობილ ნიმუშებს:

წელ-ი „ადამიანის სხეულის ნაწილი“	წელ-ი „წელიწადი“
წელ-ის	წლ-ის

გამოყენებულია ორი განსხვავებული პრინციპი: აგლუტინაციური (მორფოლოგიური) და აბლაუტური (მორფონოლოგიური).

ბ) ზმნის უღვლილებისას:

დრეკ-ს	თლ-ი-ს
დრიკ-ა	თალ-ა

ფუძის განმოვანებით განსხვავებულია პირველი და მეორე სერიის ფორმები; შდრ.: ვ-კლ-ავ — ვ-კალ, ვ-ფშვნ-ი — და-ვ-ფშვენ, სადაც თითქოს ანალოგიური



ანი 1965 : 312)

ღირსსაცნობი ეს ფორმები იმითაა, რომ ზედმიწევნით იმეორებენ პირველი და მეორე სერიის ფორმათა დაპირისპირების პრინციპს:

- ა-ლხენ-ს → ლხენ-ა
- ა-ლხინ-ა → ლხინ-ი...

ზმნურ ფორმათწარმოებაში გამოყენებული მორფონოლოგიური პრინციპი შესაბამისად დაჩნდა ნაზმნარ სახელებშიც.

\* \* \*

რომელი მორფონოლოგიური საშუალებებია გამოყენებული ქართულში?

უპირატესად, რა თქმა უნდა, ხმოვანთა გადაბგერება გამოიყენება: ღრეკ-ს — ღრიკ-ა, ს-წყენ-ს — ს-წყინ-ს; წელ-ი — წლ-ის... ძველი ქართული: ვ-მალ-ავ — ვ-მალ-ევ-დ...

იმადგროვლად არცთუ იშვიათად გვხვდება თანხმოვანთა გადაბგერების შემთხვევებიც:

და-ვ-დებ — და-ვ-დევ-(ი) || და-ვ-დ-ე...

ხშირად ამ რიგის გადაბგერება წარმოდგენილია ბგერწერის დონეზე:

- ღრ-ენ-ს → { ღრ-ეჯ-ს
- ღრ-ეჭ-ს
- ღრ-ეჩ-ს → ღრ-ეჩ-ო
- ღრ-ეც-ს
- ღრ-ეკ-ს (ზღრ.: და-ღრეკ-ილ-ი)...

შესაძლოა ერთდროულად ხდებოდეს როგორც ხმოვნის, ასევე თანხმოვნის გადაბგერება: ჯაჭლან-ი — ჭიჭყინ-ი...

თუ როგორ ხდება ფონეტიკური მოვლენის გამოყენება მორფონოლოგიური დანიშნულებით (ანუ: ფონეტიკური მოვლენის ახლებური გააზრება), ამის თვალნათლივ ნიმუშს იძლევა ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების გამოყენება ლექსიკურ მნიშვნელობათა განსახვავებლად: აღ-დგომა — ა-დგომა, გან-წმენდა — გა-წმენდა, წარ-სულ-ი — წა-სულ-ი და მისთ. ამგვარი ოპოზიციის უახლესი ფაქტია — ნიმუში მორფონოლოგიის ახლებური პრინციპის ამოქმედებისა ენაში.

თუმცა თანამედროვე ქართულში მორფონოლოგიური მოვლენები არცთუ ისე იშვიათად გვხვდება, მაგრამ ისინი მაინც ძირითადად ფრაგმენტული ხასიათისა არიან.

მიუხედავად ამისა, ეს ფრაგმენტულად შემონახული მოვლენები უთუოდ იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ისტორიულად მორფონოლოგიური პრინციპი კანონზომიერი და სისტემური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ეს სისტემური ხასიათი ზოგ შემთხვევაში დღემდე შემორჩენილი, მაგალითად, სახელადი და ზმნური ფუძეების (ხე — ა-ხევ-ებ-ს), სახელადი და ზმნისართული ფორმათწარმოების (დღ-ის ბოლო — დღე-ის შემდეგ) შემთხვევებში და ა. შ.

ხერხდება ზოგი სისტემის ოდინდელი სახის აღდგენა ან ზოგადი კონტუ-

რების მონიშვნა მაინც.

ეს სისტემები მრავალია და ნაირსახოვანი.

ნიმუშად მხოლოდ რამდენიმე ტიპობრივ შემთხვევას დავასახელებთ.

\* \* \*

ქართველურ ენათა ზმნური სისტემების ანალიზი ადასტურებს, რომ ფუძეებისა და აფიქსების გახმოვანება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უღვლილების სისტემაში.

უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: იმ შემთხვევაში, როცა საყრდენი ფუძე კუმშვადია (მაგალითად, აწმყოს მწკრივში), სუფიქსები ხშირად წარმოდგენილია იმავე გახმოვანებით, რომელიც შეკუმშულ საყრდენ ფუძეს ჰქონდა.

ა) ფუძეში რედუცირდება ა ხმოვანი და სუფიქსი (თემის ნიშანი) შესაბამისად წარმოდგენილია ა-გახმოვანებით:

მო-ვ-კალ → ვ-კლ-ავ

შე-ვ-კარ → ვ-კრ-ავ

და-ვ-ძარ → ვ-ძრ-ავ

გა-ვ-სხალ → ვ-სხლ-ავ...

ზოგ შემთხვევაში გახმოვანებული ფუძის აღდგენა ხერხდება მხოლოდ ძველი ქართულის მიხედვით:

შე-ვ-თხაზ (ახლა: შე-ვ-თხზ-ი) → ვ-თხზ-ავ

და-ვ-ჯამ (ახლა: და-ვ-ხშ-ე) → ვ-ჯშ-ავ...

ბ) ფუძეში რედუცირდება ე ხმოვანი და, შესაბამისად, სუფიქსი წარმოდგენილია ე-გახმოვანებით:

და-ვ-ი-ბენ → ვ-ა-ბნ-ევ

წა-ვ-ი-ქეც → ვ-ა-ქც-ევ

გა-ვ-ე-თერ → ვ-ა-თრ-ევ...

რა თქმა უნდა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა გახმოვანების ფარდობა ირღვევა: ა-ქან-ებ-ს — ა-ქნ-ევ-ს, ან: ა-ტან-ს — (დიალექტური) ა-ტნ-ევ-ს — რედუცირდება ა ხმოვანი, სუფიქსი კი ე-გახმოვანებითაა წარმოდგენილი. ფაქტს ახსნა სჭირდება.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, გარკვეულ ფარგლებში -ავ და -ევ მორფემათა განაწილება ამოსავალი ფუძის გახმოვანების მიხედვით რეალურ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

ეს რომ წესია და არა შემთხვევითობა, ამას თავისი დასაბუთება მოეპოვება: იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ფუძის პარალელური (ა და ე) გახმოვანება განსაზღვრავს სუფიქსების ასევე პარალელურ გახმოვანებას:

1. ძველი ქართული სალიტერატურო ენა:

ძალ-ი → უ-ძლ-ავ-ს

შე-ვ-ძელ → ს-ძლ-ევ-ს...

2. დიალექტები (ხევსურული, ფშაური, მოხეური...):

გა-თარ-ე → ს-თრ-ავ-ს

გა-ე-თერ → ა-თრ-ევ-ს...

3. ახალი ქართული სალიტერატურო ენა:

და-ვ-ძარ → ვ-ძრ-ავ

შე-ვ-ი-ნ-ძერ → შე-ვ-ა-ნ-ძრ-ევ...

ნიმუშები სხვადასხვაა, პრინციპი — ერთი და იგივე.

ეს კი ნიშნავს: სუფიქსთა განაწილება გარკვეულ წილ საყრდენი ფუძის გახმოვანებითაა შეპირობებული, ანუ: სუფიქსთა გახმოვანება დამოკიდებული ყოფილა საყრდენი ფუძის გახმოვანებაზე. ეს პრინციპი მოქმედებდა ძველ ქართულში, ეს პრინციპი მოქმედებს ამჟამადაც (თუმცა შეზღუდულად) ახალ ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის დიალექტებში.

შესაძლებელია ამ ფაქტს გარკვეული მეთონოლოგიური ღირებულებაც ჰქონდეს — დაგვეხმაროს ზოგი ამჟამად ეტიმოლოგიურად ამოუხსნელი ფუძის ოდინდელი სტრუქტურის დადგენაში. მაგალითად, ძველ ქართულში დადასტურებულია ს-თნ-ავ-ს და ა-თნ-ვ-ს ზმნები. საყრდენი თნ- ფუძე ამის მიხედვით ა და ე გახმოვანებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. შესაძლოა \*თან- და-ცული იყოს გურულში დადასტურებულ მო-თან-ი ფორმაში (შდრ. ძველი ქართული: მო-თნ-ე : თავის-მოთნე, კაცთ-მოთნე... ახალი ქართული: პირმოთნე), ხოლო მის გვერდით ისტორიულად სავარაუდოა აგრეთვე \*თენ- ფუძის არსებობა.

გარდა ამისა, საგულისხმოა აგრეთვე დიალექტებში წარმოჩენილი ერთი მოვლენა. იგულისხმება კარგად ცნობილი ფაქტი თემის ნიშანთა შენაცვლებისა, რაც ფორმათა ერთ ნაწილში ფუძის გახმოვანებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული, მაგალითად, პარალელური გახმოვანებით გამოყენებულ და-ვ-ჭარ : და-ვ-ჭერ ფორმებს აწმყოს ფორმად (ჭრ-ის ფორმის ნაცვლად) ქართულურსა და ზემოიმერლურში შეესაბამება ჭრ-ავ-ს (II ჭრ-ამ-ს), ქვემოიმერლურში — ჭრ-ევ-ს...

ეს კი ნიშნავს, რომ დიალექტური ინოვაციებიც გარკვეულ წილ ანგარიშს უწევს ფუძესა და სუფიქსებს შორის გახმოვანების შესატყვისობის პრინციპს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გახმოვანებით დაპირისპირებული ფუძეები გარკვეული სისტემურობის ნიშნითაც არის აღბეჭდილი:

და-ვ-ძარ — შე-ვ-ი-ნ-ძერ

და შესაბამისად:

და-ვ-ძრ-ავ — შე-ვ-ი-ნ-ძრ-ევ-ი...

\* \* \*

ძველ ქართულში დაჩნდება ერთი მოვლენა, რომელიც ფრიად საყურადღებოა უღვლილების ისტორიული პრინციპის თვალსაზრისით. ივარაუდება -ავ/-ამ თემისნიშნისა ზმნათა თავისებურება (ზემოთაც ნახსენები), კერძოდ, -ავ → -ევ/-ვ (ანალოგიურად: -ამ → -ემ/-მ) გადაბეგრების ფაქტი (ეს მოვლენა დიალექტებშიც არის დადასტურებული, მაგრამ მის ასახსნელად საკუთრივ ძველი ქართულის პრინციპია გასათვალისწინებელი).

ძველ ქართულში ასეთი ვითარებაა:

აწმყო: ვ-მალ-ავ

ჰ-მალ-ავ

ნამყო უსრული: ვ-მალ-ევ-დ-(ი)

ჰ-მალ-ევ-დ-(ი)

მალ-ავ-ს

მალ-ვ-იდ-ა

-ამ თემისნიშნის ზმნათა უღვლილების პრინციპი ზედმიწევნით ანალოგიურია.

გადაბგერების ამ ფაქტს ნაირგვარი ახსნა აქვს

გადაბგერების მიზეზად დასახელებულია \*-იდ სუფიქსი: \*ვ-მალ-ავ-იდ-ი → ვ-მალ-ევ-დ-ი, \*მალ-ავ-იდ-ა → მალ-ვ-იდ-ა (დეტერსი 1930 : 133-134; თოფურია 1967 : 105; ბენვენისტი 1955).. -იდ განსაზღვრულია როგორც -დ მორფემის ვარიანტი, სადაც -ი ფონეტიკური წარმომავლობისაა — გაჩენილია თანხმოვან-თვასაყარად: \*მალ-ავ-დ-ა → \*მალ-ვ-დ-ა (რედუქციას იწვევს პირის ნიშანი -ა) → მალ-ვ-ი-დ-ა — ვდ კომპლექსის გასათიშად (კიკნაძე 1961).

სხვა თვალსაზრისით, -ავ → -ევ გადაბგერება აბლაუტის ნიმუშადაა მიჩნეული, ხოლო ნამყოფ უსრულის ფუძის მაწარმოებელ ფორმანტად მიჩნეულია -ედ/-ენდ სრულ საფეხურზე და -იდ რედუქციის საფეხურზე: \*მალ-ავ-ედ → მალ-ევ-დ/მალ-ვ-იდ; ივარაუდება, რომ აქ იგივე პრინციპი მოქმედებს, რაც ე. ბენვენისტმა ჰიპოთეტურად აღადგინა ინდოევროპული ენებისათვის. ფუძის სრული გახმოვანება გულისხმობს სუფიქსის ნულ-გახმოვანებას და პირიქით: სუფიქსის სრული გახმოვანების შემთხვევაში ფუძე ნულ-გახმოვანებითაა წარმოდგენილი (გ. გოგოლაშვილი 1986 : 181-185). ანალოგიურად: -ევ-დ, მაგრამ: -ვ-იდ. -ედ სუფიქსის რეალურობა ამ შემთხვევაში -იდ სუფიქსისი პოვნეობითაა ახსნილი: დადასტურებულია -იდ (მალ-ვ-იდ-ა), იგი რედუქციის საფეხურზე უნდა იყოს წარმოდგენილი (რედუქციას იწვევს ხმოვანი სუფიქსი): თუ ასეა, ამოსავლად უნდა ივარაუდოთ -იდ სუფიქსის სრულ-საფეხურიანი ვარიანტი -ედ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965 : 273).

-ედ სუფიქსის რეალურობა შესაძლოა დამტკიცდეს სხვაგვარი (საკუთრივ მორფონოლოგიური) პრინციპითაც — ვგულისხმობთ გახმოვანების თანაფარდობის პრინციპს.

ცნობილია, რომ I სერიის კავშირებითის ნიშანი ყოველთვის -ე სუფიქსია: ვ-წერ-დ-ე, ვ-ი-მალ-ვ-ოდ-ე... მხედველობაში არ ვიღებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დადასტურებულ -ა ფორმანტს, რომელიც უნიფიკაციის შედეგად ითვლება. -ე სუფიქსი დასტურდება ძველ ქართულშივე.

შემდეგ: ძველი ქართულის მალ-ვ-იდ-ა ტიპის წარმოება მიგვანიშნებს, რომ -დ ამოსავალში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ხმოვნითი ელემენტი.

ამდენად, გვაქვს ორი პირობა. საჭიროა შესაბამისი დასკვნის გამოტანა. კავშირებითის -ე მაწარმოებლის მიხედვით (გახმოვანების პრინციპის შესაბამისად) უნდა გვქონოდა \*-ედ სუფიქსი: \*ვ-მალ-ავ-ედ.

\*-ავ-ედ კომპლექსს შესაძლოა მოეცა ორი ნაირსახეობა: ა) \*-ავ-ედ → \*-ევ-ედ (რეგრესული ასიმილაციით) → -ევ-დ (მომდევნო ხმოვნის ჩავარდნით), შედეგად გექნებოდა საკომპენსაციო ასიმილაცია: ხმოვანი იკარგვის, მაგრამ რედუქციის სახით იწვევს წინამავალი ხმოვნის ასიმილაციას; ბ) \*-ავ-ედ → \*-ვ-ედ (ხმოვნის შემცველი სუფიქსი -ედ იწვევს წინამავალი -ავ სუფიქსის რედუქციას). შევნიშნავთ, რომ შესაძლოა იმთავითვე -ევ სუფიქსი ყოფილიყო წარმოდგენილი (მაშინ ასიმილაციის საფეხური გამოირიცხება). -ედ სუფიქსის რეალურობა ამ შემთხვევაშიც ეჭვს გარეშეა.

ასე რომ, გვაქვს -ევ-დ და \*-ვ-ედ ნაირსახეობანი ერთი და იმავე ამოსავალი ინვარიანტისა \*-ავ-ედ ან \*-ევ-ედ. რაც შეეხება \*-ვ-ედ → -ვ-იდ გადაბგერებას (შდრ.: მალ-ვ-იდ-ა; მალ-ვ-იდ-ეს, მალ-ვ-იდ-ის), იგი აიხსნება ხმოვანი სუფიქსების დართვით (ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევა), ანალოგიურად მი-ვიდ-ა, მი-ვიდ-ეს, მი-ვიდ-ის ფორმებისა, რომელთათვისაც ამოსავალია ე (ვე-ად-) გახმოვანება (მი-ვედ-ი, მი-ხ-ვედ-ი). თავისი ფონეტიკური არსით აქ საქმე გვაქვს იმავე რიგის მოვლენასთან, რაც ღრეკ-ს — ღრიკ-ა ტიპის სისტემაშია დადასტურებული; შდრ.: ვ-მალ-ევ-დ, ჰ-მალ-ევ-დ, მაგრამ: \*მალ-ვ-ედ-ა → მალ-ვ-იდ-ა.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში -ოდ სუფიქსიანი ზმნები კავშირებითის ნიშნად -ი სუფიქსს დაირთავდნენ (ვ-ი-მალ-ვ-ოდ-ი „ვი-მალვოდე, ვიმალვოდე“): წინამავალი მორფემა ამ შემთხვევაში აღარ განაპირობებდა -ე მოფრემის პოვნეირებას. შემდგომ პერიოდში -ოდ სუფიქსიანი ზმნებშიც ანალოგიით კავშირებითის -ე მორფემა მკვიდრდება.

თავის მხრივ, ზემოხსენებული გვიჩვენებს I სერიის კავშირებითში -ე მორფემის გამოყენების საფუძველს — შეპირობებულია წინამავალი მორფემის გახმოვანებით: \*ვ-მალ-ვ-ედ → ვ-მალ-ვ-იდ-ე (ანუ: -ედ → -დ-ე).

შეგვიწინავთ, რომ გახმოვანების თანაფარდობის პრინციპის შესახებ ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე მორფოლოგიური დანიშნულებით რამდენიმე მორფემა დასტურდება (კავშირებითი სწორედ ასეთი ფორმაა: ქართულში მის მაწარმოებლად -ა, -ე და -ო-მოფრემებია გამოყენებული).

\* \* \*

II სერიის ფორმათა ანალიზის დროს სპეციალურად დაისვა საკითხი II კავშირებითის მაწარმოებელ მორფემათა (-ა, -ე, -ო) განაწილების შესახებ.

დასკვნა ასეთია: წინამავალი (საყრდენი) მორფემის გახმოვანება უშუალოდ განაპირობებს II კავშირებითში -ა და -ე მაწარმოებლების ამორჩევიობას: აღ-ვ-ძარ → აღ-ვ-ძრ-ა, მო-ვ-კალ → მო-ვ-კლ-ა, მაგრამ: და-ვ-ი-ბენ → და-ვ-ი-ბნ-ე, გა-ვ-ი-ქეც → გა-ვ-ი-ქც-ე და მისთ. (გ. გოგოლაშვილი 1984 : 82-89).

ისტორიულად გახმოვანების თანაფარდობა რომ შემთხვევითი არ იყოს, ამას ქვემოთ დასახელებული მიმართებაც ადასტურებს:

მო-ვ-კალ → მო-ვ-კლ-ა,

მაგრამ:

მო-ვ-კლ-ენ → მო-ვ-კლ-ნ-ე...

ამის მიხედვით ადვილად აიხსნება, თუ რატომ აქვს ე. წ. III ტიპის („უნიშნა“) ვნებითებს II უკავშირებითში -ე მაწარმოებელი: ანგარიში ეწევა ამოსავალ ვითარებას, როცა ამ რიგის ზმნები ე-გახმოვანებით იყო წარმოდგენილი (გან-ვ-ტეფ და შესაბამისად: გან-ვ-ტეფ-ე, შე-ვ-დერკ → შე-ვ-დრკ-ე). ამ მოვლენის გათვალისწინება ახალ საბუთიანობას სძენს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ყველა III ტიპის ვნებითის ფორმა ისტორიულად ე-გახმოვანებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: \*და-ლბე (შდრ.: და-ლბ-ე), \*და-დენ (შდრ.: და-დნ-ე), \*გან-შერ (შდრ.: გან-შრ-ე) და მისთ. (გ. თოფურია 1942: 966); ანუ: იმავე რი-

გის მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც და-ვ-დეგ → და-ვ-დგ-ე, და-ვ-ჯედ → და-ვ-ჯდე შემთხვევებში.

ანალოგიური პრინციპი მოქმედებს ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევაშიც: წა-ვედ-ი → წა-ვიდე (შდრ. აჭარული: წე-ვდე).

ამდენად, ფუძის გახმოვანებამ განსაზღვრა II კავშირებითის საწარმოებელ მორფემათა ამორჩევა. აქვე შევნიშნავთ, რომ ისტორიულად ანალოგიური მიმართება დასტურდებოდა პრეფიქსისა და სუფიქსის გახმოვანებებს შორის: ვ-არქუ → ვ-რქუ-ა, ა-რქუ → ჰ-რქუ-ა; მი-ვ-ე-ც → მი-ვ-ც-ე, მი-ე-ც → მი-ს-ც-ე (ანუ: პრეფიქსი ა-, ე- და, შესაბამისად, სუფიქსი: -ა, -ე).

ამასთან დაკავშირებით: გამოთქმულია ვარაუდი, რომ ა- და ე- ამ შემთხვევებში ფუძისეულადაა გააზრებული (ა. შანიძე 1980 : 550-551; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : 222-223, 325), ეს იმიტომ, რომ ამ პრეფიქსების მოქცევა (ქმედება) ზედმიწევნით შეესაბამება ფუძისეული ხმოვნის მოქცევას (ქმედებას). შდრ. ახალ ქართულში: და-ვ-ა-რქმევ : და-ვ-ა-რქვ-ი → და-ვ-არქვ-ა, სადაც სულ სხვა პრინციპი მოქმედებს (მი-ვ-ე-ც ზმნამ შეინარჩუნა ძველი მიმართება).

ახალ ქართულში სულ უფრო ხელშესახებად დაჩნდება წმინდა მორფოლოგიურ პრინციპზე გადასვლის ტენდენცია; შდრ.: გან-ტეფ → გან-ტფ-ე (სადაც გახმოვანების თანაფარდობა მოქმედებს) და: გა-თბ-ი — გა-თბ-ე (სადაც ფორმათა მიმართების პრინციპი წმინდა მორფოლოგიურია, ხოლო გა-თბ-ე ფორმაში პოვნური -ე სუფიქსის ახსნა მხოლოდ დიაქრონიულად ხერხდება).

ახალ პრინციპზე გადასვლა სხვა შემთხვევებშიც ხელშესახება. ნიმუშად ერთ მაგალითს დავასახელებთ.

\*ქამ-ენ- → ქმ-ენ ფუძე ძველ ქართულში მორფონგოლოგიური პრინციპის შესაბამისად შეაპირობებდა II კავშირებითში -ე მორფემის პოვნირებას: ვ-ქმენ → ვ-ქმნ-ე, ჰ-ქმენ → ჰ-ქმნ-ე... ახალ ქართულში თანაფარდობის პრინციპი იცვალა: ნულოვანი სუფიქსის მქონე ნამყო ძირითადად II კავშირებითში შეესაბამება -ა სუფიქსიანი წარმოება (მო-ვ-კალ → მო-ვ-კლ-ა). ამის კთვალბაზე იცვალა ქმენ- ფუძის მქონე ფორმათა მიმართებაც: ვ-ქენ-(ი) → ვ-ქნ-ა, (ჰ)-ქენ-(ი) → (ჰ)-ქნ-ა...

ზოგადად კი ახალ ქართულში ფორმათა მიმართების სურათი საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა. მაგალითად, გა-ვ-თბ-ი → გა-ვ-თბ-ე ფორმათა შემთხვევაში -ე სუფიქსიანი კავშირებითი დიაქრონიულადაა შეპირობებული და არქაული ფორმაციის დანაშრევად დაჩნდება: ვ-ქენ-(ი) → ვ-ქნ-ა ფორმათა მიმართება კი ახალი ტენდენციის გამოვლინებაა...

\* \* \*

ზემოხსენებული სვამს ასეთ საკითხს: ხომ არ მოგვეპოვება (ან: ხომ არ მოგვეპოვებოდა) ქართულში ზმნური წარმოების სისტემა, რომლებშიც თანამიმდევრულადაა გატარებული (ან: იყო გატარებული) ფუძისა და სუფიქსის თანაფარდობის პრინციპი გახმოვანების თვალსაზრისით?

კერძოდ, იგულისხმება ასეთი შესაძლებლობა:

აწმყო მყოფ.: შე-ვ-ძრ-ავ                      შე-ვ-ი-ნ-ძრ-ევ-ი

ნამყო ძირ.: შე-ვ-ძარ	შე-ვ-ი-ნ-ძერ-(ი)
II კავშირ.: შე-ვ-ძრ-ა	შე-ვ-ი-ნ-ძრ-ე

როგორც ვხედავთ, გახმოვანების მიხედვით თანაფარდბა ამ შემთხვევაში, მართლაც, თანამიმდევრულად დაჩნდება.

შევნიშნავთ, რომ აქ საკუთრივ შესაძლებლობაზეა ლაპარაკი. სხვა საკითხია, თუ ქართული ენის განვითარების რომელ საფეხურზეა სავარაუდო წარმოების ამგვარი (მორფოლოგიური) პრინციპის სისტემური გამოყენება.

მსგავსი ნიმუშების დაძებნა ქართულში მრავლად ხერხდება; ერთი მხრივ:

შე-ვ-კრ-ავ	მო-ვ-კლ-ავ	მო-ვ-ხნ-ავ
შე-ვ-კარ-(ი)	მო-ვ-კალ-(ი)	მო-ვ-ხან-(ი)
შე-ვ-კრ-ა	მო-ვ-კლ-ა	მო-ვ-ხნ-ა...

ხოლო, მეორე მხრივ:

და-ვ-დგ-ებ-ი	და-ვ-ჯდ-ებ-ი
და-ვ-დგვ → და-ვ-დექ-ი	და-ვ-ჯედ → და-ვ-ჯექ-ი
და-ვ-დგ-ე	და-ვ-ჯდ-ე...

\* \* \*

განალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას: ისტორიულად მორფოლოგიური პრინციპის გამოყენება ქართულში ფაქტია. ივარაუდება, რომ ეს პრინციპი სისტემური ხასიათისა იყო. კანონზომიერად დაჩნდება აგრეთვე ფუძისა და სუფიქსის გახმოვანების თვალსაზრისით თანაფარდობაც.

იმავედროულად აშკარაა წმინდა მორფოლოგიურ პრინციპზე გადასვლის ტენდენციაც, როცა აბლაუტს აფიქსაცია ცვლის.

ამის შედეგად ქართულში ნაირგვარი ვითარება შეიქმნა.

ა) უძველესი სისტემა მეტ-ნაკლებად დაცულია: და-ვ-ძრ-ავ — და-ვ-ძარ — და-ვ-ძრ-ა და მისთ.

ბ) სისტემა შემორჩა ფრაგმენტული სახით — იყო: გან-ვ-ტეფ — გან-ვ-ტფ-ე, ამჟამად გან-ვ-ტფ-ე შემორჩა გა-ვ-თბ-ე ფორმის სახით, მაგრამ მისთვის გახმოვანების თვალსაზრისით ამოსავალი გან-ვ-ტეფ ფორმა აღარ არსებობს (შეცვალა გა-ვ-თბ-ი ფორმამ). ასე რომ, II კავშირებითი -ე ამ შემთხვევაში ისტორიულად არის შეპირობებული.

გ) თანაარსებობს ძველი და ახალი მიმართებანი:

ნამყო ძირითადი:	მი-ვ-ასწარ	მი-ვ-ა-სწრ-ე
II კავშირებითი:	მი-ვ-ა-სწრ-ა	მი-ვ-ასწრ-ო

პირველ შემთხვევაში გახმოვანების თვალსაზრისით თანაბრობასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში წმინდა მორფოლოგიური პრინციპია გამოყენებული.

\* \* \*

ქართველურ ენებში მორფოლოგიური მოვლენები დღესაც რელიეფურად წარმოჩნდება.

ამ მხრივ შესაძლებლობა გვაქვს გამოვყოთ ორი ღონე:

ა) აბლაუტი დაჩნდება სამივე ქართველურ ენაში:

ქართული: წყვეტ — წყვიტ — წყდ (ძველი: წყუედ — წუიდ) „წყვეტა“

ზანური: ჰყვად — ჰყვიდ — [ჰყორდ] (მეგრული)

ჰკვად — ჰკვიდ — [ჰკორდ] (ზანური)

სვანური: შყად/შყედ — შედ „დავარდნა“

ამ შესატყვისობას უკავშირებენ აგრეთვე ზანურ ჰყოლად — ჰყოლიდ — ყჰორდ ფუძეებს.

ბ) აბლაუტის პრინციპი მოქმედებს ქართულსა და სვანურში:

ქართული: ვ-დრეკ — ვ-დრიკ-ე, ვ-თლ-ი — ვ-თალ-ე...

სვანური: ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“ — ჰ-ტეხ-ენ-ი „დაბრუნდება“, ან:

ტიხ-ე „აბრუნებს“ — ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“...

ზანურში, საერთოდ, სუსტად ფუნქციონირებს მორფონოლოგიის ის წესი, რომელიც ისტორიულად საერთო-ქართველური უნდა ყოფილიყო; შდრ.:

ქართული:	ზანური:
ვ-თლ-ი	ვ-თოლ-უნ-ქ
ვ-თალ-ე	ვ-თოლ-ი

ანდა:

ვ-ა-ფენ	ვ-ო-ფინ-ან-ქ
ვ-ა-ფინ-ე	ვ-ო-ფონ-ი

ზანურში გახმოვანება უცვლელია, ქართულში გახმოვანების ცვლის წესი დღესაც მოქმედია.

აქ თავს იჩენს იგივე ტენდენცია, რაც ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში არის დადასტურებული — აბლაუტის პრინციპი იცვლება აგლუტინაციური პრინციპით: ვ-დრეკ — ვ-დრიკ-ე → ვ-დრიკ-ავ — ვ-დრიკ-ე; ანუ: მორფოლოგიურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად სხვადასხვა გახმოვანების ნაცვლად გამოყენებულია აფიქსაცია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თითქოს ზანურში ამ ტიპის ხმოვანთმონაცვლეობა საერთოდ უმოქმედოა.

მაგალითად, ზანურში საკმაოდ ხშირად დაჩნდება გახმოვანების მიხედვით სახელადი და ზმნური ფუძეების განსხვავების ფაქტები:

- ბერგთი „თოხი“ — ბარგ-უნ-ს „თოხნის“
- ტყებ-ი „ტყავი“ — ტყაბ-არ-ან-ს „ატყავენს“
- ჰვეთ-ი „წვეთი“ — ჰვათ-უნ-ს „წვეთავს“
- ნო-კვეთ-ი „ნაკვეთი“ — კვათ-უნ-ს „კვეთს“
- ნო-ტეხ-ი „ნატეხი“ — ტახ-უნ-ს (ჰანური: ტახ-უფ-ს) „ტეხს“.

ითვლება, რომ ეს არის ახალი ტიპის აბლაუტი, რომელიც ზანურში ჩაისახა საერთო-ქართველური სისტემის რღვევასთან ერთად (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 : 360). ახალი შესაძლოა იყოს კონკრეტული ფორმები, მაგრამ სახელისა და ზმნის ფუძის დაპირისპირების პრინციპი ყველა ჩვენების მიხედვით ისტორიულადაც უნდა გვქონოდა (შდრ. ქართულში ამავე პრინციპით დაპირისპირებული ბერტყ-ს — ბარტყ-უნ-ი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ე. წ. ფუძედრეკადი ზმნების სისტემა სადაც აშკარად დაჩნდება უძველესი ფორმათწარმოების წესი

(თანმხლები მოგვიანო მოდიფიკაციებით):

- ა) აბლაუტი მოქმედებს ქართულშიც და ზანურშიც:  
 დრეკ- : დრიკ- : დრკ- — ქართული,  
 დირაკ- : დირიკ- : დირკ- — მეგრული,  
 დრაკ- : დრიკ- : დრუკ- — ჭანური.
- ბ) აბლაუტი მოქმედებს მეგრულში, ხოლო ქართულში — არა:  
 ყარ- (ყარ-ს) — ქართული  
 ყორად- : ყორიდ- : ყორდ- „ლობა“ — ზანური.
- გ) აბლაუტი მოქმედებს ქართულში, ხოლო ზანურში — არა:  
 კრებ- : კრიბ- : კრბ- — ქართული  
 კოროფ- — ზანური.

ასეთი ნაირსახოვანი სურათი მეორეული ჩანს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ფუძის გახმოვანების უცვლელობა ზანურში დაკავშირებულია ერთ-ერთი ფუძის განზოგადებასთან: კოროფ- (არაა: \*კორიფ-, \*კორფ-).

რაც შეეხება გახმოვანებაუცვლელ ფუძეებს ქართულში, აქ სხვა ვითარებაა: ქართულში მარტივი ფუძეა, ზანურში კი იგივე ფუძე სუფიქსითაა გართლებული: ყარ-ს, მაგრამ: ყორ-ად- : ყორ-იდ- : ყორ-დ- „ლობა“ (გუდავა 1974 : 135).

რაც შეეხება ზუსტ თანაფარდობას, იგი ამჟამად ფორმობრივი სტრუქტურის დონეზე დასტურდება.

სემანტიკური თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა: ა) ქართულში დრეკ- : დრიკ- მიმართება განასხვავებს გარდამავალი ზმნის პირველი და მეორე სერიის ფუძეებს, დრეკ- : დრკ- მიმართება კი — გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ფუძეებს (ძველ ქართულში გარდაუვალ ზმნათა მეორე სერიაში ამას ემატებოდა დერკ- ფუძეც); დამატებით შეიძლება შემოვიტანოთ ვ : ა გახმოვანებით დაპირისპირებაც, რომელიც ზმნურ და სახელად ფუძეებს განასხვავებს: გლეჯ-ს — გლაჯ-უნ-ი, ტეხ-ს — ტახ-უნ-ი... ბ) მეგრულში ყორ-იდ- (ყორიდ-უნ-ს „ლობა“) : ყორ-დ- (ყორდ-უ „ლბება“) განასხვავებს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ფუძეებს; ყორ-ად- დაჩნდება გარდაუვალ ზმნათა მესამე და მეოთხე სერიაში (დო-ყორად-ე(ნ) „დამბალა“, ნო-ყორად-უ-ე(ნ) „თურმე ლბება“), აგრეთვე მასდარსა და მიმდობაში (ყორად-ა „ლობა“, მა-ყორად-ალ-ი „დამლობი“). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მასდარი საყრდენად აწმყოს ფუძეს იღებს, მაშინ ყორიდ- ტიპის ფუძეთა პოვნირება აწმყოში მეორეულ ფაქტად უნდა ჩავთვალოთ (იმავე რიგისაა, რაც: დრიკ-ავ-ს → დრიკ-ვ-ა). შევნიშნავთ, რომ ი : ა გახმოვანებით მეგრულში შესაძლოა მასდარის სემანტიკური ნიუანსები განსხვავდეს: ყორიდ-უ-ა „ლობა“ — გარდამავალი, მაგრამ: ყორად-ა „ლობა“ — გარდაუვალი (გუდავა 1974 : 137); შდრ. ქართული: და-დგ-მ-ა და და-დგ-ომ-ა...

რაც შეეხება ჭანურს, ფუძეთა დაპირისპირება გახმოვანების ცვლით აქ არსებითად აღარ მოქმედებს, მოშლილია. შემონახულია რამდენიმე შემთხვევა: დრუკუნ „დრკება“ — ნდრაკელ-ი || ნდრიკერ-ი „დრეკილი, განადრეკი“ და მისთ. (გუდავა 1974 : 133 — შენიშვნა 6).

ღირსსაცნობია, რომ გახმოვანების ამგვარი პრინციპი, როგორც ზემოთ

აღინიშნა, დადასტურდა საერთო-ქართველურ დონეზეც. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ:

ქართული: წყვეტ- : წყვიტ- : წყდ- (ძვ. ქართ.: წყუედ- : წყუდ-)

მეგრული: ჭყვად- : ჭყვიდ- [ჭყორდ-]

ჭანური: ჭყვად- : ჭყვიდ- [ჭკო(რ)დ-]

სვანური: მყედ- : — : მყდ- [მყად-]

გასათვალისწინებელია, რომ სვანურში ზემოხსენებული ფუძე მნიშვნელობის გადახრითაა დამოწმებული: ნიშნავს „ვარდნას“ (მაჭავარიანი 1965 : 48; საერთო-ქართველურ დონეზე ამ ფორმათა დაკავშირებისათვის იხ. ჩიქობავა 1938 : 413-414; კლიმოვი 1964 : 253).

\* \* \*

გახმოვანების ცვლით მნიშვნელობათა განსხვავების პრინციპი ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენაა სვანურისათვის.

ამ რიგისაა ცნობილი დაპირისპირება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა:

ტიხ-ე „აბრუნებს“ — ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“

დიგ-ე „აქრობს“ — დეგ-ნ-ი „ქრება“ (თოფურია 1979 : 32).

ტეხ-ნ-ი, დეგ-ნ-ი ტიპის ფორმები აგებულებითა და მორფოლოგიური მოქცევით (ქმედებით) უახლოვდებიან ე. წ. III ტიპის ვნებითებს ქართულში; შდრ. ერთი მხრივ: ტეხ-ნ-ი „ბრუნდება“ — ჰ-ტიხ-ენ-ი „დაბრუნდება“ — ა-ტჰხ „დაბრუნდა“ და, მეორე მხრივ: ვ-დრკ-ებ-ი — შე-ვ-დერკ ან: ვ-ტფ-ებ-ი — გან-ვ-ტიფ (ტიხ- : დერკ- : დრკ-, ტეფ- : ტფ- ფუძეთა მიმართების თვალსაზრისით).

მსგავსება უფროვ შორს მიდის; შდრ. ერთი მხრივ:

დრეკ-ს → დრკ-ებ-ა || ი-დრიკ-ებ-ა

დრიკ-ა დრკ-ა || (გა)-ი-დრიკ-ა

და, მეორე მხრივ:

ტიხ-ე „აბრუნებს“ → ტეხ-ნ-ი || ი-ტიხ-ი „ბრუნდება“

ა-ტიხ „დააბრუნა“ ა-ტჰც „დაბრუნდა“ (თოფურია 1967 : 183).

სვანურში დადასტურებულია იმ რიგის მზნებიც, რომლებიც ე : ი გადაბგერებით განასხვავებენ I და II სერიის ფუძეებს:

ა-თერ „ცნობს“ ი-კედ „იღებს“

ა-თირ „იცნო“ ი-კიდ „აიღო“ (თოფურია 1967 : 163).

როგორც ზემოთ აღინიშნა ტეხ-ნ-ი — ჰ-ტიხ-ენ-ი მიმართება ზედმიწევნით თანხვდება ვ-დრკ-ებ-ი — შე-ვ-დერკ მიმართებას, რომელიც ძველ ქართულში გვქონდა.

ანუ: ტეხ- : ტხ-ენ, ერთი მხრივ, და დერკ- : დრკ-, აგრეთვე, დრეკ-, მეორე მხრივ.

სრული სახით ტეხ-ნ-ი დაცულია ლენტეხურში: ტეხენ-ი „ბრუნდება“ — ა-ტეხენ-ი „დაბრუნდება“ (შდრ.: ა-ტახ „დაბრუნდა“).

ფუძეთა დაპირისპირების ეს სპრინციპი სვანურში სხვაგვარი მოდიფიკაციითაც გვხვდება:

ტებღი || ტებღი „თბილი“ →  $\left\{ \begin{array}{l} \text{ზემოსვანური: } \text{ჰ-ტბიდ-ე/ი} \\ \text{ლაშხური: } \text{ა-ტბიდ-ე} \\ \text{ლენტესური: } \text{ჰ-ტებღ-ე „ათბობს“} \end{array} \right.$

ანუ: ტებ-ღ : ტბ-იდ (თოფურია 1967 : 72).

ისევე, როგორც ტებ-ნ-ი : ტხ-ენ-, ტებ-ღ- : ტბ-იდ- მიმართება ვარაუდობს და რეალურადაც ადასტურებს ტებ-ენ-, ტებ-ედ- ფუძეთა არსებობას სვანურში, ანალოგიურად ქართულისათვის ღრეკ- : ღერკ- მიმართება ალგვადგენინებს \*ღერეკ- ფუძეს; ანუ: ღრეკ- და ღერკ- ორი სტრუქტურული ნაირსახეობა უნ- და იყოს სრული გახმოვანებით წარმოდგენილი \*ღერეკ- ფუძისა (თავის მხრივ ღრკ- ვარიანტია ღერკ- ფუძისა).

შესაძლოა \*ღერეკ- → ღრეკ- || ღერკ- მახვილის მოქმედებასთან ყოფილიყო დაკავშირებული:

\*ღერეკ → ღრეკ-

\*ღერეკ- → ღერკ-.

ეს მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მახვილს მნიშვნელობათგანმასხვავებელი ფუნქცია დაუკავშირდებოდა. საგულისხმოა, რომ მახვილის ეს ფუნქცია ქართველურ ენათაგან აღმოაჩნდა ჭანურს: უნჭარუ „დაუწერელი“ — უნჭარუ „მან მას დაუწერა“ (მარი 1910 : 6); ან: ამადგრნუ „დგომა“ — ამადგრნუ „მან შეძლო დგომა (ქუთელია 1984 : 228). მისი ისტორიული რეალურობა საკვლე- ვია. დასადგენია ისიც, რა ვითარება იყო ამ მხრივ საერთო-ქართველურ დონე- ზე. შდრ. ვარაუდი, რომ \*თაფალ- → თაფლ-, ხოლო \*ძამ(ნ)- → ძმა მახვი- ლის მოქმედების შედეგად (ჩიქობავა 1942 : 108); ოღონდ ამ შემთხვევაში მახვილის მნიშვნელობათგანმასხვავებელი დანიშნულება არ იგულისხმება...

\* \* \*

სვანურში ფორმათწარმოების მორფონოლოგიური პრინციპი დაჩნდება ნამყო უსრულის სისტემაშიც — იგულისხმება ხმოვანთა გადაბერების შე- მთხვევები (ანალოგიური ძველი ქართულის -ავ/-ამ თემისნიშნისა ზმნებისა).

ა) ა-გემ „აგებს“ — ა-გჰმ-და „აგებდა“, ა-ბემ „აბამს“ — აბჰმ-და „აბამდა“, ი-ცხემ „იზრდება“ — ი-ცხჰმ-და „იზრდებოდა“, ი-ქუმემ „იცვამს“ — იქუმჰმ-და „იცვამდა“ და მისთ. (თოფურია 1976 : 80). შდრ. ძველი ქართული: ა-ბამ — ა-ბემ-ღ-ი... (იხ. აგრეთვე: ქალდანი 1969 : 20, 92-94; გიგინეიშვილი 1987 : 10).

ბ) გახმოვანებას იცვლის -იწლ სუფიქსი: ი-გზიწლ „იზმორება“ — ი-გზიწლ-და „იზმორებოდა“, ი-ქშიწლ „ამთქნარებს“ — ი-ქშიწლ-და „ამთქნარებ- და“... (თოფურია 1967 : 79) ივარაუდება, რომ -და ამ შემთხვევაში ანალოგიი- თაა დართული; თუ ასეა, მაშინ სხვაობა აწმყოსა და ნამყო უსრულს შორის ოდენ გახმოვანებით იქნებოდა წარმოდგენილი: ი-გზიწლ — ი-გზიწლ...

გ) ანალოგიურად: ხ-ო-ღწმგ-ი „ართმევს“ — ხ-ო-ღწმგ-და (← ხ-ო-ღწმგ-ი- და) „ართმევდა“, დწსგ-ი „დებს“ — დწსგ-და „დებდა“; -და აქაც ანალოგიით ჩანს დართული (თოფურია 1967 : 82).

დ) ცვლა ხდება ფუძის შიგნითაც: თერ „ცნობს“ — თჰრ-და „ცნობდა“ (თოფურია 1967 : 80).

ე) სხვაობა გახმოვანებაში თავს იჩენს სუფიქსებშიც: ა-ტჰმ-ე „თლის“ —

ა-ტაბ-ა „თლიდა“ (თოფურია 1967 : 73-80)..

შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი მორფონოლოგიური მოვლენა, რომელიც ასევე პოულობს ანალოგიას ქართულთან:

ჰ-შხ-ი „წვავს“; შდრ.: თლ-ი-ს

ჰ-შხ-ი „დაწვა“ თალ-ა და მისთ.

ამრიგად, ხერხდება ტიპობრივი ანალოგების წარმოჩენა ქართულ-სვანურ დონეზე. მართალია, კონკრეტული ზმნური ფუძეები შესაძლოა სხვადასხვა იყოს, მაგრამ საკუთრივ პრინციპი ფორმათწარმოებისა იდენტურია.

\* \* \*

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის მიზანია მიანიშნოს ის საკითხები, რომლებიც ქართველურ ენათა მორფონოლოგიის შესწავლისას დაჩნდება. ოდინდელი საერთობა და სისტემურობა ამ თვალსაზრისით ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მორფონოლოგიურ მოვლენათა შესწავლა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად წარმოჩინდეს ფორმათ- და სიტყვათწარმოების ერთ-ერთი უძველესი ტიპი ქართველურ ენებში.

ღირსსაცნობია, რომ ძველი ფორმაციის მორფონოლოგიური პრინციპების მოშლის შემდგომ დაჩნდება ფორმათ- და სიტყვათწარმოების ახლებული მექანიზმის გამომუშავების ტენდენცია.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1949** — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

**ბენვენისტი 1955** — Э. Бенвенист, Очерк теории корня, Индоевропейское именное словообразование, Москва.

**ბოდუენ დე კურტენე 1963** — Бодуэн де Куртенэ, 1963 – И. А. Бодуэн де Куртенэ, Опыт теории фонетических альтернатив, Избранные труды по общему языкознанию, том I, Москва.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**გიგინეიშვილი 1987** – B. Gigineishvili, Der Prasensstamm in der gemeinkartwelischen Grundsprache, Georgia, Heft 10, Jen-Tbilisi.

**გოგოლაშვილი 1986** — გ. გოგოლაშვილი, უწყვეტლის წარმოების საკითხისათვის ქართულში, ენათმეცნიერება-1, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

**გოგოლაშვილი 1984** — დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი.

**გუდავა 1974** — ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, მაცნე — ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.

**დეეტერსი 1930** – G. Deeters, Das khartwelische Verbum, Leipzig.

**ერთელიშვილი 1970** — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონმატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

**ერთელიშვილი 1980** — ვ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

**ვოგტი 1939** — H. Vogt, *Alternances vokaliques en géorgien*, Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, Bind XI, Oslo.

**თოფურია 1942** — ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი III, №9, თბილისი.

**თოფურია 1936** — ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი.

**თოფურია 1967** — ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა; შრომები, I, თბილისი.

**თოფურია 1979** — ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, შრომები, III, თბილისი.

**კიკნაძე 1961** — ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბილისი.

**კლიმოვი 1964** — Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Москва.

**მარი 1910** — Н. Марр, *Грамматика чанского (лазского) языка*, С.-Петербург.

**მაჭავარიანი 1965** — გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

**ფოგტი 1968** — ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმოხილველი, 4-5, თბილისი.

**ქალდანი 1969** — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა. I. უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

**ქუთელია 1984** — ნ. ქუთელია, მახვილის ფონოლოგიური ღირებულები-სათვის ლაზურში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი.

**შანიძე 1980** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი.

**ჩიქობავა 1940** — არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.

**ჩიქობავა 1964** — არნ. ჩიქობავა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის. I. -ავ, -ამ და -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბილისი.

**ჩიქობავა 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

BESARION JORBENADZE

## Basic Problems of Morphology of a Verb in Georgian

### S u m m a r y

1. Researching the structure of verbal stems is one of the core problems of grammar of any language. From this viewpoint, ablaut formation of verbal forms has great importance. (A. Shanidze, G. Akhvlediani, V. Topuria, T. Gamkrelidze, G. Matchavariani).

2. In Georgian ablaut functions in various system of a verb. It is used with the form- and word-building purpose. At present ablaut is of fragmental character (at the same time the tendency of transforming into agglutinative type of formation is clear).

3. Ablaut occurs in verbal stems (**v-dreḳ** — **v-driḳe**; old: **v-derḳ**...) and formants (old Georgian: **v-mal-av** — **v-mal-cv-d**...), as well. From the special literature this phenomenon is well-known. It needs relevant explanation.

4. The fact focuses our attention, that sometime there is a clear correlation between vowelings of a stem and a suffix. A suffix is represented by the same vowelings, that is characteristic of a stem before syncope: **mo-ḳal** > **mo-ḳl-av**, **da-i-bcn** > **da-i-bn-cv-i**... Rarely this principle follows all paradigm of conjugation.

5. The phenomenon noticeable in Georgian has analogies in other Kartvelian languages, as well.

6. Studying the mechanism of ablaut gives possibility to demonstrate perfectly one of the types of verbal forms - and word-building in Georgian.



**ალექსანდრე კობახიძის ბახსენება**

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2009 წლის 21 მაისს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ყველასათვის სათნოებითა და მოკრძალებით, ჭეშმარიტი მეცნიერული თვისებებით ცნობილი პიროვნება — **ალექსანდრე კობახიძე**.

ალექსანდრე მალაქიას ძე კობახიძე დაიბადა 1919 წლის 2 ნოემბერს ამბროლაურის რაიონის სოფ. კვაცხუთში. 1939 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა. იმავე წლიდან 1945 წლის ბოლომდე საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეა, კავშირგაბმულობის ათეულის მეთაური, ლენინგრადის დაცვის მონაწილე. სწორედ ლენინგრადის ბლოკადის დროს გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე. 1946-1951 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კავშირები რუსულ და ქართულ ენებში“.

1957 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება. განყოფილებას ამოცანად დაუსახეს ორენოვანი ლექსიკონების შედგენაზე მუშაობის გაშლა და თარგმნითი (ორენოვანი) ლექსიკოგრაფიის დარგში სათანადო სპეციალისტების მომზადება. გამგედ (კონკურსის შედეგის შესაბამისად) თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრიდან გადმოიყვანეს ალექსანდრე კობახიძე.

ალექსანდრე კობახიძე თითქმის ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელობდა თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებას, რომლის მეცნიერი თანამშრომლები აკადემიური ლექსიკოგრაფისათვის დამახასიათებელი პრინციპებით ქმნიდნენ ორენოვან ლექსიკონებს. ამის შესახებ თავად იგონებს ერთ-ერთ სტატიაში:

„ლექსიკოგრაფიული მუშაობის ჩვევების გამომუშავების მიზნით, ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ქ. ლომთათიძე, თუ შეიძლება ითქვას, შეფობას უწევდა ახალშექმნილი თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მუშაობას. ძნელად სათარგმნი სიტყვების შემცველი სია მთლიანად განყოფილების სხდომებზე იქნა დამუშავებული პროფ. ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონების გარდა, მოშველიებული იყო დიალექტების მონაცემები (დიალექტური ლექსიკონები), ძველი ქართული ლექსიკა, სულხან-საბას ლექსიკონი, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონები, შინამრეწველობის მასალები და სხვ.“ ამ საქმიანობის გახსენება, ბატონ ალექსანდრე კობახიძესთან ერთად, ვფიქრობთ, საჭირო და აუცილებელია დღეს. ალექსანდრე კობახიძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც კვალიფიციურად, ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ ლექსიკოგრაფიას.

1966-1973 წლებში ალექსანდრე კობახიძე იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1973 წლის აპრილში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სამეცნიერო საბჭომ და დირექციამ მადლობა გამოუცხადა ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის. ბატონი ალექსანდრე იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა და ქართული ენციკლოპედიის სატრანსკრიფციო კომისიის წევრი. მისი სამეცნიერო შრომები უმეტესად რუსული და ქართული ენების შეპირისპირებით შესწავლას ეძღვნებოდა: „რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოცემის საკითხისათვის“, „მაერთებელი კავშირები რუსულ და ქართულ ენებში“, „ტერმინოლოგიის პრინციპების დამუშავების შესახებ ქართულ ენაში“, „სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ადგილი თარგმნითს (ორენოვან) ლექსიკონებში“, „სინშირის ლექსიკონთა შედგენის პრინციპების შესახებ“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ალ. კობახიძის „რაჭული დიალექტის ლექსიკონი“ (მასალები), რომელიც 1987 წელს გამოიცა.

1983 წელს ბატონი ალექსანდრეს რედაქტორობით გამოვიდა ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით შექმნილი რუსულ-ქართული ლექსიკონი და დაიწყო მზადება ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად. ლექსიკონზე მუშაობა ვერც 90-იან წლების გაუსაძლისმა პირობებმა შეაჩერა და ვერც ამ წლების განუკითხაობის მსხვერპლმა — ბატონი ალექსანდრეს ერთადერთი ვაჟის დაღუპვამ. ასე შეიქმნა XX საუკუნის ყველაზე დიდი ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომლის გამოცემა, სამწუხაროდ, ბატონი ალექსანდრეს სიცოცხლეში ვერ მოხერხდა (ლექსიკონი, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე დაიბეჭდება).

ალექსანდრე კობახიძის ხელმძღვანელობით შექმნილი თუ მის მიერ რედაქტირებული რამდენიმე ლექსიკონი თანდათან მომზადდება გამოსაცემად, რაც იმას ნიშნავს, რომ ბატონი ალექსანდრეს მიერ საფუძველჩაყრილი საქმე კიდევ დიდხანს გაგრძელდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

## **არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



**დარეჯან ჩხუბიანიშვილი**

2009 წლის 6 ივნისს გარდაიცვალა ცნობილი ენათმეცნიერი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **დარეჯან ზაქარიას ასული ჩხუბიანიშვილი**.

დ. ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1932 წლის 4 დეკემბერს თბილისში. თბილისის ქალთა I საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების (1951 წ.) შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფილოლოგიის ფაკულტეტზე). 1957 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების უფროს ლაბორანტად. 1961-1974 წლებში მას ეკავა მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ — ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა.

დ. ჩხუბიანიშვილმა 1966 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „მასდარი (ინფინიტივი) ძველ ქართულ ენაში“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მკვლევარმა ამ ნაშრომში ძველი ქართული ენის მდიდარი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად სრულად წარმოაჩინა ინფინიტური კონსტრუქციების თავისებურებანი (გამოქვეყნებულია მონოგრაფიად).

დარეჯან ჩხუბიანიშვილის, როგორც ჭეშმარიტი მკვლევრის, სამეცნიერო პოტენციალი მთელი სისრულით გამოვლინდა ქართული დიალექტოლოგიის, კერძოდ, ფერეიდნული კილოს კვლევა-ძიების სფეროში, რასაც მან ორ ათეულ

წელზე მეტი მოახმარა. 1998 წლის ზაფხულში იგი მივლინებით მუშაობდა ირანში მცხოვრებ ფერეიდნელ ქართველობასთან; მოიარა და შეკრიბა უნიკალური დიალექტოლოგიური მასალა 18 ქართულენოვან სოფელში. ამას გარდა არ წყვეტდა კონტაქტს გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში რეპატრირებულ ფერეიდნელებთან. შეიქმნა დიდად მნიშვნელოვანი დიალექტოლოგიური ფონდი, რომლის მეცნიერული პუბლიკაციას მკვლევარმა ათეულობით ნაშრომი უძღვნა.

დ. ჩხუბიანიშვილის კვლევის ძირითადი შედეგები ლექსიკონის სახით გამოქვეყნდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძირითად ორგანოში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (ტ.ტ. XXI და XXIII). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხსენება ფერეიდნელის ძირითად თავისებურებათა შესახებ მან ლინგვისტთა საერთაშორისო კონგრესზე (თბილისი, 1998წ.) წაიკითხა.

ქ-ნ დარეჯანის მიერ ენათმეცნიერების ინსტიტუტში გატარებული თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა: მონოგრაფიული გამოკვლევის გარდა, მან 40-ზე მეტი პირველხარისხოვანი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნა როგორც საინსტიტუტო, ისე რესპუბლიკურ გამოცემებში. იგი აქტიურად მონაწილეობდა მშობლიური ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების მანძილზე, ძირითადი საქმიანობის პარალელურად, კითხულობდა ლექციებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ქართული მეტყველების კულტურის სფეროში.

ქ-ნი დარეჯანი გამოირჩეოდა მეცნიერული პრინციპულობით, არაჩვეულებრივი თავმდაბლობითა და კოლეგიალური ურთიერთობით, რამაც მას დამსახურებული ავტორიტეტი და საერთო სიყვარული მოუტანა.

წავიდა ჩვენგან მრავალმხრივ გამორჩეული მკვლევარი და მოქალაქე. ოჯახმა, მთელმა სანათესავომ დაკარგა მოამაგე პიროვნება, საუცხოო შვილები-სა და შვილიშვილების აღმზრდელი დედა, ბებია...

დარეჯან ჩხუბიანიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მრავალრიცხოვან კოლეგა-მეგობრებისა და ახლობელთა გულეებში.

## **არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



**გურამ ბედოშვილი**

2010 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, მწერალი და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ბედოშვილი**.

გურამ ვასილის ძე ბედოშვილი დაიბადა 1932 წლის 4 იანვარს დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში. სწავლობდა ანანურის საშუალო სკოლაში, ხოლო სკოლის სრული კურსი დაასრულა სოფელ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში 1950 წელს.

1951-53 წლებში გაწვეული იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1955-60 წლებში სწავლობდა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ-ქართულ სექტორზე.

1961 წელს გ. ბედოშვილმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე. 1962-65 წლებში იყო აღნიშნული განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1965-72 წლებში ასრულებდა ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოვალეობას, საიდანაც პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის მიზნით; 1975 წელს იგი არჩეულ იქნა ინსტიტუტის სწავლულ მდივნად და 1982 წლამდე მუშაობდა ამ თანამდებობაზე.

1982 წლიდან გ. ბედოშვილი არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1993-2006 წლებში — ონომასტიკური კვლე-

ვის პრობლემური ლაბორატორიის გამგე, 2006-2009 წლებში — ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. მისი შრომითი ბიოგრაფია ადასტურებს, რომ გ. ბედოშვილი იყო სამეცნიერო საქმისადმი, ენათმეცნიერების ინსტიტუტისადმი ერთგულებისა და კეთილსინდისიერი მსახურების ჩინებული მაგალითი.

გ. ბედოშვილის განსაკუთრებული სამეცნიერო ინტერესის საგანი იყო ქართული ისტორიული ტოპონიმია, გეოგრაფიულ სახელთა სისტემა. საკანდიდატო დისერტაცია 1975 წელს დაიცვა თემაზე „ერწო-თიანეთის ტოპონიმის ძირითადი საკითხები“, ხოლო სადოქტორო დისერტაციის (2002 წ.) თემა იყო „ქართული ტოპონიმის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის ძირითადი საკითხები“.

გ. ბედოშვილი იყო დინჯი, აკადემიური სტილის მკვლევარი. წლების გამოცდილებამ იგი ჩამოაყალიბა როგორც ონომასტიკის საკითხების საუკეთესო ექსპერტი. მას ეკუთვნის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი ქართული დიალექტოლოგიისა და ონომასტიკის აქტუალურ საკითხებზე; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი მონოგრაფია: „ერწო-თიანეთის ტოპონიმია ლექსიკონითურთ“ (1980) და „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ სოლიდური I ტომი (2001); მკვლევარს უკვე მომზადებული ჰქონდა ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის II ტომი.

გ. ბედოშვილი ნაყოფიერ სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა მას საბავშვო ზღაპრების ორმა წიგნმა: „ტყეში ბევრი ზღაპარია“ და „შუადღისას მოსაყოლი ზღაპრები“. ბოლო ხანს გამოცემულმა „ანანურულმა მოთხრობებმა“ და ორმა რომანმა („...და ყოველივე ამაო“ და „ოთხი დიდი ზამთარი“) კი მკითხველთა წინაშე იგი წარმოაჩინა, როგორც ქვეყნის უახლესი ისტორიული წარსულის ჩინებული მხატვარი.

მნიშვნელოვანია გ. ბედოშვილის დამსახურება, როგორც აღმზრდელისა, პედაგოგისა და სამეცნიერო ხელმძღვანელისა. მისი მშვიდი და მოსიყვარულე ბუნება თითქოს უადვილებდა მოსწავლეებსა და სტუდენტებს ენის რთული სისტემის შეცნობას.

გ. ბედოშვილი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებში როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, გულთბილი, მოსიყვარულე ადამიანი, დიდი იუმორით დაჯილდოებული პიროვნება.

გურამ ბედოშვილის სახელს მუდამ კეთილად მოიგონებენ კოლეგები, აღზრდილები, მეგობრები, ახლობლები

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენისა,  
ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება  
თბილისის სასულიერო აკადემია**



### მერი მესხიშვილი

2010 წლის 19 ივლისს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგი **მერი მესხიშვილი**.

ღვაწლმოსილ ქართველოლოგთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ჩუმი და რუდუნებით მშრომელი მუშაკი, ისეთი, რომელზეც ძველი ქართველები იტყოდნენ: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა...“ და ამ „სასყიდელში“ მისი საზოგადო დაფასება და სიყვარული იგულისხმებოდა.

**მერი ვასილის ასული მესხიშვილი** დაიბადა 1923 წლის 29 აპრილს ქალაქ თბილისში. მან მიიღო კლასიკური განათლება. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება და ფართო ფილოლოგიურ ცოდნასთან ერთად შეისწავლა ძველი ენები. განსაკუთრებით კარგად დაეუფლა იგი ძველ სომხურ ენას და ამ სფეროში შესანიშნავი ექსპერტი გახლდათ თავისი მოღვაწეობის განმავლობაში. მ. მესხიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1945 წელს, ხოლო საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გ. სუნდუკიანი და ქართული ლექსიკა-ფრაზეოლოგია მის ნაწარმოებებში“ დაიცვა 1951 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მერი მესხიშვილს სამეცნიერო კვალიფიკაციის ამალგებასა და სამეცნიერო მიღწევების ფართო პერსპექტივა ჰქონდა, მას სადოქტორო ხარისხი აღარ დაუცავს, ვინაიდან ამ დროიდან, ანუ ახალგაზრდობის წლებიდანვე იგი მთელი არსებით ჩაება იმ მასშტაბურ ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებში, რომლებსაც აკად. არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით ჩაეყარა ენათმეცნიერების ინსტიტუტში საფუძველი.

1950 წლიდან მერი მესხიშვილი მუშაობას იწყებს ლექსიკოლოგიის გან-

ყოფილებაში და ამის შემდეგ თავისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა ამ განყოფილებას; იგი აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მასალების სარედაქციოდ მომზადებაში და მისი მაღალი კვალიფიკაცია საფუძველი გახდა იმისა, რომ მას მიანდევს მე-6 ტომის რედაქტორობა (თ. შარაძენიძესთან ერთად). როგორც ცნობილია, ამ დიდი ეროვნული ლექსიკონის შექმნაში შეტანილი წვლილისათვის მ. მესხიშვილი გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი 1971 წელს (მთელ სარედაქციო ჯგუფთან ერთად).

განმარტებითი ლექსიკონის სრულმამულებიანი სამუშაოები არა მხოლოდ მწიგნობრული ძეგლების გამოწვლილვას მოასწავებდა, არამედ განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩენდა ქართული დიალექტების მდიდარი ლექსიკური მარაგის გამომწვეურების აუცილებლობას, ვინაიდან, განმარტებითი ლექსიკონის კონცეფციით, დიალექტური (დარგობრივი) ლექსიკა სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის სარეზერვო ფონდად იქნა აღიარებული. შეიძლება ითქვას, მერი მესხიშვილი სტუდენტობიდანვე ჩაება იმ დიდ საძიებო კამპანიაში, რომელიც ქართველური ლექსიკის სრულ „მობილიზაციას“ ისახავდა მიზნად. განსაკუთრებული წვლილი მ. მესხიშვილს მიუძღვის ქართლური (შიდა და შუა ქართლის) ლექსიკის ოქროს მარაგის გამოვლენაში. მის მიერ დამუშავებული (თ. ბეროზაშვილსა და ლ. ნოზაძესთან ერთად) „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“, რომელიც ჯერ კიდევ 1960-იანი წლებისათვის ყოფილა მზად და მხოლოდ 1981 წელს გამოიცა, ერთ-ერთი საუკეთესო ამგვარ ლექსიკონებს შორის. საგულისხმოა, რომ ამ ლექსიკონშიც კი მ. მესხიშვილის ხელთ არსებული მთელი მასალა ვერ ასახულა და მოგვიანებით მან კიდევ ერთი ლექსიკონი მოამზადა: „ქართლურის ლექსიკონი (მასალები)“, 2006.

ამ ლექსიკონის წინასიტყვაობაში მ. მესხიშვილი კვლავ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სამომავლო სამუშაოებისა და მისი „სარეზერვო ფონდის“ შექმნაზე მსჯელობდა.

ქალბატონმა მერიმ ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ლექსიკოლოგიის განყოფილების სხვა არაერთ მნიშვნელოვან ლექსიკოლოგიურსა და ლექსიკოგრაფიულ სამუშაოში მიიღო აქტიური მონაწილეობა, კერძოდ:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ინვერსიული ლექსიკონი, 1967;

ქეგლის ერთტომეული, 1986;


„ვეფხისტყაოსნის“ ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, 1973.

ქალბატონმა მერიმ ასევე მისთვის დამახასიათებელი თავდადებით იმუშავა ქეგლის რვატომეულის ე. წ. დამატებით ტომზე, რომელიც, მართალია, ცალკე ლექსიკონად არ გამოცემულა, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა ქეგლის ახალი რედაქციის მოსამზადებლად.

ქალბატონი მერი მესხიშვილი იყო მაღალი რანგის პროფესიონალი, ჩინებული კოლეგა, გულთბილი ადამიანი და მეგობარი, რომელიც დიდად დააკლდა თავის სამეცნიერო ოჯახს.

ნათელი — მის ხსოვნას!

## **არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**



### კონსტანტინე კაკიტაძე

2010 წლის 17 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი კონსტანტინე კაკიტაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი.

კონსტანტინე კაკიტაძე დაიბადა 1959 წლის 25 ნოემბერს სოფ. დერჩში (ლეჩხუმში). სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1982 წელს ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით.

ნიჭიერმა სტუდენტმა თავიდანვე მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება, ამიტომაც უშუამდგომლეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წინაშე და 1982 წელსვე ამ ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა. კონსტანტინე კაკიტაძემ სახელოვნად გაიარა გზა უფროსი ლაბორანტიდან განყოფილების ხელმძღვანელამდე.

კონსტანტინე კაკიტაძის ცოდნა და გამოცდილება, ძალა და ენერჯია არაერთ სასიკეთო საქმეს მოხმარდა. ის ერთ-ერთი მათგანია, რომლის ძალისხმევითაც ურთულეს პერიოდში შეიქმნა რეგიონული მძლავრი სასწავლო ცენტრი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, სადაც 1990-1998 წლებში იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და ქართული ენის კათედრის გამგე. კონსტანტინე კაკიტაძე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს დაამახსოვრდათ არა მხოლოდ კარგ პედაგოგად, არამედ მეგობრად და ნათელ პიროვნებად... იგი სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა და ლექციებს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, მასმედიისა და კომუნიკაციების ინსტიტუტ-

ში, საერო უნივერსიტეტ „რვალში“... კ. კაკიტაძე იყო ყურნალ „მერმისის“ მთავარი რედაქტორი, არაერთი პერიოდული თუ ერთდროული გამოცემის რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი, რეცენზენტი...

აქტიური პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა კონსტანტინე კაკიტაძეს ხელს არ უშლიდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობაში. მან 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (თემა: „ქართული ენის ლეიხუმური დიალექტი რაჭულთან და იმერულთან მიმართებით“); 2002 წელს — სადოქტორო დისერტაცია (თემა: „სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში“); ეს ნაშრომი 2005 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. კონსტანტინე კაკიტაძე არის ავტორი ექვს ათეულზე მეტი ნაშრომისა. ფართო იყო მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო: დიალექტოლოგია და ენის ისტორია, ქართული ენის სტრუქტურა, ლექსიკოლოგია; ეთნოლინგვისტიკა და კომპიუტერული ლინგვისტიკა...

კონსტანტინე კაკიტაძე იყო რამდენიმე სამეცნიერო პროექტის მონაწილე (მათ შორის საერთაშორისო პროექტისა „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“). განსაკუთრებით მძიმეა გააზრება იმისა, რომ მან ვერ შეძლო დასრულება პროექტისა — „სამყაროს ხატი, ხალხური სამედიცინო ცოდნა და ელექტრონული თეზაურუსი“, რომლის იდეის ავტორი და ხელმძღვანელიც თავად იყო. მძიმეა დანაკარგი თუნდაც იმიტომ, რომ არის საქმე, რომელიც მხოლოდ მას შეეძლო გაეკეთებინა ღირსეულად, თუნდაც მონოგრაფია „ლეიხუმური დიალექტი. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი“, რომლის დასრულებასაც 2012 წელს გეგმავდა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მის პოეტურ შემოქმედებაზე. ბევრისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო 2009 წელს ყურნალ „ჩვენ მწერლობაში“ კონსტანტინე კაკიტაძის ლექსების დაბეჭდვა. მოულოდნელი იმდენად, რამდენადაც ასეთი ფაქტი პოეტური გემოვნების, მაღალი პოეტური კულტურის, ღრმა პოეტური აზროვნების კაცი ლექსებს არ აქვეყნებდა, არც კი ამხელდა, თუ წერდა... 2010 წელს წიგნიც კი გამოსცა — „წვიმის შემოქმედება“... ახალ პუბლიკაციებზეც ფიქრობდა...

კონსტანტინე კაკიტაძეს — სრულიად ახალგაზრდას — ცხოვრებამ მძიმე გამოცდა მოუწყო — უბედურმა შემთხვევამ მამა გამოაცალა და მამაკაცის ტვირთი ოჯახში დედისა და ორი დის იმედად მან აიღო... ახლა თავადაც ახალგაზრდა მაშინ გამოეცალა თავის აკაკისა და მარიამს, როცა მამის თანადგომა ასე სჭირდებოდათ... ვერც ნანატრ შვილიშვილს მოესწრო...

მშრალი ბიოგრაფიული მონაცემები ვერ შეუქმნის სრულყოფილ წარმოდგენას მას, ვინც არ იცნობდა კოტე კაკიტაძეს. იგი იყო გამორჩეული მეგობარი მეგობართა შორის; ერთგული და თავდადებული მეოჯახე — მეუღლე, მამა; უახლოესი კაცი ახლობელთა შორის; საიმედო მეზობელი, მოყვარე... მოკლედ, გამორჩეული კაცი იყო თაობაში. ზოგჯერ გვიკვირდა კიდევ, როგორ ახერხებდა ყოფნას ყველგან და ყოველთვის, ჭირსა თუ ლხინში... ამიტომაც დაიხარჯა ალბათ ასე ნადრევად ბოლომდე...

ასეთ კაცებზე იტყვიან, ქვეყანას დააკლდაო...

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული...

## **არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**